ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ISSN 1512-3154

ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები

II(6)

კრებული ეძღვნება 9 აპრილის 20 წლისთავს

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2009

უაკ (UDC) 94(100) „15/18“ + 94(100) „1918/...“
ა-984

სარედაქციო კოლეგია:

†ალექსანდრე ბენდიანიშვილი
გია გელაშვილი
შოთა ვადაჭკორია
ვასილ კაჭარავა
ვაჟა კიკნაძე
ვოიცეხ მატერსკი
(პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია);
გელა საითიძე
(რედაქტორის მოადგილე)
მალხაზ სიორიძე
ავთანდილ სონღულაშვილი
(რედაქტორი;
ხათუნა ქოქრაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
დოდო ჭუმბურიძე
(რედაქტორის მოადგილე)
ნიკო ჯავახიშვილი

EDITORIAL BOARD:

†Aleksandre Bendianishvili
Gia Gelashvili
Shota Vadackoria
Vasil Kacharava
Vazha Kiknadze
Wojciech Materski
(Academy of sciences of Poland)
Gela Saitidze
(Deputy editor)
Malkhaz Sioridze
Avtandil Songulashvili
(Editor)
Khatuna Kokrashvili
(Executive secretary)
Dodo Chumburidze
(Deputy editor)
Niko Javakhishvili

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

შ ი ნ ა ა რ ს ი

Contents

9 ა პ რ ი ლ ი

April 9

ავთანდილ სონღულაშვილი 11
9 აპრილის ტრაგედიის პოლიტიკური შეფასებისათვის
Avtandil Songhulashvili
The Political Evaluation of the Tragedy of April 9

ცაცა ჩხარტიშვილი 21
9 აპრილის ლეგედისეული ხედვა
Caca Chkhartishvili
The Evaluation of General Lebed of the Tragic April 9

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა

The History of the Georgian

ნიკო ჯავახიშვილი 33
ოთხი ეტიუდი ბალტიის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან
Niko Javakhishvili
Four Epizodes from the History of Georgia's Relations with Baltic Countries

ნიკო ჯავახიშვილი 45
თავად აფხაზთა საგვარეულოს ისტორიისათვის
Niko Javakhishvili
For the History of Abkhazi Noble Family

აპოლონ თაბუაშვილი 63
სახელმწიფო გადასახადების შეკრების ორგანიზების საკითხისათვის XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში
Apolon Tabuashvili
About the issues of tax collection organization in the 2nd half of 18th century at Kingdom of Kartl-Kakheti

დოდო ჭუმბურიძე 74
„თანამედროვეობის ყველაზე დიდი მეცნიერი" და „საქართველოს ლომონოსოვი" – ვასილ პეტრიაშვილი (1845-1908)
Dodo Chumburidze
„The Greatest Modern Scientist" and „Georgian Lomonosov"
Vasil Petriashvili

შოთა ვადაჭკორია 106
ოსეების 1918 წლის აჯანყებების თავისებურებები და ოსი სეპარატისტების განიარაღების მცდელობის ასახვა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში
Shota Vadachkoria
Peculiarities of Osset's revolt in 1918 year and representation of attempt Ossets on separatist disarmament in Georgian Political thinking

ნატო სონღულაშვილი 134
ქართული ერთობის ჰომოგენიზაციის პროცესი და მისი ასახვა XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ბეჭდურ მედიაში
Nato Songulashvili
Homogenization Process of the Georgian Culture and its Reflection in the Georgian Press of the 20th Century 20es

ლელა სარალიძე 145
საქართველოში ეუთოს მისიის მოღვაწეობის ისტორიიდან
Lela Saralidze
History of the Activity OSCE in Georgia

ქართული ემიგრაციის ისტორიიდან
From the History of the Georgian Emigration

შორენა მურუსიძე, ერეკლე შველიძე 161
„ქართველ მხედართა დარაზმულობის" ისტორიიდან
Shorena Murusidze, Erekle Shvelidze
From the history of "Solidarity of Georgian Knights"

მსოფლიო ისტორია
The History of the World

ვასილ კაჭარავა 171
მაკარტიზმის შუქჩრდილები 1950-იანი წლების ამერიკაში
Vasil Kacharava
McCarthyism in America of 1950s

თენგიზ სიმაშვილი 190
რუსული სპეცსამსახურების ისტორიიდან
Tengiz Simashvili
Russian Security Organs through the Frameworks of History

ვასილ კაჭარავა 200
1954 წლის სახელმწიფო გადატრიალება გვატემალაში და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო
Vasil Kacharava
Coup D'état in Guatemala and the CIA

პოლიტიკა
The Policy

თორნიკე შურღულაია 217
აშშ-ის საგარეო დაზვერვის სტრატეგია
Tornike Shurgulaia
Strategy of US foreign Intelligance

ზურაბ კვეტენაძე 225
რუსეთის როლი და ადგილი გლობალურ გეოპოლიტიკაში
Zurab Kvetenadze
Russia's role and place in global geopolitics

კორნელი კაკაჩია 230
ამერიკული დიპლომატიის „ახალი ტონი" და საქართველო
Kornely Kakachia
„New Tone" of US Diplomacy and Georgia

ვახტანგ რჩეულიშვილი 241
საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ფუნქციების შესახებ
Vachtang Rcheulishvili
About the foreign political Functions of Georgia

სულიკო გრიგალაშვილი 260
გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ავტოკრატიის მომავალი
Suliko Grigalashvili
Global economical crisis and the Future of autocracy

ქეთი ჯიჯეიშვილი, შიო სანაძე, გიორგი ჩხიკვიშვილი 265
საბედისწერო პოლიტიკური პარალელები
Kate Jijaishvili, Shio Sanadze, George Chkhikvishvili
Fatal Political Parallels

რელიგია. ეკლესიის ისტორია
Religion. The History of the Church

ელდარ ბუბულაშვილი 270
საინგილოს ქრისტიანი მოსახლეობა XX საუკუნის 20-40-იან წლებში
Eldar Bubulashvili
Christian Population of Saingilo in the 20-40-ies of the 20th Century

მზია ტყავაშვილი 288
ქსნის ერისთავების მამულების საკითხი დოსითეოს ფიცხელაურის „ოსეთის სასულიერო კომისიის“ პროექტში
Mzia Tkavashvili
Issue of the Ksani Eristavis' Lands in Dositeos Pitskhelauri's Project of „Ossetia's Spiritual Commission“

გელა საითიძე 314
„სული დასდვეს ცხოვართა თვისთათვის...“ (ახალმოწამეთა ხსოვნისათვის)
Gela Saitidze
For Memory of the Newmartyrs

ირინა არაბიძე 348
ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა განხორციელების საქმეში (1917 წ.)
Irina Arabidze
Ivane Javakhishvili's Contribution in realizing Autocephalous Rites of the Church of Georgia (1917)

ქეთევან პავლიაშვილი 359
საბჭოთა იმპერიის საეკლესიო პოლიტიკა მახლობელ აღმოსავლეთში XX ს-ის 20-60-იან წლებში („სტალინის პროექტი“ და ე. წ. „ფორთოხლის გარიგება“)
Ketevan Pavliashvili
Ecclesiastic Policy of the Soviet Empire in the Near East In 20-60-ies of XX Century

ისტორიოგრაფია, მეთოდი და მეთოდოლოგია
Historiography, Method and Methodology

მერაბ კალანდაძე 369
ისტორია, ისტორიოგრაფია, ისტორიის ფილოსოფია, მეთოდოლოგია
Merab Kalandadze
History, Historiography, History Philosophy and History Methodology

ხათუნა ქოქრაშვილი 384
„ქალთა ისტორია“ და გენდერული კვლევები საისტორიო მეცნიერებაში
Khatuna Kokrashvili
The “Women's History” and Gender Studies in History

წყაროთმცოდნეობა

Source-Studies

მზია მგალობლიშვილი, ლელა მიქიაშვილი 401
XIX ს. 30-იანი წლების რაჭა ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს „მოგზაურობის“ მიხედვით

Mzia Mgaloblishvili*, *Lela Mikiashvili
Radja in the 30-ies of the XIX century according to the „Travel“ of Dubois de Monpere

გია გელაშვილი 442
რამდენიმე წერილი ოლივერ უორდროპის კოლექციიდან

Gia Gelashvili
Some letters from the Oliver Wardrop Collection

გია გელაშვილი 464
ბოლშევიკების შეჭრა საქართველოში

Gia Gelashvili
The Bolshevik Invasion of Georgia

მუზეუმები

Museums

მაკა შავგულიძე 478
ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ისტორია და მისი განვითარების პერსპერქტივები

Maka Shavgulidze
History and Development prospects of Tsinandali Al. Chavchavadze Museum

ინფორმაცია

Information

ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დელეგაციის მონაწილეობა პოლონელ ისტორიკოსთა XVIII საერთო-ეროვნულ ყრილობაში 493
The Participation of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology Delegation in the 18 th Congress of all Polish Historians

პროფესორ ნიკო ჯავახიშვილის მივლინება ლატვიაში 497
The Business in Latvia

კრებულის სარედაქციო კოლეგია ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

რედაქციის მისამართი:

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი,
ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება

თბილისი, მელიქიშვილის ქ. № 10, III სართული
ტელეფონი: 93 41 37

9 აპრილი

ავთანდილ სონღულაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და აუახლესი ისტორიის განყოფილების გამგე

9 აპრილის ტრაგედიის პოლიტიკური შეფასებისათვის

საქართველოს ისტორიის გაყვითლებულ ფოლიანტებს კიდევ ერთი ტრაგიკული ფურცელი შეემატა 1989 წლის 9 აპრილის სახით. ბოროტების იმპერიამ კვლავ დაანახა მთელ მსოფლიოს ჭეშმარიტი სახე, საქართველოს დედაქალაქი სისხლით შეღება. ეს ერთ დროს საკრარული ციფრი – 9 – დიდი ხანია ჩვენთვის სევდისა და გლოვის რიცხვად იქცა. 1956 წლის 9 მარტი არ გვაკმარეს, 9 აპრილიც ტკივილისა და შურისძიების სურვილის თარიღად გვიქციეს.

მოგვიანებით აკაკი ბაქრაძე გონების თვალით აანალიზებდა განვლილ მოვლენებს და დაასკვნიდა: „ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რომ ევლოუციის, თანდათანობის გზას დასდგომოდა, იგი ძმათა სისხლით არ შეიღებებოდა, ბუნებრივი განვითარების პროცესს გაჰყვებოდა. თავისუფლება, რომელიც ღმერთმა გვიბოძა, უცრემლოდ და უსისხლოდ დამკვიდრდებოდა საქართველოში, მაგრამ სულწასულობის გამო ქართველმა ხალხმა უარყო თანდათანობითობის გზა. უცბად და ერთბაშად მოინდომა იმის მიღება, რის მოპოვებასაც დიდი მოთმინება, წესრიგი, შრომა, სიყვარული და გონიერება სჭირდებოდა“ [6, 24].

პირველ რიგში დავსვათ კითხვა: შეიძლებოდა თუ არა თავიდან აგვეცილებინა აპრილის მოვლენები? მიუხედავად უჩვეულო ცვლილებებისა, 1989 წელს არსებობას განაგრძობდა მთელი თავისი სტრუქტურებით საბჭოთა კავშირი, ხოლო სკკპ კვლავ უდიდეს ძალას წარმოადგენდა და მმართველი პარტიის ძირითადი ნაწილი ჯერ კიდევ არ ფიქრობდა, რომ შეიძლებოდა მომხდარიყო საბჭოური სისტემის ლიკვიდაცია. ამდენად, აღნიშნულ ნაადრევ ანტისაბჭოურ გამოსვლებს სავალალო შედეგები რომ მოჰყვებოდა, კარგად უნდა სცოდნოდათ ეროვნული მოძრაობის ლიდერებს [2].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 9 აპრილამდე ეროვნულ მოძრაობაში განხეთქილება უკვე არსებობდა. პირველი გათიშვა მოხდა 1987 წლის ოქტომბერში შექმნილ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში, რომელსაც გამოეყო რადიკალური მიმართულების ჯგუფი. მან დაირქვა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება – IV დასის“ სახელი [1, 510].

ქართველმა ახალგაზრდობამ ბევრი კარგი თვისება გამოიჩინა, რასაც საზოგადოება ხშირად აღნიშნავდა. მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, საზოგადოებამ ძალზე გააზვიადა ახალგაზრდობის ინტელექტუალური პოტენციალი. ამ უკანასკნელმაც ადვილად ირწმუნა მის მიმართ გამოჩენილი აღმატებული შეფასებანი. ქართველთა საუკუკვარი ეროვნული იდეალის აღსრულება ჩვენს ახალგაზრდობას დღეებისა და თვეების საქმედ მოეჩვენა. ეს დიდი შეცდომა იყო, მაგრამ საკითხის მთელი სიგრძე-სიგანით გაცნობიერება ჩვენმა ახალგაზრდობამ, სამწუხაროდ, ვერ შეძლო. ამისთვის მათ არც აზროვნების სიღრმე ეყოთ და არც ცხოვრებისეული გამოცდილება [3].

როგორც ცნობილია 4 აპრილს მთავრობის სახლის წინ აქციის ინიციატორი ილია ჭავჭავაძის საზოგადოება იყო. აქციის მიზანს წარმოადგენდა „აფხაზეთის პრობლემის მოგვარება“. მაგრამ 6 აპრილიდან „სხვადასხვა დაჯგუფებების მიერ“ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ინიცირებული აქცია გადაიზარდა იმჟამად სრულიად უპერსპექტივო „საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის“ მოთხოვნაში. გაფიცვას უნდა ჰქონოდა კონკრეტული და რეალური მოთხოვნა, რომლის შესრულება მთავრობაზე ზეწოლის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა. საქართველოს დამოუკიდებლობის ლოზუნგით, რასაც მთავრობის სახლის წინ რადიკალური პარტიები და ჯგუფები მოითხოვდნენ, გაუმართლებელი იყო; რადგან საქართველოს მაშინდელ კომუნისტურ ხელისუფლებას ამგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილება არ შეეძლო. კიდევაც, რომ ჰქონოდა სურვილი, კრემლი ამას არ დაუშვებდა. დამოუკიდებლობის მოპოვება ყველა ოპოზიციური ჯგუფის საბოლოო მიზანი იყო. ამ „საბოლოო მიზნის“ წამოყენება გაფიცვის დაუყოვნებლივ მოთხოვნად შეიძლებოდა იმპერიასთან ფიზიკური შეტაკებით და სისხლიანი კატასტროფით დასრულებულიყო [1, 41].

მთავრობის სახლის წინ გამოფენილი ანტისაბჭოთა პლაკატები უმალ ავტორთა გულუბრყვილობას ადასტურებდნენ, ვიდრე მათი პოზიციის სიმტკიცესა და სიძლიერეს.

მიტინგებზე, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნის ლოზუნგების ფონზე, თითქმის ყოველდღე გაისმოდა ქართული ხალხური სიმღერები. ჩვენ გვავიწყდება ყველაზე მნიშვნელოვანი,

რომ „დამოუკიდებლობა და თავისუფლება ტაშფანდურით კი არა – ერთსულოვნებით, მოთმინებითა და ტანჯვით მოიპოვება“ [4, 80].

მიტინგი, რომელიც მთელი კვირა გრძელდებოდა, ბუნებრივია, ეს მიტინგი არ იყო. გამოსვლების ასეთი ფორმა ალბათ მაქსიმუმ ოთხი საათი შეიძლებოდა ყოფილიყო. ზოგიერთებს ეგონათ, რომ რაც დიდხანს იშიმშილებდნენ რევაზ მიშველაძის მოსწრებული გამოთქმით – მოსკოვი იფიქრებდა, „ძალიან ნდომებიათ თავისუფლება და მივცეთ ამ საწყლებსო“.

ზედმეტია იმის ლაპარაკი, რომ საქართველოში მაშინდელი ხელისუფლება არ გადადგებოდა და ჭეშმარიტად ეროვნული მთავრობა ვერ შეიქმნებოდა. ასეთ რამეს მოსკოვი არ დაუშვებდა. ეს მაშინ ანბანური ჭეშმარიტება იყო. საქართველო 1989 წელს დამოუკიდებლობას ვერ მიიღებდა. ეს პროცესი ახლო მომავლის საქმე იყო. სიტუაცია ქვეყანაში „მოკავშირე“ რესპუბლიკების სასურველად ისედაც მიმდინარეობდა. ამ პროცესის „ქვევიდან“, ხელოვნურად დაჩქარებას მძიმე შედეგები, რომ მოჰყვებოდა უნდა გაეცნობიერებინად პოლიტიკურ ლიდერებს.

თავისუფლება უსისხლოდ და თანდათანობით რომ მოდიოდა, ეს დრომ უტყუარად დაადასტურა. ბელორუსიას, თურქმენეთს და ა. შ. თავისუფლებისათვის ყურიც არ გაუბარტყუნებიათ, ყველაფერი მუქთათ, ხონჩაზე დადებული მიიღეს. სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება ესტონეთმა და ლატვიამ ისე მოიპოვა, რომ „პუგაჩიც“ არ გაუსროლიათ [5, 273]. საინტერესოა, რომ უზბეკებმა საკუთარი დამოუკიდებლობის შესახებ სატელევიზიო პროგრამის „ვრემიას“ გადმოცემიდან გაიგეს [1, 192].

ასე იმიტომ მოხდა, რომ კომუნისტები არავის დაუმარცხებია. მათ თავად გამოიჭრეს ყელი და არსებობა თვითმკვლელობით დაამთავრეს. ეს იყო კომუნისტური მოძღვრებისა და კომუნისტური პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის ბუნებრივი შინაგანი რღვევა – გახრწნის შედეგი [6, 235].

არაფორმალთა ლიდერების მოქმედებიდან კი იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ისინი შეგნებულად ამწვავებდნენ სიტუაციას, ცდილობდნენ სამხედრო ფორმიანი მხეცის გაღიზიანებას რუსოფობული ლოზუნგებით. ამიტომაც იყო, რომ აპრილის აქციის ორგანიზატორთა მოქმედება დასავლეთში ძირითადად შეფასდა არა როგორც ეროვნულ-პოლიტიკური იდეალებისათვის ბრძოლა, არამედ როგორც დიდი სკანდალის მოხდენის სურვილი თვითრეკლამის მიზნით.

განა შეიძლება, თან აბსოლუტური სიბოროტის სათავედ აცხადებდე ხელისუფლებას, გაიძახოდე, რომ იგი ყველაფრის ჩამდენი, ყველაფრის მკადრებელია და თან ამ ხელისუფლებისაგან გამოგზავნილ ჯარს წინ უიარაღო ადამიანს უყენებდე?! ეს ხომ იგივეა, რომ მურვან ყრუს, ბუღა თურქს ან თემურ ლენგს დაუყენო წინ შეუიარაღებელი ადამიანები და თან უკიდურესად მწვავე, აშკარად სალანძღავი ლოზუნგით აღიზიანო ძალით ათასჯერ აღმატებული და ზნეობით, ცივილიზებულობით სრულიად დაუმძიმებელი მომხვდური!

არაფორმალთა ლიდერებს ხშირად უყვარდათ მაჰათმა განდის სახელის ხსენება, მაგრამ განდი გრანდიოზული აქციებით უპირისპირდებოდა ცივილიზებულ ინგლისს და არა ლიგაჩოვის, პუგოს, კრიუჩკოვის, როდიონოვის მსგავს კაციჭამიებს. ამასთან, განდი უაღრესად ტაქტიანად, დიპლომატიურად მოქმედებდა, მას არასოდეს ერთი ძვირი სიტყვაც კი არ უთქვამს ინგლისელ ხალხზე, მის კულტურაზე. პირიქით, იგი ინგლისელთა ინტერესებისათვის ბრძოლასაც თავის ვალად აცხადებდა [7, 100].

ახლა მოვლენების მეორე მხარესაც შევეხოთ. მათ ვინც გარეჯის პოლიგონის მოსპობას გვპირდებოდა, უფრო საშინელი პოლიგონი მთავრობის სასახლის წინ გაგვიმართა, სადაც საქვეყნოდ დაგმობილი იარაღის ეფექტურობა ჩვენს უდანაშაულო შვილებსა და შვილიშვილებზე გამოსცადეს [8, 60].

შესაძლოა, გაფიცულთა ლოზუნგი ნაადრევი და ნაჩქარევი იყო, ხოლო ზოგიერთი ხელისუფლებისათვის აშკარად მიუღებელი, მაგრამ რაღა იყო ე. წ. გარდაქმნა, საჯაროობა, შეხედულებათა პლურალიზმი, თუკი ამ განსხვავებულ თვალსაზრისს, თუნდაც მცდარს, მიუღებელს, ისევ და ისევ შეიარაღებულ ძალებს დავუპირისპირებდით და სისხლში ჩავახშობდით?!

საგულისხმოა, რომ 6 აპრილიდან თბილისში იმყოფებოდა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე – არმიის გენერალი კოჩეტოვი. ამდენად, საკავშირო სამინისტრომ ყველაფერი იცოდა იმის თაობაზე, რაც თბილისში მზადდებოდა. უფრო მეტიც, კოჩეტოვი თბილისში ყოფნისას მონაწილეობდა ამ საკითხზე გამართულ ყველა სხდომაზე და თათბირზე. აგრეთვე მოქმედების კონკრეტული სქემისა და გეგმის შემუშავებასა და დამტკიცებაში.

საქართველოდან შიფროგრამებს ცკ-ს მდივანი ჩებრიკოვი იღებდა. საკვანძო მომენტია 7 აპრილის შიფროგრამა წინადადებით, გამოეყენებინათ არმიისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დამატებითი ძალები და თბილისში შემოეღოთ კომენდანტის საათი. ამ

შიფროგრამის ტექსტი ჩებრიკოვმა გაუგზავნა თანამდებობის პირთა გარკვეულ წრეს. მათ შორის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელებს. მექანიზმი ბრუნვას უმატებდა. როგორც ჩანს, მოსკოვიდან თბილისში საპასუხო შიფროგრამა არ გაგზავნილა. ეტყობა, მიღებული გადაწყვეტილებების ერთად-ერთი წერილობითი საბუთია 7 აპრილის დირექტივა ჯარების თბილისში გაგზავნაზე, რომელიც გენერალურმა შტაბმა მიიღო ცკ-დან თბილისის შიფროგრამის გადაცემის შემდეგ.

არსებობს ასეთი დოკუმენტიც, კერძოდ, 7 აპრილს გენერალური შტაბის უფროსის – არმიის გენერალ მ. მოისეევის ხელმოწერილი ბრძანება – თბილისში შექმნილი მდგომარეობის გამო დამატებითი საჯარისო ნაწილების შემოყვანის შესახებ.

ჯარების შემოყვანა თბილისში გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე ჯ. პატიაშვილის ოფიციალური შიფროგრამა გაიგზავნებოდა მოსკოვში – ეს მოხდა 7 აპრილის საღამოს 21 საათზე. ე. ლიგაჩოვის თავმჯდომარეობით პოლიტბიუროს სხდომა კი შესდგა 7 აპრილის დილით და რამდენიმე საათში გაიცა ბრძანება რეგულარული და შინაგან საქმეთა ჯარების ნაწილების თბილისში გადმოსროლის შესახებ. ამდენად, საკავშირო დეპუტატთა ყრილობაზე ა. ლუკიანოვის ინფორმაციით, თითქოს ჯარები შეყვანილ იქნა თბილისში ჯ. პატიაშვილის თხოვნით, იურიდიული თავლსაზრისით არ შეესაბამება სინამდვილეს [9]. ეს, რა თქმა უნდა, არ ხსნის საქართველოს ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხს, მაგრამ ახლა უკვე გარკვეულია, თუ ვინ არის მათთან ერთად პასუხისმგებელი თბილისში ჯარების გადმოსროლაში და მათ მიერ ხალხის დარბევის მოწყობაში.

სისხლიანი 9 აპრილის მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანეს აქციამდე ცოტა ხნით ადრე ჩამოსულმა სკკპცკ-ის პასუხისმგებელ მუშაკთა ჯგუფმა. მათ შორის ივნენ სელივანოვი, ლობკო, ბაკლანოვი, ბუიანოვი, მიხაილოვი და სხვა. მათთან ერთად იმყოფებოდნენ ცენტრალური პრესის, სამხედროების, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის თანამშრომლები. თითქმის ისინი საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მეორე მდივნის ბ. ნიკოლსკის გარშემო იყვნენ შემოკრებილნი. ეს არ იყო არც უბრალო ძალა და არც შემთხვევით მოვლენილი სწორედ იმ პერიოდში. მრავალი მაგალითია იმისა, თუ რა პრაქტიკულ ზემოქმედებას ახდენდნენ ისინი საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობაზე, სახელდობრ – პირველ მდივანზეც. საგულისხმოა, რომ 9 აპრილის დეზინფორმაციული დეპეშა მოსკოვში სელივანოვმა, ნიკოლსკიმ და ლობკომ შეადგინეს [10].

გაოცებას იწვევს შეიარაღებული ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ ქვედანაყოფების ჩამონათვალი, რომლებიც მშვიდობიანი მიტინგის დარბევაში მონაწილეობდნენ: მოტომსროლელები, ქვეითები, საჰაერო დესანტი, შინაგანი ჯარები, საგანგებო დანიშნულების ქვედანაყოფები, ტანკები, ჯავშნოსანი მანქანები, რომ აღარაფერი ვთქვათ ცეცხლმსროლელ, ქიმიურ იარაღსა და მესანგრეთა ხელბარებზე. თითქოს ბერლინის ასაღებად ემზადებოდნენ! გორკიდან გადმოისროლეს სამხედრო კურსანტები, ბაქოდან – ძერჟინსკის სახელობის დივიზიის მეომრები, ამავე ნაწილების მეთაურები ჩამოფრინდნენ მოსკოვიდან, ჩამოვიდნენ ქვედანაყოფები ვორონეჟიდან, პერმიდან. და ეს ყველაფერი განხორიელდა ყოველგვარი დოკუმენტაციის გარეშე.

მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილება 1989 წლის 9 აპრილს 4 საათზე განხორციელდა. ოპერაციას ხელმძღვანელობდა გენერალ-პოლკოვნიკი – ი. როდიონოვი. მას ექვემდებარებოდა ყველა სახეობის საჯარისო ფორმირება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილის ი. კუზნეცოვის და შინაგანი ჯარების ოპერატიული სამმართველოს უფროსის ი. ეფიმოვის მეთაურობით. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს შ. გორგოძეს და მის დაქვემდებარებულ საქართველოს მილიციას ფაქტობრივად უნდობლობა გამოუცხადეს და იგი თავად იქცა საჯარისო ნაწილების დარბევის ობიექტად.

დარბევის წინ მიტინგზე სრული სიმშვიდე სუფევდა; ადამიანები იდგნენ ანთებული სანთლებით ხელში, ლოცულობდნენ და მღეროდნენ, რაც უფრო მსხვერპლის შეწირვას გავდა, ვიდრე აქტიურ წინააღმდეგობას. დარბევას შედეგად მოჰყვა 19 ადამიანის დაღუპვა, რომელთა შორის აღმოჩნდა 16 ქალი. მათგან ორი არასრულწლოვანი. სამხედრო პირთაგან არავინ დაღუპულა. ალესილი ხელბარებისა და მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებების გარდა გამოყენებული იყო ცეცხლსასროლი იარაღიც [11, 550].

9 აპრილს საქართველოს ესროლეს. ერის საერთო ეიფორია აპრილის დღეებში პოეტმა გ. ჯულუხიძემ შემდეგი სტრიქონებით გამოხატა:

კივის თბილისში პროტესტივით ვარდთა კოცონი,
წყევლის ქალაქი ნიჩბებსა და შხამებს გესლიანს...
ხარ მგლოვიარე, საქართველოვ, მაგრამ ცოცხალი,
შენ კვლავ არსებობ და გხედავენ, რაკი გესვრიან! [12]

9 აპრილის ბართლომეს ღამემ ჩვენ ბევრი რამ გვასწავლა. არა მარტო ის დავინახეთ, თუ ვისთან გვქონდა საქმე, არამედ ისიც, თუ რა გიგანტური საშინელებისაგან უნდა გავთავისუფლებულიყავით!

9 აპრილის შემდეგ საქართველოში კომუნისტური რეჟიმი ნომინალური გახდა. გ. გუმბარიძემ ვეღარ შეძლო პროკომუნისტური ძალების მობილიზაცია. მასობრივად დაიწყო კომუნისტური პარტიის რიგებიდან გასვლა. წვავდნენ პარტიულ ბილეთებს, საბჭოთა პასპორტებს [13, 351].

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა შეეცადა შეესუსტებინა ტრაგიკული მოვლენით გამოწვეული უარყოფითი რეზონანსი მსოფლიოში. მაგრამ მსოფლიომ მაინც გაიგო ყველაფერი – როგორც საქართველოს საინფორმაციო წყაროების, ისე რუსეთის დემოკრატიული ორიენტაციის ჟურნალისტების და ადამიანის უფლებების დამცველთა საშუალებით.

1989 წლის 25 მაისს საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატების ყრილობაზე საქართველოს დეპუტაციამ მოითხოვა თბილისის ტრაგიკულ მოვლენებზე პასუხისმგებლობის საკითხის ყრილობის დღის წესრიგში შეტანა. მათი მამხილებელი გამოსვლები ხელს უწყობდა მომხდარზე ობიექტური ინფორმაციის გავრცელებას [14, 473].

დასავლეთის საზოგადოებრივი აზრი, სახელმწიფოთა პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი მხარს უჭერდა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ პროცესებს, რაც იმპერიის დეცენტრალიზაციას იწვევდა. მაგრამ სახელმწიფოთა ხელისუფლებები, რა თქმა უნდა, ოფიციალყრად თავს იკავებდნენ ეროვნული მოძრაობების მხარდაჭერისაგან. 1989-1990 წლებში, ჯერ კიდევ, არ დამდგარიყო ის დრო, როცა დასავლეთის რომელიმე ქვეყანა და მათ შორის აშშ ღიად გამოხატავდა სიმპატიას, რომელიმე საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებისადმი.

ამ რეალური კანონებით აიხსნებოდა, ის თავისებური გულგრილობა, რომლითაც დასავლეთის მთავრობები შეხვდნენ 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას. არც ერთი დასავლური სახელმწიფოს მეთაური ან უმაღლესი რანგის მოხელე, საგარეო საქმეთა მინისტრის დონეზე მაინც, არ გამოსულა და ოფიციალურად არ დაუგმია საბჭოთა ხელისუფლების ქმედება, არ მოუხდენია მომხდარის პოლიტიკური შეფასება.

სამაგიეროდ 9 აპრილის მოვლენები სრულიად საღად და ობიექტურად შეაფასეს დასავლეთის ქვეყნების ხელისუფლებათა და

პოლიტიკური ელიტის მეორე ეშელონის წარმომადგენლებმა [1, 254]. მაგალითად, თბილისში მომხდართან დაკავშირებით ამერიკელმა სენატორმა ჰელსმა სენატს წარუდგინა რეზოლუციის პროექტი. იგი ამერიკის საკანონმდებლო ორგანოს მიმართავდა, სწორედ 1989 წლის აპრილის ტრაგედიიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ: „ბატონო პრეზიდენტო, – წერს სენატორი ჰელსი – ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ თავისუფალი მსოფლიო გულგრილი არაა მისი ხვედრისადმი, რომ თბილისში ასზე მეტი უდანაშაულო ადამიანის ტრაგიკული სიკვდილი შეუმჩნეველი არ დარჩენილა, რომ ჩვენი უზენაესი ხელისუფლება მხარს უჭერს ქართველი ხალხის ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, რომლისთვისაც მან ეგზომ დიდი მსხვერპლი გაიღო".

სამწუხაროდ, ამ და სხვა მსგავს ფაქტებს, გამოხმაურებებს თუ მხარდაჭერას მხოლოდ მორალური მხარდაჭერა თუ ქონდა, რადგან არ ასახავდა შეერთებული შტატების ოფიციალურ კურსს. ამ რეალობას ადასტურებს 1990 წელს კიევში ვიზიტით მყოფი აშშ პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის (უფროსი) ნათქვამი: „მე კონგრესში ბევრი მთხოვს არჩევანის გაკეთებას – გორბაჩოვის მხარდაჭერასა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ რესპუბლიკებს შორის. მაგრამ მე მიმაჩნია, რომ – განმარტავდა პრეზიდენტი – ეს იქნება ყალბი არჩევანი". თეთრი სახლის არჩევანი, ამ დროისათვის, კვლავ პრომოსკოვური გახლდათ და ეს რეალობა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისათვის მწარე სინამდვილედ მოსჩანდა. ამგვარი მდგომარეობა 1991 წლის აგვისტომდე გრძელდებოდა [1, 256].

თბილისში მშვიდობიანი მიტინგის გაჟლეტა მარტო ჩვენს დასაშინებლად არ მომხდარა, მას უფრო დიდი მიზანი ჰქონდა: ეს იყო ცდა, სამხედრო დიქტატურის დამყარებისა მთელი კავშირის მაშტაბით. თუ ეს ცდა თბილისში გაამართლებდა, მას გაიმეორებდნენ სხვაგანაც. მაგრამ ხრიკმა არ გასჭრა. ქართველი ხალხი არ შეშინდა. არ დახარა მორჩილად თავი. ჩვენი გოგო-ბიჭებისა და ხანდაზმული მანდილოსნების სისხლმა მომავალი თავისუფლება გადაარჩინა. და არა მარტო ჩვენთვის, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებისთვისაც.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. დ. შველიძე, პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წწ.), თბ., 2008.

2. გაზ. „თბილისი“, 1989, 5 მაისი.
3. გ. ყორანაშვილი, სევდიანი ფიქრები მოვლენების კვალდაკვალ, გაზ. „თბილისი“, 1989, 14 აპრილი.
4. ა. კალაძე, ის მაინც ბრუნავს...., თბ., 1991.
5. ა. სონღულაშვილი, საქართველოს პოლიტიკური პორტრეტი, თბ., 2004.
6. ა. ბაქრაძე, დაწუნებული გზა, თბ., 1995.
7. თ. მირიანაშვილი, შავბნელი ჟამის ქრონიკა, თბ., 1993.
8. ა. სონღულაშვილი, 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედია, თბ., 1999.
9. გაზ. „Заря Востока“, 1990, 10 თებერვალი.
10. გაზ. „სახალხო განათლება“, 1989, 20 სექტემბერი.
11. 9 აპრილი, თბ., 1990.
12. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989, 28 აპრილი.
13. მ. ნათმელიძე, ა. დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., 2004
14. ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008

Avtandil Songhulashvili

Doctor of Historical sciences, Professor, The Head of the Department of Modern and Contemporary History of The Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

The Political Evaluation of the Tragedy of April 9

Summary

The historical importance of April 9 in contemporary history of Georgia is great. April 9 reveled the death-throes of Soviet Union and its final crash, determined the approach of Georgia to the restoration of national independence. But on the other hand the events of April 9 obviously and extremely rudely opposed the state of Russian to Georgians, Russian army to Georgia.

In 1989, April 9 at 4 a.m. the decision of brutal dispersion that caused the death of 19 people was full filled. Among deaths 16 were women and tow of them were under-age. Not a single military was killed. Besides sharpened shovels and poisoning chemical substance, fire-arms were used as well.

The massacre of the peaceful manifestants was not carried on only for threatening population in Georgia but it had another goal as well. This was an attempt of establishing a military dictatorship, but it did not work. Georgian people were not frightened, did not bow its head obediently. The blood of our youth and aged women saved future freedom. The freedom was not saved only for us, but for other peoples of the Soviet Union.

ცაცა ჩხარტიშვილი
ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

ტრაგიკული 9 აპრილის გენერალ ლებედისეული შეფასება

ოცი წელი გავიდა სისხლიანი 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ. ამ დროის მანძილზე ბევრი დაიწერა. თითქოს მოვლენებიც იქნა შეფასებული, მაგრამ სამწუხაროდ ბევრი ფაქტი ჯერაც უცნობი და შეუსწავლელია, ან არაობიექტურად არის შეფასებული ავტორთა მიერ. ერთ-ერთ ასეთ ავტორად გვევლინება გენერალი ალექსანდრე ლებედი.

გასული საუკუნის ბოლოს რუსულ პოლიტიკურ არენაზე გენერალმა ლებედმა საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ყოფილ სსრკ-ს ტერიტორიაზე არსებული ცხელი წერტილების ჩაქრობაში „დაოსტატებულ“ გენერალს საკუთარი შეხედულებანი გააჩნდა „დერჟავასა“ და მისი მომავლის შესახებ.

ამდენად, საინტერესოდ ჩავთვალეთ გენერალ ალექსანდრე ლებედის 1995 წელს დასტამბული წიგნის „გული შემტკივა სამშობლოსათვის“ (За державу обыдно...) შეფასება.

წიგნი გამომცემლობა „მოსკოვსკაია პრავდამ“ გამოსცა და წინ რუსეთის მწერალთა კავშირის წევრის ვლადიმერ პოლუშინის ვრცელი წინასიტყვაობა წაუმძღვარა. წინასიტყვაობის სათაურიც კი ნათლად გვიჩვენებს სიმპათიას წიგნის ავტორის მიმართ. აღმშენებელთა დროც დადგებაო, წერს პოლუშინი და აღწერს 1992 წლის დნესტრისპირეთის ზაფხულის ცხელ დღეებს, რომელმაც დერჟავას ასობით გვამი, ათასობით დაჭრილი და ათიათასობით ლტოლვილი მოუტანა. მაშინ მე-14-ე რუსული არმიის გენერალი ნეტკაჩევი თავის შტაბს შეეფარა. რუსული არმია უდიდეს სირცხვილს ჭამდა დნეპრისპირელი ნაციონალისტების წინაშე, რომ გულადი გენერალი ლებედი არ გამოჩენილიყო.

რაც შეეხება თავად წიგნს, იგი მემუარული ხასიათისაა და ცოტა არ იყოს, მხატვრული ელფერიც დაჰკრავს. ლებედი თავისი ცხოვრება-მოღვაწეობის აღწერის ფონზე საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებებსაც გვაცნობს. ჩვენთვის ამ წიგნიდან ყურადსაღები

კავკასია და კერძოდ კი, საქართველოში დატრიალებული ბატალიების ლებედისეული შეფასებაა. აქვე დავძენთ, რომ საკმაოდ ვრცელი, 465 გვერდამდე ნაშრომი, ალექსანდრე ლებედის ბავშვობიდან, ბებია-ბაბუის მოღვაწეობიდან და სამშობლოს წინაშე მათი დამსახურების მოთხრობიდან იწყება და მისი გმირის ცხოვრების თითოეულ ეტაპს საკმაოდ დაწვრილებით აღწერს. ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესო 9 აპრილის მოვლენებისადმი რუსი გენერლის დამოკიდებულებაა, თანაც ისეთი გენერლისა, მისი ერის დიდ ნაწილს ქვეყნის იდეების გამგებლად და დერჟავის გადამრჩენად რომ მიაჩნია.

ლებედი დასაწყისშივე უმხელს მკითხველს, რომ სსრკ-ის მთელ ტერიტორიაზე შეიარაღებული „ბორიალი" აზვირთებული ხალხის დასაწყნარებლად, არცთუ სასიამოვნო საქმეა; თანაც, თურმე ეს ხეტიალი ჯარისკაცთა სამხედრო მომზადებას აყენებს ზიანს და არც მათი პოლიტიკური აზროვნებისათვის ყოფილა სასარგებლო. „ძალიან ძნელია, აუხსნა ჯარისკაცს, რა დაემართა ხალხთა მეგობრობას, რა ჭირი შეეყარა ინტერნაციონალიზმს და რატომაა, რომ ეროვნულმა საკითხმა, რომელიც კარგა ხნის წინ დავხურეთ, მიწა მივაყარეთ და მეგონა მორჩა, ისევ წამოყო თავი. ახლა კი ამ დიდი ძმობის, ერთი ნაწილის, რომელსაც საბჭოთა ხალხი ჰქვია, მეორისაგან დაცვა გახდა საჭირო".

ამ წიაღსვლის შემდეგ იგი თბილისის ამბების დეტალურ აღწერაზე გადადის.

წინასიტყვაობის ავტორ-მწერლის თვალს ცრემლი მოსდგომია და შვებით ამოუსუნთქავს ლებედის ასეთი სიმამაცის გამო: „ჯერ კიდევ ცოცხალია ჩვენი მძლავრი იმპერია, ჯერ კიდევ გვყავს პატრონი, როდი დავობლებულვართ". ლებედი მაშინ წლის ადამიანად იქნა დასახელებული და არც ერთ სხვა კონფლიქტს ყოფილ სსრკ-ს ტერიტორიაზე ასე კარგი გადაწყვეტა არ ჰქონია, როგორც დნეპრისპირეთში. ამის მიზეზად კი ავტორს ის მიაჩნია, რომ ლებედი ერთია, კონფლიქტი კი უამრავი! [1, 5].

დნეპრისპირეთამდე მას ასეთი ხანძრები სუმგაითში, ბაქოსა და თბილისში ჩაუქრია (იგულისხმება 9 აპრილი). ბალტიისპირეთშიც მოხვედრილა და 1991 წლის აგვისტოს პუტჩის შუაგულშიც. და ყველა ამ სიტუაციაში ისე ეჭირა თავი, როგორც ნამდვილ რუს ოფიცერს ეკადრებოდა – აღნიშნავს პოლუშინი. მისი ხელმძღვანელობით მე-14 არმია რუსეთში საუკეთესოდ იქცა, ხოლო ურთულეს სიტუაციებში ლებედის მიერ დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვე-

ტილებები - ყველაზე ფხიზლად სწორ და სამშობლოზე ზრუნვით აღსავსედ იქნა მიჩნეული - წერს წინასიტყვაობის ავტორი [2, 8].

იმდენად დიდი ყოფილა ამ გენერლის ღირებულებები, გრაჩოვს მისი ეშინოდა კიდეცო. ამიტომ შორეულ დნეპრისპირეთში გადაკარგა, ასეთი მსხვილი პოლიტიკური და სამხედრო ფიგურა რომ რუსული სახელმწიფოს ხელმძღვანელ ეშელონებში არ მოხვედრილიყო. მაგრამ ლებედმა იქიდანაც მოახერხა ყურადღების ცენტრში ყოფნა და მრავალი პოლიტიკური პარტიისა და მოძრაობის გულის მონადირება.

წინასიტყვაობის ავტორის თქმით, „ლებედი ლაკმუსის ქაღალდია, თანამედროვე რუსული საზოგადოების სინდისის გამოსამჟღავნებლად, ხოლო, როგორც რუსეთში ხელისუფლების კრიზისი დგება, მაშინ იფეთქებს ხოლმე ინტერესი ლებედისადმი. ასე იყო ჩეჩნეთის ომის დროსაც“. პოლუშინის რწმენით, მხოლოდ ლებედს და მისთანებს შეუძლიათ დაუბრუნოს რუსებს ღირსების გრძნობა.

წინასიტყვაობიდან ასეთი ვრცელი ამონარიდი იმიტომ მოვიტანეთ, რომ შთაბეჭდილება შეგვექმნას როგორი შეხედულების არიან ლებედზე რუსეთის ცალკეულ წრეებში.

წიგნის საკმაოდ ვრცელი ნაწილი, ეთმობა ავღანეთის ამბების აღწერას, ლებედის ხანგრძლივ სამსახურს ამ ქვეყანაში, საბჭოთა ჯარების მიერ ავღანეთის დატოვებას და მოვლენებს, რომლებიც მას წინ უძღოდა.

ცალკე თავი ეთმობა თბილისის ამბებს და მას „თბილისური შფოთი“ ეწოდება. შეიძლება ეს თავი ერთი შეხედვით საინტერესო აღარც იყოს, რადგან მასში 9 აპრილის ამბებია მოთხრობილი, მას შემდეგ კი საქართველოში იმდენი რამ მოხდა და იმდენი უბედურება დატრიალდა, ის ამბები, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნაკლებმნიშვნელოვანიც კი გახდა. მაგრამ აქ, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო საინტერესოა მოვლენებისადმი რუსი გენერლის დამოკიდებულება.

ლებედი განაგრძობს თხრობას: „5 აპრილს სიტუაცია თბილისში გამძაფრდა. მის დასაწყნარებლად საქართველოს მაშინდელი ცეკას პირველი მდივნის პატიაშვილის თხოვნით, თბილიში ჯარის შეყვანა გადაწყდა, საჰაერო-სადესანტო დანაყოფები კარგად იყო დაკომპლექტებული. დავალება მიიღო ყოფილმა „ბაგრამ-ავღანეთის“, ამ დროისათვის კი 104-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიამ, რომლის მუდმივი დისლოკაციის ადგილი განჯაში მდებარეობდა. თბილისში ამ დივიზიის შემადგენლობაში მყოფი 345-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკი გაფრინდა. ხალხი რომელიც, ლებედს თუ დავუჯერებთ, ბედისწერისაგან იყვნენ განწირულნი, ფაქტიურად უბედურნი დაი-

ბადნენ. 1979 წელს პირველი შევიდნენ ავღანეთში და 1989 წლის თებერვლის ჩათვლით იბრძოდნენ იქ. თან, თურმე უიმათოდ არც ერთი, ყველაზე მცირე ოპერაციაც კი არ ჩატარებულა. აი, ასეთი ხალხი გამოუგზავნიათ თბილისში. ლებედი იმასაც დასძენს, ყარაბახს, ბაქოსა და სუმგაითის ამბებს თუ გაიხსენებთ, მიხვდებით, განჯაში გადმოსვლით როგორ „გაიუმჯობესეს" მდგომარეობა. ამ წიგნის დაწერის მომენტისათვის კი ეს პოლკი უკვე აფხაზეთში, გუდაუთაში ყოფილა დისლოცირებული.

დავალება ასეთი იყო: „თავისი გამოცდილი ხიშტებით დაეცვათ პატიაშვილის მორყეული რეჟიმი. პოლკი დავალებას არ შეუშინებია, რადგან ბრძოლის კოლოსალური გამოცდილება გააჩნდა. და აი, ერთ ღამეში გადალახეს 320 კმ. განჯიდან თბილისამდე და მთავრობის სახლის მისადგომებთან განლაგდნენ. არც მათი სულიერი მდგომარეობის აღწერა ავიწყდება ლებედს. „სულ ორი თვის გამოსულები იყვნენ ავღანეთიდან, მოხვდნენ განჯაში, სადაც არც ბინები დახვდათ და არც ყაზარმები, საშუალებაც ცოტა ჰქონდათ და თავს იმტვრევდნენ, როგორ აეწყოთ ცხოვრების პირობები, ამ დროს კი ასეთი „საყვარელი" პოლიტიკურ-ჟანდარმული დავალება მიიღეს" [3 280].

პოლკმა ბლოკირება გაუკეთა მთავრობის სახლისა და მის წინა მოედნის მისადგომებს, სადაც უკვე მეორე დღე იყო (ხანგრძლივობა აშკარად ეშლება) მძვინვარებდა, სამხრეთული, ცხელი, ნერვიული მიტინგი. მოედნის მისადგომები სატვირთო მანქანებით იყო ბლოკირებული, რომლებიც საამშენებლო ქვა-ღორღით იყო სავსე და ასეთი ბარიკადების უკან იდგნენ ბოევიკები. სულ სხვადასხვა ჯურის (ამას ქართველებზე წერს), სოციალური წარმოშობის. თანაც, რაც ხელში მოხვდათ, იმით შეიარაღებული. პოლკმა, რომელიც ათი წელი იბრძოლა ავღანეთში, სიკვდილის ფასიც იცოდა და სისხლისაც, ამიტომ არაფერს ჩქარობდა. ისინი ბრძოლაში პროფესიონალები, სასტიკები და დაუნდობლები იყვნენ, მაგრამ აქ მოწინააღმდეგეს ვერ ხედავდნენ, ესენი ხომ მათი გონებაარეული ძმები იყვნენ. თანაც დავალებაც ისეთი ბუნდოვანი იყო, როგორც გორბაჩოვის ეპოქას ახასიათებდაო. ლებედი განაგრძობს თხრობას: „მიტინგზე ვნებები კიდევ უფრო მძაფრდებოდა. მასში მონაწილეობდნენ ორივე სქესის, სულ სხვადასხვა ასაკის ადამიანები. მთავრობის სახლის წინ, გაზონებზე იწვნენ მოშიმშილენი, არაქათგამოცლილი. ჯარისკაცები იცდიდნენ. მოედანზე კი მოისმოდა სიტყვები: „თავისუფლება", „ოკუპანტები", „დამოუკიდებლობა", „ძაღლები", „წაეთრიეთ". ჯარისკაცები ტუჩებს იკვნეტდნენ და ითმენდნენ. შემდეგ კი ლებედი მკით-

ხველის გულისამაჩუყებელ მონოლოგს იწყებს: „შენ, ჯარისკაცო, კეთილსინდისიერად, სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოლე სადაც სამშობლომ გაგგზავნა, ოფლსა და სისხლში ცურავდი ათი წლის მანძილზე, მაინც ღირსებით დაბრუნდი მშობლიურ მიწაზე და აქ ძაღლიშვილსა და ოკუპანტს გეძახიან. ასეთი უსამართლობისაგან სული შეეხუთებოდა კაცს, მაგრამ მაინც წყნარად ყოფილან. თურმე მათი ასეთი თავშეკავება, ეს მამაცი, რუსი ჯარისკაცები ხელს არ აძლევდათ მიტინგის მომწყობთ. ყოველ რევოლუციასა თუ კონტრრევოლუციას ხომ განტევების ვაცები სჭირდება, რომლებიც საკუთარი სისხლით მორწყავენ მათ ბრძოლას, მიტინგის მომწყობებმა გათვალეს, პროვოკაციული დეტალები, წვრილმანები მალე მიეცემა დავიწყებას, უფრო ზუსტად კი, რევოლუციის იდეოლოგთა მიერ იქნება რეტუშირებული, მსხვერპლი კი დარჩება. დარჩებიან როგორც სიმბოლოები, მოწოდება შურისძიებისათვის. და, აი, ჯარისკაცებისაკენ გაფრინდა არმატურის ნაჭრები, ქვები. ისინი კი თურმე მოთმინებით იტანდნენ ამ სეტყვას, გაჰყავდათ დაჭრილები. მაგრამ სეტყვის ნაკადი კი არ იკლებდა, იმატებდა. ამიტომ რაიმე გადაწყვეტილების მიღება გახდა საჭირო. მიტინგზე პანიკის გამოწვევამ მომიტინგეთა უზარმაზარი ტალღა შეატორტმანა ერთი ბოლოდან მეორემდე, რამაც თურმე ჭყლეტა გამოიწვია, და 18 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. მათ შორის 16 ქალია. მიტინგი დაიშალა, მაგრამ ეს მხოლოდ დასასრულის დასაწყისი იყო – წერს ლებედი.

შემდეგ კი კვლავ წიაღსვლას აკეთებს მომავალში: ამის შემდეგ იქნება ზვიადი ირმის თვალებით, გესტაპო ზვიადის დროს, დამწვარი და დაცხრილული რუსთაველის პროსპექტი, სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი, ომი ერთმანეთის და ყველას წინააღმდეგ, ათასობით მსხვერპლი, მაგრამ ეს მსხვერპლნი უკვე, აღარავის დააინტერესებს. თავისუფლება, დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი, სიციველ, შიმშილად, უფულობად ექცევათ, აყვავებული ქვეყნების დანგრევად და ცხოვრებასაც ათწლეულებით ჩამორჩებიან. „დიდ დამპურებელს“ შევარდნაძეს, ნახევრადდანგრეული თბილისი შერჩენია ხელთ, სადაც გაზი, წყალი, ელექტროენერგია ოცნების სფეროსღა განეკუთვნება, მაგრამ ეს მომავალში უნდა მოხდეს, ლებედი კი კვლავ აპრილის იმ დღეებს უბრუნდება.

ჯერ კიდევ 9 აპრილია. ჩემს დაქვემდებარებაში მყოფი დივიზია განგაშის ხმაზე ადგა, აეროდრომისაკენ გაემართა და მზიურ საქართველოს მიაშურა. თავად ლებედი პირველივე თვითმფრინავით ჩამოფრენილა. რუსი სამხედროები თურმე ჩვეულ სამუშაოს ყოველგვარი აყალ-მაყალის გარეშე შეუდგნენ. წყნარად აწყობდნენ საბ-

რძოლო მოწყობილობებს, ტვირთავდნენ იარაღს, ერთი სატრანსპორტო თვითმფრინავი გეგმის გარეშე დაჯდა და მისი შიგთავსიდან ორი გრძელზე-გრძელი სამთავრობო რიგი გამოცურდაო, საიდანაც რამდენიმე ადამიანი ჩამოვიდა. პირველი კი თურმე სსრკ ცკის პოლიტბიუროს წევრი, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი შევარდნაძე მოდიოდა. მათ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი დახვედრია, მცირე ხნის საუბრის შემდეგ კი მანქანებში ჩასხდნენ და წყვდიადში გაუჩინარდნენ.

როგორც ვხედავთ, გეგმის გარეშე ორი კი არა, ერთი თვითმფრინავი ჩამოსულა. და თანაც ერთი თვიმფრინავიდან ორი სამთავრობო „ზილი“ გადმოუტანიათ. გამოდის, რომ ედუარდ შევარდნაძესთან ერთად მეორე მაღალჩინოსანიც ყოფილა. რაც მთავარია აღწერილი სურათიდან სრულიად არ ჩანს, რომ ე. შევარდნაძე ინკოგნიტოდ ჩამოსულა. წიგნის მომდევნო გვერდზე აღნიშნულია, რომ გვიანი დრო იყო, ღამე 9 აპრილიდან ათამდე. ერთი სიტყვით, სრულ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ თანამედროვე ბონაპარტობის რუს მაძიებელს ან მეხსიერება ღალატობს ანდა წიგნად გამომცემელმა ჟურნალისტმა თუ მწერალმა ბევრი რამ აურია თხრობიდან [4, 67].

ლებედი და მისი დივიზია თბილისში 9 აპრილის მოვლენების შემდგომ წესრიგის დასამყარებლად ჩამოვიდა. მაშინდელი შთაბეჭდილებები კი ასეთია: „როცა ჯარისკაცთა კოლონები ჩაბნელებული ქუჩებით დანიშნულების ადგილისაკენ მიმყავდა, გამაოცა ქალაქის ჩამკვდარმა გარეგნობამ. არც ერთი გამვლელი, მილიციელი, ძაღლიც კი არსად ჩანდა და მაშინ ვიფიქრე ამ ქალაქმა და მასში მცხოვრებმა ადამიანებმა დასაშვების ზღვარს გადააბიჯეს, საბედისწერო ხაზი გადალახეს და მზად არიან თავით შევარდნენ სისხლსა და ბრძოლის ორომტრიალში, მათ ველარავინ დააკავებდაო [5, 285].

დილით დაიწყო ალიაქოთი. როგორც მოგვიანებით გამოირკვა ჯარის შეყვანას პატიაშვილი ითხოვდა დაჟინებით. მისი ზარების შემდეგ არც მეტი, არც ნაკლები, თბილისში სამი დივიზია ჩაფრინდა. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გენერალი, როდიონოვი კატეგორიული წინააღმდეგი ყოფილა ჯარების შეყვანისა, რადგან თურმე ჯერ კიდევ 1989 წლის მარტში სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე როდიონოვს თბილისელთა 96%-მა მისცა ხმა და არ სურდა ამ ნდობის გაცრუება. ლებედის დახასიათებით როდიონოვი ერთ-ერთი უგანათლებულესი, უჭკვიანესი, სამხედრო პირი ყოფილა, მაგრამ ცეკას პირველ მდივანთან შედარებით, გენერალი უძლური აღმოჩნდა. 9 აპრილის შემდეგ გენერალს თუნდაც იმიტომ სახავდნენ ყვე-

ლაზე დიდ დამნაშავედ, რომ გენერალი იყო. ცოტა მოგვიანებით, გორბაჩოვმა გაუბედავად აღიარა, სისულელეა გენერლის დადანაშაულება, მაგრამ ვერას გახდა. მაშინ კი იმ აპრილის დღეებში თბილისი სავსე იყო წარწერებით: „როდიონოვი მკვლელი“, „სიკვდილი მკვლელ როდიონოვს“. გაისმოდა მისი მოხსნის მოთხოვნები, სასამართლოზე გადაცემასაც ითხოვდნენ. ლებედს მიაჩნდა, რომ როდიონოვს მაშინვე ცხელ კვალზე შეეძლო თავის გამართლება და სხვების დანაშაულის მხილება, მაგრამ ის, რომ მან ეს არ გააკეთა მის დიდბუნებოვნებაზე მეტყველებსო.

ვნებები მძაფრდებოდა და დუღდა თბილისში. სამი დივიზიის იქ ყოფნა მართლაც რომ დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა და ვნებების გამძაფრებასაც სწორედ ეს უწყობდა ხელს. ბევრი რამ დარჩენია მოსაგონებელი ლებედს იმ დღეებიდან, მაგრამ მხოლოდ ორ მომენტზე შევჩერდები, სადაც მისი აზრით, ქართველების ხასიათია წარმოჩენილი.

სამეთვალყურეო ერთ-ერთ ობიექტს შევარდნაძის რეზიდენცია წარმოადგენდა. მის დასაცავად კი ნაბრძანები ყოფილა საპარაშუტო-სადესანტო როტისა და არანაკლებ ხუთი საბრძოლო მანქანის გამოყოფა. იქ სკანდალი მომხდარა, რეზიდენციაში კულიმინაციურ მომენტში მივედიო - წერს ლებედი.

მანქანები და ხალხი, როტის მეთაურმა, კაპიტანმა ლევინსონმა რამდენადაც შეიძლებოდა სწორად განალაგა, ხოლო გაუგებრობები, რომელშიც ლებედი მოხვედრილა, თურმე იმაში მდგომარეობდა, რომ სამი გაურკვეველი წარმოშობის პოლკოვნიკი, გაცხარებით უმტკიცებდნენ ლევინსონს სკვერში სანგრების გათხრის აუცილებლობას. ლევინსონი კი საპასუხოდ უმტკიცებდა, რომ მანქანა სანგარშიც რომ ჩაესვათ, 50 მეტრზე შორს მაინც ვერ ისროდა, ესეც არ იყოს, ტანკების თავდასხმა შევარდნაძის რეზიდენციაზე სულაც არ იყო მოსალოდნელი. ეს სანგრები მხოლოდ ამ ლამაზ სკვერს დაამახინჯებსო. მაგრამ ერთ კაპიტანს სამი პოლკოვნიკის გამკლავება უჭირდა. როდესაც ლებედის ვინაობა გაუგიათ ახლა მას დაუწყეს თურმე მტკიცება, რომ იგი პირადად იყო პასუხისმგებელი შევარდნაძის ძვირფას სიცოცხლეზე. ლებედს კი რჩევა მიუცია - სხვის საქმეში ცხვირს ნუ ჩრით, შევარდნაძის სიცოცხლეს არავინ მეკითხება და ხუთ წუთში იმ ადგილიდან გაქრობა უბრძანებია, შემდეგ ლებედი ამ თემაზე ვრცელ მსჯელობას იწყებს. კაპიტან ლევინსონთან დღეში ხუთი-ექვსი სამხედრო თუ სამოქალაქო პირი მოდიოდა და ვისაც არ ეზარებოდა ყველა ჭკუას არიგებდა, როგორ დაეცვა ედუარდ შევარდნაძე. რას ვიზამთო, წერს ლებედი, ჩვენ ხომ საბჭო-

თა ქვეყანა ვართ და რჩევის მიცემის უფლება ყველას აქვს, ჩვენც ვალდებული ვართ ყველას მოვუსმინოთ, მაგრამ საკუთარი შეხედულებებისამებრ, ანდა უფროსების ბრძანებებისამებრ გადავწყვიტოთ.

როტის მეთაურს თავისი გულისტკივილი იმის გამოც გამოუთქვამს, რომ ამ რამდენიმე დღის განმავლობაში, რაც აქ მდგარან, შევარდნაძეს თურმე არც ღიმილით, მისალმებით, თავის დაქნევითაც კი არ გაუბედნიერებია არცერთი ჯარისკაცი თუ ოფიცერი. ჩვენ მისთვის არარაობას წარმოვადგენდით, ამაზე ლებედს დაურიგებია ისინი, თქვენც იგივეთი უპასუხეთო.

კიდევ ერთ საინტერესო მოგონებად ლებედს თბილისელებთან საუბრები მიუჩნევია, რომლებიც მისი თქმით ერთნაირად, მსგავსი შაბლონით მიმდინარეობდა ყოველდღე, რასაც ამ სამხრეთული ქალაქების თავისებურებად აღიქვამს. საკმარისია რამდენიმე წუთი ქუჩაში ვინმესთვის პასუხის გასაცემად შეჩერდე, უმალ უზარმაზარი ბრბო შემოგეხვევა და ლამის მიტინგი გაჩაღდება. იწყება ყაყანი. ლებედი კი ხალხს აფრთხილებდა - თუ წყნარად არ მესაუბრებით და ასეთ აურზაურს გააგრძელებთ, არცერთ თქვენ კითხვას არ ვუპასუხებ და წავალო. და ისინიც მაშინვე ჩუმდებოდნენ. ხალხი კი თურმე გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ უფრიალებდნენ. აი აქ წერია, თქვენმა ჯარისკაცმა 71 წლის მოხუც ქალს სამ კილომეტრზე სდია და სასანგრე ნიჩბით აჩეხაო. ბრბო ამაზე წყევლა-კრულვით გვავსებდა. მაგრამ ლებედი ხელად აჩუმებდა თურმე ხალხს, რა მოხუცი იყო ასეთი, სამ კილომეტრზე სირბილი რომ შეეძლოო, ან ის ჯარისკაცი ვინ იყო, ამოდენა მანძილის გარბენა რომ დასჭირდა 71 წლის მოხუცის დასაჭერად?. შემდეგ კი ისევ ამძაფრებდა მოვლენებს. სტადიონზე ხომ არ გარბოდნენ, ნუთუ სამი კილომეტრის მანძილზე ერთი ქართველი მამაკაცი არ შეხვედრიათ, ქალი რომ ჯარისკაცის კლანჭებიდან ეხსნა. ლედების თქმით, „ხალხი მომენტალურად ჩუმდებოდა და ვერაფერს ვერ მეუბნებოდნენ“.

„იმათ კიდევ ერთ პრეტენზიას ვაქარწლებდი“. ყველანი თურმე იმას ეკითხებოდნენ, მოედანზე რატომ მოგვწამლეთო. ლებედს ამ კითხვაზე კონტრკითხვა გამზადებული ჰქონდა, ფაშისტებისა და კომუნისტების სხეულზე საწამლავი ისევე თუ მოქმედებს, როგორც ჩვეულებრივ ადამიანებზე. ცინიკურად და დამცინავად წერს, კარგა ხანს გააზრებას უნდებოდნენ, ანატომიის კანონებს გაიხსენებდნენ, ბოლოსდაბოლოს კი ასკვნიდნენ, რომ ფიზიოლოგიას და იდეოლოგიას არავითარი კავშირი არა აქვს. მაშინ კი ლებედი კითხვას აბრუნებდა. „თუ მე საწამლავს გავუშვებ, თქვენთან ერთად დავიღუპები,

რა თქმა უნდა, აირწინაღებს თუ არ გამოვიყენებ, ხომ ასეაო, ხალხი უხალისოდ მეთანხმებოდა“. ლებედი კი ბოლოს გამარჯვებას ზეიმობდა. იქ ხომ არცერთი აირწინაღიანი ჯარისკაცი არ იყო და არავინ მოწამლულა. არადა ჩვენ ხომ მშვენივრად ვიცით, რომ 9 აპრილის მოწამლულები დღესაც ბევრია თბილისში და „ნელი კვდომის პროცესი“ დღესაც გრძელდება, როგორც მას გერმანელმა ექიმებმა უწოდეს. საშინელებაა ასეთი ცინიკური დამოკიდებულება ავბედითი 9 აპრილის მიმართ, მაგრამ ეს ხომ ლებედისეული ხედვაა.

ასევე არსებობს უამრავი მასალა იმ ავბედითი 9 აპრილის ღამისა, რომელიც თვითმხილველებს ეკუთვნით. მათ შორისაა ლიტველი ჯარისკაცის წერილი, რომელიც ძალით ჩამოიყვანეს თბილისში უდანაშაულო ხალხის დასახოცად. „... კოშმარული ღამე იყო, ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება. როგორ იგრძნობდი თავს, შენი მეგობრების გვერდით რომ მდგარიყავი, მეგობრებისა, რომლებმაც განურჩევლად ყველას ნიჩბებით დაუწყეს ჩეხვა, ნიჩბებით, რომლებიც 10 მეტრის სიშორიდან ხეში შეიძლება ჩაარჭო. რამდენი სისხლი, ტირილი, ყვირილი, კვნესა გესმის, მაგრამ ვერავის შველი.

ლებედის ხედვისაგან განსხვავებით რეალური სურათი ასეთი იყო: ჯარისკაცები ექიმებს დაზარალებულებთან არ უშვებდნენ, რომ დახმარება აღმოეჩინათ. ხელს ვერავინ უშლიდა საბჭოთა არმიის „გმირ“ მებრძოლებს, რომლებიც წიხლით სცემდნენ უმწეო ადამიანებს.

ძლიერ მოქმედი, მომწამლავი ნივთიერების გამოყენების ფაქტს სამხედროები 24 დღის განმავლობაში უარყოფდნენ და აღიარეს მხოლოდ 1989 წლის 3 მაისს („ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989, 16 მაისი). დადგინდა, რომ სამხედროებმა გამოიყენეს მრავალი სახეობის „ჩერიომუხა“, რომლის შემადგენლობაში ძირითადად შედის ცრემლმდენი მომწამლავი ნივთიერება - ხლორაცეტაფენონი (ქაფი), აგრეთვე გამოყენებული იყო მეორე ძლიერი გამაღიზიანებელი „სიეს“-ი. ის იმდენად ძლიერ მოქმედებს ორგანიზმზე და იმდენ გართულებებს იწვევს, რომ აშშ იძულებული გახდა მოეხსნა იგი შეიარაღებიდან [6, 66].

ლებედი სიამაყით აცხადებს, რომ გაზი თუ გამოვიყენეთ რატომ ჯარისკაცები არ მოიწამლნენო? მათი აზრით მაშინ აირწინაღი უნდა ჰქონოდათ სამხედროებს. მაგრამ ისინი ფალსიფიცირებულ ინფორმაციას გვაწვდიდნენ. როდესაც ვლაპარაკობთ გაზებისა და აირწინაღების შესახებ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯგუფ B-ს გაზის „ზარიას“ ხმარებისას თავდაცვის ძირითადი საშუალება არის

სპეციალური აბები, რომლებიც ინდივიდუალური თავდაცვის აფთიაქში ინახება და რომელსაც გაზის ხმარებამდე ერთი საათით ადრე ღებულობენ.

სავარაუდოა, რომ ჯარისკაცებს, რომლებმაც გამოიყენეს ქიმიური იარაღი, თვითონ ჰქონდათ ანტიდოტი. ისინი იმასაც ამტკიცებდნენ, რომ გამოყენებული გაზი ხანმოკლე მოქმედებისა იყო. სინამდვილეში კი პირველ საშუალო სკოლაში ტრაგედიიდან მეთორმეტე დღეს მოიწამლნენ სარდაფში ჩასული გოგონები. ანალოგიური ფაქტები განმეორდა თეატრალურ ინსტიტუტში [7 55].

ლებედი კი ისევ აგრძელებს წიაღსვლას. ბრბო კი თურმე აღშფოთებული გუგუნებს, გორბაჩოვსა და პატიაშვილს წყევლის და რუსების ერთიანად აკუწვას მოითხოვს. ამ შავ სამხრეთულ თვალებში უზარმაზარ სიძულვილს ვკითხულობდი. მაგრამ ლებედი დარწმუნებულია, რომ თავისი ლოგიკური მსჯელობით ქართველთა სულ გადმობირებას თუ არა, ჩაფიქრებას მაინც ახერხებდა.

სამაგიეროდ ასაკოვანი ქართველი მუშებიც დამახსოვრებია, ჭაღარა წვერ-ულვაშითა და წარბებითაც კი, ნაშრომი, დაკორძილხელებიანი. თქვენ (ე. ი. რუსის ჯარი) არ წახვიდეთო, ეხვეწებოდნენ ლებედს. თქვენ რომ აქედან წახვიდეთ დავიღუპებით, საზიზღარ ნაციონალისტებს ჩავუვარდებით ხელში. ლებედის კომენტარით: ჭკვიანი, გონიერი ქართველი მუშათა კლასი ჯერ კიდევ იმ დროს პოლიტიკაზე უფრო შორს იხედებოდაო.

საქართველოში ლებედს სომხებისა და აზერბაიჯანელებისადმი ქართველთა ქედმაღლური, ამპარტავნული დამოკიდებულება გახსენებია: „სულელები, რას იყოფენ ვერ გაუგიათ, ტყუილად ომობენ“ - ამბობდნენ თურმე მაშინ ქართველები, რომლებსაც წინ მარტო 9 აპრილი კი არა, სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი, სამოქალაქო ომი ელოდათ. თავის თბილისურ ეპოპეას კი, ლამის არის ავღანეთის თავგანწირვას უტოლებს ლებედი. სიკვდილი ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო. მის „უაზს“ თურმე წამი-წამს აგურები, ქვები ხვდებოდა. არადა, გაიხედავდი და ირგვლივ 9 სართულიანი სახლები იყო ჩამწკრივებული, ეტყობა ლოჯებიდან გვისაფრდებოდნენ.

ლებედის დიდ გულისტკივილს იწვევდა თურმე საცოდავ ოფიცრებს ქვებს რომ ესროდნენ და სასწაულებრივად გადაურჩებოდნენ ხოლმე სიკვდილს. იმაზეც ტკენია გული ორჯონიკიძის ხუთმეტრიანი ძეგლი ტუშით და საღებავებით, რომ მოთხვარეს და გაწმენდა რომ ვეღარ მოხერხდა, მალულად დაშალეს შუაღამეზე და უცნობი მიმართულებით გაუყენეს გზას.

თბილისი ლებედს დამახსოვრებია შიმშილის, სიძულვილის ქალაქად, ასეთია ლებედისეული „თბილისური შფოთის“ შეფასება, რომელსაც ლებედის ვრცელი წიგნის ერთი თავი ეხება.

ერთი სიტყვით, ალექსანდრე ლებედის წიგნის „გული შემტკივა სამშობლოსათვის“, XV თავი სათაურით „თბილისური შფოთი“, არასანდო საისტორიო წყაროა და მასზე დაყრდნობა ცხადია არ შეიძლება, მაგრამ ჩვენ მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ ფართო საზოგადოებისათვის გაგვეცნო იგი, რამეთუ აქ ნათლად ჩანს, რუსეთის „საამაყო“ შვილის ლებედის დამოკიდებულება 9 აპრილის ტრაგედიისადმი, რომელიც ნათლად უსვამს ხაზს მის სიძულვილს და არაობიექტურობას ქართველი ხალხისადმი.

ლებედი 2002 წლის 28 აპრილს დილის 7 საათზე დაიღუპა ვერტმფრენის კატასტროფის დროს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Лебедь А., За державу обидно..., М., 1995.
2. Полушин В., Традет время созидателей, М., 1995.
3. ლედები ა., თბილისური შფოთი, მოსკოვი, 1995.
4. ყორანაშვილი გ., 9 აპრილი, მითი და სინამდვილე, თბილისი, 2001.
5. ლებედი ა., თბილისური შფოთი, მოსკოვი, 1995.
6. სონღულაშვილი ა., 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედია, თბილისი, 1999.

Caca Chkhartishvili

Doctor of History, The Javakhishvili Institute of History and Ethnology, scientific researcher of the Department of Modern and Contemporary History

The Evaluation of General Lebed of the Tragic April 9

Summary

Twenty years have passed since bloody April 9 of 1989. A lot was written during these years. The events were as if evaluated, but unfortunately lot of facts are still unknown and are not evaluated yet or are falsely evalu-

ated by certain authors. One of such kind of authors is general Alexander Lebed.

Publishing house „Moskovskaia Pravda" issued Lebed's book with wide preface of Vladimir Polushin, a member of The Writers' Union of Russia. The book is of memoir character with a kind of fiction elements. While describing his own life and activity, Lebed tells us about his political viewpoints. A special chapter „Tbilisi Revolt" is dedicated to Tbilisi events.

ნიკო ჯავახიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ოთხი ეტიუდი ბალტიის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან

საქართველოს ურთიერთობებს ბალტიისპირეთის ქვეყნებთან ათ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია გააჩნია. მიუხედავად ამისა, ქართველ და ბალტიისპირელ ხალხებს შორის არსებული ურთიერთობების ისტორია დღემდე არ ქცეულა საგანგებო, მონოგრაფიული კვლევის ობიექტად.

ქართულ-ლატვიური ურთიერთობის ისტორიის შესახებ დაწერილი ჩვენი სტატია ამ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა [9, 11-26]. მასში შესწავლილი გვაქვს ქართველი და ლატვიელი ხალხების ურთიერთობები ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში, როდესაც ეს კავშირი შედარებით ინტენსიურ ხასიათს ატარებდა.

წინამდებარე გამოკვლევაში წარმოდგენილია ოთხი ეტიუდი ბალტიის ქვეყნებთან საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიიდან, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს პერიოდს: X საუკუნიდან – XVIII საუკუნის ჩათვლით. სტატია ოთხ ქვეთავად იყოფა.

1. ქართულ-ბალტიისპირული ურთიერთობის სათავეებთან (X-XI საუკუნეები)

VIII საუკუნემდე მსოფლიოს სავაჭრო გზები ურთიერთმოქიშპე, მძლავრ სახელმწიფოთა შორის იყოფოდა. არაბთა დაპყრობითი ლაშქრობების შედეგად წარმოქმნილმა იმპერიამ (ხალიფატმა) გააერთიანა აღნიშნული გზები, რომლებმაც მანამდე არნახულ მასშტაბებს მიაღწიეს. იმ პერიოდში საერთაშორისო საქონელბრუნვა აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის შეუჩერებლად ვითარდებოდა. ეს პროცესი საქართველოშიც შესამჩნევი გახდა. ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს არქეოლოგი-

ური გათხრების შედეგად მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში აღმოჩენილი მონეტების განძების გეოგრაფია.

აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნებს შორის დამყარებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შედეგად, არაბების მიერ დაპყრობილ ცალკეულ ქვეყნებში მოჭრილი ფულადი ერთეული – დირჰემი გავრცელდა დასავლეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებში, სადაც ამ ტიპის მონეტების განძების აღმოჩენა საკმაოდ ხშირ მოვლენად იქცა.

ზემოთ აღნიშნულ განძებში საკმაოდ ხშირად გვხვდება საქართველოში მოჭრილი მონეტებიც. ასეთი აღმოჩენები დაფიქსირებულია კავკასიიდან გეოგრაფიული თვალსაზრისით დაშორებულ ისეთ რეგიონებში, როგორიცაა მაგალითად, ბალტიის ზღვის სანაპირო ქვეყნები, ასევე, მინსკის (ბელარუსი), ტულისა და კურსკის (რუსეთის ფედერაცია) მიდამოები [4, 59].

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის მიერ 1936-1937 წლებში ლატვიის დედაქალაქ რიგის ერთ-ერთ რაიონში მდებარე სალასპილს-ლაუკსკოლას დასახლებაში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის მონეტები არაბული წარწერებით. როგორც გამოირკვა, ეს მონეტებია – ქუფური დირჰემები [10, 16]. მათაგან ერთი მოჭრილია თბილისში და თარიღდება ჰიჯრით 363 წლით ანუ 973/974 წლებით. მას გააჩნია ყუნწი ანუ გადაკეთებულია გულსაკიდად – ქალის სამშვენისად [10, 85].

იმ პერიოდში, კერძოდ, X საუკუნის შუა ხანებიდან თბილისში დირჰემი იჭრებოდა ჯაფარიანთა დინასტიის წარმომადგენლის – ამირა ჯაფარ იბნ მანსურის სახელით. აქვე უნდა ითქვას, რომ ხსენებული პიროვნების სახელი იხსენიება არაბთა ხალიფას სახელის გვერდით, რაც მიგვანიშნებს თბილისის იმდროინდელი ამირების ფაქტობრივ დამოუკიდებლობაზე. ამ მონეტების შუბლზე (ავერსზე) არაბულ ენაზეა დაფიქსირებულია მათი მოჭრის ადგილი: „იჭედა ესე დირჰემი თბილისში“ [3, 23-25].

X-XI საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური პროგრესი ქვეყნის სამონეტო საქმეშიც აისახა.

ხსენებულ პერიოდში, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის – ტაო-კლარჯეთის (ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში) მფლობელმა, ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის წარმომადგენელმა, ქართველთა მეფემ დავით III კურაპალატმა (მეფობდა X საუკუნის მეორე ნახევარში, გარდაიცვალა 1001 წელს) მოჭრა თბილისის ჯაფარიან ამირათა არაბული ტი-

პის მონეტისაგან სრულიად განსხვავებული ვერცხლის დრამა. მასზე აღბეჭდილია ჭეშმარიტი ჯვრის („ძელი ცხორებისაი“) გამოსახულება და ქართული წარწერა: „ქრისტე, შეიწყალე დავით კურაპალატი“.

მართალია, აღნიშნული მონეტის მხოლოდ 4 ეგზემპლარია ცნობილი, მაგრამ როგორც ჩანს, ის ჩართული უნდა ყოფილიყო საერთაშორისო მიმოქცევაში. ასეთი ვარაუდის საფუძვლად მკვლევარები მიიჩნევენ ფაქტს, რომ ოთხივე მათგანი საქართველოდან ძალზე შორს, ჩრდილოეთ გერმანიაში, რუსეთში, ბალტიისპირეთსა და შვედეთშია ნაპოვნი [3, 26].

საგულისხმოა, რომ თბილისური მონეტები აღმოჩენილია არა მხოლოდ ბალტიისპირეთის, არამედ ჩრდილოეთით მდებარე სხვა ქვეყნების ტერიტორიაზეც.

1910 წელს რუსი მკვლევარი ევგენი პახომოვი წერდა: „До сих пор найдено только три экземпляра этой редкой монеты, при чем все – далеко за границами Грузии: один оказался в кладе, найденном в 1859 г., в Мекленбург-Шверине, близ м. Шваан. Он попал в Шверинский Музей. Второй – выкопан в 1878 г. В Олонецкой губ., близ м. Лодейное Поле и поступил в коллекцию Ю. Б. Иверсена, а оттуда – в Эрмитаж. Третий, по сообщению А. К. Маркова, находился в кладе, найденном в 1900-х годах в Лифляндской губ., близ м. Волля, но затем исчез и, через некоторое время, оказался в руках одного гамбургского торговца, продавшего его, кажется, в Берлинский Музей“ [11, 53].

ასე, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოჭრილი ორივე ზემოხსენებული მონეტა: 1. თბილისის ამირა ჯაფარ იბნ მანსურის დირჰემი (973-974 წ.) და 2. ტაო-კლარჯეთის მფლობელი ქართველთა მეფის დავით III-ის კურაპალატის დრამა (მოჭრილია X საუკუნის მეორე ნახევრიდან – XI საუკუნის დასაწყისამდე) ნაპოვნია ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე. პირველი მათგანი აღმოჩენილია 1936-1937 წლებში, რიგის ერთ-ერთ რაიონში მდებარე სალასპილს-ლაუკსკოლას დასახლებაში, ხოლო მეორე – XX საუკუნის დასაწყისში, ლიფლანდიის გუბერნიაში, ვოლიას დასახლების მახლობლად.

ამრიგად, X-XI საუკუნეებში საქართველოში მოჭრილი მონეტების აღმოჩენა ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე ნათელი დადასტურებაა იმ ფაქტისა, რომ აღნიშნულ რეგიონში მდებარე სახელმწიფოებთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი საქართველოს ჯერ კიდევ ათი საუკუნის წინათ გააჩნდა.

2. ბალტიის ქვეყნებთან საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან (XV საუკუნის მიწურული)

1453 წელს თურქ-ოსმალებმა აიღეს კონსტანტინოპოლი, გააანადგურეს ბიზანტიის იმპერია და შავი ზღვის სრუტეები ხელთ იგდეს. ამით ისინი უშუალოდ დაუმეზობლდნენ სამხრეთ ევროპას და საქართველოს.

ოსმალთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობა არაერთხელ სცადეს რომის პაპებმა. 1458-1460 წლებში, რომის პაპის პიუს II-ის (ენეა სილვიო პიკოლომინი) მოწოდებას ანტიოსმალური კოალიციის შექმნის თაობაზე ქართველი მეფე-მთავარნიც გამოეხმაურნენ და სათანადოდაც მოემზადნენ. ამის მიუხედავად, ვინაიდან იმ პერიოდში ევროპის ქვეყნებმა შინაგან წინააღმდეგობებს თავი ვერ გაართვეს, ეს მნიშვნელოვანი პროექტი ჩაიშალა.

1494-1495 წლებში, ესპანეთის გაძლიერების ცნობამ საქართველოში თურქთა წინააღმდეგ ერთობლივად გალაშქრების ძველი გეგმა კვლავ გამოაცოცხლა. ამაში გარკვეული დამსახურება მღვდელ-მონაზონ კირ-ნილოსს მიუძღვის, რომელიც ქართლის გვირგვინოსნის – კონსტანტინე II-ის (მეფობდა 1479-1505 წლებში) სამეფო კარზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. კონსტანტინემ ეგვიპტიდან ახლადდაბრუნებული კირ-ნილოსი მალევე გაგზავნა ესპანეთსა და რომში.

საგულისხმოა, რომ 1495 წელს, ქართლის მეფემ კონსტანტინემ მხოლოდ ესპანეთის დედოფალთან იზაბელა I-თან (მეფობდა 1474-1504 წლებში) კი არ სცადა სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შეკვრა, არამედ თავის ელჩს რომის პაპთან მოლაპარაკებაც დაავალა. ამასთანავე, ელჩს პაპისათვის უნდა ეცნობებინა ქართლის სამეფოს მესვეურთა გადაწყვეტილება რომის ეკლესიისათვის მათი დაქვემდებარების თაობაზე.

ქართველი და ესპანელი ელჩები, რომელთაც დედოფალ იზაბელასთან წერილი ერთად მიჰქონდათ, ესპანეთში ლიტვასა და პოლონეთზე გავლით ჩავიდნენ. ეს კი მარტოოდენ ევროპაში გასასვლელი გზის ძიებით არ იყო განპირობებული.

XV საუკუნის ბოლოს, საქართველოში ცნობილი იყო ლიტვისა და პოლონეთის ხელისუფალთა მტრული დამოკიდებულება თურქთა მიმართ და ამიტომაც, იქაურ მესვეურებთან მოლაპარაკების გამართვა ქართველ ელჩს საიდუმლოდ ჰქონდა დაკისრებული.

რაც შეეხება იმას, რომ ლიტვისა და პოლონეთის მესვეურთა მისამართით ქართველი მეფის მიერ გაგზავნილი წერილი არ არის აღმოჩენილი, პროფ. იასე ცინცაძის აზრით, ეს სრულიადაც არ გამორიცხავს სიტყვიერი დავალების ფაქტს და სავარაუდოა, რომ წერილებთან ერთად ქართველ ელჩს სიტყვიერი დავალებების გადაცემაც ევალებოდა.

ქართველ ელჩს რომ პოლონეთის მეფისათვის ანტიოსმალური კოალიციის შედგენის გეგმა გაუცვნია და ამ საკითხის ირგვლივ პოლონეთის სამეფო კარზე საგანგებო თათბირიც გამართულა, ამის დამამტკიცებელია ქართლის მეფის მიერ ესპანეთის დედოფლისადმი გაგზავნილი წერილის თარგმანის „ლიტვის მეტრიკაში“ შეტანა.

ცნობილია, რომ „ლიტვის მეტრიკა“ მიმდინარე საშინაო და საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხების ამსახველი დოკუმენტების ტექსტებს ინახავდა. ამ წიგნში შეჰქონდათ მხოლოდ და მხოლოდ საქმიანი მიმოწერის ტექსტები, რომლებიც სახელმწიფო საბჭოზე განიხილებოდა.

ირკვევა, რომ კონსტანტინეს მიერ იზაბელასადმი გაგზავნილი წერილი, როგორც ქრისტიანული ქვეყნებისათვის საერთო საქმის დოკუმენტი, ქართველმა და ესპანელმა ელჩებმა ტექსტუალურად გააცვნეს ლიტვისა და პოლონეთის ხელისუფლებას. ამ უკანასკნელებმა კი წერილის ტექსტი „ლიტვის მეტრიკაში“ შეიტანეს [6, 18-39].

ხსენებული წერილის თაობაზე საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა, რომელმაც დაამტკიცა, რომ ეს საბუთი 1495 წელს არის დაწერილი და გაგზავნილი [7, 452-453].

აღნიშნულ პერიოდში პოლონეთის მეფე იყო იაგელონთა სამეფო დინასტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი – იან I ოლბრახტი (მეფობდა 1492-1501 წლებში), ხოლო ლიტვის დიდი მთავარი იყო ალექსანდრე (მთავრობდა 1492-1506 წლებში). აქვე დავსძენთ, რომ 1501 წლიდან პოლონეთსა და ლიტვას ერთი და იგივე მონარქები მართავდნენ [12, 160].

ამრიგად, საქართველოს სახელმწიფოებრივ ურთიერთობას ბალტიის ქვეყნებთან საფუძველი ჩაეყარა 1495 წლიდან, როდესაც ქართლის მეფის კონსტანტინე II-ის ელჩი ლიტვასა და პოლონეთში ჩავიდა და ამ ქვეყნების ხელისუფლებას თავისი მონარქის დანაბარები გადასცა.

3. ბალტიის ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიიდან (XVII საუკუნის პირველი მესამედი)

1569 წელს, ლუბლინში დადებული უნიით, ოფიციალურად დასრულდა ლიტვისა და პოლონეთის ერთ სახელმწიფოდ – რეჩ პოსპოლიტად გაერთიანების პროცესი [12, 160].

ლიტვა-პოლონეთის უნიის ჩამოყალიბების შემდეგ, აღნიშნულმა სამეფომ მოიცვა როგორც საკუთრივ პოლონეთი და ლიტვა, ასევე ბალტიისპირეთის უდიდესი ნაწილი, ხოლო მისმა სამხრეთმა საზღვარმა შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპირომდე მიაღწია. ამ ვრცელ და მძლავრ სახელმწიფოსთან დაკავშირება სწორედ ამ გზით მოახერხეს ქართველებმა, რომლებიც ოსმალთა მიერ შავი ზღვის სრუტეების გადაკეტვის შემდეგ, ევროპაში წასასვლელ უმოკლეს გზად იყენებდნენ ლიტვა-პოლონეთის ტერიტორიას. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ურთიერთობა განპირობებული იყო როგორც ოსმალური საფრთხის დაძლევის საერთო სურვილით, ასევე ერთობლივი სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესებით [8, 6].

XVII საუკუნის პირველ მესამედში ლიტვა-პოლონეთის სამეფოსთან საკმაოდ ინტენსიური ურთიერთობები გააჩნდათ ქართულ სამეფო-სამთავროებს.

1627 წელს იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა-ვალე რომის პაპ ურბან VIII-სადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა, რომ ლიტვა-პოლონეთის მონარქს დიდი მეგობრობა აკავშირებდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იმხანად არსებული სამეგრელოსა და გურიის სამთავროების მართველებთან – დადიანთან და გურიელთან. მათ შორის ყოფილა ინტენსიური მიმოწერა და სავაჭრო ხომალდების მიმოსვლა [8, 6].

ხსენებულ პერიოდში, საქართველოში საკმაოდ ფართოდ გავრცელდა ლიტვა-პოლონეთის სამეფოს ფულის ნიშნები.

საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს აღმოჩენილი ევროპული ქვეყნების მონეტების განძების შემადგენლობიდან ირკვევა, რომ ჩვენში მიმოქცევაში ყოფილა ლიტვა-პოლონეთის სამეფოში მოჭრილი ვერცხლის მცირე ნომინალები – „ორტები“ და „პოლტორაკები“ (ოქროს დუკატებთან, ტალერულ მონეტებთან და და ბრანდერბურგ-პრუსიის „ორტებთან“ და „პოლტორაკებთან“ ერთად) [5, 111].

1608 წლიდან ლიტვა-პოლონეთის სამეფოში, ქ. გდანსკის (იგივე დანციგი) ზარაფხანაში დაიწყეს მოჭრა ორტისა, რომელიც 10

გროშს შეადგენდა. მათზე მოთხოვნილება იმდენად სწრაფად გაიზარდა, რომ სეიმის (პარლამენტი) დადგენილებით, 1616 წლიდან მათი მოჭრა დაიწყეს ცალკეული ქალაქების: ვარშავის, კრაკოვისა და ბიდგოშის ზარაფხანებშიც. აღნიშნული დადგენილების თანახმად, 1 გრივნა ლიგირებული ვერცხლისაგან უნდა მოჭრილიყო 28 ცალი ორტა, თითო – 7, 6 გრამიანი მონეტა. მალე, ორტები ლიტვა-პოლონეთის სამეფოს საზღვრებს გასცდა და იმდენად პოპულარული გახდა ევროპაში, რომ მათი ტიპის მონეტების მოჭრა ბრანდენბურგისა და პრუსიის ზარაფხანებმაც დაიწყეს [13, 112-116].

საქართველოში ორტებთან ერთად მიმოიქცეოდა უფრო მცირე ნომინალის მონეტაც – პოლტორაკი. ეს ნომინალი, მსგავსად ორტისა, იჭრებოდა როგორც ლიტვა-პოლონეთის სამეფოში, ასევე ბრანდენბურგისა და პრუსიის ზარაფხანებშიც, სადაც მას „დრაიპოლკერს“ უწოდებდნენ.

XX საუკუნის მიწურულამდე, მონეტების ცალკეული ეგზემპლარებისა თუ განძების სახით, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ორტების – 10, ხოლო პოლტორაკების – 1 განძი. აქედან საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (იმხანად – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში) მხოლოდ 4 განძი შევიდა. ზემოაღნიშნული 11 განძიდან ლიტვა-პოლონეთის სამეფოში მოჭრილი მონეტები აღმოჩნდა ყველა მათგანში, საქართველოს შემდეგ დასახლებულ პუნქტებში (მონაცემები მოტანილია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით):

1. 1895 წელს, ახალციხის მაზრის სოფელ წყორძაში იპოვეს 4 ევროპული მონეტა, რომელთაგან 1 – ლიტვა-პოლონეთის სამეფოში მოჭრილი აღმოჩნდა;
2. XX საუკუნის დასაწყისში, ოზურგეთის მაზრის სოფელ ზედაუბნის მიდამოებში, მიწის ნაკვეთის დამუშავებისას იპოვეს ლიტვა-პოლონეთის სამეფოში მოჭრილი მონეტების განძი;
3. 1942 წელს, თბილისში, ტრამვაის პარკის ტერიტორიაზე, ლიანდაგის შეკეთებისას იპოვეს 22 ვერცხლის მონეტისაგან შემდგარი განძი. მათ შორის აღმოჩნდა ლიტვა-პოლონეთის მეფის სიგიზმუნდ III-ის (მეფობდა 1587-1632 წლებში) სახელით 1621-1626 წლებში, ბიდგოშის ზარაფხანაში მოჭრილი 19 პოლტორაკი;
4. 1944 წელს, წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯაგირას მახლობლად, ჩამორეცხილი გზის პირას იპოვეს ლიტვა-პოლონეთის სამეფოში მოჭრილი ვერცხლის მონეტა;

5. დაახლოებით 1945-1950 წლებში დასავლეთ საქართველოში იპოვეს ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც მპოვნელებმა დაინაწილეს. ამ განძიდან 2 მონეტა განსაზღვრისათვის მიიტანეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, სადაც დადგინდა, რომ ერთი მათგანი მოჭრილი იყო სიგიზმუნდ III-ის სახელით;
6. 1950 წელს მარტვილის (იმხანად – გეგეჭკორის) რაიონის სოფელ ნოჯიხევში იპოვეს სიგიზმუნდ III-ის სახელით 1624 წელს მოჭრილი ორტა, რომელიც დაცულია მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში;
7. 1954 წელს, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ტერიტორიაზე, მიწის სამუშაოების წარმოებისას, იპოვეს თიხის ჭურჭელი 33 ვერცხლის მონეტით. მათ შორის აღმოჩნდა სიგიზმუნდ III-ის სახელით 1621-1626 წლებში მოჭრილი 30 ორტა. ისინი მოჭრილია ბიდგოშისა (21 მონეტა) და გდანსკის (9 მონეტა) ზარაფხანებში;
8. 1955 წელს, თბილისთან მდებარე სოფელ შინდისში, მიწის ნაკვეთის დამუშავებისას იპოვეს ლიტვა-პოლონეთის სამეფოში მოჭრილი 25-ზე მეტი ვერცხლის ორტა, რომელთაგან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მხოლოდ 3 შევიდა. ისინი მოჭრილია სიგიზმუნდ III-ის სახელით: გდანსკში, 1623 და 1625 წლებში (2 მონეტა) და ბიდგოშში – 1624 წელს (1 მონეტა);
9. 1956 წელს, ახალციხის რაიონის სოფელ თისელში იპოვეს სიგიზმუნდ III-ის სახელით მოჭრილი ორტა;
10. 1958 წელს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჭალკათში, მიწის ნაკვეთის დამუშავებისას იპოვეს 84 ვერცხლის მონეტისაგან მონეტისაგან შემდგარი განძი. მათ შორის აღმოჩნდა სიგიზმუნდ III-ის სახელით 1622-1623 წლებში, ბიდგოშის ზარაფხანაში მოჭრილი 2 ორტა;
11. დაახლოებით 1960-1963 წლებში, ადიგენის რაიონში მდებარე აბასთუმნის ტყეში, სახლის საძირკვლის გათხრის დროს, იპოვეს სიგიზმუნდ III-ის სახელით 1622-1626 წლებში, ბიდგოშისა და გდანსკის ზარაფხანებში მოჭრილი ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც ახალციხის მხარეთმცოდნეობითმა მუზეუმმა შეიძინა [5, 112-122].

ნუმიზმატი რევაზ ქებულაძე წერდა: „საქართველოში აღმოჩენილი ორტებისა და პოლტორაკების ძირითად ნაწილს შეადგენს პოლონური მონეტები, ხოლო უმნიშვნელო ნაწილს – ბრანდერბურგ-

პრუსიული მონეტები: ამ უკანასკნელთაგან საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე ოთხი ორტა და სამი დრაიპოლკერია აღმოჩენილი. საფიქრებელია, რომ ეს მონეტები საქართველოში უშუალოდ ბრანდერბურგიდან და პრუსიიდან კი არ შემოდიოდა, არამედ პოლონეთიდან. ამიტომ, ამ მონეტათა მიმოქცევის საკითხების განხილვისას, ძირითადი აქცენტი გადატანილი გვაქვს პოლონურ მონეტებზე.

საქართველოში ორტებისა და პოლტორაკების გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი პოლონეთთან პოლიტიკურ კავშირში თუ არა, ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკური მიზნების ერთიანობაში მაინც უნდა ვეძებოთ; მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება აგრეთვე შავი ზღვისა და მდინარე დნეპრის გზით პოლონეთთან აბრეშუმით ვაჭრობა და XVII საუკუნის საქართველოში მოქმედი ფულის სისტემა. ერთი სიტყვით, მიზეზები როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ხასიათისაა“ [5, 123].

ამრიგად, XVII საუკუნის პირველ მესამედში ლიტვა-პოლონეთის სამეფოში მოჭრილი ვერცხლის მონეტები საქართველოში საკმაოდ ფართოდ გავრცელდა.

საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს აღმოჩენილი ევროპული ქვეყნების მონეტების განძების შემადგენლობიდან ირკვევა, რომ ჩვენში მიმოქცევაში ყოფილა ლიტვა-პოლონეთის სამეფოში გამოშვებული ვერცხლის მცირე ნომინალები – „ორტები“ და „პოლტორაკები“. ეს ადასტურებს იმ ფაქტს, რომ იმხანად, ქართულ სამეფო-სამთავროებს საკმაოდ ინტენსიური პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდათ ლიტვა-პოლონეთის სამეფოსთან.

3. ბალტიისპირეთის რეგიონები და ქალაქები – XVIII საუკუნის დიდი ქართველი მეცნიერის თვალით

ბალტიისპირეთის ქვეყნების ტერიტორიაზე არსებული რეგიონები და ქალაქები ქართულ წყაროებში პირველად XVIII საუკუნის შუა ხანებში იხსენიება. ასეთი ცნობები დაცულია ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის (მეფობდა 1703-1714 და 1716-1724 წლებში) ვაჟის, ცნობილი გეოგრაფის, ისტორიკოსისა და კარტოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1756) თხზულებაში.

1752 წელს ვახუშტიმ რუსულიდან ქართულად თარგმნა „მოკლე პოლიტიკური გეოგრაფია“ 27-რუკიან მსოფლიო ატლასთან ერთად, რომელზედაც გამოსახულია იმ დროს ცნობილი ყველა ქვეყა-

ნა. ეს თხზულება უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც გეოგრაფიული, ასევე საისტორიო თვალსაზრისით. ამ სახელმძღვანელოთი ასწავლიდნენ გეოგრაფიას თელავის სემინარიაში [2, 339].

აღნიშნული თხზულების ხელნაწერი, რომელსაც ვახუშტის ხელით შედგენილი რუკები ერთვის, დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში [1].

ვახუშტი ბატონიშვილის ხელნაწერში სხვადასხვა ადგილას იხსენება **„ბალთიური ზღვა (მარე ბალთიკუმე)“** [1, 7]; რეგიონები **„კურლანდია“** და **„ლიფლანდია“,** ქალაქები **„მითავა“, „რიგა“** [1, 8] და სხვ.

თხზულებას დართულ რუკებს შორის განსაკუთრებით საგულისხმოა ევროპის მთლიანი რუკა [1, 8] და ბალტიისპირეთის რუკა [1, 89].

ხსენებულ რუკებზე კურლანდია გამოყოფილია პოლონეთისაგან (ტექსტში – „პოლშა“), რომელიც თავის მხრივ მოიცავს ლიტვას ვილნიუსის („ტექსტში – **„ვილნა“**) ჩათვლით. კურლანდია და პოლონეთი (ლიტვის ჩათვლით) შეფერილია განსხვავებული ფერის საღებავებით.

თხზულებაში გამოყოფილია თავი XI – **„სამეფოებისათვის პლურთა და პრუსიელთა, ეგრეთვე დიდისა სამთავროთა ლიტვისათვის და საღერცოღოსა კურლანდიისათჳს“** [1, 90].

აღნიშნულ თავში გამოყოფილია ქვეთავი – **„კურლანდიური საღერცოღოსათვის“,** რომელშიც ვახუშტი საკმაოდ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის იმდროინდელი კურლანდიის საზღვრებისა და მისი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტების შესახებ.

თხზულებაში აღნიშნულია, რომ კურლანდიას ესაზღვრება ბალტიის ზღვა, ლიფლანდია, ლიტვა და სხვ. იქვე დასახელებულია ქალაქები: **„მითავა“** (იგულისხმება თანამედროვე **ელგავა**), **„ლიბავა“** (იგულისხმება თანამედროვე **„ლიეპაია“**), **„გლიდიგა“** (იგულისხმება **„კულდიგა“**) და სხვ.

ვახუშტის შენიშვნით, თუმცა კურლანდიასა და ლიფლანდიაში ერთმანეთის მონათესავე ხალხები ცხოვრობენ, მაგრამ მათ ერთიანი მმართველი არ ჰყავთ. იგი წერს: „ესე ქვეყანა უფალმა უწინ ამისა ეგრეთს დიდებასაშა, რომ მას არა გარნა ცალკერძი თჳსი მეფე ჰყვა და მის სავემრთ სახელსა ქვეშეცა კურლანდიისასა და ლიფლანდიისაცა დაიპყრობდა“ [1, 93].

საყურადღებოა, რომ ქართველი მეცნიერი არ ფარავს თავის გულისტკივილს ლატვიის ცალკეული მხარეების – კურლანდიისა და ლიფლანდიის პოლიტიკური დაქსაქსულობის გამო. ვფიქრობთ, ეს

გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმხანად საქართველოს ტერიტორიაზეც რამდენიმე დამოუკიდებელი სამეფო და სამთავრო არსებობდა.

ვახუშტისავე შენიშვნით, მიტავა არის „უუთავანესი ადგილი და ჩვეულების ტახტი მფლობელის ღერცოღისა. ესე ქალაქი გინა თუ საშუალების სიდიდისა, გარნა უმჯობესათ აშენებულ არს და აქუს გამაგრებული ციხე არშისა, აწ იწყეს ახლად შენება“[1,94].

ასე, რომ XVIII საუკუნის შუა ხანებისათვის ქართველი ერის მოწინავე ნაწილს საკმაოდ მკაფიო წარმოდგენა ჰქონდა ბალტიის-პირეთის ტერიტორიაზე იმხანად არსებული რეგიონებისა და მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტების, ასევე მათი მართვა-გამგეობის სისტემის შესახებ.

ქართულ-ბალტიისპირულმა ურთიერთობებმა ინტენსიური ხასიათი შეიძინა XIX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სამეფო-სამთავროები თანდათან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე არსებული ქვეყნები რუსეთმა ჯერ კიდევ წინა საუკუნეში შეიერთა.

ამრიგად, საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს ბალტიის ქვეყნებთან ათ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია გააჩნია.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი A-717.
2. ***ბარამიძე*** *არჩილ,* ***მარუაშვილი*** *ლ.,* ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი), ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, თბ., 1979.
3. ***დუნდუა*** *თედო,* ***დუნდუა*** *გიორგი,* ***ჯავახიშვილი*** *ნიკო,* ფული საქართველოში, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2003.
4. ***კაპანაძე*** *დავით,* ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969.
5. ***ქებულაძე*** *რევაზ,* ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, თბ., 1971.
6. ***ცინცაძე*** *იასე,* მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XV-XVII საუკუნეები), თბ., 1965.
7. ***ჯავახიშვილი*** *ივანე,* ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, ნაწილი II, წიგნში: „თხზულებანი თორმეტ ტომად“, ტ.III, თბ., 1982.
8. ***ჯავახიშვილი*** *ნიკო,* ქართველი მხედრები პოლონეთის დროშის ქვეშ (პოლონურ-ქართულ სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიიდან), თბ., 1998.

9. ***ჯავახიშვილი*** *ნიკო,* ქართულ-ლატვიური ურთიერთობის ისტორიიდან, კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები", ტ. V, თბ., 2009.
10. ***Берга*** *Т.,* Монеты в археологических памятниках Латвии IX-XII вв., Рига, 1988.
11. ***Пахомов*** *Е.,* Монеты Грузии, Тбилиси, 1970.
12. ***Сычев*** *Н.,* Книга династий, Москва, 2006.
13. ***Gumowski*** *M.,* Mennica Bygoska, Torun, 1950.

Niko Javakhishvili

Doctor of Historical sciences, Professor, Chief scientist-researcher of the Modern and Contemporary History Department of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

Four epizodes from the history of Georgia's relations with Baltic countries

Summary

Georgia's relations with Baltic countries have a history of ten centuries length. Despite this, the history of existing relations between Georgian and Baltic people has never been a subject of special, monographic research.

This study represents four significant facts from the history of military-political and trade-economic relations between Georgia and Baltic countries.

Chronological framework covers period from X – through XVIII century.

The article consists of 4 parts:

I. The origins of Georgian-Baltic relations (X-XI cc);

II. From the history of military-political relations of Georgia with Baltic countries (second part of XV century);

III. From the history of trade-economic relations of Georgia with Baltic countries (first trimester of XVII century);

IV. Baltic towns and regions in the eyes of the grand Georgian scientist of XVIII century.

ნიკო ჯავახიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

თავად აფხაზთა საგვარეულოს ისტორიისათვის

თავად აფხაზთა საგვარეულო სათავეს საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული კუთხიდან, აფხაზეთიდან იღებს. ეს გვარი წარმოადგენს აფხაზეთის წარჩინებული საგვარეულოს – თავად ანჩაბაძეთა ერთ-ერთ განშტოებას.

მდინარე ენგურს გაღმა-გამოღმა მიდამოებში ხშირად სახლდებოდა აფხაზი და ქართველი თავადაზნაურობა და გლეხობა, რომელთა შორის თავად ანჩაბაძეთა გვარის წარმომადგენლებიც იყვნენ.

ქართულ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თავად აფხაზთა გარდა, ანჩაბაძეთა ერთ-ერთი საგვარეულო განშტოებაა ასევე მაჩაბელთა გვარი, რომელიც ქართლის ერთ-ერთ გავლენიან ფეოდალურ გვარს წარმოადგენდა [4, 407]. ამ გვარის წარმომადგენელთა შესახებ ქართულ საისტორიო წყაროებში მრავალი ცნობაა შემონახული.

ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1756) თავის თხზულებაში "აღწერა სამეფოსა საქართველოსა" მაჩაბლების საგვარეულოს შესახებ წერს, რომ „მაჩაბელი იტყჳს ანჩაფიძეობას, აფხაზეთიდამ მოსლვას, გარნა ახალი არს" [6, 34].

თავისი ნაშრომის სხვა ადგილას ვახუშტი ბატონიშვილი თავად ანჩაბაძეთა საგვარეულოს აფხაზეთის მთავარ შარვაშიძეთა შემდეგ, – „ანჩფაძის" ფორმით მოიხსენიებს [6, 36].

ცნობილი ქართველი მეცნიერი, უფლისწული იოანე ბაგრატიონი (1768-1830) თავის თხზულებაში "შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა" თავად მაჩაბელთა შესახებ აღნიშნავს, რომ აფხაზეთიდან ქართლში გადასახლებული „ანჩაფაძეები" მეფე გიორგიმ მდინარე ლიახვის ხეობაში დაასახლა და გვარად – „მაჩაბელი" უბოძა [1, 26].

ანჩაბაძეთა საგვარეულოდან მაჩაბელთა წარმომავლობის შესახებ აქ საუბარს აღარ გავაგრძელებთ, რადგან აღნიშნულ საკითხს ჩვენამდე არაერთი ქართველი მკვლევარი შეეხო [22, 206-207].

იოანე ბაგრატიონმა თავის ზემოხსენებულ ნაშრომში ჩამოთვლილ კახეთის 24 სათავადო გვარს შორის თავად აფხაზიშვილთა (ანუ აფხაზთა) საგვარეულო საკმაოდ მოწინავე, მეათე ადგილას დაასახელა.

ამ გვარის წარმომავლობის შესახებ ავტორი წერდა: „ესენი არიან აფხაზეთიდგან მოსრულნი, ოდეს იწყეს მამადიანობა აფხაზთა. ესენი მოვიდნენ კახეთსა და მეფემან თეიმურაზ მიიღო თავადობისა ხარისხითა აფხაზად წოდებულნი, რომელნიც იწოდებიან აწ აფხაზის შვილებად და უბოძა კარდანეხს სახასო მამულნი და ყმანი და მუნ სცხოვრებენ მუნ ჟამიდგან წელსა 1636-სა და არიან ერთ სახლად“ [1, 42].

აქვე დავსძენთ, რომ სოფელი კარდენახი (იგივე კარდანეხი) – შუაგულ კახეთში, თანამედროვე გურჯაანის რაიონში მდებარეობს.

თავად აფხაზთა წარმომავლობის თაობაზე იგივეს იუწყებოდა ცნობილი ქართველი მკვლევარი, პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილიც (1864-1912).

1893 წელს, მოსკოვში გამოცემულ თავის წიგნში იგი წერდა: „Кн. Абхазовы из Абхазии прибыли в Кахетию при царе Теймуразе и были приняты князьями с назначением владений в Карданах“ [30, VI].

საყურადღებოა, რომ არც იოანე ბატონიშვილი და არც ალექსანდრე ხახანაშვილი არაფერს იუწყებიან თავად აფხაზთა თავდაპირველი გვარის შესახებ.

საინტერესოა, რომელი საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, თუ რა იყო თავად აფხაზთა პირვანდელი გვარი?

ლეგენდას, ვითომდაც თავად აფხაზთა საგვარეულო – შარვაშიძეთაგან მომდინარეობს, საფუძველი XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ჩაეყარა. ეს ზეპირი გადმოცემა, რომელიც იმხანად კავკასიაში მყოფმა რუსმა მკვლევარმა ევგენი ვეიდენბაუმმა თავად ივანე დიმიტრის ძე აფხაზისაგან (1858-?) ყოველგვარი წყაროს მითითების გარეშე ჩაიწერა, ინახება საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ვეიდენბაუმის კარტოთეკაში.

აღნიშნულ ცნობაში ვკითხულობთ: „Абхазы, или с русским окончанием Абхазовы, грузинские князья ведут свое начало от абхазских Шервашидзе. Один из Шервашидзе переселился при грузинском царе Ростоме в 1632 г. из Абхазии в Кахетию, получил там поместье и прозвание Абхази“ [23].

1892 წლის 12 ივნისს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა პ. ცხვილოელის სტატია „ლევან ბატონიშვილის სიკვდილი ს. ვეჯინში“, რო-

მელშიც ვკითხულობთ: „XVII საუკუნის დამდეგს აფხაზეთი აიკლეს და დაიმორჩილეს ოსმალებმა, რომელთა წყალობით ბატონობა დაიწყეს სამეგრელოს დადიანებმა. ამისათვის ერთი წარმომადგენელი შარვაშიძის საგვარეულოსი გადმოვიდა კახეთში და მეფისაგან მიებოძა ერთ-ერთის ამოწყვეტილის ვაჩნაძის მამული ს. კარდანეხში. ამის გამო, ამ დროდანვე ჰსუფევდა დაუძინებელი მტრობა აბხაზსა და ვაჩნაძეებ შორის“ [7, 1].

ხსენებულ გაზეთს რედაქტორობდა დიდი ილია ჭავჭავაძე (1837-1907), რომლის უფროსი და – ნინო ჭავჭავაძე ცოლად ჰყავდა კარდენახელ თავად ნიკოლოზ შერმაზანის ძე აფხაზს (1828-1907). ასე, რომ თავად ჭავჭავაძეთა ყვარლის შტოსა და თავად აფხაზებს შორის ახლო ნათესაობა სუფევდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თითქოსდა დამაჯერებელი ჩანდა ვერსია, რომ თავადი აფხაზების გვარი სათავეს შარვაშიძეთა საგვარეულოდან იღებს, მაგრამ ამ მიმართულებით წარმოებულმა კვლევა-ძიებამ სრულიად სხვა რეალობა წარმოაჩინა. კერძოდ, გაირკვა, რომ აღნიშნული გვარის ფუძემდებელია არა შარვაშიძე (აფხ. – *ჩაჩბა),* არამედ წარჩინებული აფხაზი თავადი ანჩაბაძე (აფხ. – *აჩბა*), რომელიც XVII საუკუნის პირველ ნახევარში კახეთში გადასახლდა.

კახეთში გადასახლებული აფხაზი თავადის შთამომავლობას ახსოვდა, რომ მათი წინაპარი აფხაზეთის მმართველთა საგვარეულოდან იყო. ვინაიდან XII-XIX საუკუნეთა განმავლობაში აფხაზეთს განაგებდნენ შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელნი, რომლებიც თავდაპირველად ერისთავები, ხოლო შემდეგ მთავრები იყვნენ [32, 7-25], როგორც ჩანს, აფხაზთა გვარის ზოგმა წარმომადგენელმა და მათ შორის ზემოხსენებულმა ივანე აფხაზმაც ჩათვალა, რომ აფხაზეთიდან კახეთში გადასახლებული მათი წინაპარიც ამ გვარიდან უნდა ყოფილიყო.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ აფხაზეთს შარვაშიძეთა გვარზე ადრე მართავდა ანჩაბაძეთა ძლიერი ფეოდალური საგვარეულო. არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც „შარვაშიძე“ იყო არა გვარი, არამედ აფხაზთა მთავართა ტიტული, რომელიც ამ წოდების მფლობელებს გაუგვარდათ.

აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია წერდა: „შესაძლოა ვიფიქროთ, რომ მერმინდელი შარვაშიძეები გენეალოგიურად არ იყვნენ დაკავშირებულნი ამ გვარის სახელის უძველეს მატარებლებთან. ფეოდალური ძალმომრეობის ხანაში რა გასაკვირი იქნებოდა, რომ მთავრის უფლება ერთი საგვარეულოდან მეორეში გადასულიყო თვით „შარ-

ვაშიძის“ გვარის სახელთან ერთად, რომელსაც ამ შემთხვევაში სამთავრო ტიტულის მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთ მოვლენას მეზობელ სამეგრელოშიც ვხედავთ, სადაც გვარის სახელი „დადიანი“ ოდიშის მფლობელის წოდებად იქცა და სადაც დადიანობას სხვადასხვა გვარი ითვისებდა სხვადასხვა დროს (უკანასკნელი დადიანები ჩიქვანთა საგვარეულოდან არიან)...

ჩაჩბებზე ადრე „შარვაშიძეობა“ ანჩაბაძეთა საგვარეულოს ხელში უნდა ყოფილიყო; ამაზე მიუთითებს აფხაზური თქმულება, რომ წინათ აფხაზეთში ანჩაბაძეთა (აჩბების) საგვარეულო პირველობდა და ისეთი ანდაზებიც, როგორც მაგ.: „აჩბა უმჰიაკუა, ჩაჩბა უზჰიომ“, ე. ი. „ჯერ აჩბა სთქვი და შემდეგ ჩაჩბაო“ [21, 27-28].

თავად აფხაზთა გვარის წარმომავლობა თავად ანჩაბაძეთაგან დასტურდება როგორც საისტორიო წყაროებით, ასევე გენეალოგიური მონაცემებითაც.

მეფე როსტომის (მეფობდა 1632-1658 წლებში – ქართლში, ხოლო 1648-1656 წლებში – გაერთიანებულ ქართლ-კახეთში) მიერ 1653 წელს გაცემულ სიგელში ნათქვამია, რომ ის ებოძა „ჩუენს ერთგულს და გაზდილს **ანჩაბაძეს აფხაზს გიორგის**“ [28]. აქედან მისი ნამდვილი გვარი უკვე დოკუმენტურად ირკვევა.

ეს საბუთი ერთი საუკუნის წინათ გამოაქვეყნა აკადემიკოსმა ექვთიმე თაყაიშვილმა [15, 71-72]. სიგელიდან ნათელი ხდება, რომ მეფემ გიორგი იოანეს ძე ანჩაბაძე-აფხაზს ცოლად შერთო თავად დავით გოშფარიშვილის ობოლი ასული და დაუმტკიცა მისი გარდაცვლილი სიმამრის კუთვნილი მამული [10, 160], რომელიც სოფელ კარდანახში მდებარეობდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ საბუთში გოშფარიშვილად მოხსენიებული დავითი იყო ძე თავად გოშფარ (იგივე გოშპარ) ვაჩნაძისა [11, 181].

ასე, რომ თავად გიორგი იოანეს ძე ანჩაბაძეს მეფემ კახეთში მამული უბოძა და გვარად მისივე წარმომავლობიდან გამომდინარე, აფხაზი დაუმკვიდრა.

1895 წლის 28 ნოემბერს, გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა სტატია აფხაზთა გვარის შესახებ, რომლის სათაურია: „თავადნი აფხაზნი (თავადნი ანჩაბაძე-აფხაზნი)“ [8, 2]. ამ სტატიაშიც გარკვევით არის დაფიქსირებული თავად აფხაზთა პირვანდელი გვარი.

აღნიშნულ ცნობებზე დაყრდნობით, პროფესორი ოთარ ჭურღულია მიუთითებდა: „მაშასადამე, ირკვევა, კახელ აფხაზთა წინაპარი ყოფილა გიორგი-ბეგ აფხაზი. აქ აფხაზი აშკარად მიუთითებს ეროვნულ წარმოშობაზე. ისტორიამ იცის ასეთი მაგალითები. ნიმუშისათვის დავასახელებთ რამდენიმეს: XVIII საუკუნეში რუმინეთში

მოღვაწე ქართველი კაცი, ცნობილი სასულიერო პიროვნება იწოდებოდა ანტონ ივერიანუდ – ანთიმოზ ივერიელად. ასევე მეფის მთავრობამ ბევრ ქართველ თავადიშვილს – ბაგრატიონებსა და დადიანებს მათი ქვეყნის მიხედვით მისცა გვარიც – გრუზინსკი, იმერეტინსკი, მინგრელსკი.

ზემოაღნიშნული ბეგ-აფხაზიც მიუთითებს აფხაზეთიდან მოსულ პიროვნებაზე. გიორგი აფხაზს და მის შთამომავლობას კახეთში მაგრად მოუკიდნიათ ფეხი... კახელი „აფხაზები" წარმოშობით აფხაზეთიდან ყოფილან, გვარად ანჩაბაძეები... ე. ი. პირვანდელი გვარია ანჩაბაძე, სახელია გიორგი, ხოლო შემდეგ წარმოშობის აღმნიშვნელი სიტყვა – „აფხაზი" ქცეულა გვარად" [22, 204-205].

ქართული გენეალოგიური საზოგადოების პრეზიდენტმა იური ჩიქოვანმა გენეალოგიური კვლევის საფუძველზე დაადგინა, რომ თავად აფხაზთა თავდაპირველი გვარი ნამდვილად ანჩაბაძე იყო. ამასვე ადასტურებენ თვით თავად აფხაზთა თანამედროვე შთამომავლებიც, რომლებიც თავიანთ ოჯახებში შემორჩენილ საგვარეულო გადმოცემას ეყრდნობიან.

აფხაზთა საგვარეულოს წარმომადგენლები ქართულ საისტორიო წყაროებში XVII საუკუნის შუა ხანებიდან უწყვეტად მოიხსენიებიან. კერძოდ, ისინი იხსენიებიან როსტომ მეფის მიერ სხვადასხვა დროს გაცემულ სიგელებში.

საისტორიო წყაროებიდან 1646-1659 წლებში ჩანს ზემოხსენებულ გიორგი ანჩაბაძე-აფხაზის მამა – იოანე (იოვანე, ივანე) აფხაზი [25], რომელიც იყო მესტუმრე ქართული სამეფო კარისა (1654-1659 წლებში). იგი სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა მზითვად გააყოლა თავის დას მარიამს, რომელიც ცოლად მოიყვანა მეფე როსტომმა [10, 193-194].

საინტერესოა თვით იოანე ანჩაბაძე-აფხაზის წარმომავლობა. ის წარმოშობით უნდა ყოფილიყო აფხაზეთიდან, სადაც სამეგრელოს მთავრები და მათ შორის ლევან II დადიანიც ხშირად ლაშქრობდა. ამიტომ, შესაძლებელია, რომ იოანე ყოფილიყო ან ტყვე, ანდა ტყვედ წამოყვანილი აფხაზი თავადის – ანჩაბაძის შთამომავალი. ფაქტი ერთია, რომ მარიამ დადიანისათვის მზითვად გატანების პერიოდში იოანე – მთავარ ლევან II-ის ყმას წარმოადგენდა.

1646 წელს როსტომ მეფემ იოანე აფხაზს უწყალობა ამოვარდნილი სეხნია საგინაშვილის მამულები, რომლებიც მდებარეობდა ქვემო ქართლში, საბარათიანოში, კერძოდ: მაწევანში, სთონეთში, ხრამსა და ირდასუბანში, ჯიმშიტა მოლარის მამულის გამოკლებით,

ხოლო 1654 წელს – ასევე ამოვარდნილი აღათანგ საგინაშვილის მამული [25].

1658 წლის 13 ივლისს როსტომ მეფემ იოანე აფხაზს ზემოხსენებული მამულების წყალობა განუახლა [10, 194].

იოანე შანშეს ძე აფხაზს ჰყავდა მეუღლე ოქროქალი და შვილები: ქაიხოსრო, გიორგი, ჩერქეზ [10, 193-194] და შანშე აფხაზები.

1654 წლის 11 მარტს „დედოფლის მესტუმრემ“ იოანე აფხაზმა აზნაურ მერაბ ყორღანაშვილს მიჰყიდა ამოვარდნილი აზნაურის აღათანგ საგინაშვილის მიერ გაზრდილი მისი მკვიდრი ყმა, სთონეთის მკვიდრი ფირია, რომელიც თავისი ახალი მებატონის მიერ აშენებულ სოფელ მოქრისში დასახლდა [20, 841].

1657 წელს იოანე აფხაზი იხსენიება მოწმედ შერმაზან ბარათაშვილის მიერ ერასტი ბარათაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა [10, 194].

1658 წლის 7 ნოემბრით დათარიღებული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ქართლის დედოფალმა მარიამმა ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროში მიმავალ თავის ძმისწულს ლიპარს თან იოანე აფხაზიც გააყოლა [10, 194].

1659 წლის 28 სექტემბერს ქართლის მეფემ ვახტანგ V-მ (შაჰნავაზმა) იოანე აფხაზს უწყალობა ჩხიკვთას მაჩიტა, სუხიტა და ჯიმშიტა შიოშაშვილები მამულით [10, 194].

იოანეს ერთ-ერთი ძე – გიორგი საისტორიო საბუთებში 1653-1683 წლებში იხსენიება [10, 160]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის იყო როსტომ მეფის „გაზრდილი“ და ზოგიერთ დოკუმენტში იხსენიება როგორც ანჩაბაძე-აფხაზი [15, 72].

მეფე როსტომის მიერ 1654 წლის 12 აპრილს გაცემულ სიგელში და სპარსეთის შაჰინშაჰ აბას II-ის მიერ 1655 წელს გაცემულ ფირმანში გიორგი იოანეს ძე ანჩაბაძე-აფხაზი იხსენიება როგორც „გიორგი ბეგ-აფხაზი“ [31, 99].

საისტორიო საბუთებში იხსენიებიან გიორგი აფხაზის ვაჟები: იოანე (ივანე), ზურაბ, ავთანდილ, პაატა, დავით (დათუნა) და ოთარ აფხაზები [10, 193-194].

აფხაზთა გვარის წარმომადგენლები ზოგჯერ „აფხაზისშვილებად“ ანდა „აბხაზიშვილებად“ იხსენიებიან. მაგალითად, XVII საუკუნის 70-80-იან წლებში გაცემულ სიგელებში გიორგი აფხაზი ასე იხსენიება.

ხსენებულ პერიოდში გაცემული საბუთიდან ირკვევა, რომ იმხანად, გიორგი აფხაზიშვილი იყო ქვემო ქართლელი თავადების ყაფლანიშვილთა (იგივე ორბელიანთა) აზნაურიშვილი. ის თამაზ ყაფ-

ლანიშვილთან ერთად მონაწილეობდა ბარათაშვილ-იოთამიშვილებსა და დოლენჯიშვილებს შორის არსებული სამამულე დავის გარჩევაში [10, 194].

1690 წლის 23 მაისით დათარიღებული საბუთიდან ირკვევა, რომ გიორგი აფხაზის უფროსი ვაჟი, სამეფო კარის მესტუმრე იოანე აფხაზი იყო მოწმე პაპუა ლამაზასშვილის მიერ ქაიხოსრო აბაშისშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა [10, 193].

1683 წლის 20 იანვარს კახეთის მეფე არჩილ II-მ აფხაზთა საგვარეულოს ერთ-ერთ წარმომადგენელს უბოძა ამოწყვეტილი თავადის ელიზბარ ვაჩნაძის მამულიდან ერთი კომლი კაცი [10, 193].

1685-1694 წლებით დათარიღებული საბუთიდან ირკვევა, რომ ქართლის მეფე გიორგი XI-მ აფხაზთა საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენლის ნაქონი მამული საყმოდ უწყალობა თავად როშაქ ჩოლაყასშვილს [27].

1689 წლის 15 ნოემბრით დათარიღებული საბუთიდან ნათელი ხდება, რომ აფხაზთა საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენლის მამული (ხოდაბუნი) ესაზღვრებოდა ოთარ ჯიმშიტაშვილის მიერ ქაიხოსრო ავთანდილიშვილისათვის მიყიდულ მიწას [10, 193].

1696 წლის 28 ოქტომბერს გიორგი აფხაზის ერთ-ერთ ვაჟის – ზურაბის ნაქონი მამული ქალბალი-ხანმა უბოძა გურგენ და დემეტრე-ბეგ მილახვრებს [26].

გიორგი აფხაზის უმცროსი ძმა, ყაფლანიშვილთა აზნაურიშვილი შანშე 1696-1700 წლებში გაცემულ საბუთებში ასევე იხსენიება, როგორც – „აფხაზისშვილი“. დოკუმენტის თანახმად, მას ჰყოლია ძე ივანე და ძმისწულები ავთანდილი და პაატა [10, 194].

შანშეს ყმებს – ესტატე და ივანე შიოშაშვილებს ნატაცები საქონლის ვალი ჰქონდათ. ისინი თავიანთი ნებით მიუვიდნენ სულხან ბარათაშვილს, რომელმაც შიოშაშვილები 1696 წლის 26 მაისს შეისყიდა შანშესაგან და თან ხსენებული ვალიც გადაუხადა [24].

1699 წელს შანშე აფხაზიშვილი იყო მოწმე შერმაზან ხურდაყულიშვილის მიერ პაპუა ორბელიშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა, ხოლო 1700 წლის 23 მარტს – ავთანდილ საგინაშვილის მიერ აბადარბაშ ბეჟანისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა [10, 194].

კახეთის მეფის დავით II-ის ანუ იმამ-ყული ხანის (მეფობდა 1709-1722 წლებში) მიერ 1710 წლის 11 მაისს დამტკიცებულ განჩინებაში აღნიშნულია, რომ ზურაბ და დურმიშხან ვაჩნაძეები და დათუნა (დავით) გიორგის აფხაზიშვილი ერთმანეთს კარდენახის ბოლოს მდებარე სახნავ მიწას ედავებოდნენ. მეფის ბრძანების შესაბა-

მისად,ქიზიყის მოურავის შვილმა, ეშიკაღასბაშმა პაატა ანდრონიკაშვილმა მოდავე მხარეები ფიცით შეარიგა და აღნიშნული ტერიტორია თავად ვაჩნაძეთა სარგებლობაში დატოვა [16, 230-231].

ზემოხსენებული დათუნა და მისი ძმა ოთარ გიორგის ძე აფხაზები თავადებად იხსენიებიან თეიმურაზ II-ის (მეფობდა 1733-1744 წლებში კახეთში, 1744-1761 წლებში – ქართლში) მიერ 1738 წლის 1 სექტემბერს გაცემულ სიგელში [30, 99].

1743 წლის 3 მარტის განჩინებით, დათუა დესპუაშვილთან დავაში ივანე აფხაზიშვილი გამართლდა და მის მფლობელობაში დარჩა მისი მაწევნელი ყმა იობა როზიაშვილი, თავისი მამულითურთ [16, 354].

1755 წლის 4 ივლისის განჩინებით გადაწყდა, რომ თუ მდივანი ოთარი წლის განმავლობაში ვერ წარადგენდა ივანე აფხაზის ყმობიდან ივანე თანდილაშვილის თავდახსნის საბუთს, ეს უკანასკნელი კვლავ თავად აფხაზის ყმობაში დარჩებოდა [16, 442-443].

კახეთის, შემდეგ კი ქართლ-კახეთის სამეფოში სხვადასხვა დროს გაიცა თავადი აფხაზების უძრავ-მოძრავ ქონებასთან დაკავშირებული ცალკეული საბუთები, რომელთაც ზოგჯერ თვით მეფე, ხოლო ზოგჯერ უფლისწულები ამტკიცებდნენ. მათ შორის იყო არზები (ჩამოთვლილია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით), რომელთაც ერთვის ერეკლე II-ის (1744 წლიდან მეფობდა კახეთში, ხოლო 1762-1798 წლებში – გაერთიანებულ ქართლ-კახეთში) ოქმი: 1769 წლის 4 მაისისა – ოთარ აფხაზიშვილისა ყმის თაობაზე [19, 148-149], 1783 წლის 14 სექტემბრისა – დავით აფხაზიშვილისა მამულის თაობაზე [19, 601-602], 1784 წლის 20 მარტისა – ბერი აფხაზიშვილისა მამულის თაობაზე [19, 615], 1795 წლის 23 დეკემბრისა – ივანე აფხაზიშვილისა ყმის თაობაზე [20, 346-347], არზა 1793 წლის 4 ოქტომბრისა – ნიკოლოზ აფხაზისა ყმის თაობაზე ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილის ოქმით [20, 243], არზები მეფე გიორგი XII-ის ოქმით: 1799 წლის 27 ივლისისა – იაკოფისა და გელასი სამართლის მიცემაზე [20, 562-563] და 1800 წლის 9 მარტისა – ნიკოლოზ აფხაზისა ყმის თაობაზე [20, 611-612], არზა 1800 წლის 23 მაისისა – ნინია აფხაზიშვილისა ოქმის ბოძების თაობაზე ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილის ოქმით [20, 643], ასევე განჩინებანი: 1785 წლის 4 ივლისისა – იოანე შალიკაშვილისა და ნიკოლოზ აფხაზის სახლის საქმეზე [17, 306-307], 1786 წლის 15 სექტემბრისა – ნიკოლოზ აფხაზის ყმის ელიბო გაგელიძის საქმეზე [17, 335], 1787 წლის 31 მაისისა – ნიკოლოზ აფხაზისა და მირზაშვილების ყმის საქმეზე [17, 374-375], 1788 წლის 11 ივლისისა – ზაქარია მოურავისა და დავით აფხაზის ყმების

საქმეზე [17, 421-424], 1788 წლის 1 აგვისტოსი – ნიკოლოზ აფხაზის ყმის სამუტაშვილის საქმეზე [17, 424-425] და სხვ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართლ-კახეთის თავადთა შორის აფხაზების საგვარეულო საკმაოდ დაწინაურდა. ის მეფისა და სამშობლოს მიმართ განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩეოდა. მეფისადმი წარდგენილი თავად აფხაზთა არზები ტრადიციულად იწყება შემდეგი სიტყვებით: „ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი აფხაზისშვილს ოთარს მოსცეს“ [19, 234], „ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს დავით აფხაზიშვილსა“ [19, 601], „ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს აფხაზისშვილს ბერსა“ [19, 615] და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, თავად აფხაზებს დიდად სწყალობდნენ ბაგრატოვანი ხელმწიფენიც, განსაკუთრებით ერეკლე II და გიორგი XII (მეფობდა 1798-1800 წლებში).

ყმა-მამულთან დაკავშირებით თავად აფხაზებთან მეტოქეობა ჰქონდათ მათ მეზობლად მცხოვრებ თავად ვაჩნაძეებს, რომელთა შორისაც იყვნენ ცალკეული საგვარეულო განშტოებები: ბებურიშვილები (ბებურ ვაჩნაძის შთამომავლები), ონანაშვილები (ონანა ვაჩნაძის შთამომავლები) და სხვ.

ვაჩნაძეებისა და აფხაზების საგვარეულოებს შორის ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებული დავის დამადასტურებელია არაერთი იმდროინდელი დოკუმენტი. მათ შორის არის არზები, რომელთაც ერთვის ერეკლე II-ის ოქმი: 1772 წლის 20 ოქტომბრისა – ასლან ბებურიშვილისა მამულის თაობაზე [19, 222-223], 1773 წლის 20 მაისისა – ოთარ აფხაზიშვილისა მამულის თაობაზე [19, 234-235], 1774 წლის 16 იანვრისა [5, 97] და 1775 წლის 29 მაისისა [19, 290-291] – ლუარსაბ ონანაშვილისა მამულის თაობაზე, 1776 წლის 9 იანვრისა – დავით აფხაზისა მამულის თაობაზე [19, 322-323], 1776 წლის 16 იანვრისა – ლუარსაბ ონანაშვილისა მამულის თაობაზე [19, 325], 1777 წლის 31 იანვრისა – ლუარსაბ ონანაშვილისა და ქაიხოსრო ბებურიშვილისა მამულის გაყოფის თაობაზე [19, 365-366], 1778 წლის 18 ივნისისა – დავით აფხაზიშვილისა მამულის თაობაზე [19, 412], 1791 წლის 17 ოქტომბრისა – დავით აფხაზისა მამულის თაობაზე [20, 129-130], 1796 წლის 8 დეკემბრისა – ლუარსაბ ყორიასაულბაშისა მამულის თაობაზე [20, 399-400], ასევე განჩინებანი: 1777 წლის 14 იანვრისა – ლუარსაბ ონანაშვილისა და დავით აფხაზის მამულის თაობაზე [17, 20-21], 1778 წლის 20 თებერვლისა – ლუარსაბ ონანაშვილისა, ქაიხოსრო ბებურიშვილისა და ზურაბ აფხაზის მამულის საქმეზე [17, 48-50], 1779 წლის 11 მარტისა – ვაჩნაძიანთა და დავით

აფხაზის მამულის საქმეზე [17, 75-76], 1783 წლის 31 აგვისტოსი – დიკასტერიისა დავით აფხაზის ყმის სოროზანაშვილების საქმეზე [17, 667-668], 1792 წლის 19 აპრილისა – ვაჩნაძიანთა და დავით აფხაზის მამულის საქმეზე [17, 568], 1797 წლის 9 მარტისა – იოანე აფხაზიშვილისა და ლუარსაბ ყორიასაულბაშის მამულის საქმეზე [17, 20-21], 1799 წლის 20 მაისისა – ლუარსაბ ონანაშვილისა და დავით აფხაზის მამულის საქმეზე [18, 121-122] და სხვ.

მამულთან დაკავშირებით ატეხილ დავას, მეფე, ხშირად, თავად აფხაზთა სასარგებლოდ წყვეტდა.

1760 წლის 29 ნოემბრით დათარიღებულ განჩინებას დავით მოურავის შვილისა და დავით აფხაზის მამულის (ბაგის) საქმეზე, ახლავს მეფე ერეკლე II-ის შემდეგი დამტკიცება: „ჩვენ, მეფე ირაკლი ამ სამართალს ვამტკიცებთ. ან დავით აფხაზმა თითონ შეჰფიცოს ან თავის კაცი რაზია შეჰფიცოს. ფიცში ასე ჩაიტანოს: „აბელ მოურავს არც ამისთვის მამული ეშოვნოს და არც ფასი მიეცეს“. თუ ასე დაიფიცა ან კაცი შეაფიცა, ის ბაგა აფხაზ დავითს დარჩება. და თუ არ იფიცა, მოურავის შვილისა იქნება. იასაულო, ეს ასე გაარიგე“ [16, 478-479].

1773 წლის 20 მაისით დათარიღებულ არზას, რომელშიც ოთარ აფხაზიშვილი ითხოვდა კუთვნილ ბაგას, ფიცით დამტკიცებულს ზაქარია მოურავის შვილთან დავის დროს, ერთვის ერეკლე II-ის შემდეგი რეზოლუცია: „ჩვენი ბძანება არის! მერმე რადგან დაეფიცნათ, ამ არზის პატრონებს (იგულისხმება ოთარ აფხაზი. ნ. ჯ.), დარჩათ ეს ბაგა, ამათი არის სამართლით“ [19, 235].

სწორედ აფხაზებსა და ვაჩნაძეებს შორის ჩამოვარდნილი ზემოხსენებული შუღლის მსხვერპლი გახდა მეფე ერეკლე II-ის ვაჟი ლევანი (1756-1781).

1781 წლის 7 თებერვალს უფლისწული ლევანი გარდაიცვალა კახეთის სოფელ ვეჯინში, თავად იოანე აბაშიძის სახლში [29, 156].

ერთ-ერთი ცნობის თანახმად, ბატონიშვილის გარდაცვალებაში თავად ასათ შერმაზანის ძე ვაჩნაძის ხელი ერია [7; 14, 149].

მეორე გადმოცემის მიხედვით, ლევანი გაეარშიყა ასათ ვაჩნაძის ახალგაზრდა მეუღლეს, რომელიც ქორწილიდან გააპარეს სოფელ კარდენახს. მას ლევანიც აედევნა. ქალმა უფლისწულს დანით მუცელში ჭრილობა მიაყენა. ბატონიშვილი დაბრუნდა ვეჯინში და იმავე საღამოს გარდაიცვალა.

მესამე გადმოცემის თანახმად, უფლისწული ლევანი დაჭრა ასათ ვაჩნაძემ და მანვე მოაკვლევინა ის მკვლელებს, რომლებმაც ამის შემდეგ შერმაზან აფხაზი მოკლეს [3, 76].

არსებობს ცნობა, რომ მეფესა და თავად აფხაზებს შორის მტრობის ჩამოგდების მიზნით, ასათ ვაჩნაძემ ვეჯინის ციხეში ფარულად მოაწამვლინა უფლისწული ლევანი, რაც შერმაზან აფხაზს დააბრალა [13, 251-255].

ალექსანდრე ორბელიანი წერს: „თავადმა ლუარსაბ ონანაშვილმა ვაჩნაძემ თავადი შერმაზან აფხაზი დააბეზღა მეფე ირაკლისთან, რომ შერმაზან აფხაზმა ბატონიშვილი ლევან მოწამლაო“ [9, 14].

ამ ფაქტის გამორკვევის პირველი მცდელობისას, უფლისწულის მკვლელობაში ბრალი დასდეს სრულიად უდანაშაულო თავადს შერმაზან აფხაზს. იმავე წლის 22 ივნისს თავადმა ვაჩნაძემ, შერმაზანი თავისივე ყმებს, ვითომდა შურის საძიებლად მოაკვლევინა.

ამის მიუხედავად, თავად აფხაზთა დაჟინებული მოთხოვნით და მასში უშუალოდ მეფის ჩარევის შედეგად, ამ საქმის საგულდაგულო გამოძიებას შეუდგნენ.

ალ. ორბელიანის ცნობით, როდესაც საქმის შემდგომი გამოძიების შედეგად, ერეკლე II დარწმუნდა შერმაზანის უდანაშაულობაში და „ნახა, რომ ის დაბეზღება სულ სიცრუე იყო“, თავად აფხაზებს „თავისი ყმა და მამული ისევ დაუბრუნეს, ის აკლებულიც სულ ერთიან და შემდგომ პატივითაც მოებყრა მეფე“ [9, 14].

1782 წლის 22 ივნისის განჩინების თანახმად, რომელიც დაამტკიცა თვით მეფე-დედოფალმა და კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ I-მა, უკვე გარდაცვლილ შერმაზან აფხაზს ბრალდება მოუხსნეს და იგი უდანაშაულოდ სცნეს [17, 181-185].

„განჩინებაში შერმაზან აფხაზიშვილის მკვლელობის საქმეზე“ ვკითხულობთ:

„ქ. **აფხაზისშვილის შერმაზანის** მკულელნი, თავიანთგან მოკლულს თავის ბატონს შარმაზანს, ამ საშინელს ხმას რომ შესწამებდნენ, რომ სანატრელი ბატონისშვილი ამ ჩუენმა ბატონმა შერმაზანმა მოწამლით მოკლაო და ჩვენც ამ ჩვენის ჴელმწიფის შვილის სიკვდილისათვის და ჩვენზედაც დიდი დანაშაული ჰქონდა და ჩვენც ამისთვის ის ჩვენი ბატონი შერმაზან მოვკალითო.

ეს საშინელი შეწამება მათს უმაღლესობას მეფეს მოხსენდა. მათმა უმაღლესობამ ამ აფხაზისშვილის შერმაზანის მკულელნი და ამ ჴმის შემწამებელნი მოასხმევინა და მრავალგვარის ფრთხილად გამოძიებით გამოიკითხა. და მერმე ამათი სამართალი და კიდევ ბევრგვარად ამ საქმის გამოჩხრეკა ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებულებას, გვიბრძანა.

ჩვენ, მოსამართლეობის თანამდებობისაებრ, როგორც ამ საშინელის ჴმის სიმძიმეს და სიდიდეს შეეფერებოდა, იმისთანას დიდის სიფრთხილით მრავალფერად გამოვიძიეთ და მრავლის ჭეშმარიტად აღმოჩენლის საბუთებისაგან ვიუწყეთ, რომ ამ თავისის მკულელობისაგან, აფხაზის შვილის შერმაზანისა ამ საშინელი ჴმის შეწამება, ყოველის მჴრიდან სიცრუე იყო და მკულელობის შეცოდებით ბრალეულის თავიანთ თავის წამლად წარმომდგარი ტყუილი.

და რამდენისიც ჭეშმარიტის საბუთებით, მკულელთაგან შეწყალებული ეს ხმა სიცრუედ აღმოჩნდა, აღწერასა და კალამში გრძლად შემოვიდოდა და ამისთვის მრავალთაგან ეს მოკლედ მოვახსენე.

პირველად ესე, რომ: სანატრელის ბატონისშვილის სიკუდილს უკან ორმოცს დღემდის ის აფხაზის შვილი შერმაზანიც ცოცხალი იყო და იმისი მკულელებიც აქ იყუნენ. თუ ეს შეწამება ჭეშმარიტი იყო და ერთგულობისათვის შესჭირდათ, რატომ მათს უმაღლესობას მეფეს არ მოახსენეს, რომ ის, ამათი ბატონიც მოკუდებოდა სამართლით და იმისი სახლიც იავარ იქნებოდა და ეს შეწამებულნიც წყალობას მიიღებდნენ, რადგან ამ საშინელს საქმეს მათის უმაღლესობისა და ქვეყნის ერთგულობითა გამოაცხადებდენ.

მეორედ ესე: შერმაზანის მკულელნი რომ შერმაზანისაგან სანატრელის ბატონისშვილის მოწამლით სიკუდილს რასაც ღამეს და რომლისაც სახით ამბობდენ, ამაზედ ჩუენ ბატონისშვილის მახლობელნი შინაყმანი მოვასხით და თითოეულად და ფიცით იმათგან მოხსენებულის აზრების სიმართლე გამოვიკითხეთ და ერთობით დაამტკიცეს, რომ არც იმათგან მოხსენებულს ღამეს სანატრელს ბატონისშვილს ვახშამი ებრძანოს და არც იმათგან მოხსენებული ნიშნები მართალი ყოფილიყოს. და ამითაც მკულელნი და შემწამებელნი შერმაზანისანი ცრუ იყუნენ.

მესამედ ესე: მკულელნი იყუნენ და თავიანთ ბატონის მკულელობით ბრალეულის თავის გასამართლებლად და წამლად ამბობდენ, ამისთვის ყოვლის მჴრიდამ შეხედვით ეს და უსაბუთო დიდი შეწამება სამართალმა არ შეიწყნარა.

და თუ ამ შერმაზანის მკულელებისაგან თავიანთ წამლად შეწამებას გარდა, სხვას ჭეშმარიტების მცირეს რისიმე საბუთიდამ, ან წერილით და ან სიტყვით, ცოტა რამ ნიშანიც არის გუეპოვნა, რადგან მეტად მძიმე საქმე იყო, აფხაზიშვილს ფიცით გავაწმენდინებდით.

მაგრამ რადგან ყოვლის გამოძიებისაგან აღმოჩენილს ჭეშმარიტებად აღმოჩნდა შერმაზანის მკულელობის სიცრუე და აფხაზიშვილის სიმართლე, ამისთვის ეს ჭეშმარიტად განმართლების განაჩენი მივეცით, რომ: აფხაზიშვილისა ამ საქმეში ყოვლითურთ უბრალოება და სიმართლე შვილითი შვილადმდე საზოგადოდ იღაღადებოდეს.

და აფხაზისშვილი, რომ ასათს შესწამებდა: „ეს საშინელი შეწამება ამ ჩემის შვილის მკულელებს მტერობით შენ ასწავლეო, ამ სიტყვებით რომ თქვენ ესე თქვით და აღარა გიშავთ რაო“, ამათმა ლაპარაკმა სამართალში ბევრჯერ გაიარა და ამისი სამართალი სხვის განაჩენით გარდასწყდა“ [17, 181-183].

აფხაზთა გვარი „აფხაზისშვილის“ ფორმით იხსენიება 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში დადებულ ტრაქტატს დართულ ქართველ თავადაზნაურთა სიაში [1, 142].

ზემოხსენებულ სტატიაში – „თავადნი აფხაზნი (თავადნი ანჩაბაძე-აფხაზნი)“ ვკითხულობთ: „თავად აფხაზთა გვარეულობა აღნიშნულია კახეთის თავადთა სიაში, იმ ტრაქტატთან ზედდართულში, რომელიც ხელშეკრულ იქმნა 24 ივლისს 1783 წ. რუსეთის მთავრობასთან მეფე ერეკლე II-ის მიერ.

სამდივანბეგო გარდაწყვეტილებაში, რომელიც მეფე ერეკლე II-ის მიერ დამტკიცებულია 1 აგვისტოს 1788 წ., ნიკოლოზ აფხაზი (გიორგი ანჩაბაძე-აფხაზის ძე, V თაობის შთამომავალი) თავადად იქმნა წოდებული“ [8, 2].

ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის მმართველობის (1798-1800) პერიოდში თავად აფხაზთა გვარი კიდევ უფრო დაწინაურდა. მეფე მათ ყოველთვის მფარველობდა და წყალობას არ აკლებდა.

სამეფო კარზე მდივანბეგად მსახურობდა ნიკოლოზ იოანეს ძე აფხაზი (1749-1806), რომელმაც არაერთი ეკლესია მოხატა.

1800 წლის 9 მარტს, ნიკოლოზ აფხაზმა მეფე გიორგი XII-ს წარუდგინა არზა დაფანტული ყმების თაობაზე, რომლებსაც ქართლელი აზნაური ფურცელაძე ეპატრონებოდა. ვინაიდან ფურცელაძე უფლისწულ იულონის მფლობელობაში იმყოფებოდა, მეფემ თავის ნახევარ ძმას მისწერა:

„ქ. უგანათლებულესო ძმაო, ბატონო იულონ!

ამ არზით ნიკოლოზ აფხაზი ასე რომ ჩივის, ამას კურთხეულის მამის ჩვენისაგანა ყავს ნაბოძები ეს კაცნი და სამართლიანის გზით თქვენ ნუ წართმევინებთ ამავ კაცს“ [20, 612].

თავად აფხაზთა საგვარეულოს მფარველობდა ტახტის მემკვიდრე უფლისწული დავითიც (1767-1819), რომელიც გვირგვინოსა-

ნი მამის გიორგი XII-ის გარდაცვალების (1800 წლის 28 დეკემბერი) შემდეგ, ექვსი თვის განმავლობაში ქართლ-კახეთის სამეფოს გამგებელი იყო.

1800 წლის 23 მაისს, უფლისწულმა დავითმა, ვაჩნაძეებთან სამამულო დავაში გაამართლა ნინია (ივანე) აფხაზი და მის არზას ოქმის ბოძების თაობაზე ასეთი რეზოლუცია დაადო: „ნინია აფხაზიშვილს ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, ნინია ეშიკაღაბაშისაგანაც მოგვხსენდა, ამ მამულთან საქმე არავისა აქვს, დარჩა ნინია აფხაზისშვილს“ [20, 643].

თავად აფხაზთა საგვარეულო ასევე დაწინაურებული იყო საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგაც [31, 99-101].

1826 წლის 7 მარტს, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, თავადის წოდებაში დაამტკიცეს ივანე შერმაზანის ძე აფხაზი და მისი შვილები დავითი, შერმაზანი და დიმიტრი.

1827 წლის 2 ნოემბერს, სახელმწიფო საბჭომ თავადის წოდებაში დაამტკიცა ივანე, გიორგი (შანშე) და ანტონ ნიკოლოზის ძე აფხაზები.

რუსეთის საიმპერიო სენატის 1841 წლის 13 თებერვლის, 1851 წლის 30 აპრილის, 1860 წლის 8 აგვისტოს და 1868 წლის 23 ოქტომბრის დადგენილებებით, თავადის წოდებაში დაამტკიცეს: ალექსანდრე შერმაზანის ძე აფხაზი და მისი შვილები გრიგოლი და სვიმონი და ალექსანდრე დიმიტრის ძე აფხაზი [8, 2].

აფხაზთა საგვარეულოდან არაერთი სახელოვანი ოფიცერი გამოვიდა. ამ გვარის წარმომადგენლები მოღვაწეობდნენ როგორც სამხედრო, ასევე საერო ასპარეზზედაც [2, 158-166]. მათ შორის იყვნენ: თუშ-ფშავ-ხევსურეთის მოურავი, მაიორი იოანე შერმაზანის ძე (გარდაიცვალა 1847 წ.); შტაბს-კაპიტანი გიორგი (შანშე) ნიკოლოზის ძე (1796-1826); შტაბს-კაპიტანი, ტიტულარული მრჩეველი დავით იოანეს ძე (1796-?); პრაპორშჩიკი შერმაზან (სვიმონ) იოანეს ძე (1798-1830); პოდპორუჩიკი ანტონ (ტარას) ნიკოლოზის ძე (1805-1837); პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე შერმაზანის ძე (1823-?); დიდი ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახლ-კარისა და მამულების მეთვალყურე, მისი დისწული გრიგოლ (გიგო) ნიკოლოზის ძე (1854-1876); სახელმწიფო მრჩეველი ივანე დიმიტრის ძე (1863-1921); იტალიაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსული გიორგი (გილო) გიორგის ძე (1892-1964), რომელიც შემდეგ რომის ოპერის თეატრის მხატვარ-დეკორატორად მუშაობდა; გერმანიაში 1938 წლიდან არსებული „ქართული სათათბიროს“ ხელმძღვანელი ალექსან-

დრე გიორგის ძე (1893-1957); საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონის ოფიცერი, ადვოკატი კოტეს ძე (1899-1987) და სხვ.

თავად აფხაზთა შორის იყო სამი გენერალი, რაც ამ მცირერიცხოვანი გვარისათვის უდავოდ საამაყოა. მათ შორის იყვნენ: ივანე ნიკოლოზის ძე (1785-1831); დავით ილიას ძე (1866-1918) და კონსტანტინე (კოტე) ნიკოლოზის ძე (1867-1923) აფხაზები.

მათაგან განსაკუთრებული ავტორიტეტი მოიპოვა გენერალმა კონსტანტინე (კოტე) აფხაზმა, რომელიც 1913-1917 წლებში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი (მარშალი) იყო, ხოლო შემდეგ მოღვაწეობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში, რომელსაც ჯერ ეროვნული საბჭო, შემდეგ კი პარლამენტი ეწოდებოდა. აქვე დავსძენთ, რომ კ. აფხაზის ცხოვრება და მოღვაწეობა მონოგრაფიულად შეისწავლა პროფ. გელა საითიძემ [12].

ამჟამად საქართველოში თავად აფხაზთა შთამომავლების მხოლოდ სამი ოჯახიღა ცხოვრობს. მათ შორის არის: *ნიკოლოზ ირაკლის ძე აფხაზის* (დაბ. 1941 წ.), მისი ვაჟის – *ირაკლი ნიკოლოზის ძე აფხაზისა* (დაბ. 1961 წ.) და მისი ბიძაშვილის – *დავით თენგიზის ძე აფხაზის* (დაბ. 1974 წ.) ოჯახები.

ამრიგად, ქართველი წარჩინებული თავადების აფხაზების საგვარეულო სათავეს იღებს საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული კუთხიდან, აფხაზეთიდან. ეს გვარი წარმოადგენს აფხაზეთის წარჩინებული საგვარეულოს – თავად ანჩაბაძეთა ერთ-ერთ განშტოებას, რომელიც XVII საუკუნიდან კახეთში დამკვიდრდა. ამ გვარმა საქართველოს მრავალი თავდადებული მამულიშვილი მისცა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბაგრატიონი იოანე, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა (მასალა ისტორიისათვის), თბ., 1997.
2. ბერძნიშვილი მაქსიმე, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. I, ქართული საზოგადოებრიობა 1833-1844 წლებში; მასალები ბიოგრაფიული ლექსიკონისათვის (ა–ე), თბ., 1980.
3. ბერძნიშვილი მაქსიმე, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. II,

ყაზარმობის რაობისათვის; მასალები ბიოგრაფიული ლექსიკონისათვის (ე–ჯ), თბ., 1983.
4. გვრიტიშვილი დავით, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955.
5. ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები (1736-1797 წლები), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის გამოცემა, შეადგინა მანანა ჭუმბურიძემ, თბ., 2008.
6. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.
7. გაზეთი „ივერია“, 1892, 12 ივნისი, № 121.
8. გაზეთი „ივერია“, 1895, 28 ნოემბერი, № 257.
9. ორბელიანი ალექსანდრე, სიტყვა მამულის ტრაპესზედ, შემდგენელი ნინო ვახანია, გივი ალხაზიშვილსა და როსტომ ჩხეიძის რედაქციით, თბ., 1999.
10. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, ტ. I, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბ., 1991.
11. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, ტ. II, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა და მ. სურგულაძემ, თბ., 1993.
12. საითიძე გელა, სწამდა სამშობლოს აღორძინება (გენერალი კონსტანტინე აფხაზი), თბ., 1997.
13. „საისტორიო მოამბე“, ტ. I, ტფ., 1925.
14. საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ავთანდილ იოსელიანმა, თბ., 1980.
15. საქართველოს სიძველენი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. II, ტფ., 1909.
16. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1972.

17. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.), ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1974.
18. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1977.
19. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, საერო სასამართლო არზა-ოქმები, ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1981.
20. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1985.
21. შარვაშიძე გიორგი, ლირიკა, ეპოსი, დრამა, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას რედაქციითა და ნარკვევით, სოხუმი, 1946.
22. ჭურღულია ოთარ, ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობიდან, წიგნი II, სოხუმი, 1983.
23. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ე. ვეიდენბაუმის კარტოთეკა.
24. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საბუთი Sd –562.
25. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საბუთი Sd –748.
26. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საბუთი Hd –142.
27. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საბუთი Hd –2286.
28. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საბუთი Qd –1653.
29. Бутков П., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, , ч. II, СПб., 1869.
30. Грузинские дворянские акты и родословные росписи (материалы для истории Грузии). Издание с предисловием и примечаниями А. С. Хаханова, М., 1893.
31. Думин С., Гребельский П., Дворянские роды Российской империи, т. IV, Князья Царства Грузинского, под редакцией С. Думина и Ю. Чиковани, Москва, 1998.
32. Чиковани Ю., Род Абхазских Князей Шервашидзе (Историко-генеалогическое исследование), Тб., 2007.

Niko Javakhishvili
Doctor of Historical sciences, Professor, Chief scientist-researcher of the Modern and Contemporary History Department of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

FOR THE HISTORY OF ABKHAZI NOBLE FAMILY

Summary

It is well-founded in the article, that Georgian noble family of Abkhazi takes it's origins from one of Georgia's historical parts – Abkhazia. These family represents a branch of Anchabadze's noble family, which settled from XVII century in Kakheti.

In the article are analysed Georgian historical documents dated by XVII-XVIII centuries, where the representatives of Abkhazi noble family are mentioned. These noble family gave to Georgia many devoted patriots.

აპოლონ თაბუაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

სახელმწიფო გადასახადების შეკრების ორგანიზების საკითხისათვის XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში

ქართლ-კახეთის სამეფოს მმართველობის გადახალისებისათვის ერეკლე II-მ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა. ცვლილება შეეხო სახელმწიფო საგადასახადო სისტემასაც. ცალკე დარგად ჩამოყალიბდა სახელმწიფო შემოსავლები. შეიქმნა „საფინანსო უწყება“, რომელიც კოლეგიალურ პრინციპს დაეფუძნა. მასში გაერთიანდნენ სახლთუხუცესები, მდივნები და თბილისის მელიქ-მამასახლისი [8, 532]. ქალაქებიდან, ვაჭრობა-ხელოსნობიდან და მანუფაქტურებიდან სახელმწიფო შემოსავლების შეკრება ქალაქების მოურავების, მელიქ-მამასახლისების და მოიჯარადრეების საშუალებით ხდებოდა. ეს საკითხი მეტნაკლებად შესწავლილია და ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ამჯერად ჩვენ შევეხებით XVIII ს-ის II ნახევარში სახასო, სათავადო თუ საეკლესიო ყმა-გლეხთა გადასახადების (ძირითადად ნატურალური) შეკრების ორგანიზების საკითხს. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა განვსაზღვროთ თუ რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ სათავადოებში.

ეს საკითხი თითქმის შეუსწავლელია. სათავადოთა სისტემის მკვლევარები საკითხს ეხებიან ნაწილობრივ, მათთვის საინტერესო კუთხით და ამომწურავი კვლევა არ გაგვაჩნია. აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი წერდა: „მრავალ ბატონს შეუვალობის უფლება მოუპოვებია, ესე იგი, მეფეს ასეთი ბატონის ყმები ყოველგვარი სამეფო გადასახადებისგან გაუთავისუფლებია“ [2, 302]. დ. გვრიტიშვილი, გ. ჯამბურია, მ. ქიქოძე [იხ 3; 14; 12] და სხვა სათავადოთა მკვლევარები აღნიშნავენ, რომ თავადები სარგებლობდნენ საგადასახადო შეუვალობით, რაც ერთის მხრივ გამოიხატებოდა სათავადოების გადასახადებისგან ნაწილობრივ გათავისუფლებაში, ხოლო მეორეს მხრივ სათავადოს საგადასახადო შეუვალობას იმაში ხედავდნენ, რომ თავადები თვითონ უნაწილებდნენ თავიანთ ყმებს სამეფო გა-

დასახადებს და თავადვე კრებდნენ მას [9, 181-182] – „სახელმწიფო ხარჯის.... ორგანიზაციას თავადი თავისი მოხელეების საშუალებით ახდენდა [13, 206]. აღნიშნული მკვლევარები XVIII საუკუნის II ნახევრში ამ სფეროში მომხდარ არანაირ ცვლილებებზე არ მიუთითებდნენ.

ჩვენთვის საინტერესო საკითხს შეეხო გ. აკოფაშვილი თავის სტატიაში: „სასარდლოების შესახებ ქართლ-კახეთის სამეფოში". მიუხედავად იმისა, რომ ავტორისათვის საგადასახადო სისტემის კვლევა მთავარ საკითხს არ წარმოადგენდა, მან არსებითად სწორად განსაზღვრა, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში გადასახადების გაწერა თუ აკრეფა სადროშოების სარდლების მოვალეობას აღარ შეადგენდა და ამ საქმეს მეფის სპეციალური მოხელეები აწარმოებდნენ [1, 353].

იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა შევიქმნათ XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს საგადასახადო სისტემის შესახებ და წარმოვაჩინოთ წინა პერიოდთან შედარებით მრავალი ცვლილება, საჭიროა ამ სფეროში განვსაზღვროთ XVIII საუკუნის II ნახევრამდელი მდგომარეობა.

XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის I ნახევარში ქართლის სამეფო წარმოადგენდა სათავადოების კრებულს. სათავადოები სარგებლობდნენ სასამართლო-ადმინისტრაციული შეუვალობით. ვიწრო ფეოდალური ინტერესები შინააშლილობის მიზეზი ხდებოდა, რასაც სუსტი სამეფო ხელისუფლება ხშირად ვერ უწევდა კონტროლს. ამას ემატებოდა საგარეო მტრის მუდმივი შემოსევები. ამ დროს მოიშალა მრავალი კანონით დადგენილი ნორმა. ცხადია სახელმწიფო გადასახადების შეგროვებაც არ იქნებოდა სტაბილური. მდგომარეობის გამოსწორება სცადა ვახტანგ VI-მ. „დასტურლამალმა" განსაზღვრა მოხელეთა უფლება-მოვალეობანი და ქვეყნის ადმინისტრირების მრავალი საკითხი. ვახტანგ VI შეეხო სახელმწიფო გადასახადებსაც. მან სცადა საგადასახადო სისტემის მოწესრიგება და ნორმატიული აქტით განსაზღვრა გადასახადების გადახდის რაოდენობა, დრო და განრიგი.

„დასტურლამალის" მეცამეტე კარი ეხება სახელმწიფო გადასახადებს: „კოდისპურს, სთველს, საბალახეს, პირის თავს და სახასო პურს". ამავე კარის ოცდამეხუთე პარაგრაფში საუბარია „მეკოდისპურის რიგზე". განსაზღვრულია, რომ მეკოდისპურეები ვალდებულნი იყვნენ მკათათვიდან გოირგობისთვემდე უზრუნველეყოთ გადასახადების შეგროვება და ამბადარისათვის ჩაბარება. [11, 519-525].

ერთი შეხედვით აქ თითქოს ყველაფელი მარტივია. გადასახადს აგროვებს სახელმწიფო მოხელე. ესე იგი ეს სისტემა ცენტრალიზებულია. თუმცა, კანონმდებელი იმავე თავში უთითებს, რომ აღნიშნული ნორმა ეხება „ჩვენის მოსავლის შემოტანას“, ანუ სახასო მამულებს, ხოლო ქართლის სათავადო ნაწილში გადასახადების შეკრებას „დასტურლამალის“ მეთხუთმეტე კარი ეხება.

მეთხუთმეტე კარის სათაური მცირე განსხვავებით იმეორებს მეცამეტე კარის სათაურის ტექსტს – „კოდის პურის, საბალახეს, პირისთავი და სამასპინძლო თუ სად როგორ შეეწერების.“ აღნიშნულ კარს ეთმობა პარაგრაფები ორმოცდამეთხუთმეტედან სამოცდამეხუთემდე.

ორმოცდამეთხუთმეტე პარაგრაფი საამილახვროს გამოკლებით დანარჩენ ზემო ქართლის გამოსაღებს ეხება. აქ 601 გამოსაღებია. „დასტურლამალში“ აღნიშნულია, რომ „ეს კოდისპური და ბზე გორს უნდა ჩამოიტანონ“. მესამოცე პარაგრაფი საამილახვროს კოდის პურს ეხება: „საამილახვროსი არის, ... გამომღები ქათმით – ორას ოთხი. ესენი საბალახოს თარხან არიან. სხვა გამოსაღები, როგორც ზევით წერია, ისრე ყოველიფერი უნდა გამოიღონ (იგულისხმება სამასპინძლო, ნახირისთავი, პირისთავი), კოდისპურის ჩამოტანა, ზოგს გორსა სძეს და ზოგს ქალაქსა“.

სამოცდამეერთე პარაგრაფი ქსნის ერისთავის მამულის გამოსაღებს ეხება: „ქსნის ერისთავის ყმა-გამომღები და თარხანი ას ორმოცდარვა. ამისი თარხანი ორმოცდათოთხმეტი, გამომღები ორმოცდათოთხმეტი ქათმით (ნუსხაში აშკარად შეცდომაა, სხვა ვერსიაში ოთხმოცდა თოთხმეტი გამომღებია), სხვა გამოსაღები საბალახე თუ რაც რამ ფერი როგორც ზემო ქართლის სძეს ისე ამას.

საამილახვროს და საერისთავოს კოდისპურის გამომღები კომლის ჯუმალი ორას ოთხმოცდათექვსმეტი... გორის ზვრის სარი საკომლო სამოცი. საკომლოზედ სარი კონა.

ქსნის ხეველთა ულუფა: როდესაც ბატონი სალაშქროდ წაბრძანდება – კვირაში ხარი-1, ცხვარი-2, მარილი ლიტრა 10, ღვინო საპალნე 2, ფქვილი საპალნე 2. ასევე არაგვის ერისთავის კაცებსა აქვთ აგრეთვე ავალიშვილის კაცებს, სადგრელებს აქვთ“.

სამოცდამეორე პარაგრაფი ეხება სამუხრანოს კოდის პურს: „მუხრანის არის საკომლო ას ოთხმოცი. ამისი თარხანი სამოცდათოთხმეტი. გამომღები ქათმით ასს ექვსი. სხვა გამომღები როგორც ზემო ქართლზე სწერია, ისრე ამათ გამოიღონ. ჩამოტანა ქალაქს აძესთ“.

სამოცდამესამე პარაგრაფი საციციანოს გადასახადებს განსაზღვრავს – „საციციანოს გამომღები 727, ამის თარხანი 6, ბატონიშვილსა 126, დარჩა გამომღები ქათმით 601. ამისგან გორს უნდა მოიტანონ საკომლო 240, ქალაქს უნდა ჩამოიტანონ ქათმით საკომლო. სხვა გამოსაღები, როგორც ზემოთ სწერია, ისრე ძესთ“.

სამოცდამეოთხე პარაგრაფი „საბარათიანოს კოდის პურსა“: „საბარათაშვილოს არის საკომლო 910, ყაფლანიშვილისა საკომლო 300, იქნა 1210, ამისი თარხანი და აყრილი 230, გამომღები 980; აგრეთვე ქათამი. სხვა გამოსაღები, როგორც სხვა დაგვიწერია, ისრე....“ [11, 526-530].

„დასტურლამალის“ ტექსტიდან ჩანს, რომ სახელმწიფო გადასახადების შეგროვება ცენტრალიზებულია მხოლოდ სახასო მამულებში. სათავადოებში კი განსხვავებული მდგომარეობაა. თუ სახასო მამულებში მეკოდისპურენი აგროვებენ გამოსაღებს, სათავადოთა სახელმწიფო გადასახადის შემგროვებელს „დასტურლამალი“ არ ცნობს. სამაგიეროდ ყველა სათავადოს „კოდისპურის ჩამოტანა სძეს.“ ანუ თავადი თავად აგროვებდა გადასახადებს და შემდეგ მოჰქონდა მეფის კარზე. „დასტურლამალში“ მეფემ განსაზღვრა მხოლოდ სათავადოთა გადასახადების რაობა და რაოდენობა. ეს ფაქტები კიდევ უფრო ამაგრებს ქართულ ისტოროგრაფიაში არსებულ მოსაზრებას, რომ გადასახადები სათავადოებზე გაუნაწილებლად მოდიოდა და თავადები თავის სურვილისამებრ თვითონვე ანაწილებდნენ მცხოვრებლებზე [3, 224-225]. ამრიგად, აშკარად ჩანს, რომ სახელმწიფო გადასახადების შეკრება დეცენტრალიზებულია – ანუ თავადი თვითონ იყო პასუხისმგებელი გადასახადების შეკრებაზე.

სულ სხვა საკითხია სათავადოების მიერ შეწერილი გადასახადების რაოდენობა. ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ ქართლის მხოლოდ დიდ სათავადოებზე, რადგან „დასტურლამალი“ გარკვევით მათ ეხება. საამილახოროს, ქსნის საერისთავოს, არაგვის საერისთავოს, საციციანოს, სამუხრანბატონოს და საყაფლანიშვილოს მხოლოდ 1200-1300 კომლი იხდიდა სახელმწიფო გადასახადს, მაშინ როდესაც მხოლოდ საყაფლანიშვილოში, 1721 წლის აღწერის დავთრებით, 1100 კომლზე მეტი გამომღები ყმა-გლეხი ცხოვრობდა [5, 138-156]. ხოლო ყველა ამ სათავადოში იმ დროს სულ მცირე 10-12 ათასი კომლი უნდა ყოფილიყო. გამოდის, რომ ამ სათავადოებში მცხოვრები ყმა-გლეხთა მხოლოდ მეათედი იხდიდა გადასახადს, დანარჩენი ნაწილი კი ცხადია გათავისუფლებული იყო ამ ვალდებულებისგან. არაგვის ერისთავის მამული კი თითქმის სრული შეუვალობით სარ-

გებლობდა. გადასახადის ნაწილობრივ გადახდა სათავადოებისათვის „საგადასახადო იმუნიტეტის“ მეორე ფორმა იყო. დიფერენციაცია ჩანს, ასევე დიდ სათავადოთა შორისაც. „დასტურლამალი“ საციციანოს აკისრებს 601 გამომღების საწილოს გადახდას. ხოლო, ქსნის საერისთავოში 94, საამილახვროში 204, საყაფლანიშვილოში 300-ზე ნაკლები კომლი იხდიდა გადასახადს. მაშინ, როდესაც, საციციანო არც ერთ მათგანს არ აღემატებოდა. ჩანს, საციციანო, რომელიც ამ დროს ორ ნაწილად იყო გაყოფილი, შედარებით არაპრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა თავისი ძლიერების შერყევის (გაყოფის) გამო და სხვა სათავადოებზე მეტ გადასახადს იხდიდა. ასეთი სურათი იშლება აღნიშნულ ეპოქაში სახელმწიფო გამოსაღების მოკრეფის მხრივ.

XVIII საუკნის II ნახევარში ერეკლე II-მ ქართლ-კახეთის სამეფოს მმართველობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. ამ დროს საგრძნობლად გაიზარდა სამოხელეო შტატები. თუ წარსულში მრავალი თავადი ნომინალურად ფლობდა სახელოს და თავის ფუნქციის მიუხედავად საკუთარ სათავადოში იჯდა, ამ პერიოდში ხდება მოხელეთა კონცენტრაცია სამეფო კარის გარშემო. მათი შენახვა და ულუფა-ჯამაგირით გასტუმრება, ცხადია სამეფოს ხარჯებს მნიშვნელოვნად ზრდიდა. ქართლ-კახეთის სამეფოში ხშირი იყო დაქირავებული ჯარის მოწვევის ფაქტები. პარალელურად შეიქმნა საარტილერიო პოლკი და ა.შ. შექმნილ ვითარებაში სამეფო კარი ცხადია საგადასახადო სისტემის არსებულ მოდელს ველარ შეურიგდებოდა და გაატარებდა ღონისძიებებს მისი ცენტრალიზაციის მიზნით.

XVIII საუკუნის II ნახევარში ერეკლე II-მ ქვეყნის აღწერის ერთპიროვნული ფუნქცია ჩამოართვა სარდლებს და ის ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივად აქცია. ვფიქრობთ, ეს ფაქტი იყო ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა საგადასახადო სისტემის ცენტრალიზაციისათვის. ამავე პერიოდში ტრადიციულ სახელმწიფო გადასახადებს დაემატა ე.წ. „არაჩვეულებრივი“ გადასახადები (როგორიც იყო „სალეკო“ – ლეკთა ჯარის დასაქირავებლად, „სარუსო“ – რუსეთის ჯარის შესანახად და სხვა). ამ გადასახადებს, რომ სახასო გლეხებთან ერთად, სათავადო გლეხებიც შეღავათების გარეშე იხდიდნენ ეს დასტურდება დოკუმენტურად. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის Hd ფონდის საბუთი № 665 შემდეგი შინაარსისაა: „ქ. ღ[მერ]თ[მა]ნ ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მისცეს ფალავანდიშვილს გოგიას და ზურაბს. მერე ხუთი კომლი ვაცი მყავს. ერთი კაცი ნა-

თათრალი არის და ტყვეობიდამ მოსული არის და გლახ არის, რომ არაფერი არა აქვს რა, და იმის მაგიერ ოთხი წელიწადია მე ვაძლევ ხარჯს. იმას რომ შეძლება არა აქვს. და ოთხი კომლი კაცი სხვა არის, თუმცა ისინიც ღარიბები არიან, მაგრამ თქვენს სამსახურზედ ხმას არ ამოვაღებინებთ ხოლმე. ახლა ექვსის კომლი კაცის სალეკოს მთხოვენ და მაწუხებენ თუ ამ ხუთ კომლს კაცს გარდა მე კაცი მყანდეს თქვენი რისხვა მომცეს. წყალობას გთხოვთ, მე რაცა მყავს იმაზედ მეტ[ი] არ გამომერთვას". არზას ახლავს ერეკლე მეორის ოქმი: „იოსებ მდივანო მელ[იქ]ო ავეტიქა და ყალფა[?] ბაღდასარ ესენი ასე რო ჩივიან თუ ამათი მოხსენებული მართალია და ამაზე მეტი კაცი არ [ჰყავს და] რას ემართლებით. მეტს ნუღარ აწერთ, რაც ყვანდესთ იმათ შეაწერეთ. დეკემბრის [კ]" [17] ამ საბუთიდან ჩანს, რომ ყველა სახის სახელმწიფო გადასახადს, მათ შორის „სალეკოსაც", იხდის თავადის ყმები. საბუთიდანვე ჩანს, რომ გადასახადი შეეწერებათ მოსახლეობას კომლობრივად. არზის მიხედვით ვერ კონკრეტდება, თუმცა კონტექსტიდან ჩანს, რომ გადასახადის აკრეფა და მეფისათვის მირთმევა არა თვადს „სძეს", არამედ მას აგროვებს მოხელე. თუმცა გარკვეული პასუხისმგებლობა თავადსაც ეკისრებოდა.

ანალოგიური დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ სოლომონ მეითარის ერეკლე II-სადმი მირთმეული არზიდან: „ქ. ღ[მერ]თ[მა]ნ ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს თქვენს მეითარს სოლომონს. მერე ამასა მოვახსენებ მათს სიმაღლეს: წრეულ ჩემი ორი კომლიანი კაცნი ფაფაკერაშვილები სიღნაღს ჩავიდნენ: ცოლშვილი აქ გაყარეს და თითონ იქ გახლავან. აქ ხარჯს იმათ მაგიერ სხვას გთხოვენ. გევედრები, ერთი ოქმი მიბოძოთ მოურავზედ, რომ მებოძოს. ერთს აქა ყამთ ცოლშვილი და ერთმა იქ შეირთო. ჩემი სამკვიდრო ყმანი გახლავან და თუ სიტყვა აქვს ვისმე, თქვენს სასამართლოში მელაპარაკოს. იანვრის ბ. ქ.კს. უოთ" [4, 158]. ამ საბუთით მებატონე თავის ყმების დაბრუნებას ითხოვდა, ჩვენთვის საინტერესო კი ის ფაქტია, რომ გადასახადის გაწერა ხდებოდა არა სათავადოზე, არამედ თითოეულ კომლზე. ამ მოსაზრებას პირდაპირ ეხმაურება 1771 წელს გაცემული საბუთი. დოკუმენტი წარმოადგენს არზას ქსნის ერისთავების ყმების გადასახადების გაწერის თაობაზე. არზას ახლავს ერეკლე II-ს ოქმი: „ქ. ბატონო სახლთუხუცესო დავით და მდივნებო! მერე ქსნის ერისთავის მთის კაცთ, რომელთაც კოდის პური წინაპართ ჩვენის პაპების დროს არ ზდებიათ, უდებს არც ახლა ჩვენა ვთხოვთ. და რომელიც ვაკის კაცთ კოდისპური ზდებიათ იმათ უნდა მოგვცენ. მთის კაცს გარდა რაც დღეს ყმა ჰყავთ, რომელსაც ალაგს კოდისპური ზდებიათ, ეს გლეხი კაცი აღრიცხეთ და კომლზე კოდის-

პური, როგორც ქართლში სხვას შეაწეროთ, ისე ამათ ყმას შეაწერეთ. აღიწერა ოკდომბერს ქორონიკოს უნთ. ახლა რომ გაყრის ლაპარაკი ჰქონდათ, ამათ დავთარი ხომ დაიწერა და მდივნებს აქვთ. მთას გარდა იმაზე უნდა შესწერდესთ" [10, 192-193]. დოკუმენტში ნათლად არის მითითებული, რომ გადასახადი გაიწერებოდა კონკრეტულ პირზე და არა სათავადოზე. ასეთი შინაარსის დოკუმენტები მრავლადაა ჩვენს არქივებში დაცული.

რაც შეეხება გადასახადების შეკრების ორგანიზებას, აქაც განსხვავებული სურათია. 1802 წლის ქართლისათვის შეწერილი სახელმწიფო პურის გადასახადის – სურსათის – დავთარში არის ქართლ-კახეთის სამეფოს ყოფილი მდივანის ეგნატე თუმანიშვილის მინაწერი: „საქართველოში საზოგადო მცხოვრებელთ ყოველ წლივ განწესებული კომლზედ სამი კოდი სურსათი შეეწერებოდათ, ორი წილი პურისა, მესამედი ქერი; ოცდაორ სტილიანი ლიტრით გამოართმევდნენ და იასაულებს, სადაც მიტანის ბრძანება ექნებოდათ, იქ მიატანინებდნენ და სამეფო ხაზინაში დაიდებოდა. ყველას ამრიგათ ეთხოვებოდათ, როგორადაც სწერია". მართალია, იმ წლებში ფაქტიურად ჩაიშალა გენერალ ლაზარევის ხელმძღვანელობით გადასახადების აკრეფის საქმე, თუმცა ეს დავთარი მაინც მნიშვნელოვანია. დავთრიდან, ისევე როგორც თუმანიშვილის განმარტებიდან ჩანს, რომ გადასახადს იხდიდა სამეფო, სათავადო თუ საეკლესიო ყმები. დავთრიდან, მისი ნაკლოვანების მიუხედავად, ირკვევა, რომ სათავადოებში „დასტურლამალის" განსაზღვრული გადამხდელთა რაოდენობა აშკარად მომატებულია [15, 132-155]. რაც შეეხება გადასახადების შეკრების ორგანიზებას, ამ მხრივ აღნიშნული საბუთი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. ეგნატე თუმანიშვილი ნათლად განმარტავს თუ ვინ კრებდა გადასახადებს (ამ შემთხვევაში კოდის პურს) – „... ოცდაორ სტილიანი ლიტრით გამოართმევდნენ და იასაულებს საცა მიტანის ბრძანება ექნებოდათ, იქ მიატანინებდნენ." დოკუმენტი აშკარად უთითებს, რომ გადასახადის შეკრება სამეფოს მოხელეებს – იასაულებს – ევალებოდათ.

სახელმწიფო გამოსაღების შეკრების ორგანიზებას რომ მართლაც ცენტრალური ხელისუფლების მიერ, სპეციალურად ამ საქმისათვის, დანიშნული მოხელეები აწარმოებდნენ და არა სათავადო სახლის უფროსები, ეს კარგად ჩანს თავად ზაალ ორბელიანის პავლე ციციანოვისადმი მირთმეულ მოხსენებიდან: „საქართუჱლოს სურსათი სულ მე უნდა ამეკრიფა და ამბადარისათვის მიმებარებინა მთის და ბარისა. ნიადაგ წელიწადს ექვსასი ხარვარი დაიწერებოდა, აქედამ ჩემი სარგო-გლეხის კაცისაგან ათ ლიტრაზედ ერთი ლიტრა

ჩემი იყო, საიასაულო იყო, ეს უნდა ამეღო“ [7, 29]. დოკუმენტებში ზაალ ორბელიანი „მესურსათედ“ იხსენება.

სახელმწიფო გადასახადების შეკრების ორგანიზების შესახებ პირდაპირ ინფორმაციას გვაწვდის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული 1818 წლის კრებულის ერთ-ერთი ნაწილი. დოკუმენტის ტექსტი ასეთია: „მეფის ირაკლის რიგი და განწესება ასე იყო, როდესაც თავის საბრძანებელში შეწერას რისამე ინებებდა, სამეფო სალთხუცესს და მდივნებს უბრძანებდა. სალთხუცესთან მდივნები დავთრის მიტანით მივიდოდით და ისე შევაწერდით. და როდესაც სალთხუცესი იქ არ იქნებოდა ჩვენ მდივნები ერთმანეთის შეტყობით შევაწერდით სურსათსა და თუ სხვა სათხოვარს, რომ სულხან მდივანსაც ბევრჯელ შეუწერია, იოსებ მდივანსაც ბევრჯელ შეუწერია, ეგნატი მდივანსაც შეუწერია და მეც შემიწერია, რადგანაც სამეფო სახლის მდივანნი ამაში ხსენებულნი ვაყავით, ამგვარი შეწერა ჩვენზედ იყო მინდობილი. შეწერილის სურსათსა და თუ სხვა რისიმე აღების იასაული ზოგჯერ სახელდობ თვით მეფეს დაუნიშნავს და გაუგზავნია, მაგრამ უფროსი ერთი სხვა მეფისაგან უთხოვიათ და მეფესაც უბოძებია და რაც აუღიათ თავ თავის თავლიდრებისათვის მიუბარებიათ“ [16].

ანალოგიური შინაარსისაა ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოქვეყნებული „მოხსენება ეგნატე თუმანოვისა თეოდორე ალექსის ძისადმი სურსათის შემწერთა შესახებ საქართველოს მეფის დროს“ – „მაღალ-კეთილშობილო მოწყალევ ჰელმწიფევ, ფეოდორ ალექსის ძევ! მოწერილი ჩემდამი თქვჱნის მაღალ-კეთილშობილებისგან ჩემ მიერ ცნობად თქვენდა თუ ვინ იყვნენ დროთა საქართველოს მეფეთასა სურსათის შემწერნი და ანუ შემკრებელნი სურსათისანი, გამოუცხადებ თქვენს მაღალ კეთილშობილებას ესრეთ, რომელ მეფის ირაკლის დროს მე ვიყავ შემწერი სურსათისა და სხვათა ხარკთა, ვინაითგან იყო ჩემდა რწმუნებული დავთარნი ხარკთა შეწერისანი. და იყო შემკრები სურსათისა მის განსვენებული თავადი ზაალ ორბელიანოვი და უკანასკნელისა ჟამსა მეფის ირაკლისა თვით მეფემან განჰყო სამად ნაწილად სურსათის შეკრება. გორის ვიეზდსა ნაწილი პირველი მიბოძა მევე, მეორე თავადს მანუჩარ თუმანოვსა და მესამე თავადს ომან ხერხეულიძესა; ხოლო დროსა მეფისა გიორგისასა კ.დ ვიყავ შემწერი სურსათისა და სხუათა ხარკთა და მევე მებარა დავთარნი და შემგროვებელნი სურსათისა იყუნენ თავადი ასლან ორბელიანოვი და თავადი შანშე ერისთოვი, რომელნიცა შეჰკრებდნენ და მიაბარებდნენ განწესებულსა ამბარდანსა და დროსა საქართველო-

სა შინა ღუბერნის გახსნისასა დავთარი იგი რომელი მებარა მე მყოფმა ღუბერნატორად კოვალინცკმა მთხოვა, რომელიცა წარვუდგინე და იგი დადებული იქმნა რა კაზენის ექსპედიციასა შინა 1803-სა ჩყგ წელსა წარგზავნილ იქმნა რა კაზენის ექსპედიციისა მის სოვეტნიკი თავადი ომან ხერხეულიძე გორის უიეზდსა შინა შესაწერად სურსათისათვის, ვუწყი ესე, რომელი დროსა შეწერისასა მისგან სურსათსა არავინ იყო დამსწრე მისთანა და არცა შეუწერია მას მეფეთ დროს ნამოქმედარის მის დავთრითა, რომელიცა ან არის კაზენის ეკსპედიციასა შინა.

მოწყალეო ჰელმწიფეო მდაბალი მოსამსახურე თა˜ი ეგნატე თუმანოვი;

მარტი 8 ჱდღესა 1810-სა ჩყი წელსა“ [6, 146].

ამ საბუთიდან ნათლად ჩანს, რომ წარსულს ჩაბარდა ის დრო როდესაც მძლავრი თავადები საგრძნობი შეღავათებით საგრებლობდნენ; როდესაც მეფეს არ ჰქონდა მათი ყმების ზუსტი მონაცემები და კმაყოფილდებოდა იმ ნომინალური გამოსაღებით, რასაც თავადი მიართმევდა მას; საბუთიდანვე ჩანს, რომ ცენტრალური ხელისუფლება ყოველი გადასახადის შეგროვებას მკაცრად აკონტროლებდა; რომ გადასახადების შეწერა ხდებოდა სამეფო კარზე არსებული ქვეყნის აღწერის დავთრების მიხედვით, კომლობრივად და არა პროვინციების მიხედვით; რომ ამ გადასახადების შეკრებას მეფის ხელისუფლება აკონტროლებდა; რომ გამოსაღების გამოღება ევალებოდათ მეფის მოხელეებს – სურსათის იასაულებს და სხვა სპეციალურად ამ საქმისთვის გამოყოფილ მოხელეებს. ეს დოკუმენტი, როგორც მისი შინაარსიდან ირკვევა, ქართლ-კახეთის სამეფოს ერთ-ერთი მდივნის მიერ არის შედგენილი და მისი სანდოობაც ეჭვქვეშ არ უნდა დავაყენოთ.

სახელმწიფო გადასახადებთან და მისი შეკრების ორგანიზებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის საბუთებიდან ირკვევა, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში გამოსაღების გამოღებაში მონაწილეობას იღებდნენ შემდეგი პირები: სახლთუხუცესი, მდივნები, მესურსათენი, ანუ მეკოდისპურენი და იასაულები. შეკრებილ სურსათს თავლიდარებს და ამბადარებს აბარებდნენ. ჩანს, რომ ერეკლე II-მ ამ სფეროში ძირეული ცვლილებები გაატარა და სპეციალური უწყება შექმნა.

წყაროებიდან ირკვევა, რომ სურსათის მსგავსად, გლეხთა სხვა გადასახადების შეკრებაც მეფის მოხელეების საშუალებით ხდებოდა.

საბოლოოდ აღვნიშნავთ, რომ ერეკლე II-მ მოახერხა საგადასახადო სისტემის სრული გარდაქმნა. აღნიშნულ რეფორმას ორმხრივი მნიშვნელობა გააჩნდა: I. სახელმწიფო გადასახადები გაცილებით რაციონალურად იკრიბებოდა, რაც თავისთავად ზრდიდა სამეფოს შემოსავლებს; II. თავადებს ჩამოერთვათ ე.წ. საგადასახადო იმუნიტეტი – მათი ყმები, ისევე როგორც სახასო ყმები, სრულიად იბეგრებოდნენ და ამ გადასახადის განაწილება-შეგროვების ერთპიროვნული უფლებაც დაკარგეს მათ. ერთი სიტყვით საგადასახადო სისტემა ცენტრალიზებული გახდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გ. აკოფაშვილი, სასარდლოების შესახებ ქართლის სამეფოში, ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976.
2. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, სახელმძღვანელო, თბ., 1946.
3. დ. გვრიტიშვილი, ფეოლალური საქართველოს სოციალური ურთიერთობების ისტორიიდან, თბ., 1955.
4. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, რედ. ნ. ბერძენიშვილი, ტ II, თბ., 1953.
5. ო. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, ნაწ. 1 და 2, მოსახლეობის და მფლობელობის სტატისტიკა, თბ., 1935.
6. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, რედ. ბერძენიშვილი, წიგნი III, თბ., 1955.
7. მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I (26), თბ., 1948.
8. ო. სოსელია, სახელმწიფო მმართველობის გადახალისების ცდები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
9. ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966.
10. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ი. დოლიძემ, ტ. VII, თბ., 1981.
11. ქართული სამართლის ძეგლები, „დასტურლამალი", ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970.

12. მ. ქიქოძე, ქართული სათავადოების ისტორიიდან XV-XVIII სს., (საამილახვრო), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, თბ., 1963.
13. გ. ჯამბურია, სოციალური ურთიერთობები და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI-XVIII სს., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1973.
14. გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.
15. შ. ხანთაძე, სახელმწიფო პურის გადასახადი (სურსათი) ქართლ-კახეთში მე-19 საუკუნის დამდეგს, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ., 1955.
16. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A ფონდი, №1648.
17. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd 665.

Apolon Tabuashvili

The Ph. Doctoral student of the faculty of humanities of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

About the issues of tax collection organization in the 2nd half of 18th century at Kingdom of Kartl-Kakheti

Summary

The kingdom of Kartli during the late middle ages was the assembly of *satavado* (organized feudal system, similar to dukedom). The *tavads* (The heads of the *satavado*) were enjoyed the privilege that was expressed in the partial liberation from the state duties.

In 70s of 18th century tax payment system was changed. According to reports of secretary of state – Egnate Tumanishvili and other officials, central government had a strict control over all kind of tax regulation in the realm. Concerning the financial accounts that were kept in the royal court the taxes were imposed in order of family principle and not with regional. The collection was provided by officials of king – *provision Yassauls*. Shortly afterwards, king Erekle II arranged the total recast of tax payment system. The upper mentioned reform had two major importances: 1. the state taxes were collected more rationally. 2. The immunity of *satavado* was abolished, consequently their peasant's likewise the royal peasants were fully levied and the right of complete arrangement or collection of this charge was deprived from them.

დოდო ჭუმბურიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი განყოფილების მთავარი მეცნიერ თანამშრომელი

„თანამედროვეობის ყველაზე დიდი მეცნიერი“ და „საქართველოს ლომონოსოვი“ – ვასილ პეტრიაშვილი 1845-1908

ვასილ პეტრიაშვილი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის – სოციალ- ეკონომიკური რეფორმებით, რევოლუციებით, კლასობრივ-პარტიული დაპირისპირებით, მსოფლიო ომის სამზადისით დატვირთული ეპოქის შვილია. ის თავდადებული და უანგარო საზოგადო მოღვაწე იყო. თანამედროვეები მას შეუდარებელ პედაგოგად და აღმზრდელად, იშვიათი კეთილშობილური თვისებებით დაჯილდოებულ ადამიანად, ქველმოქმედ და საზოგადო საქმეების ორგანიზატორად მიიჩნევდნენ. ამას უნდა დავუმატოთ ამ დიდი ადამიანის მთავარი ღირსება – ის არა მარტო რუსეთის იმპერიის მასშტაბით, არამედ ევროპის ქვეყნებში სახელგანთქმული, თავისი ეპოქის ცნობილი მეცნიერი იყო. ამ დიდმა მეცნიერულმა ავტორიტეტმა განაპირობა ის უჩვეულო ფაქტი, რომ შოვინისტური რუსული იმპერიული წრეებიც კი ვერ წავიდნენ წინააღმდეგი ამ „ინოროდცის“ კანდიდატურაზე და იგი იმპერიაში გამორჩეული ოდესის უნივერსიტეტის რექტორი გახდა. ცნობილი ქართველი მეცნიერი, თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი მასზე ამბობდა: „მე რომ დაჯილდოებული ვყოფილიყავი პოეტური ნიჭით და მიზნად დამესახა – მომეცა სახე ყველა საუკეთესო ზნეობრივი თვისებით აღჭურვილი ადამიანისა, რომელშიაც განსახიერებული უნდა ყოფილიყო გულკეთილობა, შეერთებული ჭკუასთან, – მე გამოვსახავდი ვასილ მოსეს-ძე პეტრიაშვილს...“[1, :19].

მისი ერთ-ერთი მოწაფე – ილია ნაკაშიძე წერდა: „პატიოსან და სიმართლის მოყვარულ ადამიანებს რაღაც განსაკუთრებული ფერი და იერი მოსდგამთ... მათი სიტყვა ისეთივე მტკიცე, პატიოსანი და პირდაპირია, როგორც მთელი მათი ცხოვრების მიმართულება. ყოველთვის ვატყობდი განსვენებულ ძვირფას ვასილ მოსეს-ძეს თვალებში დინჯსა და პატიოსნურ გამომეტყველებას, ყოველთვის

ვგრძნობდი, რომ იგი ცხოვრებას ისე უცქერის, როგორც კეთილ და სერიოზულ საქმისათვის მოვლენილ ნიჭს, რომ იგი ძვირად აფასებს ამ ადამიანურ თვისებას, უფრთხილდება და უკვირდება თავის თვითეულ სიტყვას, აზრსა და ქცევას. ამიტომ ვასილ მოსეს-ძესთან საუბრის შემდეგ ყოველთვის ვგრძნობდი ჩემს გულში რაღაც საიდუმლო გამამხნევებელ ძალას, თითქო ვპოვებდი ცხოვრების საზომს, ამ ცხოვრების ღრმააზრიან შინაარსის კარგად მცოდნე ადამიანს... ასეთი ადამიანების სიახლოვის დროს თითქოს წმინდა და თავისუფალ ჰაერსა სუნთქავ, ცხოველმყოფელი გრძნობა გეღვიძება გულში და ფეხქვეშ მტკიცე ნიადაგს გრძნობ...“

ვასილ პეტრიაშვილის ნიჭს დიდ შეფასებას აძლევდა დიმიტრი მენდელეევი. XIX საუკუნის 80-იან წლებში, ბუნებისმეტყველთა ერთ-ერთ კრებაზე, რომელსაც პეტრიაშვილი ვერ დასწრებია, მაგრამ ნაშრომი წარუდგენია, მენდელეევისათვის უკითხავთ, თუ ვინ მიაჩნდა თანამედროვეობის ყველაზე დიდ მეცნიერად, მას უპასუხია: ვასილ პეტრიაშვილიო[1, 15].

აკაკი წერეთელი „საქართველოს ლომონოსოვს“ უწოდებდა ვასილ პეტრიაშვილს, რომელთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც მეცნიერმა მისი ახლო ნათესავი– მამია გურიელის დისწული– ეკატერინე თავდგირიძე შეირთო ცოლად. ქუთაისში ჩამოსულ მეცნიერს „ჩვენს სიძეს“ ეძახდა და ამბობდა თურმე: პეტრიაშვილს ტყუილად აბრალებენ სამშობლოდან გადასახლებას, საქართველო მას გულში უზის და ყველგან თან დაჰყვება, სადაც მივა, ისიც ფესვს იყრის მის ირგვლივო...პოეტი ხშირი სტუმარი იყო პეტრიაშვილების დიდი კულტურული კერისა ოდესაში, რომელსაც, რუსუდან ნიკოლაძის თქმით, „ზღვისგაღმა პატარა საქართველოს“ უწოდებდა. იგივე რუსუდან ნიკოლაძე წერს, რომ პეტრიაშვილს განსაკუთრებული სითბო აკავშირებდა თერგდალეულების იმ „უმცროს შტოსთან“, რომელიც თავის თავს „რიონისპირელ თერგდალეულებს“ უწოდებდა. ამ ჯგუფში შედიოდნენ აკაკი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, გიორგი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე. ამ მოღვაწეთა ირგვლივ შემოკრებილი იყო სამოცდაათიანელთა ე. წ. „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფი. ამ წრეში შედიოდნენ ასევე 1873 წელს შვეიცარიაში გამგზავრებული ქართველი ქალები, რომელთაც თავიანთი წრე დაარსეს, ამ წრის წევრი იყო 1878 წელს პარიზში ვასილ პეტრიაშვილის მიერ გაცნობილი ეკატერინე თავდგირიძეც[2, 36-42].

ვასილ პეტრიაშვილი 1845 წლის 4 მარტს (ძველი სტილით 20 თებერვალს) დაიბადა, თბილისის გუბერნიის სოფელ წალასყურში,

სოფლის მღვდლის ოჯახში. ოთხი წლის ასაკში მას დედა გარდაეცვალა და ვაჟის აღზრდა მამის ხელში გადავიდა. მამა უკეთილშობილესი ადამიანი იყო და საზოგადოების დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა. მომავალ მეცნიერს მამის ხასიათის საუკეთესო მხარეები – გულკეთილობა, გაჭირვებულთა შებრალება და დახმარების სურვილი ბავშვობიდანვე გამოუმუშავდა.

ვასილ პეტრიაშვილის ძმისშვილის – რომანოზ გრიგოლის-ძე პეტრიაშვილის მოგონებაში, რომელიც მისმა შვილთაშვილმა, ისტორიკოს-ეთნოლოგმა ნინო ღამბაშიძემ გადმომცა, ვკითხულობთ, რომ პეტრიაშვილების გვარი 200 წლის მანძილზე ეწეოდა მღვდელთმსახურებას. მოსე პეტრიაშვილის სამი ვაჟიდან ორმა – საბამ და გრიგოლმა საეკლესიო მოღვაწეობა, წინაპართა საქმე გააგრძელეს, საბა მღვდელი იყო, გრიგოლი – დეკანოზი. უმცროსმა ვასილმა საერო მოღვაწეობის გზა ამჯობინა, რის გამოც მამის უკმაყოფილება დაიმსახურა. იგი პირველი ქართველი პროფესორი გახდა ქიმიის დარგში.მოსეს ქალიშვილები არ ჰყოლია, მღვდლად მუშაობდა თბილისის ახლო სოფლებში: კობაში, წალასყურსა და კუმისში. წალასყურში, სადაც ვასილი დაიბადა, ოჯახს სახლი და ბაღი ჰქონია, ჰყოლია ბევრი საქონელი, – საკმარისად ხარ-კამეჩი, ძროხები და ცხვრები.

როდესაც მოსე დაქვრივდა, ეგზარქოს ევსევს თხოვა – უფროსი ვაჟი – საბა მღვდლად მიკურთხე და ჩემთან გაამწესეო. ეგზარქოსს დაუკმაყოფილებია მისი თხოვნა, საბა უკურთხებია და მამასთან გაუმწესებია. [3]

ვასილ პეტრიაშვილმა პირველდაწყებითი განათლება ოჯახში, მამის ხელმძღვანელობით მიიღო. თერთმეტი წლის ასაკში იგი თბილისის სასულიერო სემინარიაში მიაბარეს. 1862წელს, ოთხი კლასის დასრულების შემდეგ, მამას რუსეთში სწავლის გაგრძელების უფლება თხოვა, მაგრამ სასტიკი უარი მიიღო და კვლავ გააგრძელა სემინარიაში სწავლა. 1863 წლის შემოდგომაზე მოსე პეტრიაშვილი უეცრად გარდაიცვალა, რაც უდედოდ გაზრდილი ძმებისთვის დიდი ტრაგედია იყო.

1864 წელს ვასილმა სემინარია დაასრულა, უფრო სწორად- ექვსი კლასი. სემინარიაში ის გამოირჩეოდა სიბეჯითითა და მუყაითი სწავლით. მართალია, სწავლების დონე არ აკმაყოფილებდა, მაგრამ ხარბად ეწაფებოდა აკრძალულ ლიტერატურას. როდესაც სემინარიის მასწავლებლად და ბიბლიოთეკის გამგედ იაკობ გოგებაშვილი დაინიშნა, დიდი პედაგოგის ხელშეწყობით მას საინტერესო ლიტერატურის კითხვის მეტი საშუალება მიეცა. სასულიერო სემინარიაში

ადგილობრივი წესების გათვალისწინების გარეშე გადმოიღეს რუსულ სკოლებში არსებული წესები. სწავლების პროცესს როზგი ერწყმოდა. არ ისწავლებოდა საქართველოს ისტორია, მას მსოფლიო ისტორიის შემადგენელ ნაწილად განიხილავდნენ, თუმცა არც იმ ისტორიაში რჩებოდა საქართველოს ადგილი. წარჩინებული მოსწავლეები და მათ შორის ვასილ პეტრიაშვილიც ითხოვდნენ ქართული ენის სწავლების გაფართოებას, საქართველოს ისტორიის შეტანას სასწავლო პროგრამებში, რუსიფიკაციის პროცესის შეწყვეტას [4].

1864 წელს ვასილმა დაამთავრა სემინარია და სწავლის გასაგრძელებლად ოდესაში წასვლა გადაწყვიტა. სწორედ ამ წელს, ქალაქ ოდესაში რუსეთის მთავრობამ გახსნა ნოვოროსიის უნივერსიტეტი. ოდესა ახლოც იყო საქართველოსთან, ესეც გახდა ვასილ პეტრიაშვილის გადაწყვეტილების მიზეზი. წასვლის წინ მან ოჯახიდან თავისი წილი მოთხოვა უფროს ძმას – საბას, მან საკუთარი მოსაზრებით უარი უთხრა ძმას. იცოდა რა ვასილის მტკიცე გადაწყვეტილება სწავლის გაგრძელებაზე, ვასილისთვის უმცროს ძმას–გრიგოლს გაუწევია დახმარება, მან თურმე საკუთარი წლიური ხელფასი– წელიწადში 100 მანეთი დაუთმო ძმას მთელი სწავლის მანძილზე, გზის ფული – 50 მანეთიც მისცა და ასე უთხრა: ჩვენ ორივეს გვინდოდა რუსეთში სწავლა, მაგრამ მამამ არ გაგვიშვა. მე ახლა მღვდელი ვარ და ცოლიანი, აღარ შემიძლია რუსეთში წასვლა, შენ მაინც წადი და ისწავლეო. ვასილს ძალიან გახარებია ძმისგან გამოხატული ამგვარი სიყვარული, მადლობა გადაუხდია და ოდესაში გამგზავრებულა[ხელნაწერი მოგონებები].

ოდესაში ჩასულმა მომზადება დაიწყო ლათინურ ენასა და მათემატიკაში და გარკვეული დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ, 1865 წელს უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. თავდაპირველად ჩაერიცხა იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ მალე საბუნებიმეტყველო ფაკულტეტზე გადავიდა. ამ საკითხში მას თავისებური მოსაზრება, და საკმაოდ ლოგიკურიც, ჰქონდა. ამ დროის ქართველი სტუდენტობა, ძირითადად ჰუმანიტარულ სპეციალობებს ირჩევდა. საქართველოში სამეურნეო- ეკონომიკური დარგების სპეციალისტთა ნაკლებობა იყო, რასაც მომავალში არ შეიძლებოდა ეროვნული კადრების სიმცირე არ გამოეწვია და ეკონომიკურ სფეროში ისედაც მომძლავრებული უცხო ელემენტი არ გაეზარდა, ამას კი დიდი ზიანი მოჰქონდა ქართული ინტერესებისათვის. ქვეყნის მომავალზე დაფიქრებულ ახალგაზრდა კაცს ეს არჩევანი ბევრმა მოუწონა და ისიც გულმოდგინედ შეუდგა სწავლას. მათ შორის იყო ნიკო ნიკოლაძეც, რომელმაც პეტრიაშვილი გაიცნო 1869 წელს, როდესაც რუ-

სეთისკენ მიმავალმა ოდესაში გაიარა, შთამბეჭდავი საუბრისა და ღრმა ურთიერთგაცნობის შემდეგ, პეტრიაშვილს, რუსუდან ნიკოლაძის მოგონებით, დიდი მღელვარებით უმართლებია თავი იურიდიული ფაკულტეტის მიტოვების გამო, მოუტანია საბუთები თავისი ახალი სპეციალობის გასამართლებლად, რომელიც სავსებით დამთხვევია ნიკო ნიკოლაძის შეხედულებას ამავე საკითხზე. თბილისში დაბრუნებულ ნიკოლაძეს „დროების“ მთელი რედაქციისათვის გაუზიარებია თავისი შთაბეჭდილება პეტრიაშვილისა და მისი ძვირფასი გეგმების შესახებ, რასაც რედაქციის პატივისცემა გამოუწვევია. ერთი წლის შემდეგ, გიორგი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის დავალებით, პეტრე მელიქიშვილს თბილისში ჩამოუყვანია და „დროების“ რედაქციაში მიუყვანია ვასილ პეტრიაშვილი. აქ მას ისეთი აღფრთოვანებით შეხვედრიან, რომ თვალზე ცრემლები მოსდგომია.

პეტრიაშვილს თავისი პროფესიული არჩევანი ყოველთვის გამართლებულად მიაჩნდა, სხვებსაც იგივეს ურჩევდა, რადგან, მისი აზრით, საქართველოს ასე უფრო გამოადგებოდნენ. როდესაც ვასილ წერეთელმა ბუნებისმეტყველებაზე გული აიცრუა და იურიდიულზე გადასვლა გადაწყვიტა, მან აუხსნა, რომ ქიმიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის შესწავლა გაცილებით საინტერესო იყო, ვიდრე პოლიციური სამართლისა და ზედამხედველობის. ვასილ წერეთელი იგონებდა, როგორ ეზიზღებოდა ყოველგვარი ბიუროკრატიზმი და პოლიციეიზმი და როგორი გავლენა მოახდინა მასზე პეტრიაშვილის საღმა აზროვნებამ. კარგი ექიმი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ის შემდეგში ხშირად იხსენებდა და უსაზღვროდ აფასებდა მისი დიდი მასწავლებლის ცოდნას და ღვაწლს საქართველოს მიმართ.

ოდესის უნივერსიტეტში ამ დროს თავმოყრილი იყო საბუნებისმეტყველო დარგის საუკეთესო სპეციალისტები, რომელთაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ მაშინდელი ევროპული უნივერსიტეტების კორიფეებთან. ესენი იყვნენ: ი. მეჩნიკოვი, ლ. ცენკოვსკი, ნ. სოკოლოვი, ა. ვერიგო და სხვები.

ვასილი გაიტაცა ქიმიამ და ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გამოიჩინა განსაკუთრებული ექსპერიმენტული ნიჭი ამ დარგში, რითაც იმთავითვე მიიქცია თავის მასწავლებელთა ყურადღება. მართალია, ნოვოროსიის უნივერსიტეტში ძლიერი სპეციალისტები მოღვაწეობდნენ, მაგრამ ახალგახსნილ სასწავლებელში ტექნიკური აღჭურვილობა დაბალ დონეზე იდგა. ცნობილი მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი, რომელმაც ასევე ოდესის უნივერსიტეტი დაამთავრა, პეტრიაშვილთან მუშაობდა და ბოლომდე მისი მეგობარი იყო, შემ-

დეგში იგონებდა: „ქიმიური ლაბორატორია მოთავსებული იყო რამდენიმე პატარა ოთახში, რომლებიც ძალიან მოუხერხებელი იყო მეცადინეობისათვის: არ იყო არც აირი, არც წყალი, მუშაობდნენ სპირტის სანთურებზე, ხოლო მაღალი ტემპერატურისათვის სარგებლობდნენ ნახშირის ღუმელებით“...

მიუხედავად ამ დაბრკოლებისა, სტუდენტმა ვასილ პეტრიაშვილმა ჯერ პროფესორ ვერიგოს ხელმძღვანელობით, შემდეგ კი – დამოუკიდებლად ჩაატარა გამოკვლევები აზო და აზოქსიტოლუოლზე, კვლევის შედეგები გამოაქვეყნა გერმანულ ჟურნალში, რითაც უკვე მოიპოვა პოპულარობა სამეცნიერო წრეებში.

აზონაერთები, რასაც მიეძღვნა ვასილ პეტრიაშვილის სამაგისტრო დისერტაცია, ამ დროს წარმოადგენდნენ ახალ, ნაკლებად შესწავლილ ნაერთების კლასს და იზიდავდნენ ისეთი გამოჩენილი ქიმიკოსების ყურადღებას, როგორიც იყვნენ: ზინინი, ჟერარი, ლორანი, ბუტლეროვი, გრისი, კეკულე და სხვები. მათ შესწავლას ჰქონდა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან ეს ნივთიერებანი მჭიდრო კავშირში იყო მრავალ საღებავ ნივთიერებასთან, რომელთა მიღება შემდგომ საქარხნო გზით მოხდა.

1870 წელს პეტრიაშვილმა დაამთავრა უნივერსიტეტი კანდიდატის ხარისხით და როგორც ნიჭიერი ახალგაზრდა, დატოვეს უნივერსიტეტში, ტექნიკური ქიმიის კათედრაზე –ლაბორანტად.

1873 წელს ნოვოროსიის უნივერსიტეტმა ის მიავლინა საზღვარგარეთ, ბონში, ცნობილი მეცნიერის– კეკულეს ლაბორატორიაში სამუშაოდ და სასწავლებლად. 1874 წელს წარმტებით დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია თემაზე: „მასალები აზობენზიდის ჯგუფის შესწვლისათვის“. ნაშრომმა ქიმიის დარგში დიდი ინტერესი გამოიწვია არა მარტო იმიტომ, რომ ის ახალ სიტყვას და წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა, არამედ იმიტომაც, რომ მასში მეცნიერმა გააკრიტიკა თავისი მასწავლებლისა და დიდი ავტორიტეტის– კეკულეს თვალსაზრისი, მის მიერ შემუშავებული მეცნიერული კონცეფცია, შემოიტანა ახალი თვალსაზრისი, რაც გამყარებული იყო პრაქტიკული მრავალწლიანი ცდებით. პეტრიაშვილი აღწერდა მიტჩერლიხის მიერ აზობენზოლის აღმოჩენიდან (1834წ.) დაწერილ გამოკვლევებს და მოჰყავდა საკუთარი ცდებიც, მან მიაგნო სხვადასხვა ავტორის ცდებში არსებული სხვაობის მიზეზებს, გამოთქვა თავისი მოსაზრებანი აზონაერთების აგებულებაზე და სხვა[24-35]. ამ მეცნიერული აღმოჩენების შეფასება დღეს არათუ ჩვენთვის არის შეუძლებელი, არამედ დარგის სპეციალისტებისთვისაც, რადგან მეცნიერული პროგრესი ამგვარ აღმოჩენებს ყოველთვის აფერ-

მკრთალებს, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ პროგრესის მთელი უზარმაზარი შენობა სწორედ ისეთ აღმოჩენებზე დგას, როგორიც თავისი დროის დიდი ქიმიკოსის– ვასილ პეტრიაშვილის მაშინდელი მიგნება იყო. მან მსოფლიოს ბევრ თანამედროვე მეცნიერს გაუსწრო და ქიმიური მეცნიერება ახალი მიღწევებით გაამდიდრა. გარდა ამისა, მის ლაბორატორიაში და მისი ხელმძღვანელობით აღიზარდნენ საუკეთესო სპეციალისტები, რომელთა შორის იყო ვასილ პეტრიაშვილის სახელოვანი მოწაფე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი– პეტრე მელიქიშვილი.

1875 წელს ვ. პეტრიაშვილი აირჩიეს ოდესის (იგივე ნოვოროსიის) უნივერსიტეტის ტექნიკური ქიმიის კათედრის დოცენტად. ამ საგანს ის სიცოცხლის ბოლომდე კითხულობდა. პარალელურად მუშაობდა ორგანული ქიმიის დარგშიც. 1876-1879 წლებში პეტრიაშვილი ასევე ანალიზურ ქიმიაშიც კითხულობდა ლექციებს, ატარებდა უამრავ ცდას, ღებულობდა ახალ შედეგებს, აქვეყნებდა შრომებს, რომელთაც მეცნიერული აღიარება მოჰქონდათ მათი ავტორისათვის, რადგან ამ კვლევებს მარტო თეორიული კი არა, იმ დროისათვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც ენიჭებოდათ.

1877წელს პეტრიაშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „მონო და დიოქსიმალონის მჟავები“.ეს აღმოჩენაც მნიშვნელოვანი იყო ამ დროისათვის. როგორც პროფესორი ვ. კაკაბაძე აღნიშნავდა, მისი ბევრი შრომა დაიკარგა. ამის მიზეზი გახდა ის, რომ მეცნიერი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ახალი თვალსაზრისის გამოხატვას, ცდებს უამრავჯერ იმეორებდა, აყოვნებდა შედეგების გამოქვეყნებას, გარდა ამისა, ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მოულოდნელად გარდაიცვალა საზღვარგარეთ, რამაც მისი ნაშრომების შეგროვება გააძნელა. ბევრი ნაშრომი მას დაუმთავრებლად მიაჩნდა, საჭიროდ თვლიდა მასზე მუშაობის გაგრძელებას, რაშიც კოლეგები არ ეთანხმებოდნენ, მაგრამ ის ძალზე პრინციპული იყო, როდესაც საქმე მეცნიერებას ეხებოდა

1878 წელს მეცნიერი მივლინებული იქნა პარიზში, სორბონის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში, სადაც უსმენდა ისეთ შესანიშნავ მეცნიერებს, როგორებიც იყვნენ- ბერთლო, ვიურცი და სენ-კლერ-დევილი. პარიზში გამგზავრების წინ ის აირჩიეს ოდესის უნივერსიტეტის ტექნიკური ქიმიის კათედრაზე ექსტრაორდინარულ პროფესორად, იქიდან დაბრუნების შემდეგ კი, – 1881 წელს – ორდინარულ პროფესორად. 1900 წელს მიიღო დამსახურებული პროფესორის წოდება. მისი მრავალფეროვანი მეცნიერული ინტერესები შეეხო მევენახეობა-მეღვინეობის, მერძევეობის, მინერალური წყლების, მეურ-

ნეობის სხვადასხვა დარგებში არსებულ პრობლემებს. [6] მისი გარდაცვალების შემდეგ პეტრე მელიქიშვილმა გამოაქვეყნა მეცნიერის საინტერესო ანალიზი წყალტუბოს სამკუნალო წყლებისა და ახტალის შესახებ. სპეციალური წიგნი მიუძღვნა ძმრის წარმოებას. მეცნიერს დაწერილი ჰქონია ქიმიის სახელმძღვანელო ქართულ ენაზე, საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების აღწერა და სხვა, მაგრამ ეს ხელნაწერებიც, ისევე, როგორც ბევრი სხვა, უკვალოდ გაქრა.

მისი ნაშრომებიდან ქართულ ენაზე გამოვიდა მეღვინეობაზე (1894წ.) და მერძეველობაზე (1898წ.) დაწერილი წიგნები. მეცნიერის დამსახურებაა ქართულ ენაზე ქიმიური ტერმინოლოგიის შექმნა, რასაც მან დიდი დრო და ენერგია შესწირა. აღნიშნული შრომებისათვის კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ 1902 წელს ვ. პეტრიაშვილი თავის საპატიო წევრად აირჩია. მევენახეობა-მეღვინეობის საკითხებს მეცნიერი განსაკუთრებული ინტერესით ეპყრობოდა და იყო ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი ოდესაში 1895 წელს დაარსებული ჟურნალისა – „ვესტნიკ ვინოდელია“.

საქართველოში ძალზე პოპულარული გახდა მისი ნაშრომი მეღვინეობაზე, ღვინის დაყენების ქართულ და ევროპულ გამოცდილებაზე. ეს გამოკვლევა მთელი 1894 წლის ნომრებში იბეჭდებოდა ჟურნალ „მოამბეში“ [ჟ12, 1-12].

ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია მისი წერილების სერიამ – „ვაზი, მისი მოშენება და მოვლა“, რომელიც ჟურნალ „მეურნის“ 1896-1897 წლის ნომრებში იყო გამოქვეყნებული [№28-29; 1897:№4-9].

ჰქონდა რა უდიდესი საზოგადოებრივი აღიარება, პეტრიაშვილი გამორჩეული სიყვარულით იყო გარემოსილი როგორც სამშობლოში, ასევე რუსეთშიც. მის შესახებ არსებული მოგონებები და თვალსაზრისები გვარწმუნებენ, რომ ის მართლაც იყო თავისი ეპოქის მოწინავე და დიდი მოღვაწე, ფართომასშტაბიანი მოაზროვნე, კაცი, ვისაც მხრებით შეეძლო ეტარებინა ქვეყნის ჭირ-ვარამი. სამწუხარო იყო მარტოოდენ ის, რომ ეს ნიჭი და ძალა მთლიანად ვერ დაიხარჯა საქართველოსთვის. მეცნიერს იმდენად უყვარდა მშობელი ქვეყანა და იმდენად ტკიოდა მისი სიშორე, რომ პატარა საყვედურიც კი, უბრალო მინიშნებაც ამაზე გულს ტკენდა და წონასწორობას აკარგვინებდა. სამშობლოს ის არასდროს განშორებია, სულიერად მაინც. როდესაც „მოამბე“ დაარსდა, მასში სპეციალურად მისთვის გამოიყო მეცნიერების განყოფილება, ბოლომდე მეგობრობდა „დროების“ ხელმძღვანელ ჯგუფთან– გიორგი წერეთელთან,

ნიკოლაძესა და სერგეი მესხთან. საქართველოს დახმარების სურვილი იდო მასში, როდესაც შვეიცარიაში დაარსებულ ქართულ საზოგადოება „უღელში“გაწევრიანდა და ყველაფერს აკეთებდა ამ საზოგადოების ქალთა წრის განათლებისათვის, მონაწილეობდა მის მუშაობაში, პედაგოგიურ ჩვევებს ასწავლიდა ციურიხში სპეციალურად „კალმით ბრძოლის“ შესწავლის მიზნით ჩასულ 5 ქალს: აქედან, რაც არ უნდა უცნაური იყოს, მხოლოდ მისი უახლოესი ადამიანის – პეტრე მელიქიშვილის და კეკე (შემდეგში სერგეი მესხის მეუღლე) დარჩა კალმით მებრძოლთა რიგებში, დანარჩენები კი – ოლიმპიადა და კატო ნიკოლაძეები, მაშიკო წერეთელი და ოლღა გურამიშვილი (ნიკოლაძის მეუღლე) იმწამსვე „ოდესის ქიმიკოსების ხაზს“ მიემხრენ და გატაცებით დაიწყეს ვასილ პეტრიაშვილის გეგმით მუშაობა, ე. ი. მწერლობის ნაცვლად პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მზადება.

პეტრიაშვილი ხედავდა – რა დაბნეულები იყვნენ ქალები და მათი მუშაობის გეგმიან მოწყობას მოჰკიდა ხელი, გაუზიარა მათ თავისი მეთოდი უცხო ენების თვითშესწავლისათვის, პრაქტიკულად რომ ეჩვენებინა ეს მეთოდი, თვითონაც მათთან ერთად დაიწყო უნივერსიტეტში სიარული. ყოველი ლექციის შემდეგ არჩევდა გერმანულად მოსმენილ ლექციებს, უცხო სიტყვებს უძებნიდა ქართულ ტერმინებს, მოსმენილ თეორიას აზუსტებდა ქართულად. ამ ტერმინებს იგი ყველა უღლელს რვეულში აწერინებდა, – შინ დაბრუნებულნი მადლობას მეტყვით, სკოლებში რომ დაიწყებთ მუშაობას, აუცილებლად გამოგადგებათო. ქართველი ქალების გასანათლებლად მას და ლოთარ მაიერთან მომუშავე პეტრე მელიქიშვილს ლექციებიც წაუკითხავთ ქიმიასა და ფიზიკაში. რუსუდან ნიკოლაძე, ალბათ დედისა და მამის გადმოცემით, ასე იგონებდა ამ ლექციებს: „პეტრეს ლექციებს აუდიტორია იღებდა, როგორც თავისი ტოლი ამხანაგის საუბარს, მაშინ, როდესაც ვასილ პეტრიაშვილი, იმჟამად თანამდებობით მხოლოდ ლაბორანტი, მათ ყველას თავის პროფესორად მიაჩნდა და მის მიერ მათთვის დაარსებული „ქართული უნივერსიტეტის რექტორად.“ ამ მუშაობით ჩაეყარა საფუძველი პეტრიაშვილის ცნობილ ქართულ ტერმინოლოგიას, რომელიც შემდეგში ასე ამშვენებდა ქართული პრესის ფურცლებს, ქიმიის ქართულ სახელმძღვანელოებს. „მოამბეში“ მათი ბეჭდვისას, გიორგი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე ხან ილიასთან, ხან აკაკისთან ერთად არჩევდნენ „ოდესის ბრძენის“ ახალ ტერმინებს და იგონებდნენ პეტრიაშვილის მათთვის მიცემულ დარიგებას სახელების სისტემატურ შეთხზვაზე, სიტყვების შემთხვევითი შეთხზვის ნაცვლად. ალბათ, ამ

დიდი მეცნიერის გავლენაც იყო, როდესაც დამოუკიდებლობის წლებში რუსუდან ნიკოლაძემ ქართული ტექნიკური მეცნიერების ტერმინოლოგიური ლექსიკონის შედგენა დაიწყო.

პეტრიაშვილი არ ანებებდა ქართველ ქალებს რუსულად თუ ევროპულ ენებზე ლაპარაკს, აიძულებდა მათ დილის საუზმეზე „ქართული ენის საათი“ დაეცვათ და რჩეული ქართული ნაწარმოებები წაეკითხათ, რომელსაც იქვე არჩევდნენ.

ქალებზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია პეტრიაშვილის მიერ წაკითხულ ორ ლექსს, რომელთაც ის თავის „გულისთქმას“ უწოდებდა. ეს, მაშინ სულ ახალგაზრდა პოეტის –გიორგი ქოჩაკიძის (ჭალადიდელის) ნაწარმოებები იყო და მათით საქართველოში ბევრი იყო აღფრთოვანებული. ლექსები–„მოგონება“ („მახსოვს პირველად სასწავლებელში“) და „გორდის მთაზე“ დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“. ნიკოლაძემ ის გააპარა, მაგრამ ცენზურა არ მოტყუვდა, ნომერი შეაჩერა და ორივე ლექსი ამოიღო. სინამდვილეში ამან ლექსების პოპულარობა გაზარდა, ყველამ ზეპირად იცოდა ეს ლექსები და მეგობრებმა ოდესაშიც გადაუგზავნეს პეტრიაშვილს, რათა იქაური ქართველებისთვისაც გაეცნო. პეტრიაშვილი დედის დარიგების ძალას თურმე სახარების ძალას ადარებდა იმ ურთულეს პირობებში მყოფი საქართველოსათვის.

„მაგრამ ამას გთხოვ ყველაზე უფრო
არ დაივიწყო სამშობლო ენა...“ – ყველას ამ სტრიქონებს უმეორებდა. თუ რომელიმე „უღლელს“ მასთან რუსული სიტყვა წამოცდებოდა, იგი იმწამსვე ღიმილით მიმართავდა მას:

„მერწმუნეთ, რადგან გამოცდილია,
თუ საძირკველი დანგრეულია,
მაშინ კედლების აშენებისთვის
ყოველი შრომა დაკარგულია...“

ევროპაში ყოფნისას პეტრიაშვილი გაეცნო მომავალ მეუღლეს, ეკატერინე თავდგირიძეს, რომელთანაც ტკბილი ოჯახური კერა და დიდი სულიერი სითბო აკავშირებდა. პეტრიაშვილი ქართველებში ყოველთვის აღვივებდა საქართველოსადმი სიყვარულს, მისი ბუნებისა და სულიერი კულტურისადმი თაყვანისცემას. მას ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, ილიას და აკაკის შედევრები სხვაგვარად განუცდევინებია ქართველი სამოციანელი ქალებისათვის. თავის მხრივ, ისინიც აღფრთოვანებულნი იყვნენ მეცნიერით. ეს ადამიანი მათ ყოველწამს საქართველოს ახსენებდათ. ჟენევიდან მონბლანის დანახვის დროს – „აჩრდილში“ დახატულ ილიას მყინვარს იგონებდა, როცა რუანის ლაჟვარდ ჭალებს შეაქებდნენ ქართველე-

ბი, იქვე კონტრასტულ, მშობელი ქვეყნის მწუხარე სურათს დახატავდა: მტრისგან აოხრებული თბილისის ნანგრევებზე ბარათაშვილის გლოვას მოიყვანდა და მტკვრის „მღვრიე ტალღებს“ თითქოს მათ გულებში ააზვირთებდა. „მხოლოდ ბუტბუტებს მტკვარი მწუხარე, შემრთველი მრავალთ სისხლთა ქართველთა“. შაფჰაუზენში, რეინის განთქმულ წყალვარდნილზე მოწყობილი ექსკურსიის დროს, ერთ-ერთი ქართველის მიერ წარმოთქმულ ჰაინეს „ლორელაის“ სტრიქონებს მან ილიას მიმართვა დაუპირისპირა ალაზნისადმი: „მდინარევ, ჩემის მშობლიურ მთის ცრემლით შემდგარო, დაგცქერ ჭმუნვითა და შენს წყალში ვეძებ ჩემს წარსულს...“

უდედოდ და უდებოდ გაზრდილი „ლაბორატორიის განდეგილისათვის“, რომელიც ინსტიქტურად გაურბოდა ქალთა საზოგადოებას, უჩვეულო იყო ევროპაში შეხვედრილი ქართველი ქალების სითბო და და-ძმური სიყვარული. მისი სიმპათია განსაკუთრებულად ოლღა გურამიშვილს იმიტომ რგებია, რომ მასში ნათლად იყო გამოვლენილი ქართველი ქალის გამბედაობა და ნებისყოფა არჩეული მიზნის მისაღწევად. მამის ურყევი უარის გამო ოლღა გურამიშვილი დაშორდა ოჯახს და ნიკო ნიკოლაძის უმცროსი დის პასპორტით გაიპარა საზღვარგარეთ. ეს მით უფრო რისკიანი გადაწყვეტილება იყო, რომ ქალი საზღვარგარეთ ფოთის ნავსადგურით წავიდა, სადაც ნიკოს ოჯახს ყველა იცნობდა და ადვილად შეიძლებოდა სიყალბის გამჟღავნება, რის შემდეგაც ოლღაც და კატო ნიკოლაძეც ციხეში მოხვდებოდნენ.

ოდესაში დაბრუნებული პეტრიაშვილი ხშირ მიმოწერასთან ერთად, ფულსაც ხშირად უგზავნიდა შვეიცარიაში მყოფ ქართველებს. 1874 წელს ჟენევაში ის გიორგი წერეთელმა მიიწვია. იგი თვენახევრიანი შვებულებით გაემგზავრა ევროპაში და საკმაოდ ნაყოფიერი შრომაც გასწია. აქ გაიცნო კარლ ფოხტი, რომელთანაც მუშაობდნენ ოლღა და მაშიკო წერეთელი. ისმენდნენ ფოხტის ლექციებს ფრანგულად, შემდეგ კი იქ დასმულ საკითხებს ქართულად აანალიზებდნენ. ჟენევაში ამ დროს თავი მოეყარა ყველა ქვეყნის რევოლუციონერებს, მათ შორის რუს ხალხოსნებს, ბაკუნინ-ოგარიოვის ჯგუფს. ქართველი ხალხოსანი ალექსანდრე ციციშვილიც აქ იყო, რომელსაც ძალზე საინტერესო ბიოგრაფია, თითქმის სკანდალური ცხოვრება ჰქონდა:საქართველოში სამემკვიდრეო მამული გაყიდა, შემდეგ ყალბად იქორწინა მდიდარ სომეხ ქალზე და მემკვიდრეობაც და მზითევიც რევოლუციურ ფონდს შესწირა. ციციშვილი „50“-ის პროცესზე მოხვდა, ციმბირში გადაასახლეს და იქ მალე დაიღუპა. ასევე გაიცნო პეტრიაშვილმა ჟენევაში სხვა რევოლუციონერები:

ალექსანდრე ელიოზიშვილი, რევაზ ჩოლოყაშვილი, დავით გურამიშვილი (ოლღას ძმა) და სანდრო მაყაშვილი.

„უღელში“აქტიურად მონაწილეობდა „დროების“ სპეციალური კორესპონდენტი ჟენევაში–ბესარიონ ჯაფარიძე. ნიკოლაძის საშუალებით ჟენევაში ქართველებთან ახლოს იდგნენ რუსი რევოლუციონერები– ნიკალაი მოროზოვი, საბლინი, ტკაჩოვი, ევროპელები– ლეფრანსე, მონტელსი, შოლენი. პეტრიაშვილი მათ გაეცნო და მათთან ერთად მიიღო მონაწილეობა 1874 წლის აგვისტოში ჩატარებულ საზოგადოება „უღელის“ კონგრესში. ამ კონგრესზე პეტრიაშვილმა ციციშვილის ხაზს – რევოლუციურ ბრძოლაზე უშუალოდ გადასვლის გეგმას – დაუპირისპირა თავისი ხაზი – პედაგოგიურ- საგანმანათლებლო მუშაობის უპირატესობა. მას ამ კონგრესზეც დიდი ზემოქმედება მოუხდენია ქართველ ახალგაზრდობაზე, წამოსვლისას მისთვის ადრესიც მიურთმევიათ, რასაც კონგრესის ყველა მონაწილე აწერდა ხელს, ბოლოში კი მისი საყვარელი ჭალადიდელის სტრიქონები იყო მიწერილი: „და შენც მუხავ, ჩვენო მუხავ, ჩვენო წყარო, ჩვენო მთვარე, ჩვენი მხურვალე მადლობა მიიღე და ჩაიბარე“... ეს ადრესი და ლექსი ბესარიონ ჯაფარიძემ წაიკითხა ქალაქგარეთ, მშვენივრად მოწყობილ სუფრაზე, ის გადაეხვია ცრემლმორეულ მეცნიერს და ფიცი ჩამოართვა, რომ მომდევნო წელს კვლავ დაბრუნდებოდა ჟენევის „ოჯახის“გასაძღოლად. ის ფულს სულ უგზავნიდა ამ ჯგუფს, თუმცა პირობა იქ ჩასვლაზე ვერ შეასრულა.

მეცნიერის მთელი შემოსავალი ღარიბ სტუდენტებზე, სხვადასხვა საქველმოქმედო საქმეზე იხარჯებოდა, ამ შემთხვევაშიც აღარ დარჩა ფული ევროპული ტურნესათვის. ის ეხმარებოდა ღარიბ ნათესავებსაც, განსაკუთრებით ძმისშვილებს. მისი ძმისშვილი– მიტროპოლიტი რომანოზი თავის მოგონებებში წერს, რომ ბიძის გარდაცვალება მისთვის მეორედ დაობლება იყო, რადგან მისგან სისტემატურად იღებდა ფულად დახმარებას. 1896 წელს, როდესაც ვასილის ძმა– გრიგოლი გარდაიცვალა, ვასილს რძლისთვის უთხოვია ცხრა წლის ვაჟის – რომანოზის მისთვის გაგზავნა ოდესაში, როგორც შვილს, ისე აღვზრდი და კარგ განათლებას მივცემო. ცნობილია, რომ ცოლ-ქმარს, ვასილ პეტრიაშვილსა და ეკატერინე თავდგირიძეს შვილი არ ჰყავდათ, არც ვინმე უშვილებიათ, რძლის უარის შემდეგ მათ მთელი თავიანთი ქონება და ენერგია შესწირეს საზოგადო საქმესა და სოციალურად დაუცველ ადამიანებს. იმავე მოგონებებში მიტროპოლიტი რომანოზი იხსენებს ვასილ პეტრიაშვილის ურთიერთობას „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“, სადაც ვკითხულობთ: „ვ. პეტრიაშვილ-

მა 1888- 1890 წლებში დაწერა ორი დიდი შრომა ქართულად:1. რძე და მისი ნაწარმი; 2. ყურძენი და მისი ნაწარმი. ორივე შრომა შესწირა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ეს შრომები დიდი მოცულობისა იყო და თითო წიგნს სამ მანეთად ჰყიდდა საზოგადოება.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებიდან ვ. პეტრიაშვილი იყო მისი წევრი, ხოლო ამ ორი დიდი შრომის საზოგადოებისთვის შეწირვის გამო, საზოგადოებამ ვ. პეტრიაშვილი თავის საპატიო წევრად აირჩია. ბიძა ვასილმა თავისი დიდი მდიდარი სამეცნიერო ბიბლიოთეკა ანდერძით დაუტოვა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას (მე როგორც გაგონილი მაქვს, ვ. პეტრიაშვილის ბიბლიოთეკა ეხლა აქვს სასოფლო- სამეურნეო ინსტიტუტს).“

მეცნიერის კეთილ ბუნებას და სხვებისადმი უანგარო დახმარების სურვილს კარგად აჩვენებს მისი პირადი წერილი ოლღა გურამიშვილისადმი, რომელიც 1875 წლის იანვარშია დაწერილი: „გთხოვთ მაპატიოთ, რომ 200 ფრანკზე მეტის გამოგზავნას ვერ ვახერხებ ამჟამად. მომწერეთ, რამდენი გჭირდებათ თვეში, და როგორ უფრო გაწყობთ ფულის მიღება, თვიურად თუ სხვა რამე ვადებში...თუმცა ის ფული, რომელზედაც მე ზაფხულში გელაპარაკეთ, ამჟამად დაკავებულია: მე მას პეტერბურგში ვუგზავნი ერთ სტუდენტს. მაგრამ იქონიეთ მხედველობაში, რომ იმ სტუდენტს ეს ფული მხოლოდ სექტემბრამდე სჭირდება.

ეს ის ფულია, რომელსაც მე გიმნაზიიდან ვიღებ, მაშასადამე, თქვენთვის იმ დრომდე უნივერსიტეტის ჯამაგირის გაზიარება მომიხდება. ნუ შეუშინდებით ჩემს შევიწროებას ამ ფაქტით. ერთადერთი შევიწროება მხოლოდ ის იქნება, რომ მე პაპიროსის წევას მივატოვებ,(ეს კი ჩემთვის კიდეც საჭიროა, რადგან პაპიროსის მოწევა მწყინს);და კიდევ, უკიდურეს შემთხვევაში, თეატრში სიარულზედაც ხელს ავიღებ. როგორც ხედავთ, ეს ისეთი რამეა, ურომლისოდაც დიდი ხნის განმავლობაში გამიძლია, მაშასადამე, ახლაც კარგად გავძლებ...

სექტემბრიდან კი იმდენი ფული მექნება, რომ აღარც კი მეცოდინება, რას მოვახმარო ამოდენა „სიმდიდრე“. მაშინ 8 გაკვეთილი გიმნაზიაში მექნება, რაც 80 მანეთს შეადგენს, და70 მანეთიც უნივერსიტეტიდან. მე კი სულ რაღაც 40 მანეთი მყოფნის თვეში. მაშასადამე, ნამდვილი კრეზი ვიქნები იმ დროიდან. ამიტომ, გთხოვთ მომწეროთ, რამდენი გიგზავნოთ თვიურად; და, რა თქმა უნდა, იმის შეტყობინებაც არ დაგავიწყდეთ, თუ რამდენი დაგჭირდებათ და რა

ვადისათვის ლექციების მოსმენის და ლაბორატორიებში მუშაობის გადასახადის გასასტუმრებლად".

ქალებს ერთხმად უთქვამთ უარი ასეთი მსხვერპლის გაღებაზე, მაგრამ პეტრიაშვილისაგან ისეთი ნაწყენი პასუხი მიუღიათ, რომ დათანხმებულან.

მეცნიერის ქველმოქმება და ქართული საქმის კეთების წყურვილი იმდენად იყო ცნობილი, რომ ახალგაზრდები ხშირად ოდესის უნივერსიტეტში სწავლას მის გამო ირჩევდნენ. როგორც მისი წერილიდან დავინახეთ, იგი სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებსაც ასევე გულით ეხმარებოდა. მეტი რაღა უნდა გაეკეთებია ქართველ კაცს, თავის ცოდნას, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულს, მატერიალურ შემოსავალს, მთელ სულსა და გულს საქართველოს უძღვნიდა. მაგრამ ვერც ის აცდა კრიტიკის ქარცეცხლს.

1875 წლის „დროებაში" (№123) დაიბეჭდა გაზეთის რედაქტორის – სერგეი მესხის წერილი – „ჩვენი მეცნიერები". თავისთავად ეს დიდი მამულიშვილი და პატრიოტი ქართველი, გამოთქვამდა თვალსაზრისს, რომ „მთელი კაცობრიობისათვის სარგებლობის მომტანი გენიოსების გარდა, ყოველი ადამიანი და განსაკუთრებით გონებაგახსნილი კაცი თავის ხალხში უნდა მუშაობდეს და მოქმედობდესო". რედაქტორი აკრიტიკებდა ყველას, ვინც სამშობლოში აღარ დაბრუნდა უცხოეთში სწავლის დამთავრების შემდეგ, მათ შორის პეტრიაშვილზე ასე წერდა: „... ერთი ჩვენებური ახალგაზრდა მეცნიერი უფ. ვასილ პეტრიაშვილი უნივერსიტეტის პრივატ დოცენტად (პროფესორის თანაშემწედ) ამოურჩევიათ. ეს მეორე ქართველია, რომელიც წმინდა მეცნიერებას შედგომია და პროფესორის კათედრას ეძიებს... თუ ყველა, ვინც ცოტათი წრიდან გამოვა, ვინც თავის თავს, ვსთქვათ, პეტერბურგში ან პარიზში გამოსადეგ კაცად იცნობს, თუ ყველა ამისთანები განზე გადგა და ამ, უიმათოდაც ნამდვილ კაცებით მდიდარ ქალაქებში გარდაიხვეწა,–ვინღა უნდა დარჩეს მაშ ჩვენს ქვეყანას, რომელსაც კაცური, საზოგადო საქმეების თანამგრძნობი კაცები ასე ეჭირვება?!."

ამას დაემატა პარიზში სასწავლებლად წასული ალექსანდრე ჭყონიას კრიტიკული წერილი – ვასილ პეტრიაშვილის, ალექსანდრე ცაგარელის და ივანე თარხნიშვილის შესახებ (13). წერილი „მაჭახელიძის" ფსევდონიმით იყო დაბეჭდილი და მასში პროფესორის სახელისათვის სამშობლოს მიმტოვებელი და ქიმიის სპეციალობის ამომრჩევი ქართველები ისე ცუდად იყვნენ დახასიათებულნი, რომ ისინი „სამშობლოსათვის მავნე პირებადაც" კი იყვნენ გამოცხადებულნი.

ამ წერილს არ შეიძლებოდა გულით არ შეეძრა და არ აეფორიაქებინა დიდი ქართველი მეცნიერი და პატრიოტი ვასილ პეტრიაშვილი. მას „დროების“ დაარსებისთანავე დაუწყია მასში ჟურნალისტური საქმიანობა, მაგრამ როდესაც ქიმიის დარგში გადასულა და მისი მამულიშვილური მიზნებიც ამ დარგში გაუმჟღავნებია ნიკო ნიკოლაძისა და „დროების“ სხვა სარედაქციო მუშაკისათვის, პირობა დაუდევს: „დროებაში“, მეცნიერების გარდა, სხვა თემებზე, წერილებს აღარ დავწერო. ამ „პირობას“ ასრულებდა კიდეც, მაგრამ ამ წერილმა ააღებინა კალამი ხელში და „თავის მართლება“ დააწყებინა. დამეთანხმებით, არაფერია იმაზე ძნელი და უარესი, სრულიად უდანაშაულო, ისეთ რამეზე რომ იმართლებ თავს, რაც არათუ ჩაგიდენია, გულშიც არ გაგივლია, კიდევ მეტი, მთელი ცხოვრება იმას ემსახურებოდი, რის გაუკეთებლობას გიკიჟინებენ, ის გიყვარდა და გტკიოდა, ვის სიძულვილსა და ვისადმი შეუბრალებლობას გაბრალებენ. უსუსურია ასეთი კაცის თავის მართლება. წარმოიდგინეთ, ბუნებით კეთილი და ქველმოქმედი ადამიანი სიას ხომ ვერ ჩამოწერს–რა გაუკეთებია, რა გაუცია, როგორ შეიძლება იყო შენი ერის სახელოვანი შვილი, სადაც არ უნდა იმყოფებოდე, თუკი ღვთისგან ბოძებული ეს მისია კარგად გაქვს გაცნობიერებული. პეტრიაშვილის შემთხვევაში ხომ ეს ცხადზე ცხადია. მაგრამ მეცნიერისთვის შეუძლებელი გახდა ამ დამახინჯებულ სურათზე პასუხის გაუცემლობა. ორი კვირის შემდეგ მაჭახელიძის წერილის გამოქვეყნებიდან, 1876წლის 14 აგვისტოს №90 „დროებაში“ დაიბეჭდა ვასილ პეტრიაშვილის „წერილი რედაქტორთან“, რომელშიაც იგი მხურვალედ იცავდა ქართველების თავდადებას მეცნიერებისათვის, ეს პოზიცია მიაჩნდა სწორად და საქართველოსთვის გამოსადეგად. საქართველოდან შორს მის მოღვაწეობაზე პეტრიაშვილი წერდა: „ იმედი მაქვს, დარწმუნებული ვარ, რომ თუ მე ისე დამეხუჭა თვალები, რომ ჩვენს სამშობლოს სარგებლობას ვერას მოვუტან, ეს ყმაწვილები(გულისხმობდა მის მოწაფეებს, რომლებიც მეცნიერულ მუშაობას ეწეოდნენ რუსეთში), თავიანთი ცოდნით და ენერგიით გამოისყიდიან ჩემს უსარგებლობას...“[7]. საკუთარ თავს მეტად ვერ იმართლებდა, ანკი როგორ გაიმართლებდა, როცა მის სტატიას თან ერთვოდა მესხის მინაწერი, კვლავ მისი საწინააღდეგო და ქართველთა საქართველოში მოღვაწეობის აუცილებლობაზე არგუმენტებით გაჯერებული. ამ უბრალო საკითხზე დავამ უცებ გადააჯგუფა ქართველი მოღვაწეები და მომხრე-მოწინააღმდეგე ჯგუფების ლანძღვა-გინებაც გაჩაღდა.

ვასილ პეტრიაშვილი და სხვა, სამშობლოს გარეთ წასული ქართველი მეცნიერების დაცვა ნიკო ნიკოლაძემ ითავა, რისთვისაც მას სერგეი მესხი არა, მაგრამ მისი აზრის გამომხატველი პარიზელი სტუდენტი – „მაჭახელა“ კი დაესხა თავს №96 „დროებაში“. გაზეთის მომდევნო ორი ნომერი ნიკო ნიკოლაძემ დაიკავა.წერილი – „უკაჟო მაჭახელას“გამობრძმედილი ჟურნალისტისა და ჯანსაღად მოაზროვნის ღრმად არგუმენტირებული პასუხია ყველასადმი, რომლებიც ვერ ხვდებოდნენ არაჰუმანიტარული მეცნიერებისა და ამგვარ სფეროებში გამორჩეული წარმატებების მქონე ქართველი სწავლულების ფასს, რომ დადგებოდა დრო მათი საჭიროებისა, იმ პირობებში კი ისინი მხოლოდ საუნივერსიტეტო ცენტრებში თუ მიაღწევდნენ მეცნიერულ მიზნებს. „ოცდაათ შინაურ უმეცარს ერთი „გასული“ნასწავლი ქართველი მირჩევნიაო,– ირწმუნებოდა ნიკოლაძე. სტატიის ბოლოს კი ასე მიმართავდა ქართველ ახალგაზრდებს: „სადაც გინდათ იშრომეთ, სადაც გსურთ ისწავლეთ, რაც გინდა ჰქენით, ოღონდ კი თქვენი მამული გიყვარდეთ, ოღონდ კი მის სასარგებლოდ იშრომეთ, მისი სახელის გადიდებაზე, მისი კეთილდღეობის მოახლოებაზე იმეცადინეთ“.

ნიკოლაძის ამ კონტრიერიშს მოჰყვა გაზეთის 99-ე და მე-100 ნომრებში დაბეჭდილი სერგეი მესხის წერილები, „ორთავეს“, – ასე ერქვა ამ წერილებს, რომლითაც მან უპასუხა პოლემიკის ორივე მხარეს – ნიკოლაძესა და მაჭახელიძეს. ამას კიდევ ორ ნომერში (107-108) დაბეჭდილი მაჭახელიძის უპატივცემულო ტონით დაწერილი სტატიები მოჰყვა – „პასუხი უფალ პეტრიაშვილს“, რასაც აღარც გამოეხმაურა გულნატკენი მეცნიერი. ამ პოლემიკისა და ნიკოლაძის მხარდაჭერის გამო მათი ურთიერთობა კიდევ უფრო მჭიდრო გამხდარა. ქართული საზოგადოება კი კიდევ დიდხანს კამათობდა, ბევრს რუსეთის ერთგულების გამოხატულებად მიაჩნდა ნიკოლაძისა და მისნაირად მოაზროვნეთა პოზიცია. ზოგჯერ კამათი სამწუხარო გაუგებრობაში გადადიოდა, გასაგები იყო, როგორ ძულდა ხალხს რუსული კოლონიური უღელი, ცარიზმის შოვინისტური პოლიტიკა, როგორ გადაჰქონდა ძალაუნებურად ეს სიძულვილი ყველაფერზე, რაც ამ ქვეყანას უკავშირდებოდა, მათ შორის ხვდებოდნენ იმპერიის სხვადასხვა ქალაქში მოღვაწე ქართველებიც. პეტრიაშვილის შემთხვევაში ქართული საზოგადოება მთლიანად ცდებოდა, თუ რატომ, ეს მთელი მისი ცხოვრებით, მისი საქმიანობით დასტურდება. მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც რუსეთში მოღვაწე ქართველები მართლაც ივიწყებდნენ სამშობლოს და მთლიანად იმ-

პერიის ინტერესებს ემსახურებოდნენ. „მგზავრის წერილებსა“ თუ წინა თაობის მოღვაწეებთან, ე. წ. „მამებთან“ დავაში ილიამ მიანიშნა ამგვარ ქართველებზე, დაგმო ისინი, რომელთაც, სამხედრო ჩინებით გატაცებულებს, საქართველოს სიყვარული ამ სახით წარმოედგინათ. დასანანი იყო, რომ ჩვენ მიერ აღწერილ კამათს მიემატა შემთხვევა, სადაც ყველაფერი უფრო გასაგები იყო.

ჩვენ უკვე ვთქვით, როგორ უყვარდათ მაშინ ახალგაზრდა პოეტის – გიორგი ჭალადიდელის ლექსები ნიკოლაძესა და ვასილ პეტრიაშვილს. ჰოდა, ეს ახალგაზრდა ნიჭიერი ქართველი პოეტი შევიდა რუსეთის სამხედრო სამსახურში, რამაც გული ატკინა ეროვნული ცნობიერების მქონე ყველა ქართველს. ნიკო ნიკოლაძესა და აკაკის ამ საკითხზე ცხარე შეტაკებაც მოსვლიათ, ქუთაისში, 1873 წლის დეკემბერში. აკაკის და მის მომხრეებს ჭალადიდელის საქციელი ქართველი პოეტის სახელთან შეუთავსებლად მიუჩნევიათ. შვეიცარიაში ქართველებთან საუბრისას, ვასილ პეტრიაშვილს თავისი სიმპათია ჭალადიდელისადმი ამაშიც გამოუხატავს, ჩვენ „საერთო ბედის“ ვართო, – უთქვამს. ჭალადიდელის უდროოდ დაღუპვას მინსკში, 1898 წელს, ოდესელი ქართველების გადმოცემით, მასზე თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოუხდენია... რა თქმა უნდა, ეს მართლაც იყო ტრაგედია, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ქართველი პოეტი, რომელიც სამშობლოს თავისუფლებას შენატროდა, ამ თავისუფლების წამრთმევი ქვეყნის სამსახურს შეეწირა. მამელუქობა თუკი თავისუფალი არჩევანია, მითუმეტეს პოეტისათვის, ეს მართლაც დიდი კატასტროფაა... ვასილ პეტრიაშვილის არჩევანი სხვა ხარისხის იყო, XIX საუკუნის საქართველოს კოლონიურ სინამდვილეში საუნივერსიტეტო განათლებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის სხვა გზა არ იყო, იმპერიულმა ხელისუფლებამ უნივერსიტეტი 60-ან წლებში ოდესაში გახსნა, ქიმიური ცდებისათვის საჭირო ლაბორატორიითაც იგი აღჭურვა, ქიმიკოს მეცნიერს კი ეს ჭირდებოდა.

ვასილ პეტრიაშვილისადმი ამგვარი საყვედურები რომ უსამართლობაა, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ მას მრავალჯერ სურდა სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ მას აქ საკუთარი სახლ-კარი არ ჰქონდა, სამსახურისათვის თუ ოჯახის მოსაწყობად საკმაო ფული იყო საჭირო, რაც პატიოსან მეცნიერს არ გააჩნდა.

ის თანახმა იყო ჭიათურაში ლაბორატორიის მოწყობისათვის ეხელმძღვანელა, კიდევ მეტი, – სოფელ ოძისში სასოფლო-სამეურნეო სკოლას ჩადგომოდა სათავეში, მზად იყო მიეტოვებინა ოდესა, სადაც უზამაზარი ავტორიტეტი ჰქონდა მეცნიერისთვის საკმაო შემოსავალთან ერთად. მაგრამ საქართველოში მისთვის არცერთი ეს

სამუშაო არ აღმოჩნდა. გასაკვირიც არაა, რადგანაც ამ დროის განაპირა კოლონიური ქვეყანა იმპერიული ხელისუფლებისაგან განებივრებული არ ყოფილა საზოგადოებრივი დაწესებულებებით, ასეთი დიდი მეცნიერის ასპარეზიც ბუნებრივად არ იყო. 1875 წლის იანვარში ოლღა გურამიშვილისადმი მიწერილი ბარათის ბოლოს იგი წერდა: „ზოგიერთი ჩვენებური სტუდენტი ძლიერ მირჩევს კავკასიაში დაბრუნებას და იქ გიმნაზიის გახსნას, რადგან ჩვენში დიდი ნაკლებობა ყოფილა ამ მხრივ. ვაჟები, თურმე, ასობით უბრუნდებიან მშობლებს, რადგან მათ არ იღებენ გიმნაზიებში ვითომდა ადგილის უქონლობის გამო. მე, ცხადია, წინააღმდეგი არა ვარ ასეთი საქმისა, პირიქით, ეს ჩემი ოცნება იყო ყოველთვის, მაგრამ არ ვიცი, ვიშოვით ამისათვის საჭირო ფულს, თუ ვერა. თუ ვიშოვეთ, რისიც ზოგიერთი იმედი გვაქვს, მე დაუყოვნებლივ მივყოფ ამ საქმეს ხელს.

თქვენ რას მირჩევთ ამის შესახებ?“

მომდევნო, 1876 წელს მართლაც გაიხსნა იაკობ გოგებაშვილის ინიციატივით გიმნაზიისთვის მოსამზადებელი სკოლა ვაჟებისათვის, მომავალი ქართული გიმნაზიის ჩანასახი. ამისთვის ოდესის უნივერსიტეტიდან პეტრიაშვილის წამოსვლას აზრი არ ჰქონდა. მისი და თერგდალეულთა საერთო წარდგინებით ამ სასწავლებლის ხელმძღვანელად და პედაგოგად ოლღა გურამიშვილი დაინიშნა. პეტრიაშვილი მისი „დაუსწრებელი ხელმძღვანელი“ იყოო,– იგონებს რუსუდან ნიკოლაძე. ჟენევაში მისგანვე შეძენილი პედაგოგიური ცოდნით მან ისე კარგად დააყენა სკოლის საქმე, რომ 5 წლის განმავლობაში სკოლა სანიმუშოდ ითვლებოდა, ოლღა გურამიშვილი კი იმ ეროვნული საქმის ორგანიზატორი–ნიკო ცხვედაძეს, ნიკო ლომოურსა და ივანე მაჩაბელთან ერთად, რომელსაც დიდი იაკობ გოგებაშვილი ედგა სათავეში. თერგდალეულებს ეს „პეტრიაშვილის სკოლის გავლენისათვის“ მიუწერიათ. როდესაც კავკასიის ოლქის სკოლების მზრუნველი, ცნობილი შავრაზმელი იანოვსკი იძულებული გამხდარა თავისი რუსი მასწავლებლები ამ ქართველი ქალის გაკვეთილებზე გამოეგზავნა მისი მუშაობის მეთოდის გასაცნობად, ამ ამბავს ოდესაში პეტრიაშვილის აღტაცება გამოუწვევია.

პეტრიაშვილი ინტერესით ადევნებდა თვალს როგორც გოგებაშვილის, ასევე პეტრე უმიკაშვილის და გერასიმე კალანდარიშვილის სახელმძღვანელოებს ქართული და რუსული ენის შესასწავლად, ხშირად ატყობინებდა თბილისელ მეგობრებს თავის აზრს ამ წიგნებზე. „წერა-კითხვის საზოგადოებას“ იგი უგზავნიდა თავის და სხვა ქართველ მეცნიერთა შრომებს, პედაგოგიურ ლიტერატურას. მეცნიერის აღფრთოვანება გამოუწვევია ილია წინამძღვრიშვილის

მიერ სასოფლო- სამეურნეო სკოლის დაარსებას, რის გამო წერილიც გამოუგზავნია გაზეთ „დროებისათვის“ [8].

განსაკუთრებული გახდა პეტრიაშვილისა და ნიკოლაძის მეგობრობა მას შემდეგ, რაც ოლღა გურამიშვილი და ნიკო ნიკოლაძე დაქორწინდნენ. მეურნეობის მოწყობით დაინტერესებულ ნიკოლაძეს, 1886 წლიდან, როდესაც რუსეთიდან დაბრუნდა და დიდ ჯიხაიშში დასახლდა, პეტრიაშვილი აძლევდა რჩევა-დარიგებებს მეურნეობის საკითხებზე, საცდელ მამულში თეთრი და შავი ჯიშის ვენახის გაშენებაზე, ხილისა და საქონლის ახალი ჯიშების გამოყვანასა და მერძევეობის ახლებურად მოწყობაზე. აქვე გაჩნდა იდეა–ჟურნალ „მოამბეში“ სოფლის მეურნეობაზე სპეციალური განყოფილების შექმნისა, რომელსაც ყველა ქართველში უნდა გაეღვიძებინა მეურნეობის ცოდნისა და მეცნიერული გაძღოლის სურვილი.

ამ ორი „მეურნის“ – ნიკოლაძისა და პეტრიაშვილის იმედებს რუსეთის ხელისუფლებაზე, თავისი ჩვეული იუმორით აფასებდა აკაკი. ის დასცინოდა მათ „მწარე მოტყუებას“, ორივე მათგანისგან იმ „ზღაპრის“ დაჯერებას, თითქოს 1901 წელს, საქართველოს რუსეთთან ე. წ. „შეერთების“ 100 წლისთავზე, საქართველო რუსეთისგან მიიღებდა სასოფლო-სამეურნეო ხასიათის უმაღლეს სასწავლებელს. ამის მოლოდინში ორივე მათგანმა ცოცხალი მონაწილეობა მიიღო თბილისში სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწყობაში. პეტრიაშვილი საქართველოში ჩამოვიდა ამის გამო და კიდეც დარწმუნდა თავის „მწარე შეცდომაში“, – ასე სჯიდა აკაკი.

პროფესორი დ. აგლაძე ამ საკითხზე ასეთ ინფორმაციას გვაძლევს: პროფესორმა ი. ლომოურმა მიამბო, რომ მისთვის პროფ. ს. ჩოლოყაშვილს უჩვენებია ვასილ პეტრიაშვილის ერთი წერილი იმდროინდელი საზოგადო მოღვაწისადმი, სადაც მსჯელობა ყოფილა საქართველოში სასოფლო- სამეურნეო სკოლის დაარსებაზე. ცხადია, დიდ სიძნელეს წარმოადგენდა ამ სკოლის მატერიალური უზრუნველყოფა, რის გამოც საზოგადოებაში ტრიალებდა აზრი–ამ საქმეში დახმარება ეთხოვათ მთავრობისათვის. ოდესიდან გამოგზავნილ წერილში, ვ. პეტრიაშვილი თურმე კატეგორიულად უარყოფდა ამ გზას, რადგან გულისხმობდა, რომ მეფის მთავრობა ამ სკოლას, დაფინანსების შემთხვევაში, გამოიყენებდა ქართველი ხალხის გარუსების იარაღად. მას საჭიროდ მიაჩნდა ამ სკოლის უზრუნველყოფა ქართველი საზოგადოებისა და ქართველი ხალხის ფულადი სახსრებით[9, 61].

მთავარი ამ ორი მამულიშვილისათვის იყო ქართველი ხალხის სულიერი და ეკონომიკური წინსვლა, ამისთვის კი ყველა სასარგებლო საქმეს ჰკიდებდნენ ხელს, სხვების წარმატებებსაც იზიარებ-

დნენ და ახალისებდნენ. ასე მაგალითად, ვასილ პეტრიაშვილი, აღფრთოვანებული თავისი ყოფილი მოსწავლის – კონსტანტინე ამირეჯიბის საქმიანობით, ხელს უწყობდა მას სოფელ ავლევში სანიმუშო მამულის ორგანიზაციაში.

ვ. პეტრიაშვილის მოწაფე – ხ. ღლონტი- იხსენებს 1902 წელს ოდესის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ ექსპედიციას ყირიმსა და საქართველოში. ამ ექსპედიციის დროს მათ კონსტანტინე ამირეჯიბის მამულიც ნახეს. მოგონებაში საუბარია კონსტანტინეს მშობლებზე, ნათქვამია, რომ მისი მამა– მიხეილი მებრძოლი გენერალია, კორპუსის უფროსი, მრავალი გმირული ბრძოლის ავტორი, დედა პოეტი– რუსულ ენაზე ქართველ პოეტთა მთარგმნელი. კონსტანტინემ ოქროს მედლით დაამთავრა ნოვოროსიის უნივერსიტეტი, იყო პროფესორ პეტრიაშვილის მოწაფე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მიავლინეს საფრანგეთში, პარიზში დაამთავრა აგრონომიული ინსტიტუტი. იქ მას მეცნიერული მოღვაწეობის გაგრძელება ურჩიეს, მაგრამ სამშობლოში პრაქტიკული საქმიანობა არჩია, უკვე ერთი წელი ცხოვრობდა სოფელ ავლევში. კონსტანტინეს უფროსი და პროფესორ იგუმენოვის მოწაფე, მოსკოვის კონსერვატორიადამთავრებული, შესანიშნავი პიანისტი იყო, მასაც მედლით დაუმთავრებია მოსკოვის კონსერვატორია, წერდა მუსიკალურ ნაწარმოებებს, მეორე და მხატვარი-აკვარელისტი იყო. კონსტანტინეს ახალგაზრდა მეუღლეც მისი იდეების თანამგრძნობიაო,– წერს ექსპედიციის დღიურის ავტორი. იგი აღწერს ამირეჯიბის მამულს: რაციონალიზატორია, რძის წარმოება, ცხენთსაშენი, საფუტკრე, საფრინველე, ახალი სასოფლო- სამეურნეო მანქანები–ბევრი რამის საშუალებას აძლევს, სხვა თავადებთან შედარებით პურის ორჯერ მეტი მოსავალი მოჰყავსო. „ჩვენ დავათვალიერეთ კონსტანტინე მიხეილისძის მეურნეობა. ეტყობოდა, ის სიამაყის გრძნობას განიცდიდა, რომ ასიამოვნა საყვარელ მასწავლებელს. ვასილ მოსეს-ძეს სახეზე მღელვარება ემჩნევა. მას ახარებს მოწაფის წარმატებები. ექვსი წლის მანძილზე კონსტანტინე ამირეჯიბმა კულტურული კუნჭული შექმნა თავის მხარეში...“ [10,99-105].

ამ ექპედიციის დასრულების შემდეგ პეტრიაშვილი ერთი თვით დარჩენილა საქართველოში, მის მამულში. ამგვარი ინიციატივა აძლევდა მას იმედს, რომ საქართველო მომავალში ეკონომიკურად აღორძინდებოდა. ამგვარ ქართველთა დასახმარელად დაწერა ქართულად ნაშრომი რძის წარმოებაზე.

პეტრიაშვილი ეხმარებოდა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საზოგადოებას ქიმიური ლაბორატორიის მოწყობაში, უნდოდა ამით

საფუძველი ჩაყროდა საქართველოში პირველ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებას, რათა ამის საშუალებით შესწავლილიყო საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები და დაწყებულიყო მათი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკური დაწინაურებისა და ხალხის კეთილდღეობისათვის.

ამავე მიზნებით ხელმძღვანელობდა, როდესაც აძლევდა პასუხებს, დასკვნებს, ანალიზებს საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან და პირთაგან მიღებულ შეკითხვებს, სწავლობდა მათ გაგზავნილ ნიმუშებს და სხვა.

მეცნიერი განიცდიდა საქართველოს ჩამორჩენილობას, მისთვის ნათელი იყო, რომ ქვეყნის დაწინაურებისა და ხალხის კეთილდღეობისათვის აუცილებელი იყო ეკონომიკური მდგომარეობის განმტკიცება. სურდა პატრიარქალური სასოფლო იარაღები თანამედროვე ტექნიკით შეცვლილიყო. აი, როგორ აღწერდა იგი საქართველოს სოფელსა და გლეხის მეურნეობას: „...ყანა გაუმარგლავი, ვენახი დაუბარავი და შეუყელავი, სახლ-კარი მოუვლელი,– სხვა რაღა გინდა! ყველაფერი ღვთის ძალასა და ნებას აქვს მიგდებული. მოვა რამე, კარგია; არ მოვა და მადლობა ღმერთს. ამის ძალით ჩასცივებია თარგამოსისგან მოგონილ გუთანს და იმისგანვე მოგონილ მეურნეობის იარაღს; რვა უღელი ხარ-კამეჩით მიწასა ხნავს და ხუთჯერ წელში მოხრილი ყანასა მკის...

...ვაზები დგანან რაღაც უჯმაჯურად განრიგებული, შიგ ხეხილია არეული, რომლებიც სიცხის დროს ვაზებს ჩრდილავენ; ვაშლი დგას, ტყის მაჟალოსგან ძლივს გამოირჩევა, მსხალი დგას – ტყის პანტისაგან, ყურძენი – ხევების კრიკინიდან. რა კარგია!.. ყველაფერი პირველი პატრიარქული დროების მდგომარეობაშია! დაილოცოს, ყველაფერი თავის ქერქშია...“

მეცნიერი წერდა მიწის გამოფიტვაზე, მოსავალის შემცირებაზე, მოსავალი თანდათან მცირდება. რატომ? – კითხულობდა და პასუხსაც იქვე იძლეოდა: „გლეხს მოსავალი გამოაქვს და უკან კი აღარას აძლევს დედამიწასა, ვალს იღებს დედამიწისაგან და აღარ იხდის კი. ამნაირი მდგომარეობა, რასაკვირველია, მიწას აოხრებს, ამას განთქმული ქიმიკოსი ლიბიხი მიწის გაქურდვას და დარბევას ეძახის.“

პეტრიაშვილის აზრით, საქრთველოში ბევრი გაცდენილი ნაკვეთი იყო, ნიაღვრის გუბეები, მოურწყავი ფართობები, ცუდი გზები, რაც აღებ-მიცემობის განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. იგი ჩიოდა ფაბრიკების უქონლობას, ქვეყანაში არსებული ნედლეულის მოუხმარებლობას. „თუ გვსურს, რომ ჩვენი არსებობა

მომავალში სრულებით არ გაითელოს და ხსენება არ გაქრეს, უნდა შევუდგეთ საქმეს და ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა განვაახლოთ და გავაუმჯობესოთ, შევისწავლოთ ის საშუალებანი, რომელთა შემწეობითაც შეგვეძლება წინ წავწიოთ ჩვენი მეურნეობა და მრეწველობა...“ – წერდა იგი.

როდესაც პეტრიაშვილის წერილებს ვეცნობით განათლებასა და სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრებისადმი ქართველი კაცის ახლებურად მიდგომის აუცილებლობაზე, ნათელი ხდება ამ საკითხში მისი და ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა ერთიანობა. მეცნიერის სიტყვით, „წავიდა ის დრო, როცა ხალხი მარტოკა გრძნობითა და აღტაცებით ცხოვრობდა,–დიდი ხანია, რაც ამას გამჭრიახი გონება მიაშველეს... აშკარად ჩანს, რომ ჩვენი ხალხი მოკლებულია ცოდნას, სწავლასა და ჭკუის ვარჯიშობას“. ილია ჭავჭავაძეც ფიქრობდა, რომ ლაპარაკის, უაზრო თავმოწონების ნაცვლად (მე ვარ და ჩემი ნაბადიო), გარჯა, მუყაითი შრომა გადაარჩენდა საქართველოს და დააყენებდა სხვა მოწინავე ერების გვერდით. ბუზის ამაო ბზუილი ფუტკრის თავდადებული გარჯით უნდა ჩანაცვლებულიყო.

მეცნიერი წუხდა, რომ საქართველოს მცირერიცხოვანი კადრები ჰყავდა, განათლებული ადამიანები, გულწრფელი და თავდადებული მუშაკები ქართველთა შორის ცოტა იყო. „ჩვენი სურვილი ის არის, – წერდა იგი, – რომ ფხიზელი და გონებაგანათლებული კაცები ბევრი მიემატონ ჩვენს ხალხს, იმათი გამრავლება უსარგებლოდ არ ჩაივლის ჩვენი საზოგადოებისათვის,“ – ამას უმტკიცებდა მის მოპაექრე მაჭახელიძესაც, რომელიც საქართველოს გარეთ მოღვაწეობასა და ქიმიკოსობას უსაყვედურებდა.

ვასილ პეტრიაშვილის მოწაფეები აღფრთოვანებულნი იყვნენ მისი პედაგოგიური ნიჭიერებით, გულისხმიერებითა და თეორიის პრაქტიკასთან შეთავსების უნარით. მისი ლექციები ღრმაშინაარსიანი იყო, მაგრამ ამასთანავე სადა, ადვილად გასაგები. ყოფილი სტუდენტი – ექიმი ივანე ელიაშვილი წერდა: „როგორც პროფესორი, ვ. პეტრიაშვილი ფრიად შესანიშნავი კაცი იყო. შესანიშნავი იყო მისი ლექციები თავისი სიმარტივით და განსაკუთრებული ხასიათით. ეს ხასიათი გამოიხატებოდა იმაში, რომ პროფესორის ლექცია მოგაგონებდა უბრალო ბაასს, თითქოს იგი ელაპარაკებოდა არა მთელ აუდიტორიას, არამედ ერთ კაცს, და ყოველ მსმენელს ისე ეგონა, თითქოს მარტო მე მიხსნის პროფესორი საგნის ვითარებასო... პეტრიაშვილი ისე დაამთავრებდა ყოველთვის ლექციას, რომ გაუგებარი არავისთვის არ რჩებოდა რა, და ამ მხრივ ის შესანიშნავი

პედაგოგი იყო და ფრიად საგულისხმიერო მაგალითი საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის.“

სალექციო კურსის გავლას თან ახლდა საინტერესო ცდები, პრაქტიკული მუშაობა ლაბორატორიაში, რომელიც რუსეთის უნივერსიტეტებში არსებულ ლაბორატორიათა შორის საუკეთესო იყო. აკადემიკოსი ნ. დ. ზელინსკი ამბობდა: „მახსოვს, უფროსი კურსის სტუდენტები რა სიხარულით, რა სიამაყით შედიოდნენ რთულ ანალიზებზე სამუშაოდ პროფესორ ვ. პეტრიაშვილის ლაბორატორიაში, რომელიც საუკეთესოდ იყო მოწყობილი მისი დიდი შრომისა და მეცადინეობის წყალობით.“

პრაქტიკულ ჩვევათა გამომუშავებას ისახავდა მიზნად მის მიერ მოწყობილი ექსკურსიები იმპერიის სხვადასხვა მხარეში. მისი შეხედულებით, უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულს, ცოდნასთან ერთად, უნდა ჰქონოდა საერთო განვითარება, მაღალი კულტურული დონე. თავადაც ასეთი იყო, რაც მწერლობისა და ხელოვნებისადმი მის განსაკუთრებულ სიყვარულსა და ცოდნაში გამოიხატებოდა. ამით ის მაგალითი იყო სტუდენტებისათვის.

ლექტორი თვლიდა, რომ მარტო სწავლება კი არა, სტუდენტის გზაზე დაყენებაც, მძიმე მომენტში მისი დახმარებაც ევალებოდა. ის უადვილებდა ახალგაზრდებს სწავლის პროცესს, ეხმარებოდა გამოცდების მომზადებაში, რისთვისაც გამოცდის წინ თავისი ლექციების საკვანძო საკითხებს უმეორებდა, ხელახლა განუმარტავდა ძნელ ადგილებს, იძლეოდა კონსულტაციებს. ამით აიხსნებოდა ის, რომ სტუდენტები მის საგანს საუცხოოდ სწავლობდნენ, შემდეგში კი ასეთი სიტყვებით იხსენიებდნენ სახელოვან მეცნიერსა და პედაგოგს:

ივანე ელიაშვილი: „ვასილ პეტრიაშვილის სახელი უკვდავია და ის ღვაწლი, რომელიც დაგვდო მან, როგორც მასწავლებელმა, მამულიშვილმა და განუსაზღვრელად კარგმა კაცმა, იმის სახელთან ერთად უკვდავია. რამდენ ახალგაზრდას, დღეს გაჭაღარავებულს, წამოუღია ოდესიდან ამ პროფესორის მაღალი სულის ნაწილი, შეუთვისებია იგი და ამგვარად თვითონაც ამაღლებულა სულითა და გულით... ვასოს წყნარი, ტკბილი საუბარი, აუჩქარებელი და ჭკვიანი მსჯელობა ჩვენთან, მის მოწაფეებთან მთელ ხანას შეადგენდა ჩვენს ზნეობრივ აღზრდასა და სიმწიფეში. იმისი პირადი ცხოვრების მაგალითი, როგორც პროფესორის კერძოდ და ადამიანის საზოგადოდ, აგვირგვინებდა ჩვენს ზნეობრივ სიმტკიცეს, ავსებდა ჩვენი ოჯახის და სკოლის დანაკლისს...

იგი იყო ჩვენი მასწავლებელი და მასთან ერთად ამხანაგი, გულითადი მეგობარი, ჩვენ იმას „ჩვენს ვასოს“ ვეძახდით. ჩვენმა ვასომ სთქვა, ვასომ ასე გადაწყვიტა, ვასო ასე ფიქრობს, ეს იყო ჩვენთვის აუცილებელი კანონი, და სრულიადაც არა იმისთვის, რომ იგი იყო უფროსი კაცი, პროფესორი და დამაბრმავებელი ავტორიტეტი. არა, სრულიადაც არა, ასე ხდებოდა იმიტომ,რომ იმისი უმაღლესი გრძნობები, ჭკუა-გონება, დამჯდარი მსჯელობა, აუჩქარებელი აზრი,–ეჭვს გარეშე იყო ჩვენ მოზარდ თაობისათვის...

თვითონ უშვილომ, მან მოიხვეჭა მთელ სტუდენტობაში „მამის“ სახელი და ეს უბრალო სიტყვა კი არა, ჭეშმარიტება იყო...“

ილია ნაკაშიძე: პატიოსან და სიმართლის მოყვარულ ადამიანებს რაღაც განსაკუთრებული ფერი და იერი მოსდგამთ... მათი სიტყვა ისეთივე მტკიცე, პატიოსანი და პირდაპირია, როგორც მთელი მათი ცხოვრების მიმართულება. ასეთ ადამიანებთან დამოკიდებულებას, უბრალო საუბარსაც წმინდა ზნეობრივი და აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის. ყოველთვის ვატყობდი ძვირფას ვასილ მოსეს ძეს თვალებში დინჯსა პატიოსნურ გამომეტყველებას, ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ის ცხოვრებას ისე უცქერის, როგორც კეთილ და სერიოზულ საქმისათვის ადამიანზე მოვლენილ ნიჭს, რომ იგი ძვირად აფასებს ამ ადამიანურ თვისებას, უფრთხილდება და უკვირდება თვითეულ თავის სიტყვას, აზრსა და ქცევას. ამიტომ მასთან საუბრის შემდეგ ყოველთვის ვგრძნობდი ჩემს გულში რაღაც საიდუმლო გამამხნევებელ ძალას, თითქო ვპოვებდი ცხოვრების საზომს, ამ ცხოვრების ღრმააზრიან შინაარსის კარგად მცოდნე ადამიანს...ასეთი ადამიანების სიახლოვის დროს თითქო წმინდა და თავისუფალ ჰაერსა სუნთქავ, ცხოველმყოფელი გრძნობა გეღვიძება გულში და ფეხქვეშ მტკიცე ნიადაგს გრძნობ...“

პროფესორი ა. მედვედევი: „პეტრიაშვილი არა მარტო თესავდა მეცნიერების, ცოდნისა და შრომის მარცვლებს, არამედ იყო ერთი იმ მასწავლებელთაგანი, რომელთა გავლენით ჩნდება და მტკიცდება ჩვენს ახალგაზრდობაში ზნეობრივი კავშირი უნივერსიტეტთან. ეს დაუფასებელი აღზრდაა, რომელიც დაღს ასვამს თაობებს. ბედნიერნი არიან აღზრდილნი ისეთ უნივერსიტეტებში, სადაც ასეთი პირები არიან, ხოლო ვასილ მოსეს-ძე მათ შორის ყველაზე საუკეთესო იყო.“

პროფესორი ვ. გერნეტი: „ძნელია მოინახოს საკმაოდ მკვეთრი სიტყვები მისი სულიერი სიდიადის გამოსახატავად მთელი თავისი სილამაზით. სიტყვები მეტად მკრთალია, ხოლო სახეები სრულებით არასაკმაო იმისათვის, რომ იმ პირთ, რომელთაც იგი არ უნა-

ხავთ, მიეცეთ ცოცხალი წარმოდგენა, ნათელი სახე ამ ადამიანისა, ამ სიტყვის საუკეთესო, უაღრესად კეთილშობილური მნიშვნელობით. ახლობლის სიყვარულით სავსე იყო მთელი მისი სიცოცხლე და გაჟღენთილი ყოველგვარი მისი დამოკიდებულება ადამიანთან. ადამიანის სიყვარული და აქედან გამომდინარე– გაჭირვებულის დახმარება– მის სიცოცხლეში წითელ ზოლად იყო გატარებული...იგი არ ზოგავდა თავის დროს, აძლევდა ფულს, აძლევდა წიგნებს, ეხმარებოდა თავისი ცოდნით და ადამიანისადმი სამსახურში დაღლილობას არ გრძნობდა. მას იმდენად უყვარდა ადამიანი, რომ ორგანულად არ შეეძლო ავგულობა.

ყოველთვის გულისხმიერი, სწორი, მშვიდი, უსასრულოდ კეთილი, მას, როგორც ჩანს, სრულიად არ ჰქონდა სიბრაზის გრძნობა. ეს განუსაზღვრელი გულკეთილობა, კეთილმოსურნეობა და სათნოება შეთავსებული იყო ხასიათის სიმტკიცესთან და მედეგობასთან, როცა სიმტკიცე საჭირო იყო. არ არსებობდა ისეთი ძალა, რომელიც შესძლებდა გარკვეული გზიდან მის გადახვევას, რომელიც აიძულებდა მას თავისი პრინციპებისაგან გადადგომას...“

პროფესორი ი. ბარდახი: „იგი იყო მეცნიერთა პატრიარქი, რომელსაც ერთნაირად სცემდნენ პატივს ახლადშემოსული სტუდენტებიც და ამხანაგი პროფესორებიც. ყველაზე მეტად კაცს ხიბლავდა მისიგულწრფელი სიყვარული ადამიანისადმი. იგი ყველას აზრსა და შეხედულებას პატივს სცემდა, მაგრამ მაინც თავის რწმენაში კომპრომისები არ იცოდა. ყოველდღიურ ცხოვრებაში რბილი და დამთმობი, იგი სალი კლდე იყო მაშინ, როცა საქმე მის რწმენას ეხებოდა.“

პროფესორი ი. ლინიჩენკო: „წყნარი, დიადი, როგორც მისი მშობლიური მთები, უკეთილშობილესი და უმწიკვლო ტურფა და პოეტური საქართველოს შვილებიდან, იგი იყო ჩვენთვის ცოცხალი სინდისი და ნუგეში ჩვენი ჟამთასიავის მძიმე დღეებში...

ამ კეთილშობილი და სპეტაკი ადამიანის ჩუმად და მაგრად ხელის ჩამორთმევაც კი ბევრისთვის იყო იმედიც, გამხნევებაც და დახმარებაც მშობლიური ჭაობის გამხრწნელ სუნთქვასთან ბრძოლაში...“

აკადემიკოსი ნ. დ. ზელინსკი: „მე ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა არა მარტო მისი მოწაფეობა, არამედ მეგობრობა მთელი ოცი წლის განმავლობაში. მისი ზნეობრივი სიწმინდე,გულწრფელობა და პირდაპირობა მუდამ მამხნევებდა და მაახალგაზრდავებდა...“

ამგვარი გამონათქვამები ამ დიდ მეცნიერსა და ადამიანზე უამრავი შეიძლება მოვიტანოთ.

ოდესაში მისი სახლი მუდამ ღია იყო გაჭირვებული სტუდენტებისათვის, მითუმეტეს, ქართველები მის პიროვნებასაც მიჰყავდათ ამ ქალაქში. პეტრიაშვილის მეუღლე – ეკატერინე ყარამანის ასული თავდგირიძე, დედასავით პატრონობდა ხელმოკლე სტუდენტებს. ეროვნული და სარწმუნოებრივი გრძნობებით გამშვენიერებული ასეთი ქალები ქმნიდნენ ქართველი მანდილოსნების მომხიბლავ პორტრეტებს, სულიერად ადუღაბებდნენ ერს და მომავლის რწმენას უნერგავდნენ. ქართველი სტუდენტების მოგონებებში საუბარია იმ სადილებზე, რომელსაც უშვილო ცოლ-ქმარი ახალგაზრდებისთვის მართავდნენ. ცოლ-ქმარს ერთმანეთის დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდათ. ეკატერინე კარგად აღზრდილი და განათლებული ქალი იყო. თავისი ბიძების–გურიელების მდიდარ წიგნთსაცავში მიღებულმა ცოდნამ ახალგაზრდა ქალს ევროპაში სწავლის გაგრძელება გადააწყვეტინა. ქართულ ოჯახებს უჭირდათ ქალების ევროპაში გაშვება. ეკატერინესაც „გაპარვა“ მოუხდა. ამაში მისთვის დახმარება გაუწევიათ შვეიცარიიდან დაბრუნებულ, ვასილ პეტრიაშვილის მეგობარ ქალებს, გზის დალოცვისას მისთვის უსურვებიათ, რომ მასაც შეხვედროდა „ქალების პირველი მეგობარი“ – პეტრიაშვილი.

ეკატერინე პარიზში ცხოვრობდა, ნათესავის – ოთარ დადეშქელიანის ოჯახში. მალე სორბონის უნივერიტეტში მივლინებით ჩასული ვასილი გაიცნო და სამუდამოდ დაუკავშირეს ერთმანეთს ცხოვრება. ეს კი არ ყოფილა ადვილი,–იმ ურთულეს დროში, რუსეთის რეაქციული საგანმანათლებლო პოლიტიკა მეცნიერებს გზას უღობავდა უამრავი დაბრკოლებით. დაუმსახურებელი ტკივილები, შეურაცხყოფა, რევოლუციური ლოზუნგებით აღტყინებული ახალგაზრდობა, უნივერსიტეტების ავტონომიის მოთხოვნა და ამ ავტონომიით ხშირად არასწორი მოქმედება... ამ რეალობაში ცხოვრობდა ვასილ პეტრიაშვილი ოდესაში, მაგრამ ძლევდა სინამდვილეს, დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და საზოგადოების სიყვარული.

1902წლის სამეცნიერო-სასწავლო ექსპედიციის დროს, პეტრიაშვილმა, 23 მაისიდან 1 ივლისამდე საქართველოს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ადგილი დაათვალიერებინა თავის სტუდენტებს. ისინი იღებდნენ მინერალების, მადნის, სამკურნალო წყლების, ნიადაგის – სინჯებს, ეცნობოდნენ ქვეყანას. სევასტოპოლის, ქერჩის, ნოვოროსიისკის შემდეგ ნახეს სოხუმი: ლიმონის, ფორთოხლის და ზეთისხილის პლანტაციები, ბოტანიკური ბაღი, აიღეს მაგნიტური რკინა-ქვის ნიმუშები სანჭარის საბადოებიდან და ქვანახშირის ნი-

მუშები ტყვარჩელიდან. სოხუმის მოსახლეობამ გულთბილი ნადიმი გაუმართა პროფესორსა და ექსკურსანტებს.

ფოთში დაათვალიერეს ნავსადგურის სამშენებლო სამუშაოები, მეგზური ნიკო ნიკოლაძე იყო, ის ნავსადგურის პროექტზე ესაუბრა სტუმრებს და სახლშიც მიიპატიჟა. მას ბევრი ულაპარაკნია შავი ზღვის სანაპიროს მშენებლობის პრობლემებზე, მანგანუმისა და ქვანახშირის წარმოების მასშტაბის გაზრდაზე. სტუდენტები მოიხიბლენ ნასპინძლის მდიდარი ბიბლიოთეკით. ნახეს ბათუმი, ჩაის პლანტაციები და ფაბრიკა, დამთვალიერებლებს განმარტებებს ჩინელი აძლევდა, რომელიც 6 წლის ჩამოსული იყო ჩინეთიდან თავის 12 თანამემამულესთან ერთად.

ზესტაფონში ნახეს საქარის ამერიკული ვაზის სანერგე. სტაროსელსკი არ დახვდათ ადგილზე, უმასპინძლათ მისმა მეუღლემ, აქედან წავიდნენ ჭიათურაში, გორში, თბილისსა და კახეთში, ბაქოში, კავკავში, იქიდან დაბრუნდნენ მცხეთაში, შემდეგ ბორჯომში, აბასთუმანში, ბაღდადსა და ქუთაისში. მთელი ეს მოგზაურობა სავსე იყო უამრავი შეხვედრით, სინტერესო ადგილების მონახულებით, ყველაფერი კეთდებოდა საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების შესასწავლად, მისი მომავალი დაწინაურებისათვის ხელისშესაწყობად. თბილისში სტუმრებს ექვთიმე თაყაიშვილი შეხვდა, მან სტუდენტებს საქართველოს ისტორიულ წარსულზე წაუკითხა ლექციები, დაათვალიერებინა მცხეთა და განუმარტა აქაური სიძველეების მნიშვნელობა.

პეტრიაშვილის მეცნიერულ გამოკვლევებს ამ დროს დიდი რეზონანსი ჰქონდა. ის კამათობდა და იმარჯვებდა ფრანგ მეცნიერებთან, ამტკიცებდა თავისი მეცნიერული აღმოჩენების სიზუსტეს. მისი აკადემიზმი, ცოდნა და მიზანდასახულობა ხიბლავდა ყველას, ვინც მას იცნობდა. მთელ იმპერიაში იცნობდნენ მას, როგორც დიდ ქიმიკოსს, ფიზიკოსს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტს. ოდესის ლაბორატორია, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა და რომელიც პროდუქტების ვარგისიანობას ამოწმებდა, მოსახლეობაში დიდი ნდობითა და პოპულარობით სარგებლობდა.

1905 წელს გამოვიდა ბრძანება უმაღლესი სასწავლებლებისათვის ავტონომიის მინიჭების შესახებ. სტუდენტებსა და ლექტორ-მასწავლებლებში განსაკუთრებული ავტორიტეტის გამო, ვასილ პეტრიაშვილი არჩეული იქნა ფიზიკა- მათემატიკური ფაკულტეტის დეკანად და, როგორც უხუცეს დეკანსა და ღვაწლმოსილ ადამიანს, რამდენჯერმე მოუხდა რექტორის მოვალეობის შესრულება. ამის შემდეგ, ბუნებრივად დადგა საკითხი და 1907 წელს ის უნივერსიტე-

ტის რექტორად აირჩიეს. ამ თანამდებობის დაკავებაზე მეცნიერს თავდაპირველად უარი უთქვამს, მაგრამ გადამწყვეტი გამხდარა რუსეთის იმპერატორის სიტყვა, ნიკოლოზ მეორეს პირდაპირ უთხოვია და ერთდროულად დაუვალებია კიდეც მისთვის, ამ ურთულეს დროს ასეთი საპასუხისმგებლო მოვალეობის აღება.

მისი თანამშრომლების აზრით, პეტრიაშვილი იყო იდეალური რექტორი, შემდგომში იმასაც აღნიშავდნენ, რომ მის გარდა ვერავინ შეძლებდა ასე კარგად „მშვიდობიანობის დაცვას უნივერსიტეტში ამ საგანგაშო მდგომარეობისას და სტუდენტების მიმართ ასეთ მამობრივ მზრუნველობას.“

პეტრიაშვილს იხსენებენ და ახასიათებენ დინჯ, აუღელვებელ, ნაკლებად მოლაპარაკე ადამიანად. ამგვარი ბუნების კაცს, უეჭველია, ყველაფერი შინაგან განცდებზე გადაჰქონდა, რაც მის ჯანმრთელობას უდავოდ შეარყევდა. მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, მას მტკიცედ ეჭირა როგორც პირადი ღირსების, ასევე უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის დროშა. ოდესის უნივერსიტეტის პროფესორის–ი. ლინიჩენკოს სიტყვით „ძველმა კავკასიის რაინდმა იცოდა მხოლოდ ერთი ხერხი – გული წინ და პირისპირ“.

1907-1908 წლები აუტანელი რეაქციისა და ქაოსის პირობებში მიმდინარეობდა. უჭირდა ყველას, ვინც ჰუმანურად, პროგრესულად აზროვნებდა, იერიში მიდიოდა თავისუფლად მოაზროვნე უნივერსიტეტების წინააღმდეგ, გაუჭირდა ვასილ პეტრიაშვილსაც. მისმა ავტორიტეტმა და სტუდენტების მისადმი სიყვარულმა გააღიზიანა ზოგიერთი პროფესორი, დაუპირისპირდნენ... ვერ აიტანა უსამართლო დევნა და დაწერა განცხადება პენსიაზე გასვლის შესახებ, დააკმაყოფილეს ... და აი, მის წინაშე უკვე რეალურად დადგა საკითხი სამშობლოში გამომგზავრებაზე, იფიქრა – ჯერ ევროპაში დაესვენა, ფიზიკურად და სულიერად მომძლავრებულიყო, თან საქართველოში დაბრუნებისთვის საჭირო საქმეები მოეგვარებინა. მისი გეგმები გაუზიარა ძმისშვილს – რომანოზ პეტრიაშვილს წერილით, რომელიც თბილისში 1908 წლის 15 ივლისს მოვიდა. „ბიძა ვასილმა მომწერა წერილი, – ვკითხულობთ მამა რომანოზის მოგონებაში.– „ჩემო რომან, მე პენსიაზე გადამიყვანეს, ნერვები აშლილი მაქვს ძალზე და ამის გამო მივემგზავრები კარლსბადში, უნგრეთში, აბაზანების მისაღებად. სექტემბერში ჩამოვალ, ლაბორატორიას გავყიდი და თბილისში მინდა ჩამოსვლა საცხოვრებლად, ამიტომ შენ წადი ბატონ ნიკო ცხვედაძესთან და იაკობ გოგებაშვილთან, რომ მათ ვაკეში, სათავადაზნაურო გიმნაზიასთან, გამომიყონ 100 კვ. საჟენი მიწა, რომ ჩემთვის ავაშენო სახლი საცხოვრებლად.“ ეს წერილი მივიღე 15 ივ-

ლისს, 1908წ. და მეორე დღეს ვინახულე ორივენი, ვუჩვენე ბიძის წერილი, მათ ძალიან გაუხარდათ და თქვეს: ოღონდ ის ჩამოვიდეს და ყველაფერს მოვუწყობთო.

ქ. ოდესიდან 28 ივლისს, 1908 წ., დეპეშა მივიღე პროფესორ პეტრე მელიქიშვილისაგან: „Профессор Васил Моисеевич Петриашвили скончался". ეს იყო ჩემი მეორედ დაობლება..."

კარლსბადში დასასვენებლად მყოფი მეცნიერი, სრულიად მოულოდნელად, ფილტვების ანთებით გარდაიცვალა, 1908 წლის 27 ივლისს, 63 წლის ასაკში.

საქართველოში და ოდესელ ქართველებში ამ ამბავმა დიდი მწუხარება გამოიწვია.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დაადგინა, რომ ოდესიდან, სადაც დროებით დაიკრძალებოდა მეცნიერი, მისი ნეშტი გადმოესვენებინათ თბილისში და მთაწმინდაზე, ილიას გვერდით დაეკრძალათ. თავიდანვე თბილისში გადმოსვენების ინიციატივა საზოგადოებას იმიტომ არ აუღია, რომ ოდესაში მეცნიერის დიდი ავტორიტეტი და მისგან გაღებული ღვაწლი გაუთვალისწინებია, იქაურ საზოგადოებას უნდა მისცემოდა გარდაცვლილთან გამოთხოვების საშუალება. გადმოსვენება მალე უნდა მომხდარიყო, თუმცა ეს პროცესი შემდეგში წარმოუდგენლად გაჭიანურდა.

რუსულ, თავად ოდესაში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებში, ასევე ქართულ პრესაში, უამრავი სტატია გამოქვეყნდა პეტრიაშვილის ცხოვრებასა და სამეცნიერო-საზოგადოებრივ ღვაწლზე.

იმდროინდელი ქართული პრესა–„ამირანი", „ახალი კვალი", „ხომლი", „განათლება", „ნიშადური", „შინაური საქმეები" და სხვა, სავსეა პროფესორ პეტრიაშვილისადმი მიძღვნილი წერილებით, მოგონებებით, დეპეშებით. საქართველოს ყველა კუთხეში და საქართველოს გარეთაც (ბაქოში, კავკავში და სხვა) გადახდილი იქნა პანაშვიდები, დაისვა საკითხი განსვენებულის ცხედრის საქართველოში გადმოსვენებაზე, დაიწყო ფულის შეგროვება პეტრიაშვილის სახელობის სტიპენდიის დასაარსებლად და მისი სახელის უკვდავყოფისათვის საჭირო ღონისძიებების გასატარებლად. ყველა აღნიშნავდა, რომ პეტრიაშვილის სახით საქართველომ დაკარგა თავისი სახელოვანი და ერთგული შვილი, მგზნებარე პატრიოტი და სამშობლოსთვის თავდადებული ადამიანი.

მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაზეთი „ამირანი" წერდა: „...ვინ, რომელი ქართველი არ იცნობდა უძვირფასეს და უსაყვარლეს ვ. პეტრიაშვილს?!. მიუხედავად იმისა, რომ პეტრიაშ-

ვილმა საუკეთესო თავისი დღენი, თავისი ახალგაზრდობა და მოხუცებულობაც რუსეთში გაატარა და სამშობლოდან მოშორებული იყო, მას ყველა ვიცნობდით და ყველა უღრმეს პატივსა ვცემდით; პატივსა ვცემდით და გვიყვარდა, გვიყვარდა ყველას იშვიათი პატიოსნებისა და იშვიათი კეთილშობილებისათვის, გვიყვარდა ყველას როგორც მამა და მეგობარი ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობისა, გვიყვარდა ყველას, როგორც მოამაგე სამშობლო ქვეყნისა და ლიტერატურის; ხოლო ვისაც ბედნიერება ჰქონდა და პირადად იცნობდა, ის სამუდამოდ მოხიბლული იყო დარბაისელ, ჭკვიან, მხურვალე გულის პატრონის და კეთილშობილის ვასო პეტრიაშვილით... მე-90 წლებში ოდესის უნივერსიტეტმა დიდის ამბითა და აღტაცებით იდღესასწაულა პეტრიაშვილის 25 წლის სამეცნიერო იუბილე. მაშინ გამოჩნდა, როგორ უყვართ და როგორ სცემენ პატივს რუსი სტუდენტობა, რუსი საზოგადოება და სამეცნიერო ქვეყანა ჩვენს თანამემამულეს...“.

ვასილ პეტრიაშვილის ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს 1958 წელს. იგი დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე. გადმოსვენებას ხელმძღვანელობდნენ მისი ნათესავები – მწერალი და მეცნიერი გიორგი ციციშვილი და ელიზბარ ჩხიკვაძე...

დაბოლოს, როდესაც ვასილ პეტრიაშვილის ისტორიული პორტრეტისათვის შტრიხების მონახაზს დავხედავთ, ჩვენს წინაშე მართლაც საოცარი, დიდი, უკეთილშობილესი, ერთდროულად ბედნიერი და ტრაგიკული ადამიანი წარმოჩნდება.

ქართლის სოფელი, ხნულების, აყვავებული ბაღების, თაფლის სანთლების სუნი, ეკლესიის სითბო, სადაც მისი მამა-პაპანი ლოცულობდნენ და წირავდნენ, დედის ალერსის მონატრება, ძველი თბილისის ხიბლი, რომელიც თან გაიყოლა რუსეთში, ტკივილი მამის სურვილის დარღვევის გამო–წინაპართა მსგავსად მღვდელი რომ ვერ გახდა და ქიმიკოსობა აირჩია, მაშინდელი ქართველებისთვის სრულიად უცხო პროფესია...

წიგნებში და ლაბორატორიებში დაღამებული დღეები და გათეთრებული ღამეები, რუსეთში, რუს პროფესორებზე მეტი სახელი და დიდება, შეჯიბრი და გამარჯვება ევროპელ ავტორიტეტებთან, სამშობლოს მძაფრი მონატრება და მისი დახმარების სურვილი, უკანასკნელი კაპიკების გამეტება გაჭირვებული თანამემამულეებისათვის, და არა მარტო მათთვის, ყველასთვის, მიტევების დიდი უნარი და სულგრძელობა, მორწმუნე და ტოლერანტი წინაპრების სულიერი მემკვიდრეობა...

პარიზში ნაპოვნი ქართული სიყვარული, გაუმხელელი დარდი უშვილო, სამშობლოდან გადახვეწილი, საოცრად სიტყვაძუნწი კაცისა, მუდმივი და აუხდენელი ოცნება საქართველოში დაბრუნებასა და აქ სამუდამოდ დასახლებაზე...

თანამემამულეთა სიყვარულიც და ეჭვებიც, გულსატკენი ბრალდებები... უეცარი სიკვდილი უცხოეთში „მხცოვანი ", 63 წლის კაცისა და საყოველთაო დატირება... რუსი მეცნიერისაგან თანამედროვეობის ყველაზე დიდ მეცნიერად სახელდებული და ქართველი პოეტისგან საქართველოს ლომონოსოვად ჩათვლილი მკვლევარი...აი, ვინ დგას ვასილ პეტრიაშვილის ისტორიული პორტრეტის მიღმა.

ვერაზე, სადაც სიკვდილის წინ სამოსახლო ნაკვეთის შეძენა სურდა და რაშიც დახმარება აღუთქვეს ნიკო ცხვედაძემ და იაკობ გოგებაშვილმა, ახლა მისი სახელობის ერთი პატარა ქუჩაა. ყველამ არ იცის ვასილ პეტრიაშვილის ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ. ეს პორტრეტი მის გასახსენებლად ცოტათი მაინც დაეხმარება თავისი ამაგდარი და კეთილშობილი წინაპრების დამფასებელ ქართველს...

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ვ. კაკაბაძე, პროფესორ ვასილ პეტრიაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, წიგნში – „ვასილ პეტრიაშვილი", თბილისი, 1950;
2. რუსუდან ნიკოლაძე, პროფ. ვ. პეტრიაშვილი და თერგდალეულები, წიგნში–„ვ. პეტრიაშვილი", თბილისი, 1950;
3. რომანოზ გრიგოლის-ძე პეტრიაშვილის მოგონებები, ხელნაწერი(ინახება ეთნოლოგ ნინო ღამბაშიძესთან);
4. ნ. ციციშვილი, პროფ. ვ. პეტრიაშვილის ძირითადი შრომები ორგანულ ქიმიაში, წიგნში – ვასილ პეტრიაშვილი, თბილისი, 1950;
5. ვ.პეტრიაშვილი, ღვინის დაყენება, ჟურნალი „მოამბე", 1894 წელი, №№1-12
6. ვ. პეტრიაშვილი, ვაზი, მისი მოშენება და მოვლა, ჟურნალი „მეურნე", 1896 წელი, №№28-29, 1897 წელი, №№4-9
7. ვასილ პეტრიაშვილი, „წერილი რედაქტორთან"; გაზ. „დროება", №90, 1876 წლის 14 აგვისტო;
8. ვ. პეტრიაშვილი, ფრიად სასიხარულო ამბავი, გაზეთი „დროება", №187, 1883 წელი, 22სექტემბერი

9. დ. აგლაძე, რამდენიმე შენიშვნა პროფ.ვ. პეტრიაშვილის შრომაზე – „რძე და მისი სხვადასხვაგვარად გამოყენება“,წიგნში – „ვასილ პეტრიაშვილი“, თბილისი, 1950;
10. ხ. ღლონტი, ვასილ მოსეს-ძე პეტრიაშვილი, ნაწყვეტი მოგონებებიდან, წიგნში – „ვასილ პეტრიაშვილი“, თბილისი, 1950;
11. გაზეთი „ამირანი“, 1908 წელი, 10 აგვისტო.
12. ჟურნალი „მოამბე“, 1894., 1-12
13. გაზეთი „დროება“ №1876 წლის 30 ივლისი

Dodo Chumburidze
Doctor of Historical Sciences,Chief Scientific Worker of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

„The Greatest Modern Scientist“ and „Georgian Lomonosov“ Vasil Petriashvili

Summary

Prominent Russian and European scholars regarded Vasil Petriashvili as the greatest modern scientist. Akaki Tsereteli called famous Georgian scientist Lomonosov of Georgia.

Vasil Petriashvili was an initiator of a lot of social projects, was busily involved in charity; he spared no pains in his fight for better future of Georgia. His discoveries in organic chemistry gained the great acknowledgment in the Europe of the second half of the 19th century. His achievements were used in industry that means that they also had practical meaning.

Vasil Petriashvili's works in viticulture and milk producing, the only laboratory of food quality control founded by him in Russia of those days were widely acknowledged and gained the great interest of society.

The article deals not only with the life and activity of the great scientist but shows the picture of the epoch. It deals with the activities of those Georgian students who were studding and working at Odessa University and other European high schools; what the European, Russian and Georgian prominent people thought about Vasil Petriashvili.

შოთა ვადაჭკორია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ- თანამშრომელი

ოსების 1918 წლის აჯანყებების თავისებურებები და ოსი სეპარატისტების განიარაღების მცდელობის ასახვა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში

1917 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის იმპერიაში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა არარუსი ერები ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის პერსპექტივის წინაშე დააყენა. თითოეული მათგანის ფიქრისა და განსჯის საგანს პოლიტიკური მოთხოვნების ისეთი ფორმით შემუშავება წარმოადგენდა, რომელიც რუსეთის დროებითი მთავრობისათვის მისაღები აღმოჩნდებოდა და ცენტრის მხრიდან ამა თუ იმ ერის სახელმწიფო წარმონაქმნის შექმნის შესაძლებლობას საფრთხე არ დაემუქრებოდა. ამ თვალსაზრისით, ქართული პოლიტიკური სპექტრი ერთიანი რუსეთის შემადგენლობაში საქართველოსათვის პოლიტიკურ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნით იფარგლებოდა. საქართველოს პოლიტიკური პარტიები რამდენადაც იმ ეტაპზე რუსულ ორიენტაციას ოფიციალურად იცავდნენ, საქართველოში მცხოვრებ ოსებს, გამოკვეთილი სეპარატიზმი არ გამოუვლენია. სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებში ისინი ქართველი სოციალ-დემოკრატებსადმი (მენშევიკები) მხარდამჭერად გამოდიოდნენ.

საქართველოსთან მიმართებაში ოსების დამოკიდებულება 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ შეიცვალა. ამ მხრივ, განსაკუთრებული როლი საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ 1917 წლის 2 (15) ნოემბერს მიღებულმა „რუსეთის ხალხთა უფლებათა დეკლარაციამ“ შეასრულა. ეს დოკუმენტი ოფიციალურად აცხადებდა: „1) რუსეთის ხალხების თანასწორობა და სუვერენობა; 2) რუსეთის ხალხთა უფლება თავისუფალ თვითგამორკვევაზე, სრულ გამოყოფამდე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე.“[1, 18] აღნიშნული დეკლარაციის ეს მუხლები ოსური ინტელიგენციის წარმომადგენლებმა ისე გაიგეს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსებს თითქოს თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება ეძლე-

ოდა. ამ იდეის განხორციელება საქართველოს სინამდვილეში რამდენადაც ოსებს შეუძლებლად მიაჩნდათ, საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში ყოფნის შემთხვევაში მისი ხორცშესხმა რეალობად ესახებოდათ. აქედან გამომდინარე, დასახული მიზნის მისაღწევად გარკვეული მოსამზადებელი საფეხურის შექმნას ცდილობდნენ. მხედველობაში გვაქვს მათი მხრიდან ოსური საჯარისო შენაერთების ფორმირების ოფიციალურად მოთხოვნა. ეს საკითხი საქართველოს ოსების ინტელიგენციამ ჯერ კიდევ კავკასიის მეფისნაცვალის ვორონცოვ-დაშკოვის წინაშე 1905 წელს დასვა. მეფის ხელისუფლების ინტერესებში ნაციონალური პოლკების შექმნა რამდენადაც არ შედიოდა, ოსური ინტელიგენციის ჩანაფიქრი იმ ეტაპზე განუხორციელებელი დარჩა. პოლიტიკური პროცესების ცვალებადობიდან გამომდინარე, აღნიშნული იდეის „გაცოცხლება“ ოსებმა ხელსაყრელად მიიჩნიეს და ეს საკითხი მთელი პრინციპულობით საქართველოს ოსების („სამხრეთ ოსეთად“ წოდებულ) მეორე ყრილობაზე (1917 წლის დეკემბერი) დააყენეს.

ოსური „ნაციონალური ჯარის“ საჭიროების შესახებ მოხსენება გორის მაზრის კომისარმა ა.ძასოხოვმა გააკეთა. მისი მტკიცებით, ეროვნული საჯარისო შენაერთების შესაქმნელად ოსებს ქართველების, სომხებისა და მუსლიმანებისათვის უნდა მიებაძათ. სხვადასხვა სამხედრო ნაწილებში გაფანტული ოსი ჯარისკაცებისათვის თავი მოეყარათ, მოეწვიათ დეზერტირები, სამხედრო საქმისათვის ვარგისი ოსი ახალგაზრდები და მათგან ქვეითთა ჯარის ერთი „ნაციონალური პოლკი“ შეექმნათ. იმავე ა.ძასოხოვის მტკიცებით, პოლკის ძირითადი ამოცანა რევოლუციის ინტერესების დაცვა, გარეშე და შინაურ მტრებთან ბრძოლა უნდა ყოფილიყო. ერთი შეხედვით მიზანი კეთილშობილურ სახეს ატარებდა, მაგრამ ა.ძასოხოვი არაფერს ამბობდა თუ ვის გულისხმობდა გარეშე და შინაურ მტრებში. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ იგივე ა.ძასოხოვი პრინციპულად აყენებდა საკითხს – ახლადშექმნილი ოსური პოლკიები ნაციონალურ საბჭოს დაქვემდებარებოდა, და რაც მთავარია, ეს სამხედრო შენაერთი ჩრდილოეთ კავკასიის ოსების ჯარის შემადგენლობაში შესულიყო. რაც შეეხება მისი დისლოკაციის ადგილს – გორი ან დუშეთი უნდა აერჩიათ. [2]

ყრილობის მონაწილე ოსი დელეგატებისათვის ა.ძასოხოვის აღნიშნული წინადადება იმდენად მისაღები აღმოჩნდა, რომ შესაბამისი რეზოლუციაც მიიღეს: „შედგეს ეროვნული პოლკები– ვკითხულობთ დოკუმენტში – რომლის ნაწილი შეუერთდება ჩრდილოეთ ოსეთის სამხედრო ნაწილებს. პოლკი იდგება ამიერკავკასიაში. მე-

თაურთა შემადგენლობის არჩევა მიენდოს ოსთა ეროვნულ საბჭოს, რომლის განკარგულებაშიაც უნდა შევიდეს ზემოხსენებული პოლკი.“[3] მისი დისლოკაციის ადგილი გორი ან დუშეთი უნდა ყოფილიყო.

ამ ამონაწერის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ოსებისგან შემდგარი პოლკი მხოლოდ ოსების ეროვნულ საბჭოს უნდა დამორჩილებოდა და არა საქართველოს ეროვნულ საბჭოს. მის ხელმძღვანელობას ოსების ეროვნული საბჭო ნიშნავდა და არა საქართველოს ეროვნული საბჭო ან ამიერკავკასიის კომისარიატი. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ოსების ეროვნული პოლკი არა საქართველოს ეროვნული გვარდიის, არამედ ჩრდილოეთ ოსეთის სამხედრო შენაერთების ნაწილად უნდა ქცეულიყო. რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში არსებული უცხო სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი სამხედრო ქვედანაყოფის გორში ან დუშეთში ოფიციალური სტატუსით დისლოცირების ნებართვის გაცემა, საქართველოს სახელმწიფოს თვითმკვლელობისაკენ გადადგმული მიზანმიმართული ნაბიჯი იქნებოდა, რადგან მასში საქართველოს საწინააღმდეგოდ სამომავლოდ გათვლილი ბოროტების მარცვალი იყო ჩადებული. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ და ამიერკავკასიის კომისარიატმა, ოსების ეროვნული პოლკის შექმნა მიუღებლად ჩათვალა. თუკი ამ გადაწყვეტილებას ამიერკავკასიის რეგიონში განვითარებული პოლიტიკური პროცესების ფონზე განვიხილავთ, იგი სწორ ნაბიჯს წარმოადგენდა. მითუმეტეს, ეროვნული სამხედრო შენაერთების შექმნის საკითხს ოსები ისეთ რთულ პერიოდში აყენებდნენ, როცა ამიერკავკასიის ფრონტიდან დემობილიზებული გაბოლშევიკებული რუსული სამხედრო ნაწილები თბილისს აშკარა საფრთხეს უქმნიდნენ. ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია, რომ თბილისის ასაღებად და ამიერკავკასიის მთავრობის დასამხობად ბოლშევიკები კარგად შეიარაღებული 16000 ჯარისკაცის გამოყენებას შეეცადნენ. ამ ოპერაციის წარმატებით დასამთავრებლად შიდა ქართლში აჯანყებული სომხებისა და ოსების იმედი ჰქონდათ.[4]

ასეთ რთულ პირობებში მყოფი ქვეყნისათვის პრიორიტეტად არა თუ ოსური საჯარისო ნაწილების შექმნა, არამედ ოსების, როგორც რეალური საფრთხის შემქმნელების წინააღმდეგ შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების გატარება იყო საჭირო. მეორე მხრივ, ამიერკავკასიის მთავრობის წინაშე პრინციპულად იდგა საკითხი –ოსმალეთის აგრესიისაგან რეგიონის დაცვის შესახებ. მითუმეტეს, ტრაპიზონში მიმდინარე საზავო მოლაპარაკების პარალელურად,

ოსმალეთის სამხედრო შენაერთები საქართველოს ისტორიული ტერიტორიების ოკუპაციას ახდენდა. თუკი საქართველოში მცხოვრები ოსები თავის სამშობლოდ საქართველოს აღიქვამდნენ, ოსი ჯარისკაცების ზნეობრივი ვალდებულება – ა.ძასოხოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოში „რევოლუციის მონაპოვართა დაცვა“ და „გარეშე მტრებთან“ – ოსმალებთან ბრძოლა უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, იმ ძნელბედობის ჟამს, ოსმალო ასკერების წინააღმდეგ მებრძოლ ქართველობას, იარაღის ტარების შემძლე და სამხედრო გამოცდილების მქონე ოსების გარკვეული ნაწილი გვერდში მაინც უნდა ამოდგომოდა. დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლი ქართული ჯარის ნაწილებსადმი თანადგომის ნაცვლად ოსმა სეპარატისტებმა და ბოლშევიკებმა ერთობლივი ქმედებით ქართულ ჯარს ზურგში გალესილი მახვილი ჩასცეს. მხედველობაში გვაქვს 1918 წლის 13 და 14 მარტს ოსების მიერ ცხინვალისა და ჯავის რაიონებში დაწყებული აჯანყება. ამ ფაქტთან დაკავშირებით ქართული პოლიტიკური აზრის წარმომადგენლებმა თავიანთი პოზიცია ოფიციალურად გამოთქვეს და ოსების ორგულობის ფიზიონომია მკითხველი საზოგადოების წინაშე სრულად წარმოაჩინეს. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას გაზეთ „ალიონში“ გამოქვეყნებული სტატია „ცხინვალის ტრაგედიის გამო“ იქცევს. საქართველოსათვის იმ ეტაპზე შექმნილი ურთულესი პოლიტიკური სიტუაციის წინაპლანზე წამოწევის ფონზე, აღნიშნულ წერილში გარკვევითაა მითითებული რომ ოსებმა „მოიწადინეს ქართველი ერისათვის შიგ გულში ლახვარის ჩაცემა სწორედ იმ დროს, როცა საქართველო უდიდეს გასაჭირს განიცდის... ქართველ ერს გარეშე მტერი ემუქრება, მთელი მისი ყურადღება ოსმალეთისკენ არის მიქცეული და შინაურმა მტერებმა იფიქრეს, ქართველების მთელი ძალა რამდენადაც ფრონტისკენ არის მიმართული, შიგნით უძლურნი არიან და ეხლა შეგვიძლია გამარჯვებაო.“[5]

ეს ამონაწერი იმის აშკარა დადასტურებაა, რომ საქართველოსთან მიმართებაში ოსი სეპარატისტები და ბოლშევიკები ჩასაფრებული შურისმაძიებლის ამპლუაში გვევლინებოდნენ. მათ მიზანს საბჭოთა რუსეთის დაკვეთის შესრულება წარმოადგენდა, თუნდაც იგი საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაკარგვისა და თვით ქართველი ერის განადგურების ხარჯზე მომხდარიყო. ჩვენს ხელთ არსებული მასალის ანალიზიდან გამომდინარე, მათი ქმედების სხვაგვარად შეფასება შეუძლებელია. ამ პოზიციის გასამყარებლად გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილი მოწინავე სტატია „ამიერკავ-

კასია და საქართველოს რესპუბლიკა 1918 წელს“ გამოდგება. მასში გარკვევითაა მითითებული, რომ კავკავიდან და ყუბანის ოლქიდან ოსები და ბოლშევიკები „სწორედ იმ დროს იწყებდნენ მოძრაობას, როდესაც საქართველოს ჯარები ოსმალეთის ჯარებთან იბრძოდნენ. როგორც კი სამხრეთიდან და დასავლეთიდან ოსმალეთის ჯარი იწყებს შემოტევას და მათ წინააღმდეგ გავა სახალხო გვარდია და ჯარი, იმავე დროს ზურგს უკნიდან– აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ამ ჯარს და გვარდიას თავს ესხმის ოსი ბოლშევიკების ბრბოები.“ ანალოგიური თვალსაზრისია გამოთქმული გ.ლასხიშვილის წერილში „ბოლო უნდა მოეღოს.“ მისი სამართლიანი მტკიცებით, „რა წამსაც რომელიმე ძალას დაინახავენ ჩვენს წინააღმდეგ მომართულს, ოსები მაშინვე... სამზადისს შეუდგებიან.“[6]

კონკრეტულად თუ რაში მდგომარეობდა ოსების სამზადისი, გაზეთი „სახალხო საქმე“ მოწინავე წერილში „კმარა!“ ხაზგასმით მიუთითებდა: „როცა მთელი ძალღონის მიმართვა ოსმალეთის შემოსეული ასკერების წინააღმდეგ იყო საჭირო, ოსებმა თავისი თავი ბოლშევიკების მომხრეებად გამოაცხადეს და ცხინვალის მიდამოებში ფრონტი გაგვიმართეს.“[7] საქართველოს უახლეს ისტორიაში ეს იყო უაღრესად რთული მომენტი. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და ამიერკავკასიის მთავრობის წინაშე პრინციპულად დაისვა საკითხი; ფორმირების სტადიაზე მყოფი ქართული ჯარი და ეროვნული გვარდია შეძლებდა თუ არა გარეშე და შიდა ფრონტებზე (ოსმალეთი, აჯანყებული ოსი სეპარატისტები) მტრისადმი გამკლავებას. მითუმეტეს, როგორც შ.ამირეჯიბი წერდა „ცხინვალი შესაძლებელია საქართველოსათვის საბედისწერო ფრონტად იქცეს. იქ სწარმოებს ნამდვილი ომი ყოველნაირი იარაღის საშუალებით და... ეს ომი ადვილად არ გათავდება, რადგანაც ოსების მხრივ ბრძოლა მასიურ ხასიათს ღებულობს.“[8] მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ აჯანყებულ ოსებს, ტყვიამფრქვევებითა და ვაზნებით დატვირტული ორი ფურგონი გორიდან საიდუმლოდ ცხინვალში გაუგზავნეს. ასეთ სიტუაციაში ქართული პოლიტიკური ელიტის მესვეურებმა უკიდურეს რადიკალიზმს, აჯანყებულ ოსებთან მშვიდობიანი მოლაპარაკების გზა არჩიეს. ამ საპასუხისმგებლო საქმეს ცხინვალის კომისარი გიორგი მაჩაბელი ხელმძღვანელობდა. ბოლშევიკები და ოსი სეპარატისტები რამდენადაც თავს გამარჯვებულად თვლიდნენ, მათი უპასუხისმგებლო მოქმედების შედეგად ამ სამშვიდობო პროცესის დაწყების მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. 1918 წლის 18 მარტს აჯანყებულმა ოსებმა ცხინვალი აიღეს და გაძარცვეს. წამებით მოკლეს გიორგი მაჩაბელი, სანდრო კეცხოველი, პეტრე ეფ-

რემიძე, კოსტა კაზიევი, კოტე ცერცვაძე. 140 წითელგვარდიელი ტყვედ აიყვანეს. 19 მარტს ოსების ეროვნული საბჭოს სახელით ცხინვალში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს და დაბა ცხინვალის კომენდატად კულუმბეკოვი დანიშნეს. [9]

ისარგებლეს რა დროებითი წარმატებით, ოსმა სეპარატისტებმა სოფ. ჯავა, დაბა ცხინვალი და მისი მიმდებარე ტერიტორიები გორის მაზრას თვითნებურად ჩამოაცილეს და მისი მმართველობა ოსების ეროვნულ საბჭოს დაუქვემდებარეს. ეს ნაბიჯი საქართველოს ეროვნული საბჭოსა და ამიერკავკასიის მთავრობისადმი ოფიციალურად დაუმორჩილებლობას, ომის გამოცხადების ტოლფას ქმედებას წარმოადგენდა. კავკასიის რეგიონის გარშემო შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციის ჭრილში თუკი განვიხილავთ ოსების ზემოაღნიშნული ქმედებით მოსალოდნელ შედეგებს, საქართველო ახალი ტერიტორიის დაკარგვის გარდუვალი საფრთხის წინაშე იმყოფებოდა. მეორე მხრივ, იმის რეალური საშიშროებაც არსებობდა, რომ საქართველოში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ უმცირესობებს ოსი სეპარატისტების ეს დროებითი წარმატება, საბოლოო გამარჯვებად რომ აღექვათ და შესაძლო პრეტენზიები იარაღის გამოყენების გზით გამოეთქვათ. ამ შემთხვევაში საქართველო სამოქალაქო ომის ცეცხლის ალში გაეხვეოდა. ეს საშიშროება ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული და გამოსავალი გზის ძიებას ცდილობდნენ. უმძიმესი სიტუაციის განმუხტვისა და მოსალოდნელი კატასტროფისაგან ქვეყნის გადარჩენის ერთ ერთ საშუალებად, ოსმალეთთან ზავის დაუყოვნებლივ დადებას ასახელებდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს გაზეთ „ალიონში“ დაბეჭდილი წერილი „ცხინვალის ტრაგედიის გამო“ იქცევს. ამიერკავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში არსებული სინამდვილის წარმოჩენისა და მისი ანალიზის ფონზე, წერილის ავტორი მკითხველი საზოგადოების საყურადღებოდ წერდა: „არასოდეს არ ყოფილა ზავი იმდენად აუცილებელი... ამიერკავკასიის ინტერესებისათვის როგორც დღეს. შინაური მტრები ირაზმებიან და ჩვენს მთავრობას არ შესწევს იმდენი ძალა, რომ ორივე ფრონტზე იბრძოლოს. ამიტომ, უმჯობესია ჩვენმა მთავრობამ ზავი ჩამოაგდოს ყოველგვარის საშუალებით ოსმალეთთან, რომ მთელი თავისი ძალღონე შინაური ფრონტის გამაგრებას მოანდომოს, თორემ დაღუპვა და დამსხვრევა... ყველა იმედებისა გარდუვალია.“

ოსი სეპარატისტების მიერ მოწყობილი ცხინვალის აჯანყების განვრცობის მოსალოდნელ საშიშროებაზე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებიც მიუთითებდნენ. ისინი პრინციპულად

აყენებდნენ საკითხს აჯანყების მთელი სიმკაცრით დაუყოვნებლივი ჩაქრობის შესახებ. „ცხინვალის ამბები – წერდა შ.ამირეჯიბი – საშინელი მოჩვენებაა საქართველოს მომავლისათვის და საჭიროა არა მარტო მისი სასწრაფო ლიკვიდაცია, არამედ სიმკაცრეც, რომ იგი არ განმეორდეს.“[8] ამ მიზნის განსახორციელებლად პირველ რიგში ოსმალეთთან კომპრომისზე წასვლა, საომარი მოქმედებების შეჩერების მიღწევა და უკიდურეს შემთხვევაში ოსმალეთ-საქართველოს ფრონტიდან ქართული სამხედრო შენაერთების გარკვეული ნაწილის ცხინვალის მიმართულებით გადაჯგუფება წარმოადგენდა. ამ გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა მიზანშეწონილი, თუკი ამიერკავკასიის მთავრობას და საქართველოს ეროვნულ საბჭოს სარეზერვო სამხედრო ძალა არ აღმოაჩნდებოდა. მდგომარეობა უაღრესად რთული იყო თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ 20 მარტისათვის გორის მიმდებარე ტერიტორიებს ოსების 300 კაციანი შეიარაღებული პოლკი აკონტროლებდა, ხოლო პორუჩიკ ი.ხარებოვის მეთაურობით ცხინვალზე თავდამსხმელთა რაოდენობა რამდენიმე ათას კაცს შეადგენდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ აჯანყებული ოსები დამხმარე ძალებს ჩრდილო კავკასიიდან იღებდნენ. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ 20 მარტის კორესპოდენციაში „ოსების თავდასხმა ცხინვალზე,“ დაბეჭდილი იყო გორის გვარდიის სარდლის მიერ ამიერკავკასიის მთავრობისადმი გაგზავნილი წერილი. მასში დასაბუთებული იყო ის მოსალოდნელი საფრთხე, რომელიც აჯანყებული ოსებისაგან გორის მაზრას ემუქრებოდა. „გორი განსაცდელშია! იმედი მაქვს ჯავშნოსანისა, – ვკითხულობთ წერილში – რომელიც გორის სადგურზე დგას. გთხოვთ გამოგზავნოთ რაზმი და ჰაეროპლანი. მთელი ძალა შეაიარაღეთ და ფეხზე დააყენეთ.“[8] რამდენადაც მდგომარეობა უაღრესად რთული იყო, ამიერკავკასიის მთავრობის 1918 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით თბილისიდან ცხინვალში ვალიკო ჯუღელის სარდლობით გვარდია გაიგზავნა. იმავდროულად გორში მოხალისეთა მობილიზაციაც ჩატარდა. იმ ეტაპზე ვ.ჯუღელის დაქვემდებარებაში თბილისის, გორის, ხაშურისა და ქვემო ჭალის გვარდიელთა 800 კაციანი შემადგენლობა – მეზარბაზნეთა და მეტყვიამფრქვევეთა ქვედანაყოფის ჩათვლით იმყოფებოდა. ამ ძალებით დაუპირისპირდა იგი აჯანყებულ ოსებს. თუ როგორ წარიმართა ბრძოლის ბედი, ამის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას ვ.ჯუღელის მიერ ამიერკავკასიის მთავრობისადმი 23 მარტს გაგზავნილი დეპეშა იძლევა. ამ დოკუმენტიდან ვგებულობთ, რომ 22 მარტს 3 საათზე გვარდიის მიერ ცხინვალი და მისი შემოგა-

რენი ოსი აჯანყებულებისგან გაუნთავისუფლებიათ, ხოლო გაქცეულ ოსებს ჯავის ხეობისათვის შეუფარებიათ თავი. ამ ოპერაციის მიმდინარეობასთან დაკავშირებით იმავე დეპეშაში ვკითხულობთ: „22 მარტს 3 საათზე წითელმა გვარდიამ ცხინვალი და მისი მიდამოები ხელში ჩაიგდო. ქალაქში შესვლამდე მტერი გაიქცა, იგი ჯავის ხეობასა და ვანათის რაიონში იყრის თავს. მთელი დღე სამი სოფლის აღებას და მეამბოხეთაგან გაწმენდას მოვანდომეთ. 6 ვერსის სიგანის მასშტაბით უტევდა აჯანყებულებს გვარდიელები არტილერიასთან ერთად. ჩვენი არტილერია გაურბოდა სოფლების დაბომბვას და ესროდა სოფლიდან გამოსულ მოწინააღმდეგეებს. 22 მარტს წითელმა გვარდიამ ფართომასშტაბიანი შეტევა განახორციელა და სტრატეგიული სიმაღლეები დაიკავა.“[9] ამ დოკუმენტიდან განსაკუთრებული ყურადღება ერთ მეტად მნიშვნელოვან ნიუანსს უნდა მიექცეს. მხედველობაში გვაქვს მოწინააღმდეგის სტრატეგიულ პუნქტებზე შეტევის დროს ქართველი გვარდიელების მხრიდან სოფლების მშვიდობიანი მოსახლეობის არდაზიანების მაქსიმალური მცდელობა და აჯანყებული შეიარაღებული ოსებისადმი ანგარიშსწორება მხოლოდ მაშინ, როცა ისინი სოფლებს ტოვებდნენ. რაც შეეხება დამნაშავე ოსებს, ვ.ჯუღელი გარკვევით მიუთითებს: „დამნაშავეებს შეუბრალებლად ვსჯიდით.“ მაგრამ, ეს სრულებითაც არ ნიშნავს რომ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ოსების წინასწარგამიზნული დასჯა ჰქონდა ჩაფიქრებული. თუკი ამიერკავკასიის მთავრობამ და საქართველოს ეროვნულმა საბჭომ აჯანყებულ ოსებთან მიმართებაში რადიკალური ნაბიჯი გადადგა, იგი ოსი სეპარატისტების მხრიდან ღალატის ტოლფასი ქმედებით იყო განპირობებული და არა უდანაშაულო ოსური მოსახლეობისადმი ანგარიშსწორებით. ამას თვით ვ.ჯუღელის დეპეშაც ადასტურებს, სადაც გარკვევითაა მითითებული, რომ „ხვალ მივიღებთ ყოველ ზომებს... დიდი სიფრთხილით და ტაქტიკით, რათა არ გავაღრმავოთ ის უფსკრული, რომელიც გათხრილია ჩვენსა და ადგილობრივ ბნელ მასას შორის. მომხდარი ამბები იმდენად რთული და ტრაგიკულია, რომ სოფლებიდან ახალგაზრდები გაიქცნენ, ისე რომ ზოგ სოფლებში არავინ დარჩა... რადაც უნდა დაგვიჯდეს უნდა აღვადგინოთ ბუნებრივი და ჩვეულებრივი დამოკიდებულება მცხოვრებლებთან და კვლავ მოვიპოვოთ მათი ნდობა.“[9]

როგორც სამხედრო, ასევე ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურებს კარგად ესმოდათ, რომ ამ მიმართულებით მუშაობის წარმართვის მიზნით, პირველი რიგის ამოცანას ცხინვალისა და ჯავის მიმდებარე ტერიტორიებზე წესრიგის დამყარება წარმოადგენ-

და. ოსების აჯანყების ჩაქრობის შემდეგ თუკი ანარქიის პრეცედენტები მინიმუმამდე დავიდა, იგი ცხინვალში მდგომი ხაშურის გვარდიისა და გერმანელთა საჯარისო შენაერთების დამსახურება იყო. ოსები მათში დამთრგუნველ ძალას ხედავდნენ და „ჩათრევას“ ჩაყოლას ამჯობინებდნენ. ეს ფაქტორი ჰქონდა მხედველობაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რწმუნებულს მ.კლიმიაშვილს, როცა სამინისტროსადმი გაგზავნილ მოხსენებაში ცხინვალში, ჯავასა და ყორნისში შეიარაღებული სამხედრო ძალის გარკვეული დროის განმავლობაში დარჩენას რომ მოითხოვდა. თუკი ეს შეუძლებელი აღმოჩნდებიოდა, მისივე თქმით, უკიდურეს შემთხვევაში მილიციის შემადგენლობა 100 კაცით უნდა გაეზარდათ. ამ ამოცანის შესრულების ერთ-ერთ პირობად იგი ანარქიასთან ბრძოლის მოტივაციით განსაზღვრული რაოდენობის თანხის დროულად გამოყოფას მოითხოვდა.[10, ფურც. 242] ამის აუცილებლობა იმითაც იყო განპირობებული, რომ ოსების აჯანყების დამარცხების მიუხედავად, ოსი სეპარატისტებისგან ანარქიის ახალი კერების გაღვივების ალბათობის საშიშროება რეალობას წარმოადგენდა. მითუმეტეს, ოსების ინტელიგენციის ერთი ნაწილი ნ.ჯიოევის ხელმძღვანელობით ოსებში ფარულად ქართველთა საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდა. მეორე მხრივ, რუსეთის ფედერაციაში გახიზნული ქართველი ბოლშევიკები არ ისვენებდნენ და საქართველოში ოსების მეშვეობით ახალი დესტაბილიზაციის კერის გაჩაღებას მაქსიმალურად ცდილობდნენ. ამის დადასტურებას ფ.მახარაძისა და ს.ქავთარაძის ხელმძღვანელობით კავკავში შემუშავებული საჩხერის ოსების აჯანყების გეგმა წარმოადგენს. ამ დოკუმენტის მიხედვით, აჯანყებულებს პირველ რიგში საჩხერე, ჭიათურა და ზესტაფონი უნდა აეღოთ. ქუთაისის ასაღებად ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციებში მათ ლეჩხუმის, რაჭისა და სამეგრელოს აჯანყებული მოსახლეობა გაუწევდა დახმარებას. იმავდროულად, აჯანყებები დაიწყებოდა დუშეთში, რომელსაც ცხინვალ– ჯავის ოსობა შეუერთდებოდა.[11] ეს ფაქტი იმის დამადასტურებელია, რომ ოს სეპარატისტებთან ერთად ქართველი ბოლშევიკები, საქართველოს დამოუკიდებლობის დასანგრევად საქართველოში ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ომის გასაჩაღებლად ემზადებოდნენ. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ რუბრიკაში „პრესის მიმოხილვა“– ხაზგასმით წერდა: „ქართველ ბოლშევიკთა შეგულიანებამ სწორედ ისინი (ოსები შ.ვ.) ააჯანყა საქართველოს დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ, ვისთვისაც ეს მთავრობა ზრუნავდა, ვისთვისაც იგი ხმალს იქნევდა.“[12] ბოლშევიკებთან ერთად ამ საქმეში ლომის

წილი ოსების ეროვნულ საბჭოსაც ედო. ამის შესახებ გაზეთი „სალი კლდე“ მკითხველ საზოგადოებას აუწყებდა: „ოსები აღიარებენ, რომ დირექტივები ოსების ეროვნული საბჭოს მიერ ჰქონდათ მიცემული.“[13] ანალოგიური თვალსაზრისი უფრო დასაბუთებული ფორმით საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 23 ივლისის სხდომაზე ეროვნულ- დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გრ.ვეშაპელმა გამოთქვა. მისი მტკიცებით, საჩხერის აჯანყების სულისჩამდგმელი სოფ. ჭალის ხეობის ოსობა იყო, რომელსაც სხვა ხეობების ოსებიც უჭერდნენ მხარს. რაც შეეხება აჯანყებულთა სამხედრო ოპერაციებს, იმავე გრ.ვეშაპელის მტკიცებით, ამ საქმეს ოსების ეროვნული საბჭოს წევრები ხელმძღვანელობდნენ. მათივე ინიციატივით მოეწყო აჯანყების შტაბი სოფ. ჭალაში.[14] ეს იმას ნიშნავს, რომ საჩხერის ოსების 1918 წლის ივნისის აჯანყება ქართველი ბოლშევიკებისა და ოსების ეროვნული საბჭოს ერთობლივი შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფს წარმოადგენდა. მისი ხელმძღვანელი ეროვნებით ოსი ისაკ ხარებოვი იყო.[11]

საჩხერის რაიონის სოფ. ჭალაში განთავსებული აჯანყების შტაბის წევრები და მისი მეთაური ი.ხარებოვი ზემოაღნიშნული გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ. როგორც გაზეთი „ერთობა“ წერდა, აჯანყებულთა პირველი რიგის ამოცანას საჩხერისა და ჭიათურის აღება წარმოადგენდა. სამთავრობო ძალების წინსვლის შეფერხების მიზნით რკინისგზა უნდა აეყარათ და ამის შემდეგ ქუთაისზე გაელაშქრათ. იმავე გაზეთის მონაცემებით, იმ ეტაპზე აჯანყებულთა რაოდენობა 5000 კაცს აღწევდა. აქედან კარგად შეიარაღებული მხოლოდ 1500 კაცი იყო. დანარჩენებს „იარაღი არ გააჩნდათ და კეტებით იყვნენ შეიარაღებულნი.“[14] დოკუმენტური მასალებით დასტურდება, რომ ამ „დანარჩენი“ ხელკეტებით შეიარაღებული ოსების ფუნქციას ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა წარმოადგენდა. ეს იმას ნიშნავს, რომ 1500 შეიარაღებულ ოსს, მონღოლურ სტილში 3500 მძარცველი მოყვებოდა. ოსების მხრიდან, სხვისი ქონების ხელში ჩაგდებისადმი სწრაფვა იმდენად ძლიერი იყო, რომ საჩხერის გარშემო არსებული სოფლების დარბევის შემდეგ, 26 ივნისს შეტევა ქალაქ საჩხერეზე განახორციელეს და 27 ივნისს ქალაქი აიღეს. იმავე დღესვე, სამთავრობო ძალებმა აჯანყებულთა წინააღმდეგ 15 ვერსის სიგანის რადიუსით შეტევა დაიწყო. ეს ბრძოლები მთელი ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს, ეროვნული საბჭოს 1918 წლის 23 ივლისის სხდომაზე გრ.ვეშაპელი ხაზგასმით ამბობდა: „საჩხერის ამბავს აქვს განსაკუთრებული სახე. უკვე ერთი თვეა არსებობს ეს ფრონტი და

სწარმოებს ნამდვილი ომი თანამედროვე სამხედრო საშუალებებით. ერთი თვეა რაც ზარალდება სოფლები. სოფლელებს საშუალება არა აქვთ მოსავლის აღებისა."[15] მართალია, ეს საყვედური ხელისუფლების მისამართით იყო გაკეთებული, მაგრამ მისი ავტორი ყურადღების მიღმა ტოვებდა უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს: ა)აღნიშნული აჯანყება მარტო საჩხერის რაიონის ოსების აჯანყებას არ წარმოადგენდა, რადგან მასში აქტიურად იყო ჩაბმული კუდაროს, ყემლუთის, წონას, ყორნისისა და ოკმისას საზოგადოებების ოსი მოსახლეობა;[16, 116] ბ)საჩხერის აჯანყების პარალელურად ოსების აჯანყება დაიწყო დუშეთის მაზრაში. 19 ივნისს აჯანყებულებმა დუშეთი აიღეს, ხოლო 26 ივნისს დუშეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს.[17, 116] აღნიშნული ფაქტები იმის დამადასტურებელია, რომ საქართველოს ხელისუფლებას საჩხერელი აჯანყებული ოსების პარალელურად, დუშეთის მაზრის აჯანყებული ოსების წინააღმდეგაც უხდებოდა ბრძოლა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალები იმ ეტაპზე ორ ფრონტზე იყო გადანაწილებული. საჩხერელი აჯანყებული ოსების წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციების ერთი თვით გაჭიანურაბა, სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა. მართალია, ძალების მაქსიმალური მობილიზაციის საფუძველზე ოსების ზემოაღნიშნული აჯანყებები დამარცხებული იქნა, მაგრამ ეს გამარჯვება საქართველოს ხაზინას 12 მილიონი მანეთის საფასურად დაუჯდა. რაც შეეხება საჩხერის რაიონის სოფლებისადმი აჯანყებული ოსების მხრიდან მიყენებულ ზარალს ერთ მილიარდზე მეტს შეადგენდა.[15]

ოსების აჯანყებების სალიკვიდაციო ღონისძიებებში საქართველოს ხელისუფლების სათანადო უწყებებმა შესაშური ენერგია და ორგანიზება გამოავლინა. ამას თვით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ ერთი ლიდერი და საქართველოს მთავრობის მუდმივი ოპონენტი გრ.ვეშაპელიც აღიარებდა. „ესოდენი ენერგია – წერდა იგი – რომ გამოეჩინა ხალხსა და მთავრობას საგარეო ფრონტზე, როგორც იჩენს საშინაო ფრონტზე, იქნებ არ დაგვეკარგა გამაგრებული ციხეები."[15] მართალია, „საშინაო ფრონტზე" სახელისუფლებო შტოების მიერ გატარებული ღონისძიებებით გრ.ვეშაპელი კმაყოფილებას გამოთქვამდა, მაგრამ ხელისუფლებას ოსმალეთთან წაგებული ომისათვის საყვედურობდა. იმავდროულად იგი პრინციპული ხასიათის შეკითხვას აძლევდა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს; მომავალში ოსთა აჯანყებების თავიდან აცილების მიზნით თუ რა კონკრეტული ღონისძიებების გატარებას აპირებდნენ. ეს შეკითხვა შემთხვევით არ იყო განპირობებული. იგი საქარ-

თველოში იმ ეტაპზე მომხდარი პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარეობდა. მხედველობაში გვაქვს ცხინვალის ოსების აჯანყებიდან (1918 წლის მარტი) სამ თვეში საჩხერის ოსების აჯანყების (1918 წლის ივნისი) ფაქტი. როგორც სჩანს, დამნაშავე ცხინვალელი ოსებისადმი ხელისუფლების მხრიდან გატარებული სადამსჯელო ღონისძიებები გრ.ვეშაპელს არასაკმარისად მიაჩნდა. ზემოაღნიშნული შეკითხვაც სწორედ ამ კონტექსტში იყო დასმული. ამის საფუძველს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 23 ივლისის სხდომაზე გრ.ვეშაპელის მიერ წარმოთქმული სიტყვის მკაცრი ტონი იძლევა. მისი სამართლიანი მტკიცებით, ოსებთან მიმართებაში ღონისძიებათა ისეთი ფორმა უნდა გაეტარებინათ, რომ ოსებს საქართველოს მთავრობა ეცნო და შექმნილიყო მყარი გარანტია, რათა ერთ კვირაში ოსები ისევ არ აჯანყებულიყვნენ.[14] იმავდროულად იგი მთელი პრინციპულობით ოსების ეროვნული საბჭოს წევრებისა და ოსების აჯანყების მეთაურების პასუხისგებაში მიცემას მოითხოვდა. „მთავრობის ხმალი – ამბობდა გრ.ვეშაპელი- უნდა იყოს სამართლიანი, მაგრამ იმავე დროს მკვეთრი და დაუნდობელი. დუშეთის მაზრიდან ჩვენი ჯარი და გვარდია გორის მაზრაში უნდა გადავიდეს და ქვეყნის მოღალატეებს ლაგამი... ამოსდოს.“[18] ეს სამართლიანი მოთხოვნა იმ მწარე გამოცდილებას ემყარებოდა, რომელიც ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ ცხინვალისა და საჩხერის ოსური აჯანყებების შედეგად მიიღო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეთა უმრავლესობა ოსი სეპარატისტებისადმი უმკაცრესი სადამსჯელო ღონისძიებების გატარების მომხრე იყო. ამის დადასტურებას გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილი სტატია „ოს ინტელიგენტთა საყურადღებოდ“ წარმოადგენს. მასში პრინციპულად იყო დასმული საკითხი დამნაშავეთა სასტიკად დასჯის შესახებ. იმავე სტატიის ავტორის აზრით, დამნაშავეთა შორის „პირველ ადგილს ოსი ნაციონალისტები დაიჭერენ. ისინი ამღვრევენ წყალს... სთესავენ შურსა და მტრობას.“[19] ოს სეპარატისტებთან მიმართებაში კიდევ უფრო რადიკალური იყო იმავე გაზეთში დაბეჭდილი სტატია „ომი და აჯანყება.“ მასში დამნაშავეთა მიმართ უმკაცრესი რეპრესიების მოთხოვნის საკითხი იყო დასმული. „რეპრესიები – ვკითხულობთ წერილში – უნდა დაატყდეს ნამდვილ დამნაშავეებს, რამდენადაც შესაძლებელია, ყოველი საშუალებით იგი უნდა ავაშოროთ უდანაშაულო ხალხს ...გულჩვილობა და სირბილე შავრაზმელობასა და ღალატთან ბრძოლაში შეუძლებელია. მოტყუებულ ხალხს უნდა ჩაგონება. მომტყუებელს და შემცდენელს უსასტიკესად დასჯა.“[20] ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ ქართული პო-

ლიტიკური აზრის მესვეურები ზოგადად ოსების დასჯაზე კი არ მიუთითებდნენ, არამედ, აქცენტირებას მხოლოდ ოს სეპარატისტებზე, დამნაშავეებზე აკეთებდნენ. იმავდროულად ხელისუფლების წარმომადგენლებს აფრთხილებდნენ, რომ აღნიშნულ საკითხს მთელი პასუხისმგებლობით მოკიდებოდნენ, დამნაშავე და უდანაშაულო ერთმანეთისაგან მაქსიმალურად გაემიჯნათ. „ჩვენი მთავრობა – წერდა გაზეთი „ალიონი“ – ვალდებულია თვალები კარგად გაახილოს, დაინახოს ვინ არის დემოკრატიის და რევოლუციის მოყვარე, ვინ მტერი და ვინ არის იუდა ისკარიოტელი, ვინ გულწრფელი მეგობარი.“ ამ პრინციპის დაცვას ოსებთან მიმართებაში მაქსიმალურად ცდილობდა მაშინდელი ქართული პოლიტიკური ელიტა. დამნაშავეებისადმი დაუნდობლობა და სიმკაცრე, ახლადშექმნილი დემოკრატიული ქვეყნის გადარჩენის აუცილებლობით იყო განპირობებული. მითუმეტეს, ოს სეპარატისტებს ქართული სახელმწიფოს სიძულვილის ბაცილა იმდენად მძლავრად ჰქონდათ სისხლხორცეულად გამჯდარი, რომ ხელსაყრელი სიტუაციის შექმნისთანავე ქართული სახელმწიფოს წასაქცევად თავს არ დაზოგავდნენ. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, გრ.ვეშაპელი ეროვნული საბჭოს 1918 წლის 23 ივლისის სხდომაზე საქართველოს მთავრობის მისამართით აცხადებდა: „დაუყოვნებლივ დაიმორჩილეთ ოსთა მიერ დასახლებული მთელი ხეობები, მოსპეთ მათი მთავარი შტაბი ჯავაში... აიძულეთ იცნონ საქართველოს სახელმწიფო და მთავრობა,... აანაზღაურონ ის ზარალი, რაც... საჩხერის მცხოვრებთ მიაყენეს.“[18]

როგორც ვხედავთ, ქართული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე გრ.ვეშაპელი ორ ძირითად პრინციპულ საკითხს აყენებდა: 1)ხელისუფლების მხრიდან ოსების დამორჩილების აუცილებლობას და 2)ქართული მოსახლეობისადმი ოსების მიერ მიყენებული ზარალის ოსების ხარჯზე ანაზღაურების გარანტიების შექმნას. საკითხის ასეთი ფორმით დასმის მიუხედავად, იგი არ ასახელებდა იმ მექანიზმს, რომლის საშუალებითაც მისი მოთხოვნების შესრულება გახდებოდა შესაძლებელი.

ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურთა მხრიდან ოსებისადმი უმკაცრესი დამოკიდებულების პრაქტიკულად გატარების მოთხოვნა იმ გაუგონარ ღალატს ეფუძნებოდა, რომელიც საქართველოს ოსებმა ქვეყნის ძნელბედობის ჟამს ქართველი ერის წინაშე ჩაიდინეს. ამის შესახებ გაზეთი „სახალხო საქმე“ მოწინავე სტატიაში „კმარა!“ ხაზგასმით წერდა: ოსები „მუხანათურად ღალატობენ საქართველოს, კარებს უღებენ გარეშე ძალას და მასთან შეერთებულად ცდილობენ სასიკვდილოდ გული გაუპოს საქართველოს.“[21]

ოსების ნამოქმედარის შეფასებიდან გამომდინარე, გაზეთი „კლდე“, საქართველოს ოსებს გამცემსა და გაიძვერას უწოდებდა და იქვე დასძენდა; „ოსებს ორგანულ ჩვეულებად დასჩემებიათ შინაური თავდასხმების მოწყობა მაშინ, როცა რესპუბლიკა თავისი ჯარებით მტრებთან ყოფნა-არყოფნის ბრძოლას აწარმოებს. საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობის მოსურნე მტერს წინ ოსი ეგებება და უღებს კარებს.“[22] ამავე საკითხს შეეხო ჟურნალ „მხედარში“ დაბეჭდილი ს.აბულაძის სტატია „ოსების ამოძრავება.“ აჯამებდა რა საქართველოსთან მიმართებაში 1917- 1919 წლებში ოსების ნამოქმედარს, ს.აბულაძე ხაზგასმით წერდა: „ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს, როცა ოსმალეთი შემოესია საქართველოს, აზერბაიჯანმა და სომხეთმა პილატესავით ხელი დაიბანეს და ოსმალეთის პირდაღებული ვეშაპის წინ საქართველო მარტოდმარტო დარჩა, ოსებმა დახმარების ნაცვლად იარაღით ზურგიდან ბრძოლა დაგვიწყეს... როცა ბოლშევიკური რუსეთი ჩვენი საზღვრების გადმოლახვას ცდილობდა... ოსებმა აჯანყებები მოგვიწყვეს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში. მოახლოვდებოდა თუ არა რუსეთის რეაქციონური ძალები, ოსებიც წამოყოფდნენ თავს და საქართველოს დასამხობად იმათ მხარეზე დგებოდნენ.[23]

აღნიშნული ამონაწერის მიხედვით, ირკვევა, რომ ოსების ნამოქმედარის საფუძვლიანი ანალიზიდან გამომდინარე, იმ პერიოდის ქართული პოლიტიკური აზროვნების წარმომადგენლები ოსებს მოღალატისა და გაიძვერას კონტექსტში განიხილავდნენ. ეს არც არის გასაკვირი, რადგან საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში, საქართველოში მცხოვრები ოსების უმეტესობამ ქართველ ერთან მიმართებაში ისტორიის სამარცხვინო ფურცელი დაწერა. რაგინდ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, საქართველოში მცხოვრებმა ოსებმა გალესილი მახვილი ზურგში იმ ერს ჩასცა, რომელმა ერმაც თავის დროზე ისინი შეიფარა, ქართული მიწის ბარაქით სარგებლობის უფლება და ოსური ეთნოსის გადარჩენის შესაძლებლობა მისცა. მადლიერების სანაცვლოდ, ქართველ ერს და ქართულ სახელმწიფოს ოსებმა ღალატით უპასუხეს.

* * *

საქართველოში იმ ეტაპზე არსებული მძიმე პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლების პირველი რიგის ამოცანას ოსური სეპარატიზმის მოთოკვა და თვით ოსების ქვეყნის ინტერესების შესატყვის ჩარჩოში მოქცევა წარმოადგენდა. ამ უაღრესად რთული პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ პირობად

ქართული პოლიტიკური აზრის თვალსაჩინო წარმომადგენელი ივ.გომართელი შიდა ქართლის ტერიტორიაზე მცხოვრებლებისადმი, მათ შორის ოსური მოსახლეობისადმი იარაღის დაუყოვნებლივი ჩამორთმევის საკითხს აყენებდა.[24] ანალოგიური თვალსაზრისი იყო გამოთქმული გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილ სტატიაში „ოს ინტელიგენტთა საყურადღებოდ.“ „სოფლებში გაფანტულ ჯარისკაცებს – წერდა გაზეთი – დაუყოვნებლივ უნდა ჩამოერთვას იარაღი. დატყვევებულნი და დასჯილნი უნდა იქნეს ის ოსი ნაციონალისტები, რომლებიც საქმეს ართულებენ. ასეთი ზომების მიღება საჭიროა როგორც ოსების ისე ქართველების სოფლებში.“[25]

მართალია, საკითხი სწორად იყო დასმული და მისი განხორციელება საქართველოში შექმნილ ურთულეს პოლიტიკურ სიტუაციას სრულად შეესაბამებოდა, მაგრამ ყურადღების მიღმა იყო დატოვებული უმნიშვნელოვანესი – შეიარაღებული ოსებისადმი იარაღის ჩამორთმევის მექანიზმი. კერძოდ, რა ფორმებითა და საშუალებებით გახდებოდა შესაძლებელი დასახული მიზნის განხორციელება. არსებული პრობლემის მოგვარება ისეთი სიფრთხილითა და წინდახედულებით უნდა მომხდარიყო, რომ ახალი დაპირისპირების საბაბად არ ქცეულიყო. მითუმეტეს, როგორც გაზეთი „ერთობა“ წერდა, ოსების უმრავლესობას იარაღი საკუთარი ფულით ჰქონდა შეძენილი. ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ოსების V ეროვნულმა ყრილობამ (1918 წლის 5 აგვისტო) პრინციპული ხასიათის შესატყვისი რეზოლუცია ვერ მიიღო. ოსების ეროვნულ საბჭოს მან მხოლოდ ზოგადი სახის დავალება მისცა. ამ დოკუმენტის მიხედვით, სანდო პირების მეშვეობით იარაღი არა ოსი მოსახლეობისაგან, არამედ, მხოლოდ ოსი ყაჩაღებისგან უნდა ამოეღოთ.[26] საარქივო და პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალებით დასტურდება, რომ შეიარაღებული ოსები თვითნებურად დაწრწოდნენ ქართულ სოფლებში და მშვიდობიანი მოსახლეობის საწინააღმდეგოდ იარაღს სურვილისამებრ იყენებდნენ. ამ შემთხვევაში ერთად ერთ გამოსავალს ოსებისადმი იარაღის მასობრივად ჩამორთმევა წარმოადგენდა. თუკი ეს პროცესი განხორციელდებოდა, რეგიონში ანარქიის აღმოცენების ძირითადი საფუძველი აღმოიფხვრებოდა და ხელისუფლებას აგრარულ სფეროში რეფორმების გატარების შესაძლებლობა მიეცემოდა. შექმნილ პირობებში გადამწყვეტი სიტყვა ოსური ინტელიგენციის წარმომადგენლებსა და ოსების ეროვნულ საბჭოს უნდა ეთქვა. მითუმეტეს, იმ ეტაპზე მათი გავლენა ოსებში საკმაოდ დიდი იყო. ამ მხრივ, მათ გარკვეული სახის გამოცდა ელოდათ იმ თვალსაზრისით, რომ ეს

პროცესი სრულად წარმოაჩენდა ქართულ სახელმწიფოსთან მიმართებაში თითოეული მათგანის დამოკიდებულებას. ამ საკითხს მაშინდელი ქართული პოლიტიკური აზრის წარმომადგენლები განსაკუთრებულ დატვირთვას აძლევდნენ. სამწუხაროდ, ოსურმა ინტელიგენციამ და ოსების ეროვნულმა საბჭომ ოსებისთვის იარაღის მასობრივად ჩამორთმევის საკითხთან მიმართებაში საქართველოს ხელისუფლების საწინააღმდეგო პოზიცია დაიჭირა. აღნიშნული ფაქტი ქართული პოლიტიკური აზრის წარმომადგენელთა მსჯელობის ერთ ერთი საგანი გახდა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას გაზეთ „ერთობაში“ ვ.ქ.- ს ფსევდონიმით დაბეჭდილი სტატია „ოსეთში“ იქცევს. მისი ავტორი შიდა ქართლში წარმოქმნილი ანარქიის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ოსური მოსახლეობის შეიარაღებას ასახელებდა და ოსების განიარაღების შესახებ მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას კანონზომიერად მიიჩნევდა. იმავდროულად მკითხველი საზოგადოების ყურადღებას აღნიშნული ღონისძიებისადმი ოსების დამოკიდებულებაზე მიაპყრობდა. მისი მტკიცებით; 1)ოსი გლეხები და ინტელიგენცია ოსებისადმი იარაღის ჩამორთმევის წინააღმდეგი იყვნენ, რადგან ამ აქტს დამამცირებლად და პოლიტიკურ მტრობად აღიქვამდნენ; 2)შეიარაღებულ ოსებს მფარველობას ოსური ინტელიგენციისა და ოსების ეროვნული საბჭოს წარმომადგენლები უწევდნენ. ისინი განიარაღების პროცესის ჩატარებაში მთავრობას მაქსიმალურად უშლიდნენ ხელს. ამის დამადასტურებლად წერილის ავტორს ოსების განიარაღების საკითხთან მიმართებაში ცხინვალის რაიონის კომისარის ბოცვაძისა და „მთის ოსების“ კომისარის ლ.ცხოვრებოვის დაპირისპირების ფაქტი მოყავდა. რაც შეეხება ოსების ეროვნულ საბჭოს, ეტიკეტის დაცვის ფორმების გამოყენებით აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში მხარი ლ.ცხოვრებოვს დაუჭირა. ამის დამადასტურებლად ოსების ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის ა.თიბილოვის მიერ 1918 წლის 22 აგვისტოს რიცხვით დათარიღებული წერილი გამოდგება. „სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო გთხოვთ – ვკითხულობთ დოკუმენტში – სხვადასხვა პირებისადმი ჩამორთმეული იარაღი გადასცეთ მთის ოსეთის რაიონის კომისარს პორუჩიკ ლეონიდე ცხოვრებოვს.“ ეს იმას ნიშნავდა, რომ მთავრობის მიერ კომისრად დანიშნულ ბოცვაძეს, ოსებისათვის ჩამორთმეული იარაღი ოსების შეიარაღებით დაინტერესებული პირისადმი უნდა გადაეცა, მაშინ როდესაც, საქართველოს ხელისუფლება ოსების განიარაღებით და რეგიონში წესრიგის დამყარებით იყო დაინტერესებული. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, სტატიის ავტორი, ა.თიბილოვის დასახელე-

ბულ წერილთან მიმართებაში სავსებით კანონზომიერად სვამდა შეკითხვას; „რას ნიშნავს ეს წერილი? ოსების ეროვნულ საბჭოს აქვს თუ არა უფლება ადმინისტრაციული ფუნქციებით ისარგებლოს ჩვენი კომისრების წინააღმდეგ? ჩვენ ვფიქრობთ რომ არა! თუ ოსების ეროვნულ საბჭოს სურს მშვიდობის დამყარება... იგი უნდა დაეხმაროს ჩვენს კომისრებს იარაღის ამოღებაში და არ გააუქმოს მისი განკარგულებანი. ამას მოითხოვს საერთო ინტერესები, ამასვე მოითხოვს თვით ოსების ინტერესები“[27]

სამწუხაროდ ოსური ინტელიგენცია და ოსების ეროვნული საბჭოს წევრები ასე არ ფიქრობდნენ. პირიქით, მათ მიზანს ოსური მოსახლეობის მაქსიმალური შეიარაღება წარმოადგენდა. ამისთვის მოსახლეობაზე ზეწოლის ყოველგვარი სახის მექანიზმს იყენებდნენ. ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს ბ.ლასხიშვილი სტატიაში „ბოლო უნდა მოეღოს“ გარკვევით წერდა: „არა ერთსა და ორ ოსს უთქვამს, რომ ყველა მამაკაცი დავალებულია შეიძინოს იარაღი და ვინც თავისი ნებით არ შეიძენს, იმას ძალით გაუყიდიან ძროხას, ან ხარს და შეაძენინებენ იარაღს.“[6] ეს ხდებოდა ფარულად, საქართველოს ხელისუფლების ზურგსუკან. რამდენადაც საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოსების განიარაღებასთან მიმართებაში უკომპრომისო ბრძოლა დაიწყო, იარაღის დაკარგვის შიშით ოსებს იგი ჩრდილო კავკასიაში გასაყიდად გაჰქონდათ. ამ ფაქტთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს რწმუნებული მ.კლიმიაშვილი სამინისტროსადმი გაგზავნილ 15 სექტემბრით დათარიღებულ მოხსენებაში წერდა: „ოსების ყველა სოფლიდან დაიწყო იარაღის გატანა ჩრდილო კავკასიაში და იქ გაყიდვა. ამ მოვლენასთან ბრძოლა ახლანდელ პირობებში შეუძლებელია და ადგილობრივი ადმინისტრაციაც ამ ბრძოლას არ ჰკიდებს ხელს.“[10, ფურც. 245] ამ ფაქტის სისწორეს საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან – მ.კლიმიაშვილთან და ი.გაბუნიასთან შეხვედრაზე გამართულ საუბარში ოსების ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ა.თიბილოვი და მისი მოადგილე ექ.კარსანოვიც ადასტურებდნენ.

ოსების ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან პრობლემისადმი გულგრილი დამოკიდებულების მიუხედავად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ოსების ეროვნული საბჭოს პოზიციის ოფიციალურ დადასტურებას ენიჭებოდა. ამ მხრივ, საქართველოს ხელისუფლებამ წარმატებით იმუშავა. ამის უდაო შედეგს ოსების ეროვნული საბჭოს 1918 წლის 18 სექტემბრის პირველი სესიის დადგენილება წარმოადგენს. მასში ხაზგასმით იყო მითითებული: „დაუყოვნებლივ აეყაროს „ოსეთში“ ყველას იარაღი

და ამ საქმეში საბჭომ დახმარება გაუწიოს მთავრობას.“ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ საკითხთან მიმართებაში იმავე სესიის სხდომამ იარაღის ჩამორთმევის შესახებ შესაბამისი ინსტრუქციაც დაამტკიცა.[28, ფურც. 98-99] მართალია, ეს დოკუმენტი მოსახლეობისგან იარაღის ჩამორთმევას ეროვნების განურჩევლად ითვალისწინებდა, მაგრამ იმ ეტაპზე ქართველების განიარაღება ოსების ეროვნული საბჭოს მიერ დასრულებული იყო. პრობლემას მხოლოდ ოსები ქმნიდნენ. ამ ფონზე, აღნიშნული დადგენილება წინგადადგმული ნაბიჯი იყო იმ თვალსაზრისით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებს ოსური ეროვნული საბჭოს სესიის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ოსების განიარაღებაში ოფიციალურ მხარდაჭერას უცხადებდა. მეორე მხრივ, ამ დოკუმენტს ოსურ მოსახლეობაზე გარკვეული იდეოლოგიური ზემოქმედების მოხდენა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო, თუკი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ოსების ეროვნული საბჭო ოსების განიარაღებას თავისი საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტად აღიარებდა და პრაგმატული ხასიათის შესაბამის ღონისძიებას გაატარებდა. ამ მიმართულებით ოსების ეროვნულ საბჭოს რამდენადაც ქმედითი ნაბიჯი არ გადაუდგამს, ქართული პოლიტიკური აზრის წარმომადგენელთა შორის მისადმი უნდობლობა განსაკუთრებით მაღალი იყო. ამის ერთ-ერთ დადასტურებას გაზეთ „ერთობაში“ კახელის ფსევდონიმით (კოტე ანდრონიკაშვილი) გამოქვეყნებული სტატია „საქართველო და მისი ბედი აჯანყებულ ადგილებში“ წარმოადგენს. ავტორის მტკიცებით, დაუშვებელი იყო აჯანყების ადგილებში ოსი მილიციის მუშაკებისადმი და ადგილობრივი ოსი გლეხებისადმი იარაღის მიცემა ან დატოვება, რადგან ოსების მიერ საქართველოს მთავრობისადმი მხარდაჭერის შესახებ გაცემული პირობა ნდობას არ იმსახურებდა. „იმ განცხადებას, – ვკითხულობთ წერილში – რომელსაც გამოთქვამენ გლეხები, რომ... მოტყუვდნენ, შეცდნენ და ნდობას უცხადებენ მთავრობას, არავითარი ფასი არა აქვს. საკმარისია მოვაშოროთ ძალა, რომლის წინაშე შეუგნებელი გლეხი ქედს იხრის, რომ თავისი განცხადება დაივიწყოს და იმავე იარაღით, რომელიც ჩვენ დავუტოვეთ ხვალვე მეორე ძალას მიემხროს და რესპუბლიკის წინააღმდეგ ხელმეორედ გამოილაშქროს. ამისთვის... საკმარისია გამოჩნდეს... ორიოდე შეიარაღებული თავზეხელაღებული ბოლშევიკი, რომ ამ სოფლის მილიციონერები მათ მიემხრონ.“[29]

ოსებთან მიმართებაში კ.ანდრონიკაშვილის ეს პოზიცია ცხინვალისა და საჩხერის ოსური აჯანყებების მწარე გამოცდილებას ემყარებოდა. წარსულში დაშვებული შეცდომების არგამეორების ერ-

თად ერთ გამოსავალ საშუალებად იგი ოსების განიარაღებას მიიჩნევდა და ხელისუფლებისგან უშეღავათო, ხისტი პოლიტიკური კურსის გატარებას მოითხოვდა. აქედან გამომდინარე, კატეგორიული ფორმით აყენებდა საკითხს: 1)აჯანყების ადგილებში მცხოვრები არცერთი გლეხისათვის იარაღი არ დაეტოვებინათ; 2)მონანიების მიუხედავად, აჯანყების მონაწილე ოსების წარმომადგენლები მილიციაში და ადმინისტრაციულ სამუშაო ადგილებზე არ აერჩიათ. „როგორც ადმინისტრაცია, ისე მილიცია იმ მაზრის მცხოვრებლებისაგან უნდა შედგეს – წერდა კ.ანდრონიკაშვილი, – რომლებმაც საქართველოს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული რესპუბლიკისადმი ერთგულება დაამტკიცეს.“ ასეთი სახის ღონისძიების გატარებას შექმნილი მძიმე სიტუაციიდან გამომდინარე აუცილებლობის ფაქტორით ხსნიდა და მას დროებითი ხასიათის მოვლენად მიიჩნევდა. თუ როდის უნდა მომხდარიყო ზემოდან დანიშვნის ფორმის გამოყენებაზე უარის თქმა, ამის შესახებ იგივე კ.ანდრონიკაშვილი გარკვევით წერდა: „როდესაც ჩვენი პროპაგანდისტები დაასრულებენ თავიანთ მუშაობას, მოარჯულებენ რესპუბლიკანურად შეუგნებელ გლეხკაცობას, მაშინ უშიშრად შეიძლება ადმინისტრაციისა და მილიციის შედგენა ადგილობრივი მცხოვრებლებისგან. მანამ კი ზემოდან უნდა იყოს შედგენილი და გაგზავნილი მილიცია. მართალია, ეს ღონისძიება ძვირად დაუჯდება რესპუბლიკას, მაგრამ ვაი თუ უფრო ძვირად დაუჯდეს თავისუფლება... შემცდარი ნაბიჯების გადადგმის წყალობით.“[29]

ასეთი სახის გაფრთხილების საფუძველს კ.ანდრონიკაშვილს ოსური მოსახლეობიდან იარაღის თუნდაც ნაწილობრივადაც ვერამოღების ფაქტი აძლევდა. მართალია, 1918 წელს შედგენილ დოკუმენტურ მასალებში ყველგან დადასტურებულია, რომ ოსების განიარაღებას და ყაჩაღების დევნას ოსური ეროვნული საბჭო და ხალხიც თითქოს მხარს უჭერდა, მაგრამ სინამდვილეში ამ მხრივ მდგომარეობა უაღრესად არასახარბიელო იყო. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ ოსების განიარაღების პროცესის დასრულება საქართველოს ხელისუფლებამ 1919 წლის აგვისტოშიაც ვერ შეძლო. ამის უდაო დადასტურებას დუშეთის მაზრის პასუხისმგებელი პროპაგანდისტის ირაკლი ურუშაძის მოხსენებითი ბარათი წარმოადგენს, რომელიც 1919 წლის 7 აგვისტოს რიცხვითაა დათარიღებული. ამ დოკუმენტის მიხედვით, იმ ეტაპზე კობის ხეობის ოსები კარგად იყვნენ შეიარაღებულნი, მათი სულიერი განწყობილება სეპარატული იყო. რაც შეეხება ხეობის კომისარს, მას საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად, თვითნებურად ირჩევდნენ.[30, ფურც.

38] ეს იმას ნიშნავს, რომ კობის ხეობაზე 1919 წლის 7 აგვისტოსათვის საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია თითქმის არ ვრცელდებოდა. ამის ერთ-ერთ მიზეზად ამ ხეობაში ქართული საჯარისო შენაერთებისა და გვარდიის არშესვლა წარმოადგენდა. არადა კობის ხეობის ოსების იმ ეტაპზე დამორჩილებას სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვდა. ასეთი სახის განცხადების გაკეთების შესაძლებლობას გორის გვარდიის 1919 წლის 20 დეკემბრის საგანგებო ყრილობის მასალები იძლევა. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ოსური დასახლების სოფლებში სადაც გვარდია და ჯარის ნაწილები შევიდა, მოსახლეობიდან იარაღიც ამოღებული იქნა და სიმშვიდემაც დაისადგურა.[31] ეს ფაქტი იმის დამადასტურებელია, რომ იქ სადაც მშვიდობიანი გზითა და სააგიტაციო- პროპაგანდისტული მეთოდების გამოყენებით საქმის გაკეთება შეუძლებელი ხდებოდა, მისი გადაწყვეტა, ძალოვანი სტრუქტურებისათვის უნდა მიენდოთ, რადგან ოსურ მოსახლეობას საქართველოს სახელმწიფოსადმი ახალი თავსატეხი პრობლემები ვერ შეექმნა. ამის საშიშროება იმდენად არსებობდა, რამდენადაც კობის ხეობის ოსები აჯანყების დამარცხების შემდეგაც „ჩრდილოეთისაკენ იცქირებოდნენ", დენიკინს თანაუგრძნობდნენ და მისგან შესაბამის დახმარებას ელოდნენ.[30, ფურც. 31] ამის დამადასტურებელი ფაქტები საქართველოს ხელისუფლებას მრავლად გააჩნდა. ამის შესახებ იმ პერიოდის პრესაშიაც საყურადღებო პუბლიკაციები ქვეყნდებოდა.

ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიის შექმნის გათვალისწინებასთან ერთად, ოსებისათვის იარაღის ჩამორთმევას მეორე ფაქტორიც განაპირობებდა. მხედველობაში გვაქვს ოსების მხრიდან ამ იარაღის ქართული მოსახლეობის ძარცვისთვის გამოყენება. ამ საკითხთან დაკავშირებით, ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურთა მიერ პრესის ფურცლებზე უაღრესად საყურადღებო სტატიები იბეჭდებოდა. ამ მასალებში, ქართულ მოსახლეობასთან მიმართებაში ოსების მხრიდან ჩადენილი ბოროტება „ეპიდემიური" ხასიათის მატარებლადაა გამოცხადებული. ამის შესახებ გაზეთ „ერთობაში" დაბეჭდილ სტატიაში „ოსეთში" ვკითხულობთ, რომ ცხინვალსა და მის გარშემო დასახლებებში „ძარცვაგლეჯა-თავდასხმები ისე გახშირდა, რომ პირდაპირ შეუძლებელი ხდება მშვიდობიანი ცხოვრება. ეს იმიტომ, რომ ოსების განიარაღება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა."

როგორც ვხედავთ, ოსების მიერ იარაღის ჩაბარებაზე უარისთქმის ერთ-ერთ საფუძველს, იარაღასხმული ოსის მიერ უიარაღო ქართვული მოსახლეობის ძარცვის გაგრძელების სურვილი წარმო-

ადგენდა. ამ საქმეში ოს მძარცველებს აქტიური მხარდაჭერა ადგილობრივი ოსი კომისრებისგანაც ჰქონდათ. ამ მხრივ განსაკუთრებით მთის ოსების კომისარი ლ.ცხოვრებოვი აქტიურობდა. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „საქართველო“ ხაზგასმით წერდა: „1918 წლის ზაფხულში ოსებმა სამაჩაბლოს მთიანი ქართველების 1200 სული ცხვარი დაიტაცეს (ამ საქმეში ოსების კომისარი ლეო ცხოვრებოვიც ერია)... საჭიროა საქართველოს მთავრობა დაეხმაროს ამ ბეჩავ ქართველებს, რომ კვლავ აღარავინ გაბედოს ქართველი მწყემსების დარბევა.“[7] ეს ფაქტი, ცხოვრებოვისა და ბოცვაძის ზემოაღნიშნული დაპირისპირების მიზეზის ახსნის შესაძლებლობას იძლევა. იგი იმაზედაც მიგვანიშნებს თუ რატომ ეწინააღმდეგებოდა მთის ოსების კომისარი ლ.ცხოვრებოვი ცხინვალის რაიონის კომისარის ბოცვაძის მხრიდან ოსების განიარაღების დაწყებას. სათანადო მასალების შესწავლა ადასტურებს, რომ ოსი მძარცველები ლ.ცხოვრებოვთან ერთად არა მარტო ცხვარზე და საქონელზე „ნადირობდნენ,“ არამედ წისქვილებიდან საფქვავისა და ოჯახებიდან სათესლე ხორბლის გატანითაც იყვნენ დაკავებულნი. მიჰქონდათ ყოველივე, რის წაღებაც შეეძლოთ. შიდა ქართლის მთიან სოფლებში ოსი მძარცველების გააქტიურების ხელშემწყობ ფაქტორს, დამნაშავეთა დაუსჯელობა წარმოადგენდა. მითუმეტეს, ლ.ცხოვრებოვის მსგავსი ადამიანების ადმინისტრაციულ თანამდებობებზე ყოფნა არსებულ სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებდა. ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთი „საქართველო“ სტატიაში „დიდი ლიახვის ხეობა“ მკითხველის ყურადღებას ხეობაში ოსი მძარცველების მხრიდან შექმნილ გაუსაძლის პირობებზე მიაპყრობდა. „ადამიანის ღირსებას – ვკითხულობთ წერილში – პატივი აეხადა... ბოროტმომქმედთაგან... გახშირდა სხვისი ქონების დატაცება, ქურდობა, მგზავრებზე თავდასხმა და კაცის კვლა... ეხლა კაცის მკვლელებს პატივი აქვთ, ისინი თავისუფლად, ამაყად დაბრძანდებიან სოფელ- სოფელ... კეხველებმა ერთხელ დაატუსაღეს მძარცველები, გადასცეს კომისარს და მეორე დღეს გამოშვებულები ნახეს მუქარით დამჭერებზე სახლისკენ მიმავალნი.“[22] ასეთ მძიმე პირობებში მყოფი ქართველობა ხელისუფლებისგან ყურადღებას ითხოვდა. არსებული მდგომარეობის დარეგულირების ერთადერთ საშუალებას იმ ეტაპზე სოფლებში ჯარის შეყვანა წარმოადგენდა. გარეშე და შინაური მტრების მოგერიების პირობებში მყოფ საქართველოს ხელისუფლებას სხვა ალტერნატიული გზა არ გააჩნდა. წარსულის გამოცდილებამ დაადასტურა, რომ ოსები მხოლოდ მაშინ მიყუჩდებოდნენ, როცა მის დამთრგუნველ ძალას ხედავდნენ. ქართველთა ინტერესების დასაცავად და

ოსების მოსათოკად, ცხინვალსა და მის გარშემო მთიან სოფლებში ქართული ჯარის გარკვეული კონტიგენტის ყოფნა აუცილებლობას წარმოაგენდა.

ოსთა მძარცველური ბუნება განსაკუთრებით 1918, 1919, 1920 წლების ოსების მიერ მოწყობილი აჯანყებების დროს გამოვლინდა. მხედველობაში გვაქვს ცხინვალისა და საჩხერის მიმდებარე სოფლების მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის ოსებისგან გაძარცვის ფაქტები. ამ საკითხთან დაკავშირებით იმ პერიოდის ქართულ პრესაში საყურადღებო მასალები იბეჭდებოდა, სადაც ოსები მოხსენიებული იყო „საქართველოს რესპუბლიკის უმადურ შვილებად," „ოსი ცრუ ინტელიგენტების მიერ თავგზააბნეულებად," „ტომრებაკიდებულ მძარცველებად." ოსების როგორც მძარცველებისა და სხვისი ქონების მიმტაცებელთა შესანიშნავ დახასიათებას იძლევა გაზეთ „სახალხო საქმეში" ახალგორელის ფსევდონიმით დაბეჭდილი სტატია „ოსური საფრთხე." „ცხინვალში აწაპნილი დავლა – ვკითხულობთ წერილში – იმდენად გემრიელი გამოდგა ოსებისათვის, რომ სასჯელს არ ერიდებიან, ოღონდ ხელმეორედ გაზიდონ ცხინვალიდან სხვისი ნაწვავ-ნადაგი შრომით შეძენილი სამკაულები... რას იზამ, ასეთია ფსიქოლოგია ველური ხალხისა, ასეთია მტაცებლობის ინსტიქტი... ისიც ვიცით, რომ ოსობა საზოგადოთ გულგრილად ვერ უყურებს სხვის დოვლათსა და სიკეთეს და არასოდეს უარს არ იტყვის ამ დოვლათის მითვისებაზე."[32]

მართალია, აქ სწორადაა დანახული ოსის, როგორც სხვისი ქონების მიმტაცებლის ბუნება, მაგრამ მისი ახსნა მხოლოდ ოსების ველურობის ფსიქოლოგიიდან გამომდინარე მთლად სრულყოფილი არ არის. იგი ოსების მტაცებლობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი კომპონენტთაგანია. ამ შემთხვევაში ოსების ქმედებას, მისი წინაპარი ალანებისათვის დამახასიათებელი სხვისი ქონების მტაცებლობისა და მეზობლის ძარცვის გენეტიკური კოდი განსაზღვრავდა. ასეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას ალანების შესახებ ანტიკური და შუა საუკუნეების ავტორთა წყაროების რ.თოფჩიშვილისეული ანალიზი იძლევა.[33, 54]

სხვისი ქონებისა და მიწების მიტაცებით უძღები ოსური ტომის წარმომადგენლები, განსაკუთრებული სიძულვილით ქართველებთან მიმართებაში მოქმედებდნენ. ამ მხრივ მათი აქტიურობა 1918 წლის იანვრის შუა რიცხვებიდან დაიწყო. მხედველობაში გვაქვს შიდა ქართლის სოფლების: ხვითის, ფხვენისის, ნიქოზის, ერგნეთის, თამარაშენის, დაგვრისის, ქურთას და სხვა სოფლების თავადების (ციციშვილები, ვეზირიშვილები) და აზნაურების ოჯახების

ქალიან ბავშვიანად ამოწყვეტა. მათი ქონების დატაცება. ის რაც ოსებმა ქართველებთან მიმართებაში ჩაიდინეს წინასწარგამიზნულ ქმედებას წარმოადგენდა, ქართველების საცხოვრისიდან აყრას და გამოთავისუფლებულ ადგილებში ოსების ჩასახლებას ისახავდა მიზნად. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოში“ დაბეჭდილ შ.ამირეჯიბის წერილში „ცხინვალის ფრონტი“ ვკითხულობთ: „პოლიტიკა წაგლეჯისა, აი რა არის ოსების დღევანდელი ლოზუნგი. მათ აშკარად განაცხადეს: ცხინვალი ჩვენია, საქართველოს მაღლობი ოსეთია.“ ქართველთა ისტორიული საცხოვრისი ტერიტორიისადმი ოსების ასეთი პრეტენზია შემთხვევითობით არ იყო განპირობებული, მისი წარმოშობის მიზეზი საუკუნეების მიღმა უნდა ვეძიოთ. მხედველობაში გვაქვს შუა საუკუნეებში ალან-ოსთა მიგრაციული პროცესების შედეგად მეზობელი ხალხების ტერიტორიების დაპყრობა და მისი გათავისება. სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ „მონღოლთა შემოსევამდე ალანების განსახლების უკიდურესი სამხრეთი ნაწილი კავკასიის მთების მისადგომები, ანუ მთისა და ბარის მოსაზღვრე ტერიტორიები იყო. ჩრდილო კავკასიის მთიანეთის ის მონაკვეთი, რომელიც შემდეგ ალანებმა დაიკავეს, ადგილობრივი კავკასიური მოდგმის ხალხების საცხოვრისი იყო.“[33, 52-53] აღნიშნული ფაქტები იმის დამადასტურებელია, რომ ჩრდილო ოსეთად წოდებული ტერიტორია, ოსების მიერ მიტაცებული და გათავისებულია. სხვისადმი წართმევისა და მითვისების აუცილებლობის ფორმით ყალიბდებოდა საუკუნეების მანძილზე ოსთა ცნობიერება. მათ კარგად ჰქონდათ შეთვისებული ყველა ის ნიუანსი, რომელიც მიტაცებული ტერიტორიის ათვისებაში შეუწყობდა ხელს. ერთ-ერთ ასეთ ფორმას ოსები საქართველოშიაც იყენებდნენ. კერძოდ, ქართველი მოსახლეობის დარბევა, მისი გაძარცვა, სარჩო-საბადებლის წართმევა, ქართველი გლეხების მიწების მიტაცება და ა.შ. ყოველივე ეს ისეთი ფორმით ხორციელდებოდა, რომ ქართველობას იძულებულს ხდიდა კუთვნილი საცხოვრისი დაეტოვებინა. ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი მკვეთრი პოზიცია ქართული პოლიტიკური აზრის ერთ-ერთმა ლიდერმა გრ.ვეშაპელმა საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 23 ივლისის სხდომაზე ოფიციალურად გამოთქვა. მისი მტკიცებით, თავადაზნაურთა დაუდევრობითა და ქართველი გლეხის უნიათობის შედეგად, ქართველი გლეხის კუთვნილი მიწაწყალი ეტაპობრივად ოსების ხელში გადადიოდა. რამდენადაც ამ პროცესის ტემპი ოსების ეროვნულ საბჭოს არ აკმაყოფილებდა, მისი დაჩქარების მიზნით, იერიში ქართულ სოფლებზე მიჰქონდათ. „ხელთა გვაქვს ცნობები – ამბობდა გრ.ვეშაპელი, –

რომ მათ ქართული სოფლები დაარბიეს და გაძარცვეს. ოსებს არ შეუძლია... ნამდვილი მიზანი გაუმჟღავნოს ქართველ ხალხს. ქართველებმა ოსების ნამდვილი გულის ნადები რომ გაიგოს, როგორც ერთი კაცი ფეხზე დადგება და საშინელი ბრძოლით თავის კალაპოტში ჩააყენებს საყაჩაღოდ გამოსულ ოსებს."[15] ამ შემთხვევაში გრ.ვეშაპელი სიმართლეს ამბობდა. საქართველოში მცხოვრებ ოსებს გულისნადები ოფიციალურად არასოდეს გაუმჟღავნებიათ. ისინი შესანიშნავად იყენებდნენ სხვისი ტერიტორიების ათვისების ისტორიულ გამოცდილებას და ამას საქართველოში აკეთებდნენ შეფარვითი ფორმით. ბრიყვ ქართველობას კი ოსების კეთილმოსურნეობის სჯეროდა და ქართულ მიწაზე დასასახლებლად ეპატიჟებოდა, ან ძალით მოსულს ღირსეულ წინააღმდეგობას არ უწევდა. იმას ვერ აცნობიერებდა, რომ ამ ქმედებით, ქართველი ერის მომავალი თაობების გულში ჩასაცემად გალესილ მახვილს ოსებს ნებაყოფლობით ხელში აძლევდა. ოსების საქართველოში ჩამოსახლებასთან მიმართებაში ჩვენი წინაპრების დაუდევრობიდან გამომდინარე შედეგებმა განსაკუთრებული მწვავე ფორმით XX ს-ის 20-იან წლებში იჩნია თავი. ეს საკითხი იმ პერიოდის ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურთა თავსატეხ პრობლემად იქცა. ერთდროს სტუმრად შემოხიზნული და შემდეგ მასპინძლობაზე თავგამოდებული ოსების ქართველებისადმი მტრულმა დამოკიდებულებამ, ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურები საგონებელში ჩააგდო. მათ წინაშე ლოგიკურად დაისვა კითხვა „ვინ არიან ოსები? რა უნდათ ოსებს? რა აწყენინა... საქართველომ, რომ ზურგსუკან მახვილი ჩაგვცეს?"[23] ამ კითხვებთან დაკავშირებით საყურადღებო წერილი – „ოსების ამოძრავება" გამოაქვეყნა ს.აბულაძემ. იმ პერიოდის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მან მკითხველ საზოგადოებას დაუსაბუთა, რომ ოსები საქართველოში ჩამოსახლებულები იყვნენ და ქართველობასთან მიმართებაში მათ მიერ განხორციელებული ქმედებანი არასამართლებრივ და ანტისახელმწიფოებრივ სახეს ატარებდა. ასეთი პოზიციის მიუხედავად, ამ წერილში არაფერი იყო ნათქვამი თუ როდიდან განხორციელდა ოსთა მიგრაცია საქართველოში. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში დასაბუთებულია, რომ დიდი და პატარა ლიახვის ხეობის მთიან ზოლში ოსების ჩამოსახლება- დამკვიდრება XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე მიმდინარეობდა.[34, 139- 140] ამ საქმეში ქართველ თავადაზნაურობასთან ერთად ლომის წილი ქართლ-კახეთის მეფეებსაც უდევს.[35, 184- 186] ა.თოთაძის გამოკვლევით, ქართულ მიწაზე ჩრდილოეთიდან ოსების მასობრივი ჩამოსახლება XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო, ხოლო ქართლისა და

კახეთის ბარის ტერიტორიაზე ოსების ინტენსიური დასახლების პროცესი XX საუკუნეშიაც გაგრძელდა.[36, 221]

ჩვენს მიერ მოტანილი ფაქტებიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოში მცხოვრები ოსები სტუმრის სტატუსში თავსდებოდნენ, მაგრამ, ქართველთა ხელშეწყობის შედეგად სტუმრიდან მასპინძლის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამიტომ, ოსების ყოველი ქმედება ქართული სახელმწიფოს ინტერესებს სცილდებოდა და მასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში გაზეთ „კლდეში" დაბეჭდილი წერილის „ოსების აჯანყების გაკვეთილი"- ავტორს, როცა ხაზგასმით წერდა: „ოსი ჩვენი ისტორიული ეროვნული მტერია და მხოლოდ დემოკრატიულ დურაკებს ფედერალისტების და სოციალ- დემოკრატების ბანაკიდან ეგონათ, რომ მათი (ოსების შ.ვ.) ბრძოლა სოციალისტური მტრობა იყო წესწყობილების წინააღმდეგ... ჩვენ ნაციონალისტები ვხედავდით და ვყვიროდით სიმართლეზედ... მმართველ პარტიას ჯერ კიდევ ვერ შეუგნია ამ საკითხის სიმწვავე და... გაიძახის ძმობასა და სოლიდარობაზედ."[37]

ამ შემთხვევაში ეროვნულ- დემოკრატები არ ტყუოდნენ, მათი თვალსაზრისი ოსების მხრიდან იმ ეტაპზე გაწეული ნამოქმედარის პრაგმატული პოზიციიდან შეფასებას ემყარებოდა და ყოველგვარი სახის იდეოლოგიური მანიპულაციიდან იყო განთავისუფლებული.

ამრიგად; 1)საქართველოში ხიზნის სტატუსით მცხოვრები ოსების მხრიდან საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოცემული „რუსეთის ხალხთა უფლებათა დეკლარაციის" საფუძველზე თვითგამორკვევის მოთხოვნა, არასამართლებრივ სახეს ატარებდა და ქართული სახელმწიფოს ინტერესების იგნორირებას ახდენდა. საქართველოს ოსების ეროვნული საბჭოს მიერ ოსების „ეროვნული პოლკის" შექმნის საკითხის დაყენება, ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩაფიქრებული ოსური სეპარატისტული მოძრაობის გასაღრმავებლად დასაყრდენი ბაზის შექმნას ითვალისწინებდა. ამ მავნებლურ ჩანაფიქრს, ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ დროულად აუღო ალღო და ამიერკავკასიაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ოსების უკანონო მოთხოვნისადმი უარის თქმით სწორი გადაწყვეტილება მიიღო. 2)საქართველოს ოსების მიერ 1918 წლის მარტისა და ივნისის ცხინვალი– საჩხერის აჯანყებები, საბჭოთა რუსეთის დაკვეთის ფონზე განხორციელდა და საქართველოს მთავრობისადმი ომის გამოცხადების ტოლფას ქმედებას შეიცავდა. აღნიშნული აჯანყებები საქართველოსათვის ურთულეს პოლიტიკურ მომენტს (საქართველო– ოსმალეთის

ომი) დაამთხვიეს, რის გამოც, ქართულმა პოლიტიკურმა აზროვნებამ, უმადური ოსების ეს ქმედება ქართველ ერთან მიმართებაში ორგულობად და ჩასაფრებული შურისმაძიებლის შინაგანი თვისებების გამოვლინებად შეაფასა. ცხინვალისა და საჩხერის აჯანყებული ოსებისადმი მთელი სიმკაცრით სადამსჯელო ღონისძიებების არგატარება და აქცენტის მხოლოდ აჯანყების ხელმძღვანელებზე გადატანა, პოლიტიკურ შეცდომას წარმოადგენდა. ამ ფაქტორიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისფლებამ, ქვეყნის ინტერესებისადმი ოსების საბოლოოდ დამორჩილება და მათი მხრიდან ახალი აჯანყებების არმოწყობის მყარი გარანტიის შექმნა ვერ შეძლო. 3)ცხინვალისა და საჩხერის აჯანყებების მსვლელობის პროცესში ოსების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების საფუძველზე, ქართულმა პოლიტიკურმა აზროვნებამ ოსებს „გაიძვერა და მოღალატე," „საქართველოს რესპუბლიკის უმადური შვილები," „ოსი ცრუ ინტელიგენტების მიერ თავგზააბნეული" და „ტომრებგადაკიდებული მძარცველები" უწოდა. დოკუმენტური მასალის ანალიზი ადასტურებს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირველი დღიდანვე, ოსების უმეტესობამ, ქართველ ერთან მიმართებაში ისტორიის სამარცხვინო ფურცელი დაწერა. ოსური ეთნოსის გადამრჩენ ერს, ძნელბედობის ჟამს ზურგში გალესილი მახვილი ჩასცა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. За образование Союза Советских Социалистических Республик (Документы и материалы), Тб., 1972.
2. გაზ. „ერთობა", 1917, 29 დეკემბერი, №227.
3. გაზ. „საქართველო", 1919, 21 იანვარი, №17.
4. შ. ვადაჭკორია, ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში, ნაკვეთი I, (1917– 1918 წწ.), თბ., 2008.
5. გაზ. „ალიონი", 1918, 29 მარტი, №22.
6. გაზ. „სახალხო საქმე", 1920, 23 მაისი, №832.
7. გაზ. „სახალხო საქმე", 1920, 13 ივნისი, №849.
8. გაზ. „საქართველო" ,1918, 23 მარტი, №64.
9. გაზ. „საქართველო", 1918, 24 მარტი, №65.
10. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო სამეცნიერო არქივი, ფ. 1863, აღწ. 1, საქ. 2, ფურც. 242.
11. გაზ. „სახალხო საქმე", 1918, 10 ივლისი, №277.

12. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, 14 აგვისტო, №17.
13. გაზ. „სალი კლდე“, 1919, 2 მაისი, №49.
14. გაზ. „ერთობა“, 1918, 30 ივლისი, №159.
15. გაზ. „საქართველო“, 1918, მკათათვის 25, №147.
16. ვ. ჯანჯღავა, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა საქართველოში 1917– 1921 წლებში, თბ., 1982.
17. გ. თოგოშვილი, ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა 1801– 1921 წწ., თბ., 1969.
18. გაზ. „საქართველო“, 1918, მარიამობისთვის 14, №160.
19. გაზ. „ერთობა“, 1918, 25 მარტი, №69.
20. გაზ. „ერთობა“, 1918, 6 აპრილი, №79.
21. გაზ. „ალიონი“, 1918, 26 აგვისტო, №35.
22. გაზ. „კლდე“, 1920, 14 ივნისი, №26.
23. ჟურნ. „მხედარი“, 1920, 27 ივნისი, №5.
24. გაზ. „საქართველო“, 1918, 18 მარტი, №60.
25. გაზ. „ერთობა“, 1918, 25 მარტი, №69.
26. გაზ. „ერთობა“, 1918, 22 აგვისტო, №177.
27. გაზ. „ერთობა“, 1918, 30 აგვისტო, №184.
28. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო სამეცნიერო არქივი, ფ. 1863, აღწ. 1, საქ. 4, ფურც. 98– 99.
29. გაზ. „ერთობა“, 1918, 5 სექტემბერი, №189.
30. გაზ. „ერთობა“, 1920, 4 იანვარი, №3.
31. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო სამეცნიერო არქივი, ფ. 1825, აღწ. 1, საქ. 17, ფურც. 38.
32. გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, 11 ივნისი, №847.
33. რ. თოფჩიშვილი, ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, თბ., 2008.
34. რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლება და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997.
35. ბ. გამყრელიძე, ოსთა განსახლების საკითხისათვის საქართველოში, იხ. წიგნში: ოსთა საკითხი, თბ., 1996.
36. ა. თოთაძე, ოსები ქართულ მიწა-წყალზე, იხ. წიგნში: ოსთა საკითხი, თბ., 1996.
37. გაზ. „კლდე“, 1920, 11 ივლისი, №28.

Shota Vadachkoria
Doktor of Historical Sciences, Chief Scientific Researcher, Department of Modern aud Contemporary History, Ivane Javakhishvili Institute oh History and Ethnology

Peculiarities of Osset's revolt in 1918 year and representation of attempt Ossets on separatist disarmament in Georgian Political thinking

Summary

On the bases of documental materials, there are well-grounded in the work: 1) The demand of creating „National Regiment" and Ossets self-recognition by Ossetian national board of Georgia, that was considering creation of supporting base for making deeper Ossets separative movements against Georgian State. This unhealthy intention was smelt by Georgian political elite in time and have made the right decision by saying no to Ossetian's illegal demand.

2) Tskhinvali-Sachkhere rebellions on March and April, 1918, by Georgian Ossets were implemented by the order of Soviet Russia and this action had the same power as to declare war towards Georgian Government. The mentioned revolts were carried out when Georgia had one of the most hard periods of its political life (Georgia-Osmalian War), for what, such activities of ungrateful Ossetian people towards Georgian Nation was estimated by Georgian political thinking as a treachery and manifestation of ambushed avenger's inside characteristics.

Not fulfillment of punishing operations with strong enough cruelty towards rebel Ossets in Tskhinvali and Sachkhere and only making point on initiators of the revolt, was a political mistake. As it follows, Georgian Government could not gain hard guarantees on final subordination of Ossets towards country's interests and could not ensure the country from new revolts of them. In process of Tskhinvalian and Sachkhere rebellions, on the bases of criminal activities made by Ossets, Georgian political thinking gave names to Ossets as „pushfull and traitor", „thankless children of Georgian republic", „confused by Ossets false intelligence" and „robbers carrying the sacks on their back». The analyze of documentary materials confirm that from the first day of independence of Georgia, the most Ossets have written shameful papers in a history towards Georgia people. They have made treason, treason towards the country, which had saved Ossets ethnos.

ნატო სონღულაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ქართული ერთობის ჰომოგენიზაციის პროცესი და მისი ასახვა XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ბეჭდურ მედიაში

(ენის, ერთიანი საგანმანათლებლო და ეკონომიკური სივრცის, სოციალური ტიხრების მოშლის პერცეფცია)

ნაციონალური კონსოლიდაციის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ერთობის წევრების ჰომოგენიზაცია და მის საფუძველზე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის რეალიზაცია. ქართულ სინამდვილეში ერთობის წევრებს შორის ჰომოგენიზაციის პროცესს უზრუნველყოფდა ქართული ენა და ქრისტიანობა. პოლიტიკური სისუსტისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პირობებში ქართული ენა და რელიგია, კერძოდ, საქართველოს ეკლესია გამაერთიანებელ როლს თამაშობდა.

XIX საუკუნის II ნახევრიდან თავისუფლების და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ბრძოლის ახალ ეტაპზე გადადის, რაც ნაციონალური კონსოლიდაციის განმტკიცებას გულისხმობდა ახალი მეთოდებით.

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა პროგრამა-მაქსიმუმი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, ქართული სახელმწიფოებრიობის დემოკრატიულ საფუძველზე რეორგანიზაცია იყო. მაგრამ ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ანგარიშს უწევდა არახელსაყრელ პოლიტიკურ პირობებს და ძალაუნებურად კვეცავდა მოთხოვნებს. XIX საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ შექმნილ სიტუაციაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები მხარს უჭერდნენ რეფორმებს, მოითხოვდნენ რუსეთის იმპერიის ფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნას და მასში შემავალ ერების ავტონომიურ სახელმწიფოებრივ ერთეულებად მოწყობას. ავტონომიური საქართველო, მათი აზრით, წარმატებით განავითარებდა ეკონომიკას, კულტურას, მეცნიერებას და საპატიო ადგილს დაიკავებდა ფედერაციული რუსეთისა და მსოფლიოს ერთა რიგებში [2, 76].

როგორც ცნობილია, ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ეპოქაში – ეს იყო მასების უწიგნურობის მოსპობა და ფართო ფენების განათლება. ჯერ კიდევ 1876 წელს გაზეთი „დროება“ წერს: „გავიდა ის დრო, როდესაც ყველა ქართველის ვალი იმაში მდგომარეობდა, რომ ხმლით ხელში დაეცვა თავისი საყვარელი მამული აუარებელი და მძვინვარე მტრებისაგან. გავიდა ის დრო, როდესაც ქართველს არ შეეძლო, დროთა ვითარების გამო, გაეხსნა თვით ბუნებისგან მიღებული ნიჭი, ეზრუნა ახალი რუსთველების დაბადებისათვის. პირიქით, დადგა დრო, როცა ყველა ქართველის ვალია, რომ რბილში და ხორცში გამჯდარი ქართველის სიყვარულით, შეუდგეს მამა-პაპების სისხლით მორწყული მამულის განათლებას, მისი შვილების სულიერი და ფიზიკური ძალების გახსნას“ [5, 1].

მოდერნულ ეპოქაში ეს ფუნქცია სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად აიღო თავის თავზე ბეჭდურმა მედიამ. როგორც ე. სმითი აღნიშნავს: „პოლიტიკური ერთობის წევრთა სამართლებრივი თანასწორობა მის მშობლიურ მიწა-წყალზე შეიგრძნობა პოპულაციისა თუ უკიდურეს შემთხვევაში, ერთობის მთავარი, ძირეული ნაწილისათვის საერთო ღირებულებებისა და ტრადიციების წყალობით. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ნაციებს უნდა ჰქონდეთ საერთო კულტურისა და სამოქალაქო იდეოლოგიის, საერთო გაგებათა და მისწრაფებათა, გრძნობათა და იდეათა საზომი, რომელიც შეაკავშირებს პოპულაციას მის მიწა-წყალზე. საერთო სახალხო მას-კულტურის უზრუნველყოფა ევალება სახალხო სოციალიზაციის დაწესებულებებს, კერძოდ, საყოველთაო განათლების სისტემასა და მასმედიას“ [17, 14].

ეთნოსიმბოლისტური თვალთახედვისაგან განსხვავებით, ე.წ. მოდერნისტები ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებას და განვითარებას დიდწილად ბეჭდურ მედიას მიაწერენ. მოდერნული მიმართულების ერთ-ერთი წარმომადგენლის ბენედიქტ ანდერსონის აზრით: „ბეჭდვითმა ენებმა საფუძველი ჩაუყარეს ეროვნული შეგნების განვითარებას. ეს შესაძლებელი გახდა აზრთა ურთიერთგაცვლისა და კომუნიკაციის ერთიანი სივრცის შექმნით. ბეჭდური პროდუქციისა და ქაღალდის საშუალებით კი მიღწეული იქნა ურთიერთგაგება. საგამომცემლო საქმემ ენას სტაბილური და მარადიული თვისებები შესძინა. ეს თვისება დიდი ხნის მანძილზე უწყობდა ხელს წარსულის იმ იმიჯის შექმნას, რომელიც ერის სუბიექტური გაგების თვალსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია“ [1, 73].

მიუხედავად იმისა, რომ ეს თვალსაზრისი საკამათოა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ბეჭდურმა მედიამ ახალი ეტაპი შექმნა ნაციათა ისტორიაში.

თითოეული საკითხი: ქართული ენა, საგანმანათლებლო და ეკონომიკური სისტემა, სოციალური ფენების სტრუქტურირება-დახასიათებები არა ერთხელ გამხდარა მეცნიერთა შესწავლის ობიექტი და მათ შორის ბეჭდური მედიის საშუალებით. ჩვენი მიზანია ეპოქის სულისკვეთებიდან გამომდინარე თითოეული ატრიბუტი ერთიან კონტექსტში განვიხილოთ. აღნიშნული საკითხები განსაკუთრებით აქტუალურია XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ქართულ ბეჭდურ მედიაში და, მათ შორის, ჟურნალ „მოგზაურში“ და გაზეთ „თემში“.

ამ პერიოდში სკოლას ეკისრება ეროვნული ფუნქცია, რომლის საშუალებით უნდა მომხდარიყო საერთო ნაციონალური ცნობიერების ფორმირება. „როგორც ზნეობრივი და გონებრივი განვითარება, ისე ნივთიერი კეთილდღეობის ინტერესები დაჟინებით მოითხოვენ ხალხის, ბრბოს განათლებას რაც დაფუძნებულია განათლების საშუალებებზე, აქ ერთდებიან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესები. განათლება ამაღლებს ხალხის ძალას და ამრავლებს სიმდიდრეს. ბრბოს უვიცობა არის ხალხის უბედურება, რაც ავად ცხადდება კერძო პირის, საზოგადოების და სახელმწიფოს ცხოვრების ყოველ მხარეებზე. გონებრივი სახელმწიფოებრივი აღზრდა და ყველასათვის ხელმისაწვდომი სწავლა-განათლება წარმოადგენენ ქვეყნის იმ საფუძველს, რომელიც უზრუნველყოფს ნივთიერ და გონებრივ კეთილდღეობას“ [15, 662].

ამისათვის საჭირო იყო ყველა სოციალური ფენის დაახლოება და გაერთიანება ერთი საერთო საქმისათვის. „დროა შევიგნოთ, რომ ცალკე გაწევა ჩვენი ერის წოდებათა: გლეხთა, თავადაზნაურთა, ვაჭართა, სამხედროთა და სხვათა ხეირს არ დაგვაყრის და ამიტომ დროც არის დაუყოვნებლად შევუდგეთ ერის ერთიანობის ამ ძირისმომთხრელი მიზეზების ფრთების შეკვეცას“ [13, 8].

საზოგადოების სხვადასხვა ენათა და წოდებათა დაახლოება, ჟურნალის პუბლიცისტების აზრით, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა „როცა ჩვენ სამეურნეო საქმეს ჩვენის ბნელით მოცულის გლეხის დახმარებით ვაწარმოებთ, როცა მას ჩვენ ჰუმანურად ხელს გავუწვდით და გვერდში ამოვიყენებთ იმ საქმეში, რომელიც მას მთელი ათასი წლებით აქვს შეწვნეული, როცა მას გვერდით დავისვამთ და მასთან ერთად დავლევთ ჩაის“ [13, 9].

სოციალურ ფენათა დაახლოება უშუალოდ იყო დაკავშირებული საერთო ნაციონალური ცნობიერების ჩამოყალიბებასთან. სოლიდარობის განცდა ერთობის წევრებს შორის ერთი მიზნისათვის ბრძოლას გააადვილებდა: „უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ ჩვენმა ხალხმა ერთი გარკვეული და ნათელი აზრი და შეხედულება იქონიოს თავისი ყოფა-ცხოვრების გაუკეთესების პირობებზე და საშუალებებზე, რათა ჩვენი ყოველი საზოგადო მოქმედება იმ მხრით იყოს ერთ სულ და ერთ ხორც“ [16, 775].

ბეჭდურ მედიაში სოციალური საკითხებისადმი ინტერესი შემთხვევითი არ იყო, რაც შემდეგი გარემოებებით აიხსნება: 1. 1864 წლიდან ბატონყმობის გაუქმების შედეგად წარმოშობილი ახალი თავისუფალი ფენის ერთობის წევრებს შორის დაახლოება უნდა მომხდარიყო. 2. საერთო ნაციონალური ინტერესების გარეშე თავისუფლებისათვის ბრძოლა წარმოუდგენელი იქნებოდა და სოციალურ ფენათა ჰომოგენიზაცია აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა. როგორც XX საუკუნის დასაწყისში, ისე 10-იან წლებში პრობლემა აქტუალობას არ კარგავს. „თემში“ ვკითხულობთ: „აღვძრავთ საკითხებს თუ უკვე აღძრულს შევეხებით, მხოლოდ ერის კეთილდღეობას მივიღებთ მხედველობაში. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მშრომელი ხალხის მდგომარეობას გავითვალისწინებთ. ის მიგვაჩნია ჩვენი ერის კულტურულად განახლების საფუძვლად, მასზე ვამყარებთ ჩვენ იმედებს, ჩვენს მომავალს. მასში უნდა გავავრცელოთ სწავლა-განათლება. შევათვისებინოთ კულტურული საშუალებანი მძიმე ეკონომიკურ პირობებთან ბრძოლაში და საზოგადოდ შევუწყოთ ხელი მის წინსვლას და გონებრივ აყვავებას“ [6, 1].

საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო სივრცის შექმნა უნდა მომხდარიყო ქართულ ენაზე წარმოებული სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემით: „სამშობლო ენა იგივ სისხლი და ხორცია ადამიანისა და მაშასადამე მისი განუვითარებლობა დაჰბადავს მსგავსსავე ფიზიკურ განუვითარებლობას, რასაც მოჰყვება ყოველმხრივი გონებრივი და ზნეობრივი დაცემა და გადაგვარება სამშობლო ენის უარის-მყოფელის ერისა. იგი უნდა იყოს საფუძველი და საძირკველი, რომელზედაც უნდა აშენდეს მთელი სწავლა-აღზრდა ადამიანისა. ყოველი სწავლა-აღზრდის მიღება ყოველი ადამიანისათვის სამშობლო ენაზედ უნდა სწარმოებდეს“ [14, 499].

ქართული ენის სტანდარტიზაციას, პუბლიცისტების აზრით, ხელს შეუწყობდა ეროვნული სკოლა, სადაც განათლებას ქართულ ენაზე მიიღებდნენ: „ისეთი სკოლა, სადაც ყმაწვილები დედა-ენის საშუალებით გაიცნობენ და შეითვისებენ მეცნიერებას, ხელოვნება-

სა და საზოგადოდ კაცობრიობის სულის მისწრაფებასა, განამტკიცებს ჩვენში საღ, სისტემატურ აღზრდას ჩვენი ყმაწვილთაობისას და მის ზნეობრივ, გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას. დიდებულია შედეგი ეროვნული სკოლისა ერებად დაყოფილ კაცობრიობისათვის. ეროვნული სკოლა ისევე შეერგება ყმაწვილს, როგორც დედის ძუძუს წოვა. ერი, ენა და ეროვნული სკოლა ერთსულოვანი ბუნებრივი პრინციპია. ამას უნდა აღვიარებდეთ ჩვენს რწმენად, ჩვენს აღთქმად“ [14, 500].

ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის აქტიური ბრძოლა საზოგადოების წიგნიერებისათვის შემთხვევითი არ ყოფილა. ჯერ ერთი, მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებების შედეგად მოხდა ღირებულებების გარკვეული გადაფასება და მასების განათლების პრობლემა ყველა ქვეყანაში მთელი სიმწვავით დაისვა და, ბუნებრივია, ევროპულ იდეებს ზიარებული ქართული ინტელიგენცია ცდილობს საქართველოში ახალი სისტემის დანერგვას; და მეორე, ქართული ერთობისათვის ორმაგად მნიშვნელოვანი იყო საერთო ცნობიერების ფარგლებში ქვეყნის აღორძინებისთვის მოქმედება, რაც უნდა გამხდარიყო საფუძველი შემდგომში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ამ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემის სრულყოფასა და რეალიზაციას ექცეოდა. „ძირითად საკითხს შეადგენს სახალხო განათლება და საზოგადოებრივი აღზრდა. კეთილი ზნე-ჩვეულებების დანერგვა, ამაღლება განათლებით ბრბოსი, მიწოდება მისთვის განახლებული და განმავითარებელი გასართობების, გაღვიძება ხალხის სულიერი ინტერესებისა, ბრძოლა მის სიბნელისა და უვიცობის წინააღმდეგ – აი, რას უნდა ვესწრაფოდეთ სხვა ზომებთან, საშუალებებთან ერთად, თუ გულწრფელად გვსურს ხალხისათვის კეთილი, თუ გვინდა მათ ნამდვილად დავეხმაროთ“ [14, 549[.

ჟურნალ „მოგზაურის“ მსგავსად გაზეთი „თემი“ ქართული ენის საკითხს, როგორც კონსოლიდაციის აუცილებელ ელემენტს დიდ ადგილს უთმობს. ბეჭდური მედიის ინტერესი ქართული ენისადმი შემთხვევითი არ ყოფილა. რადგან ადამიანთა ნებისმიერი ისტორიულად ცნობილი გაერთიანების საფუძველი ენაა, რომელიც რაც უნდა შორეულ წარსულს მივმართოთ, ყოველთვის წინამავალ ეპოქის მემკვიდრედ გვევლინება. ყველა საზოგადოება ენას ცნობდა და ცნობს წინა თაობათაგან მიღებულ პროდუქტად [3, 10].

თემის პუბლიცისტები გაზეთის თითქმის ყველა ნომერში ქართული ენის მდგომარეობაზე ამახვილებდნენ ყურადღებას: „არ

ვფიქრობ ჩვენს წარსულში მოიძებნოს იმისთანა დრო, როცა ისე შეეწროებულიყოს და შებღალულიყოს ქართული ენა, როგორც ახლა. შეეწროება, აბუჩად აგდება ჩვენი ენისა შინაურ და გარეშეთაგან სავალალოა დღეს ჩვენს ცხოვრებაში“ [11, 2].

ქართული ენის ფუნქციონირების დაკარგვა უარყოფითად აისახა ქართული ერთობის ცნობიერებაზე. „სკოლაში გონების განვითარებისათვის, ეჭვგარეშეა უნდა იყოს გამეფებული ეროვნული ენა, დედა-ენა. ამას მოითხოვს ბუნებრიობა, საღი აზროვნება და სამართლიანობა. უამისოდ ერი მოკლებული იქნება სულიერ საზრდოს, უამისოდ ერის წინმსვლელობა შეფერხდება ცხოვრებაში, უამისოდ ერის ყმანვილთაობა უგზოუკვლოდ დაიწყებს ხეტიალს. უამისოდ ერის ცხოვრება შებორკილ იქნება“ [7, 1].

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც აქტუალურია XX საუკუნის პირველ ოცწლეულში არის გენდერული საკითხი. რაც გულისხმობდა ქალის და მამაკაცის უფლებების გათანაბრებას ეროვნული საქმის კეთებისათვის ერთობლივი ძალებით. ეთნოსიმბოლიზმი გენდერულ საკითხს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. როგორც ე. სმითი აღნიშნავს: ყველაზე აშკარა და ფუნდამენტურია გენდერის კატეგორია. გენდერული კლასიფიკაციები უცვლელი თუ არა, უნივერსალური და ყოვლისმომცველია. მათგანვე გამომდინარეობს სხვა განსხვავებანი და დაქვემდებარებანი. სქესია, ცხადად თუ ფარულად ჩვენი განმსაზღვრელი. ის განაპირობებს მეტწილად ჩვენს შესაძლებლობებსა თუ მიღწევებს“ [17, 4].

ქართველი ქალის იდეალიზებული სახე ერთობის ისტორიულ მეხსიერებაში ყოველთვის არსებობდა. XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ქართველი ქალის როლი არსებითად გაიზარდა და ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესში მნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძინა. ქართული ენისა და ისტორიული წარსულის პროპაგანდა ეპოქის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, მისი ფუნქცია გახდა. თუმცა ბეჭდურ მედიაზე დაკვირვებიდან იკვეთება, რომ ინტელიგენცია ქართველი ქალით, ქართველი დედით უკმაყოფილოა და მის კრიტიკასაც არ ერიდება: „თანამედროვე ქართველმა ქალმა ბევრში უკან ჩამოიტოვა ძველი ქართველი დედა, მაგრამ ერთში ჩამორჩა: ის გადაგვარდა, მას აღარ ესმის თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. ყოველდღიურობამ, პირადმა ცხოვრებამ შთანთქა ის და დაუკარგა იდეალი. სიმები, რომლებითაც ძველი დედის გული შეერთებული იყო თავის ხალხთან, დღევანდელ დედას თითქმის სრულებით დაუწყდა და მშობელი ერის კვნესა და ვარამი იმის გულს აღარა სწვდება.

გადაგვარების სენი განსაკუთრებით ინტელიგენციას და მაღალი წრის ქალებს მოედოთ, რაში ეტყობა დღევანდელ ინტელიგენტ ქალს ქართველობა? ერთი უმთავრესი პირობა ქართველობისა – ქართული ენაც კი აღარ შერჩა“ [11, 3].

პრობლემის სრულყოფილად გასაშუქებლად პუბლიცისტები ძველი და თანამედროვე დედების შედარებას ახდენდნენ და ამის საშუალებით ცდილობდნენ ძველი დედების უპირატესობის დამტკიცებას: „შევადაროთ გადასული დედები დღევანდელ ქალებს. დღევანდელი ქალები უფრო განვითარებულნი არიან და ნასწავლი გადასულებზე. ძველ დედებს მხოლოდ ერთი საფიქრალი და საზრუნავი ჰქონდათ, სამშობლო. დღევანდელმა ქალებმა კი უცხო ენები იციან, ზედმიწევნით ფიქრობენ ჩაცმა-დახურვაზე და დრო აღარ რჩებათ, რომ კიდევ სამშობლოზეც იფიქრონ. ძველი დრო სულ სხვა იყო მისი მოთხოვნილებით. ძველმა დედებმა მხოლოდ ქართული იცოდნენ. იმ ენაზე ზრდიდნენ შვილებს და იმ ენაზე ადიდებდნენ ღმერთს. დღევანდელი ქალი ისეთივე თვალტანადია, როგორც მისი წინაპარი. უფრო ნასწავლი, ეგებ უფრო მეტსაც შრომობდეს, მაგრამ ჩვენ რა? ქართველი კი აღარ არის. შეხვდებით განათლებულ ქართველ ქალს, რომელიც ქართულს ვეღარ ახერხებს და კიდეც იქადის: რა საჭიროა რა უნდა გამიკეთოსო“ [9, 1].

აღნიშნული პრობლემის აქტუალობა ბეჭდურ მედიაში შემთხვევითი არ ყოფილა. ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ნაციონალური კონსოლიდაციისთვის ერთობის წევრების ცნობიერების გაერთგვაროვნებას ცდილობს. სწორად წარმართული აღმზრდელობითი პროცესი, როგორც სკოლაში, ასევე ოჯახში კი ამ მიზნის მიღწევის წინაპირობა იყო.

საქართველოს ისტორიიდან გამომდინარე ქართველი ქალის როლი ყოველთვის დიდი იყო ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებაში. მის მოვალეობას მუდამ შეადგენდა სამშობლოს ღირსეული შვილების აღზრდა. აქედან გამომდინარე XX საუკუნის პირველ მეოთხედში ქართველი დედის მოვალეობების ასეთი გააზრება სიახლეს არ წარმოადგენდა, თუმცა ერთი რამ უდავოდ ეპოქის მოთხოვნილება გახდა – ქართული ენის შენარჩუნების ტვირთი ეკლესიის ნაცვლად ქართველ დედას უნდა აეღო.

ეპოქის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, საერთო ნაციონალირი ინტერესების ფარგლებში, წოდებათა თანასწორობისა და სოციალური ერთგვაროვნების ჩამოყალიბებაში, ქართული ენის სტანდარტიზაციასა და სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის სისტემატიზაციასთან ერთად აქტუალურია ეროვნული ეკონომიკის

საკითხი. XIX საუკუნის II ნახევრიდან არსებითი ცვლილებების შედეგად, კერძოდ, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ რუსეთსა და საქართველოში, ქართული ერთობა ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. კაპიტალისტური ურთიერთობის ფართოდ გავრცელებამ სამრეწველო-ტექნიკური პროგრესის განვითარებას შეუწყო ხელი. ამიტომ ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტისათვის, რომელიც გლეხთა განათლებისათვის აქტიურად მოღვაწეობდა ნათელი გახდა, რომ ფართო სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესში აუცილებელი იყო სამეურნეო-ტექნიკური როლის წინა პლანზე წამოწევა და სასწავლო პროგრამაში შეტანა.

ჟურნალი „მოგზაური“ და მისი რედაქტორი ივანე როსტომაშვილი ერთ-ერთი პირველია ვინც აღნიშნულ საკითხებს ერთიან კონტექსტში მოიაზრებს. XIX საუკუნის დასასრულის და XX საუკუნის დასაწყისის ცნობილ საზოგადო მოღვაწეს და პედაგოგს ივანე როსტომაშვილს საკუთარი მოსაზრებები და გეგმები გააჩნდა სასწავლო პროგრამის შესახებ. მისი აზრით, „სკოლა უნდა იძლეოდეს არა მარტო წიგნურ განათლებას, არამედ პრაქტიკულ მომზადებასაც. სკოლაში სწავლა-აღზრდის საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ მან უზრუნველყოს მომავალი თაობის დაახლოება ბუნება-ცხოვრებასთან, მათი შეიარაღება ისეთი ცოდნით, რომელიც ცხოვრებაშია საჭირო, გაუადვილებს მათ შრომას, მისცემს საშუალებას რაციონალურად მოაწყოს მეურნეობა და ამით უზრუნველყოს მთელი ქვეყნის ეკონომიკური აყვავება და აღორძინება [12, 685].

ჟურნალის პუბლიცისტების აზრით, ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება უშუალო კავშირშია სამეურნეო ტექნოლოგიების ათვისებასთან. საერთო მასობრივ საგანმანათლებლო სისტემაში სამეურნეო საგნების შეტანა ამ პროცესის წარმატებას განაპირობებდა. ამასთან ეროვნული მრეწველობის ასაღორძინებლად და ეკონომიკის გასავითარებლად ერთ-ერთი მთავარი პირობა საერთო ეროვნული საქმის პროცესში ყველა სოციალური ფენის ჩართვა იყო. „ჩვენთვის სჭიროა გლეხთა შორის მუშაობა, რომ ჩვენ გლეხის ამტანობა გვაკლია, ეს მისით შევივსოთ, ხოლო ჩვენი მეტი სწავლა იმავ დროს მას გავუზიაროთ... ერთი სტყვით გვჭირია სრული გარდაქმნა დღევანდელის ჩვენის ზნისა და ხასიათისა... მთლად ჩვენი ქვეყანა დასახლებული და დაუსახლებელი, შემუშავებული და შეუმუშავებელი, მთა და ბარი, ყველაფერი თხოულობს აუარებელ ფიზიკურ შრომას, რომ ბოლოს დაემსგავსოს კულტურულ მხარეს“ [14, 8].

სამრეწველო-ტექნიკური პროგრესის ფონზე მოძველებული ქართული სამეურნეო სტრუქტურა ეკონომიკის განვითარებას

მნიშვნელოვნად აფერხებდა. „მოგზაური“ გრძნობდა ეპოქის ახალ მოთხოვნილებას და საზოგადოებას თანამედროვე სისტემაზე გადასვლისაკენ მოუწოდებდა: „ეკონომიკურად გაჭირვებული იქნები, სანამ ყოფილი ცხოვრების მოთხოვნილებას არ გაითვალისწინებ, მაშინდელი გაურჯელობის მიზეზს არ გაიცნობ, მაშინდელი ცხოვრების მოთხოვნილებას დღევანდელ მოთხოვნილებებს არ შეუდარებ და სანამ შენს მაშინდელ შრომა-მუშაობას და შეხედულებას სულ ერთიანად არ გამოსცვლი და დღევანდელი დროის შესაფერად არ გარდაქმნი“ [14, 566].

„მოგზაურის“ მსგავსად გაზეთი „თემიც“ ეკონომიკური საკითხების გაშუქებას დიდ ადგილს უთმობს. „საქართველოს სჭირის სარჩო-საბადებელი. მხნედ და მარჯვედ უნდა შეიარაღდეს სამეცნიერო და ტეხნიკურ ცოდნით, რომ გაუმჯობესდეს მიწათმოქმედების საქმე. უპირველეს ყოვლისა, ქართველმა უნდა მოახერხოს თავის სამშობლოს ბუნებრივი სიმდიდრის ნაყოფიერი გამაყენება“ [8, 2]. ამისათვის კი ზოგად განათლებასთან ერთად სკოლაში სამეურნეო-ტექნიკური საგნების სწავლებაც აუცილებლად მიიჩნევა: „ხალხის კულტურული და ეკონომიკური განვითარება მარტო წერა-კითხვის ცოდნით და საზოგადო განათლების დონით არ განისაზღვრება. თანამედროვე ტეხნიკის განვითარებამ ახალი პირობები შექმნა ცხოვრების გასაუმჯობესებლად და ახალი საშუალებანი საარსებო ბრძოლისათვის. ხალხისათვის საჭირო შეიქმნა წერა-კითხვისა და საზოგადო განათლების იმისთანა სწავლა-განათლება, რომელიც მას არსებობისათვის ბრძოლას გაუადვილებს“ [7, 2].

ამდენად, ზემოთ აღნიშნული საკითხების ერთიან კონტექსტში განხილვა გამომდინარეობდა ეპოქის სულისკვეთებიდან. საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნება წარმოადგენდა თავისუფლების მოპოვებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წინაპირობას. ქართულმა კულტურულმა და პოლიტიკურმა ელიტამ გააცნობიერა, ეროვნული აჯანყების მოწყობა რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს თავისუფლებას ვერ მოუტანდა. რეალურად არ არსებობდა ის სამხედრო-პოლიტიკური ძალა, რომელიც საქართველოს დახმარებას გაუწევდა. გარდა ამისა, წარუმატებელი აჯანყების შემთხვევაში დაიღუპებოდა ეროვნული მოძრაობის ის მონაპოვარი, რომელსაც უნდა დაფუძნებოდა ქართველი ერის ბრძოლა თავისუფლებისათვის. XIX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული ეროვნულ-განმათავისუფლებული მოძრაობის ახალი პროგრამა შემუშავდა ილიას მეთაურობით, რაც შემდეგს გულისხმობდა: ქართველი ერის კონსოლიდაცია, საქართველოს ეკონომიკური

აღორძინება და გაძლიერება, რუსეთის იმპერიის ფარგლებში ერის ფიზიკური და სულიერი გადარჩენა, ქართული ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება [3, 10].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბ. ანდერსონი, წარმოსახვითი საზოგადოებები, თბილისი: ენა და კულტურა, 2003.
2. ა.ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921წ.წ., თბილისი, მეცნიერება, 1980.
3. თ. ბოლქვაძე. იდეოლოგიზირებული ღირებულებები. თბილისი: თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.
4. ვ. გურული, ა. სილაგაძე. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (1917-1918), თბილისი, ინტელექტი, 1998.
5. გაზ. „დროება“, №102 (1876).
6. გაზ. „თემი“, №1, 1911.
7. გაზ. „თემი“, №2, 1911.
8. გაზ. „თემი“, №4, 1911.
9. გაზ. „თემი“, №86, 1912.
10. გაზ. „თემი“, №160, 1914.
11. გაზ. „თემი“, №164, 1914.
12. „მოგზაური“, №1, 1902.
13. „მოგზაური“, №3, 1902.
14. „მოგზაური“, №1-2, 1903.
15. „მოგზაური“, №7-8, 1903.
16. „მოგზაური“, №11-12, 1903.
17. ე. სმითი, ნაციონალური იდენტობა, (თარგმანი ინგლისურიდან ლელა პატარიძის), თბილისი, ლოგოს-პრესი, 2008.

Nato Songulashvili
Doctoral student of the Ivane Javakhishvili
Tbilisi State University

Homogenization Process of the Georgian Culture and its Reflection in the Georgian Press of the 20th Century 20es

(Perception of falling apart process of language, common education system, economical space and social boarders)

Summary

One of the most actual problems of development of the identity of the Georgian unity is homogenization.

One of the most important conditions of national consolidation is the homogenization of the members of the unity and the realization of the state independence on this foundation.

On the basis of press material, mainly of the journal „Mogzauri" and the newspaper „Temi", the homogenization process of falling apart of language, common education system, economical space and social boarders in the twenties of the 20th century is studied.

ლელა სარალიძე
ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

საქართველოში ეუთოს მისიის მოღვაწეობის ისტორიიდან

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (**ეუთო**), მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი რეგიონალური ორგანიზაციაა, რომელიც უსაფრთხოების საკითხებითაა დაკავებული. ეუთო ჩრდილოეთ ამერიკის, ევროპისა და ცენტრალური აზიის 56 ქვეყანას აერთიანებს. თავდაპირველად ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი 1973 წლის 1 ივლისს დაარსდა, ხოლო ორგანიზაციად ჩამოყალიბდა 1995 წლის იანვრში [1, osce.org]. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი მოწვეულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ევროპის სოციალისტური ქვეყნების ინიციატივით, როგორც 33 ევროპული ქვეყნის, ამერიკისა და კანადის წარმომადგენლების მუდმივმოქმედი საერთაშორისო ფორუმი, ევროპაში სამხედრო დაპირისპირების შემცირებისა და მისი უსაფრთხოების განმტკიცებისათვის აუცილებელი ზომების ჩამოყალიბების მიზნით. თათბირის სხდომა სამ ეტაპად გაიმართა: 1) 1973 წლის 3-7 ივლისი, საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომა ჰელსინკში, 2) 1973 წლის 18 სექტემბერი- 1975 წლის 21 ივლისი, ჟენევის სხდომაზე მოხდა დასკვნითი აქტის ტექსტის ირგვლივ წინადადებების, ცვლილებებისა და შეთანხმების შეტანა, 3) 1975 წლის 30 ივლისი - 1 აგვისტო, ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში, 35 ქვეყნის მეთაურმა ხელი მოაწერა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის სხდომის დასკვნით აქტს. მიღწეული შეთანხმებების შემდგომი დახვეწა მოხდა თათბირის წევრი სახელმწიფოების 1977-1978 წლების ბელგრადის, 1980-1983 წლების მადრიდის, 1984 წლის სტოკჰოლმის, 1986 წლის ვენის შეხვედრებზე. 1990 წლის 19-21 ნოემბერს, პარიზში, გაიმართა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მეთაურების სხდომა, სადაც ხელმოწერილი იქნა „პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის“, რომელმაც გამოაცხადა ცივი ომის დასასრული. დაიდო ხელშეკრულება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ. მიღებული იქნა 22 ქვეყნის ერთობლივი დეკლარაცია, შეიქმნა დღემდე არსებული პო-

ლიტიკური კონსულტაციის სამსაფეხურიანი მექანიზმი: 1) შეხვედრა უმაღლეს დონეზე, 2) საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო, 3) უმაღლესი თანამდებობის პირთა კომიტეტი.

1975 წლის 1 აგვისტოს ევროპის ქვეყნებმა, სსრ კავშირმა, აგრეთვე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და კანადამ, ჰელსინკში ხელი მოაწერეს უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას, რომელმაც საერთაშორისო ცხოვრებაში საფუძველი ჩაუყარა ახალ ერას. ჰელსინკის დასკვნითი აქტი, მასზე ხელისმომწერ ქვეყნებს მოუწოდებდა ადამიანის უფლებების დაცვისაკენ. უმთავრეს პრიორიტეტს შეადგენდა ჰუმანური პრინციპები, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემა, ყველა ქვეყნის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა, რომელთაც ასახვა ჰპოვეს სპეციალურ დოკუმენტებში. იმ პერიოდში საქართველო, 1921 წელს რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძალით დაპყრობის და იძულებითი გასაბჭოების გამო, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იმყოფებოდა. უნდა ითქვას, რომ მას შემდეგ რაც საბჭოთა მთავრობამ, 1975 წლის 1 აგვისტოს, ხელი მოაწერა ჰელსინკის შეთანხმებას, ადამიანის უფლებათა დარღვევები საბჭოთა კავშირში, რეპრესიები და მრწამსის გამო დაპატიმრებები კიდევ უფრო გაძლიერდა. 70-იანი წლების მიწურული და 80-იანი წლების პირველი ნახევარი, გამოირჩეოდა საბჭოთა ხელისუფლების ანტიჰელსინკური მოქმედებებით. სინდისის პატიმრებს თუმცა არ ხვრეტდნენ, როგორც სტალინის დროს, მაგრამ რიგრიგობით ყველას პატიმრობის ახალ ვადებს უმატებდნენ. სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, მოქმედებდა რა მილიციის სახელით, მრავალგვარ პროვოკაციას მიმართავდა. იგი აპატიმრებდა, ხოლო შემდეგ შეთითხნილი ბრალდებით, სისხლის სამართლის დამნაშავეთა ბანაკებში აგზავნიდა სინდისის პატიმრებს ვითომდა ხულიგნობის, ქურდობის გამო. ასე უგულვებელჰყოფდნენ საბჭოთა კავშირში ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანოები თავისსავე ხელმოწერილ კანონებს. სიტყვისა და საქმის ამგვარი გათიშვა გამოიწვია საბჭოთა კავშირში არსებული ზოგიერთი იდეისა და კანონის შეუსაბამობამ ადამიანის უფლებათა დეკლარაციის პუნქტების შინაარსთან და ჰელსინკის დეკლარაციასთან. საბჭოთა კავშირი ე. წ. „რკინის ფარდით“ გაემიჯნა დანარჩენ მსოფლიოს და მაქსიმალურად შეზღუდა ინფორმაციის გავრცელების, ასევე გადაადგილების თავისუფლება საზღვარგარეთ. ამგვარი შეუწყნარებლობის პირდაპირი შედეგი იყო რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 70, 190, 188, 227, 142 მუხლები, რომლებიც არა მხოლოდ

კრძალავდნენ, არამედ სჯიდნენ კიდეც მოქალაქეებს, რელიგიური ან სხვა სახის პროპაგანდისათვის, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური იდეოლოგიისათვის შეუსაბამო აღმოჩნდებოდა. აქედან გამომდინარე, საბჭოთა კავშირში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ჰელსინკის ხელშეკრულების პრინციპები სასტიკად ირღვეოდა. აღმოსავლეთ ევროპის და სსრ კავშირის მოქალაქეებისთვის ჰელსინკის ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იგი ადამიანის უფლებათა გაუმჯობესების იმედს იძლეოდა. თავის მხრივ, ევროპული ჰელსინკის ორგანიზაციები აკონტროლებდნენ ჰელსინკის ხელშეკრულებათა დაცვას თავიანთ ქვეყნებში. ასეთი იყო ამერიკის სამართალდაცვითი ორგანიზაცია, „Helsinki Watch" („ჰელსინკის გუშაგი"), რომელსაც ამერიკელი ქალბატონი ჯერი ლაიბერი ხელმძღვანელობდა [2, 5]. იგი, როგორც ჰელსინკის ორგანიზაციათა საერთაშორისო ფედერაციის წევრი, აკონტროლებდა ჰელსინკის შეთანხმებებს, არა მარტო საკუთარ ტერიტორიაზე, არამედ იმ ქვეყნებშიც, რომლებმაც ჰელსინკის დასკვნით აქტს მოაწერეს ხელი. რადგან ადამიანის უფლებები უფრო მეტად საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ირღვეოდა, ამიტომ აღნიშნული ორგანიზაცია თავის საქმიანობას ამ მიმართულებით წარმართავდა. აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირში პირველი ჰელსინკის ჯგუფი იური ორლოვმა ჩამოაყალიბა. 1974 წელს საქართველოში ასევე ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, თეიმურაზ ჯანელიძე, ნიკოლოზ სამხარაძე, გივი მაღულარია და სხვები [3, 4]. ჯგუფი მიზნად ისახავდა საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოვლენას და მხილებას, ინფორმაციის გავრცელებას მათ შესახებ, სინდისის პატიმრების დაცვას, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაცვას სუკ-ის ზეწოლისაგან, კულტურის ძეგლთა დაცვას, სხვადასხვა უფლებრივი დოკუმენტების, აგრეთვე ლიტერატურის თვითგამოცემას და აკრძალული წიგნების პოპულარიზაციას. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერა ჰელსინკის შეთანხმებას, საქართველოში გაჩნდა იმედი, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა საერთაშორისო სამართლით საბოლოოდ იქნებოდა გარანტირებული, ქვეყნის შინაგანი კანონმდებლობა ბოლოსდაბოლოს თანხვდებოდა სსრკ-ის საერთაშორისო ვალდებულებებს, რომელიც ხელმოწერილი და რატიფიცირებული იყო ჰელსინკში. მიზნად დაისახეს რა ჰელსინკის პროცესის წარმატებული განვითარების ხელშეწყობა, მოსკოველი უფლე-

ბის დამცველნი სსრკ-ში ჰელსინკის შეთანხმების განხორციელების ხელშემწყობ ჯგუფში გაერთიანდნენ. ქართველი უფლების დამცველები თანამშრომლობდნენ და მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ჰელსინკის ჯგუფის დამაარსებელ ი. ორლოვთან, აგრეთვე ჯგუფის წევრთან ა. გინზბურგთან და სხვებთან. მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის კვალდაკვალ, ზ. გამსახურდიას ინიციატივით, საქართველოში ჰელსინკის შეთანხმების განხორციელების ხელშემწყობი ჯგუფი ჩამოყალიბდა. ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის საქმიანობის გაგრძელება, რასაც დაემატა ჯგუფის მიერ ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტის შესწავლა და თვალყურის დევნება, თუ როგორ ხორციელდებოდა საქართველოში ხელშეკრულების ძირითადი პუნქტები. ჰელსინკის ქართულ ჯგუფში შევიდნენ: ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, თ. ჯანელიძე, ვ. რცხილაძე, ბ. ბეჟუაშვილი, ირ. კენჭოშვილი. საქართველოს ჰელსინკის ჯგუფში აგრეთვე მიიღეს თბილისელი „ოტკაზნიკები“ გ. და ი. გოლდშტეინები (ე. ბონერის რეკომენდაციით). პირველი დოკუმენტი, რომელიც ჰელსინკის ქართულმა ჯგუფმა 1976 წელს გამოსცა, ქართველი პატრიოტის ვ. ჟვანიას დაცვას ისახავდა მიზნად. საქართველოს სუვერენიტეტის მიმართ რუსეთის ძირგამომთხრელი საქმიანობის პროტესტის გამო, მას დახვრეტა მიუსაჯეს. ჰელსინკის ქართული ჯგუფის წევრთა მცდელობის მიუხედავად, ვ. ჟვანია მაინც დახვრიტეს. მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფს, იმავე პერიოდში გადაეცა ზ. გამსახურდიას დოკუმენტური წიგნი „შსს და სუკი“, რომელიც დასავლეთში გამოიცა სათაურით: „წამებათა შესახებ საქართველოში“. 1976 წელს საქართველოს ჰელსინკის ჯგუფმა გამოსცა საინფორმაციო ჟურნალი: „საქართველოს მოამბე“, რომლის რედაქტორიც ზ. გამსახურდია იყო. ჟურნალი აშუქებდა ჰელსინკის ჯგუფის წინაშე წამოჭრილ პრობლემებს ადამიანის უფლებათა და ეროვნული კულტურის დაცვის სფეროში, იმავე პერიოდში გამოდიოდა ასევე ჟურნალი „ოქროს საწმისი“. ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ მიზანს, ჟურნალის პირველ გვერდზე განთავსებული სტატია შემდეგნაირად ასაბუთებდა: „საბჭოთა ტოტალიტარული სისტემისათვის დამახასიათებელია ხელისუფლების არასასურველი ინფორმაციის მალვა ადმინისტრაციულ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში“ [3, 5]. ჟურნალის გამოსვლას მიესალმნენ ცნობილი რუსი დისიდენტები: ნობელის პრემიის ლაურეატი, აკად. ა. სახაროვი, ასევე მწერალი, პუბლიცისტი და ისტორიკოსი ა. ამალრიკი. ა. სახაროვის განცხადებით ჟურნალის გამოსვლა უაღრესად დროული იყო, ვინაიდან სა-

ქართველოში არსებული რეალური სიტუაციის შესახებ ნამდვილი ინფორმაციის მიღება მნიშვნელოვანი იყო მსოფლიო მასშტაბით. ზემოხსენებული ჟურნალების გამოქვეყნების შემდეგ, საქართველს საბჭოთა პრესაში დაიწყო უპრეცედენტო კომპანია ჰელსინკის ჯგუფის წევრთა წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა ზ. გამსახურდიას გარიცხვა საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის რიგებიდან, ხოლო მოგვიანებით 1977 წლის 7 აპრილს, ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას დაპატიმრება.

საბჭოთა კავშირში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით სიტუაცია ოდნავ შეიცვალა ე. წ. „პერესტროიკის“ პერიოდში. 1991 წლის 10 სექტემბერდან 4 ოქტომბერის ჩათვლით, მოსკოვში გაიმართა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მესამე დასკვნითი სხდომა. (პირველი გაიმართა 1989 წელს პარიზში, მეორე – 1990 წელს კოპენჰაგენში). სხდომაზე მიღებული იქნა დოკუმენტი, რომელშიც პირველად იყო მითითებული, რომ ადამიანის უფლებებთან, ძირითად თავისუფლებებთან, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობასთან დაკავშირებული საკითხები საერთაშორისო ხასიათისაა, ხოლო მოვალეობები ადამიანური განზომილებების დარგში არ მიეკუთვნებიან მხოლოდ ეუთთ-ს (ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი) წევრი სახელმწიფოების საშინაო საქმეთა რიცხვს.

1992 წელს ჰელსინკში გაიმართა უმაღლესი დონის შეხვედრა, სადაც მიღებული იქნა დოკუმენტი სახელწოდებით: „ცვლილებათა დროის გამოწვევა“, რომელმაც სათავე დაუდო ეუთთ-ს გარდაქმნას წევრი სახელმწიფოების უპირატესად პოლიტიკური დიალოგის ფორუმიდან ტრანსრეგიონალურ ორგანიზაციად, რომელმაც „ვანკუვერიდან (კანადა) ვლადივასტოკამდე“, სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობისა და თანამშრომლობისადმი თანადგომისა და განვითარებისათვის ხელშეწყობა დაისახა მიზნად. ეუთთ-მ მიიღო ფართო უფლებები და შესაძლებლობები განეხორციელებინა პრაქტიკული ხასიათის ზომები ლოკალური და რეგიონალური კონფლიქტების თავიდან აცილებისა და დარეგულირების მიზნით, რაც პირველად კოსოვოში შესრულდა.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია, რომელიც ითვალისწინებდა, 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა რუსეთის აგრესია დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ. რუსეთის ხელისუფლების წამქეზებლურ პო-

ლიტიკას შედეგად მოჰყვა სერიოზული კონფლიქტები საქართველოს ტერიტორიაზე. ათასობით ქართველი, დევნილი აღმოჩნდა საკუთარ სამშობლოში. საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადაჭრის მიზნით, ეუთო-მ არაერთი რეზოლუცია მიიღო. თავის მხრივ, საქართველო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. 1992 წლის 6 ნოემბერს საქართველოში დაარსდა ეუთო-ს მისია [4, 18].

საქართველო ეუთთ-ის წევრია 1992 წლის 24 მარტიდან. 1992 წლის 8 ივლისს, საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოს ჰელსინკის დასკვნით აქტს, ხოლო 1994 წლის 21 იანვარს, პარიზის ქარტიას. 1975 წლის ჰელსინკის საბოლოო აქტით განსაზღვრული იყო საბჭოს წევრების თანამშრომლობის სამი ძირითადი სფერო: 1) პოლიტიკური და სამხედრო, 2) ეკონომიკური და ეკოლოგიური, 3) ადამიანის უფლებების დაცვა. ჰელსინკში განისაზღვრა, ასევე ეუთთ-ის წევრი ქვეყნებისათვის მოქმედების 10 პრინციპი: 1) უზენაესი თანასწორობა, სუვერენული უფლებების დაცვა, 2) მუქარისა და ძალის გამოყენებაზე უარის თქმა, 3) საზღვრების ხელშეუხებლობა, 4) სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა, 5) სადავო საკითხების მშვიდობიანი მოწესრიგება, 6) საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, 7) ადამიანის ფუნდამენტალური უფლებებისა და თავისუფლების, მათ შორის აზროვნების, სინდისის, რწმენის პატივისცემა, 8) ადამიანთა თვითგამორკვევის უფლების თანასწორობა, 9) სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა, 10) საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულება [1, osce.org].

1994 წელს, ბუდაპეშტის უმაღლესი დონის შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება 1995 წლის 1 იანვარს, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის (ეუთთ), ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციად (ეუთო) გარდაქმნის შესახებ. მიღებულ იქნა პოლიტიკური დეკლარაცია: „ახალ ეპოქაში ნამდვილი პარტნიორობის გზაზე“, ხელშეკრულება XXI საუკუნის ევროპისათვის საერთო და ყოვლისმომცველი უშიშროების მოდელის შექმნის დაწყების შესახებ, ასევე სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის ხელშეკრულებები („უშიშროების სამხედრო-პოლიტიკურ ასპექტებთან დაკავშირებული ქცევის კოდექსი“ და სხვა). ეუთოს შტაბ-ბინა მდებარეობს ვენაში (ავსტრია).

1996 წლის 2-3 დეკემბრის ეუთო-ს წევრი სახელმწიფოების სახელმწიფოთა მეთაურების უმაღლესი დონის შეხვედრაზე, მიღებულ

იქნა ლისაბონის სამიტის, ასევე „XXI საუკუნის ევროპის საერთო და ყოვლისმომცველი უშიშროების" დეკლარაცია, რომელშიც ხაზგასმული იყო გამყოფი ხაზების გარეშე, ერთიანი, მშვიდობიანი და დემოკრატიული ევროპის შენების აუცილებლობა. დამტკიცდა დოკუმენტი: ევროპაში ჩვეულებრივ შეიარაღებულ ძალებზე ხელშეკრულების განახლების თაობაზე. რუსეთის ინიციატივით, წევრმა სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება გამოავლინონ თავშეკავებულობა თავიანთი სამხედრო ძალისხმევის მიმართ, შეიარაღების დონისა და მათი განთავსების ჩათვლით. მიღებულ იქნა დოკუმენტები: „შეიარაღებაზე კონტროლის კონცეპტუალური საფუძველი" და „უშიშროების დარგში თანამშრომლობის შესახებ ფორუმის დღის წესრიგის განვრცობა", რითაც ევროპაში სტაბილურობის უზრუნველყოფის საკითხი, როგორც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, დაექვემდებარა შეიარაღებაზე კონტროლის უზრუნველყოფის საკითხს. ეუთო-ს საქმიანობაში სულ უფრო მეტად გამოიკვეთა აქცენტი ყოფილი საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ტერიტორიებზე არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით.

1998 წელს, ეუთო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ოსლოს შეხვედრაზე მიიღეს დეკლარაცია, ევროპული უშიშროების ახალი სისტემის შექმნაში ეუთო-ს როლის შესახებ. დეკლარაციაში შევიდა დებულებები ეუთო-ს პოლიციური ოპერაციების შესახებ. შეხვედრაზე მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქციეს კოსოვოს პრობლემას, ასევე კონფლიქტურ სიტუაციებს დსთ-ს ტერიტორიაზე.

1999 წლის 18-19 ნოემბერს, სტამბულში, ეუთო-ს წევრი სახელმწიფოების სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრაზე, სადაც რუსეთის დელეგაციას მეთაურობდა ბორის ელცინი, მიღებულ იქნა ევროპის უშიშროების დეკლარაცია, შეთანხმება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ადაპტაციის შესახებ, ასევე შემაჯამებელი პოლიტიკური დეკლარაცია და ნდობის განმტკიცების შესახებ მოდერნიზებული ვენის დოკუმენტი, როგორც საფუძველი შემდგომი მუშაობისა. შეხვედრაზე რუსეთმა აიღო ვალდებულება გაეყვანა ჯარები საქართველოდან და დნესტრისპირეთიდან.

2000 წლის ვენის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე განიხილეს და დაამტკიცეს შემდეგი დოკუმენტები: 1) დეკლარაცია: „ეუთო-ს როლი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში", 2) გადაწყვეტილება ეუთო-ს როლის გაძლიერების შესახებ ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში, 3) დოკუმენტი იარაღის უკანონო ვაჭრობისა და გავრცელების შეზღუდვის შესახებ. პრინციპული აზრთა სხვაობის გამო, მინისტრებმა ვერ მოახერხეს შეხვედრის შემაჯამებელი

ზოგადპოლიტიკური დოკუმენტის – სამინისტროს დეკლარაციის მიღება.

რუსეთი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1973 წლის 25 ივნისიდან, არის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი წევრი, ხოლო 1975 წლის 1 აგვისტოს ხელი მოაწერა ჰელსინკის ხელშეკრულებას, 1990 წლის 21 ნოემბერს, პარიზის ქარტიას შეუერთდა. ორგანიზაციის ოფიციალური ენებია: ინგლისური, გერმანული, ესპანური, ფრანგული, იტალიური, რუსული. 2008 წლისათვის ეუთო-ს ბიუჯეტი შეადგენდა 164 168 200 ევროს.

ეუთო-ს წევრი ქვეყნების სია:

№	ქვეყანა	მიღების წელი	ჰელსინკის დასკვნით აქტზე ხელმოწერის თარიღი	პარიზის ქარტიაზე ხელმოწერის თარიღი
1	ალბანეთი	1991 წლის 19 ივნისი	1991 წლის 16 სექტემბერი	1991 წლის 17 სექტემბერი
2	გერმანია	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
3	ანდორა	1996 წლის 25 აპრილი	1999 წლის 10 ნოემბერი	1998 წლის 17 თებერვალი
4	სომხეთი	1992 წლის 30 იანვარი	1992 წლის 8 ივლისი	1992 წლის 17 აპრილი
5	ავსტრია	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
6	აზერბაიჯანი	1992 წლის 30 იანვარი	1992 წლის 8 ივლისი	1993 წლის 20 დეკემბერი
7	ბელგია	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
8	ბელორუსია	1992 წლის 30 იანვარი	1992 წლის 26 თებერვალი	1993 წლის 8 აპრილი
9	ბოსნია-ჰერცოგოვინა	1992 წლის 30 აპრილი	1992 წლის 8 ივლისი	
10	ბულგარეთი	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
11	კანადა	1973 წლის 25 ივნისი (ასოცირებული წევრის სტატუსით)	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
12	კვიპროსი	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
13	ხორვატია	1992 წლის 24 მარტი	1992 წლის 8 ივლისი	
14	დანია	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
15	ესპანეთი	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი

16	ესტონეთი	1991 წლის 10 სექტემბერი	1992 წლის 14 ოქტომბერი	1991 წლის 6 დეკემბერი
17	ამერიკის შეერთებული შტატები	1973 წლის 25 ივნისი (ასოცირებული წევრის სტატუსით)	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
18	ფინეთი	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
19	საფრანგეთი	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
20	საქართველო	1992 წლის 24 მარტი	1992 წლის 8 ივლისი	1994 წლის 21 იანვარი
21	საბერძნეთი	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
22	უნგრეთი	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
23	ირლანდია	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
24	ისლანდია	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
25	იტალია	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
26	ყაზახეთი	1992 წლის 30 იანვარი	1992 წლის 8 ივლისი	1992 წლის 23 სექტემბერი
27	ყირგიზეთი	1992 წლის 30 იანვარი	1992 წლის 8 ივლისი	1994 წლის 3 ივნისი
28	ლატვია	1991 წლის 10 სექტემბერი	1991 წლის 14 ოქტომბერი	1991 წლის 6 დეკემბერი
29	ლიხტენშტეინი	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
30	ლიტვა	1991 წლის 10 სექტემბერი	1991 წლის 14 ოქტომბერი	1991 წლის 6 დეკემბერი
31	ლუქსემბურგი	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
32	მაკედონია	1995 წლის 12 ოქტომბერი		
33	მალტა	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
34	მოლდავეთი	1973 წლის 30 იანვარი	1992 წლის 26 თებერვალი	1993 წლის 29 იანვარი
35	მონაკო	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
36	მონტენეგრო	2006 წლის 22 ივნისი		
37	ნორვეგია	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
38	უზბეკეთი	1992 წლის 30 იანვარი	1992 წლის 26 თებერვალი	1993 წლის 27 ოქტომბერი
39	ჰოლანდია	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
40	პოლონეთი	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი

41	პორტუგალია	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
42	ჩეხეთის რესპუბლიკა	1993 წლის 1 იანვარი		
43	რუმინეთი	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
44	დიდი ბრიტანეთი	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
45	რუსეთი	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
46	სან-მარინო	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
47	სერბეთი	2000 წლის 10 ნოემბერი		
48	სლოვაკეთი	1993 წლის 1 იანვარი		
49	სლოვენია	1992 წლის 24 მარტი	1992 წლის 8 ივლისი	1993 წლის 8 მარტი
50	შვეცია	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
51	შვეიცარია	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
52	ტაჯიკეთი	1992 წლის 30 იანვარი	1992 წლის 26 თებერვალი	
53	თურქმენეთი	1992 წლის 30 იანვარი	1992 წლის 8 ივლისი	
54	თურქეთი	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი
55	უკრაინა	1992 წლის 30 იანვარი	1992 წლის 26 თებერვალი	1992 წლის 16 ივნისი
56	ვატიკანი	1973 წლის 25 ივნისი	1975 წლის 1 აგვისტო	1990 წლის 21 ნოემბერი

ეუთოს ასოცირებული წევრი ქვეყნებია: 1) ალჟირი, 2) ეგვიპტე, 3) ისრაელი, 4) იორდანია, 5) მაროკო, 6) ტუნისი, 7) იაპონია, 8) სამხრეთ კორეა, 9) ტაილანდი, 10) ავღანეთი, 11) მონღოლეთი [1, osce.org].

ეუთოს ორგანიზაციულ სტრუქტურას სათავეში უდგას გენერალური მდივანი, რომელიც ხელმძღვანელობს სამდივნოს და ინიშნება მინისტრთა საბჭოს მიერ სამი წლის ვადით. თავმჯდომარე, რომელიც ხელმძღვანელობს ეუთო-ს მიმდინარე საქმიანობას, ასევე კოორდინაციას უწევს ეუთო-ს ინსტიტუტების მუშაობას, აკვირდება და ხელს უწყობს კონფლიქტებისა და კრიზისული სიტუაციების მოგვარებას. ეუთო-ს თავმჯდომარე ქვეყანა, რომელსაც ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი წარმოადგენს, ყოველწლიურად იცვლება. ასე მაგალითად: 2005 წელს ეუთო-ს ხელმძღვანელი ქვეყანა იყო სლოვენია, 2006 წელს–ბელგია, 2007 წელს–ესპანეთი, 2008

წელს–ფინეთი, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრ სტუბი წარმოადგენდა. ამჟამად, ეუთო-ს ხელმძღვანელი ქვეყანაა საბერძნეთი, რომელსაც ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი დორა ბაკოიანისი წარმოადგენს. 2010 წლისათვის ეუთო-ს უხელმძღვანელებს ყაზახეთი [1]. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა 317 წევრით განისაზღვრება და იწვევს ორ სესიას წელიწადში, სადაც ეუთო-ს კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი რეზოლუციების მიღება ხდება. ეუთო-ს ორგანიზაციაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობს 370-მდე ადამიანი. გარდა ამისა, 3 500-მდე თანამშრომელი დაკავებულია საველე მისიებით.

ევროპის უშიშროებისა და და თანამშრომლობის ორგანიზაცია მიმართულია რეგიონებში კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნის აღმოსაფხვრელად, ასევე კრიზისული სიტუაციების დარეგულირებისა და კონფლიქტების შედეგების ლიკვიდაციისაკენ.

ბოლო დროს, ეუთო ხშირად ხდება კრიტიკის ობიექტი რუსეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მხრიდან. ისინი ორგანიზაციის ხელმძღვანელობას ბრალად დებენ მიკერძოებულ დამოკიდებულებას ყოფილი საბჭოთა ქვეყნის ზოგიერთი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის გამო, რომელიც მათი აზრით, ზოგჯერ ამ ქვეყნების იდეოლოგიურ მომზადებამდეც მიდის. ისინი ასევე თვლიან, რომ ეუთო ფინანსურად უწყობს ხელს აღნიშნულ ქვეყნებს და ამზადებს მათ საარჩევნო კამპანიას, რითაც ჩვეულებრივ მოუწოდებს ამ ქვეყნებს ფერადი რევოლუციებისაკენ. ორგანიზაციის მხრიდან ასეთი პოზიციების დაკავება, მათი აზრით, ეუთო-ს შიგნით დიალოგის წარმოებას მნიშვნელოვნად აფერხებს. 2007 წლის 10 თებერვალს, მიუნხენში გამართული უშიშროების კონფერენციაზე, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, რომელიც მონაწილეობდა მის მუშაობაში აშკარად გააკრიტიკა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საქმიანობა. მან თქვა: „ცდილობენ გააუფერულონ ეუთო-ს საქმიანობა, წარმოაჩენენ რა მის მოღვაწეობას, როგორც იარაღს ქვეყნების ერთი ჯგუფის ხელში ვინმეს საზიანოდ. ასეთია ამოცანა რომლისთვისაც იღწვის ეუთო-ს ბიუროკრატიული აპარატი, რომელსაც აბსოლუტურად არანაირი კავშირი არა აქვს ეუთო-ს დამაარსებელ ქვეყნებთან, ვინაიდან ისინი სწორედ, ამისკენ მოუწოდებენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ფორმალურად თითქოს დამოუკიდებელნი არიან, რეალურად კი ორგანიზაციისაგან ფინანსდებიან და მაშასადამე, მათი მხრიდან კონტროლდებიან კიდეც“ [1]. 2008 წლის 5 ივნისს, ბერლინში გამოსვლი-

სას რუსეთის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა, ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებს შესთავაზა ჰელსინკის ხელშეკრულების განმტკიცება ევროპული უშიშროების საკითხებზე. მედვედევს მხედველობაში ჰქონდა 1973 წლის ჰელსინკის ხელშეკრულება, რომელიც კატეგორიულად უარყოფდა დაძაბულობის შეტანას დასავლეთ ევროპისა და კომუნისტური ბლოკის სახელმწიფოების ურთიერთობაში. როდესაც 2008 წლის აგვისტოში საქართველოში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით აკეთებდა ეუთო-ს წევრი სახელმწიფოებისადმი მიმართვას, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ ევროპაში არსებული უშიშროების სისტემა ვერ იქნება ახლახან მომხდარი მოვლენების შემდეგ, უსაფრთხოების გარანტი. 2008 წლის 27 სექტემბერს, გაერო-ს გენერალური ასამბლეის სხდომაზე გამოსვლისას სერგეი ლავროვმა მოითხოვა ევრო-ატლანტიკურ ზონაში უშიშროების აღდგენა ჰელსინკის ხელშეკრულების საფუძველზე.

ევროპის უშიშროების სათათბირომ, ჯერ კიდევ 1994 წლის 6 დეკემბერს, ბუდაპეშტში მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მხარი დაუჭირა საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ცნობილ საზღვრებში. მონაწილე სახელმწიფოებმა ღრმა შეშფოთება გამოთქვეს ეთნიკური წმენდის, განსაკუთრებით ქართველთა თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან მასობრივი განდევნის და უდანაშაულო მოქალაქეთა დიდი რაოდენობით დაღუპვის გამო [6, 206]. 1996 წლის 3 დეკემბერს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) უმაღლესი დონის ლისაბონის დეკლარაციაში პირდაპირ არის დაგმობილი ეთნიკური წმენდა აფხაზეთში, რასაც შედეგად ქართველი მოსახლეობის მასობრივი განადგურება მოჰყვა. 1998 წლის 1 დეკემბერს, ოსლოში, ეუთო-ს მინისტრთა საბჭოს VII შეხვედრაზე მიღებული იქნა სპეციალური გადაწყვეტილება საქართველოს საკითხზე. მინისტრებმა თხოვნით მიმართეს ეუთო-ს მოქმედ თავმჯდომარეს გაერო-ს გენერალურ მდივანთან ერთად ეუთო-ს ჩარჩოებში ჩაეტარებინათ შესაბამისი კონსულტაციები გალის რაიონში ეუთო-ს ბიუროს შექმნის მიზანშეწონილობის შესასწავლად. მინისტრებმა მხარი დაუჭირეს კონფლიქტის ზონებისა და რაიონების აღდგენის და ლტოლვილთა დაბრუნების მნიშვნელობას კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის წინსვლის საქმეში. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის უმაღლესი დონის სტამბოლის შეხვედრაზე, 1999 წლის 19 ნოემბერს მიღებულ დეკლარაციაში ხაზგასმული იყო ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის კონფლიქტების

მშვიდობიანი გზით გადაჭრის აუცილებლობა, აღნიშნული რეგიონების საქართველოს შემადგენლობაში პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა [5, 344]. სტამბულში ეუთო-ს ქვეყნების მეთაურთა სამიტზე ასევე მიღწეული იქნა რუსეთ-საქართველოს შეთანხმება საქართველოდან ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების 2001 წლის ივლისამდე გაყვანისა და სხვა ბაზების შესახებ მოლაპარაკების დაწყების თაობაზე [5, 140]. საქართველოში ეუთოს მისიის გააქტიურების მიზნით, 2001 წლის 23 თებერვალს, ვენაში, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის მუდმივმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს საკითხთან დაკავშირებით, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური კომიტეტის დაარსების თაობაზე. აფხაზეთის რეგიონში კომიტეტს უნდა ემუშავა საერთაშორისო ინსტიტუტებთან; კერძოდ, საქართველოში ეუთო-ს და გაერო-ს მისიებთან მჭიდრო კავშირში, გაყინული კონფლიქტის სასწრაფო გადაწყვეტისათვის. 2005 წლის 5 ივლისს, ვაშინგტონში, ეუთო-ს სპეციალური რეზოლუციით, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის აფხაზეთის საკითხთა სპეციალურ კომიტეტს დაევალა: ა) გააააქტიუროს თავისი ძალისხმევა მხრეთა ჩასაბმელად რეალურ დიალოგში, რომელიც მიდის არსებითი პროგრესისაკენ კონფლიქტის მოწესრიგების ისეთ საკვანძო საკითხებში, როგორიცაა პოლიტიკური სტატუსი, უსაფრთხოების ყოვლისმომცველი გარანტიები, ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა უპირობო დაბრუნება ღირსების პატივისცემის პირობებში, აგრეთვე ეკონომიკური საკითხები.

ბ) დაამყაროს დიალოგი საკანონმდებლო ორგანოების, დაწესებულებების, პოლიტიკური პარტიების, თემებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და წაახალისოს გაცვლა-გამოცვლა მათ შორის.

გ) რეგულარულად ჩავიდეს ხოლმე ამ რეგიონში, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სიტუაციის შეფასებას არაორგანიზებული წესით დაბრუნებულ ლტოლვილებთან და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით.

დ) ხელი შეუწყოს ეუთო-ს კონკრეტული საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას ამ რეგიონში; კერძოდ, გალის რაიონში.

ე) შეიმუშაოს და დაამტკიცოს 2005-2006 წლების მოქმედების გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს აფხაზეთის (საქართველო) სპეციალური კომიტეტის კონკრეტულ ღონისძიებებს, მიმართულს კონფლიქტის მოწესრიგების ხელშესაწყობად.

ვ) რეგულარულად მოახსენოს მუდმივმოქმედ კომიტეტს (ბიუროს, პლენარულ სესიას) თავის საქმიანობაზე, მოქმედების გეგმის შესრულებაში მიღწეულ პროგრესზე და აფხაზეთში (საქართველო), მიმდინარე მოვლენებზე, აგრეთვე, წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეას [5, 494].

საქართველოში მოქმედი ეუთო-ს მისია, ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა თავიდან აეცილებინა კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია. ასტანაში, 2008 წლის 3 ივლისს, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის მეჩვიდმეტე ყოველწლიურ სესიაზე, გამოითქვა შეშფოთება საქართველოში უსაფრთხოების მდგომარეობის გამო. ეუთო-ს სპეციალურ რეზოლუციაში აღნიშნულია:

1. ითვალისწინებს რა არასტაბილურობის გაძლიერებას საქართველოს კონფლიქტურ ზონებში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების სეპარატისტულ რეჟიმებთან ოფიციალური კავშირების განმტკიცების შესახებ რუსეთის ფედერაციის მთავრობის გადაწყვეტილების ფონზე,

2. შეშფოთებულია რა რუსეთის ფედერაციის მთავრობის ცალმხრივი გადაწყვეტილებით, საქართველოს, აფხაზეთის რეგიონში შეიყვანოს დამატებითი სამხედრო პერსონალი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მშვიდობისმყოფელი ძალების ეგიდით, რომლის შემადგენლობაშიც ჯარს გამოყოფს მხოლოდ რუსეთი,

3. აღიარებს რა, რომ საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების მცხოვრებთათვის რუსეთის ფედერაციის პასპორტების გაცემა და რუსეთის ფედერაციის მთავრობის მიერ ასეთი პირების უფლების დაცვის შენარჩუნება სამხედრო ძალის გამოყენებით ეჭვქვეშ აყენებს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას,

4. ვარაუდობს რა, რომ ზემოაღნიშნულ გარემოებას შეუძლია დაამძიმოს ისედაც არამდგრადი მდგომარეობა ამ რეგიონებში და, ვთქვათ, შემთხვევითაც კი, ამ რეგიონებში შეიარაღებული კონფლიქტის განახლებამდე მიგვიყვანოს,

5. შეშფოთებულია რა იმის შესაძლებლობით, რომ შეიარაღებული კონფლიქტის განახლება ამ რეგიონებში გამოიწვევს უსაფრთხოების მდგომარეობის გაუარესებას უფრო ფართო, საერთო ევროპული მასშტაბით,

6. აღნიშნავს რა, რომ საქართველოს მთავრობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს სთავაზობს ფართო ავტონომიას სუვერენული ქართული სახელმწიფოს ფარგლებში,

7. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა დაბეჯითებით მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დე-ფაქტო ხელისუფლებასთან კონტაქტისას თავი შეიკავონ ამ რეგიონებთან რაიმე ისეთი სახით კავშირების დაჭერისაგან, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა საქართველოს სუვერენიტეტს.

8. დაბეჯითებით მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, მიჰყვეს ეუთოს სტანდარტებს და საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო ნორმებს სხვა წევრ-ქვეყნებთან ურთიერთობაში კონფლიქტების გადაჭრის მიზნით ძალით ან მისი გამოყენების მუქარის მიმართ [7].

საერთაშორისო ორგანიზაციები უძლურნი აღმოჩნდნენ, საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით გადაჭრის საქმეში. ქვეყანაში არსებული რეალური სიტუაცია მცოცავი ანექსიის ფორმას ატარებს [8, 48]. 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელდა აგრესია საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს მიმართ, რის შედეგადაც ცხინვალის რეგიონიდან და ზემო აფხაზეთიდან, სეპარატისტებმა და რუსებმა 17. 000 ქართველი საკუთარი მიწა-წყლიდან გამოაძევა და დევნილად აქცია. საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით გადაწყვეტის მიზნით, ეუთო-ს მიერ მიღებული რეზოლუციები და გადაწყვეტილებები ფაქტობრივად ქაღალდზე დარჩა.

რუსეთის ხელისუფლების მცდელობით საქართველოში მოქმედ ეუთოს მისიას, საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევის მიუხედავად, 2009 წლის ივნისიდან ოფიციალურად შეუწყდა საქართველოში მოქმედების მანდატი.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. L' Organization pour la securité et la cooperation en Europe (OSCE), web site: www.osce.org.ge
2. Helsinki Watch, გაზ. „სახალხო განათლება", 5 ივლისი, 1990.
3. მერაბ კოსტავა, „ჰელსინკის ჯგუფის ისტორია და ამოცანები საქართველოში", გაზ., „საქართველო", №4 (9), 27 თებერვალი, 1990.
4. ამირან მექვაბიშვილი, „მსოფლიო დღეს" (ციფრები, მოვლენები, ფაქტები), გამომც. „საზოგადოება ცოდნა", თბილისი, 2006.
5. თამაზ დიასამიძე, „რეგიონული კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2005), პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული", თბილისი, 2005.

6. შოთა მალაშხია, „კონფლიქტები პროგნოზირება“ (საერთაშორისო-სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტები), გამომც. „ფორმა“, თბილისი, 2007.
7. რეგიონალიზმის კვლევის ცენტრი, საიტი: www.rrc.ge
8. ეკა აკობია, „ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა: გამოწვევები და პერსპექტივები“, წიგნში: „ევროკავშირის პოლიტიკა: მიმდინარე საკითხები“, სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, თბილისი, 2007.

Lela Saralidze
Doctor of History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Head Scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History

HISTORY OF THE ACTIVITY OSCE IN GEORGIA

Summary

In this work there is discussed the history of organization for security and co-operation (OSCE) activity in Georgia. In the special schedule there are given the list of states which are the members of OSCE. There is also given that OSCE mission in Georgia was founded in 6 November of 1992. The work bases on the resolution analyses of OSCE. The work also deals that OSCE supports for the soverenity and territorial integrity of Georgia within its internationally recognized borders. The member states of OSCE express their deep concern over „ethnic cleaning“ the massive expulsion of people, predominantly Georgian, from their living areas and the deaths of large numbers of innocent civilians. The OSCE mission appeals governments and international organizations to provide political supports and humanitarian and technical assistance to Republic of Georgia.

In this research there is also shown the work of Helsinki group during Communist regime, also there is said about Eoropean Helsinki groups which has played a big role abot the protection of human rights in the countries which have signed the Helsinki act, between tham was the Soviet Union, which has signed about collaboration and safety with other Europian countries in Helsink in 1975 1st august. It was spreaded equally also on Georgia which was the part of Soviet Union at that time.

In the work there is shown the negative position of Russia for OSCE. Russia demanded to stop the mission of OSCE in Georgia. The activity of OSCE mission in Georgia lasted to Jule 2009.

შორენა მურუსიძე

ივანე ჯავახიშვილის ისტორისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

ერეკლე შველიძე

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, არქივთმცოდნეობის დეპარტამენტის მეცნიერ-თანამშრომელი

„ქართველ მხედართა დარაზმულობის“ ისტორიიდან

ნაშრომის მიზანია XX საუკუნის ქართული ემიგრაციის ერთი ფრაგმენტის – 1954 წლის 26 იანვარს, გერმანიის ქალაქ მიუნხენში დაარსებული ორგანიზაციის ისტორიის წარმოჩენა.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო ფონდში დაცულია „ქართველ მხედართა დარაზმულობის“ დამფუძნებლების გაიოზ და შალვა მაღლაკელიძეების პირადი არქივი, რომელიც XX ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში გურამ შარაძემ მიუნხენიდან ჩამოიტანა. არქივი შეიცავს „ქართველ მხედართა დარაზმულობის“ ისტორიის ამსახველ არაერთ გერმანულენოვან დოკუმენტს, კერძოდ კი დამფუძნებელი კრების ოქმს, წესდებას, ორგანიზაციის გამგეობის მიმოწერას გერმანიის სახელმწიფო დაწესებულებების, საზოგადოებრივი გაერთიანებების, საინფორმაციო სააგენტოებისა თუ კერძო პირებისადმი. სრულად შევისწავლეთ საქართველოში არსებული, დღეისთვის ხელმისაწვდომი და გამოვლენილი მასალები. მიუხედავად ამ საარქივო მასალათა სოლიდური ჩამონათვალისა, ორგანიზაციის ისტორიის სრულყოფილი ჩვენება ამ ეტაპზე მაინც ვერ მოხერხდა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში დაფუძნდა ომში მონაწილე მხედართა გაერთიანებები. მათი მიზანი მეომრების მატერიალური და მორალური დახმარება იყო. ამ ტენდენციამ, გავლენა მოახდინა მიუნხენში მოღვაწე ქართველი ემიგრანტების ერთ ნაწილზეც. მათ ჩამოაყალიბეს საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც მოგვიანებით დააფუძნა ორგანიზაცია სახელწოდებით „ქართველ მხედართა დარაზმულობა“.

გაერთიანება "ქართველ მხედართა დარაზმულობის" დამფუძნებელი კრება 1954 წლის 26 იანვარს ქ. მიუნხენში ჩატარდა. კრებას

ესწრებოდნენ შალვა მაღლაკელიძე, გაიოზ მაღლაკელიძე, გრიგოლ ავალიანი, ალექსანდრე ბაღათურია, რომან ფარძინი, ანდრეას მოსიძე, დავით პეკურიძე და გიორგი ვეფხვაძე. ყრილობის თავმჯდომარედ არჩიეს გიორგი ვეფხვაძე, კრების მდივნად გრიგოლ ავალიანი [1].

დამფუძნებელი კრების ყველა მონაწილე ავტომატურად „ქართველ მხედართა დარაზმულობის“ დამფუძნებლად ჩაითვალა. გაიოზ მაღლაკელიძის მიერ წარმოდგენილი წესდება, დისკუსიისა და ცვლილებების შეტანის შემდეგ დაამტკიცეს [1].

„დარაზმულობის“ წესდება შედგენილია ყველა იურიდიული ნორმის დაცვით. მასში დეტალურადაა ჩამოყალიბებული გაერთიანების მიზნები, სამოქმედო გეგმა, ორგანიზაციის მმართველობითი სტრუქტურა, ყველა წარმომადგენლობითი ორგანოს ფუნქცია-მოვალეობები, გაწევრიანების პრინციპები, განსაზღვრულია „დარაზმულობის“ მატერიალური საფუძვლები, გათვალისწინებულია გაერთიანების გაუქმების საკითხიც. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოგვყავს „ქართველ მხედართა დარაზმულობის“ წესდების ადაპტირებული ტექსტი.

წესდების მიხედვით „ქართველ მხედართა დარაზმულობა“ არის აპოლიტიკური, პარტიებისა და პოლიტიკური „პლაცდარმებისგან“ განზე მდგომი ორგანიზაცია, რომლის მიზანია: საზღვარგარეთ მცხოვრები ყველა ქართველი ჯარისკაცის გაერთიანება და აღრიცხვა, II მსოფლიო ომში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების ვინაობის და დასაფლავების ადგილის გარკვევა. ქართველი მეომრების, მორალური და მატერიალური ურთირთიერთდახმარება, მხედრული ფასეულობების, ღირსების და ტრადიციების პატივისცემა და დაცვა [2].

მეომრების გარდა „დარაზმულობაში“ გაწევრიანება შეეძლოთ სამოქალაქო პირებს, მათ ვინც იზიარებდა ქართველი ჯარისკაცების პრინციპებს და ტრადიციებს. გაერთიანებას ჰყავდა მუდმივი და საპატიო წევრები [2].

„დარაზმულობას“ ჰქონდა მმართველობითი ორგანოები: საერთო ყრილობა, გამგეობა, საქმეთა სამმართველო, კონტროლის კომისია და ღირსების სასამართლო [2].

საერთო ყრილობა ჩატარდებოდა წელიწადში ერთხელ და საჭიროების შემთხვევაში რიგგარეშედ, თავმჯდომარის, ან მუდმივი წევრების ერთი მესამედის მოთხოვნით. საერთო ყრილობის ფუნქციებში შედიოდა: დარაზმულობის თავმჯდომარის, გამგეობის, საქმეთა მმართველის, კონტროლის კომისიის და ღირსების სასა-

მართლოს არჩევა; ასევე წესდებაში ცვლილებების შეტანა, გაერთიანების სამუშაო გეგმის შედგენა, გამგეობის წლიური ანგარიშის მოსმენა და შემოწმება. ყრილობაზე ხმის მიცემის უფლება ჰქონდა ყველა წევრს. გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა ხმათა უმრავლესობით. დაშვებული იყო აგრეთვე ფარული ხმისმიცემა [2].

ორგანიზაციის აღმასრულებელ ორგანოდ აღიარებული იყო გამგეობა. მის უფლება-მოვალეობაში შედიოდა: მდივნის არჩევა, ქონების განკარგვა, გაერთიანების მიზნების და დავალებების განხორციელება, ყრილობის გადაწყვეტილებების შესრულება, ყრილობის დღის წესრიგის დამტკიცება, საანგარიშო მოხსენებების შემუშავება, ახალი წევრების მიღება. განსაკუთრებულ შემთხვევებში გამგეობას შეეძლო შეედგინა სამუშაო კომისიები და გაეხსნა ფილიალები, ასევე გამოეცა პერიოდული, ან არაპერიოდული გამოცემები [2].

საქმეთამმართველს ეკისრებოდა ორგანიზაციის მიმდინარე საქმეების მართვა. კონტროლის კომისიის ფუნქცია კი იყო: გამგეობის ანგარიშების შემოწმება. გაერთიანების წევრებს შორის სადაო საკითხები ეგრეთწოდებულ „ღირსების სასამართლოს“ უნდა გადაეწყვიტა. „ქართველ მხედართა დარაზმულობის“ ქონება შედგებოდა გაერთიანების წევრების შენატანების, დახმარებების და შემოწირულობებისგან. „დარაზმულობის“ წესდების მიხედვით გაერთიანება ნებაყოფლობით შეიძლებოდა გაუქმებულიყო ყრილობის სამი მესამედის გადაწყვეტილებით. ამ მიზნით მოწვეულ ყრილობაზე ლიკვიდაციას განახორციელებდა გამგეობა [2].

დღეისათვის ჩვენთვის შეუძლებელია გადაჭრით იმის თქმა, რამდენად ფუნქციური აღმოჩნდა, „ქართველ მხედართა დარაზმულობის“ წესდება. XX ს-ის 50-იანი წლების პერიოდიკისა და მიუნხენში მოღვაწე ზოგიერთი ქართველი ემიგრანტის პირადი არქივის შესწავლა საფუძველს გვაძლევს ეჭვი შევიტანოთ წესდებით გათვალისწინებული ყველა პუნქტის დაცვასა და განხორციელებაში.

„ქართველ მხედართა დარაზმულობის“ დაფუძნებისა და ორგანიზაციის წესდების დამტკიცების შემდეგ, იმავე დღეს (26 იანვარს, 1954წ.) შემუშავდა მოწოდება, რომელშიც მოკლედ არის ჩამოყალიბებული „დარაზმულობის“ მიზნები და ამოცანები. გაერთიანების დამფუძნებლები ქართველ მეომრებს მოუწოდებდნენ გაწევრიანებულიყვნენ ახლადდაარსებულ გაერთიანებაში და მონაწილეობა მიეღოთ მისი მიზნების განხორციელებაში [3].

„ქართველ მხედართა დარაზმულობა“ არ იყო პოლიტიკური ორგანიზაცია, რაც გაუგებარი აღმოჩნდა ზოგიერთი ქართველი

ემიგრანტისათვის. ორგანიზაციის საინიციატივო ჯგუფმა II მსოფლიო ომში მონაწილე ქართველ მეომრებს წინასწარ აცნობა ქართველ მხედართა გაერთიანების დაარსების შესახებ: მათ გაეგზავნათ მოსაწვევი ბარათები თხოვნით, დასწრებოდნენ დარაზმულობის დაფუძნებას. ამ მიმართვას, იმავე დღეს, 1954 წლის 26 იანვარს გამოეხმაურნენ დავით ურატაძე და ილია კუჭუხიძე.

გრიგოლ ავალიანისადმი გაგზავნილ წერილში დავით ურატაძე მოითხოვს შეიქმნას ახალი საინიციატივო ჯგუფი სადაც გაწევრიანდებიან მიუნხენში არსებული პოლიტიკური პარტიებისა და გაერთიენებების წარმომადგენლები [4]. ილია კუჭუხიძის აზრით ორგანიზაციის დაფუძნებაში მონაწილეობის მიღების შესახებ იგი უნდა შეუთანხმდეს თავის თანაპარტიელ – სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრებს [5].

XX ს-ის 50-იანი წლები ქართული ემიგრაციის ისტორიაში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის ახალი ეტაპია. მიმდინარე ცივი ომის პირობებში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ყურადღებას იჩენდა საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნების ხალხთა ემიგრაციის მიმართ და მათი შეკავშირებით ანტიკომუნისტური ფრონტის შექმნა ჰქონდა განზრახული. ამ გარემოებამ ქართული ემიგრაციის მნიშვნელოვანი გააქტიურება გამოიწვია, შეიქმნა არა – ერთი ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელშიც ერთიანდებოდნენ სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები და პარტიებს მიღმა მყოფი ქართველი ემიგრამტები. ამ ფონზე „ქართველ მხედართა დარაზმულობა“ ემიგრაციაში აღქმულ იქნა მორიგ პოლიტიკურ გაერთიანებად.

„ქართველ მხედართა დარაზმულობის“ დაარსების შესახებ ცნობა გაავრცელა გერმანული პრესის სააგენტომ [6], განცხადებები დაიბეჭდა ადგილობრივ გაზეთში [7] და გახმოვანდა გერმანული რადიო-სადგურების მიერ [8].

გაერთიენების დაარსებას გამოეხმაურნენ გერმანელი მეომრები, რომელთაც ომის დროს ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ ჯარისკაცებთან, ისინი გაწევრიანებისა და დახმარების სურვილს გამოთქვამდნენ [6].

„დარაზმულობას“ მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ, ქართველ ემიგრანტთა ნაწილი „ქართველ მხედართა დარაზმულობას“ მონარქო-ფაშისტურ ორგანიზაციად მიიჩნევდა. როგორც ჩანს, მათ 1937-39 წლებში არსებული გაერთიანება „მონარქო-ფაშისტური დარაზმულობა“, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელიც შალვა მაღლაკელიძე იყო, გააიგივეს ამ ახლად შექმნილ ორგანიზაციასთან. თა-

ვად „ქართველ მხედართა დარაზმულობის“ წევრები კი უარყოფდნენ „მონარქო ფაშისტურ დარაზმულობასთან“ იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ მსგავსებას [6]. 1937-1939 წლებში არსებული „მონარქო-ფაშისტური დარაზმულობა“ იყო რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც იტალიურ ფაშიზმს აღიარებდა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას ისახავდა მიზნად.

„ქართველ მხედართა დარაზმულობის“ ხელმძღვანელებს კავშირი ქონდათ გერმანიის ოფიციალურ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. გამგეობამ ურთიერთდახმარება და თანამშრომლობა შესთავაზა გერმანიის იუსტიციის სამინისტროს [9], „გერმანელ ჯარისკაცთა გაერთიანებას“ [10] და „ომში დაკარგულთა სამარხებზე მზრუნველ“ გერმანულ საზოგადოებას [11].

„დარაზმულობამ“ გერმანიის ზემოთხსენებულ ოფიციაულურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დამყარების გზით გაავრცელა მიმართვა. ისინი ყველა იმ პირს, ვინც ეძებდა ომში დაღუპული ახლობლის საფლავს, ურჩევდნენ დაკავშირებოდნენ დარაზმულობას, რომელიც გერმანიის „ცენტრალურ კართოთეკაში“ აღრიცხული 2, 5 მილიონ ადამიანში მოიძიებდა მათ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ქართველი მეომრები განისვენებდნენ ევროპის სხვადასხვა მხარეში, მათი საფლავების აღსანუსხავად ორგანიზაცია გაგზავნიდა დელეგატებს [6].

მეორე მსოფლიო ომში დაჭრილი ან დაინვალიდებული გერმანიაში მცხოვრები მეომრებისთვის გერმანიის მთავრობას დაწესებული ჰქონდა პენსიები. „ქართველ მხედართა დარაზმულობის“ ხელმძღვანელობა გერმანიის გარეთ მყოფ მეომრებს მოუწოდებდა მცირე ხნით ეცხოვრათ გერმანიაში, რის შემდეგაც ისინი სათანადო ორგანოებისგან მიიღებდნენ დახმარებებს, ამაში მათ ორგანიზაცია დაეხმარებოდა [6].

„ქართველ მხედართა დარაზმულობას“ ახლო კონტაქტი ჰქონდა გერმანელ ჯარისკაცებთან და მათ ორგანიზაციასთან. ამ ურთიერთობას ჩრდილს აყენებდა II მსოფილო ომის დროს მომხდარი ტექსელის აჯანყება. ორგანიზაციის საქმეთა მმართველის გაიოზ მაღლაკელიძის თქმით, კუნძულ ტექსელზე განისვენებს რამოდენიმე ათეული ქართველი მეომარი, რომლებიც გერმანელებთან ბრძოლაში დაიღუპნენ. ქართველ და გერმანელ მხედართა ურთიერთობების დასადგენად დარაზმულობა დაინტერესებული იყო ტექსელზე მომხდარი „ტრაგედიის“ გარკვევით და მიმართავდა ყველა იმ ქართველ ლეგიონერს, რომელიც მონაწილეობდა ტექსელზე მიმდინარე ბრძო-

ლებში, მიეწოდებინათ ცნობები. ამ მიზნით გადაწყვეტილი იყო რწმუნებულის გაგზავნა ჰოლანდიაში [6].

გამოეხმაურნენ თუ არა მსოფლიო ომებში დაღუპულ მეომართა ახლობლები, ასევე ომში დაჭრილი და ტყვეულის აჯანყებაში მონაწილე ქართველი მეომრები „ქართველ მხედართა დარაზმულობის“ ამ მოწოდებებს, სამომავლოდ დამატებითი მასალების გამოვლენის შემთხვევაში კვლევა–ძიების გაგრძელებას საჭიროებს.

„ქართველ მხედართა დარაზმულობის“ წევრებმა გერმანიის „ცენტრალური კართოთეკის“ მეშვეობით არაერთი ქართველი ჯარისკაცის საფლავის ადგილ-მდებარეობა დაადგინა [12]. ქართველი მეომრების ბედით დაინტერესებული კერძო პირები ხშირად მიმართავდნენ „დარაზმულობის“ წევრებს.

მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის მთავრობამ შეიმუშავა ე. წ. „აღმოსავლეთ ხალხების“ ორდენი, რომელიც გადაეცემოდათ ამ ომში მონაწილე არაგერმანელ, აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენელ მეომრებს. ომის დამთავრების შემდეგ გერმანიის შესაბამის წრეებში მომწიფდა აზრი იმის შესახებ, რომ ეს ორდენი დისკრიმინაციული იყო და აუცილებელია მისი შეცვლა. ეს მისია იკისრა „ქართველ მხედართა დარაზმულობის“ მეთაურობამ, რომელიც დროებით ასრულებდა ქართული საორდენო კომისიის ფუნქციებს. მათ შეიმუშავეს დავით აღმაშენებლის ორხარისხიანი ორდენი და ე. წ. სამახსოვრო მედლები, რომელიც დამტკიცების შემდეგ გადაეცემოდა ომის მონაწილეებს. „ქართველ მხედართა დარაზმულობის“ მიერ შემუშავებული ორდენებისა და ჯილდოების პროექტები შესწავლილი აქვს პროფესორ ნიკო ჯავახიშვილს მონოგრაფიაში „ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა)“ [13, 63-66].

დარაზმულობის მუშაობა ითვალისწინებდა ასევე მოხსენებების წაკითხვას საერთო კრებებზე. პირველი ორი მოხსენება უნდა წაეკითხათ გერმანელ მეომრებს, გაცხადებული იყო თემატიკაც. პირველი შეეხებოდა I მსოფლიო ომს და ქართულ-გერმანულ ურთიერთობებს, ხოლო მეორე კი II მსოფლიო ომს და გერმანულ-ქართულ მხედრულ თანამშრომლობას. დაგეგმილი იყო ასევე საჯარო მოხსენება ორივე ომის შესახებ [6].

მიუხედავად იმისა, რომ დარაზმულობა თავს აცხადებდა აპოლიტიკურ ორგანიზაციად, რომელიც არანაირ პოლიტიკურ ამოცანებს არ ისახავდა მიზნად, მისმა საქმიანობამ ცხადყო, რომ ორგანიზაციის წევრებმა ვერ შეძლეს ბოლომდე გულგრილი დარჩენილიყვნენ პოლიტური საკითხისადმი. ისინი უარყოფითად აფასებენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის და ასევე იმ

დროს არსებული პოლიტიკური გაერთიანებების მოღვაწეობას. მათი თქმით ქართული ემიგრაცია და ქართული საკითხი უმეთაუროდ იყო დარჩენილი. ამიტომ გამოდიოდნენ ინიციატივით ეხელმძღვანელათ და მოეწვიათ საგანგებო ყრილობა, რომელიც ამ საკითხზე იმსჯელებდა და აირჩევდა ერთიან მეთაურობას. „ქართველ მხედართა დარაზმულობას“ ყრილობის ჩატარების კონკრეტული გეგმა ჰქონდა. 10 ქართველი, რომელიც არ იყო უცხო სახელმწიფოს მოქალაქე დაასახელებდა რწმუნებულებს, რომლებიც თავის მხრივ მოწვეულ ყრილობაზე აირჩევდნენ მეთაურობას [6]. ორგანიზაციის ეს ჩანაფიქრი არ განხორციელებულა.

ქართული ემიგრაციისათვის მოურჩენელი სენი იყო გათიშულობა და დაპირისპირება. მათი გაერთიენების იდეა არა მხოლოდ „ქართველ მხედართა დარაზმულობის“ მეთაურებს ჰქონდათ. ქართული ემიგრაციის დაქსაქსულობის საკითხი ერთ-ერთი ძირითადი და აქტიური განხილვის საგანია იმდროინდელ ქართველ ემიგრანტთა შორის. ამის შესახებ წერდა თითქმის ყველა პერიოდული გამოცემა. ემიგრაციის გაერთიენების ინიციატივით გამოდიოდნენ პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები. მრავალი მცდელობის მიუხედავად მდგომარეობა არ შეცვლილა. ქართული ემიგრაცია კვლავ ცალკეულ ჯგუფებად და გაერთიანებებად იყო წარმოდგენილი.

1954 წლის 31 ივლისს „ქართველ მხედართა დარაზმულობის“ თავმჯდომარე შალვა მაღლაკელიძე, საბჭოთა კავშირის უშიშროებამ დასავლეთ ბერლინიდან აღმოსავლეთ ბერლინში, შემდეგ კი საქართველოში იძულებით ჩამოიყვანა. ორგანიზაციის თავმჯდომარის გატაცების მიუხედავად „ქართველ მხედართა დარაზმულობა“ ფუნქციონირებას განაგრძობდა, ამის დასტურია გაიოზ და შალვა მაღლაკელიძეების პირად არქივში დაცული 1955, 1956 წლებით დათარიღებული დარაზმულობის საქმიანობისა და მოღვაწეობის ამსახველი ისტორიული დოკუმენტები. შალვა მაღლაკელიძე დარაზმულობის თავმჯდომარე ფორმალურად იყო, რეალურად ორგანიზაციის საქმიანობას გამგეობა და საქმეთა მმართველი გაიოზ მაღლაკელიძე წარმართავდა. ამის დასტურია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ არსებული დოკუმენტები და ის საყურადღებო ფაქტი, რომ შალვა მაღლაკელიძე თავის მრავალგვერდიან მოგონებებში არაფერს ამბობს „ქართველ მხედართა დარაზმულობის“ შესახებ.

მიუნხენში დაარსებული „ქართველ მხედართა დარაზმულობა“ იქცა საკონტაქტო და კომპეტენტურ გაერთიანებად, II მსოფლიო ომში მონაწილე ქართველი მეომრებით დაინტერესებული პი-

რებისა თუ ორგანიზაციებისათვის. 1956 წლის ბოლოს გერმანელი მწერალი ჰანს კოხი თავისი წიგნისათვის „უცხოური გაერთიანებები გერმანულ ჯარში II მსოფლიო ომის დროს“ „ქართველ მხედართა დარაზმულობის“ გამგეობას სთხოვს საარქივო მასალების მიწოდებას ქართული დივიზიის შესახებ [14]. აშკარაა, რომ „დარაზმულობას“ II მსოფლიო ომში მონაწილე ქართველი მეომრების შესახებ მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზა ჰქონდა. სავარაუდოა, რომ მოგვიანებით თამარ და აკაკი პაპავები წიგნის „გაბნეული საფლავები“ შედგენისას სარგებლობდნენ „ქართველ მხედართა დარაზმულობის“ არქივით.

მიუხედავად იმისა იქცა თუ არა „ქართველ მხედართა დარაზმულობა“ მძლავრ და მრავალრიცხოვან გაერთიანებად, მას მაინც დადებითი მნიშვნელობა ქონდა ქართული ემიგრაციის ისტორიაში. XX საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი მრავალრიცხოვანი პოლიტიკური ორგანიზაციების გვერდით არსებობდა სამხედრო მოსამსახურეთა გაერთიანება, რომელიც მართალია აპოლიტიკური ორგანიზაცია იყო, მაგრამ გვერდს ვერ უვლიდა პოლიტიკურ საკითხებს. პოლიტიკური ორგანიზაციებისაგან განსხვავებით „ქართველ მხედართა დარაზმულობის“ მიზნების განხორციელებას უცხო ქვეყანათა ოფიციალური სტრუქტურებიდან წინააღმდეგობები არ შეხვედრია. მათთან თანამშრომლობაზე უარს არ ამბობდნენ. „დარაზმულობის“ საქმიანობის შედეგად არაერთი ქართველი მეომრის განსასვენებელი გახდა ცნობილი. ომში მებრძოლთა დახმარება და სამხედრო სულისკვეთების შენარჩუნება მათი შორსგამიზნული გეგმით დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში გაგრძელდებოდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, შალვა და გაიოზ მაღლაკელიძეების ფონდი, საქმე №69.
2. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, შალვა და გაიოზ მაღლაკელიძეების ფონდი, საქმე №70.
3. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, შალვა და გაიოზ მაღლაკელიძეების ფონდი, საქმე №71.
4. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, შალვა და გაიოზ მაღლაკელიძეების ფონდი, საქმე № 83.

5. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, შალვა და გაიოზ მაღლაკელიძეების ფონდი, საქმე №84.
6. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, შალვა და გაიოზ მაღლაკელიძეების ფონდი, საქმე №89.
7. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, შალვა და გაიოზ მაღლაკელიძეების ფონდი, საქმე №75, 77, 88, 90.
8. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, შალვა და გაიოზ მაღლაკელიძეების ფონდი, საქმე №75.
9. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, შალვა და გაიოზ მაღლაკელიძეების ფონდი, საქმე №72.
10. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, შალვა და გაიოზ მაღლაკელიძეების ფონდი, საქმე №74.
11. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, შალვა და გაიოზ მაღლაკელიძეების ფონდი, საქმე №79.
12. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, შალვა და გაიოზ მაღლაკელიძეების ფონდი, საქმე №104.
13. ნიკო ჯავახიშვილი, ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა), თბ., 1995.
14. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, შალვა და გაიოზ მაღლაკელიძეების ფონდი, საქმე №99.

Shorena Murusidze
The Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, scientific researcher of the Department of Modern and Contemporary History
Erekle Shvelidze
Scientific researcher of the Department of Archives Study of the National Center of Manuscripts

From the history of "Solidarity of Georgian Knights"
Summary

Personal archives of the founders of the "Solidarity of Georgian Knights" Gaioz and Shalva Maglakelidzes, which in the beginning of the 90s of the 20th century was brought by professor Guram Sharadze from Munich is kept at the archives fund of the National Center of Manuscripts. Archive contains many German lingual documents depicting the history of "Solidarity of Georgian Knights", namely, protocol of a meeting of founders, charter, correspondence of the board of the organization with the state authorities, public

associations, information agencies and private persons. Irrespective of a rather solid list of Archives material the history of the organization is not studied thoroughly yet, although we have studied all material available and exposed till now.

On 26 January 1954 a meeting of founders of the association "Solidarity of Georgian Knights" was held in Munich with participation of the following persons: Shalva Maglakelidze, Gaioz Maglakelidze, Grigol Avaliani, Alexandre Bagaturia, Roman Pardzini, Andreas Mosidze, David Pekuridze and Giorgi Vepkhvadze.

The organization "Solidarity of Georgian Knights" was constituted on that meeting. After discussion and relevant amendments the charter of the organization submitted by Gaioz Maglakelidze was adopted. The charter of the Solidarity was drawn by the observance of all legal norms. The goals of the Solidarity, its operation plan, managerial structure of the organization, all functions and obligations of representational body and principles of enrollment in it were formulated in details, material bases were defined and even the issue of cancellation of the association was considered.

According to the charter of the "Solidarity of Georgian Knights", the association aimed to unite all Georgian soldiers residing abroad and to record them, to determine the names of Georgian soldiers who were killed in the World War II and to establish places of their burial, to render friendly, moral and material support to Georgian warriors, to respect and observe existing military virtues, honor and traditions.

According to the charter the "Solidarity of Georgian Knights" was apolitical association standing apart from political parties and political bases. The Solidarity had the managerial bodies: general congress, board, office work department, control committee and court of honor.

Leaders of the "Solidarity of Georgian Knights" had contacts with official federal and public organizations of Germany. Information about founding of the "Solidarity of Georgian Knights" was published by the German press agency, declarations were printed in local newspaper and were spread via German radio-stations.

The "Solidarity of Georgian Knights" created in Munich turned into the competent association of contact for persons and organizations interested in Georgian warriors, participants of the World War II.

Did the "Solidarity of Georgian Knights" turn into the powerful numerous organization or did not – is the other question, but it played the positive role in the history of Georgian emigration. It was the association of military officers created after the World War II, in the second half of the 20th century, which cared for Georgian warriors, it tried to manage to render support similar to that which was issued to other soldiers who participated in that war.

ვასილ კაჭარავა
ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საერთაშორისო შავი ზღვის უნივერსიტეტის პროფესორი

მაკარტიზმის შუქჩრდილები 1950-იანი წლების ამერიკაში

მაკარტიზმი 1950-იანი წლების ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული მოვლენაა, რომლის შედეგადაც, კომუნისტების ძირგამომთხრელ საქმიანობასთან ბრძოლის საბაბით, სერიოზულად შეიბღალა ადამიანის უფლებები ამ ქვეყანაში და დღესაც მძიმე მოგონებებს იწვევს. ამ მოვლენის შეფასებისას უცნაურად ემთხვევა ამერიკელი ლიბერალურული ორიენტაციის ისტორიკოსებისა და ანტიამერიკულად განწყობილი ავტორიტარული რეჟიმების მეცნიერთა აზრი ერთმანეთს. უწინარეს ყოვლისა, ეს საბჭოთა ისტორიოგრაფიას ეხებოდა, მაგრამ დღესაც, როდესაც სურთ ამერიკის კრიტიკა, სწორედ მაკარტიზმს იხსენებენ. შესაბამისად, ეს უნიკალური თანხვედრა მრავალ კითხვას ბადებს.

ვისკონსინელი სენატორის ჯოზეფ მაკარტის პიროვნებამ ზოგადეროვნული ყურადღება პირველად 1950 წლის 12 თებერვალს მიიქცია ლინკოლნის დაბადების დღისადმი მიძღვნილ გამოსვლაში ვესტ ვირჯინიის ქალაქ უილინგის რესპუბლიკელ ქალთა კლუბში, სადაც მან განაცხადა, რომ სახელმწიფო დეპარატმენტში მოკალათებული 57 კომუნისტის ან კომუნისტებისადმი კეთილგანწყობული ადამიანის სია აქვს. სენატორმაისიც დასძინა, რომ ამის შესახებ სახელმწიფო მდივანმა დინ აჩესონმა იცოდა, მაგრამ არავითარ ზომებს არ იღებდა, უფრო მეტიც, მაკარტიმ მასაც დააბრალა გარკვეული სიმპათიები კომუნიზმისადმი.[4,76]

საინტერესოა, რომ ამ სიაში კომუნისტების რაოდენობა თანდათანობით მცირდებოდა და საბოლოოდ, მიუხედავად რამდენიმე დიპლომატის საქმიანობის კრიტიკისა, მაკარტიმ რეალურად და იურიდიულად ვერ დაადასტურა ხსენებული ადამიანების კომუნისტობა. თუმცა ამ პათოსითა და მსგავსი ბრალდებებით მან თითქმის

ოთხწლინახევარის მანძილზე მთელი ამერიკა ლამის ყალყზე დააყენა. ამ ანტიკომუნისტური ტალღის ფენომენი შემდგომში თავად მაკარტის „პატივსაცემად" მაკარტიზმის სახელით გახდა ცნობილი.

ატეხილი განაგაშის დასაბუთებისას ამ გამოსვლაში მაკარტიმ აღნიშნა, რომ ცივი ომის დროს მიმდინარე ბრძოლაში თავისუფალი სამყარო სულ უფრო თმობდა თავის პოზიციებს. თუ ომის დასასრულისთვის, 1944 წელს კომუნისტური სამყარო 180 მილიონ ადამიანს ითვლიდა, სულ რამდენიმე წელიწადში იგი უკვე 800 მილიონი გახდა, მაშინ, როცა თავისუფალი სამყარო 500 მილიონამდე შემცირდა. მაკარტი ამას ასაბუთებდა არა კომუნიზმის ძლიერებით, არამედ დასავლეთის სისუსტით, რომელიც შესაბამის წინაღმდეგობას არ უწევდა კომუნიზმს ანუ როგორც თავად ამბობდა „ამორალობის რელიგიას". ამავე დროს, მაკარტის მიაჩნდა რომ, ეს ქვეყანაში მოკალათებული მოღალატეების ქმედების შედეგი იყო. შემდეგ მან გაიხსენა ერთ-ერთი ისტორიკოსის ციტატაც – „როდესაც დიდი დემოკრატიები იშლება, ეს გარეშე მტრების გამო კი არა, არამედ შინაგანი მტრების წყალობით ხდება".[3,18]

მაკარტის ამ რიტორიკას ზურგს ის უმაგრებდა, რომ II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ამერიკა საბოლოოდ დაემშვიდობა იზოლაციონიზმს, თავის თავზე აიღო თავისუფალი სამყაროს კომუნიზმისაგან გადარჩენის ტვირთი და აღნიშნული დროისათვის საკმაოდ მნიშვნელოვან შედეგსაც მიაღწია. კერძოდ კი, ტრუმენის დოქტრინისა და მარშალის გეგმის მეშვეობით მან, ერთი მხრივ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა გადაარჩინა კომუნიზმის აგრესიას, ხოლო, მეორე მხრივ, დასავლეთ ევროპა დაიცვა მემარცხენე რადიკალიზმისაგან. მაგრამ, ამავე დროს, აღმოსავლეთ ევროპას რკინის ფარდა ჩამოეფარა, ჩინეთში კი კომუნისტები გაბატონდნენ. შესაბამისად, ე.წ. ცივი ომი სულ უფრო ძლიერდებოდა და საბჭოთა კავშირის მიერ შექმნილმა წყალბადის იარაღმა სერიოზული საფრთხე უშუალოდ ამერიკასაც შეუქმნა.

ალბათ, სწორედ ამიტომაც მოჰყვა პატარა ქალაქის პატარა კლუბში ერთი ნაკლებად ცნობილი სენატორის გამოსვლას უდიდესი რეზონანსი. ტრადიციულად, ამერიკული საზოგადოება ძირითადად საშინაო პრობლემებით იყო დაინტერესებული, მაგრამ, როგორ ჩანს, დადგა დრო, რომ კომუნისტური საფრთხისადმი მიექციათ მეტი ყურადღება თავად რიგით ამერიკელებსაც. მაკარტიმ ყველასთვის გასაგებ ენაზე და მეტად ეფექტურად გამოკვეთა არსებული საფრთხე, კომუნისტების მიერ გატარებული ე.წ. ძირგამომთხრელი

საქმიანობა და, რაც მთავარია, გამოაჩინა კონკრეტული მტერი. აღმოჩნდა, რომ ეს მტერი თავად ამერიკაში იყო და მისი დამარცხება უფრო ადვილი იყო, ვიდრე სადღაც შორს მყოფი კომუნისტური არმიებისა. ამან კონკრეტიკის მოყვარულ ამერიკელებში, რომელნიც იზიარებდნენ იმ აზრს, რომ იმ პერიოდში მიმდინარეობდა ბრძოლა კომუნისტურ ათეიზმსა და ქრისტიანობას შორის, საკმაო ენთუზიაზმი გამოიწვია.

სხვათა შორის, ანტიკომუნისტური ქმედებების გამოძიებებსა და მოსმენებსწარმარტავდა კონგრესში ჯერ კიდევ 1938 წელს, ნაცისტური და კომუნისტური საქმიანობის საფრთხის წინააღმდეგ შექმნილი, კონგრესის წარმომადგენელთა პალატის არაამერიკული ქმედებების შემსწავლი კომიტეტი (Committee on Un American Activities). ომის შემდეგ კი ანტიკომუნისტური გამოძიებანი კიდევ უფრო გაიზარდა. მაგალითად, 79-ე მოწვევის კონგრესში 1945-47 წლებში სულ 4 გამოძიება ჩატარდა, მე-80 მოწვევის კონგრესში, როდესაც კონგრესს რესპუბლიკელები აკონტროლებდნენ, უკვე 22 გამოძიება, 81-ე მოწვევის კონგრესში 1949-51 წლებში – 24, 1951-1953 წლებში 82-ე მოწვევის კონგრესში, როდესაც მაკარტი განსაკუთრებით გააქტიურდა, იყო 34 გამოძიება, ხოლო 83-ე მოწვევის კონგრესში 1953-55 წლებში გამოძიებებისა და მოსმენების კულმინაცია იყო და ამ კომიტეტში უკვე 51 გამოძიება ჩატარდა. [4, 70]

საერთოდ, 1949 დან 1959 წლამდე ამ კომიტეტმა დაინტერესებულ დამქირავებლებს 60 ათას ადამიანზე და 12 ათას ორგანიზაციაზე მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც ხშირად ამ ადამიანების ლოიალობას შეეხებოდა. [15, 92]

1948-50 წლებში ამერიკაში დიდი რეზონანსი გამოწვია სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლის ალჯერ ჰისის დადანაშაულებამ კომპარტიის წევრობასა და შპიონაჟში, თითქოს იგი ჯერ კიდევ 1930-იანი წლებიდან აწვდიდა მნიშვნელოვან ინფორმაციას კომუნისტებს. თუმცა ბევრი ჰისის თავის მართლებას უფრო ენდობოდა. ალბათ, ჰისის საქმისადმი დამოკიდებულება შეიძლება შევადაროთ XIX საუკუნის დასასრულის საფრანგეთში ე.წ. დრეიფუსის საქმეს, როდესაც ფრანგული არმიის კაპიტანს ალფრედ დრეიფუსს სერიოზული მტკიცებულებების გარეშე, შპიონაჟი და ღალატი დასწამეს და რამაც ორად გაყო ფრანგული საზოგადოება. მაგალითად, იგივე სახელმწიფო მდივანმა დინ აჩესონმა და 1952 წელს დემოკრატთა პრეზიდენტობის კანდიდატმა ადლაი სტივენსონმა არ

ცნეს ჰისის ბრალეულობა მაშინ, როდესაც ნიქსონის და მაკარტის მსგავსი ადამიანები მას აშკარა მოღალატედ რაცხავდნენ.

მაკარტი არც სხვა დიდმოხელეებს ერიდებოდა. ტრუმენის ადმინისტრაციის სახელმწიფო მდივანს დინ აჩესონს, „წითელ დინს" უწოდებდა. თავად ტრუმენს კი ძუკნის შვილიც, დაარქვა. მან მეორე მსოფლიო ომში ამერიკის შეიარაღებული ძალების მთავარი შემოქმედი, ამერიკული არმიის შტაბის უფროსი და ტრუმენის ადმინისტრაციის სახელმწიფო მდივანი, გენერალი ჯორჯ მარშალიც დაადანაშაულა კომუნისტურ შეთქმულებაში. მაკარტის დაუცხრომელმა შეტევებმა მისი კოლეგა სენატორებიც კი შეაშფოთა.

აქ შეიძლება თავისებური პარალელი გავავლოთ 1919 წელს „მშრალი კანონის" მიღებასთან, როდესაც მისი ნებისმიერი მოწინააღმდეგე უზნეო ადამიანად ცხადდებოდა და ამის შიშით მრავალმა კონგრესმენმა თუ სენატორმა ხმა მისცა ამ კანონს. ბუნებრივია, ამჯერად თვისობრივად სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე,მაგრამ ამჯერადაც ოდნავი მინიშნება კომუნიზმისადმი კეთილგანწყობაში დამღუპველი ხდებოდა პოლიტიკოსისთვის, უფრო მეტიც, მაკარტის წყალობით „მეტისმეტად ლიბერალური" განწყობილებაც სახიფათო ხდებოდა. ბევრ რიგით ამერიკელს ისიც მოსწონდა, რომ მაკარტი ხშირად უტევდა და ცხოვრებას უმწარებდა მდიდრებს, ცნობილ და პრივილეგირებულ ადამიანებს.

1952 წელს, როდესაც სენატში რესპუბლიკელები გაძლიერდნენ იგი პირველად, თავად გახდა სახელმწიფო ოპერაციების კომიტეტის თავმჯდომარე. ამავე დროს იგი ხშირად თავმჯდომარეობდა ამ კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ გამოძიების მუდმივ ქვეკომიტეტს. შესაბამისად, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მთელი სენატი მას პატივით ან ყოველ შემთხვევაში რიდით ექცეოდა. როგორც 50-იანი წლების ისტორიის ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარი ერიკ გოლდმანი წერდა – „მას ის თვისება გააჩნდა, რომელსაც პოლიტიკოსები ყველაზე უფრო მეტად სცემენ პატივს, კერძოდ კი, ხმების მიღების უნარი." მშობლიურ ვისკონსინში მაკარტიმ 140 ათასი ხმის უპირატესობით გაიმარჯვა. დახლოებით 6 ახალი სენატორი თავის არჩევას მის ქმედებას უკავშირებდა.[10, 250]

1954 წლის დასაწყისში, თავისი პოპულარობის მწვერვალზე, მაკარტიმ გელოპის მონაცემებით გამოკითხულთა 50 პროცენტის სიმპათია დაიმსახურა. მას დიდი მხრადაჭერა აღმოუჩინეს კათოლიკეებმა მუშათა კლასიდან, ირლანდიური, პოლონური და იტალიური წარმოშობის ადამიანებმა (კათოლიკური ორგანიზაციები, როგორც

კოლუმბის რაინდები, კათოლიკე ომის ვეტრანები, ასევე პოლონურ-ამერიკული კონგრესი), რომლებიც ტრადიციულად დემოკრატებს აძლევდნენ ხმას. თავადაც კათოლიკე მაკარტი ცივ ომში გამარჯვების მარტივ რეცეპტს იძლეოდა – დავძლიოთ კომუნიზმი შინ, რაც ბევრად ადვილია, ვიდრე ვებრძოლოთ მას მთელ პლანეტაზე.[7, 869-870]

მაკარტიზმის სულისკვეთებით აღსავსე ანტიკომუნისტურ საქმიანობაში აქტიურად იყო ჩართული ფედერალური საგამოძიებო ბიუროც, რომელიც კარგად იყენებდა კომუნისტური საფრთხის ფენომენს საკუთარი გავლენის გააძლიერებლად. მაკარტის კომისიის გარდა არსებოდა კიდევ სხვადასხვა საგამოძიებო კომისია. ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, დეტროიტში, ლოს-ანჯელესში და სან-ფრანცისკოში პოლიციაში სპეციალური განყოფილებები იყო. სხვათა შორის, ბევრი უნივერსიტეტის კამპუსის პოლიციაშიც მუშაობდა მრავალი ყოფილი ფედერალური სააგენტოს თანამშრომელი, რომლებიც სტუდენტებისა და პროფესურის ლოალურობასაც იძიებდნენ და მათ საგამოძიებო ბიუროს ლეგენდარული შეფის ედგარ ჰუვერის დიდი მხარადჭერაც ჰქონდათ.

ასეთი ზედამხედველობა, ედგარ ჰუვერის თანხმობით, თვით სახელმწიფო დეპარტამენტშიც განხორციელდა. სენატორების – მაკარტის, ბრიჯესის და მაკკარენის საამებლად სახელმწიფო მდივანმა ჯონ ფოსტერ დალესმა სახელმწიფო დეპარტამენტის უსაფრთხოებისა და საკონსულო ბიუროს ხელმძღვანელად დანიშნა ვინმე რ. მაკლეოდი, რომელმაც მალე დეპარტამენტის საკადრო საქმეები ჩაიგდო ხელში და სწორედ ის წყვეტდა, ვინ უნდა შეემოწმებინათ, გაეგდოთ თუ აეყვანათ სამსახურში – „კონგრესს უნდა, რომ თავები ცვიოდეს და დაე დაცვივდნენ," – ბუნებრივია, ლოიალობის მიხედვით. თუმცა მაკლეოდს ისიც უთქვამს, რომ „ხალხს არ ენაღვლება ვინ არიან ეს შერისხულები – ლოთები, გადაგვარებულები თუ კომუნისტები, მთავარია მათი თავიდან მოცილება".[9, 409] სამი კვირის მანძილზე მაკლეოდმა 21 თანამშრომელი დაითხოვა ჰომოსექსუალიზმის ბრალდებით.[5, 64]

ამ ხელმძღვანელთა მეშვეობით ჰუვერი ამერიკელთა საზღვარგარეთ მგზავრობასაც აკონტროლებდა. მაგალითად, კომუნისტ მომღერალ პოლ რობსონს, მწერალ ჰოვარდ ფასტს, ლიბერალური მსოფლმხედველობით ცნობილ ადვოკატებს ლეონარდ ბოუდინს, ოუენ ლატომორს საზღვარგარეთის პასპორტების მიღებაზე უარი უთხრეს ან საერთოდ გაუუქმეს პასპორტები. ამავე მეთოდე-

ბით ჰუვერი თვალს ადევნებდა ისეთი, მისი აზრით, საეჭვო ადამიანების საზღვარგარეთულ მოგზაურობებს, როგორებიც იყვნენ ალბერტ აინშტაინი, რობერტ ოპენჰეიმერი, ჯონ სტეინბეკი, ერნესტ ჰემინგუეი, აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს წევრი უილიამ დუგლასი.[9, 410]

მაკარტიზმის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული გამოვლინება იყო ცოლ-ქმრის ეტელ და ჯულიუს როზენბერგების საქმე, რომელიც დღემდე საკამათოდ ითვლება. მაგალითად, საბჭოთა მეცნიერების ვერსიით, ეს წყვილი ცრუ ბრალდების საფუძველზე დააპატიმრეს ატომური შპიონაჟისთვის. 1951 წელს მათ სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ ამ საქმეს დიდი საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა როგორც ამერიკაში, ასევე საზღვარგარეთ. დიდი მოძრაობა დაიწყო განაჩენის გადახედვისთვის. საქმეში ცნობილი მეცნიერებიც ჩაერთვნენ. მარტო პრეზიდენტის სახელზე ყოველკვირა ამ შინაარსით 15 ათასამდე მოთხოვნა მოდიოდა, მაგრამ როგორც უმაღლესმა სასამართლომ, ასევე პრეზიდენტმა უარი თქვეს მათ შეწყალებაზე და 1953 წლის 19 ივნისს სასიკვდილო განაჩენი აღსრულდა. [19, 163]

ამ ინფორმაციის ცალმხრივობას ისიც ადასტურებს, რომ ეს ჯაშუშები სწორედ საბჭოთა კავშირზე მუშაობდნენ. ამიტომაც მსგავსი განცხადებებით საბჭოელები ჯაშუშობის ბრალდებას იცილებდნენ და ამერიკელებს აქეთ დებდნენ ბრალს უსამართლობაში. თურმე, საბჭოთა კავშირში უფრო აწუხებდათ ამერიკელ მოქალაქეთა ბედი, ვიდრე ამერიკელ მოსამართლეებსა და ამერიკის პრეზიდენტს. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ განაჩენს ბევრი ეწინააღმდეგებოდა ამერიკაში და უცხოეთშიც. მათ მიაჩნდათ, რომ როზენბერგების ბრალეულობა არ იყო საკმაოდ დასაბუთებული და ისინი ასეთ მკაცრ სასჯელს არ იმსახურებდნენ. სხვათა შორის, ამ საქმეში უფრო აქტიურად ჩართული აგენტი კლაუს ფუჩსი ინგლისში მხოლოდ 14 წლით დაატუსაღეს. ამერიკის ელჩი საფრანგეთში ს. დუგლას დილონი ატყობინებდა თავის მთავრობას, რომ საზოგადოებრივი აზრი საფრანგეთში შეწყალების მომხრე იყო. [5, 83] როზენბერგების დამცველთა შორის ლიბერალური ინტელიგენციის წარმომადგენლებიც უხვად იყვნენ, ისეთები როგორც ალბერტ აინშტაინი, პაბლო პიკასო, ჟან პოლ სარტრი. როზენბერგების მომხრეები თვლიდნენ, რომ განაჩენი უფრი პოლიტიკური ნაბიჯი იყო, ვიდრე ჭეშმარიტი სამართლის აღსრულება. მით უმეტეს, რომ საქმე არა მარტო ჯულიუსს, არამედ მისი მეუღლის, ქალის, ორი შვილის დედის, სიცოცხლეს ეხებოდა. ამან კიდევ უფრო გაზარდა თანაგრძნობა ამერიკელებში.

თავად ედგარ ჰუვერიც, რომელიც არ გამოირჩეოდა გულჩვილობით და ამ წყვილის სამაგალითო დასჯას ემხრობოდა, მიიჩნევდა, რომ შეიძლებოდა დედისთვის სიკვდილის განაჩენი ხანგრძლივი პატიმრობით შეეცვალათ. როგორც პროფესიონალი იგი გრნობდა, რომ ეს საზოგადოებაში არც თუ სასურველ რეაქციას გამოიწვევდა. მით უმეტეს, რომ ეტელის წინააღმდეგ დანაშაულის დამადასტურებელი საბუთი არც ისე ბევრი იყო და, შეიძლება ითქვას, რომ იგი ქმრის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

მაგრამ ქალის ფაქტორის მიმართ სხვა მოსაზრებებიც იყო. თავისი ვაჟიშვილი ჯონისადმი წერილში ეიზენჰაუერი აღნიშნავდა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქალისადმი სირბილე გამართლებული არ იყო, ვინაიდან ამ წყვილში სწორედ ის ჩანდა წამყვან ძალად. თანაც, თუ ქალობის მიზეზით მას დავინდობთ, მომავალში კომუნისტები თავის აგენტებს სწორედ ქალებში დაუწყებენ ძებნას.[5, 85]

ეიზენჰაუერის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ბიოგრაფი სტეფენ ამბროუზი წერდა, რომ როზენბერგების დაცვის კამპანიას მხოლოდ კომუნისტები წარმართავდნენ, რომლებიც თვლიდნენ, რომ განაჩენი ანტისემიტიზმის და მაკარტიზმის შედეგი იყო. [5, 65] თუმცა ალბათ, განაჩენის გამომტანთა და მომხრეთა არგუმენტები უფრო ძლიერი ჩანდა. როზენბერგების პროცესის მოსამართლემ ირვინგ კაუფმანმა განაცხადა, რომ მათი დანაშაული „უარესი იყო ვიდრე მკლელობა... „მათ რუსებს ხელში ჩაუგდეს ატომური ბომბი, მაშინ როდესაც ჩვენი საუკეთესო მეცნიერების ვარაუდით, რუსებს მისი გაკეთება მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ შეეძლოთ. ჩემი აზრით, ამან განაპირობა კომუნისტური აგრესია კორეაში, რომელსაც 50 ათასი კაცის სიცოცხლე შეეწირა და ვინ იცის კიდევ რამდენი მილიონი უდანაშაულო ადამიანის სიკვდილი შეიძლება მოჰყოლოდა“. ბრალდებულებისადმი მიმართვაში კაუფმანმა აღნიშნა „დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ თქვენი ღალატით თქვენ ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგოდ შეცვალეთ ისტორიის განვითარების კურსი.“[9. 426]

ამერიკელი მსაჯულები იმანაც აღაშფოთა, რომ როზენბერგების წყვილი ვერ დაითანხმეს თანამშრომლობაზე და ვერაფერი ათქმევინეს მათ მეკავშირეებსა და ხელმძღვანელებზე. საქმე საკმაოდ მიამიტ ინიციატივამდეც კი მივიდა. სადაზვერვო სააგენტოს ხელმძღვანელი სთავზობდა გამოძიებას, რომ როზენბერგებისათვის გაეცნოთ მასალა საბჭოთა კავშირში ებრაელების დევნის შესახებ,

შემდეგ კი შეწყალებას დაპირებოდნენ იმ პირობით, თუ ისინი მიმართავდნენ მსოფლიოს ებრაელებს ყველა ქვეყანაში დაეტოვებინათ კომუნისტთა რიგები და ეცადათ მოესპოთ იგი. (ისე სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელი თუ ასეთი მიამიტი იყო სხვებზე რა უნდა იფიქროს კაცმა.)

რაც შეეხება ეიზენჰაუერს, ახლად არჩეული პრეზიდენტი ამ საქმეში იუსტიციის მინისტრის აზრს ემხრობოდა, რომელიც თვლიდა, რომ როზენბერგებს მიეცათ ყველა საშუალება გამოეყენებინათ სამართლებრივი პროცედურა თავის დასაცავად, სასამართლო ჩატარდა სრულიად კანონიერად და ნაფიცმა მსაჯულებმა არავითარი ეჭვი არ გამოთქვეს მათ დანაშაულში. ამიტომაც 11 თებერვალს ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ იგი არ შეიწყალებდა მათ, ვინაიდან – „მათი დანაშაული შორს ცილდება ერთი ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას. იგი მოიცავს მთელი ერის აშკარა ღალატს, რომელსაც სრულიად თავისუფლად შეძლო გამოეწვია მრავალი ათასი ადამიანის სიკვდილი. თავისი ქმედებით ამ პირებმა უღალატეს თვით თავისუფლებას, რომლის გამოც მრავალი ადამიანი იბრძვის და კვდება კორეაში, ახლაც, ამ საათს. როზენბერგებმა უზომოდ გაზარდეს ატომური ომის შანსები და ამით წირავდნენ ათობით მილიონი ადამიანის სიცოცხლეს მთელ მსოფლიოში. [12, 65] სხვათა შორის, თეთრ სახლთან კონტრდემონსტრაციებიც ეწყობოდა პლაკატებით „კარგად შებრანეთ ისინი“, „ჩამოახრჩვეთ ისინი“.

1953 წლის 19 ივნისის განცხადებაში პრეზიდენტმა კვლავ დაადასტურა თავისი პოზიცია და აღნიშნა, რომ როზენბერგების წყვილმა ყოველგვარი პრივილეგია მიიღო, რასაც ამერიკის სასამართლო სისტემა ფლობდა. მან აღნიშნა, რომ ორი ადამიანის სიკვდილით დასჯა საშინელებაა, მაგრამ უფრო დიდი საშინელებაა მილიონობით ადამიანის სიკვდილი, რომელიც ამ ჯაშუშების ქმედებას შეიძლება მოჰყვეს. [1, 446-447] ეიზენჰაუერის ერთ-ერთი ბიოგრაფის რობერტ ბერკის აზრით, ეიზენჰაუერმა არ შეიწყალა როზენბერგები არა იმიტომ, რომ სჯეროდა განაჩენის სისწორის, არამედ იმიტომ, რომ ეს ყოფილიყო სამაგალითო სასჯელი და ერწმუნა ერწმუნა რომ არის ისეთი რამ, რისი უგულვებელყოფაც არ შეიძლება.[6, 157]

მეტად დრამატულად განვითარდა თვით სიკვდილის დასჯის პროცედურა. განაჩენის სისრულეში მოყვანა რამდენჯერმე გადაიდო და საბოლოოდ დაინიშნა 19 ივნისის 11 საათზე. როზენბერგების ადვოკატმა ბლოჩმა თხოვნით მიმართა მოსამართლე კაუფმანს,

რომ განაჩენის აღსრულება ერთი კვირით გადაედოთ, რათა მსჯავრდებულებს საშუალება ჰქონოდათ იუდეველური შაბათის ცერემონია ჩაეტარებინათ. კაუფმანი თავადაც ებრაელი იყო და უთანაგრძნობდა ამ აზრს, მაგრამ დღე მაინც არ შეცვალა და განაჩენის სისრულეში მოყვანა მხოლოდ საღამოს 8 საათისთვის, მზის ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე, გადაწია. ეიზენჰაუერი თეთრ სახლში ელოდებოდა ინფორმაციას იმ იმედით, რომ როზენბერგები აღიარებდნენ დანაშაულს, გამოტყდებოდნენ და იგი შეცვლიდა სასჯელს. რაბის ორივესთვის უნდა ეკითხა დათანხმდებოდნენ თუ არა ისინი აღიარებაზე. მერე დადგა საკითხი, ვინ დაესაჯათ პირველი. იმ იმედით, რომ მარტო დარჩენილი ქალი თავისი შვილების ობლად დატოვებას არ მოინდომებდა. პირველი ელექტროსკამზე დასვეს ჯულიუსი, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგაც ეტელმა არაფერი თქვა და ისიც სიკვდილით დასაჯეს. [9, 427-428.]

როზენბერგები იყვნენ პირველი სამოქალაქო პირები, რომელნიც შპიონაჟისათვის სიკვდილით დასაჯეს. ზოგიერთი მონაცემით, ომის შემდგომ რვალწლეულში, მათ შორის მაკარტიზმის პერიოდში, ანტიკომნუზმის საფუძველზე რამოდენიმე ათასმა კაცმა დაკარგა სამუშაო, რამდენიმე ასეული დააპატიმრეს, 150 ადამიანი დეპორტირებულ იქნა, და ორი ადამიანი დასაჯეს სიკვდილით.[14, 204] მართალაც რომ საკმაოდ დამთრგუნველი ციფრებია, მაგრამ, თუ შევადარებთ იმას, რა ხდებოდა საბჭოთა კავშირსა და მის მიერ დაპყრობილ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც, თუ შეიძლება ითქვას, „ანტიკაპიტალზმის“ საფუძველზე, მილიონობით ადამიანის სიცოცხლე და თავისუფლება გაიწირა, იგივე მაკარტის ამერიკა სიკეთისა და სათნოების ბუდედ მოგვეჩვენება.

როდესაც მაკარტიზმსა და ანტიკომუნისტურ ტალღაზე ვსაუბრობთ უნდა გვახსოვდეს, რომ ერთ-ერთი ყველაზე ანტიკომუნისტურად განწყობილი ჯგუფი ამერიკული პროფკავშირები იყო, განსაკუთრებით ამერიკის შრომის ფედერაცია და შემდგომში ინდუსტრიულ ორგანიზაციათა კონგრესი, რომელიც გაცილებით უფრო ლიბერალურად ითვლებოდა. მაგრამ 1948 წლიდან, როდესაც მემარცხენე ფლანგის პროფკავშირებმა ტრუმენს კი არა ჰენრი უოლესს და მის პროგრესულ პარტიას დაუჭირეს მხარი, ინდუსტრიულ ორგანიზაციათა კონგრესის ხელმძღვანელობამ დაიწყო კომუნისტების გაძევება კონგრესის აპარატიდან და საერთოდ ის პროფკავშირები, სადაც კომუნისტები ლიდერობდნენ, გარიცხა თავისი რიგე-

ბიდან კერძოდ კი, 11 პროფკავშირი, რომლებიც ინდუსტრიულ ორგანიზაციათა კონგრესის ერთ მეხუთედს შეადგენდა.[8, 347]

ანტიკომუნისტური სულისკვეთება არც თავად ეიზენჰაუერს აკლდა და იგი არ ჩამორჩებოდა მაკარტის, თუმცა სულ უფრო ნაკლებად მოსწონდა მისი ბრძოლის მეთოდები. ადამიანთა ხშირად დაუსაბუთებელი ბრალდებები, მათი დაკითხვები კონგრესის კომისიებში, მათ პირად ცხოვრებაში უბოდიშოდ ჩარევა, მათი შეურაცყოფა და ის, რომ თავად ეიზენჰაუერის მიერ სხვადასხვა თანამდებობაზე წარდგენილ პირებსაც კი კომუნისტობას აბრალებდა. ეიზენჰაუერი გამძვინვარდა, როდესაც მაკარტიმ კომუნისტობა დასწამა მის უძველეს თანამშრომელსა და ომის დროს მისი შტაბის უფროსს უოლტერ ბ. სმითს, რომელიც თავადაც იმდენად კონსერვატორი იყო რომ ეიზენჰაუერთან საუბრისას თვით ნელსონ როკფელერსაც კი კომუნისტობა დასწამა. მაკარტიმ გაიხსენა, რომ სმითს ოდესღაც შეუქია თავისი თანამშრომელი როგორც სამშობლოს ერთგული დიპლომატიმაშინ, როდესაც მაკარტი ამ პიროვნებას აქტიურად დებდა ბრალს პროკომუნისტურ განყოფილებაში. შესაბამისად, მაკარტის არ უნდოდა სმითის სახელმწიფო მდივნის მოადგილედ დანიშვნა.

შემდეგ მაკარტიმ პროფესორი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პრეზიდენტი ჯეიმს კონანტი დაიწუნა, როცა ეიზენჰაუერმა მისი დანიშვნა მოინდომა გერმანიაში მაღალ დიპლომატიურ თანამდებობაზე. მაკარტიმ გაიხსენა, რომ კონანტმა თავის დროზე განაცხადა, ჰარვარდის უნივერსიტეტში კომუნისტები არ არიანო. მაკარტის აზრით, ამის მთქმელი წითელი თუ არა, მინუმ ვარდისფერი მაინც იქნებოდა. ამ საქმის მოგვარება პრეზიდენტმა ასევე ულტრაკონსერვატორ რიჩარდ ნიქსონს დაავალა, რომელმაც დაარწმუნა მაკარტი არ გაეწია დიდი წინააღმდეგობა ამ კანდიდატურისთვის. სხვათა შორის, ეს ამოცანა არ იყო ნიქსონისთვის უცხო, სწორედ იგი აგვარებდა კონფლიქტს პრეზიდენტსა და მაკარტის შორის, ორივეს ცალ-ცალკე უსაბუთებდა ოპონენტის მნიშვნელობას კომუნიზმის დამარცხებისთვის.

როდესაც პრეზიდენტმა ამერიკის ელჩად საბჭოთა კავშირში ჩარლზ ბოჰლენის დანიშვნა განიზრახა, მაკარტი მეტად აღშფოთდა. ჯერ ერთი არ მოსწონდა, რომ ბოჰლენი კარიერული დიპლომატი იყო, ეს ხალხი კი მას განსაკუთრებით სძულდა. ამას ისიც ემატებოდა რომ ბოჰლენი ულტრაკონსერვატორებისთვის მიუღებელი იალტის კონფერენციის მონაწილე იყო (აქ იგი ეიზენჰაუერს უწევდა თარჯიმნობას) და არც კიცხავდა ამ კონფერენციის შედეგებს. ამ

ბრალდებებს მაკარტიმ დაუმატა ეჭვები ბოჰლენის ე.წ. პირად ცხოვრებაზე, რაც, მაშინ გავრცელებული ტერმინოლოგიით ჰომოსექსუალიზმის დაბრალებას ნიშნავდა, თუმცა ეს არ დადასტურდა. მაგრამ სენატმა მხოლოდ ოთხდღიანი განიხილვის შემდეგ დაამტკიცა მისი კანდიდატურა. თუმცა რესპუბლიკელმა ულტრაკონსერვატორებმა, მაგალითად ბარი გოლდუოტერმა სახით, არ მისცეს მას ხმა.

სხვათა შორის, არსებული ანიტიკომუნისტური განწყობილებები, რომლებიც რიგ შემთხვევაში ანტილიბერალიზმში გადაიზრდა, რესპუბლიკელებმა საკმაოდ კარგად გამოიყენეს ყველა დონის დანესებულებებიდან დემოკრატების გამოსაძევებლად. 1952 წლის რესპუბლიკელთა კონგრესზე მაკარტიმ დემოკრატთა მმართველობას პირდაპირ უწოდა ოცწლიანი ღალატის პერიოდი. იმავე კონვენტზე კი ვიცე-პრეზიდენტოპის კანდიდატმა რიჩარდ ნიქსონმა ბრალი დასდო დემოკრატებს, რომ მათ ვერაფერი დაუპირისპირეს ამერიკაში არსებულ მეხუთე კოლონას და კომუნისტებით აავსეს უმაღლესი თანამდებობები. [15, 86]

ეიზენჰაუერმა ამერიკისადმი ლოიალურობის კრიტერიუმი, რომელსაც მაკარტი ქადაგებდა, უსაფრთხოების კრიტერიუმით შეცვალა და აღნიშნა, რომ თანამადებობებზე ახლად დანიშნულ ადამიანებს, კაბინეტის წევრების ჩათვლით, უნდა გაევლოთ ფედერალური საგამოძიებო ბიუროს შემოწმება. ერთ-ერთი არგუმენტი ამ ახალი მიდგომის სასარგებლოდ ის იყო, რომ, მაგალითად, ლოთი ან ჰომოსექსუალისტი შეიძლება სამშობლოს ერთგული ყოფილიყო, მაგრამ ასეთი პრობლემების გამო ადვილი შესაძლებელი იქნებოდა მისი დაშანტაჟება, იგივე უცხოეთის დაზვერვის მიერ და ა.შ. ამ საბაბით რესპუბლიკელებმა 1456 დემოკრატი ჩამოიცილეს ფედერალური სამსახურებიდან, თუმცა არც ერთის კომუნისტობა არ დადასტურდა.[11, 735]

მაკარტისტებმა აქტიურად შეუტიეს ჰოლივუდსაც და მას პროკომუნისტური ფილმების შექმნაში დასდეს ბრალი. აღსანიშნავია, რომ ამ ასპექტში ანტისემიტიზმის სულისკვეთებაც გამოჩნდა, ვინაიდან ჰოლივუდის პროდიუსერთა მნიშვნელოვანი ნაწილი ებრაული წარმოშობის ამერიკელები იყვნენ. თუმცა ეს დაპირისპირება ჰოლივუდის მიმართ ჯერ კიდევ ომის დროს დაიწყო წარმომადგენელთა პალატაში ანტიამერიკული ქმედებების შემსწავლელი კომიტეტის მიერ და აქ პირადად მაკარტი, ალბათ, შედარებით ნაკლებად იყო ჩართული.

ანტიკომუნისტური საქმიანობის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში აქტიურად იყო ჩართული ისეთი ორგანიზაციები, როგორც ამერიკული ლეგიონი, ვაჭრობის პალატა და შედარებით პატარა პატრიოტული ორგანიზაციები, როგორც ამერიკის რევოლუციის ქალიშვილები, კოლუმბის რაინდები, კათოლიკე ომის ვეტერანები, პოლონურ-ამერიკული კონგრესი.

1953 წელს ამერიკული ატომური ბომბის შემქმნელი რობერტ ოპენჰაიმერიც ჩამოაცილეს გასაიდუმლოებულ სამეცნიერო კვლევებს. მართალია, სპეციალურმა გამოძიებამ ვერ დაამტკიცა მისი ანტიამერიკულობა, მაგრამ ბევრის თვალში მაინც არასაიმედო კაცად იქცა. თუმცა, მოგვიანებით, ჯერ ჯონ კენედიმ, შემდეგ კი ლინდონ ჯონსონმა სხვადასხვა ჯილდოთი სცადეს როგორმე გაებათილებინათ მის მიმართ გამოჩენილი უსამართლობა.

მაკარტიზმის პოლიტიკის შედეგად დაიწყო ამერიკის საგარეო საინფორმაციო სააგენტოების შემოწმებაც. განსაკუთრებით შეუტიეს „ამერიკის ხმას“. მაკარტი აღნიშნავდა, რომ ამ სააგენტოების მიერ საზღვარგარეთ ამერიკის პროპაგანდის მიზნით გავრცელებული ლიტერატურის ნაწილი საერთოდ ანტიამერიკული და კომუნისტური იყო. მან ისეთი ცნობილი ისტორიკოსიც კი გააკრიტიკა როგორიც იყო სახელმწიფო მდივნის დალესის ნათესავი ფოსტერ რი დალესი. საქმე იქამდესაც კი მივიდა რომ მსგავსი წიგნები არა მარტო ამოიღეს ბიბლიოთეკებიდან, არამედ ზოგჯერ საჯაროდაც დაწვეს, რაც უკვე მეტისმეტი იყო.

თუმცა, ეიზენჰაუერი ერიდებოდა მაკარტის სახელის ხსენებას იმ საბაბით, რომ ზედმეტი რეკლმა არ გაეწია მისთვის, მაგრამ ამ შემთხვევაში გაჩუმება აღარ მოინდომა და 1953 წლის 14 ივნისს დარტმუტის კოლეჯში გამოსვლისას აღნიშნა – „არ უნდა შევუერთდეთ წიგნების დამწველებს, ნუ ჩავთვლით, რომ ფაქტებისა და მოწმობების მიჩქმალვით თვით ბრალეულობას დავფარავთ. ნუ შეგეშინდებათ ბიბლიოთეკებში წასვლის და ყოველი წიგნის წაკითხვის“.[5, 83] „როგორ უნდა დავამარცხოდ კომუნიზმი, თუ არ გვეცოდინება რა არის ეს. რას ასწავლის ეს მოძღვრება, რატომ აქვს მას ასეთი გავლენა ადამიანებზე. ჩვენ მას რაღაც უკეთესით უნდა ვებრძოლოთ. არ უნდა ვეცადოდ დავუმალოთ ეს ჩვენ ხალხს, ეს ხალხი ამერიკის ნაწილია და თუ ისინი ისე ფიქრობენ, რომ ეწინააღმდეგებიან ჩვენს იდეებს მათ აქვთ უფლება გააჩნდეთ ასეთი აზრები. . . . ეს ეჭვგარეშეა, თორემ ეს აღარ იქნება ამერიკა.“[10, 253] სტუდენტები თანხმდებოდნენ რომ კომუნიზმის შესწავლა საჭიროა, მაგრამ

ზოგიერთი იმასაც ამატებდა, ამის შესახებ უნივერსიტეტში საუბარი არცთუ უსაფრთხოაო.[10, 259.]

პრეზიდენტის ამ გამოსვლას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ბევრს ეგონა, რომ ეს ბოლოს და ბოლოს, მაკარტიზმის წინააღმდეგ გადადგმული გადამწყვეტი ნაბიჯი იყო და მეორე დღეს სახელმწიფო მდივანს დაუსვეს კითხვები ამის თაობაზე. მან აღიარა, რომ წიგნებს წვავდნენ, მაგრამ ეს წიგნები ამ ბიბლიოთეკების ორი მილიონი წიგნის მცირე ნაწილი არისო. როდესაც მას ჰკითხეს, პრეზიდენტის კრიტიკა ასეთი დამოკიდებულების დასასრულს ხომ არ ნიშნავსო, მან უხეშად გადაიტანა საუბარი სხვა თემაზე. თავად ეიზენჰაუერსაც რამდენიმე კვირის მანძილზე აწუხებდნენ ამ კითხვებით. 17 ივნისს მას ჰკითხეს, ნიშნავდა თუ არა მისი სიტყვები მაკარტის კრიტიკას. მან თავი აარიდა პირდაპირ პასუხს და თქვა, რომ პერსონალიებზე საუბარს არ აპირებდა. თუმცა კიდევ დაადასტურა, რომ წიგნების დაწვის წინააღმდეგი იყო და საერთოდ სახელმწიფო დეპარტამენტი ისე მოიქცევა, როგორც მას სურს და ისე მოიცილებს ამ წიგნებს, როგორც მას ესიამოვნება. შემდეგ პრესკონფერენციაზე კი ვერ გაიხსენა, რომ ასეთი რამ ეთქვა, სახელმწიფო დეპარტამენტის შესახებ. თუმცაორ-სამ კვირაში ეს თემა ნელ-ნელა ჩაცხრა.[10, 253-255]

საინტერესო დოკუმენტი მოვიძიეთ პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ქაღალდებში –შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს ადმინისტრატორი რობერტ ლ. ჯონსონი 1953 წლის 29 ივლისს თავისებურ პატაკს აბარებდა პრეზიდენტს ამ სააგენტოს საქმიანობაზე. ანტიკომუნისტური ლიტერატურის გავრცელების თაობაზე აღნიშნა, რომ სააგენტოს ამ ასპექტში წარმატებებიცა და ხარვეზებიც ჰქონდა. ისიც მიუთითა, რომ წარმატებები ამ სფეროში ეფუძნებოდა პრეზიდენტის გამოსვლას 1953 წლის 16 აპრილს. „ჩვენ შევიმუშავეთ სპეციალური კრიტერიუმები იმ ლიტერატურის შერჩევისთვის, რომელიც, ერთი მხრივ, არ ღალატობდა ჩვენ დემოკრატიულ ტრადიციებს და მეორე მხრივ, ითვალისწინებდა ამ ლიტერატურის უცხოეთში მყოფ ამერიკულ ბიბლიოთეკებში განთავსების სპეციალურ მიზნებსაც. აღნიშნა, რომ 1948 წლიდან 129 ანტიკომუნისტური ავტორის 148 დასახელების 16 736 ცალი წიგნი შეიძინეს ამ ბიბლიოთეკებისათვის. 44 ნაშრომი ითარგმნა, ამ ბიბლიოთეკებში გავრცელდა ამერიკის მთავრობის 30 დოკუმენტი კომუნიზმის შესახებ.[2]

შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო შეიქმნა 1953 წლის 1 აგვისტოს ეიზენჰაუერის ინიციატივით მანამდე არსებული სხვადასხვა საინფორმაციო თუ პროპაგანტისტული სტრუქტურების საფუძველზე. ამავე წლის 10 ნოემბერს იგი შეხვდა სააგენტოს თანამშრომლებს და სააგენტოს საქმიანობის საკუთარი ხედვა გაუზიარა. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ სააგენტომ სხვა ერებს უნდა გააცნოს ამერიკის ჭეშმარიტი სახე და სულიერება, მაგრამ თავად სააგენტოს თანამშრომლებმაც კარგად უნდა იცოდნენ, თუ რას ნიშნავს ამერიკა. პრეზიდენტმა ცივი ომიცა და ტოტალიტარიზმთან ღია დაპირისპირებაც გაიხსენა.[1, 753-755]

ამ იდეოლოგიურ ბრძოლაში იყო საინტერესო კურიოზებიც. ანტიკომუნიზმის ტალღაზე ინდიანას შტატის სახელმძღვანელოთა კომიტეტის წევრმა ქალბატონმა უაიტმა საჩივარი წამოაყენა, რომ კომუნისტთა დირექტივების საფუძველზე განათლების სფეროში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მოთხრობებს რობინ ჰუდის შესახებ, ვინაიდან იგი მდიდრებს ართმევდა და ღარიბებს ურიგებდა. ეს კი საკითხისადმი კომუნისტური დამოკიდებულება იყო და ვნებდა კანონიერებასა და წესრიგს.[10, 258] [29] როდესაც მაკარტისტების მოთხოვნით სახელწიფო დეპარტამენტმა საზღვარგარეთ მყოფი ბიბილოთეკებიდან 40 დასახელების წიგნი ამოიღო, მათ შორის იყო თომას ჯეფერსონის ნაშრომთა კრებული თომას ფონერის რედაქციით და მწერალ ლილიან ჰელმანის წიგნი „ბავშვთა საათი“.[16, 431]

საბოლოოდ, მაკარტიმ უკვე მეტისმეტი გააკეთა და მის შეჩერება იყო საჭირო. მან არა მარტო კომუნისტებს შეუტია, რაც ამერიკელთა უმრავლესობისათვის სრულიად მისაღები იყო, არამედ ლიბერალებსაც, თანაც ლიბერალიზმის დოზის განურჩევლად. ამასთანავე, მაკარტიზმი იმ დროისათვის ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის წარმოქმნილ კავშირსაც დაემუქრა. ნუ დავივიწყებთ, რომ თავად ეიზენჰაუერიც აღარ უარყოფდა „ახალი კურსის“ მემკვიდრეობას. ანუ მაკარტიმ ყველას და ყველაფერს შეუტია, შეიძლება ითქვას, იგი ცოფიანი ძაღლივით ყველას უყეფდა და კბენდა კიდეც.შესაბამისად, სულ უფრო მეტი ადამიანი თხოვდა ეიზენჰაუერს უფრო აქტიურად დაპირისპირებოდა მას. მაგრამ პრეზიდენტი მაკარტის პერსონის ოფიციალურ იგნორირებას არჩევდა – „მას რეკლამა სჭირდება და მე რომ ვახსენო, ეს მისი საუკეთესო რეკლამა იქნება“. თუმცა პირად საუბრებში უხეშად ლანძღვდა მას.

მაგრამ, როდესაც 1954 წლის დასაწყისში მაკარტი უკვე არმიასაც მიადგა და იქ, დამსახურებულ გენერლებში, დაიწყო კომუნისტების „აღმოჩენა“ ეიზენჰაუერის მოთმინების ფიალაც აივსო. მრავალი ჯილდოს მფლობელ ბრიგადის გენერალ რალფ ცვიკერს მაკარტიმ ისიც აკადრა, „ამ ფორმას არცხვენთ... კომუნისტებს ეფარებით და ოფიცრობას არ იმსახურებთო“ ბოლოს ექვსკვირიანი მოსმენის დროს სენატში, რომელიც ტელევიზიითაც გადაიცემოდა მაკარტის შეურაცყოფებითა და უსამართლო ბრალდებებით აღშფოთებულმა მოპასუხემ უთხრა – „თქვენ ღირსების და პატიოსნების გრძნობა არ გაგაჩნიათ“.

1954 წლისთვის მაკარტის მეთოდებმა თითქმის სავსებით ამოწურა საკუთარი შესაძლებლობანი როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის გარეთაც. ისეთი ულტრაკონსერვატორიც კი, როგორიც ვიცე-პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი იყო, იხსენებდა, რომ მაკარტის უკვე ზიანი მეტი მოჰქონდა, ვიდრე სიკეთე. [13,121]

საბოლოოდ, ერთი მხრივ, ეიზენჰაუერის მიერ წაქეზებულმა და, მეორე მხრივ, მაკარტისაგან თავადაც თავმობეზრებულმა სენატორებმა სპეციალური კომისიის მუშაობის შედეგად 1954 წლის 2 დეკემბერს უნდობლობა გამოუცხადეს მას 67 ხმით 22 წინააღმდეგ და ე.წ. „გაკიცხვის რეზოლუცია“ მიიღეს. ბუნებრივია, ეს გაკიცხვა ანტიკომუნიზმის გამო არ მომხდარა, არამედ კონგრესისადმი უპატივცემულობის საბაბით. შედეგად მაკარტი მართლაც ჩამოცილდა აქტიურ პოლიტიკას, ხოლო 1957 წლის 2 მაისს გარდაიცვალა კიდეც.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მაკარტი ლიბერალურ ინტელიგენციას უტევდა, რომელმაც მას ეს არ აპატია და მთელი თავისი გავლენა და ცოდნა გამოიყენა შემდგომში მისი საკმაოდ საფუძვლიანი დისკრედიტაციისათვის. საბოლოოდ, მაკარტიზმი, მიუხედავად აშკარად ოდიოზური მახასიათებლებისა, მეტად რთული მოვლენა აღმოჩნდა. ერთი მხრივ, მან გაამახვილა ამერიკის საზოგადოების ყურადღება კომუნისტური საფრთხისადმი, რომელიც მართლაც მეტად სერიოზული იყო, თუმცა ბევრ ამერიკელს იგი ასეთად არ მიაჩნდა. როგორც ამერიკელი ისტორიკოსი რობერტ გრიფიტსი აღნიშნავდა, 1953 წელს გამოკითხულთა მხოლოდ ერთი პროცენტი მიიჩნევდა კომუნიზმს მთავარ პრობლემად, მაგრამ მალე კომუნიზმის საშიშროებისადმი ყურადღება 1 დან 6 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო ზოგადი საერთაშორისო პრობლემებისადმი კი კი 8-დან 30 პროცენტამდე.[4, 65]

ამავე დროს, თავად მაკარტი ამერიკაში უკვე არსებული ანტიკომუნისტური განწყობის გამოვლინება იყო და არა მისი შემქმნელი. უბრალოდ მისმა დემაგოგიის არაჩვეულებრივმა ნიჭმა კიდევ უფრო გააამძაფრა ეს სულისკვეთება. ასე რომ, გარკვეულ ეტაპზე მან, ალბათ, პოზიტიური როლიც კი ითამაშა ამერიკისთვის. მაგრამ ამერიკის დემოკრატიის დაცვის საბაბით, მან თავად დაიწყო ანტიდემოკრატიული მეთოდების გამოყენება. ხშირად ყოვლად დაუსაბუთებელი ბრალდებები მეტად დამამცირებელ ფორმაში სრულიად მიუღებელი ხდებოდა. მაკარტიზმი აშკარად ბღალავდა ამერიკელთა კონსტიტუციურ უფლებებს სიტყვის თავისუფლების სფეროში და არც უდანაშაულობის პრეზუმპციას აქცევდა ყურადღებას, რის შედეგადაც მრავალი პატიოსანი ამერიკელის რეპუტაცია და, შესაბამისად, მათი ადგილი საზოგადოებაში შეარყია. თავისუფალი სამყაროს დაცვის მიზნით მან თავად თავისუფალი სამყაროს იდეალები და ფუძემდებლური პრინციპები დააყენა კითხვის ქვეშ, რომლებიც, სხვასთან ერთად, კომუნიზმისადმი სიმპათიის უფლებასაც შეიცავდა. ასე ვთქვათ, სნეულებას თავად ჯანმრთელობისთვის მეტად საზიფათო წამლით კურნავდა. ამას ზიანი მოჰქონდა არა მარტო შიდა პოლიტიკაში, არამედ ცუდად აღიქმებოდა საერთაშორისო ასპარეზზეც, ისევე მაგალითად, როგორც რასიზმის პრობლემა. ის ფაქტი, რომ კომუნისტურ რეჟიმებთან შედარებით მაკარტიზმი არც ისე სასტიკი მოვლენა იყო, ვერ ანუგეშებდა იყო თომას ჯეფერსონის იდეალებზე გაზრდილი ადამიანებისთვის, მით უმეტეს, რომ უღმერთო კომუნიზმი საერთოდ არავითარ მორალურ-ეთიკურ ფასეულობებს არ ექვემდებარებოდა.

მაკარტიზმი მკვეთრად ასახავს კლასიკურ კითხვას, თუ რამდენად შეიძლება ეროვნული უსაფრთხოების მიზნით დემოკრატიის ფუძემდებლური პრინციპების გადახედვა. ეს საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით დადგა 2001 წლის 11 სექტებრის ტერორისტული აქტის შემდეგ, როდესაც იმავე წლის 26 ოქტომბერს ამერიკაში მიიღეს ე.წ. პატრიოტული აქტი, რომელიც, გარკვეულწილად, ზღუდავს ამერიკელთა თავისუფლებას და საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით სამთავრობო სააგენტოებს ამერიკელთა პირადი ცხოვრების შემოწმების უფლებას აძლევს. როგორც ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი ჯოფრი სტოუნი წერდა „ჩიკაგო ტრიბიუნში“ 2004 წლის 18 ოქტომბერს, ჯორჯ ბუში და დიკ ჩეინი ამ საფრთხის იდეოლოგიას საპრეზიდენტო კამპანიაშიც იყენებდნენ დემოკრატი კანდიდატის ჯონ კერის წინააღმდეგ.[16] ასევე აკრიტიკებს მსგავს შეხედულებებს ლიბერალურ ჟურნალ „ნეიშენში“ ჯორ-

ჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორი დევიდ კოული სტატაიში „ეროვნული უსაფრთხოების სახელმწიფო.“[17] მსგავსი მოსაზრებების სიუხვე კიდევ ერთხელ ასაბუთებს ამ პრობლემის სირთულესა და აქტუალობას და ეს ურთულესი დილემა დემოკრატიისა და უსაფრთხოების ინტერესებს შორის დღესაც და ალბათ მომავალშიც უდიდესი კამათის მიზეზი იქნება.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Public Papers of the Presidents of the United States. Dwight D Eisenhower, 1953, Containing the Public Messages, Speeches, and Statements of the President., US Government Printing Office, 1960..
2. Dwight Eisenhower Papers, Manuscript Division, Library of Congress, Washington D.C., 1997, Reel 18.
3. The Annals of America, v. 17, 1950-1960, Enciclopaedia Britannica, Inc.,Chicago, London, 1976.
4. *A History of our Time, Readings on Postwar America*, Edited by William H. Chafe and Harvard Sitkoff, N.Y., Oxford, Oxford University Press, 1991.
5. Ambrose Stephen E, *Eizenhower, vol. II, The President*, A Touchstone Book, Published by Simon and Shuster, Inc. N.Y., 1984.
6. Burk Robert F., *Dwight D. Eisenhower., Hero and Politician.*, Twayne Publishers. Boston A Division of G. K. Hall & Co. 1986.
7. Divine R.A., Breen T. H., Frederickson G. M., Williams R. H., *America Past and Present,* vol II, Harper Collins College Publishers, 1995.
8. Dubofsky M., Dulles F.R, *Labor in America , History,* Harlan Davidson Inc., Wheeling, Illinois, 60090-6000, 2004.
9. Gentry Court, *J. Edgar Hoover the Man and the Secrets,* W.W. Norton & Company, N.Y., London, 1991.
10. Goldman Eric F., *The Crucial Decade – And After, America ,1945-1960,* Vintage Books A. Division of Random House, N.Y., 1960.
11. Jordan W. D. , Litwak L., Hofstader R., Miller W., Aaron D., *The United States*, Prentice-Hall Inc., Englewood Cliffs, N.Y., 1987.
12. Pach, Chester J. Jr., Richardson Elmo, *The Presidency of Dwight D. Eisenhower,* University Press of Kansas, Lawrence, Kansas, 1991.
13. Parmet Herbert S., *Richard Nixon and his America,* Konecky&Konecky, N.Y., N.Y.,1990.

14. Patterson James T., *Grand Expectations. The United States, 1945-1974,* Oxford University Press, N.Y., Oxford, 1996.
15. Witner Lawrence S, *Cold War America , From Hirosima to Watergate,* Holt, Reinhart and Winston, Inc,1978.
16. Zinn Howard, *A People's History of the United States, 1692-Present,* Perennial Classics, 2003.
17. http://www.law.uchicago.edu/news/stone–mccarthyism.html
18. http://www.thenation.com/doc/20011217/cole
19. История США, Т. 4, 1945-1980, Изд.Наука, Москва, 1987.

Vasil Kacharava
Ph. Doctor, Professor of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University and International Black Sea University

McCarthyism in America of 1950s

Summary

McCarthyism is one of the most dramatic occurrences in the 1950s, because to which the human rights were seriously abused under the pretext of struggling against the communism. Joseph McCarthy himself, who in 1954 according to the Gallop questionnaire received 50% of the people's support, was not the creator, but rather the spearhead of the already anti-communist wave in the US. It was just his extraordinary talent of demagogy that aggravated these sentiments. By alarming Americans he might have played a relatively positive role for the security of his country, but in order to defend American way of life he used antidemocratic methods. In most cases groundless charges were humiliating and unacceptable. McCarthyism obviously abused Americans Constitutional rights of free speech and expression and ignored the presumption of innocence. This tarnished the reputation of many honest Americans and complicated their lives. For the reason of defending the free world he put it's ideals and principles under jeopardy. Ironically these very principles included the right of sympathy to the communist ideas as well. Thus the administered medicine turned more harmful to health than the disease itself.

This proved harmful not only to the internal policy, but had serious political deprecation abroad, like the problem of racism in 1950s. The fact that

compared to the communist's regime McCarthyism wasn't so harsh and severe, was no consolation for the people whose ideal was Thomas Jefferson.

McCarthyism clearly reflects the classical question: how far it is possible to digress from the basic democratic principles for the security reasons. This issue became especially important after the terrorists act of September 11. The Result was the adoption of the so-called Patriotic Act which in some part binds the Americans' freedom and for the reason of struggle against the international terrorism gives the national agencies the right to monitor the Americans' private lives. This fact once again shows that the dilemma of democracy and security probably will long remain a subject for discussions.

თენგიზ სიმაშვილი

ისტორიის დოქტორი, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე

რუსული სპეცსამსახურების ისტორიიდან

1920-1930-იან წლებში საბჭოთა სპეცსამსახურები ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში საბჭოთა რეჟიმის მოწინააღმდეგეებზე ანხორციელებდნენ თავდასხმებს, ტერორისტულ აქტებს, აწყობდნენ სხვადასხვა სახის პროვოკაციებს [1, 226]. მეორე მსოფლიო ომის შემდეგი პერიოდიდან მოყოლებული ლათინური ამერიკის, დასავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მოქმედი მემარცხენე, სეპარატისტული თუ ისლამური ტერორისტული ორგანიზაციების უკან, სწორედ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (კგბ) საგარეო დაზვერვის განყოფილების წარმომადგენლები იდგნენ. საბჭოთა სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომლების აღიარებით, ბევრი პალესტინელი, ქურთი თუ ლათინურ ამერიკელი ტერორისტი „კარლოსის"(ი. სანჩესი) და სხვების სახით, სსრკ-ში მარქსიზმ-ლენინიზმის „მეცნიერულ კურსებზე", თუ „პატრის ლუმუმბას სახელობის მოსკოვის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტში" სწავლების პარალელურად, ხვეწდა თავის ოსტატობას და იმაღლებდა კვალიფიკაციას პარტიზანული ომის, ტერორის წარმოების, პროვოკაციების მოწყობის საქმეში [18, 202].

თავის მხრივ, საბჭოთა სპეცსამსახურების ოფიცრები „იზრდებოდნენ" ჩეკა-ს(პირველი საბჭოთა სპეცსამსახურის) თანამშრომლების – ბოლშევიკების და მემარცხენე ესერების ტერორისტული წარსულის მაგალითებზე. ჩეკა-მ სხვადასხვა სახის პროვოკაციების მოწყობის ტაქტიკა, ხელისუფლებისათვის არასასურველი პირების ლიკვიდაციის მეთოდები და ხერხები, ერთის მხრივ, გადაიღო რუსეთის იმპერიის პოლიტიკური პოლიციისაგან. მეორეს მხრივ კი, ტერორისტული ბრძოლის მეთოდები და ხერხები აიღო, რუსეთის იმპერიაში მოქმედი რევოლუციური და ტერორისტული ორგანიზაციების გამოცდილებიდან.

რუსეთის იმპერიის პოლიტიკური პოლიციის საქმიანობა განსაკუთრებით „დაიხვეწა" 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში. პოლიტიკური პოლიციის ადგილობრივი ორგანოების – „ოხრან-

კის“ აგენტები ცდილობდნენ სხვადასხვა რევოლუციური პარტიების წევრების ერთმანეთთან დაპირისპირებას. ამ მიზნით არ ერიდებოდნენ ათასგვარი პროვოკაციების მოწყობას, ცრუ ინფორმაციის გავრცელებას. თბილისის „ოხრანკის“ საქმეებში საკმაოდ ბევრი ასეთი სახის მასალაა თავმოყრილი. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში არის აგენტის ინფორმაცია, რომელშიც ნათქვამია, რომ „თბილისში ქართველებმა შექმნეს ჯგუფი, რომელმაც გადაწყვიტა გავლენიან სომხებზე ტერორის განხორციელება.“ აგენტის მეორე ინფორმაციაში კი აღნიშნულია – „სომხებმა შეიტყვეს ამის შესახებ და თავის მხრივ შექმნეს შეიარაღებული რაზმი გავლენიანი ქართველების ტერორიზებისათვის“ [2, 342]. ცხადია, პოლიტიკური პოლიციის საქმიანობიდან გამომდინარე ამ ინფორმაციის გავრცელებას და სომხებისთვის შეტყობინებას არ ჩაუვლია „ოხრანკის“ აგენტურის გარეშე.

იმ დროს დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია მოსკოვში ხელისუფლების მომხრე ე.წ. შავრაზმული ორგანიზაციის – „რუსი ხალხის კავშირის“ წევრის მიერ, რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდის წაქეზებამ და გამოყენებამ ხელისუფლებისათვის არასასურველი გაზეთის „რუსსკიე ვედომოსტის“ რედაქტორის, ამავე დროს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ი. იოლოსის მოსაკლავად. პოლიტიკური პოლიციის დავალებით პეტერბურგში მოქმედი „რუსი ხალხის კავშირის“ ერთ-ერთმა წევრმა, დაარწმუნა რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდა, რომ ის იყო სოციალისტ-რევოლუციონერ მაქსიმალისტების პარტიის წევრი. თითქოსდა პარტიის დავალებით მათ უნდა მოეკლათ იოლოსი, რადგან იგი იყო შავრაზმელი და რევოლუციონერთა მტერი. პოლიტიკური პოლიციის ჩინები ვარაუდობდნენ, რომ სოციალისტ-რევოლუციონერებს დაბრალდებოდა ეს მკვლელობა, მოხდებოდა რევოლუციურ და პროგრესულად განწყობილ ძალებს შორის განხეთქილება [3, 71]. იგივე პიროვნებას პოლიტიკური პოლიციის ჩინების მიერ დავალებული ჰქონდა, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გრაფ ვიტეს მოკვლა. გათვლა იყო ორი – ერთი, რომ მოიშორებდნენ ხელისუფლებაში მყოფი გარკვეული ძალებისათვის არასასურველ ადამიანს და მეორე – ვითომდა სოციალისტ-რევოლუციონერების მიერ ვიტეს მკვლელობის ფაქტს გამოიყენებდნენ რევოლუციონერებზე რეპრესიების გასაძლიერებლად.

რუსეთის პოლიტიკური პოლიცია ცდილობდა ასევე, ემართა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, ოპოზიციური და რევოლუციური პარტიებიც კი. 1902-1903 წლებში მოსკოვის „ოხრანკის“ უფროსის ი. ზუბატოვის მითითებების შესაბამისად, „ოხ-

რანკის“ ოფიცრები თავის აგენტურულ ქსელს ავალებდნენ არა მარტო გამოეკვლიათ, შეესწავლათ რევოლუციური ორგანიზაციების სტრუქტურა, დაედგინათ რევოლუციონერების პარტიული კავშირები, ორგანიზაციის თანამგრძნობი პირები, არამედ წაექეზებინათ მისი წევრები აქტიური გამოსვლებისაკენ. ესენი იყო – დემონსტრაციების, გაფიცვების მოწყობა, საიდუმლო ტიპოგრაფიების შექმნა, არალეგალური ლიტერატურის გავრცელება, იარაღის შემოზიდვა. მოკლედ ისეთი სახის რევოლუციური საქმიანობის განხორციელება, რასაც მოყვებოდა არეულობები, სახაზინო, სასწავლო და სხვა სახის დაწესებულებების დარბევა, შენობების დაზიანება, პოლიციასთან დემონსტრანტების შეტაკებები და სხვა. პოლიტიკური პოლიცია ამდაგვარი გამოსვლების შემდეგ იოლად მოიპოვებდა სამხილს რევოლუციონერების გასასამართლებლად და დასასჯელად [4, 124]. ზუბატოვი ხმამაღლა აცხადებდა რევოლუციონერების მისამართით – ჩვენ თქვენ გიწვევთ ტერორზე და გაგჭყლეტთო [5, 46].

პოლიციის დეპარტამენტის მიერ 1907 წლის ოქტომბერში დაგზავნილი სპეციალური ცირკულარის მიხედვით, „ოხრანკის“ განყოფილების უფროსები მოვალენი იყვნენ – „ესარგებლათ გარდამავალი მდგომარეობით და წინ წაეწიათ თანამშრომლები ორგანიზაციის ცენტრისაკენ“ [6,44]. აგენტებს უფლება მიეცათ რევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელობის თვალში ნდობის მოპოვების მიზნით, მიეღოთ მონაწილეობა ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ ტერორისტულ აქტებში, თვით პოლიტიკური პოლიციის მაღალი რანგის ჩინების წინააღმდეგაც [7, 5]. ამრიგად, პოლიტიკური პროცესების მართვის მიზნით პოლიტიკური პოლიცია საკუთარ თანამშრომლებსაც კი არ ინდობდა.

ცნობილი ქართველი ბოლშევიკი რევოლუციონერის კ. ცინცაძის მოგონებაში ვკითხულობთ: „თბილისში 1907 წლიდან ჩვენი ორგანიზაცია სისტემატიურად „ვარდებოდა“, დაიწყებოდა მუშაობა, მოეწყობოდა კავშირები მუშებთან და პროვინციასთან, ერთი წლის ან წელიწადნახევრის შემდეგ იჭერდნენ მხოლოდ ინტელიგენტებს, იშვიათად მოწინავე ერთ ან ორ მუშას. დანარჩენები ხულუხლებელი რჩებოდნენ და ცხადი იყო ვიღაცის ხელი მუშაობდა“ [8, 233]. ესეც პოლიტიკური პოლიციის ტაქტიკის შემადგენელი ნაწილი იყო. იმის გამო, რომ რევოლუციური მოძრაობის მთლიანი მოსპობა ვერ ხერხდებოდა და ყველა რევოლუციონერს ვერ დაიჭერდნენ, ამიტომ რევოლუციური ორგანიზაციების ხელმძღვანელების იმ ნაწილს, ვისი კონტროლიც შეეძლოთ აგენტების მეშვეობით არ აპატიმრებდნენ. თვალყურს ადევნებდნენ მათ საქმიანობას და მხოლოდ საჭიროების

შემთხვევაში იცილებდნენ თავიდან. პოლიციას ასევე შეეძლო მათი გააქტიურება, ან პირიქით აქტიურობის შესუსტება ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში ან წევრთა შემადგენლობაში თავისი აგენტურის ყოლის გამო. ეს უკვე ნიშნავდა რევოლუციური ორგანიზაციების და რაც მთავარია – პოლიტიკური პროცესების მართვაზე კონტროლს [5, 168].

აქვე მინდა ავღნიშნო, რომ საჭიროების შემთხვევაში არ ერიდებოდნენ აქტიური რევოლუციონერების ფიზიკურ ლიკვიდაციას. „ლიკვიდატორებად" იყენებდნენ „რუსი ხალხის კავშირის" საბრძოლო რაზმების წევრებს. საქართველოში ხელისუფლების მომხრე ასეთ ორგანიზაციებში 1500-2000 კაცამდე იყო გაერთიანებული, უპირატესად რუსები. ქართველი რევოლუციონერის ვ. ცაბაძის აზრით – რუსი მუშების დიდი უმრავლესობა ნაციონალისტური აზროვნებით იყო გამსჭვალული. ისინი აქ გაბატონებული ერის წარმომადგენლად გრძნობდნენ თავს და ამიტომ მათთან პოლიტიკურად დაახლოება ძნელი იყო [9, 179]. თბილისში სწორედ რუსი მუშები შეადგენდნენ შავრაზმული ორგანიზაციების საბრძოლო რაზმების ხერხემალს. ისინი პოლიტიკური პოლიციის ადგილობრივი განყოფილების მითითებების თანახმად მოქმედებდნენ და „ოხრანკისათვის" არასასურველ რევოლუციონერებს ფიზიკურად ანადგურებდნენ [8, 321].

თავის მხრივ რევოლუციონერებსაც საკმაო გამოცდილება ჰქონდათ დაგროვილი პროვოკაციების მოწყობაში, ტერორისტულ საქმიანობაში. ჯერ კიდევ 1869 წელს შექმნილი რევოლუციური ორგანიზაციის „ნაროდნაია რასპრავა"-ს ხელმძღვანელის ს. ნეჩაევის მიერ დაწერილი ცნობილი „რევოლუციონერის კატეხიზისი" ამართლებდა ყველანაირ ბრძოლის მეთოდს, ყველაზე საშინელს და ჭუჭყიანსაც კი [10, 210]. თვით „ნაროდნაია ვოლიას" წევრებიც თვლიდნენ, რომ „მისი პროგრამა იყო საშინელი" [11, 75]. ამის მიუხედავად ნეჩაევის სიტყვები – თუ თქვენ გსურთ ჩვენი სტუდენტებისაგან გაზარდოთ ნამდვილი რევოლუციონერები, ეცადეთ საქმე ნაიყვანოთ ისე, რომ მთავრობამ რაც შეიძლება ბევრი მათგანი ჩასვას ციხეებში, სასწავლებლებიდან გარიცხოს, გადასახლებაში გააგზავნოს, ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმიდან ამოაგდოს, მხოლოდ მაშინ გამოიწრთობიან ისინი სიძულვილში არსებული ხელისუფლებისადმი, ანდერძად იქცა მომდევნო პერიოდის რევოლუციონერებისათვის [12, 169].

ცნობილი რევოლუციონერი ვ. ფიგნერი წერდა, რომ „ზემლია ი ვოლიას“ პროგრამის მოთხოვნა – ორგანიზაციის წევრებს შეეღწიათ არმიაში, ადმინისტრაციაში, ერობებში და „აღეგზნოთ“ მოსახლეობა ხელისუფლების საწინააღმდეგოდ, 1870-იანი წლების ბოლოს ნაროდნიკებისაგან პრაქტიკულად ხორციელდებოდა. გაფიცვების, დემონსტრაციების მოწყობა და ხალხის დაინტერესება სანახაობით, შემდეგ კი პოლიციის მიერ დემონსტრაციაში მონაწილე, თუ უბრალოდ დემონსტაციის მაცქერალი, ცნობისმოყვარე მოქალაქეების დარბევები რევოლუციონერების წისქვილზე ასხამდა წყალს. რევოლუციონერების სიტყვებით – ამით ხდებოდა საზოგადოების „გარევოლუციონიზირება“.

რაც შეეხება „ნაროდნაია ვოლიას“, მისი აღმასრულებელი კომიტეტის წევრებმა თავის პროგრამაში, პირდაპირ გაიმეორეს ნ. მაკიაველის ცნობილი სიტყვები – „მიზანი ამართლებს საშუალებას“ და დაამატეს – „ყველა საშუალება, რომელიც მიგვიყვანს მიზანთან ჩვენი აზრით ნებადართულია“ [13, 324]. „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელი კომიტეტის საქმიანობა არ წარმოადგენდა ტერორის წარმოების ფართოდ ქადაგებას მასებში. მის წევრებს იმედი ჰქონდათ, რომ ვიწრო შეთქმულებითი ტიპის რევოლუციური ორგანიზაციით მოახერხებდნენ ხელისუფლების დაშინებას და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. მიაჩნდათ, რომ ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების მკვლელობით და მათ შორის მეფეზე ტერორისტული აქტის განხორციელებით შეძლებდნენ რუსეთის ისტორიის შეცვლას.

მათი მემკვიდრე სოციალისტ-რევოლუციონერები უფრო შორს წავიდნენ. ამ პარტიის 1901 წელს მიღებულ პროგრამაში ტერორი აღიარებულ იქნა რევოლუციური ბრძოლის უმთავრეს საშუალებად და მეთოდად. პროგრამის ერთ-ერთი პუნქტი მთლიანად ეხება „პარტიის შემამზადებელ საქმიანობას“. მასში გაერთიანებულია „პროპაგანდა, აგიტაცია და ორგანიზაცია“. პარტიისგან წარმოებული პროპაგანდის მიზანი ასეა ჩამოყალიბებული – მისი საშუალებით უნდა მოხდეს მოსახლეობის ყველა ფენაში პოლიტიკური თავისუფლების იდეების გავრცელება [13, 435].

თავისი იდეოლოგიის პროპაგანდისათვის სოციალისტ-რევოლუციონერები კარგად იყენებდნენ სხვადასხვა სახის ლეგალურ და არალეგალურ გამოცემებს, ჟურნალ-გაზეთებს. რუსეთის იმპერიის პოლიტიკური პოლიციის ერთ-ერთი გენერალი პ. კურლოვი აღნიშნავდა, რომ რევოლუციონერები არ ერიდებოდნენ არანაირ ტყუილს, ცილისწამებას თავისი მიზნების მისაღწევად და ამისათვის შე-

სანიშნავად იყენებდნენ პრესას. მას მაგალითად მოყავდა 1905 წლის 9 იანვრის დემონსტრაცია, რომლის დროსაც მისი სიტყვებით – დაიჭრა და მოკვდა მხოლოდ 109 ადამიანი, რევოლუციური გაზეთები კი იტყობინებოდნენ ათასობით მოკლულ მუშაზეო. საინტერესოა, რომ ამ გენერლის შეხედულებით რუს ინტელიგენციას დამოუკიდებელი პოლიტიკური აზროვნება არ გააჩნდა და მას გაზეთებში ნაკითხული ინფორმაციებით იმუშავებდა [7, 12]. (აღსანიშნავია, რომ თანამედროვე რუსი ინტელიგენცია თავის პოლიტიკურ შეხედულებებს „შეიმუშავებს" დღევანდელი რუსეთის ხელისუფლების კონტროლირებადი ტელევიზიებიდან და პრესიდან. თ.ს.)

ამ სტატიაში ფართოდ არ შევეხები რუსი რევოლუციონერების, მათ შორის სოციალისტ-რევოლუციონერების ტერორისტულ საქმიანობას. მხოლოდ ავღნიშნავ, რომ ისინი თავის ტერორისტულ საქმიანობაში იყენებდნენ სპეცსამსახურებისათვის დამახასიათებელ მეთოდებს და ხერხებს. რუსეთის სოციალისტ-რევოლუციური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან 1906 წელს არსებული ი. ზილბებერგის ტერორისტული რაზმის წევრი, ასე აღწერდა ტერორის წარმოების მეთოდებს – ჩვენი ორგანიზაცია ძებნას აწარმოებდა, ე.ი. ინფორმაციას აგროვებდა იმ პირზე, ვისზე თავდასხმაც უნდა მოეწყოთ, ორი მიმართულებით. ერთი იყო „გარე ძებნა" – ქუჩის მეთვალყურეობა შიკრიკების და ფილერების მეშვეობით. მეორე „შინაგანი ძებნა" – იძებნებოდნენ ადამიანები საზოგადოებაში და პარტიაში ვისაც შეეძლოთ მიეცათ რაიმე მითითება, რაიმე მონაცემები ტერორდანიშნულ პირზე [13, 296].

ამ პერიოდში სოციალ-დემოკრატებიც საკმაოდ წარმატებით იყენებდნენ ასეთ ხერხებს, თუმცა უმთავრესად ექსპროპრიაციების, ან ადამიანების გატაცებების დროს. 1905 წლის 3 ოქტომბერს ლენინი სტატიაში „რევოლუციური არმიის რაზმების ამოცანები" იძლევა კონკრეტულ მითითებებს ისეთი შეიარაღებული რაზმების შესაქმნელად, რომლებიც პარტიზანული, ტერორისტული ომის ტაქტიკას გამოიყენებდნენ. ასეთი რაზმების წევრებს უნდა შეემუშავებინათ მეთოდები და ხერხები ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის წარმოებისათვის. იძლევა რა ქუჩაში ბრძოლის საშუალებების, მეთოდების, ხერხების დახასიათებას, ლენინი სტატიაში მიუთითებდა, რომ რაზმების წევრებს უნდა განეხორციელებინათ – შეიარაღებული თავდასხმები, თუნდაც უწესრიგო, მოუმზადებელი წვრილი ტერორი. ამასთან, აუცილებელი იყო შეიარაღებული თავდასხმების დაყოფა ორ – მოსამზადებელ და უშუალო თავდასხმის (სამხედრო) ოპერაციად. მოსამზადებელ პერიოდში ლენინი ითხოვ-

და – ყოველგვარი სახეობის იარაღის შეძენასთან ერთად ეწარმოებინათ დაზვერვითი სამუშაოები ციხის, პოლიციის ნაწილებში, სახელმწიფო დაწესებულებებში. ანუ მათში გაეჩინათ სანდო პირები და დაემყარებინათ კავშირები ამ დაწესებულებების იმ თანამშრომლებთან, ვინც რაიმე საქმეში შეიძლება გამოსდგომოდათ [14, 251].

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში ქართველმა ბოლშევიკებმა მოახერხეს თბილისის „ოხრანკაში" ერთ-ერთ ჩინოვიკთან დაკავშირება და მხოლოდ 1908 წელს დაადგინა თბილისის „ოხრანკის" უფროსმა, რომ მისი თანამშრომელი ვ. ტიროევი დიდი ხანია თანამშრომლობდა ბოლშევიკებთან. 1908 წლის სექტემბერში ზემოაღნიშნული ხერხების გამოყენებით, ფულის გამოძალვის მიზნით ქართველმა მენშევიკებმა გაიტაცეს ცნობილი ექიმი ტრიანდაფილიდისი ბათუმში და შემდეგ მოკლეს. ექიმის გატაცების ორგანიზება მოახდინა საავადმყოფოს ფერშალმა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრმა ვ. რამიშვილმა. ის გატაცებამდე ცოტა ხნით ადრე სპეციალურად მოეწყო საავადმყოფოში, რომ ექიმის შესახებ ინფორმაცია შეეგროვებინა. საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ თითქმის ანალოგიურად იქნა მოწყობილი ლ. ტროცკის მკვლელობა მექსიკაში 1930-იან წლებში. ტროცკისთან შეაგზავნეს აგენტი, რომელმაც ჩეკა-ს მემკვიდრე ნკვდ-ს აგენტურული ქსელის მიერ მოკლული ტროცკის მდივნის რ. კლემენტის ადგილი დაიკავა [1, 233].

ზემოთ მოყვანილი სახელმძღვანელო დირექტივები პროკლამაციების სახითაც ვრცელდებოდა. მაგალითად, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოსკოვის კომიტეტის სამხედრო ორგანიზაციის პროკლამაციაში „რჩევები აჯანყებულ მუშებს" ვკითხულობთ იგივე მითითებებს, რასაც ლენინი სთავაზობდა ზემოთ აღნიშნულ სტატიაში თანაპარტიელ შეიარაღებული რაზმების წევრებს [15, 151]. მათში საკმაოდ დაწვრილებით არის განხილული ქალაქის ქუჩებში პარტიზანული ბრძოლის წარმოების ხერხები. დაწყებული იქიდან, რომ აუცილებელი იყო ქალაქის დეტალური შესწავლა, ბინებში შესასვლელების, გასასვლელების, გამავალი ეზოების ცოდნა, ორ-სამ კაციანი საბრძოლო რაზმების ჩამოყალიბება, შეიარაღებული შეჯახების არიდება ჯარისკაცებთან, თავდასხმების განხორციელება მხოლოდ სუსტ მოწინააღმდეგეზე, პრაქტიკის მიზნით შავრაზმული ორგანიზაციის წევრების პერმანენტული ცემა-ტყეპების მოწყობა, ერთმანეთის გასარჩევად სიბნელეში გამოსაცნობი ნიშნების შემუშავება და სხვა. აღსანიშნავია, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებში 1960-1980-იან წლებში მემარცხენე ტერორისტების მიერ ქალაქებში წარმოებული პარტიზანული ბრძოლები ე.წ. „საქალაქო გერილია", თა-

ვისი მეთოდებით, ხერხებით წარმოადგენს რუსი რევოლუციონერების, კონკრეტულად კი იგივე ბოლშევიკების მიერ გამოყენებული ტერორისტული მეთოდების, ხერხების გამოყენება-განვითარებას. რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდების ტერორისტებად გადაბირების, ფსიქოლოგიური დამუშავების ხერხებიც თითქმის ერთმანეთის იდენტურია, რაც გასაკვირი არ უნდა იყოს – როგორც ზემოთ ავღნიშნეთ მათი კონსულტანტები საბჭოთა სპეცსამსახურების ემისრები იყვნენ.

დაპატიმრებას და ფიზიკურ განადგურებას გადარჩენილმა ბოლშევიკების შეიარაღებული რაზმების წევრებმა თავისი გამოცდილება მიიტანეს ჩეკა-შიც. მაგალითად, 1921 წელს ჩეკას განსაკუთრებული განყოფილების უფროსი ცნობილი რევოლუციონერი ვ. მენჟინსკი 1906-1907 წლებში იყო ბოლშევიკების სამხედრო ორგანიზაციის კომიტეტის წევრი. თანამედროვეები მას ახასიათებდნენ გამოცდილ კონსპირატორად და არალეგალური საქმიანობის კარგ მცოდნედ [16, 39]. ის და მისი მეგობრები მიწერ-მოწერას აწარმოებდნენ ქიმიური ტექსტით, დაშიფრული წერილებით. ბოლშევიკების მიერ გამოგონილი ერთ-ერთი ხერხი წიგნების საშუალებით დაეშიფრათ წერილები 1907 წელს გახსნა რუსეთის პოლიტიკურმა პოლიციამ, მაგრამ გერმანელებმა ამ კონკრეტული ხერხის გახსნა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დროს მოახერხეს. მას შევეიცარიაში არსებული საბჭოთა სადაზვერვო ქსელი იყენებდა 1940-1943 წლებში [17, 191].

თანამედროვე რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელად, სსრკ-ს უშიშროების სამსახურის (კგბ) ყოფილი თანამშრომლის ყოფნა პირდაპირ მიუთითებს, რომ ამ ქვეყნის ძალისმიერი სტრუქტურები, არა მარტო საშინაო, არამედ საგარეო პოლიტიკაშიც წარმატებით იყენებენ და კვლავ გამოიყენებენ რუსული სპეცსამსახურების საქმიანობისათვის დამახასიათებელ მეთოდებს და ხერხებს. ამას ცხადყოფს 1999-2008 წლებში, რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ განხორციელებული პოლიტიკური მკვლელობები, ტერორისტული აქტები. ასევე მეზობელ სახელმწიფოებში და კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მართვის მცდელობები. საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემზადების ეტაპები და დღეს არსებული ვითარება კონფლიქტურ რეგიონებში.

ამრიგად, თანამედროვე რუსეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების და რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონკრეტული მიმართულებების უკეთ გასაგებად, რუსული სპეცსამსახურების ის-

ტორიის ანალიზი საჭირო და აუცილებელია – ყველაფერი ახალი ხომ კარგად დავიწყებული ძველია.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. А. Бросса, „Агенты Москвы“, „Иностранная Литература“, Москва, 1989, № 12.
2. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 95, აღწერა 1, საქმე №9.
3. В. Жухрай, Тайны Царской Охранки: авантюристы и провокаторы, Москва, 1991
4. თ. სიმაშვილი, საიდუმლო(პოლიტიკური) პოლიცია რევოლუციონერების წინააღმდეგ საქართველოში 1894-1908 წლებში, თბილისი, 2003.
5. Б. Николаевский „История одного предателя“, Москва, 1991.
6. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 153, აღ. 1, საქ. 98.
7. П. Курлов, Конец Русского Царизма, Москва, 1923.
8. „რევოლუციის მატეანე“, თბილისი, 1924, №1.
9. „რევოლუციის მატეანე“, თბილისი 1923, №5.
10. История СССР– XIX начало XX, Москва, 1987.
11. Л. Сараскина, „Тень народной расправы“, „Знание – сила“, Москва, 1990, №9.
12. Революционное движение 1860-х годов (Сборник), Москва, 1932.
13. А. И. Спиридович, Партия Социалистов-Революционеров и его предшественники (1886-1916), Петроград, 1918.
14. В. И. Ленин о революции 1905 – 1907 г.г. (Сборник), Москва, 1984.
15. გ. ჟვანია, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა რუსეთის პირველი რევოლუციის წინ და რევოლუციის პერიოდში, თბილისი, 1984.
16. М. А. Смирнов, О Вячеславе Менжинском (Воспоминание, очерки, статьи), Москва, 1985.
17. შ. რადო, „დორას ფსევდონიმით“ (საბჭოთა მზვერავის მოგონებები), ბათუმი, 1978.
18. Ильич Рамирес Санчес, „Кто я?“, „Иностранная Литература“, Москва, 2004, № 9.

Tengiz Simashvili
Doctor of History, Associated professor of the Iakob Gogebashvili Telavi State University, Head of the World History Department

Russian Security Organs through the Frameworks of History

Summary

The article deals with the activities organized by Russian Security Organs. According to the article Soviet security organs took the examples of organizing provocations and the liquidation of undesirable figures from the Political Police of Russian Empire. As for the methods and acts of terrorism it was taken from the experience of revolutionary and terrorism organizations of Russian Empire.

The activities of political police of Russian Empire during 1905-1907 is described in the article. Some very obvious examples prove that local organs of political polices arranged all kind of provocations through distributing false information. Russian political police tried to control and govern the current political processes, as well as the oppositional and revolutionary parties.

It is also mentioned in the article that the revolutionaries themselves possessed quite a long experience of arranging provocations in the field of terrorism. Acts of terrorism conducted by the revolutionaries from Bolshevik and Socialist parties.

According to the conclusion of the article the author indicates the necessities of the historical analysis for understanding the current political processes and the foreign policy of modern Russia.

ვასილ კაჭარავა
ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საერთაშორისო შავი ზღვის უნივერსიტეტის პროფესორი

1954 წლის სახელმწიფო გადატრიალება გვატემალაში და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო

მას შემდეგ რაც 1823 წელს მონროს დოქტრინა გამოცხადდა, ურთიერთობა შეერთებულ შტატებსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის საკმაოდ წინააღმდეგობრივი იყო. ერთი მხრივ, ამ დოქტრინის მიხედვით, აშშ უპირისპირდებოდა ევროპის ქვეყნების ექსპანსიას ლათინურ ამერიკაში და ფაქტობრივდად მათი დამოუკიდებლობის გარანტის ფუნქციებსაც კი კისრულობდა, მეორე მხრივ კი მონროს დოქტრინა – ამერიკა ამერიკელთათვის – მნიშვნელოვანწილად აშშ-ის პოლიტიკურ დომინირებას გულისხმობდა ამ რეგიონში.

იმ დროიდან 1950-იან წლებამდე არც თუ ბევრი რამ შეიცვალა და შეერთებული შტატების გავლენა ლათინურ ამერიკაში კვლავაც უდიდესი იყო. მართალია, ეს გავლენა უპირველეს ყოვლისა ეკონომიკურ ექსპანსიაში გამოიხატებოდა, მაგრამ, როდესაც ამას აშშ-ის სტრატეგიული ინტერესები მოითხოვდა ძლევამოსილი ჩრდილოეთელი დემოკრატია არც პოლიტიკურ და სამხედრო ზეწოლაზე ამბობდა უარს.

თუმცა ნურც ის დაგვავიწყდება, რომ 1823 წელს მიღებული მონროს დოქტრინის მეშვეობით ამერიკამ მართლაც დაიცვა ლათინური ამერიკის ახლად შექმნილი რესპუბლიკები ევროპული ექსპანსიისაგან. მართლია, 1898 წლის ესპანეთ-ამერიკის ომი მეტად წინააღმდეგობრივი მოვლენა იყო, მაგრამ კუბის დამოუკიდებლობა, თუნდაც შეზღუდული, არა მარტო კუბელთა ბრძოლის, არამედ ამ ომის შედეგიცაა. ამერიკის ჩარევა კარიბის ზღვის ქვეყნების საშინაო საქმეებში, არც თუ იშვიათად, ამ ქვეყნების მოსახლეობას სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომებისაგან იცავდა.

ასეთი დამოკიდებულებისა და პოლიტიკის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს 1950-იან წლებში გვატემალის რესპუბლიკაში განვითარებული მოვლენები, რომლებიც იმ პერიოდში მიმდინარე ცივი ომის ფონზე წარიმართა.

მიუხედავად იმისა, რომ, ევროპისა და აზიისაგან განსხვავებით, სამხრეთ ამერიკაში ვითარება უფრო წყნარი იყო, 1953 წლის 12 აპრილს ამერიკის სახელწიფოთა ორგანიზაციის საბჭოს წინაშე გამოსვლისას ამერიკის პრეზიდენტმა დუაიეტ ეიზენჰაუერმა მაინც გაუსვა ხაზი იმ საშიშროებას, რომელიც კონტინენტს ემუქრებოდა და „კლასებსა და ხალხებს ერთმანეთს უპირისპირებდა“ [1, 174].

ყოველივე ეს მნიშვნელოვანწილად გვატემალში მიმდინარე პროცესებთან იყო დაკავშირებული. გვატემალის პრეზიდენტმა პოლკოვნიკმა ჯაკობო არბენსმა 1952 წლის აგრარული რეფორმის კანონით, ე.წ დეკრეტი 900-ის მიხედვით, სხვასთან ერთად, უდიდესი ამერიკული კომპანიის „იუნაითედ ფრუტის“ პლანტაციების ნაციონალიზაცია გადაწყვიტა და მას საკუთრებაში არსებული 550 ათასი აკრიდან 400 ათასი ჩამოართვა. კომპანიას კი მიაჩნდა, რომ სახელმწიფოს კომპენსაცია – 3 დოლარი თითო აკრში ძალზე დაბალი იყო [9, 91].

კომპანია თვლიდა, რომ დარჩენილი მიწები ნაკლებად გამოსადეგი იყო ბანანის მოსაყვანად და არბენსის მთავრობის წინააღმდეგ სასამართლოში აპირებდა ჩივილს [3, 85-86].

როგორც აშშ-ის დაზვერვის ერთ-ერთ ანალიტიკურ დოკუმენტშია აღწერილი, „უინათედ ფრუტს“, რომელიც ლათინური ამერიკის ცხრა ქვეყანაში მოქმედებდა, არც მანამდე აკლდა პრობლემები. გვატემალის 1944 წლის რევოლუციის შემდეგ ამ ქვეყნის ნაციონალისტური ძალები მუდამ უარყოფითად აფასებდნენ კომპანიის საქმიანობას და მიუხედავად იმისა, რომ კომპანია სახელმწიფოს შემდეგ მთავარი დამსაქმებელი იყო ქვეყანაში და იქ მომუშავეებს სხვებთან შედარებით მაღალი ანაზღაურება ჰქონდათ, მის საქმიანობას „ეკონომიკურ კოლონიალიზმად“ ნათლავდნენ [3, 11].

დავა კომპანიასა და გვატემალას მთავრობას შორის საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. 1954 წლის აპრილში სახელმწიფო დეპარტამენტმა გვატემალის მთავრობას 15 854 549 დოლარის გადახდა მოთხოვა „უინათედ ფრუტის“ მარტო წყნარი ოკეანის სანაპიროზე ჩამორთმეული ქონებისთვის, მაგრამ უარი მიიღო. როდესაც „იუნათედ ფრუტმა“ სახელმწიფო დეპარტამენტს გვატემალისთვის ყოველგვარი დახმარების შეწყვეტა და სხვა მკაცრი ზომების მიღება მოსთხოვა, დეპარტამენტში ჩათვალეს, რომ ზეწოლა ამ ქვეყანაზე მეტად „წყნარად“ უნდა მომხდარიყო, რათა ეს არ ჩათვლილიყო ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევად, რაც სხვა ლათინური ამერიკის ქვეყნების აღშფოთებას გამოიწვევდა.

მაგრამ, როგორც ცნობილია, სახელმწიფო დეპარტამენტის გარდა არსებობდა კიდევ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო, რომელიც გაცილებით განსხვავებული მეთოდებით მოქმედებდა. მით უმეტეს, რომ დუაიეტ ეიზენჰაუერს ამ სააგენტოს საიდუმლო ოპერაციები უფრო იაფ და წარმატებულ გზად მიაჩნდა საბჭოთა ექსპანსიის წინააღმდეგ საბრძოლველად. (სხვათა შორის, სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელი ალენ დალესი თავის დროზე „იუნათედ ფრუტის" დირექტორთა საბჭოს წევრი იყო. პრეზიდენტის პირადი მდივანი კი ამავე კომპანიის ვიცე-პრეზიდენტის ცოლი იყო).

ეს სააგენტო კი ჯერ კიდევ 1950 წელს, არბენსის გაპრეზიდენტების პირველივედღიდანვე, საკმაოდ კრიტიკულად იყო მისდამი განწყობილი და იგი კომუნისტების (გვატემალის შრომის პარტია) მიმართ კეთილგანწყობილ ადამიანად მიაჩნდა. უფრო მეტიც, სააგენტოში ზოგიერთი მას თავადაც კომუნისტად მიიჩნევდა. ეს კი მაშინდელი ამერიკისთვის უდიდეს დანაშაულსა და მტრობას ნიშნავდა.

ამერიკული დაზვერვა ასევე კრიტიკულად აფასებდა 1952 წლის 17 ივნისის აგრარულ რეფორმას. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ანალიტიკური დოკუმენტის ავტორები რეფორმის დეტალური განხილვის შემდეგ ასკვნიდნენ, რომ იგი მართლაც გაანთავისუფლებდა ათასობით გლეხს (ძირითადათ ინდიელებს) პრივილეგირიბელი მიწათმფლობელების მიმართ საუკუნოვანი დამოკიდებულებისგან, მაგრამ სამაგიეროდ მათზე გაიზრდებოდა მთავრობის გავლენა. ამ დოკუმენტის თანახმად,მიწის სწრაფი დარიგება სერიოზულ ეკონომიკურ დაძაბულობას იწვევდა და ამ სფეროს ბიზნესსაც უკვე ეტყობოდა გარკვეული ნერვიულობა, თუმცა ეს ჯერ არ ასახულიყო სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაოდენობაზე. დაზვერვის ანალიტიკოსები შიშობდნენ, რომ კონსერვატიული მიწათმფლობელების კონტროლის დაკარგვა გლეხობაზე გაზრდიდა კომუნისტების გავლენას მათზე, ისინი კი შექმნილ ვითარებას აუცილებლად გამოიყენებდნენ სათავისოდ. გაძლიერებულიკომუნისტები კიდევ უფრო აქტიურად შეუტევდნენ „იუნათედ ფრუტს" და ა.შ. [3, 70-78]. სწორედ ეს თანხვედრა რეფორმის სწრაფ განვითარებასა და კომუნისტების გავლენის ზრდას შორის აფრთხობდა ამერიკელ ანალიტიკოსებს.

მიუხედავად იმისა, რომ გვატემალის კომპარტია ამერიკული დაზვერვის 1952 წლის მარტის მონაცემებით მხოლოდ 500 კაცს ითვლიდა მისი არსებობა მაინც სერიოზულ პრობლემად მიაჩნადათ. ამ

500 კაციდან ერთი მესამედი სამხედროები იყვნენ, თანაც პარტიაში სერიოზული რეოგანიზაცია ჩატარებულა. პარტიის წევრები ძირითადად გვატემალა სიტიდან, მთავრობის მფლობელობაში მყოფი ყავის პლანტაციებში და „იუნათედ ფრუტის“ მიწებზე მომუშავე ხალხიდან იკრიბებოდა [3, 6-9].

ერთი სიტყვით, ამერიკის მმართველ წრეებში თანდათანობით მკვიდრდებოდა აზრი, რომ კომუნისტებთან დაახლოვებული გვატემალის პრეზიდენტი პრობლემებს უქმინიდა ამერიკის ინტერესებს არა მარტო უშუალოდ ამ ქვეყანაში, არამედ მთლიანად ამ რეგიონში. ამდენად სულ უფრო იზრდებოდა ამ პიროვნების ქვეყნის მმართველობიდან ჩამოცილების სურვილი.

თუმცა პრეზიდენტ არბენსის მოქმედების შეფასებისას იგივე ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო უფრო რეალისტურ ანალიზსაც აკეთებდა. კერძოდ კი სააგენტოს 1952 წლის 10 ოქტომბრის საინფორმაციო ანგარიშში ავტორი აღნიშნავდა, რომ მიუხედავად პრეზიდენტის თანამშრომლობისა კომუნისტებთან და ექსტრემისტებთან, რაც ზიანს აყენებდა ამერიკასთან ურთიერთობას, დარწმუნებული იყო, რომ პირადად იგი სულაც არ ეთანხმებოდა გვატემალის თუ საბჭოთა კავშირის კომუნისტების ეკონომიკურ დ პოლიტიკურ იდეებს და მათ არ გააჩნდათ საკმარისი გავლენა თავის ნებაზე ეტარებინათ იგი. რომ არბენსის რეფორმები უფრო ფრანკლინ რუზველტის „ახალი კურსის“ სულისკვეთებას გამოხატავდა ვიდრე საბჭოთა კომუნიზმისა. ავტორის აზრით,პრეზიდენტი თვლიდა, რომ იგი თავად იყენებდა კომუნისტებს. მას კარგად ესმოდა გვატემალის ეკონომიკური დამოკიდებულება ამერიკაზე და არ ეშინოდა კონსერვატიული გადატრიალებისა. არბენსს სულაც არ უნდოდა კომუნისტური სახელმწიფოს შექმნა, მას სურდა თანამედროვე დემოკრატია და მისი კუმირი ფრანკლინ რუზველტი იყო. მისი რეფორმები სულაც არ იყო ექსტრემისტული ან რადიკალური იგივე ამერიკის, ევროპის ან თუნდაც ლათუნური ამერიკის სხვა ქვეყნებთან შედარებით. როგორც მემორანდუმის ავტორი აღნიშნავდა, არბენსის რეფორმები გვატემალაში გამეფებული თითქმის ფეოდალურ ურთიერთობებთან შედარებით გამოიყურებოდა ასე რადიკალურად [3, 39-40].

მაგრამ, როგორც ჩანს, ამერიკის მმართველნი ნაკლებად ენდნენ მსგავს ანალიზს და საბოლოოდ მაინც უფრო გამარტივებული ფორმულა ამოქმედდა. კერძოდ კი, კაცმა არ იცის არბენსი როგორც მიხედავს ამ საფრთხეს, უფრო სავარაუდოა რომ საბოლოოდ კომუ-

ნისტბი გაიმარჯვებენ, ეს კი საფრთხეს მთელ რეგიონსაც შეუქმნის, რომ აღარაფერი ვთქვათ „იუნაითედ ფრუტის“ ინტერესებზე. ამიტომ ჯობია ეს მთავრობა მოვაცილოთ და ამერიკისადმი აშკარად ლოიალური კაცი მოვიყვანოთ ქვეყნის სათავეში. მით უმეტეს, რომ აშშ-ს ლათინურ ამერიკაში ასეთი ქმედებების გამოცდილება არ აკლდა.

ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ერთ-ერთ მემორანდუმში პირდაპირ აღნიშნავდნენ, რომ გვატემალა იყო ლიუზიანის შტატისხელა პრიმიტიული აგრარული ქვეყანა 3,5 მილიონიანი მოსახლეობით, რომელიც ამ ეტაპზე „ბანანის რესპუბლიკებისთვის“ დამახასიათებელი ქსენოფობიური არასრულფასოვნების კომპლექსით შეჯერებულ ნაციონალისტურ პოლიტიკას ატარებდა. რასაკვირველია, იქვე ხაზი ესმეოდა ამ ნაციონალისტური პოლიტიკის კომუნისტურ შეფერილობასაც [3, 102].

სხვასთან ერთად, ამერიკელები თვლიდნენ, რომ გვატემალის კომუნისტური ძალები მეზობელ ჰონდურასშიც აპირებდნენ არეულობის ორგანიზებას. 1953 წლის სააგენტოს მემეორანდუმში მიიჩნევდნენ რომ საჭირო იყო არსებული მთავრობის შეცვლის დაუყოვნებლივი დაჩქარება [3, 116].

1953 წლის 23 ოქტომბრის მემორანდუმში პირდაპირ იყო ხაზგასმული, რომ გვატემალა მინიატურაში წარმოადგენდა ყველა იმ პრობლემასა და წინააღმდეგობას, რომელიც უპირისპირდებოდა დასავლური ტიპის სახელმწიფოს არსებობას და მის ბრძოლას კომუნისტური ვირუსის წინააღმდეგ. ამგვარად გვატემალა ერთგვარი ტესტი იქნებოდა, თუ როგორ შეიძლება რეგიონში ბრძოლა კომუნისტურ საფრთხესთან [3, 123].

მსგავსი განწყობილებების საფუძველზე ამერიკის მთავრობამ უკვე 1953 წლის მეორე ნახევარში დაიწყო სერიოზული მზადება ამ ქვეყანში ხელისუფლების შესაცვლელად. მით უმეტეს, რომ ლათინურ ამერიკას ამერიკელები კარგად იცნობდნენ და ყველა ნიუანსში ერკვეოდნენ. დაზვერვის მონაცემები მართლაც რომ შთამბეჭდავია. სხვასთან ერთად, ეს გვატემალის კანონიერი მთავრობის გადაყენებისთვის აუცილებელი მემკვიდრის ძიებაშიც გამოიხატა. სადაზვერვო სააგენტოს სამი კანდიდატურა ჰყავდა. პირველი იყო ხუან კორდობა ცერნა, ყავის ბიზნესში ჩართული გავლენიანი ფიგურა, რომელიც, ამავე დროს, „უინათედ ფრუტის“ კონსულტანტი და არბენსის წინა მთავრობის მინისტრი იყო. მეორე – მიგუელ ფუენტესი, წარსულში ცნობილი გენერალი და ერთ-ერთი პროვინციის გუბერ-

ნატორი. II მსოფლიო ომის დროს იგი პრონაცისტური განწყობილებებით გამოირჩეოდა, თუმცა ომის ბოლოსთვის აშკარად ამერიკისკენ გადაიხარა. მაგრამ საბოლოოთ არჩევანი კასტილო არმასზე შეაჩერეს, რომელიც არბენსთან ერთად სწავლობდა სამხედრო აკადემიაში და მაღალი სამხედრო კვალიფიკაცია ჰქონდა.

კასტილო არმასს ჯერ კიდევ 1952 წლის დასაწყისიდან ამზადებდნენ არბენსის პოტენციურ შემცვლელად. ამერკული დაზვერვა მის კანდიდატურას ძალზე დეტალურად სწავლობდა. 1952 წლის ანალიზში სადაც მისი სრული ბიოგრაფია და დახასიათება იყო, აღნიშნავდნენ, რომ იგი ძლიერი პიროვნება იყო, რბილად და დინჯად მოსაუბრე, სერიოზული, შრომისმოყვარე, ინტელიგენტი, ახალი იდეების შემთვისებელი, ანალიტიკური გონების, სწავლის მოყვარული და მსუბუქად მსმელი. იქვე იყო ხაზგასმული, რომ ის ჭეშმარიტად პროამერიკული კაცი იყო, თანამშრომლობდა ამერიკის მისიებთან და სამხედრო ატაშეებთან, იყო ნამდვილი პატრიოტი. იყო არბენსის ოპოზიციაში და უარი თქვა მის შეთავაზებულ თანამდებობაზე. 1950 წელს თავდასხმა მოაწყო სამხედრო ბაზაზე, დაიჭრა და დაატყვევეს, მაგრამ 1952 წელს გაიქცა ციხიდან და იმყოფებოდა ემიგრაციაში ჰონდურასში [3, 15-16].

ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს სხვა საიდუმლო მემორანდუმში აღნიშნავდნენ, რომ არმასს მხარს უჭერდნენ ნიკარაგუას პრეზიდენტი სომოსა და ჰონდურასის პრეზიდენტი გალვესი და თუ ამერიკის მხრადაჭერა და კურთხევა იქნებოდა, დაეხმარებოდნენ კიდეც მას თავისი მიზნების მიღწევაში ანუ სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზებაში. იმავე მემორანდუმში ხაზგასმული იყო, რომ შეიარაღებული გამოსვლა გვატემალაში გარდაუვალია. თუმცა მისი წარმატება საგარეო დახმარების გარეშე საეჭვოა და მარცხის შემთხვევაში ეფექტური ანტიკომუნისტური ოპოზიცია გვატემალაში შეიძლება საერთოდ მოისპოს. თუმცა იარაღით, ტრანსპორტით და კონსულტაციებით დახმარების მეშვეობით გამარჯვება სავსებით შესაძლებელია [3, 21].

სხვათა შორის, ამ მზადებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ დოკუმენტში სადაზვერვო სააგენტოს წარმომადგენლები იმასაც აღნიშნავდნენ, რომ მათი ლათინურამერიკელი პარტნიორების ქმედება „კიდევ ერთხელ ამტკიცებს ჩვენს ზოგად მოსაზრებას, რომ არც ერთი ლათინურამერიკელის ნდობა არ შეიძლება იმ ასპექტში, რომ მას ენაზე კბილის დაჭერა შეუძლია“ [3, 35].

ამერიკის დაზვერვის დოკუმენტებში არმასის კოდური სახელი იყო RUFUS-ი. ხოლო არბენსის მთავრობის გადაყენების მოსამზადებელ ოპერაციას რაც არმასისა და მისი მომხრეების ყოველმხრივ უზრუნველყოფას გულისხმობდა, დაარქვეს PBFORTUNE. სხვათა შორის, ამ ოპერაციის პროექტი ჯერ კიდევ მიწის რეფორმამდე 1951 წელს შეიქმნა.ეს იყო პირველი ეტაპი და შემდეგ იგი ოპერაცია FBSUCCESS-ში გადაიზარდა, რომელიც ნიშნავდა არბენსის მთავრობის უშუალო გადატრიალებას ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს საიდუმლო ოპერაციის მეშვეობით და თუ მშვიდობიანად არ გამოვიდოდა, ძალის გამოყენებითაც. აღნიშნული აბრევიატურები PBFORTUNE და FBSUCCESS ნიშნავდა – პრეზიდენტის საბჭო" (PB) Presidential Board, რასაც მოსდევდა სიტყვები იღბალი (Fortune) და წარმატება (Success). სააგენტოს გამოთვლით, ეს ოპერაცია ფსიქოლოგიური ომის და პოლიტიკური მოქმედების, შეიარაღების შეძენის, სხვა მატერიალური უზრუნველყოფის, კადრების დაფინანსების, სადაზვერვო ქმედებების, სატრანსპორტო უზრუნველყოფისა და სხვათა ჩათვლით 2, 735 000 დოლარი დაჯდებოდა [3, 109].

ოპერაციის დაჩქარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გვატემალაში ახლად დანიშნული ამერიკელი ელჩის პერუფოის დასკვნამ, რომელიც 1953 წლის 28 დეკემბერს გადაეგზავნა ვაშინგტონს. ელჩი ხაზს უსვამდა კომუნისტთა გავლენის ზრდას ქვეყანაში და აღნიშნავდა – რომ, თუ არბენსის მთავრობა, კონსტიტუციური ვადით, 1957 წლამდე იარსებებს, კომუნისტები იმდენად გაძლიერდებიან ამ ქვეყანაში, რომ სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიან ამერიკის უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ ინტერესებს რეგიონში და შემდეგ უკვე ძალიან დაგვიანებული იქნება ვითარების გამოსწორება სერიოზული სამხედრო დაპირისპირების გარეშე, მაგალითად, როგორც ეს საბერძნეთში მოხდაო [3, 159].

ამის შესაბამისად აშშ-ის სახელმწიფო მდივანი დალესი 1954 წელს აცხადებდა, რომ საერთაშორისო კომუნიზმმა დიდი ხნის ძიების შემდეგ სამხრეთ ამერიკაში გვატემალა აირჩია თავის დასაყრდენად, რათა შემდეგ აქედან განევრცო იგი მთელს ლათინურ ამერიკაში. საბჭოთა დესპოტიზმის ეს ქმედება კი პირდაპირი გამოწვევა იყო მონროს დოქტრინისადმი. დალესი აცხადებდა, რომ ამერიკას თვით არბენსის მთვარობა კი არ აწუხებდა, არამედ მის უკან მდგომი ძალები. „სიტუაცია გვატემალაში იმდენად სახიფათოა, რომ ამერიკის სახელმწიფოებს არ შეუძლიათ მისი იგნორირება". დალესმა ისიც გაიხსენა, რომ 1953 წელს კარაკასში მეათე ამერიკათშორი-

სო კონფერენციაზე მიღებული ანტიკომუნისტური დეკლარაცია მხოლოდ გვატემალამ უარყო და არ მოაწერა მას ხელი. იგი ბრალს სდებდა გვატემალის მთავრობას საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობაში როგორც ორმხრივ, ასევე გაეროს ფორმატში და აღნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირში გაწვრთნილი აგენტები უკვე გვატემალის მოსაზღვრე ქვეყნებშიც ამღვრევდნენ წყალს და პოლიტიკურ მკვლელობებსა და გაფიცვებს გეგმავდნენ. შესაბამისად დალესი მხარს უჭერდა პოლკოვნიკ კასტილო არმასის გამოსვლას გვატემალის მთავრობის წინააღმდეგ [4, 451-452].

ასეთი განწყობილებების გასაბათილებლად გვატემალელები ამაოდ ცდილობდნენ აეხსნათ ამერიკელთათვის თავიანთი რეფორმების ჭეშმარიტი არსი. ამ მხრივ ნიშანდობლივია 1954 წლის 5 მარტს, გვატემალელი პოლიტიკოსის გიულერმო ტორიელო გარიდოს გამოსვლა, როდესაც იგი თავისი ქვეყნის პოლიტიკას იცავდა და აღნიშნავდა, რომ ამერიკა ტყუილად სწამებდა კომუნისტობას გვატემალის მთავრობას. მისი აზრით, არბენსის მთავრობის რეფორმებს არაფერი ჰქონდა საერთო კომუნიზმთან და ისინი უბრალოდ ქვეყნის ეკონომიკისა და უსაფრთხოების ინტერესებს ემსახურებოდა. თუმცა ამ რეფორმებმა მნიშვნელოვანწილად შეამცირეს უცხოური კომპანიების და განსაკუთრებით „იუნაიტედ ფრუტის“ გავლენა. „ეროვნული პორტებისა და დოკების მშენებლობის მეშვეობით ჩვენ ბოლოს მოუღებთ „იუნაითედ ფრუტის“ მონოპოლიას, რაც საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ და უფრო მრავალფეროვანი გავხადოთ ჩვენი ვაჭრობა..... ამასთან ერთად, ასევე „იუნათედ ფრუტის“ კონტროლირებადი თეთრი ფლოტის ნაცვლად საშუალება მოგვეცემა სხვა საზღვაო საშუალებებიც გამოვიყენოთ“.

„ეროვნული ელექტრიფიკაციის მეშვეობით ჩვენ ბოლოს მოუღებთ უცხოურ მონოპოლიას ამ სფეროში, რომელიც ხელს უშლის ჩვენი მრეწველობის განვითარებას. აგრარული რეფორმით ჩვენ ვაუქმებთ ლატიფუნდიებს, მათ შორის „იუნათედ ფრუტის“ მფლობელობაში მყოფთ. ჩვენ აღარ გაუგრძელებთ კონცესიებს ამ კომპანიას. დაჟინებით მოვითხოვთ, რომ უცხოური ინვესტიციები შესაბამისობაში იყოს ჩვენი ქვეყნის კანონებთან და დავიბრუნებთ და დავაფიქსირებთ ჩვენს დამოუკიდებლობას საგარეო პოლიტიკაში“.

გარიდო ხაზს უსვამდა, რომ უსაფუძვლო იყო გვატემალის რეფორმების კომუნიზმთან გაიგივება, სინამდვილეში ეს რეფორმები კერძო მიწისმფლობელების რწმენის განმტკიცებას ემსახურებოდა. ამავე დროს, მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდა სწორედ კაპი-

ტალისტურ განვითარებას უწყობდა ხელს და სოციალურ ბაზას ქმნიდა ჭეშმარიტად გვატემალური დემოკრატიის განვითარებისთვის [4, 449-451].

მაგრამ ეს არგუმენტაცია მიუღებელი აღმოჩნდა ამერიკისთვის, მით უმეტეს, რომ, როგორც ამ გამოსვლაში ჩანდა გვატემალის მთავრობა არ აპირებდა არავითარ კომპრომისს „იუნაითედ ფრუტთან" და პირიქით, მის შემდგომ შევიწროებას გეგმავდა. გადატრიალების დაჩქარებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ გვატემალის მთავრობამ სოციალისტური ჩეხოსლოვაკიიდან იარაღის ყიდვა გადაწყვიტა, რადგან ამერიკელებმა არაერთხელ დაბლოკეს გვატემალის მცდელობა შეესყიდა იარაღი მეზობელ სახელმწიფოებში. 1950 წლიდან ამერიკა თავადაც უარს ამბობდა, რომ გვატემალისთვის მიეყიდა იარაღი და თავის ევროპელ მოკავშირეებსაც ამისკენ მოუწოდებდა. ეს მაშინ, როდესაც ამ სახის დახმარებაზე უარს არ ეუბნებოდა გვატემალის მეზობელ ჰონდურასსა და ნიკარაგუას [9, 91]. ჩეხოსლოვაკიის საწყობები კი გამოტენილი იყო გერმანელებისგან დარჩენილი იარაღით და იგი შვედური გემით ჩაიტანეს კიდეც გვატემალაში. ამერიკელებმა სცადეს ამ ტვირთის დაკავება, მაგრამ გემის სახელწოდება შეეშალათ და სხვა გემი დააკავეს. იმ საბაბით, რომ გვატემალა ამ იარაღს ჰონდურასის წინააღმდეგ აგრესიისთვის გამოყენებას აპირებდა, 1954 წლის მაისის მიწურულს ამერიკელებმა გვატემალის მიმდებარე ტერიტორიების საზღვაო და საჰაერო პატრულირება დაიწყეს. ამავე დროს, არმასის მომხრეებმა თვითმფრინავებით გადაუფრინეს გვატემალის ტერიტორიას და სააგიტაციო ფურცლები გადმოყარეს, სადაც გვატემალელებს კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუხმობდნენ. ოველიევ ამის შემდეგ გვატემალაში უკვე აშკარად დაინახეს უცხოური ინტერვენციის საფრთხე.

ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მიერ არბენსის წინააღმდეგ მიმართული ოპერაციის შტაბბინიდან ფლორიდაში კი იტყობინებოდნენ, რომ არბენსის მთავრობა რეპრესიებზე გადავიდა, მასობრივი ჩხრეკები და დაპატიმრებები დაიწყო და ხელში ჩაიგდო ინიციატივა. კომუნისტები საჯაროდ აცხადებდნენ გადატრიალების საფრთხის შესახებ და აიარაღებდნენ თავიანთ მომხრე მუშებისა და გლეხების ჯგუფებს. გვატემალის პრეზიდენტი ეიზენჰაუერთან საუბარსაც მოითხოვდა მაგრამ ეს არ მოხრხდა. გვატემალის მთავრობის პროპაგანდა სახელმწიფო დეპარტამენტის პროტესტს საბჭოთა იარაღის ყიდვასთან დაკავშირებით „უინათედ ფრუტის" ინტერესე-

ბის დაცვას უკავშირებდა. შტაბბინის წარმომადგენლებიპირდაპირ წერდნენ ვაშინგტონს, მტერი იერიშზე გადავიდა და დროა აჯანყება დავიწყოთო [3, 324 -326].

თუმცა თავად უკვე კარგა ხანია, საკმაოდ აქტიურად მოქმედებდნენ. აჯანყების სხვა უშუალო მოსამზადებელ საქმიანობასთან ერთად, ფლორიდის შტაბბინა აჯანყების ყველა ცენტრს, სხვადასხვა ჭორის გავრცელებასაც ავალებდა. მაგალითად, რომ მოსკოვიდან მრჩევლები და პოლიტბიუროს წევრებიც კი ჩამოვიდნენ; მთავრობამ ვალუტის დევალვაცია დააპირა და ურჩიეთ მოსახლეობას, რომ სასწრფოდ მოიმარაგოს პროდუქტები; მთავრობის შემადგენლობა, პრეზიდენტის ჩათვლით, იცვლება; სამხედრო გაწვევასთან ერთად 16 წლის გოგო-ბიჭები შრომით ბანაკებში გაჰყავთ ერთი წლით პოლიტიკური აღზრდისთვის, სადაც ოჯახისა და ეკლესიის გავლენის შემცირებას ეცდებიანო; კვების რაციონი დგინდება და დანარჩენ ფულს მთავრობა სესხის სახით მიითვისებსო; პრეზიდენტმა არბენსმა უკვე დატოვა ქვეყანა; განათლების რეფორმა იწყება, რომლის მიხედვითაც სკოლებში რელიგიის ნაცვლად ათეიზმს ასწავლიან. დანარჩენი ყოველდღიური ჭორების მოგონებას ადგილობრივ კადრებს ანდობდნენ არსებული ვითარების და მათი შეხედულებების გათვალისწინებით [3, 327].

ასეთი პროპაგანდისთვის, ირანში 1953 წელს იმავე ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალების გამოცდილებიდან გამომდინარე, აქტიურად იყენებდნენ რადიოს. მართალია გვატემალაში იგი ბევრს არ ჰქონდა, მაგრამ გვატემალელთა თვალში რადიო ავტორიტეტულ საინფორმაციო წყაროს წარმოადგენდა და შემდეგ ეს ინფორმაცია ზეპირად ვრცელდებოდა მოსახლეობაში. რადიოსადგური „განთავისუფლების ხმა“ *La Voz de la Liberacion* ფლორიდაში, მაიამიში იყო განთავსებული, მაგრამ საზოგადოებას არწმუნებდნენ რომ იგი გვატემალის ჯუნგლებში იყო შეფარებული. პოპულარულ მუსიკასა და იუმორთან ერთად ეს რადიოსადგური ანტისამთავრობო პროპაგანდას ეწეოდა. ამ პროპაგანდის განსაკუთრებულ სამიზნე ჯგუფს წარმოადგანდა გვატემალის ხუთ ათასიანი არმია, რომელიც გაცილებით ძლიერი იყო არმასის 400 კაციან არაორგანიზებულ ჯგუფზე. სადაზვერვო სააგენტოს უშუალო მხარდაჭერით ქვეყნის შიგნით ამ პროპაგნდისტულ საქმიანობას ეწეოდნენ სტუდენტების ჯგუფებიც, რომლებიც სხვადასხვა პამფლეტებსა და პლაკატებს ავრცელებდნენ. ერთ-ერთ ასეთ პლაკატზე რიცხვი 32 იყო გამოსახული, რაც

კონსტიტუციის 32-ე მუხლს აღნიშნავდა, რომლის მიხედვითაც ქვეყნაში აკრძალული იყო უცხოური პარტიების მოქმედება, ამ შემთხვევაში – საბჭოთა კომპარტიის. პრეზიდენტის მომხრეების სახლებზე აკრავდნენ წარწერებს – „აქ ცხოვრობს კომუნისტი“. ადგილობრივ გაზეთებში აგზავნიდნენ ცნობებს პრეზიდენტის და მის მომხრეთა სიკვდილის შესახებ, რასაც პატარა, ცენტრს მოწყვეტილ დაბებსა თუ სოფლებში იჯერებდნენ და ეს პანიკასა და უნდობლობას თესავდა. ბოლოს და ბოლოს არბენსი იძულებული გახდა აკრძალვითი ზომები მიეღო და ზოგიერთი სტუდენტი დააპატიმრა კიდეც. ეს კი მისი მთავრობის არადემოკრატიულობის დასტურად გამოიყენეს, რაც ესოდენ ესაჭიროებოდა სადაზვერვო სააგენტოსა და ამბოხებულებს.

საბოლოოდ, ასეთი ხანგრძლივი და საფუძვლიანი მომზადების შემდეგ 1954 წლის 18 ივნისს კასტილო არმასის მომხრეებმა სამხედრო მოქმედება დაიწყეს. 480 მეამბოხე ჰონდურასისა და სალვადორის საზღვრებიდან ოთხი კოლონით შეიჭრა ქვეყანაში, რათა სიმრავლის ილუზია შეექმნა. დივერსანტები აფეთქებდნენ ხიდებს, მაგრამ ერიდებოდნენ არმიასთან პირდაპირ შეტაკებას. ჯერ ერთი, ეშინოდათ მისი და მეორეც, რომ ამ შეტაკებებს არბენსის მომხრეთა კონსოლიდაცია არ გამოეწვია. ყველაფერი კეთდებოდა პანიკის დასათესად – რადიო იტყობინებოდა მეამბოხეთა წარმატებებზე, თითქოს მოსახლეობა მათ მხარეს გადადიოდა.

მაგრამ რეალურად მეამბოხეები სერიოზულ მარცხს განიცდიდნენ ბრძოლაში. ქალაქ ზაკაპას 122 კაციანმა ჯგუფმა შეუტია, მაგრამ 30-მა გვატემალელმა ჯარისკაცმა მხოლოდ 28 კაცი დატოვა ცოცხალი. იგივე მოხდა ქალაქ ოუერტო ბარიოსში, სადაც პოლიციის უფროსის მიერ შეიარაღებულმა დოკერებმა 170 კაციანი მეამბოხეთა ჯგუფი გაანადგურა, მხოლოდ მცირე ნაწილი გაიქცა უკან ჰონდურასში. მაშინ არმასმა თვითმფრინავებით დაბომბა დედაქალაქი, მაგრამ საკმაოდ წარუმატებლად. მხოლოდ ერთი ნავთობის ცისტერნა ააფეთქეს და ეს ცეცხლიც 20 წუთში ჩააქრეს.

ამ დროს არმია ყოყმანობდა და ჯერ არ აპირებდა მეამბოხეთა მხარეს გადასვლას. სადაზვერვო სააგენტოს მონაცემებით, მოამბოხეთა გამარჯვება 20 ივნისს მეტად სათუო იყო. იმავე დოკუმენტში ზახგასმული იყო, რომ ეს ოპერაცია ინტერვენცია კი არა, თავისუფლების ერთგული გვატემალელების გამოსვლა იყო. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის მოწინააღმდეგენი ჰონდურასიდან შემოვიდნენ ეს სულ გვატემალელები იყვნენ დაახლოებით 300 მებრძოლი.

მოგვიანებით შემოერთებულებთან ერთად კი 600 კაცი იყო. თანაც ისინი არაამერიკული იარაღითარიან აღჭურვილებიო [3, 360].

მას შემდეგ, რაც არმასის მომხრეებს გარკვეული პრობლემები შეექმნათ და ისინი მარცხის პირას აღმოჩნდნენ, ეიზენჰაუერის განკარგულებით მათ მიიღეს დამატებითი დახმარება და ავიაცია. უნდა აღნიშნოს, რომ ავიაციის აქტიური გამოყენების უფლებას კასტილო არმასის მომხრეები და თვით სააგენტოს ოპერაციაში ჩართული ძალები მოითხოვდენ, მაგრამ, ამასთან დაკავშირებით ამერიკის ხელმძღვანელობა დიდხანს ყოყმანობდა, ვინაიდან,ერთი მხრივ, ეს დაბომბვები გამოააშკარავებდა ამერიკის უშუალო მონაწილეობას, მეორე მხრივ კი პირიქით გააღიზიანებდა გვატემალელებს და გააერთაინებდა მას პრეზიდენტის გარშემო. მაგრამ, როცა გადატრიალება ჩაშლის პირას აღმოჩნდა, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ამ ძალის გამოყენება ჯობდა – ეს მტერს შეაშინებდა და მომხრეებს კი გაამხნევებდა. გარდა ამისა, ისინი უბრალოდ თვლიდნენ, რომ შექმნილ ვითარებაში სხვა არჩევანი აღარ ჰქონდათ.[23] სააგენტომ ორი ბომბდამშენი უყიდა სომოსას, რომელმაც, თავის მხრივ, ესენი არმასის ანტისამთავრობო ჯგუფს ათხოვა და ეს თვითმფრინავები სამი დღე ბომბავადნენ ქვეყანას. გამოცდილ ამერიკელ პილოტებს ჯერ კიდევ ოპერაციის დაწყების წინ ეძებდნენ. თუმცა მერე მათი სახელები აღარ ფიგურირებს.

საბოლოოდ, მეამბოხეთა აქტიურობამ, ავიაციის გამოყენებამ და ამერიკის აშკარა ზეწოლამ არმიის ოფიცრობაში სერიოზული ბზარი გააჩინა. ოფიცერთა მნიშვნელოვანი ნაწილი განუდგა არბენსს. ეს განსაკუთერბით ნათლად გამოჩნდა, როდესაც ქალაქ ჩიკუიმილას გარნიზონი დანებდა არმასის მებრძოლთა მცირე ჯგუფს. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ სულ უფრო აშკარად იკვეთებოდა ამერიკის პირდაპირი ინტერვენციის საშიშროება. ვითარება სულ უფრო უმართავი ხდებოდა და ქვეყანას სამოქალაქო ომის მასშტაბების შემდგომი გაფართოება ემუქრებოდა. ასეთი საფრთხეების კრებულს არბენსმა უკვე ვეღარ გაუძლო. ამიტომაც 27 ივნისს მან თავისი გადადგომის შესახებ განაცხადა იმ საბაბით, რომ არმია აჯანყდა.

28 ივნისისთვის ფლორიდის შტაბბინიდან ვაშინგტონს შეატყობინეს რომ არბენსი გადადგა, თუმცა ისიც დასძინეს, რომ ქალაქ ადმასის 500 კაციანი გარნიზონი და 2500 მოხალისე ჯერ კიდევ არ ნებდებოდა, მაგრამ მეამბოხეები მათ დაბომბვით დაემუქრენ [3, 393].

1954 წლის 30 ივნისს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს შტაბ- ბინიდან გვატემალაში მყოფ ამერიკელ აგენტებს მილოცვის ტელეგრამა გაუგზავნეს, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ დიდი გამარჯვება მოიპოვეთ და ახლა ამ წარმტების გამგარებაა საჭირო [3, 399].

საინტერსოა, რომ უშუალოდ სახელმწიფო გადატრიალების პროცესში ცსს ამერიკელ აგენტებს მეტად ნეგატიური შთაბეჭდილება შეექმნათ არმასის შესახებ. მასთან მჭიდრო ურთიერთობაში გაირკვა, რომ იგი სულაც არ იყო ჭკვიანი კაცი, ადმინისტრაციული უნარი არ გააჩნდა, ძალზე ადვილად ექცეოდა გავლენის ქვეშ – ანუ მისი ზემოაღნიშნული დოსიეს სრულიად საპირისპირო თვისებები გამოამჟღავნა. ამიტომ ამერიკელმა ოფიცრებმა ჩათვალეს, რომ მისი ბოლომდე ნდობა არ შეიძლებოდა და აუცილებელი იყო მისი მკაცრი გაკონტროლება, თუნდაც მთავრობის შექმნისას და ა.შ. თუმცა იმავე 1954 წლის 1 ივლისს ამ მემორანდუმის ავტორებს უპასუხეს, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, კასტილო არმასი ანტიკომუნიზმის სიმბოლო იყო იმ დღეებში და ხალხის მხარდაჭერა მიიღო, „ამიტომაც ჩვენ ყველა ძალას ვიხმართ მის მხარდასაჭერად"[3, 412-413].

ამ გადატრიალების შედეგად გვატემალაში მართლაც პროამერიკული მთავრობა მოვიდა. მაგრამ სამწუხაროდ, სულ მალე, იგი ერთ-ერთ ყველაზე რეპრესიულ რეჟიმად ჩამოყალიბდა. გამარჯვებულმა კასტილო არმასმა შეზღუდა საარჩევნო უფლებები, შეზღუდა Habeas Corpus-ის მოქმედება, გააუქმა კოლექტიური ხელშეკრულებები პროფკავშირებთან და შეწყვიტა მიწის რეფორმა. მისმა უუნარობამ და რეპრესიებმა ქვეყანაში 1944 წლის რევოლუციამდელი ვითარება დააბრუნა.

ლათინურ ამერიკაში ამ გადატრიალებამ ძალზე უარყოფითი რეზონანსი გამოიწვია. არც ევროპაში დაიჯერა ვინმემ არმასის დამოუკიდებელი გამარჯვება და ყველა ხვდებოდა ამერიკის როლს ამ გადატრიალებაში. ფრანგული „მონდი" და ბრიტანული „თაიმსიც" მკაცრად აკრიტიკებდნენ ამერიკის ეკონომიკური კოლონიალიზმის თანამედროვე ფორმებს. დასავლეთ გერმანიის, ძირითადად პროამერიკულად განწყობილი პრესაც კი კიცხავდა გადატრიალებას.

საინტერესოა, რომ ამ ოპერაციის შემდეგ ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ გვატემალაში ექსპერტთა სპეციალური ჯგუფი გააგზავნა, რომელსაც უნდა შეესწავლა არბენსის მთავრობის დოკუმენტები და დაემტკიცებინა მისი თანამშრომლობა საბჭოთა

კავშირთან. ოპერაციას დაერქვა PBHISTORY . მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ შეისწალეს სამთავრობო დოკუმენტების 150 ათასი გვერდი, მათ ძალზე მცირე რამ მოიძიეს ამ იდეის სასარგებლოდ. [6, 90] სოციალიზმის იდეებს გავრცელებას არბენსის მთავრობაში არავითარი უშუალო კავშირები არ ჰქონდა საბჭოთა კავშირთან.

უკანასკნელი წლების მანძილზე სულ უფრო მეტი ისტორიკოსი თანხმდება, რომ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ ორგანიზებულმა ამ სამხედრო გადატრიალებამ დიდი ზიანი მიაყენა გვატემალის ახალგაზრდა დემოკრატიას და ათწლეულების მანძილზე განსაზღვრა ამ პატარა ქვეყნის არასტაბილურობა, რასაც შემდგომში 140 ათასი გვატემალელის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო ზოგიერთი, ადამიანის უფლების დამცველი ორგანიიზაციის აზრით 250 ათასი.[7, 179]

ამასთან დაკავშირებით ერთი დეტალიც გვინდა გავიხსენოთ. სამხრეთ ამერიკაზე ზეგავლენის ერთ-ერთი გზა იყო ამერიკაში ძალოვანი სტრუქტურების კადრების მომზადებაც. მაგალითად გამოძიების ფედერალური ბიუროს ეროვნულ აკადემიაში ამზადებდენ კადრებს ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა არგენტინა, ბრაზილია, ჩილე, ურუგვაი, მექსიკა, პანამა და კუბა. ამ აკადემიაში გაწვრთნილი კადრები შემდეგ თავიიანთ ქვეყანებში საიდუმლო პოლიციის უმაღლეს ეშელონებში მუშაობდნენ ხოლმე. არსებული ტრადიციის მიხედვით, ამ აკადემიის კურსდამთავრებულები სურათს იღებდნენ გამოძიების ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელ ედგარ ჰუვერთან. ასე რომ, შემდგომში ამ საიდუმლო პოლიციაში ნაწამები ადამიანები იხსენებდნენ, რომ თავიანთ მწამებელთა კაბინეტებში ჰუვერის გვერდით მყოფ მწამებელთა სურათებს ხედავდნენ. [8, 415]

თუმცა, ეს უკვე, არა ამერიკის, არამედ თავად ამ ქვეყნების მესვეურთა პოლიტიკის ბრალი იყო.

1957 წელს არმასი მოკლა პრეზიდენტის სასახლის დაცვის წევრმა. ამასთან დაკავშირებით ეიზენჰაუერმნა დიდი მწუხარება გამოთქვა – „ეს დიდი დანაკლისია მთელი მისი ერისა და მთელი მსოფლიოსთვის. იგი ჩემი პირადი მეგობარი იყო და გვატემალა კომუნისტურ საფრთხეს გადაარჩინა." აღნიშნა მან.თუმცა სამძიმრის ტექსტი ძალზე მოკლე იყო.[2, 570]

არმასის მომდევნო ხელისუფალი მიგიუელ იოდგორას ფუენტესი კიდევ უფრო რეაქციული მმართველი აღმოჩნდა, სამაგიეროდ მტკიცე ანტიკომუნისტი იყო. [9, 93]

ვაშინგტონის თვალსაზრისით, ეს მნიშვნელოვანი, იაფი და კარგად შენიღბული გამარჯვება იყო კომუნიზმზე ცივი ომის მსვლელობისას. ამან ამერიკის მთავრობას მსგავსი საიდუმლო ოპერაციების ეფექტურობა დაუდასტურა.[5, 104-105] შემდგომში ირანისა და გვატემალის ოპერაციების წარმატებები გარკვეულ მოდელად იქცა სადაზვერვო სააგენტოსთვის, რომელმაც ეს გამოცდილება რეჟიმების ცვლის სხვა მცდელობებშიც გამოიყენა – წარუმატებელად კუბაში 1960-იან წლებში და წარმატებულად ჩილეში 1973 წელს. თუმცა ზემოხსენებულ, 1999 წელს გამოშვებულ წიგნში, ამ ოპერაციის მკვლევარი ნიკ გალაჰერი, ცსს-ს გამოქვეყნებული დოკუმენტების საფუძველზე ამტკიცებს, რომ ეს ოპერაცია უაღრესად ცუდად და უნიჭოდ ჩატარდა და მხოლოდ შემთხვევით დასრულდა წარმატებით.

მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ მსგავსმა ოპერაციებმა ანტიამერიკული სულისკვეთება გაზარდა და მთელი თაობის რადიკალიზიცია გამოიწვია ლათინურ ამერიკაში, რისი ყველაზე ცნობილი მაგალითიც იყო ფიდელ კასტრო და ჩე გევარა. [10, 263]

ერთი შეხედვით, ეიზენჰაუერმა ადვილად და იაფად, ამერიკული არმიის გამოყენების გარეშე მოიგო ომი კომუნიზმის წინააღმდეგ გვატემალში, მაგრამ, ამასთან ერთად, სერიოზული პრობლემები შეუქმნა გვატემალის ახალგაზრდა დემოკრატიას და შეერთებულ შტატებსაც მრავალი მტერი გაუჩინა რეგიონში.

მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რა საფრთხეს წარმოადგენდა კომუნიზმი თავისუფალი სამყაროსთვის, ამერიკის მოქმედება, მიუხედავად სერიოზული ხარვეზებისა, არც ისე უსაფუძვლო იყო და იგი სწორედ კომუნიზმის წინააღმდეგ არსებული გლობალური დაპირისპირების ჭრილში უნდა განვიხილოთ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Public Papers of the Presidents of the United States. Dwight D Eisenhower, 1953, Containing the Public Messages, Speeches, and Statements of the President., US Government Printing Office 1960.
2. Public Papers of the Presidents of the United States. Dwight D. Eisenhower, 1957, Containing the Public Messages, Speeches, and Statements of the President., US Government Printing Office 1958.
3. Foreign Relations of the United States, 1952-1954, Guatemala, Editor, Susan K. Holly, United States Government Printing, Washington, 2003.

4. *Problems in American Foreign Policy, Volume II: Since 1914.* Documents and Essays Edited by Thomas G Paterson, D.C. Heath and Company Lexington , Massachusetts Toronto, 1980.
5. Cohen Warren I., *The Cambridge History of American Foreign Relations*, Volume IV. America in the Age of Soviet Power 1945-1991, Cambridge University Press, N.Y., 1993.
6. Cullather, Nick (1999). *Secret History: The CIA's classified account of its operations in Guatemala, 1952-1954.* Stanford University Press.
7. Diane Stanley, *For the Record: United Fruit Company's Sixty-Six Years in Guatemala.* Centro Impresor Piedra Santa, 1994.
8. Gentry J. Court, *Edgar Hoover the Man and the Secrets*, W.W. Norton & Company N.Y., London, 1991.
9. Pach Chester J, Jr. , Richardson Elmo, The Presidency of Dwight Eisenhower University Press of Kansas, 1991.
10. Walker Martin, *America Reborn, A Twentieth-Century Narrative in Twenty-six Lives*, Vantage Books, A Division of Random House, Inc N.Y., 2001.

Vasil Kacharava
Ph. Doctor, Professor of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University and International Black Sea University

Coup D'état in Guatemala and the CIA

Summary

Based on D.Eisenhower's presidential papers, recently published documents of the State Department and other sources, the present paper makes an attempt to evaluate the reasons and results of the coup d'état organized in 1954 by Colonel Castillo Armass, with the help of Central Intelligence Agency.

The 1952 agrarian reform in Guatemala implied partial nationalization of the plantations of the American 'United Fruit Company'. In the opinion of American politicians and CIA experts, this reform humiliated American business and was Communist in nature, nurturing Soviet influence not only in Guatemala, but in the other countries of the region. Correspondingly, the US actively helped rebellious colonel Castillo Armass, stipulating his victory.

Such a turn had a negative international resonance and Guatemala soon became the symbol of resistance against America.

In recent years more and more historians agree that this military overthrow created serious problems to Guatemala's young democracy and for decades determined instability in this little country.

On the other hand, taking into consideration the Communist threat for the free world, American's action in Guatemala, besides serious gaps, looks not so groundless and could be examined in the framework of global struggle against Communism.

თორნიკე შურღულაია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტოლოგიის მიმართულების დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აშშ-ის საგარეო დაზვერვის სტრატეგია

„საჭიროა ძალისა და სამართლიანობის შერწყმა; ამიტომ ან სამართლიანობა უნდა გახდეს ძლიერი, ანდა ძალა სამართლიანი“

ბლეზ პასკალი

აშშ-ის მიერ მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე მოპოვებული პრესტიჟი და მისი აქტიური როლი თანამედროვე დინამიურ მსოფლიოში მეტად ართულებს და უდიდეს მისიას აკისრებს ამ ქვეყნის სპეცსამსახურებს. აშშ-ის პოლიტიკურ დომინანტობას და მის საგარეო პოლიტიკურ კურსს უამრავი რადიკალურად განწყობილი სახელმწიფო უპირისპირდება. XXI საუკუნეში ტექნოლოგიური ნოვაციების ეპოქაში აშშ-ის სპეცსამსახურებს უფრო მეტი პროფესიონალიზმის გამოვლენა მართებთ, რათა აღკვეთონ მტრულად განწყობილი სახელმწიფოების მიერ აშშ-ის სახელმწიფო სტრუქტურებში გავლენის აგენტების დამკვიდრება და შპიონაჟის კიდევ უამრავი თვისობრივი ქმედებანი. საუკუნეები გავიდა, მაგრამ სპეცსამსახურების მიზნები და ამოცანები არ შეცვლილა. შეიცვალა მხოლოდ მათი განხორციელების მატერიალური საშუალებები და ხერხები. ხოლო მეთოდები და მათი სპეციფიკა უფრო დახვეწილი და დაუნდობელი გახდა. სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა უფრო მობილური და შედეგიანი გახადა სპეცსამსახურების საქმიანობა და ამჟამად მსტოვართა ადამიანურ რესურსს ხშირად კოსმოსური თანამგზავრი-მზვერავები ცვლიან. „სუსტი სპეცსამსახურები = სუსტ სახელმწიფოს.“

აშშ-ის ყველა სახელმწიფო სტრუქტურა მეტად თავისებურად არის ორგანიზებული. ამ ქვეყნის შექმნის და განვითარების ისტორია, გვიჩვენებს, რომ სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური სამინისტროები და უწყებები აშშ-ის ტერიტორიული სიდიდის, გეოგრაფიული მდებარეობის და შიდაპოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით იქმნებოდა. დღეისათვის აშშ-ში 50 შტატი, 12 ეროვნული ბანკი და 14 სპეცსამსახურია. აშშ-ში „წმინდა“ სახის სპეცსამსახურების (ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო, გამოძიების ფედერალური ბიურო, ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო, ანუ „ტექნიკური დაზვერვა“ და თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სააგენტო) გარდა მთელ რიგ სახელმწიფო უწყებებს გააჩნიათ საკუთარი სპეცსამსახურები: მაგალითად სახელმწიფო დეპარტამენტის დაქვემდებარებაში მოქმედებს „დაზვერვისა და კვლევების სამმართველო,“ რომელიც უზრუნველყოფს საგარეო პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მოპოვებას, ანალიზს და ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირთათვის წარდგენას; ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში მოქმედებენ: „ამერიკის საიდუმლო სამსახური,“ რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირთა და მათი ოჯახის წევრების, უცხოეთის ოფიციალური დელეგაციების, აშშ-ის ტერიტორიაზე განლაგებული სხვა ქვეყნების საელჩოების და საკონსულოების დაცვას, ეროვნული საფინანსო სისტემის დაცვას და (ყალბი ფულის, საკრედიტო ბარათების, ფასიანი ქაღალდების დაბეჭდვის და გავრცელების, ასევე „ფულის გათეთრების“) წინააღმდეგ ბრძოლას; „სადაზვერვო უზრუნველყოფის სამსახური“ მას ევალება მსოფლიოში საფინანსო-სავალუტო სფეროში მიმდინარე მოვლენების და ტენდენციების ანალიზი, სხვა ქვეყნების საფინანსო-ეკონომიკური განვითარების შესახებ ღია ინფორმაციის მოძიება, ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება; აშშ-ის ენერგეტიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში მოქმედებს „ეროვნული უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამმართველო“. იქ შეისწავლიან რუსეთის, ჩინეთის, ირანის, ჩრდილოეთ კორეის და სხვა დაპირისპირებული და ბირთვული პოტენციალის მქონე ქვეყნების ბირთვულ პროგრამებს, მონაწილეობენ ბირთვული იარაღის გამოცდის, აღმოჩენის, და საჰაერო-კოსმოსური დაზვერვის სისტემების მეშვეობით მსგავსი ობიექტების დამუშავებაში; აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურაში მოქმედებს „ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაცია“ [1, 187, 188].

ჩამოთვლილი დაზვერვითი ორგანოები გახლავთ აშშ-ის გასაიდუმლოებული სპეცსამსახურების ერთობლიობა რომლებიც იშვიათად ხვდებიან საზოგადოების ყურადღების არეში. აშშ-ის ამ უზარმაზარ საიდუმლო არსენალს კონტროლს უწევს დაზვერვის ცენტრალური სამმართველო, რომელიც ფაქტიურად განსაზღვრავს ამერიკის საგარეო პოლიტიკის მიმართულებას და თეთრ სახლს აძლევს რეკომენდაციებს საგარეო პოლიტიკური კურსის გატარებისას. შემდეგ ეტაპზე დაზვერვის საგარეო სამმართველოს რეკომენდაციებს და ანალიტიკურ ინფორმაციას განიხილავს აშშ-ის უშიშროების საბჭო და საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს კიდეც.

საგარეო დაზვერვის მისია გაცილებით რთული და დიდი რისკების მატარებელია ვიდრე კონტრდაზვერვის მისია და ფუნქციები, რამეთუ კონტრდაზვერვის სპეცსამსახურები ქვეყნის ინტერესებს და მის უსაფრთხოებას იცავენ თავიანთი სახელმწიფოს შიგნით, საკუთარ ტერიტორიაზე და ამის გამო მათ ქმედებებს უფრო მეტი სტიმული და გამბედაობა ახასიათებს. ყოველივე აღნიშნული გამოწვეულია, აგრეთვე ერთგვარი ფსიქოლოგიური მომენტით, ანუ პატრიოტული გრძნობების გამძაფრებითაც, მაშინ როდესაც საგარეო დაზვერვის არალეგალური თანამშრომელი ანუ ჯაშუში მუდმივი გამოაშკარავების რისკის ქვეშ იმყოფება და მუდმივი სტრესული სიტუაციები თანმდევია მისი დაზვერვითი ხასიათის მქონე აქციების შესრულებისას. უცხო ქვეყანაში დიპლომატის სტატუსით დაცული და თბილ კაბინეტში მოკალათებული მზვერავის რისკი, ახლოსაც ვერ მივა არალეგალი აგენტის ყოველდღიურ სტრესთან და მრავალწლიან, სხვის გვარს ამოფარებულ ფარულ ლეგენდებზე აგებულ ცხოვრებასთან.

არალეგალური დაზვერვა ურთულესი პროცესია. ის მოითხოვს ყველა წვრილმანის შესწავლას და გათვალისწინებას. „არალეგალები“ მრავალწლიანი ფარული აგენტურული მუშაობის დაწყების წინ სპეციალურ მომზადებას გადიოდნენ. მომზადების პერიოდის ხანგრძლივობა ინდივიდუალურად განისაზღვრებოდა რეკრუტის პიროვნული თვისებების: მისი ნიჭის, განათლების დონის და სპეციფიკური ინფორმაციის აღქმის უნარის მიხედვით. პირველ ეტაპზე დაწვრილებით ისწავლება იმ ქვეყნის ისტორია, კულტურა, არქიტექტურა და წეს-ჩვეულებები სადაც ფარულად უნდა ეცხოვრათ. მეორე ეტაპზე უკვე ოპერატიული ტექნიკის გამოყენებას ასწავლიდნენ. „არალეგალების“ მთავარი ამოცანა არის: აგენტების გადაბირება, საიდუმლო დოკუმენტაციის ხელში ჩაგდება, თავისი ქვეყ-

ნის აგენტებს შორის ოპერატიული კავშირის უზრუნველყოფა, დივერსიების მომზადება და ჩატარება [1, 148, 149].

დასამალი არ არის, რომ ყველა ქვეყნის სპეცსამსახურს უხდება „ბინძური" და „სისხლიანი" სპეცაქციების (დივერსიული აქტი, ოპერატიული დაინტერესების ობიექტის დროებით მწყობრიდან გამოყვანა...) ჩატარება. ამ ამოცანების რეალობაში განსახორციელებლად აღნიშნულ სტრუქტურებში შექმნილია სპეციალური დანაყოფები, რომლებიც ჩვეულებრივ რაიმე ნეიტრალურ სახელს არიან ამოფარებულნი, რადგანაც სპეცოპერაციების მომზადება და ჩატარება მაქსიმალურად ფარულად უწევთ. აშშ-ის დაზვერვის ცენტრალური სამმართველო არაერთგზის იღებდა მონაწილეობას სახელმწიფოს გარეთ საიდუმლო ოპერაციებში: აუგუსტო პინოჩეტის მიერ განხორციელებული გადატრიალების მხარდაჭერა ჩილეში, კუბელი ლიდერის, ფიდელ კასტროს მკვლელობის მცდელობა, იარაღის მიწოდება იმ ძალებისათვის, რომლებიც სალვადორში იბრძოდნენ კანონიერად არჩეული მთავრობის წინააღმდეგ. აღნიშნული ქმედებები სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში ინტერვენციას ნიშნავს, რაც თითქოს აშშ-ის მიერ ნაქადაგები ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებისთვის სრულიად მიუღებელია [2, 507].

სპეც-ოპერაციების დელიკატურობიდან გამომდინარე შესრულების იარაღიც განსაკუთრებული და უჩვეულო უნდა იყოს. ამიტომ სპეციალურად რომელიმე კონკრეტული ოპერაციის შესასრულებლად სპეცსამსახურების საიდუმლო ლაბორატორიებში მზადდებოდა იარაღი, რომლის გარეგნული სახე და ტექნიკური მახასიათებლები ძალზე განსხვავდებოდა ჩვეულებრივისგან. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საინტერესო ფაქტი. მეორე მსოფლიო ომი მთავრდებოდა. გერმანია დამარცხებისათვის იყო განწირული. მესამე რეიხის ხელმძღვანელები ეძებდნენ გამოსავალს ამ რთული სიტუაციიდან. დიპლომატიისა და საგარეო დაზვერვის დიდი მცდელობის მიუხედავად, მათ ვერ შეძლეს „დიდი სამეულის" გახლეჩვა. გერმანიის საგარეო საქმეთა რეიხსმინისტრ რიბენტროპის წინადადებით გადაწყდა „დიდი სამეულის" ყველაზე საშიში წევრის სტალინის ფიზიკური ლიკვიდაცია. კონკრეტული მოქმედების გეგმა განსაზღვრა გერმანელი გამომგონებლების მიერ შექმნილმა ახალმა ცეცხლსასროლმა იარაღმა (ავტოკალამმა), რომელიც 6-8 მეტრიდან სასიკვდილოდ აზიანებდა მიზანს.

რიბენტროპმა თავისი იდეა ჰიტლერს, ჰიმლერს და ბორმანს გაუზიარა. ტერაქტის უშუალო შემსრულებლად გერმანიის საგარეო დაზვერვის შეფი ვალტერ შელენბერგი დასახელდა. გერმანიის მხა-

რეს უნდა მიეღწია და სტალინი უმაღლესი დონის ორმხრივ ფარულ მოლაპარაკებებზე უნდა შეეტყუებინა, იქ კი შელენბერგი „ავტოკალამს“ გამოიყენებდა. აღნიშნულ გეგმას ჩასახვისთანავე ჩავარდნა ელოდა. ამ გეგმის აბსურდულობა იმაში მდგომარეობდა, რომ ისედაც ეჭვიანი სტალინი არაფრის დიდებით არ დაჯდებოდა მოლაპარაკების მაგიდასთან დამარცხებისათვის უკვე განწირულ მტერთან [3, 111, 112].

ძნელად წარმოსადგენია ის საიდუმლო არსენალი, რომელსაც XXI საუკუნის პროგრესული სახელმწიფოების სპეცსამსახურები ფლობენ და იყენებენ თავიანთი მიზნების განსახორციელებლად. თუ XX საუკუნის 40-იან წლებში საიდუმლო ტექნიკურ ლაბორატორიებს შეეძლოთ ასეთი სპეცტექნიკის და მექანიზმების შექმნა თანამედროვე ნოვატორულ ეპოქაში უნივერსალურ დონეზე იქნება აყვანილი და განვითარებული აღნიშნული სფეროს ტექნოლოგიური მხარე. ამ არსენალში შედის მაგ: ფოტოაპარატსა და ვიდეოკამერაში ჩამონტაჟებული პისტოლეტის სისტემა, პისტოლეტი კალამი, რომელზეც ზევით უკვე გვქონდა საუბარი, ქოლგის წვერში ჩამონტაჟებული კაფსულა ბიოლოგიური ნივთიერების შიგთავსით და კიდევ უამრავი ნივთები რომლებიც სპეციალისტების ხელში სპეციარაღად იქცევა.

აშშ-ის დაზვერვის ცენტრალური სამმართველო საიდუმლო ინფორმაციას მოიპოვებს და აანალიზებს პარტნიორი ქვეყნების ტერიტორიაზეც. ეს ერთგვარი კანონზომიერებაც გახლავთ, რამეთუ აშშ-ის მზვერავს ინფორმაციის მოპოვება რა თქმა უნდა უფრო უადვილდება პარტნიორი, ევრო-კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში ვიდრე მასთან დაპირისპირებულ და მტრულად განწყობილ ირანის მუსლიმანური სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც ირანის უშიშროების სამსახური სავაკი უცხოელებს მუდმივ კონტროლს უწესებს. აქედან გამომდინარე ლოგიკურია ვაღიაროთ, რომ აშშ-ის დაზვერვის ცენტრალური სამმართველო სპეცაქციებს ატარებს დედამიწის თითქმის ყველა წერტილში. მისი სტრუქტურაც, ხომ ანუ განყოფილებები სწორედ გეოგრაფიული ნიშნით არის აგებული და დაყოფილი. ამერიკის ჯაშუშები საიდუმლო ინფორმაციის მოსაპოვებლად აქტიურად მოღვაწეობენ: აზიასა და აფრიკაში, ავსტრალიასა და ლათინურ ამერიკაში, ახლო და შორეულ აღმოსავლეთში და რაც მეტად საინტერესოა ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზეც ანუ, როგორც ავღნიშნეთ ევროპის ქვეყნებშიც. აშშ-ის დაზვერვის ჯაშუშები დღითი-დღე უფრო მტკიცედ მკვიდრდებიან სხვადასხვა კონტინენტზე და ამრავლებენ თავიანთ

აგენტურულ ქსელს. მათი პრიორიტეტული მხარე გავლენის აგენტების გადმობირება გახლავთ, რაც უმაღლეს მიღწევად მიიჩნევა არალეგალურ მზვერავთა წრეში [4, 123].

ხშირად ხდებოდა ხოლმე რომ თვით აშშ-ის დაზვერვის სპეცსამსახურებში მკვიდრდებოდნენ უცხო ქვეყნის ჯაშუშები. ეს განსაკუთრებით „ცივი ომის" აშშ-ისა და საბჭოთა რუსეთის დაპირისპირების ეპოქაში იყო დამახასიათებელი, რაზეც ისტორიული ფაქტებიც მეტყველებს. ამისათვის საკმარისია მაგალითად მოვიყვანოთ კემბრიჯის ხუთეული. მათ აშშ-სა და მის პარტნიორ სხვადასხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში საკმაოდ მაღალი თანამდებობები ეკავათ, თუმცა ასეთი შემთხვევები დამახასიათებელი რუსეთის სპეცსამსახურებისთვისაც იყო. საკმარისია აღნიშნულის ფაქტად მოვიყვანოთ ვიქტორ სუვოროვის, თავდაცვის გენერალური შტაბის დაზვერვის მთავარი სამმართველოს მაიორის გაქცევა დასავლეთში. ერთი ქვეყნის სპეცსამსახურის თანამშრომლის უცხო ქვეყნის მხარეზე გადასვლა და სახელმწიფო ღალატი, რაც ბევრ ქვეყანაში მკაცრად ისჯება მრავალი მიზეზით არის გამოწვეული, ესენია: პროტესტის გრძნობა სახელმწიფოს ან კონკრეტულად სტრუქტურაში მმართველი წრეების მიმართ; რელიგიური ან სხვა საწინააღმდეგო შეხედულებებიდან გამომდინარე, ასევე შესაძლებელია ფინანსური (ანგარება) დაინტერესების ქონა, ან სხვა სახელმწიფოს წყობის მიმართ სიმპატიების ქონა რაც ბევრი ფაქტორით შეიძლება იყოს გამოწვეული, კერძოდ უცხოეთში განათლების მიღება, ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე (მეუღლე, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა, ან უცხოელი მშობლები...).

აშშ-ის დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს ოფიციალური საიტი იუწყება, რომ მხოლოდ 1995-2002 წწ. პერიოდში საიდუმლო ინფორმაციის გავრცელების გამო აღიძრა რამდენიმე ასეული სისხლის სამართლის საქმე სახელმწიფოს ღალატის მუხლით. აღნიშნული საქმეები გადავიდა იუსტიციის სამინისტროს ხელში, რათა გატარებული ყოფილიყო კონტრდაზვერვითი პრევენციული აქციები, რომელიც მომავალში მათ ქვეყანას ააცილებდა თავიდან არასასიამოვნო ფაქტებს, ხოლო ინფორმაციის გამავრცელებელი, რომელმაც დიდი ზიანი და ზარალი მიაყენა სახელმწიფოს სათანადოდ დაისჯებოდა და ეს იქნებოდა გაფრთხილება სხვა დანარჩენებისთვის. ამჟამად აშშ-ის დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოს ასეულობით რეზიდენტურა აქვს განლაგებული სხვადასხვა ქვეყანაში. აღნიშნულ რეზიდენტურებში მოქმედებენ, როგორც ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ანუ ტექნიკური დაზვერვის აგენტები

ასევე სხვა მრავალი აშშ-ის გასაიდუმლოებული სპეცსამსახურის ჯაშუშები, რომელთაც კონკრეტული დავალება აქვთ განსაზღვრული. რეზიდენტურების შემადგენლობაში მყოფ ჯაშუშებზე კონტროლს ახორციელებს დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს უცხოეთის რეზიდენტურის უფროსი რეზიდენტი, რომელიც ერთგვარ ობობის ქსელისმაგვარ აგენტურულ კავშირებს ამყარებს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. ყოველივე ეს გახლავთ მხოლოდ მცირედი ნაწილი იმ დიდი საიდუმლო იმფორმაციისა, რაც ცხრაკლიტურს მიღმა არის გასაიდუმლოებული საზოგადოებისაგან. დასკვნის სახით ავღნიშნავდი, აშშ-ის სადაზვერვო უწყება დაზვერვის ცენტრალური სამმართველო, რომელიც მხოლოდ აშშ-ის სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ არის დაკავებული საქმიანობით, 17-18 ათას თანამშრომელს ითვლის, ხოლო კონტრაქტით აყვანილი და ქოლგის ქვეშ სხვადასხვა გადამფარავ ორგანიზაციებში მოღვაწე არაოფიციალური თანამშრომლების ჩათვლით 40 ათასს აღწევს.. [5, 545, 549].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბესიკ ალადაშვილი, შპიონაჟის საიდუმლო, თბ., 2007.
2. ენდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკა, თბ., 2008.
3. ბესიკ ალადაშვილი, სპეცსამსახურები და შპიონაჟი, თბ. 2005.
4. Александр Асеевский, Цру: Шпионаж, Терроризм, Зловешие планы, Москва 1988.
5. Энциклопедия спецслужб, Москва 2008.
6. Ф. Сергеев, Если сорватъ маску..., Москва" 1983.

Tornike Shurgulaia

Doctorat le student of the Georgian Technical University faculty of Humanitarian and Social sciencies, Assistant Professor of the Georgian Technical University

Strategy of US foreign Intelligance

Sammary

The Central Intelligence Agency (CIA) is divided into four main directorates, or branches. The Directorate of Operations conducts covert activities around the world. The Directorate of Science and Technology interprets data

gathered from electronic transmissions, spy satellites, and other sources. The Directorate of Intelligence produces analyses for policy makers by synthesizing information from the CIA and other federal agencies. The Directorate of Administration oversees the agency's finances and personnel and monitors internal security.

The Central Intelligence Agency (CIA) is an independent government organization, founded under the National Security Act of 1947. The agency is a leader among the 14 agencies and organizations in the United States Intelligence Community. The mission of CIA is to support the president, the National Security Council (NSC), and other officials involved in national security policy by providing accurate, comprehensive, and timely foreign intelligence on national security topics. CIA also supports the chief executive and the national security policy leadership by conducting counterintelligence operations, special activities, and other duties relating to foreign intelligence and national security as directed by the president. The CIA in the 1990s increased its openness with the American public, and provides relatively detailed information about its organizational structure, through which the director of Central Intelligence (DCI) oversees the four directorates (Administration, Intelligence, Science and Technology, and Operations), as well as numerous other offices.

CIA officers may be involved in counterintelligence, which is designed to preserve U.S. national security by protecting American assets from foreign spying. Additionally, operatives of the CIA may at times engage in actions such as the spreading of propaganda or disinformation; the use of blackmail or other means to put pressure on enemy operatives; and give support to overseas political or military groups whose objectives align with U.S. interests.

ზურაბ კვეტენაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

რუსეთის როლი და ადგილი გლობალურ გეოპოლიტიკაში

საერთაშორისო არენაზე დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ რუსეთის თანამედროვე პოლიტიკა შეიძლება სერიოზულ პრობლემად იქცეს კაცობრიობისათვის. ამგვარი აზრი განსაკუთრებით გაძლიერდა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ – საქართველოს ომის შემდეგ, როცა ცივილიზებულმა სამყარომ ერთხმად დაგმო რუსეთის აგრესია მეზობელ საქართველოზე. თავად რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა კი თავს იმით იმართლებს, რომ ამგვარი მოქმედებით თავისი მოქალაქეების უსაფრთხოება დაიცვა და ფართომასშტაბიანი ომი ააცილა კავკასიის რეგიონს. რუსეთმა გაიმეორა კოსოვოს პრეცენდენტიც და აღიარა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ამით კი საფუძველი შექმნა თავისი ბაზების ამ სეპარატისტულ რეგიონში „სამართლებრივი“ განთავსებისათვის.

დასავლეთის რეაქცია თავიდან მწვავე იყო, მაგრამ საბოლოო ჯამში ის რუსეთთან მაინც დათბობის პოლიტიკას დაადგა, რეალისტურად შეაფასა მოვლენები და პირდაპირ მიანიშნა, რომ რუსეთს ჭირდება დასავლეთი და დასავლეთსაც ჭირდება რუსეთი.

რა სურს რუსეთს? ხომ არ ეწინააღმდეგება ის დღეს მსოფლიო გლობალურ პროცესებს? რუსი პოლიტიკოსები სისტემატიურად უსვამენ ხაზს იმას, რომ ერთპოლუსიანი მსოფლიოს ფორმირება მიუღებელია რუსეთისათვის, რომ მსოფლიო მრავალფეროვანია და გეოპოლიტიკური ცვლილებები რეგიონალურ პრინციპებზე უნდა იყოს დაფუძნებული და არა ლიბერალურ – დემოკრატიული იდეოლოგიის საკუთარ ინტერესებში ჩაყენებასა და ძალადობრივ გავრცელებაზე. ე.ი. რუსეთისათვის კატეგორიულად მიუღებელია „ისტორიის დასასრულის“ დასავლური გაგება და მიიჩნევს, რომ რუსეთის როლი და ადგილი მსოფლიო გეოპოლიტიკაში, მართალია სსრკ-ის დაშლის შემდეგ შეიცვალა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი და ძლიერია.

რუსეთის ამბიციებს მსოფლიო პოლიტიკაში უდავოდ აქვს რეალური საფუძველი. ცივი ომის დასასრულმა და სსრკ-ის დაშლამ მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა რუსეთის ფედერაციას. დანგრეული ეკონომიკა, ინფლაცია, დემორალიზებული ჯარი, კრიმინალური

სტრუქტურები, კორუფციის აღზევება. დაახლოებით ამგვარი იყო ელცინის რუსეთი, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებაში მოვიდა ფიგურა, რომელმაც ძირეულად შეცვალა არსებული მდგომარეობა და რუსეთს მსოფლიო არენაზე ახალი იმპულსი შესძინა.

რუსეთის ახალმა პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რეალურად შეაფასა მოვლენები და პირველ რიგში აშშ-სთან ურთიერთობების მოგვარება დაიწყო. ამ სახელმწიფოებს შორის სერიოზულ დათბობას ხელი შეუწყო 2001 წლის 11 სექტებრის ტერაქტმა აშშ-ში. ამ ვითარებაში პრეზიდენტ პუტინის ვიზიტი აშშ-ში ორ ქვეყანას შორის დაგროვილი პრობლემების განხილვასა და მსოფლიოში მიმდინარე აქტუალური საკითხების გადაწყვეტას დაეთმო. არსებობდა და არსებობს ისტორიული მეხსიერებაც, აშშ და რუსეთი (სსრკ) მეორე მსოფლიო ომში მოკავშირეები იყვნენ.

პრეზიდენტ პუტინის მიერ ამერიკის შეიარაღებული დანაყოფების ცენტრალურ აზიაში დაშვება, შეიძლება ითქვას რევოლუციური გადაწყვეტილება იყო [4,32]. ეს ხელს უწყობდა რუსეთის დასავლეთთან ინტეგრირებას, მაგრამ მოკლევადიან პერიოდში რუსეთის საზოგადოებისათვის პრეზიდენტის ამგვარი გადაწყვეტილება ძნელი ასახსნელი იყო. უკმაყოფილება გამოხატა კიდეც რიგმა პოლიტიკურმა პარტიებმა, სამხედროებმა და ა.შ. მაგრამ დრომ აჩვენა, რომ პუტინის საქციელი სწორი იყო.

პუტინს, პირველ ყოვლისა, ამერიკისაგან მხარდაჭერა სჭირდებოდა, რათა მომხდარიყო შეთანხმება ეროვნული თავდაცვის სისტემასა თუ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ავღანეთში აშშ-სადმი ომის მხარდაჭერამ რუსეთში ყველას ნათლად დაანახვა დასავლეთთან ალიანსში ყოფნის მომგებიანობა და მის მოწინააღმდეგეთა ბანაკში ყოფნის ნეგატიური მხარეები. დასავლეთთან პარტნიორულმა ურთიერთობამ პუტინს საშუალება მისცა მზერა „ენერგეტიკული იმპერიის" შექმნისაკენ მიეპყრო და „ელცინიზებული" რუსეთი კვლავ მსოფლიოს ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ ექცია. ევროპა მნიშვნელოვნად გახდა დამოკიდებული რუსეთის ენერგეტიკაზე.

რუსეთი ასეთი როლით მაინც არ დაკმაყოფილდა, იმპერიულმა ამბიციებმა ისევ იჩინა თავი და საერთაშორისო ურთიერთობებში კვლავაც გაჩნდა წინააღმდეგობა. რუსეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირება კოსოვოში მიმდინარე მოვლენების დროს დაიწყო. კოსოვოს ომმა სერიოზული ფსიქოლოგიური და პოლიტიკური ცვლილებები გამოიწვია არა მარტო რუსეთის მოსახლეობაში, არამედ ქვეყნის პოლიტიკურ ელიტაშიც.

ნატოსთან მიმართებაში რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრაგმატიზმი ეფუძნებოდა განვითარებულ მოვლენებს. პუტინმა 2007 წ. სატელევიზიო გამოსვლისას აღნიშნა, რომ თუ კოსოვო შეიძლება იყოს დამოუკიდებელი, რატომ არ შეიძლება აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთიც იყოს დამოუკიდებელი. ვფიქრობთ, რომ რუსეთის მხრიდან იყო დაშვებული შეცდომა იმ თვალსაზრისით, რომ მან სრულად არ გამოიყენა ის შესაძლებლობები, რომლებსაც მას ნატოსთან თანამშრომლობის დოკუმენტები უქმნიდა [4,34]. ასეა თუ ისე, კოსოვოს პრეცენდენტი მაინც მოხდა, რამაც რუსეთის უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია, შედეგად კი რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება მივიღეთ. რუსეთის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა სატელევიზიო გამოსვლისას აღნიშნა, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს შემდეგ მსოფლიო შეიცვალა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთი მსოფლიოში თანასწორი მოთამაშეა და კავკასიაში და ზოგიერთ სხვა რეგიონში გეოპოლიტიკურ ცვლილებებს არ დაუშვებს. რუსეთის საგარეო საქმეთა უწყებამ არაერთხელ გააჟღერა მოსაზრება, რომ თუ უკრაინა და საქართველო შევა ნატოში ეს იქნება გეოპოლიტიკური ცვლილება, რაც რუსეთს უკარნახებს გადახედოს საკუთარი უსაფრთხოების კონცეფციას.

დიმიტრი მედვედევის აზრით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალ პრეზიდენტად ბარაკ ობამას არჩევამ ორი ქვეყნის ურთიერთობა მკვეთრად უნდა გააუმჯობესოს. რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა: „არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ინერციით ბევრი სახელმწიფო იმას აკვირდება, თუ საიდან ქრის ქარი რუსეთ – ამერიკის ურთიერთობებში. დიახ, დღეს ამ ურთიერთობებს არცთუ ისე მარტივი პერიოდი აქვს. ჩვენც ძალიან ბევრი კითხვა გვაქვს, მათ შორის მორალური კუთხით. მაგრამ ჩვენ არ გვაქვს პრობლემა ამერიკელ ხალხთან. ჩვენ არ გვახასიათებს მტრული ანტიამერიკანიზმი და ვიმედოვნებთ, რომ ამერიკის ახალი ადმინისტრაციაც არჩევანს რუსეთთან სრულყოფილი ურთიერთობების განვითარების სასარგებლოდ გააკეთებს“ [5]. რუსეთის პრეზიდენტმა კონკრეტული წინადადებაც შესთავაზა საერთაშორისო თანამეგობრობას. „ჩვენ გამოვდივართ გაეროს კარგად გააზრებული რეფორმის ინიციატივით, რეფორმებზე დაყრდნობით კი აუცილებელია გაეროს შეიარაღებაზე კონტროლის საერთაშორისო რეჟიმის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. შეიარაღებაზე კონტროლის განხორციელებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ოფიციალურ მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთქმედებას ენიჭება“ [5]. საგარეო პლიტიკური თვალსაზრისით რუსეთი მიიჩნევს, რომ აუცილებელია

კრიზისული სიტუაციების რეგულირებისათვის უნივერსალური დიპლომატიური მეთოდების შემუშავება. მედვედევის აზრით, ევროპის უსაფრთხოების ხელშეკრულების მიღება შეთანხმების მონაწილეთათვის ქცევის წესებს გასაგებს გახდიდა. ამ ხელშეკრულებამ ხელი უნდა შეუწყოს კონფლიქტების გადასაწყვეტად ერთიანი მიდგომის შემუშავებას და შეიარაღებაზე კონტროლისათვის საიმედო ინსტრუმენტის შექმნის თაობაზე პოზიციების დაახლოებას.

რუსეთის ახალი როლი გლობალურ გეოპოლიტიკაში ნაკარნახევია ისტორიული მეხსიერებით და გარკვეული რევანშისტული განწყობითაც. იმიტომ, რომ სსრკ-ს დაშლის შემდეგ რუსეთის გეოპოლიტიკურმა დანაკარგებმა საგარეო პოლიტიკური ასპექტით სერიოზულ მასშტაბებს მიაღწია. რუსეთის ფედერაციის თანამედროვე საზღვრები, განსხვავებით სსრკ-ს საზღვრებისაგან წარმოადგენს ამ სახელმწიფოსა და რუსი ერის ნაციონალურ სიამაყეს. ამიტომ ახალ რეალობაში რუსეთის გეოპოლიტიკური ფუნქცია მთლიანად დაეფუძნება გლობალურ და რეგიონალურ ძალთა პოლუსს [2,135]. ჩვენი აზრით, ევროპა ხელს არ უშლის რუსეთის პოლუსის ჩამოყალიბებას და იგი მის ინტერესებში შედის, რადგან იზოლირებული და ამბიციადაუკმაყოფილებელი რუსეთი გაცილებით დიდი საფრთხე შეიძლება იყოს მსოფლიოსათვის.

ვფიქრობთ, ამერიკული ძალის პოლუსი XXI ს-შიც შეინარჩუნებს სიძლიერეს და გაბატონებულ მდგომარეობას მსოფლიოს მრავალპოლუსიან სტრუქტურაში, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისტორიული კანონზომიერება, რომელიც დღემდე უდავოდ მოქმედებს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში. ჯერ კიდევ ვენის კონგრესიდან მოყოლებული, ლამის აქსიომატურ ჭეშმარიტებად იქცა: ერთი, ცალკე აღებული სახელმწიფოს ნებისმიერი მისწრაფება გლობალური ბატონობისაკენ, (თუნდაც ეს ყველაზე ნათელი იდეალებით იყოს ნაკარნახევი) უეჭველად წააწყდება მძაფრ წინააღმდეგობას გაერთიანებული სახელმწიფოებისა და საზოგადოებრივი მოძრაობების მხრიდან, ყოველივე ამას დღეს ანტიგლობალისტური მოძრაობის სახელით იცნობენ. რუსეთი ვფიქრობთ, კვლავაც შეეწინააღმდეგება ერთპოლუსიანი მსოფლიოს ფორმირებას და იგი ამ ბრძოლაში მარტო არ იქნება.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Кефели И. Ф., Судьба России в глобалной геополитике, СПБ., 2004.

2. Кефели И. Ф., Философия геополитики, СПБ., 2007.
3. Ивашов Л.Г., Харанить не спешите Россию, М., 2005.
4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის ბიულეტენი, №11, თბ., 2001.
5. გაზ. „24 საათი", 6 ნოემბერი, 2008.

Zurab Kvetenadze
Professor of the Georgian Technical university

Russia's role and place in global geopolitics

Summary

The political leadership of Russian federation pull it fourth one-polus world is quite impermissible for the manhood. The world must be many polused and geopolitical changes mustn't be based on interfering someone's interests. When having changed reality Russia tries to create its own geopolitical force polus. Europe has right diplomatic relations and supposes that isolated Russia will be for more frightening to the world. The president of Russia Medvedev remarked (on TV) that since august 2008, the world has changed greatly and said that Russia remains as one of the political players in the world and II reamer in future.

The II show events change, but from our point of view European Unions have serious influence on forming Russia's new polus.

კორნელი კაკაჩია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ამერიკული დიპლომატიის „ახალი ტონი“ და საქართველო

„ისტორია ადასტურებს რომ დიდი სახელმწიფოებს არა სურთ საკუთარი თავის გაწირვა თავიანთი მცირე მოკავშირეების ინტერესების სასარგებლოდ.“

ბარბარა კონრი

მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების ფონზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებებს. გლობალური ცვლილებების გავლენით მსოფლიოში ყალიბდება ახალი წესრიგი, რომლის ჩამოყალიბებას თან ახლავს პრობლემები და კონფლიქტები.

დღეს დიპლომატია და საგარეო პოლიტიკური აზროვნება წარმოადგენს ერთ-ერთ იმ მნიშვნელოვან სფეროს, რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს საერთაშორისო უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე.

საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, უკვე აღმოჩნდა კონფლიქტების წინაშე, რომლებმაც მრავალი დაბრკოლება შეგვიქმნეს თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ მიმავალ რთულ გზაზე. სწორედ ამიტომაც საჭიროა, რომ ღრმად გავაანალიზოთ შექმნილი სიტუაცია და გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები. ასევე აუცილებელია, რომ საქართველომ შეძლოს სერიოზული და საფუძვლიანი გეოპოლიტიკური პროგრამის ბაზაზე გამოიმუშავოს რეალისტური, პერსპექტიული საგარეო პოლიტიკა, რომლის ძირითადი გეოპოლიტიკური იმპერატივი იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და თავისუფლების შენარჩუნება. სწორედ ამ მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას ცალკეულ სახელმწიფოებთან. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ურთიერთობების განვი-

თარება ჩვენ მეგობარ სახელმწიფოსთან-ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

აშშ და საქართველო სტრატეგიული პარტნიორები არიან და ამ ურთიერთობებს საკმაოდ მტკიცე საფუძველი აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ურთიერთობები არც ერთი მხრიდან არაა დამოკიდებული არც პირად სიმპატიებზე და არც ხელისუფლების არჩევანზე. ძირითადი პრინციპი რომელსაც ეყრდნობა დღევანდელი პარტნიორობა მდგომარეობს გლობალური საერთაშორისო პოლიტიკის ჭრილში ამ ქვეყნების სასიცოცხლო ინტერესების თანხვედრაში. ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველო, აზერბაიჯანთან ერთად, იქცა აშშ-ს სტრატეგიულ პარტნიორად კავკასიაში. აშშ-ს ინტერესებს კავკასიაში წარმოადგენს: კავკასიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა; ირანის, როგორც ისლამური ფუნდამენტალიზმის კერის შეკავება; ენერგორესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და რეგიონალური დესტაბილიზაციის აცილება.[1, 13-21]

დღეს როდესაც ამერიკის ახალი ადმინისტრაცია უსერიოზულესი ფინანსური და საერთაშორისო კრიზისის პირობებში საკუთარი ვალდებულებების შესრულებისთვის ემზადება, განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოსა და აშშ-ს ურთიერთობები დემოკრატიული ადმინისტრაციის პირობებში და ის საგარეო პოლიტიკური კურსი, რომელსაც ახორციელებს ობამას ახალი ადმინისტრაცია საქართველოს მიმართ.

უნდა აღინიშნოს რომ პრეზიდენტ ჯონ კენედის არჩევის შემდეგ, ამერიკაში არ ყოფილა არც ერთი ახალი ადმინისტრაცია, რომელზეც ასეთ დიდ იმედებს ამყარებდნენ. ყველა გარდაქმნების მოლოდინშია. როგორც ამერიკული დიპლომატიის მაესტრომ ჰენრი კისინჯერმა აღნიშნა: მსოფლიო პოლიტიკის ყველა აქტორი ღიად აცხადებს გარდაქმნებისკენ სწრაფვას, რომელიც მათ თავს მოახვია გლობალურმა კრიზისმა, თანაც მათ სურთ, რომ ეს გარდაქმნები აშშ-სთან ურთიერქმედებაში განახორციელონ.[2]

ამ ახალი პოლიტიკის ნაწილია აშშ-ს პირობა რომ „გადატვირთავს" ურთიერთობებს რუსეთთან ისეთ საკითხებში, რომლებიც ამწვავებდნენ ამ ურთიერთობებს კერძოდ კი ნატოს გაფართოების პოლიტიკას საქართველოსთან და უკრაინასთან მიმართებაში. დასავლეთში დიდი ინტერესით ელოდებიან იმას თუ როგორ მოახერხებს ოფიციალური ვაშინგტონი ერთდროულად განამტკიცოს ურთიერთობები რუსეთთან და უარი არ თქვას საქართველოზე. ამ

მხრივ გარკვეულ ანალიზს საჭიროებს ის პირველი განცხადებები, რომელიც გააკეთეს ახალი ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა.

პირველი მინიშნება საქართველოსთან მიმართებაში გაკეთდა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე 2009 წლის თებერვალში, სადაც ვიცე-პრეზიდენტმა ბაიდენმა აღნიშნა რომ მიუხედავად რუსეთთან უკეთესი ურთიერთობების დამყარების პრიორიტეტულობისა, მისი მტკიცებით ვაშინგტონი „რუსეთს ყველაფერში არ დაეთანხმება" და ხაზი გაუსვა რომ აშშ „არასდროს ცნობს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას" და არც აპირებს „რომელიმე ქვეყნის განსაკუთრებული გავლენის სფეროების აღიარებას". „სუვერენულ ქვეყნებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებისა და საკუთარი მოკავშირეების არჩევის უფლება აქვთ" აღნიშნა მან.[3] თუმცა საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხზე კომენტირებისას იქვე აღნიშნა რომ „ეს გადაწყვეტილება საქართველომ უნდა მიიღოს" რაც დასავლური მედიის აზრით მიუთითებს იმას რომ ბუშის ადმინისტრაციისგან განსხვავებით ახალი ადმინისტრაცია უარს აცხადებს ხელი შეუწყოს საქართველოს ალიანსში სწრაფ გაწევრიანებას.[4] და ეს ყველაფერი დაკავშირებულია იმასთან, რომ ობამას ადმინისტრაცია მოსკოვთან კავშირების განმტკიცებას, ავღანეთთან, ირანთან და ბირთვული შეიარაღების პოლიტიკასთან დაკავშირებით რუსეთის მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობს.

დაახლოებით მსგავსი შინარსის განცხადება გააკეთა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ბრიუსელში საქართველოს და უკრაინის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე 5 მარტს: „შეერთებული შტატები მტკიცედ უჭერს მხარს ამ ქვეყნების სვლას ნატოსკენ...ყველასათვის ცხადი უნდა იყოს რომ ეს ქვეყნები არ უნდა გახდნენ რუსეთის მხრიდან დაშინების და აგრესიის ობიექტი."[5] ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა რუსული მასმედიის გამოხმაურებაც, რომელიც აღნიშნავს რომ ბაიდენის გამოსვლა რუსეთის მიმართ შემრიგებლური პოზიციით გამოირჩეოდა. „ნეზავისიმაია გაზეტას" სიტყვებით ის, რომ კონფერენციაზე საქართველოს პრეზიდენტს გამოსვლის საშუალება არ მიეცა, მიუთითებს რომ ორგანიზატორებს აგრესიული რიტორიკის მოსმენა არ სურდათ, რადგან თვლიან რომ შერიგების დრო დადგა.[6]

თუმცა სიტყვიერი განცხადებების გადაქცევა კონკრეტულ ქმედებებად, უფრო რთული საკითხია და დღემდე უცნობია, თუ როგორ დააბალანსებს შეერთებული შტატები რუსეთთან და საქართველოსთან დაკავშირებით არსებულ ურთიერთგამომრიცხავ ინ-

ტერესებს. ფაქტია, რომ რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობები რთულ სიტუაციაში აყენებს ბარაკ ობამას ადმინისტრაციას, ვინაიდან ამ პრობლემის არსებობა ხელს უშლის მოსკოვთან ურთიერთობების გადაწყობას, რომელსაც ასე ესწრაფვის ვაშინგტონი. ამასთანავე რუსეთის მიერ აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონის სეპარატისტულ ხელისუფლებასთან დადებული ხელშეკრულებები, რომლითაც ის ფაქტიურად უკვე კონტროლს აწესებს საქართველოს ამ ტერიტორიებზე კიდევ უფრო ართულებს ამ ურთიერთობების გადაწყობას. ფაქტიურად ობამას ადმინისტრაციას საკუთარი დიპლომატიის განხორციელებისას ეზღუდება სივრცე და ამას ემატება ისიც რომ კონსერვატორი რესპუბლიკელების უმრავლესობას არ მოსწონს მისი ახალი საგარეო პოლიტიკური ინიციატივები.[7]

მაგრამ ფაქტია, რომ ბარაკ ობამას თეთრ სახლში მისვლისთანავე ორივე მხარის ოფიციალურმა პირები მზად არიან ახალი ურთიერთობების დასაწყებად. ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციისგან განსხვავებით ახალი ადმინისტრაცია ძალიან ფრთხილი იქნება მსოფლიოში „დემოკრატიის მხარდაჭერის“ პოლიტიკის გატარებაშიც. ამასთანავე ამერიკის ახალი მთავრობა უარს ამბობს საერთაშორისო პოლიტიკაში „ხისტი ძალის“ (Hard Power) გამოყენებაზე და როგორც ჰილარი კლინტონმა განაცხადა უპირატესობას ანიჭებს „გონიერი ძალის“ (Smart Power) კონცეფციას. ასეთი პრაგმატული პოლიტიკის წარმოებით ის ფაქტიურად უბრუნდება ეგრეთწოდებული „კოლინ პაუელის“ დოქტრინას, რომელიც გულისხმობს ძალის გამოყენებას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და ისიც გაეროსთან და სართაშორისო პოლიტიკის სხვა აქტორებთან კოორდინირებული მოქმედებების შედეგად.

ახალი რეკომენდაციები და ცვლილებები ნატოსთან მიმართებაში-კომპრომისი პრინციპების ხარჯზე

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე აშკარად საგულისხმოა ორპარტიული კომისის მოხსენება რომელიც ნიქსონის ცენტრისა და ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერებისა და საერთაშორისო საქმეთა ბელფერის ცენტრის ერთობლივი პროექტია და რომელსაც ყოფილი სენატორები-რესპუბლიკელი ჩაკ ჰაგელი და დემოკრატი გერი ჰარტი ხელმძღვანელობდნენ. კომისიამ, რომელიც აშშ-ს ყოფილი მაღალი რანგის დიპლომატებისა და კონგრესის წევრებისგან შედგებოდა, ურჩევს ახალ ადმისტრაციას შეეცადოს გააუმჯობესოს ურთიერთობები რუსეთთან სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის

საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანების საკითხის გადადების გზითაც. მოხსენებაში სახელწოდებით- „რუსეთთან მიმართებაში აშშ-ს პოლიტიკის სწორი მიმართულება"-ნათქვამია რომ, პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ უნდა შეწყვიტოს საქართველოსა და უკრაინის გამხნევება მათი ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რათა მოსკოვთან ურთიერთობები გააუმჯობესოს. აშშ-ის ადმინისტრაციამ უნდა აღიაროს ,რომ არც უკრაინა და არც საქართველო არ არიან მზად ნატოს წევრობისთვის და ამის სანაცვლოდ უნდა შეიმუშავოს ალტერნატიული ვარიანტი, რომლის მეშვეობითაც მოხდება ამ ქვეყნების სუვერენიტეტის მხარდაჭერა. აღიარებს რა, ნატოს ბუქარესტის სამიტზე აღებული ვალდებულებების მნიშვნელობას, კომისიის რეკომენდაციებში ასევე ნათქვამია: „არ მიგვაჩნია, რომ ამ მომენტისათვის უკრაინისა და საქართველოსთვის ნატოში გაერთიანება უსაფრთხოების თვალსაზრისით შეერთებული შტატების გადაუდებელ ინტერესს წარმოადგენს".[8] „მართალია ორივე მათგანს გააჩნია სტრატეგიული ადგილმდებარეობა, მაგრამ მათი ალიანსში გაწევრიანებამ, ამ ქვეყნებში არსებული რეალობიდან გამომდინარე, შესაძლოა უფრო შეასუსტოს, ვიდრე გააძლიეროს საერთოევროპული უსაფრთხოება"[8] - ნათქვამია მოხსენებაში და იქვეა მითითებული, რომ ეს მითუმეტეს ვერ იქნება პოზიტიური იმის გათვალისწინებითაც, რადგან აშშ და ნატო-ც „ისედაც უკვე ბევრი სერიოზული გამოწვევის წინაშე დგანან". სანაცვლოდ მოხსენების ავტორები ამ ქვეყნებს სთავაზობენ „წევრობასთან დაახლოებულ სპეციალურ ურთიერთობებს... რომელსაც შესაძლოა იგივე ფუნქცია ჰქონდეს რაც წევრობას, რათა არ მოხდეს საქართველოსა და უკრაინაში ალიანსში გაწევრიანებაზე „გულის აცრუება".[8]

აცნობიერებს რა რუსეთის „ლეგიტიმურ ინტერესებს" პოსტსაბჭოთა სივრცეში, მოხსენებაში ასევე მითითებულია, რომ აშშ-ს სტრატეგიულ ინტერესებში შედის ხელი შეუშალოს რუსეთის „დომინანტურ როლს რეგიონში, რომელიც ევროპას, აზიას და ახლო აღმოსავლეთს აკავშირებს" და მხარი დაუჭიროს იქ არსებული ქვეყნების დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს. „აშშ-სა და რუსეთს შორის მჭიდრო თანამშრომლობა რუსეთის სამეზობლოში ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ შეერთებულმა შტატებმა თავი უნდა აარიდოს ამ რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად ნულოვანჯამიან კონკურენციას "[8] - ნათქვამია მოხსენებაში. „ამგვარი კონკურენცია აუცილებლად დააზარალებს ამერიკის ინტერესებს, განსაკუთრებით იმიტომ რომ, აშშ-სგან განსხვავებით, რუსეთი თავად მდებარეობს ამ

რეგიონში. ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ ქვეყნების რუსეთისაგან ჩამოცილების ან ამ რეგიონში რუსეთის კანონიერი ქმედებების დაბლოკვის მცდელობები წარმატებით დასრულდეს."[8] აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კომისიამ თავისი რეკომენდაციები, როგორც ობამას ადმინისტრაციის მაღალი რანგის წარმომადგენლებს, ასევე რუსეთის ოფიციალურ პირებს უკვე გააცნო, რაც საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის ახალ გამოწვევას წარმოადგენს.

აშშ-საქართველოს პარტნიორობა უსაფრთხოების სფეროში და სამომავლო პერსპექტივები

საქართველოსა და უკრაინასთან დაკავშირებული რეკომენდაცია აშშ საგარეო პოლიტიკის ცვლილებაზე მიუთითებს ან როგორც ჯერჯერობით ჩანს, ობამას ადმინისტრაცია ამ საკითხის გადაფასების პროცესშია. ამავე დროს ამერიკელი დიპლომატები უკვე გასული წლის ზაფხულიდან მუშაობდნენ იმაზე თუ როგორ უნდა განამტკიცონ აშშ-საქართველოს ურთიერთობები. ამ ურთიერთობებმა კონკრეტული სახე შეერთებული შტატებისა და საქართველოს მიერ სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ხელმოწერის შემდეგ მიიღო. ეხლა უკვე ობამას ადმინისტრაციის გადსაწყვეტია, შეავსებს თუ არა ამ ქარტიას რეალური შინაარსით. და როგორც მოვლენების განვითარება გვიჩვენებს აშშ განაგრძობს უსაფრთხოების სფეროში საქართველოსთან თანამშრომლობას, როგორც ორმხრივ ისე ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში. „ჩვენ ვმონაწილეობთ წვრთნაში, ჩვენ ვმონაწილეობთ სამხედრო რეფორმებში საქართველოში...მე ვფიქრობ ის მიმდინარეობს ისე როგორც დავგეგმეთ"[9]- განცხადა აშშ თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა კრაკოვში ნატოს თავდაცვის მინისტრების არაფორმალური შეხვედრის შემდეგ. მიუხედავად გარკვეული შეზღუდვებისა და საგარეო პოლიტიკური ზიგზაგებისა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის გაღრმავება კვლავ რჩება ობამას ადმინისტრაციის უსაფრთხოების თანამშრომლობის პროგრამის ქვაკუთხედად. ამ პროგრამის ძირითადი მიზანია საქართველოს თავდაცვითი პოტენციალის გაძლიერება. „ჩვენ დავიწყებთ წვრთნით, ეს არის ჩვენი საქმიანობის ღერძი და საფუძველი ...ბევრს ვიმუშავებთ, რათა მივაღწიოთ საჭირო დონეს და ვიმუშავოთ, როგორც პარტნიორებმა საჭირო აღჭურვილობის თვალსაზრისით"[10] - განცხადა ამერიკელმა გენერალმა კართრაითმა 31 მარტს თბილისში გამართული შეხვედრის შემდეგ. მან ასევე აღნიშნა რომ სა-

ქართველო კვლავ მზადაა მეზობლებთან მშვიდობიანი ურთიერთობებისთვის.

ამ კუთხით ასევე უმნიშვნელოვანესი განცხადება გაკეთდა 1 აპრილს ლონდონში გამართულ რუსეთ-ამერიკის მოლაპარაკებებზე, სადაც აშშ და რუსეთის პრეზიდენტებმა ერთობლივ განცხადებაში ხაზი გაუსვეს, რომ საქართველოს საკითხზე განსხვავებული პოზიციების მიუხედავად აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა სტაბილურობის მიზნით. „ჩვენ დავიწყეთ დიალოგი ევროპაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შესახებ. მართალია ჩვენ არ ვეთანხმებით ერთმანეთს გასული აგვისტოს სამხედრო მოქმედებების მიზეზებსა და მოვლენათა თანმიმდევრობაზე, მაგრამ ჩვენ შევთანხმდით, რომ უნდა გავაგრძელოთ დღეს არსებული არასტაბილური სიტუაციის მშვიდობიანი და გრძელვადიანი გადაწყვეტისკენ მიმართული მცდელობები,"[11] - ნათქვამია განცხადებაში. ერთობლივ განცხადებაში ორი ქვეყნის ლიდერები ასევე გამოთქვამენ მზადყოფნას, „ცივი ომის მენტალიტეტის" დასაძლევად და აცხადებენ, რომ მზად არიან „დასახონ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ახალი დასაწყისის გეგმა."

ახალი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკური ვექტორი საქართველოსთან მიმართებაში კიდევ უფრო გამოიკვეთა პრეზიდენტ ობამას განცხადების შემდეგ, რომელიც მან გააკეთა 3 აპრილს სტრასბურგში პრეზიდენტ სარკოზისთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე. „მე ვაკრიტიკებდი რუსეთის შეჭრას საქართველოში, მე კვლავაც მჯერა, რომ მიუხედავად პრეზიდენტ სარკოზის განსაკუთრებული მცდელობებისა რათა მიეღწია ცეცხლის შეწყვეტისათვის, ჩვენ ვერ ვიხილეთ ამ სიტუაციის სტაბილიზაცია."[12] თუმცა მან ასევე დაამატა, რომ ნატომ უნდა აღიაროს რუსეთის ლეგიტიმური ინტერესები, „ჩვენ საერთო ინტერესებიც გვაქვს, ასევე გვაქვს ძირეული უთანხმოებებიც,...არსებობს დიდი პოტენციალი რუსეთთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, თუმცა იქვე დასძინა, რომ მოსკოვი არ უნდა დაუბრუნდეს „ძველებურად საქმის კეთებას".

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის ძნელია მთლიანობაში განვსაზღვროთ ქართულ-ამერიკული ურთიერთობების მომავალი დინამიკა ერთი რამ უდავოა. ობამას ადმინისტრაციის მოსვლისთა-

ნავე საქართველო და აშშ გადადიან თანამშრომლობის ხარისხობრივად სრულიად ახალ ეტაპზე, რომელშიც გარკვეული აქცენტები კეთდება სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში თანამშრომლობაზე. ამასთანავე, შეინიშნება მცდელობა ამ ურთიერთობების უფრო პრაგმატულ ჩარჩოებში მოთავსებისა, რაც გამოიხატება საქართველოში პოლიტიკური ინსტიტუტების განმტკიცების, პრესისა და თავისუფლების, დამოუკიდებელი მართმსაჯულების პრინციპებისადმი დამატებით მხარდაჭერაში. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ქართული პოლიტიკური რიტორიკისთვის გამოწვევაა იმის გაცნობიერება, რომ შეერთებული შტატები, რუსეთთან დათბობის მიმართულებით მიდის, თუმცა როგორც ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის კავკასიის საკითხების მკვლევარი, კორი ველტი აღნიშნავს ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის საქართველოსთან ახლო ურთიერთობებზე უარს ამბობს.[13]

მიუხედავად გარკვეული ცვლილებებისა, როგორც დღევანდელი გადასახედიდან ჩანს ქართულ-ამერიკული ურთიერთობებში, (განსაკუთრებით კი იანვარში ერთობლივი ქარტიის ხელმოწერის შემდეგ [14] არ შეცვლილა საქართველოსათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ორი ფუნდამენტური პრინციპი-საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერის პრინციპი. ამის კონკრეტული გამოხატულებაა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის არაერთი განცხადება, რომელშიც გამოთქმულია სერიოზული შეშფოთება სასაზღვრო სფეროში შეთანხმების გამო, რომელიც რუსეთმა საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან გააფორმა. შეერთებული შტატების აზრით ეს ქმედება ეწინააღმდეგება საფრანგეთის პრეზიდენტის შუამავლობით რუსეთსა და საქართველოს შორის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით რუსეთის მიერ აღებულ ვალდებულებებს და არღვევს საქართველოს ტერიტოტიულ მთლიანობას.[15] ყოველივე ეს კი მიუთითებს, რომ შეერთებული შტატები კვლავ დაინტერესებულია სამხრეთ კავკასიით და კასპიისპირა რეგიონის როგორც ალტერნატიული საექსპორტო ენერგოდერეფნის არსებობა მისთვის ჯერ კიდევ პრიორიტეტულია.

ზემოთაღნიშნული კი გარკვეულ იმედებს ბადებს, რომ მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში ქართულ-ამერიკული ურთიერთობები შეუქცევად ხასიათს მიიღებს, რაც ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის სტრატეგიული ინტერესებისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას რეგიონში. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ აშშ

ყოველთვის მოერიდება პირდაპირ კონფრონტაციას რუსეთთან. ირანისა და ავღანეთის პრობლემის გათვალისწინებით, აშშ ამ ეტაპზე უფრო მეტად დაინტერესებულია რუსეთთან თანამშრომლობით. ეს კარგადაა გამოთქმული სენტენციაში „ვიყოთ ყველას მეგობარი და არავის მტერი“. სწორედ ამიტომ რუსეთთან კონფლიქტის პირობებში საქართველო არ უნდა ელოდოს რაიმე სახის პირდაპირ სამხედრო ჩარევას ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაციისგან. დღეს ამერიკის საგარეო პოლიტიკისთვის რუსეთი საკუთარი ბირთვული იარაღის არსენალით უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე საქართველო. საქართველოს გამო ობამას ადმინისტრაცია მოსკოვთან ურთიერთობების გაფუჭებას არ აპირებს.[16] საშინაო და საგარეო პოლიტიკური მოსაზრებების გამო, ის ასევე ვერასოდეს პირდაპირ ვერ ჩაერევა შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტებში.

სწორედ ამიტომაც პატარა სახელმწიფოსთვის, როგორიც საქართველოა, მნიშვნელოვანია, რომ რომელიმე დიდი სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესი არ გახდეს ილუზიების საფუძველი, განსაკუთრებით კი საგარეო პოლიტიკის ფორმირებისას. *იმედი არ არის და არც შეიძლება იყოს საგარეო პოლიტიკა,* აქედან გამომდინარე არ შეიძლება საგარეო პოლიტიკის გაურკვეველ მოლოდინებზე დაფუძნება, მითუმეტეს როცა საქმე ქვეყნის სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესებს ეხება. ამასთანავე საყურადღებოა, რომ როგორც გლობალურ პოლიტიკას ჩვევია ხოლმე, დიდი სახელმწიფოები ერთმანეთთან ურთიერთობებში სტრატეგიულ საკითხებში კონსენსუსის მისაღწევად ხშირად უგულვებელყოფენ პატარა სახელმწიფოთა ინტერესებს. უფრო მეტიც საკუთარი პრაგმატული მოსაზრებებიდან ან თუნდაც შიდაპოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, მათ შეიძლება თვალი დახუჭონ ჩვენი სუვერენიტეტის ხელყოფის ფაქტზე, თუ ის წინააღმდეგობაში მოვიდა მათთვის უფრო მნიშვნელოვან სტრატეგიულ ინტერესებთან. სწორედ ამ კუთხითაა დაუშვებელი ყოველგვარი „რომანტიზმის“ გამოვლინება საქართველოს საგარეო პოლიტიკაში, რაც ასევე სასიკეთოდ წაადგება ქართულ-ამერიკული ურთიერთობების მომავალს. ასევე უეჭველია რომ, რაც უფრო პრაგმატული პრიციპებზე იქნება აგებული ქართული საგარეო პოლიტიკა, მით უფრო წარმატებული იქნება მისი ურთიერთობა ობამას ახალ ადმინისტრაციასთან.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. კ. კაკაჩია, პოლიტიკური რეალიზმის ამერიკული სკოლა და თანამედროვეობა, პოლიტიკა, 2001.
2. Henry A. Kissinger, Chance for New World Order, "The International Herald Tribune", 12 January 2009. http://www.iht.com/articles/2009/01/12/opinion/edkissinger.php
3. Baiden Joe, Speech at 45th Munich Security Conference, 02/07/09. http://www.securityconference.de/konferenzen/rede.php?menu–2009=&sprache=en&id=238&
4. HIGHLIGHTS-U.S. VP Biden speech at Munich conference. Sat Feb 7, 2009. http://in.reuters.com/article/domesticNews/idINL727473420090207?sp=true'
5. Secretary Clinton's Remarks After NATO Meeting, March, 2009. http://www.cfr.org/publication/18708/secretary–clintons–remarks–after–nato–meeting–march–2009.html
6. **Андрей Терехов,** Мюнхенская перезагрузка, Независимая газета, **2009-02-09. http://www.ng.ru/politics/2009-02-09/1–reload.html**
7. Financial Times, Fresh front threatens Saakashvili, May 5, 2009. http://www.ft.com/cms/s/0/13d7b53e-397b-11de-b82d-00144feabdc0.html
8. Report from the Commission on U.S. Policy Toward Russia -- The Right Direction for U.S. Policy Toward Russia. http://www.nixoncenter.org/RussiaReport09.pdf
9. Informal meeting of NATO Defence Ministers Cracow – Poland. http://www.nato.int/docu/comm/2009/0902-krakow/0902-krakow.htm
10. სივილ ჯორჯია, აშშ ქართულ არმიას გაწვრთნის - ამერიკელი გენერალი, თბილისი, 31 მარტი, 2009. http://www.civil.ge/geo/article.php?id=20799
11. Text of US-Russia statement on nuclear arms, The Associated press, April 1, 2009.
12. Los Angeles Times, Full text of Barack Obama news conference in Strasbourg, France, April 4, 2009. http://latimesblogs.latimes.com/washington/2009/04/full-text-barack-obama-news-conference-strasbourg.html
13. Eurasia Insight, Georgia: Tbilisi tries to get a feel for the Obama Administration, 3 March, 2009.

http://www.eurasianet.org/departments/insightb/articles/eav030609a.shtml
14. ინფორმაცია საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ხელმოწერის შესახებ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი, 2009 წლის 9 იანვარი. http://www.mfa.gov.ge.
15. U.S., NATO, EU Concerned Over Russia Deal With Separatists, RFL/RL, May 1, 2009. http://www.rferl.org/Content/US–NATO–EU–Concerned–Over–Russia–Deal–With–Separatists–/1619643.html
16. Desmond Butler, Analysis: Obama's support of Georgia untested, Associated press, May 2009. http://www.pr-inside.com/analysis-obama-s-support-of-georgia-untested-r1241215.htm

Kornely Kakachia
Associate Professor, Department of Political Science, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

„New Tone" of US Diplomacy and Georgia

Summary

After the election of Baraq Obama as an US president whole world is expecting some changes from new administration. As Henry Kissinger stated „Not since the inauguration of President John F. Kennedy half a century ago has a new administration come into office with such a reservoir of expectations. It is unprecedented that all the principal actors on the world stage are avowing their desire to undertake the transformations imposed on them by the world crisis in collaboration with the United States." Same true for Georgia as well.

Paper deals with US-Georgian political, diplomatic and security relations after the Obama administration and attempts to analize what „new tone" of US Diplomacy means for Georgian foreign policy.

ვახტანგ რჩეულიშვილი
პოლიტოლოგი

საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ფუნქციების შესახებ

ყველა ერს, ისევე როგორც თითქმის ყველა ადამიანს, გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე. ცხადია, გამონაკლისი არც ქართველები ვართ. თუმცა ჩვენი ისტორიაც ტყუპის ცალივით წააგავს სხვა მცირე და საშუალო სახელმწიფოების ისტორიას, მეცნიერულად დასაბუთებულ ფაქტებს ჩვენც მათსავით ხშირად ლამაზ ლეგენდებს ვამჯობინებთ, ანუ საკუთარ უნიკალურობას ადვილად ვიჯერებთ. ამ მიტებს ხშირად თავად ისტორიკოსები ქმნიან, განსაკუთრებით ისინი, ვინც თავისი შრომებით პოლიტიკური მიზნების მიღწევას ცდილობენ – ძველი მემატიანეებიდან დაწყებული თანამედროვე პატრიოტებამდე. მათ შორმებში ხშირად შეხვდები პიროვნებების კრიტიკას (როგორც წესი, უარყოფითად ფასდებიან ხელისუფლებისათვის ბრძოლაში წაგებული ადამიანები), მაგრამ თითქმის არასოდეს არ ამტყუნებენ ერსა და ქვეყანას, განსხვავებით ბიბლიისაგან, რომელიც არა მხოლოდ წმინდა წერილია, არამედ ყველაზე გრანდიოზული ისტორიული ნაშრომიც, სადაც ყველაზე მეტად თავად ებრაელები არიან გაკიცხულნი და დადანაშაულებულნი ისრაელის პრობლემებსა და უბედურებებში. თავად უფალი წყევლის იერუსალიმს ორგულობისათვის და სჯის ისრაელელებს დაუმორჩილებლობისათვის. უფალი აფრთხილებს თავის რჩეულებს, წინასწარმეტყველებს: არ აყვეთ ხალხის სურვილს და არ შეგეშინდეთ აკეთოთ ის, რისაც მათ ეშინიათ (ისაია, 8. 11-15). საქართველოს ისტორია კი ქვეყნის ყველა პრობლემებში მეზობლებსა და მომხდურებს, ანუ სხვა ხალხებს ადანაშაულებს. თუმცა ამასვე აკეთებენ სხვა ქვენების ისტორიკოსებიც. ჩვენი ამბიციების მიუხედავად, საქართველოს ისტორია ხომ მსოფლიო ისტორიის განუყოფელი და ბუნებრივი ნაწილია და იგივე კანონზომიერებებით ვითარდება, რაც სხვა ერებისა. ეტყობა ისტორიას უწინარესად ამღზრდელობით-დიდაქტიკური ფუნქცია ჰქონდა და ამტომაც ქმნიდა პატრიოტულ სტერეოტიპებს. მაგრამ დღეს ისტორიკოსებისაგან ცხოვრება პირუთვნელ და რეალურ ანალიზს მოითხოვს, ვინაიდან სტერეოტიპულ აზროვნებაზე დამყარებული დასკვნები ვერ იქნება მეცნიერული და საპროგნოზოდ არ გამოდგება. სტერეოტიპები და პროპაგან-

დისტული კლიშეებიც თავის როლს ასრულებენ, აუცილებელნი არიან საზოგადოების მობილიზაციისათვის კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად, მაგრამ ეს უფრო საჯარო პოლიტიკოსების საქმეა, ვიდრე ისტორიკოსებისა და პოლიტოლოგების. ზოგიერთი ისტორიკოსის მიერ ქართველების გაუთავებელი ხოტბა-დიდება, ყველაფერში სხვა ერების გამტყუნება იწვევს საკუთარი შესაძლებლობების გადაფასებას, ისტორიული ფაქტების არასწორ ახსნას, ობიექტური პოლიტიკური ანალიზის გაკეთების უუნარობას, თუ გნებავთ ერთგვარ ეროვნული ნარცისიზმსა და საკუთარი თავით ტკბობას.

ცრუ სტერეოტიპებით აზროვნება ცხადია, არსებული ვითარების სიღრმისეულ ანალიზს აძნელებს. ამიტომაცაა, რომ საქართველოს მოსახელეობა ასე ადვილად ჰყვება საპროტესტო აგიტაციას, არარეალური მოთხოვნებით გამოდის ქუჩაში. ვცადოთ, რამოდენიმე განსაკუთრებით საზიანო ცრუ სტერეოტიპის დამსხვრევა.

უწინარესად, ეს არის მითი კეთილ მეფეზე, მესიაზე, მეორე დავით აღმაშენებელზე, რომელიც მოვა და გადაარჩენს საქართველოს. ან ყოველ შემთხვევაში, ძელზე მაინც გასვამს მობეზრებულ პოლიტიკოსებს. დიდი მეფისა და წმინდანის სურათი საქართველოს პარლამენტის ბიუროს ოთახსაც კი ამშვენებს. მაგრამ ეს აბსოლუტურად ფუჭი იმედია. ჭეშმარიტება კი ისაა, რომ კაცობრიობის ისტორიას ქმნიან იმპერიები, ზესახელმწიფოები და არა მცირე ერები და სახელმწიფოები, როგორიც დღეს საქართველოა. დიდი დავითი, ისრაელის მეფე და ძველი აღქმის წანასწარმეტყველი, სწორედ მაშინ მართავდა ქვეყანას, როდესაც ისრაელი ახლოაღმოსავლური იმპერია იყო და სირიაც კი მის შემადგენლობაში შედიოდა [1, 191] ასევე, დავითისა და თამარის დროს საქართველო კავკასიური იმპერია იყო და ყველა დანარჩენი ზასახელმწიფო, კერძოდ სპარსეთი, თურქეთი და ბიზანტია (მოსკოვის რუსეთი მაშინ საერთოდ არ არსებობდა) იმ დროისათვის დასუსტებული იყო. შესაბამისად, დავითის საქართველო ყველაზე კონკურენტუნარიანი სახელმწიფო აღმოჩნდა ახლო აღმოსავლეთში. ეს პერიოდები ისრაელისთვისაც და საქართველოსათვისაც დაახლოებით ერთ საუკუნეს გაგრძელდა და „ოქროს ხანის“ სახელით შევიდა ამ ქვეყნების ისტორიაში. სწორედ იმპერიულმა პერიოდმა გამოიწვია ქართული კულტურის არნახული აყვავება და მოუვლინა მსოფლიოს შოთა რუსთაველის გენია. მაშინ შეიქმნა ქართული ინტელიგენციის ის ფენა, რომელიც დროდადრო, გაჭირვების ჟამს თითქმის ქრება, მაგრამ სათანადო პირობების შექმნისას უმალვე ახალი ენერგიით აღორძინდება და დღესაც გაღვიძე-

ბას ელოდება. იმპერიებს განსაკუთრებული ფუნქციები გააჩნიათ, რომელიც მეოცე საუკუნის ანტიიმპერიალისტურმა განწყობებმა მიჩქმალეს და მათგან ნამდვილი „მტრის სახე" შექმნეს, ხაზს უსვამდნენ რა მხოლოდ იმპერიების დაპყრობით პოლიტიკას. სინამდვილეში იმპერია მართვად ტერიტორიაზე ამყარებდა მშვიდობას, ქმნიდა ერთიან სამართლებრივ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეს, რომელიც საზოგადოების არნახულ განვითარებას უწყობდა ხელს. იმპერიაშემქმნელი ხალხები იმპერიის ტერიტორიაზე შეგროვილ სახსრებს იყენებდნენ კულტურისა და მეცნიერების განსავითარებლადაც. იქმნებოდა პროფესიონალი ინტელიგენცია, ანუ გონებრივი და შემოქმედებითი შრომით დაკავებული ადამიანების წრე, რომლებიც თავის მხრივ არნახულ ბიძგს აძლევდნენ კულტურისა და მეცნიერების განვითარებას. იმპერია იყო ცივილიზაციის შესაქმნელად და საარსებოდ, მის შესანარჩუნებლად აუცილებელი სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა. სწორედ, ამიტომ ქმნიან მსოფლიოს ისტორიას იმპერიები და არა მცირე სახელმწიფოები. მაგრამ მცირე სახელმწიფოებსაც გააჩნიათ თავისი ფუნქციები, მათ შორის საგარეო, რომელიც ძალზედ მნიშვნელოვანია თანამედროვე მსოფლიო წესრიგის შესაქმნელად. ვინაიდან იმპერიას ჩვენ თავად ვეღარ შევქმნით, სხვა ცივილიზაციაში უნდა დავიმკვიდროთ ადგილი. რუსული ცივილიზაცია თავად გადასარჩენია, ხოლო მუსლიმურ, ჩინურ, ინდურ და ლათინურ ცივილიზაციებში ჩვენ ვერ შევალთ. გამოდის, რომ ჩვენი არჩევანი დასავლეთზე პრაქტიკულად იძულებითია, ვინაიდან ალტერნატივა, ანუ სხვა არჩევანი საქართველოს უბრალოდ არ გააჩნია: ან დროზე დაიკავებს ქვეყანა ღირსეულ ადგილს ამ ცივილიზაციაში, ან ქართული ინტელიგენცია ისევ დიდი ხნით გაუჩინარდება საერთაშორისო ასპარეზიდან, ისევ რუსული სამყაროს ნაწილად იქცევა. ამიტომაც დავითი რომ დღეს გაჩენილიყო, დიდი ხანია ან აფხაზეთში მოკლავდნენ, ან ცხინვალში, ან თბილისში. ან სხვა ქვეყანაში გაიხიზნებოდა სტალინივით და იქიდან მართავდა მსოფლიოს. ვინაიდან დღეს საქართველოს ზესახელმწიფოს აღდგენისათვის საკმარისი არც პოლიტიკური, არც ეკონომიკური და რაც მთავარია არც ადამიანური რესურსი არ გააჩნია. ისევე, როგორც რუსეთს აღარ გააჩნია ადამიანური რესურსი დამოუკიდებელი ცივილიზაციის შესაქმნელად.

მიუხედავად შეზღუდული რესურსებისა, საკუთარი შესაძლებლობების და საგარეო ფუნქციების სწორი გააზრების შემთხვევაში რეგიონის ლიდერობა საქართველოს დღესაც შეუძლია. უწინარესად, დასავლური ტიპის დემოკრატიის გავრცელების სფეროში.

რასაც ქვეყანა მოდერნიზაციისა და ვესტერნიზაციის გზით თანდათან აკეთებს კიდეც. ანუ თუ რეგიონალური ლიდერის პრეტენზია გვაქვს, ამის გაკეთება მხოლოდ დასავლეთის დახმარებითაა შესაძლებელი, ამისათვის კი კავკასიაში დასავლური ფასეულობების, ანუ დემოკრატიის გავრცელების ფორპოსტი უნდა გავხდეთ. ამიტომაც ხელისუფლების მიერ არჩეული ეს გზა სწორი და პრაქტიკულად უალტერნატივოა, მაგრამ ხალხს ამის გაგება უჭირს. უფრო სწორედ, მას ეჭვი ეპარება ხელისუფლების კურსის უალტერნატივობაში. თუმცა ერთადერთი ალტერნატივა დღეს საქართველოსათვის ისევ რუსეთის ფაქტობრივ პროვინციად გადაქცევაა. ეს კი ახალგაზრდა თაობისათვის უკვე აბსოლუტურად მიუღებელია და საბოლოოდ მისი საუკეთესო, აქტიური ნაწილის ფიზიკურ განადგურებას, ანუ საქართველოს გადაშენებას გამოიწვევს. ამიტომ ადამიანებს სწორი და ამომწურავი პასუხები უნდა გაეცეთ ამ ეჭვების განსაფანტავად. მთავარია მოსახლეობამ კარგად გაიგოს, რითი სჯობს დასავლური არჩევანი რუსულს და რა გველის, არჩევანი რომ ისევ შევცვალოთ.

მეორე მითია – პრეზიდენტის შეუზღუდავ ძალაუფლებაზე. ხალხი ყველაფერს პრეზიდენტისაგან ითხოვს და მასვე აბრალებს ყველაფერს. სინამდვილეში პრეზიდენტები, ისევე როგორც მეფეები, თავის გადაწყვეტილებებში შეზღუდულები არიან სახელმწიფო და ჯგუფური ინტერესებით, ასევე პიროვნული ურთიერთობებით. თუმცა შევარდნაძეს და ჟვანიას როგორც პოლიტიკურ მეტოქეებს ერთმანეთი სძულდათ, მაგრამ ერთ გუნდად იყვნენ შეკრულები, ერთმანეთი სჭირდებოდათ, რაც ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებიდან გადაყენებამ და ზურაბ ჟვანიას სიკვდილმაც კი ვერ შეცვალა, ისე მისტირის ყოფილი პრეზიდენტი ყოფილ პრემიერს. ხოლო ისრაელის უდიდესმა მეფემ დავით წინასწარმეტყველმა შეუზღუდავი ძალაუფლების მიუხედავად, სახელმწიფო ინტერესების გამო, სიცოცხლეში ვერ დასაჯა მისი ნების წინააღმდეგ მოქმედი ურჩი მაღალჩინოსნები და პოლიტიკური მოწინააღმდეგეები, ამიტომაც მან ეს საქმე სოლომონს, შვილს გადააბარა (მე-3 მეფეთა, 2. 5-9). როდესაც პრეზიდენტისაგან რაიმე საკითხის გადაწყვეტას ვითხოვთ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ის ყველაფრის შემძლე როდია და, თუნდაც, კონსტიტუციითაა შეზღუდული. არაფერი რომ ვთქვათ პირად პოლიტიკურ ვალდებულებებზე, რომელთა შესახებ შეიძლება არც არაფერი ვიცოდეთ და არც ვალდებულები ვართ ანგარიში გავუწიოთ მათ.

მესამე და ყველაზე უფრო საშიში მითია, თითქოს ქვეყნის დამოუკიდებლობა სრულ თავისუფლებას ნიშნავდეს, თითქოს დამოუკიდებელ ქვეყანას შეუძლია მხოლოდ საკუთარი სურვილით განსაზღვროს საგარეო პოლიტიკა და თითქოს ყველა სხვა ქვეყანა ვალდებულია პატივი მიაგოს მის სუვერენიტეტსა და შესაბამისად მის მიერ მიღებულ ყველა გადაწყვეტილებებს. პოლიტიკური განცხადებების დონეზე ეს მართლაც ასეა, მაგრამ ჩვენ შევეცდებით დავამტკიცოთ, რომ ილიასეული სიტყვების „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნესო“ ბუკვალური და პრიმიტიული გაგება, თითქოს სახელმწიფო თავისუფალი ყველა თავის ქმედებაში და პასუხს არ აგებს სხვა სახელმწიფოთა წინაშე, დამანგრეველია სახელმწიფოსათვის და განუხორციელებელ იმედებს უსახავს ადამიანებს.

სინამდვილე კი ბევრად უფრო მკაცრია: ყველა ქვეყანამ თავისი საგარეო პოლიტიკა უნდა აწარმოოს არა მხოლოდ საკუთარი ინტერესების, არამედ სხვა ერების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებითაც. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი დამოუკიდებლობა და არსებობა საფრთხის წინაშე დადგება. მხოლოდ ის სახელმწიფოები რჩებიან დიდი ხნის მანძილზე პოლიტიკურ რუქაზე, ვისი არსებობა საჭიროა არა მხოლოდ თავისი მოსახლეობისათვის, არამედ სხვა სახელმწიფოებისათვის, უწინარესად ზესახელმწიფოებისა და უშუალო მეზობლებისათვის. უცოდინარ ადამიანს ჰგონია, რომ დამოუკიდებლობა საკუთარი თავის სრული ბატონ-პატრონობა და თავისუფლებაა, ხოლო დამოუკიდებელი ქვეყნის პრეზიდენტობა კი შეუზღუდავ ძალაუფლებას ნიშნავს. არც ერთია სწორი და არც მეორე. მითუმეტეს, რომ ეს პირდაპირ გაწერილია, როგორც ეროვნულ კონსტიტუციებში, ასევე საერთაშორისო სამართალშიც: ქვეყნის უმნიშვნელოვანესი საგარეო ფუნქცია საერთაშორისო ხელშეკრულებების დაცვა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება, მათ შორის მრავალეროვნულ სამშვიდობო ძალებში მონაწილეობაა [2, 216]. ქვეყნების სამხედრო კავშირებად და ბლოკებად გაერთიანება, ზესახელმწიფოთა მიერ გაჩაღებულ ომებში მონაწილეობა მუდამ იყო მცირე და საშუალო ქვეყნების ხვედრი და დღესაც მსოფლიო პოლიტიკა კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპებზეა აგებული, ხოლო მოკავშირეთა ინტერესების ღალატი ყოველთვის მკაცრად ისჯება. ვინაიდან ძლიერი მფარველისა თუ მოკავშირეებისაგან მიტოვებული ქვეყანა მალევე წყვეტს თავის არსებობას. ჯერ კიდევ ბიბლიიდან, მამამთავარი აბრაამის დროიდან არის ცნობილი დაპირისპირებული სამხედრო კავშირები ოთხ და ხუთ მეფეს შორის (და-

ბად. 14. 1-3). ასეთი კავშირებია თანამედროვე სამხედრო ბლოკების წინაპრები. გაერთიანებული ევროპა იმით განსხვავდება წარსულის იმპერიებისაგან და თუნდაც საბჭოური და რუსული სამხედრო ბლოკებისაგან, რომ რამოდენიმე თანაბარი ძალის პოლიტიკური სუბიექტის გარშემოა გაერთიანებული (გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი), რაც გამორიცხავს რომელიმეს ეროვნული ინტერესების დიქტატს მთელი გაერთიანებისათვის. ამიტომაცაა ევროპა ნამდვილი კავშირი, ხოლო რუსეთი – ძველმოდური იმპერია და ამიტომაც ვერ იქცა დსთ ევროკავშირად: ევრაზიაში რუსეთის ძალის სხვა სახელმწიფო უბრალოდ არ არსებობს და რუსეთის ჰეგემონია გარდაუვალია, რაც დსთ-ს უბრალო ფორმალობად აქცევს. ესეც ძალიან მნიშვნელოვანი არგუმენტია საქართველოს დასავლური არჩევანის სასარგებლოდ: თუკი სუვერენიტეტის ნაწილს თავად დავუთმობთ ევროპის ზეეროვნულ სტრუქტურებს, დანარჩენ ნაწილს მაინც შევინარჩუნებთ. თუკი რუსეთს დავუთმეთ ჩვენი სუვერენიტეტის ნაწილი, სანამ ბოლომდე არ წაგვართმევს, არ მოგვეშვება. ვინაიდან ევროპას გააჩნია ეროვნული ინტერესების დასაბალანსებელი მექანიზმები, რუსეთს კი არა. მაგრამ ცივილიზაციურ არჩევანს დაცვა სჭირდება და საკმაოდ სერიოზულ მსხვერპლსაც მოითხოვს: იმპერიები მათი შემადგენლობიდან გასვლას ღალატად აფასებენ და ანგარიშწორებისათვის მხოლოდ შესაბამის დროს ელიან. მოღალატეებად მიგვიჩნიეს სპარსელებმა, როდესაც მათ შევაქციეთ თავი და რუსეთის მფარველობაში შევედით. აღა-მაჰმად ხანმა თბილისი ააოხრა, საპასუხოდ რუსეთმა საქართველოს ანექსია მოახდინა და ომი გამოუცხადა სპარსესეთს და მთლიანად წაართვა კავკასია. მოღალატეებად მიგვიჩნიეს რუსებმა, როდესაც დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ როგორც 1918, ასევე 1991 წელს. პირველ შემთხვევაში რუსეთმა ისევ მთელი საქართველოს ანექსია მოახდინა, ამჯერად კი აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონისა. თუკი ამერიკასაც ვუღალტებთ, ის უბრალოდ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის დამოუკიდებლობას და საბოლოოდ დაშლის საქართველოს. რასაც რუსებმა ოცი წელი მოანდომეს და საბოლოოდ მაინც ვერ გადაწყვიტეს, ვაშინგტონი ერთ დღეში მოახერხებს. ამიტომაც თუ შევედით დასავლეთთან კავშირში, იქვე უნდა დავრჩეთ. საკუთარი ისტორია გვასწავლის, რომ მფარველების წამდაუწუმ ცვლა დამღუპველია ქვეყნისათვის. სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ სპარსეთიდან მაშინ გამოვედით, როდესაც ის დასუსტდა, ვეღარ უზრუნველყოფდა საქართველოს უსაფრთხოებას და ქვეყანას ახალი ძლიერი მფარველი ესაჭიროებოდა. ასევე მოხდა რუსეთიდან გამოყო-

ფაც: ორივე შემთხვევაში თავად რუსეთის იმპერია დაიშალა და მხოლოდ მას შემდგომ გამოეყო მას საქართველო. ცხადია, მაშინვე დაიწყო ახალი მფარველის ძიება, ვინაიდან პოლიტიკოსებმა კარგად იციან, რომ დამოუკიდებლად, ძლიერი საერთაშორისო დახმარების გარეშე საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა შეუძლებელია. დღეს აშშ მსოფლიოს უძლიერესი ქვეყანაა, ხოლო დასავლეთს ტოლფასი კონკურენტი ცივილიზაცია ჯერ არ გააჩნია. ასეთ პირობებში პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა უბრალო ახირება და პოლიტიკური ავანტიურიზმია, რისთვისაც შეიძლება ქვეყანა ისე დაისაჯოს, რომ საერთოდ გაქრეს პოლიტიკური რუქიდან. უნდა გვახსოვდეს, რომ პირველად აფხაზეთის სამთავრო ერთმორწმუნე ბიზანტიელებმა დასავლეთ საქართველოს ლაზიკის ანუ ეგრისის სამეფოს ჯერ კიდევ VI საუკუნის დასასრულს ჩამოაშორეს ლაზების სპარსელებთან ფარული კონტაქტების გამო. ლაზების სამეფო გააუქმეს, ლაზეთიცა და აფხაზეთიც პროვინციების სტატუსით პირდაპირ დაუმორჩილეს კონსტანტინოპოლს [3]. ამდენად, დღეს ისტორია უბრალოდ მეორდება და წარსულის გაკვეთილები უნდა გავიხსენოთ.

მეოთხე დასანგრევი მითია, თითქოს პოლიტიკაში მთავარია იყო მართალი და მაშინ გაიმარჯვებ. პოლიტიკაში, ისევე როგორც ზოგადად ცხოვრებაში, როგორც წესი იმარჯვებს არა მართალი, არამედ ის, ვინც ადამიანების დიდ ნაწილს დაარწმუნებს მათი ინტერესების თანხვედრაში, ანუ დააინტერესებს მათ საკუთარ გამარჯვებაში. ხოლო გამარჯვების შემდეგ კი, შეძლებისდაგვარად, არ გაუცრუებს თავის მომხრეებს იმედებს და შეძლებს იმ ბეწვის ხიდზე გასვლას, რასაც ახალი მოვალეობების აღსრულება და ძველი ვალდებულებების შესრულება მოითხოვს. ამიტომაც არის ასეთი რთული ხელისუფლებაში დიდი ხნით დამკვიდრება. ვინაიდან პოლიტიკაში, ისევე როგორც ცხოვრებაში სიმართლე ბევრი არსებობს და სრული ჭეშმარიტება მხოლოდ უფალმა უწყის. ცხოვრებაში კი ჭეშმარიტებად გამარჯვებული აზრი მიიჩნევა. ისიც მანამდე, სანამ არ გაძლიერდება ოპოზიციური შეხედულების მხარდაჭერა და არ გაიმარჯვებს მისი საწინააღმდეგო აზრი და ა.შ. საბოლოოდ საბაზრო, ანუ თავისუფალი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად უპერსპექტივო შეხედულებები ქრება ასპარეზიდან და რჩება მხოლოდ კონკურენტუნარიანი შეხედულებები და აზრები, რაც მათ ჭეშმარიტებაზე თუ არა, არსებობის უფლებაზე მაინც მეტყველებს. სწორედ, ასე გაქრა პოლიტიკიდან პრორუსული ძალები, ხოლო ოპოზიციამ სამთავრობო პროამერიკულ კურს ვერაფერი დაუპი-

რისპირა. ამიტომაც არის ის წაგებული. რეალური პოლიტიკური ოპოზიციის დრო მოვა მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველო ევროსაბჭოში შევა და პოლიტიკური ძალები ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ზომიერებისა და რადიკალიზმის კუთხით, მემარჯვენეობისა და მემარცხენეობის მცირედ განსხვავებული პოზიციებიდან, პროამერიკულობისა და ევროპოცენტრიზმის ნიშნით და არა სასიცოცხლო ცივილიზაციური არჩევანის გამო. მაშინვე შესუსტდება პროამერიკულ ძალთა პოზიციებიც. მათი გამარჯვება, მათი მომავალი დამარცხების საწინდარი გახდება. მაგრამ ეს მოხდება არა დღეს, როდესაც მათი დამარცხება რუსეთის გამარჯვებას ნიშნავს და ე.ი. საქართველოს დამარცხებაცაა, არამედ მაშინ , როდესაც მათ ჩანაცვლებას ასეთი საბედისწერო შედეგი აღარ მოყვება, ან სააკაშვილის გუნდს რომელიმე სხვა იგივე პოლიტიკური ორიენტაციის გუნდი ჩაანაცვლებს.

ისტორიული კანონზომიერებაა ისიც, რომ საბოლოო ჯამში ყველა გამარჯვებული იდეოლოგია და მისი მატარებელი კონკრეტული პოლიტიკური ძალა განწირულია დამარცხებისათვის, ვინაიდან მისი გამარჯვების პირველი დღიდან ყველა დანარჩენი პოლიტიკური ძალა ცდილობს მის დამარცხებას. არა მხოლოდ შურის გამო, არამედ საკუთარი თვითგადარჩენის ინსტიქტიდან გამომდინარე, ვინაიდან თუკი კონკურენტუნარიანი გარემო გაქრა და გამარჯვებული ძალა უკონკურენტოდ დარჩება, ის დროთა განმავლობაში ჩაყლაპავს ყველა დანარჩენ პოლიტიკურ ძალას. ჩვენი აზრით, ეს პოლიტიკის ძირითადი კანონია, ვინაიდან პოლიტიკაში ასახავს ცოცხალი ბუნების ძირითად კანონებს: ცოცხალი ოგანიზმების მრავალსახეობისა და არსებობისათვის ბრძოლაში მათი ბუნებრივი გადარჩევის კანონებს. ანუ ითვალისწინებს პოლიტიკური სუბიექტების მრავალსახეობასა და მათ კონკურენციას, როგორც მათი განვითარებისა და საბოლოოდ არსებობის აუცილებელ პირობას. სწორედ ეს კანონზომიერება, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს ბაბილონის გოდოლის პრინციპი, გამორიცხავს ერთპოლუსიანი მსოფლიოს, ისევე, როგორც ერთპარტიული სახელმწიფოს გრძელვადიან არსებობას, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში აღარ იარსებებს კონკურენციის გარემო, შეჩერდება განვითარება, დაიწყება რეგრესი და საბოლოო ჯამში კაცობრიობა შეიძლება გადაშენდეს. ვინაიდან ერთმა ცივილიზაციამ შეიძლება ადეკვატური პასუხი ვერ გასცეს რომელიმე სერიოზულ გამოწვევას და მთელი კაცობრიობა ამას ემსხვერპლოს. იმიტომაც არის დღეს ყველა ცივილიზაცია ანტიამერიკულად განწყობილი, რომ ერთპოლუსიანი სამყარო დროზე და-

უბრუნდეს ჩვეულ რამოდენიმეპოლუსიან მდგომარეობას, რასაც კაცობრიობისა და ცივილიზაციების თვითგადარჩენის ინსტიქტი კარნახობს. ცხადია, ამას ბევრი სახელმწიფო გაუთვითცნობიერებლად სჩადის, საკუთარი კონკრეტული პოლიტიკური ინტერესებისა და არა რაღაც ზოგადი მათთვის უცნობი ზოგადსაკაცობრიო პრინციპების გამო, მაგრამ შედეგი მაინც იგივეა: ცივილიზაციური დაპირისპირება, ისევე როგორც ბრძოლა არსებობისათვის არასოდეს არ შეწყდება და ამოსავალი წერტილი ჩვენი პოლიტიკური პროგნოზებისათვის ეს უნდა იყოს [4, 33-48]. აქედან გამომდინარე, უახლოეს მომავალში ჩვენ მშვიდობა არ გვიწერია, სანამ რუსეთი არ მიიღებს გადაწყვეტილებას, თავად რომელი ცივლიზაციის მხარეზე დადგეს - დასავლური თუ ჩინური. ვინაიდან თავად რუსეთი დამოუკიდებელ ცივილიზაციად უკვე ვეღარ განიხილება, უწინარესად, შეზღუდული ადამიანური კაპიტალის გამო. თუკი რუსეთმა დასავლური არჩევანი გააკეთა, ამერიკასთან მისი დაპირისპირება შეწყდება და საქართველოსათვის მდგომარეობა შემსუმბუქდება. თუკი არჩევანი ჩინური იქნება, ან მუსლიმანურ სამყაროზე ორიენტირებული, დაპირისპირება შეიძლება უფრო გამწვავდეს კიდეც. მაგრამ დღეს ასეთი პროგნოზის გაკეთება ჭირს, მითუმეტეს, რომ თავად რუსეთისათვის ამ არჩევანის აუცილებლობა ჯერ არც დამდგარა: ჩინეთი აშშთან შედარებით მაინც სუსტი ცივილიზაციაა და თანაბარ კონკურენტად დღეს არ განიხილება, თუმცა მომავალში მდგომარეობა შეიძლება სწრაფად შეიცვალოს. განსხვავებით საქართველოსაგან, რომელიც უკვე დიდი ხანია იძულებული შეიქმნა არჩევანი გაეკეთებინა რუსეთსა და დასავლეთს შორის. ხოლო ვინაიდან რუსულ-ამერიკული კონფრონტაციის შესუსტება უახლოეს მომავალში მოსალოდნელი არ არის, სწორედ ამ რეალობით უნდა იხელმძღვანელოს საქართველომ საგარეო კურსის გატარებისას. ამ კურსის მკვეთრი ცვლილების ობიექტური საფუძველი არ არსებობს და ამიტომაც ასეთ ცვლილებას ქვეყანა ვერ გაუძლებს.

ამავე დროს, მხოლოდ ძლიერი პარტნიორი და მფარველი ცხადია პატარა ქვეყნის ყველა პრობლემას ვერ მოაგვარებს. თუმცა პატარა ერის ამოცანაა დააინტერესოს დიდი ერი და დაარწმუნოს ის, რომ მათი ინტერესები სრულიად ემთხვევა ერთმანეთს. ამისათვის ის, როგორც მინიმუმ, კარგად უნდა აცნობიერებდეს საკუთარ ეროვნული ინტერესს, რაც არც ისე ადვილია და ხშირ შემთხვევაში პირდაპირ ეწინააღმდეგება საზოგადოებაში გავრცელებულ ფსევდოპატრიოტულ ლოზუნგებს. მაგალითად საქარათველოდან არაქართველების გასახლება, რასაც არც თუ ისე შორეულ წარსულში

ზოგიერთი ქართველი ნაციონალისტი ქადაგებდა, სინამდვილეში დამღუპველია საქართველოსათვის, ვინაიდან ქვეყნის ადამიანური კაპიტალი არასოდეს განისაზღვრება მხოლოდ ეროვნული ნიშნით. ერეკლე მეფემ ომი გამოუცხადა ერევნის და შუშას სახანოებს იმისათვის, რომ იქ გადასახლდნენ მისი ქვეშევრდომი თათრები. მან დაარბია და გაძარცვა ერევანიცა და შუშაც, უკან ჩამოასახლა თავისი მოქალაქეები და ისევ საქართველოს ბიუჯეტის შევსება, ანუ ერეკლეს ხაზინისათვის გადასახადის გადახდა დაავალა მათ [5, 37].

საქმე ისაა, რომ ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა, ანუ ცხოვრება შეუძლია მხოლოდ საზოგადოებაში, საზოგადოებაში კი თითქმის ყველაფერი იზომება ფულით: ადამიანის შრომის ფასი, მისი ვალდებულებები საზოგადოების წინაშე (გადასახადების გადახდა) და საზოგადოების ვალდებულებები მის წინაშე (სოციალური დაცვა). შესაბამისად ცალკეული ადამიანის, როგორც პიროვნების ადგილი საზოგადოებაში განისაზღვრება იმით, რამდენად სჭირდება ის სხვას. საჭიროება და მოთხოვნადობა კი ჩვეულებრივ გამოიხატება სწორედ ფულით. ესეც თავისებური ბაზარია, რომელიც ადგენს ადამიანის ღირებულებას: რისი შეთავაზება შეუძლია მას სხვა ადამიანებისათვის, რაშიც ისინი ფულს გადაუხდიან. ამიტომაც ფასდება პროფესიონალიზმი, რომ ის ადვილად იყიდება: საზოგადოებას სჭირდება ფერმერი, მუშა, ხელოსანი, პოლიციელი, ექიმი და ა.შ. ამიტომაც უხდიან მათ ხელფასს და ისინი სათანადო ადგილს იკავებენ საზოგადოებრივ იერარქიაში. ეკონომიკა დიდი ხანია იცნობს ადამიანური კაპიტალის ცნებას, რაც ჩვენში ნაკლებად გამოიყენება, მაგრამ სინამდვილეში ყველაზე მნიშვნელოვან ეკონომიკურ რესურსს შეადგენს, ბევრად მეტს, ვიდრე თუნდაც ნავთობი და გაზია.

ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ინგლისური კლასიკური პოლიტეკონომიის ფუძემდებელმა უილიამ პეტიმ სცადა ადამიანის საზოგადოებრივი ღირებულების ფულადი შეფასება. ამისათვის, მან უძრავი ქონების შეფასების კლასიკური სქემა გამოიყენა, რომლის მიხედვით უძრავი ქონების ფასი მისგან მიღებული წლიური შემოსავლის გაოცმაგებულ რაოდენობას შეადგენს. ადამიანის შემოსავლად მისი ხელფასი იყო მიჩნეული და ამ მეთოდით იმდროინდელი ინგლისის მთელი მოსახლეობის ფულადი ღირებულება 520 მლნ. გირვანქა სტერლინგად შეფასდა, ხოლო თითოეული ინგლისელის ფასი შესაბამისად 80 გირვანქა სტერლინგად განისაზღვრა. ამ მეთოდით მოზარდის ფასი უფროსი ადამიანის ფასის ნახევარს შეადგენდა, ხოლო ერთი მეზღვაურის ფასი სამი გლეხის ფასს უდრიდა. [6] ასე დაიწყო ადამიანური კაპიტალის მეცნიერული შეფასება და დღეს სამართლიანადაა

მიჩნეული, რომ ადამიანური კაპიტალი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი რესურსია, ბევრად უფრო ღირებული, ვიდრე ბუნებრივი თუ სხვა მატერიალური რესურსი. თანამედროვე განმარტებით ქვეყნის ადამიანური კაპიტალი ეს თითოეული ადამიანის ცოდნის, უნარჩვევებისა და მოტივაციების მარაგია, ხოლო მასში განხორციელებული ინვესტიციები შეიძლება იყოს განათლება, პროფესიული გამოცდილების გაზიარება, ჯანდაცვა, გეოგრაფიული მობილურობა, ინფორმაციის მისაწვდომობის გაზრდა. ნობელის პრემიის ლაურეატის თეოდორ შულცის გამოთვლით, აშშ-ს და სხვა განვითარებული ქვეყნების ყველაზე დიდი სიმდიდრე სწორედ ადამიანური კაპიტალი და მასში განხორციელებული ინვისტიციებია, ხოლო ნობელის პრემიის მეორე ლაურეატის ჰენრი ბეკერის მონაცემებით უმაღლეს განათლებაზე გაწეული ხარჯების უკუგება ადამიანისათვის მთელი ცხოვრების მანძილზე 12-14%-იანი ყოველწლიური მოგების ტოლფასია. [7]

როგორც ცალკეული ადამიანის, ასევე შესაძლებელია გაიზომოს ადამიანთა კოლექტივის, ან საზოგადოებრივი ინსტიტუტის ან თავად სახელმწიფოს ფასიც. ეკონომიკურად ეს დიდი ხანია კეთდება და ყველაზე განზოგადოებულად სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გამოისახება ერთ სულ მოსახლეზე გამომუშავებული შიდა ერთობლივი პროდუქტის რაოდენობით. მაგრამ როგორც ცალკეული ადამიანის, ასევე სახელმწიფოს ადგილი საერათაშორისო იერარქიაში არ იზომება მხოლოდ ეკონომიკური მაჩვენებლებით და ის, ზოგადად, განპირობებულია სახელმწიფოს საჭიროებით სხვა სახელმწიფოებისათვის, იმით, თუ რაში სჭირდება მისი არსებობა არა მარტო საკუთარ მოქალაქეებს, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობას. ეს შეიძლება იყოს ეკონომიკური ინტერესი, შეიძლება პოლიტიკური, შეიძლება რელიგიური, შეიძლება ეკოლოგიური, შეიძლება ცივილიზაციური და ა.შ. მაგრამ ასეთი ინტერესის გარეშე სახელმწიფო განწირულია გაქრობაზე. ევროპაში რამოდენიმე საუკუნის წინ არსებულ ასეულობით სახელმწიფოდან დღეს სულ სამ ათეულამდეა დარჩენილი, ხოლო მთელს მსოფლიოში მათი რაოდენობა ორ ასეულს ძლივს აღწევს. მაშინ, როდესაც მხოლოდ რუსეთში ასეულობით სხვადასხვა ხალხი ცხოვრობს. მაგრამ მათი სახელმწიფოებრიობა კაცობრიობას არ სჭირდება შეზღუდული ადამიანური, ბუნებრივი, გეოგრაფიული, ეკონომიკური თუ პოლიტიკური რესურსის გამო. ქვეყანა კი ან უნდა აწარმოებდეს ჭარბ პროდუქტს სხვა სახელმწიფოებზე გასაყიდად და რეგიონალური ან მსოფლიო მასშტაბში შრომის განაწილებაში იყოს ჩაბმული, ან ბუნებრივი წიაღისეულით და ენერგორესურსებით ვაჭრობდეს, ან

სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდეს, ან სატრანზიტო ფუნქცია გააჩნდეს და ა.შ. მხოლოდ ამ შემთხვევაში ხდება ქვეყანა საერთაშორისო პოლიტიკის აქტიური სუბიექტი რეგიონის ან მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ხოლო თუკი არავის არფერში სჭირდები, როგორც სახელმწიფო შენს ფუნქციასა და როლს კარგავ და მსოფლიო ასპარეზს ჩამოსცილდები. ასე დაკარგეს საუკუნეების მანძილზე სახელმწიფოებრიობა ებრაელებმა და სომხებმა, თუმცა მათ დიასპორების სახით მაინც გადაირჩინეს თავი და მრავალი საუკუნის შემდეგ, როდესაც ასეთი ქვეყნების არსებობა ისევ დასჭირდათ დიდ სახეოლმწიფოებს, კვლავ შესძლეს საკუთარი სახელმწიფოების აღდგენა. ებრაელების სახელმწიფო საჭირო გახდა პალესტინაში არაბების შესაკავებლად, ხოლო სომხების – კავკასიაში რუსების გასაბატონებლად. ცხადია, ეს ძალზედ გაუბრალოებული სქემაა, ნამდვილი ისტორია ბევრად უფრო რთული და მრავალფეროვანია. თუმცა ეს სქემა გამოგვადგება არგუმენტად იმის დასამტკიცებლად, რომ როგორც ცალკეული ადამიანი საჭირო უნდა იყოს სხვა ადამიანებისათვის საზოგადოებაში საკუთარი ადგილი რომ დაიმკვიდროს, ასევე სახელმწიფოც საჭირო უნდა იყოს სხვა სახელმწიფოებისათვისაც, საერთაშორისო პოლიტიკურ რუქაზე რომ იარსებოს. ამასთან სტაბილური სახელმწიფოს შესაქმნელად აუცილებელია, რომ სახელმწიფო საჭირო იყოს მთელი რეგიონისათვის და არა რომელიმე ერთი დიდი სახელმწიფოსათვის. ანუ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს გამოკვეთილი საერთაშორისო ფუნქცია და არა უბრალოდ რომელიმე ძლიერ მეზობელს სჭირდებოდეს თავისი მიზნების განსახორციელებლად. მხოლოდ მაშინ არის მისი ფასი საერთაშორისო ბაზარზე მყარი და სტაბილური, მხოლოდ მაშინ იქცევა ის ნამდვილ სახელმწიფოდ. ამიტომაც არა აქვთ პოლიტიკური მომავალი ფსევდოსახელმწიფოებს კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას, ყარაბახს, დნესტრისპირეთს, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს იმის მიუხედავად, აღიარა თუ არა ისინი დამოუკიდებელ ქვეყნებად მფარველმა ქვეყანამ. ეს ვრცელი განმარტება დაგვჭირდა იმის გამო, რომ ილიასეული გამოთქმა „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოს“ არ მივიჩნიოთ ჩვენი საგარეოპოლიტიკური თვითკმარობის დასტურად, ყველასაგან დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებისადმი მოწოდებად. მცირე ერის კულტურის, ტრადიციებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების აუცილებლობა არ უნდა გამოვიყენოთ დიდი სახელმწიფოების პოლიტიკური ინტერესებისაგან გასამიჯნავად, ვინაიდან მაშინ ყველაფერს დავკარგავთ. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ არა ერთი საუკუნის განმავლობაში საქართვე-

ლო სპარსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რაზეც კოლხეთის მაგალითზე ჯერ კიდევ ჰეროდოტე წერდა [8]. საკუთარი დამოუკიდებლობით ბრავირება ისეთივე სიბეცეა, როგორც ამ დამოუკიდებლობაზე უარის თქმა. მეტიც, დღეს ანტიამერიკული განწყობების დანერგვა ამ სიტყვებით სპეკულაცია ან პატრიოტულ სამოსში გახვეული პოლიტიკური სიბეცეა ან უბრალოდ რუსეთის გავლენის სფეროში დაბრუნებისაკენ შენიღბული მოწოდებაა, როდესაც მიუმხრობლობის ლოზუნგი სინამდვილეში გამოიყენება რევანშისათვის, ანუ საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის შებრუნებისათვის. თუმცა თავისთავად, არც რუსეთთან გამუდმებული კონფრონტაციაა სახელმწიფოსათვის სასარგებლო. მაგრამ როდესაც ერთი იმპერიის გავლენის სფეროდან გასვლა გვსურს, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მხოლოდ მისი კონკურენტი იმპერიის დახმარებითაა შესაძლებელი. რომისაგან თავის დაღწევა ანტიკურ ხანაში მხოლოდ სპარსეთის მეშვეობით იყო შესაძლებელი. სპარსეთისაგან თავის დაღწევა შუა საუკენეებში მხოლოდ ბიზანტიისა ან თურქეთის დახმარებით იყო შესაძლებელი. თურქეთისა და სპარსეთისაგან თავის დაღწევა მხოლოდ რუსეთის მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი და დღესაც რუსეთისაგან თავის დაღწევა მხოლოდ დასავლეთისა და აშშ-ს მეშვეობითაა შესაძლებელი. რუსეთმა ამისათვის ისევე დაგვსაჯა, როგორც თავის დროზე აღა-მაჰმად ხანმა. როგორც ვნახეთ, ერთმორწმუნეობა იმპერიული ინტერესების წინაშე უკან იხევს. ამიტომაც საქართველომ საკუთარი თავის დახსნაზე უნდა იფიქროს, ეს კი საერთაშორისო იზოლაციის შემთხვევაში შეუძლებელია. ყველა სახელმწიფოს სჭირდება პარტნიორი, ისეთ გიგანტსაც კი, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებია. აშშ-ც კი დამოკიდებულია სხვა სახელმწიოფოებზე და უნდა გაითვალისწინოს მათი ინტერესები. დამოუკიდებელ ცივილიზაციას ადამიანური კაპიტალის შეზღუდულობის გამო რუსეთი კი არა, ამერიკაც ვერ ქმნის და ამისათვის მას ევროპა ესაჭიროება. საქართველოსი რა გაგვკვირვებია, უზარმაზარ თურქეთსაც კი ისე ინაწილებდნენ ევროპული ზესახელმწიფოები, რომ არც თურქებსა და არც ოტომანების იმპერიაში შემავალ სხვა ხალხებს არაფერს ეკითხებოდნენ. ყირიმის ომის დროს ევროპამ გადაწყვიტა თურქეთის იმპერიის შენარჩუნება და მიაღწია კიდეც ამას. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იგივე სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს თურქეთის დაშლა და ასეც გაკეთდა. დასავლეთი რომ გავანაწყენოთ, საქართველოც აღარ იარსებებს – სანამ დასავლეთმა არ სცნო აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი, საქართველო რუსეთის ოკუპაციის მიუხედავად ერთიანია. თუკი დასავლეთმა ცნო სა-

ქართველოს დანაწევრება, ეს განაჩენი საბოლოო იქნება. ამიტომაც ჩვენ გაგვიადვილდება რეალური პოლიტიკის გატარება, თუკი კარგად გავაცნობიერებთ, თუ რა არის საქართველოს ფასი, მისი საგარეოპოლიტიკური დანიშნულება, ანუ ფუნქცია. რატომ არიან დაინტერესებული ამ დანიშნულებაში სხვა სახელმწიფოები და შესაბამისად, რატომ არიან მზად გარკვეული საფასური გაიღონ ამ ფუნქციით სარგებლობაში და დახმარება გაუწიონ საქართველოს.

პირველი, რაც შეიძლება სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე ითქვას, ეს არის მისი სასაზღვრო ფუნქცია ძველი სამყაროს ცივილიზაციებსა და ველურ ტომებს შორის. ანუ საქართველო იყო ძველი ცივილიზაციების უკანასკნელი ციტადელი, რომლის ჩრდილოეთით სახელმწიფოებრივი ცხოვრება აღარ არსებობდა. სწორედ კავკასიის მთების ჩაკეტვა ჩრდილოეთიდან მომავალი ველური ტომებისათვის იყო სამხრეთ კავკასიის და საქართველოს პირველი ცივილიზაციური ფუნქცია, რაც კარგად არის ასახული ალექსანდრე მაკედონელისადმი მიძღვნილ ზეპირ გადმოცემებში და საისტორიო ლიტერატურაში. საუბარია კავკასიის მთების ჩაკეტვაზე დარიალსა და დარუბანდში. ამ მონაცემების უფრო მითოლოგიური, ვიდრე მეცნიერული ხასიათის გამო (ლეონტი მროველის ცნობების მიუხედავად ალექსანდრე მაკედონელის ჩამოსვლა სამხრეთ კავკასიაში სხვა წყაროებით არ დასტურდება), ჩვენ დავეყრდნობით შემდგომი პერიოდის რომაელი და ბერძენი ისტორიკოსების შრომებს.

როგორც ბერძენი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი აღნიშნავს, „ლაზები (დასავლეთ საქართველოს სამეფოს ლაზიკის მკვიდრნი -ვ. რ.) თავდაპირველად კოლხიდის ქვეყანაში მოსახლეობდნენ და რომაელთა ქვეშემრდომნი იყვნენ, ხოლო არც ხარკს იხდიდნენ და არც სხვა რამეში ემორჩილებოდნენ მათ გარდა იმისა, რომ როდესაც მათ მეფე მოუკვდებოდათ, რომაელთა მეფე უგზავნიდა სამეფო ტახტის მემკვიდრეს ძალაუფლების სიმბოლოს. ის ზედმიწევნით იცავდა თავის ქვეშევრდომებთან ერთად ამ ქვეყნის საზღვრებს, რათა მტრულად განწყობილი ჰუნნები, მათი (ლაზების) მოსაზღვრე კავკასიის მთიდან ლაზიკაზე გამოვლით რომაელთა მიწაწყალში არ შემოჭრილიყვნენ“ [9, 43]. ანუ საქართველოს პირველი გეოპოლიტიკური ფუნქცია იყო მდიდარი ცივილიზებული სამხრეთის დაცვა ველურთა შემოსევებისაგან, რასაც ქართველები და რეგიონის სხვა მაცხოვრებლები მეტ-ნაკლები წარმატებით აღწევდნენ თავს საუკუნეების მანძილზე. სწორედ ძველი ცივილიზაციების მიერ შექმნილი ერთიანი სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და

სამართლებრივი სივრცის, ანუ იმპერიის დაცვა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა ევალებოდათ პროტოქართულ სახელმწიფოებს. შესაბამისად იმპერიები, თავის მხრივ, უზრუნველყოფდნენ თავად ამ სახელმწიფოთა უსაფრთხოებასაც და ცივილიზაციის სიკეთეებს აზიარებდნენ მათ. ურთიერთობა, როგორც წესი ორმხრივად სასარგებლო იყო, ვინაიდან პერიფერიაზე განლაგებული მცირე სახელმწიფოები თითქმის არასოდეს რჩებოდნენ მხოლოდ ერთი იმპერიის პირისპირ და საჭიროების შემთხვევაში საკუთარი დაცვაც შეეძლოთ ან თავად, ან მაკონტროლებელი იმპერიის კონკურენტი ზესახელმწიფოს მოშველიებით. ძალთა ბალანსის დაცვა და ლავირება პოლიტიკის საბაზო ცნებები იყო ყოველთვის და ქართველებმაც მშვენივრად აითვისეს ეს ხელოვნება. სწორედ ამიტომაც არ შეიძლება საქარველო-ირანის ურთიერთობების მხოლოდ შავ ფერებში, ჩაგრულისა და მჩაგვრელის, უცოდველი მსხვერპლისა და მოძალადის, მტრების ურთიერთობად წარმოდგენა. მაგრამ მეფის რუსეთისა და საბჭოთა პერიოდის მეცნიერება სწორედ ამ სტერეოტიპს ნერგავდა ქართველებში. ისევე, როგორ დღეს არაფერი კარგის დანახვა აღარ სურთ არც ქართველებსა და არც რუსებს ერთმანეთში, თუმცა ისინი სულაც არ არიან ბუნებრივი მტრები, არამედ კონკრეტულ ისტორიულ გარემოებათა გამო დაპირისპირებულები აღმოჩნდნენ. სწორედ ამ დაპირისპირების მიზეზების დადგენაში დაგვეხმარება შედარებითი ანალიზი.

ჩვენ დავადგინეთ საქართველოს პირველი, სასაზღვრო-თავდაცვითი ფუნქცია. დროთა განმავლობაში გამოიკვეთა მეორე, არანაკლები მნიშვნელობის საგარეოპოლიტიკური ფუნქციაც: კერძოდ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის სავაჭრო გზების უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ანუ სატრანზიტო ფუნქცია. მოგვიანებით, ადრეული შუა საუკუნეებიდან, თანდათან ამოქმედდა სავაჭრო გზები ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. თავიდან ესენი იყვნენ ხაზარები და ნორმანები, რომლებიც იმ დროინდელ აღმოსავლეთში რუსებად იყვნენ ცნობილები, შემდგომ კი თავად რუსი ვაჭრებიც [10]. მონღოლების ბატონობის დროს მათ მიერ შექმნილმა იმპერიამ პირველად გახადა უსაფრთხო ვაჭრობა ევროპასა და ჩინეთს შორის. ეს კიდევ ერთი მაგალითია დამკვიდრებული არაობიექტური სტერეოტიპებისა – ამ შემთხვევაში მონღოლების მხოლოდ უარყოფითი ისტორიული როლის შესახებ. საქართველოც ამ დიდ აბრეშუმის გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანა იყო. ამას მოწმობს ცნობილი ევროპელი მოგზაურის მარკო პოლოს მიერ იმდროინდელი საქართველოს აღწერაც [11]. ეს მეორე ფუნქცია ამოი-

წურა თურქეთის მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ, როდესაც დიდი აბრეშუმის გზა ჩაიკეტა. ამ მოვლენამ სახელმწიფო ფუნქცია დაუკარგა საქართველოს და მის დაშლას და დასუსტებას შეუწყო ხელი. იმავდროულად, იგივე ბიზანტიის დაცემამ აიძულა ევროპელები შემოვლითი საზღვაო გზები მოეძებნათ ინდოეთში, რამაც საბოლოო ჯამში დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქას მისცა დასაბამი, რაც ამერიკის აღმოჩენით დასრულდა. აი ასეა გადაჯაჭვული ერთმანეთზე ხალხების ბედი: ვინ წარმოიდგენდა, რომ ბიზანტიის დიდებასთან ერთად კარგა ხნით ჩაესვენებოდა საქართველოს ვარსკვლავიც, ხოლო ამავდროულად საფუძველი ჩაეყრებოდა ორი უდიდესი ზესახელმწიფოს – აშშ-სა და რუსეთის აღზევებას.

მანამდე კი, გამოიკვეთა საქართველოს მესამე, სამხედრო-პოლიტიკური ფუნქციაც – ისიც სატრანზიტო, მაგრამ ამჯერად სამხედრო-პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად. კერძოდ საქართველო იქცა ერთგვარ პლაცდარმად, ციხე სიმაგრედ, სამხედრო ბაზად ევროპელებისა და რუსებისათვის აღმოსავლეთსა და სამხრეთით ექსპანსიისათვის. ნაპოლეონ ბონოპარტის სურვილმა შეესუსტებინა დიდი ბრიტანეთის პოზიციები აზიასა და კერძოდ ინდოეთში, აიძულა ის მოკავშირე მოეძებნა რუსეთის სახით, რათა რუსეთთან ერთად კავკასიის და სპარსეთის გავლით დაძრულიყო ინდოეთისაკენ. მან მოილაპარაკა კიდეც იმპერატორ პავლესთან, რაც ერთ-ერთი საბაბი გახდა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიისათვის, ვინაიდან რუსეთს კავკასიაში სამხედრო პლაცდარმი დასჭირდა საქართველოს სახით. მანამდე რუსეთი იგივეს ცდილობდა, როდესაც პეტრე პირველმა ვახტანგ მეექვსეს სპარსეთის ერთად დალაშქრვა შესთავაზა. რუსებმა ბაქომდეც კი ჩააღწიეს, მაგრამ საბოლოოდ ლაშქრობა ჩაიშალა. ვახტანგის გეგმებიც განუხორციელებელი დარჩა. თუმცა ბევრი იმჟამინდელი ისტორიკოსის ცნობით, ვახტანგ მეექვსეს საკუთარი ძალითაც კი შეეძლო დასუსტებულ სპარსეთთან შებმა, რაც ადასტურებს საქართველოს საკმაოდ ძლიერ პოზიციებს იმ ურთულეს პერიოდშიც კი [12]. ეკატერინე მეორის დროშიც საქრთველო განიხილებოდა პლაცდარმად თურქეთსა და ირანთან ბრძოლაში რუსეთის სამხრეთით ექსპანსიისათვის.

ამ ისტორიულ პარალელებს მივყავართ საქართველო-რუსეთის 2008 წლის ე.წ. „ხუთდღიან ომამდე“, თუმცა ეს სახელი არაკორექტულია, ვინაიდან რუსეთი პრაქტიკულად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან გამოუცხადებელ ომს აწარმოებდა საქართველოსთან. სწორედ, იგივე ფუნქცია – რუსეთის ჯარები-

სათვის პლაცდარმის შექმნა – მინიჭებული აქვთ დღეს ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთს, ამიტომაც მოახდინა რუსეთმა მათი ოკუპაცია. ნავთობსადენები და გაზსადენები დღეს სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებია და მათი სატრანზიტო ფუნქცია, ფაქტიურად, საქართველოს მესამე, სამხედრო-პოლიტიკური პლაცდარმის ფუნქციის განუყოფელი ნაწილია. ამავდროულად, რუსული ჯარის დაყენება რეგიონში მთელი კავკასიის რეგიონის სამხედრო კონტროლის საშუალებაა. სწორედ, ამაში უნდა ვეძებოთ რეგიონში რუსეთისა და დასავლეთის ინტერესების გადაკვეთისა და დაპირისპირების რეალური მიზეზი.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. The Bible as history, Werner Keller, 2nd Revised Edition, Bantom books, 1982.
2. Коваленко А.И. , „Теория страны и права“, М., 1996.
3. Нодар Ломоури, История Грузии, Веб издания - Бесики Сисаури© Издательство "Саранги", Тбилиси. http://www.georgianweb.com/history/rus/history.html
4. Семуэл Хангтинтон, столкновение цивилизаций, журнал «Полис», 1994, №1; http://www.politstudies.ru.
5. Давидъ царевичь грузинский, Краткая история Грузии, съ предисловиемъ К.Н.Бъгичева, Тифлис , 1893.
6. Петти В. Экономические статистические работы, М., 1940.
7. Schultz T., Investment in Human Capital, N.Y., 1971.
8. Геродот, История , В 9-ти кн., Перевод Г. А. Стратановского, кн. 1, параграф 1-4, М., 2001.
9. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი ეგრისის სამეფოს ურთიერთობების შესახებ ბიზანტიასა და სასანიდთა ირანთან (532-542 წწ.), ქართული დიპლომატიის ქრესტომატია, როინ მეტრეველის რედაქციით, თბილისი, ტ. 1., 2004.
10. Ахмед ибн Фадлан, Путешествие на Волгу , М., Изд-во АН СССР, 1939.
11. Книга Марка Поло, перевод И.П.Минаева, М., 1956.
12. Дневник осады Испагани афганами, веденный Петросом ди Саргис Гиланенц, в 1722 и 1723 годах, Параграф 79, Приложение к запискам Имп. АН., Т. XVII, № 3, М., 1870; მითითებული პარაგრაფიდან მოგვყავს ციტატა კომენტართან ერთად: „Афганцы

особенно страшились грузин, силу которых они испытали в прежние времена. Махмут сказал служившим у него грузинам: „пишите своим соотечественникам чтоб они не предпринимали враждебных вторжений в нашу землю, иначе мы всех вас перережем". . . ციტატის კომენტარი: „Если б Вахтанг-хан сумел пользоваться обстоятельствами, то ему не трудно бы было с своими Грузинами изгнать из Персии Афган и играть ту роль, которую в последствии играл в Азии Надир-Шах. Покорители Персии страшились одного появления грузинских полчищ, силу которых они не раз испытывали у себя на родине. Вместо этого Вахтанг почти в бездействии провел лучшие годы, призывая Петра на помощь и умоляя его спасти христиан. Занятому своими делами Петру было не до Грузии; а между тем благоприятное для Вахтанга время прошло безвозвратно". http://www.drevlit.ru/texts/g/gilanec–text.php

Vachtang Rcheulishvili
Political scientist

About the foreign political Functions of Georgia

Summary

In the article „Several ideas about functions of Georgian State" by Vakhtang Rcheulishvili, a famous Georgian politic and politologist, the author on the example of Georgia brings arguments for the idea that existence of a state is conditioned not only by the necessity of ensuring vital interests of its own population but also by the fact how necessary it is for other states and how well it envisages their lawful vital interests . Alternatively, what is its function as a state in foreign affairs. The author thinks that stable states are established only when other states are interested in their existence. This concerns a big number of states and not one big state as it happened in the cases of Cyprus-a marionette republic of Turkey, Abkhazia and so called south Ossetia.

On the bases of historical analyses , the author points out several important foreign political functions of Georgia. First, this was protection of borders of great Empires (Persia, Rome, and Byzantium) from invasions of wild nomad tribes of Northern Caucasus. Second, protection of peace and

stability in the region of Caucasus in the 11-13th centuries, during establishment of Georgian Caucasian Empire. Third, giving way to economical corridor on its own territory , this meant ensuring security of trade roots from the East to West and North to South, which became impossible after taking of Constantinople by Turks. Forth, creation of a military-political bridgehead for expansion of Western countries (Napoleon) and Russia in the direction of Southeast. This was exactly why Russia united Georgia. This is why Russia launched the war in 2008, occupied separatist regions and brought troops there.

Comparative analysis of politics implemented by the Empires taking interest in Georgia gives us a chance for better definition of Russian interests in Georgia.

სულიკო გრიგალაშვილი
ისტორიის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ავტოკრატიის მომავალი

საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათს დღეისათვის სამი საკვანძო ფაქტორი განაპირობებს: „ამერიკული გლობალური ძლიერების პრიმატი, დემოკრატიის გლობალური აღიარება და თავისუფალი სამარკეტო ეკონომიკური სისტემის ძლიერ სავარაუდო უპირატესობა პლანირებულ (გეგმურ) ეკონომიკურ სისტემასთან მიმართებაში. ეს ფაქტორები არიან ერთდროულად ურთიერთდაკავშირებულნი და ურთიერდამოკიდებულნი. რასაკვირველია, ამერიკული ძლიერება დემოკრატიულ ხასიათს ეფუძნება და ამერიკული ეკონომიკა ძირითადად თავისუფალი სამარკეტო ეკონომიკაა“ [1].

მეოცე საუკუნეში დომინირებდა უტოპიური სიზუსტე, ფანატიზმი და დოგმა, გარკვეული კონცეფციების მოჩვენებითი უნივერსალურობა ადამიანთა საზოგადოების საუკეთესო მოწყობასთან მიმართებაში. ასეთი კონცეფციები შეიცავდნენ „გამოუსწორებელთა“ (a priovi) აუცილებლობის იდეას. ეს დოგმები და მანიფესტაციები დღეისათვის უკვე წარსულს ეკუთვნის და აწმყოში, ჩვენი აზრით, დემოკრატიის იდეის ტრიუმფის მოწმენი გავხდით. მაგრამ აქვე, თავისთავად ისმის კითხვა: რამდენად გამძლე და დაცულია ეს რეალობა? როგორია კავშირი დემოკრატიასა და თავისუფალ ბაზარს შორის?

30-იანი წლების დიდმა დეპრესიამ დაასუსტა ლიბერალური დემოკრატია და ფაშიზმისათვის ნოყიერი ნიადაგი შექმნა. შეიძლება დღევანდელმა გლობალურმა კრიზისმა საწინააღმდეგო ეფექტი გამოიწვიოს – დაასუსტოს ავტოკრატები და დემოკრატიის გაფურჩქვნა გამოიწვიოს? მომავლის წინასწარმეტყველება, უაზრობაა, მაგრამ რაღაც ნიშნები ამისა უდავოდ არსებობს. საკმარისია გადავხედოთ ავტორიტარიზმის სამ ბასტიონს – რუსეთს, ვენესუელას და ირანს, რომელნიც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

პუტინის რუსეთი ატარებს რესტავრაციულ ხასიათს და მის განმსაზღვრელ ნიშნად ითვლება მზარდი ანტიდასავლური ორიენტაცია. ამიტომ ეს სისტემა შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც

„პარა“ ან კიდევ „ფსევდოდემოკრატიული“. პუტინის რუსეთი ჰგავს გზიდან გადახვეულ, თუ არა ანაქრონისტულ ქვეყანას – განსაკუთრებით ყოფილი საბჭოთა ბლოკის ევროპული წევრების დემოკრატიზაციის მიღწევების ფონზე.

2008 წლის პირველ ნახევარში, როდესაც ნავთობზე ფასმა აბსოლუტურ რეკორდს – 147 დოლარს / ბარელზე მიაღწია – პუტინმა რუსული ტანკები საქართველოსკენ დაძრა. თეირანში პრეზიდენტი **ახმედნეჯადი** უსასრულოდ იმეორებდა დოლარის წყევლას და „რომ იგი გახვრეტილი გროშიც არ ღირს“ და მთელი სავალუტო რეზერვები ევროზე გადაიტანა. ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი მოსკოვში ახალი შეიარაღების ხელმოსაწერად ჩავიდა. როცა ფასმა ნავთობზე 40 დოლარამდე დაიწია, სადღაც გაქრა მათი მედიდურობა. მათ მიერ „შავ ოქროზე“ აშენებული არამდგრადი იმპერიები ინფლაციისა და უმუშევრობის პირისპირ აღმოჩნდნენ და საფრთხე შეუქმნეს პირად ძალაუფლებას. ნავთობზე მაღალმა ფასმა და შემოსავლებმა უკანასკნელ წლებში რადიკალურად შეცვალეს გეოპოლიტიკური სიტუაცია. დღეს ჩვენ თვალს ვადევნებთ უკუ პროცესს.

შეიცვალა „სამეულის“ მიმართება და გაქანება. ჯ. ბუში – უმცროსის არაერთხელ „სატანად“ მომნათვლელი ვენესუელის მმართველი ურთიერთ პატივისცემისა და თანასწორობის პირობებში აშშ-სთან მოლაპარაკებას დათანხმდა. ასეთივე სურვილები გაუჩნდათ დანარჩენ რუსეთსა და ირანს. დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე პუტინი ხაზგასმული მოწიწებით საუბრობდა ღია ეკონომიკაზე და მმართველობის სისტემაზე [2]. სამშობლოში დაბრუნებული შეხვდა ოპოზიციური გაზეთების რედაქტორებს, ყოველივე ეს ახლო წარსულში წარმოუდგენელი იყო.

იანვარში „ნიუ იორკ თაიმსი“ აცხადებდა, რომ ჩავესი არაოფიციალურ მოლაპარაკებებს აწარმოებს დასავლეთის ნავთობმაგნატებთან, რომელთა საბადოები თავის დროზე მის მიერ იქნა ნაციონალიზირებული [3].

ეკონომიკურმა დაცემამ საფრთხე შეუქმნა ირანის თეოკრატიულ რეჟიმს. ქვეყანას სჭირდება, რომ ნავთობი ღირდეს 75 დოლარი, რომ მისი სალდო მიმდინარე ოპერაციებში უარყოფითი არ იყოს. ისრაელის სახელმწიფოს განადგურების მოსურნეს, პოლიტიკური ლეგიტიმურობის საფრთხე დაემუქრა ივნისის საპრეზიდენტო არჩევნების დროს.

ეკონომიკური კოლაფსის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო. „ნავთობის მეფეებმა“ თავიანთი ხელით შექმნეს მისი წინაპირობები, სხვა ნავთობმომპოვებელი ქვეყნებისაგან განსხვავებით,

რომელთაც განსაკუთრებული ეკონომიკური სიძნელეები არ აწუხებთ „სამეულს“ უხდება დაგროვების მობილიზება ბიუჯეტის ხარჯებისათვის. რუსეთმა სავალუტო რეზერვების ნახევარზე მეტი დახარჯა (650 მილიარდი დოლარი) რუბლის გასამყარებლად. ეს მაჩვენებელი ვენესუელასათვის შეადგენს 38 %-ს,ირანისათვის 25 %-ს [4].

გლობალური რეცესია ყველაზე სერიოზულ საშიშროებას უქმნის ქვეყნებს. ექსპერტთა აზრით, მან ჩამოაყალიბა „განსაზღვრული არასტაბილურობა“. ყოველივე უარყოფითთან ერთად კრიზისმა რიგი ქვეყნებისათვის შექმნა ხელსაყრელი პირობები. საქმე ეხება შესაძლებლობას, გამოიყენონ მოწინააღმდეგის ბანაკში არსებული რთული წინააღმდეგობები და დიალოგი დაიწყონ მათთან, რომელთა საშინაო პრობლემები ზრდის მათ მზაობას კომპრომისებზე წასასვლელად. „როდესაც ნავთობზე ფასი სამმაგი ციფრით (147 დოლარი – ს. გრიგალაშვილი) განისაზღვრება, ძალიან ადვილია ხელი ჩაიქნიო სანქციების, კორუფციის შედეგებზე – მაგრამ სავსებით სხვა საქმეა, როცა შემოსავალი აღარ არსებობს“ „ოქროს წვიმა“ სამივე ნავთობქვეყნისათვის თითქმის შეწყდა [5].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ისმის კითხვა: რამდენად კავშირშია ავტოკრატიული მმართველობა და დემოკრატიის განვითარების პერსპექტივები ქვეყნების ეკონომიკური სიძნელეების დაძლევასთან? რუსეთის მაგალითზე განვიხილოთ იგი.

საკითხი, თუ სად დგას დღევანდელი რუსეთი დემოკრატია-ავტოკრატიის სკალის მიხედვით, ამოწურულია – არსებობს მოსაზრება, რომ რადგან რუსეთი „თვითმყოფადი ცივილიზაციაა“ მან „საკუთარი“ ან „განსაკუთრებული“ გზით უნდა იაროს დემოკრატიისაკენ. ზოგიერთი ექსპერტი დღეს იქამდეც კი მიდის, რომ გვთავაზობს დემოკრატიის სპეციფიკურ „რუსულ დეფინაციას“.

მათი აზრით, რუსეთში ჩამოყალიბდა „სუვერენული დემოკრატიის კონცეფცია“ თუმცა თვით ტერმინი იტალიის ყოფილ პრემიერ-მინისტრს რომანო პროდის (2004 წ.) ეკუთვნის და შემდეგ გამოიყენა აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა დიკ ჩეინიმ (2006 წელი). რუსული ხედვით, მისი არსი შემდეგშია: თვითოეულ ხალხს უფლება აქვს ჩამოაყალიბოს თავისი ხელისუფლება ეფექტურობის კრიტერიუმიდან გამომდინარე და არა რაღაც უნივერსალური „დემოკრატიის სტანდარტების“ მიხედვით. რამდენად არის მისაღები ეს კონცეფცია მმართველი რეჟიმისათვის ჩამოყალიბებულია რუსულ თეზისში: „ყოველგვარი დემოკრატია აბსოლუტურად ისტორიულია და აბსოლუტურად ეროვნულია“. პუტინის ხელისუფლების სათავეში მოს-

ვლამდე ჯერ კიდევ არსებობდა ისეთი ინსტიტუტები, ორგანიზაციები და პროცედურები, რომლებიც დემოკრატიული თეორიის მიხედვით უნდა შენარჩუნებულიყო და მათი შემდგომი განვითარება განხორციელებულიყო – კრემლისაგან დამოუკიდებელი ზოგიერთი ელექტრონული და ბეჭდვითი მასმედია; მყიფე და ხშირად არაეფექტური სამოქალაქო საზოგადოება; ფედერალიზმის ზოგადი ნიშნები. მაგრამ პოლიტიკური მიღწევების უმრავლესობა ახალ ათწლეულში პუტინის რეჟიმის მიერ ლიკვიდირებულ იქნა.

დღევანდელი რუსეთის ნაწილობრივ (თუ სრულად არა) საბჭოთა კავშირის მდგომარეობამდე დაბრუნების ფონზე, როგორც მკვლევარს მებადება კითხვა, რატომ წამოიწყეს საერთოდ და გადაიტანეს მტკივნეული ტრანსფორმაციული პროცესი, რომელიც 1985 წელს დაიწყო? წინამორბედთა მცდელობა სრული უაზრობა იყო? პოსტელცინის რუსეთს მიეცა გარდაქმნებისა და განვითარებული დემოკრატიის რეალური შანსი. მიუხედავად ამისა, პუტინის რუსეთი არ დაადგა პოლიტიკური პლურალიზმის განვითარების გზას. პირიქით, ლიკვიდირებულ იქნა დემოკრატიის მნიშვნელოვანი მონაპოვარი. ჩვენი აზრით, პუტინის რუსეთმა ხელიდან გაუშვა ისტორიული შანსი დაეძლია სახელმწიფო მოწყობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო პათოლოგია, რომლებმაც ის თავის დროზე როგორც მეფის, ისე საბჭოური იმპერიის კრახამდე მიიყვანა. ამდენად, როცა ვფიქრობთ ავტორიტარულ ქვეყნებში დემოკრატიის მომავალზე, მიგვაჩნია ეს თავად საზოგადოების ასარჩევია, რა გარემოში ისურვებს ცხოვრებას. რუსეთის მაგალითზე მომავალი ისტორიკოსები ამ პროცესს, რაც ხდება რუსეთში, უფრო კრიტიკულად შეაფასებენ.

მხოლოდ კარგი მენეჯმენტი და წარმატება, დემოკრატიული გარემო და საზოგადოების ჩართულობა გახდის შესაძლებელს არ განიცადონ ფიასკო ავტორიტარიზმის კორიფეებმა [6]. აზრი იმის შესახებ, რომ ისინი წარმოადგენენ ავტორიტარიზმის ახალ ფორმას, რომლებიც მოხერხებულად იყენებენ კაპიტალიზმს, რომ განამტკიცონ მათი მმართველობა, უკვე სულელური ჩანს. ისინი სუსტები არიან – როგორც ყველა, რომელთა ძალაუფლება დამყარებულია ძალასა და არა დემოკრატიის საფუძველზე [7].

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ:

1) ეკონომიკური სიძნელეების დაძლევის გზა უშუალოდ დაკავშირებულია დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებასთან,

2) ქვეყნებს ესაჭიროებათ მაქსიმალურად სამართლიანი და დამოუკიდებელი სურათი იმისა, რაც ხდება სინამდვილეში;

3) სახელმწიფო იდეალში უნდა შეიცავდეს ლიბერალურ და ეტატიურ ნაბიჯებს, მან ნაკლები დახმარება უნდა გაუწიოს ფავორიტ ოლიგარქებს და მთელი თანხები უნდა მიმართოს ისეთი სტრატეგიული ამოცანების განსახორციელებლად, როგორიცაა: ეკონომიკის დივერსიფიკაცია, ნანოტექნოლოგიის, ბიოტექნოლოგიის და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ზ. ბჟეზინსკი, დემოკრატიის არამყარი ტრიუმფი, გაზ. „24 საათი", 12. 04. 2003.
2. Давос, Смиренные хозяева жизни („Washington Post" США).
3. Поможет ли нынешний глобальный кризис, обуздать автократов („The Globe and Mail" Канада), 13. 02. 2009. www.inosmi.ru
4. Закат могущества «нефтяных царей» („Newsweek"), 17. 02. 2009.
5. Не подталкивает ли Путин Россию к финансовой пропасти?, („Eurasia net" США) 02. 03. 2009. www.inosmi.ru
6. А. Лившиц, Экономика похоже на женщину Разве ее поймешь? («Финансовые известия») 05. 10. 2005.
7. Нас одолевает миллион бюрократов („Newsweek") 24. 02. 2009. интервью с И. Юргенсом. www.inosmi.ru

Suliko Grigalashvili
Doktor of History, Associated Professor of the Necnikal University

Global economical crisis and the Future of autocracy
Summary

In the article there is discussed the economical situation that take place in three autocratic states (Russia, Iran, Venezuela) in the terms of economical crisis. There is shown the idea that to solve serious problems in economy is impossible without the restoration of democratic institutions – it's just rudimentary question to survive.

ქეთი ჯიჯეიშვილი
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

შიო სანაძე
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

გიორგი ჩხიკვიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მაგისტრანტი

საბედისწერო პოლიტიკური პარალელები

ძალთა მსოფლიო ბალანსის ახალი გადანაწილების პირობებში საქართველო აქტიურად ეძებს თავის ადგილს ახალ რეალობაში. ეს კი მოითხოვს თანამედროვე გლობალური პროცესების, მოვლენებისა და ფაქტების მეცნიერულ გააზრებას, ანალიზსა და შეფასებას.

თანამედროვე სახელმწიფოს რეპუტაცია და მისი განვითარების პერსპექტივები ყალიბდება რუსეთ-ამერიკის ურთიერთობების ფონზე. თუ ჩვენ ამერიკა – რუსეთის 200-წლიან დიპლომატიურ ურთიერთობას გავაანალიზებთ (2007 წელს შეუსრულდა 2000 წელი) და ამ 200 წელს გამოვაკლებთ უკანასკნელ 50-60 წელს, დანარჩენი ხანგრძლივი დროის განმავლობაში, როდესაც მსოფლიო მრავალპოლუსიანი იყო, ეს ორი ქვეყანა ოთხჯერ იყო ერთ მხარეზე: ამერიკის ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის, ამერიკის სამოქალაქო ომში და ორ მსოფლიო ომში. მართალია, ცივი ომის განმუხტვას არ მოჰყოლია მათ შორის პარტნიორობა, მაგრამ მსოფლიოს ორ უძლიერეს ბირთვულ სახელმწიფოს შორის არსებული წინააღმდეგობანი წარსულთან შედარებით დღეს შეუდარებლად ნაკლებადაა იდეოლოგიზებული: სსრკ-ს დაშლასთან ერთად გაქრა იდეოლოგიური დაპირისპირება და ანტაგონიზმი. მოსკოვი აღარ არის ამერიკის გლობალური მოწინააღმდეგე. მათ ერთმანეთი სჭირდებათ და იმდენი ხილული თუ უხილავი ინტერესით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ პრაქტიკულადაა შეუძლებელი კონსტრუქციულ დიალოგსა და კომპრომისებზე უარის თქმა.

კრემლი იძულებულია საკუთარი შესაძლებლობები და რესურსები გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაცილებით ფართო მასშტაბებსა და გლობალურ სივრცეში გაანალიზოს. თავის მხრივ,

ვაშინგტონიც ერიდება რუსეთის უკიდურესად გაღიზიანებას. ამისათვის საკმარისია გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთის ვეტოს უფლებაც. „თეთრ სახლს“ სულ უფრო ხშირად სჭირდება სხვადასხვა პრინციპულ საკითხებზე რუსეთის თანხმობა უშიშროების საბჭოს რევოლუციებზე. ამის დამადასტურებლად ის ფაქტიც კმარა, რომ 1994 წლის ივლისში გაეროს უშიშროების საბჭო დაეთანხმა აფხაზეთში რუსეთის ჯარების განლაგებას, რომლებიც ფორმალურად დსთ-ის ეგიდით იმოქმედებდნენ; იმავდროულად უშიშროების საბჭომ თანხმობა განაცხადა ამერიკის ინტერვენციაზე ჰაიტში. ეს ორი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სწორედ გარიგების საფუძველზე [1, 3].

არათუ ელცინის, პუტინისა და მედვედევის რუსეთმაც ოფიციალურად განაცხადა, რომ მისი ეროვნული ინტერესები პოსტსაბჭოურ სივრცეშია კონცენტრირებული, ამიტომაც ამ ორ ქვეყანას შორის ნებისმიერი ხასიათისა და მასშტაბის უთანხმოებათა კვანძიც სწორედ ამ სივრცეშია, და შესაბამისად, თუ რეალური არა, ჰიპოთეტური შეთანხმებისა და გარიგების სივრცეც სწორედ ამ რეგიონთანაა დაკავშირებული. ამის გაუთვალისწინებლობამ ქართულ რეალურ პოლიტიკაში და მხოლოდ იმ ილუზიით არსებობამ, რომ აშშ საქართველოს გულისთვის რუსეთს დაანგრევდა, საბედისწერო შედეგებამდე მიგვიყვანა. შეიძლება ითქვას, რომ რუსულ – ამერიკული ურთიერთობები წააგავს ტალღისებურ რხევებს, როდესაც ერთ უბანზე დაძაბულობას ცვლის სხვაგან თანამშრომლობა. დიდი პოლიტიკური ანალიზი არ სჭირდება იმის დადგენას, რომ დომინირებს ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ორივე მხარე დროულად ჩერდება საშიშ ზღვარზე. პერიოდულად აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი მკვახე ოფიციალურ განცხადებებს არ იშურებს რუსეთის მისამართით, მაგრამ თითქმის ყოველ ასეთ განცხადებას თან ახლავს ადმინისტრაციის რომელიმე ჩინოვნიკის დამბალანსებელი განცხადებები და არასოდეს არ ხდება მწვავე ურთიერთკრიტიკული განცხადებების მატერიალიზაცია პრაქტიკულ ქმედებებში. როგორც წესი, რესპუბლიკელების ხელისუფლებაში ყოფნის დროს უკიდურესად მწვავდება აშშ-ს კონფრონტაცია რუსეთთან, მაგრამ მოდიან დემოკრატები და ურთიერთობები ნორმალურ კალაპოტში დგება.

სამწუხაროდ, საქართველოს სამივე პრეზიდენტს მაშინ მოუწია ხელისუფლების სათავეში მოსვლა, როცა აშშ-ს ხელისუფლებაში რესპუბლიკელები იყვნენ. ამ ფაქტმა ქართველი პოლიტიკოსების ფანტაზიას ფართო გასაქანი მისცა და გარკვეული ილუზიები შეუქ-

მნა, რომ რუსეთს ომს მოუგებდა. ვინ იცის, ბოლო წლების მანძილზე აშშ-ს პრეზიდენტები დემოკრატები რომ ყოფილიყვნენ, იქნებ, საქართველოსაც არ ჰქონოდა ასეთი კონფრონტაცია რუსეთთან. რესპუბლიკელი პრეზიდენტების მხრიდან საქართველოს ხელისუფალთ, მართლაც, ჰქონდათ ერთგვარი მხარდაჭერა, მაგრამ მალე იმედები უცრუვდებათ: 1992 წ. შემოდგომაზე აშშ-ს სათავეში მოდის დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ბილ კლინთონი, არადა ე. შევარდნაძე აშშ-ს პრეზიდენტის პოსტზე ისევ რესპუბლიკელს ელოდა, ხოლო 2008 წლის 4 ნოემბერს კი ამერიკელებმა აშშ-ს პრეზიდენტად აირჩიეს ბარაქ ჰუსეინ ობამა და არა რესპუბლიკელი მაკკეინი.

კრემლმა შეძლო თბილისის ომში ჩათრევა, თანაც ისე, რომ შეეცადა აგრესორებად ქართველები წარმოეჩინა. არ გამართლდა საქართველოს ხელისუფლების იმედები – რუსეთთან არათუ ომში, არამედ სერიოზულ დაპირისპირებაშიც კი არ ჩაერთო არც ევროპა და არც ამერიკა. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან უმცროსი ბუში რამდენიმე თვეში ტოვებდა აშშ-ს პრეზიდენტის პოსტს, და, როგორც წესი, თავისი მმართველობის ბოლოს აშშ-ს პრეზიდენტები ძალზე ფრთხილად იქცევიან. ასევე მოიქცა ჯორჯ-ბუში-უფროსიც 1992 წელს და შევარდნაძისა და სააკაშვილის დიდი იმედის მიუხედავად აფხაზეთი და მთლიანად საქართველო რუსეთის საჯიჯგნად იქცა.

კიდევ ერთ საბედისწერო პოლიტიკურ პარალელზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება: 1992 წლის გაზაფხულ-ზაფხილში შევარდნაძის მთავრობას რუსეთმა ახალციხის მოტომსროლელი დივიზიიდან 108 ტანკი, რამდენიმე ასეული ჯავშანმანქანა და საარტილერიო დანადგარი გადასცა. ამან შევარდნაძის ხელისუფლებას შეცდომით აფიქრებინა, რომ შეძლებდნენ აფხაზეთში სეპარატიზმის დამარცხებას...

2008 წლის ზაფხულისათვის პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებასაც უხვად ჰქონდა მომარაგებული საბრძოლო ტექნიკა და ტყვია-წამალი, რაც იოლი გამარჯვების ილუზიას ქმნიდა...

ორივე შემთხვევაში რუსეთმა ერთი და იგივე ხაფანგი დაგვიგო, შეგვიტყუა ტანკებით სოხუმსა და ცხინვალში, ჩაგვითრია ომში და აგრესორადაც გამოგვაცხადა [2, 4].

სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკური მეხსიერება მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა და ისტორია განმეორდა. 1992 წლის მოვლენებიდან ხელისუფლებამ დასკვნები ვერ გამოიტანა, ვერ გათვალა რუსე-

თისა და აშშ-ს პოლიტიკური მარშრუტი, ის რეალური და სავარაუდო ცვლილებები, რომლებიც ხდება და იგეგმება ოკეანეს გაღმა და რომელიც მთლიანად აისახება ქართულ პოლიტიკაზე და საბედისწერო შეცდომები 2008 წელსაც გაიმეორა. დაუშვა უსერიოზულესი სტრატეგიული შეცდომა, რომელსაც უმძიმესი შედეგები მოჰყვა: საქართველომ, საბოლოო ჯამში, სამივე პრეზიდენტის მმართველობის დროს დაკარგა 12 ათას კვ. კმ-ზე მეტი ტერიტორია.

გეორგ ფრიდრიხ ჰეგელი წერდა: „მმართველებს სახელმწიფო მოღვაწეებს, ხალხებს, ჩვეულებრივ ისტორიის გამოცდილებაზე მიუთითებენ ხოლმე, რათა ჭკუა მისგან ისწავლონ, მაგრამ ისტორია და მისი გამოცდილება მხოლოდ იმას გვასწავლიან, რომ არც ხალხებს და არც მთავრობებს არასოდეს ისტორიისაგან რაიმე არ უსწავლიათ და არასოდეს მოქცეულან იმ მოძღვრებათა შესაბამისად, რომლებიც ისტორიული გამოცდილებიდან უნდა გამოეტანათ დასკვნების სახით [3, 4].

ალბათ საკამათოა, რამდენად ვერ გამოიტანა დასავლეთმა თავისი ისტორიიდან დასკვნები, მაგრამ გერმანელი მოაზროვნის სიტყვები რომ ზედგამოჭრილია თანამედროვე საქართველოსათვის ეს კი, სამწუხაროდ, უცილობელი ფაქტი გახლავთ.

ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი რუსეთს უზარმაზარ ლოდს ადარებდა, რომელიც საქართველოს თავზე ჰკიდია. საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ლოდმა არ გაიტანოს – ამბობდა იგი. ამისათვის საჭიროა ქართულმა მხარემ განახორციელოს რაციონალურად ორიენტირებული, დაბალანსებული, გათვლილი პოლიტიკა, რომელიც კრისტალიზირდება პოლიტიკური გამოცდილებიდან, გამორიცხავს შემთხვევით გადახრებს და მიმართულია რისკის მინიმუმამდე შემცირებასა და სარგებლის მაქსიმუმამდე გაზრდაზე.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. De Standaand, 3 August, 1994.
2. გაზ. „კვირის პალიტრა“, 10-16 ნოემბერი, 2008.
3. გეორგ ფრიდრიხ ჰეგელი, ლექციები ისტორიის ფილოსოფიაზე, თბ., 2001.

Kate Jijaishvili
Doctor in the field of Political Sciences, professor of Georgian Technical University
Shio Sanadze
Doctor in the field of Political Sciences
George Chkhikvishvili
Magistrant of Georgian Technical University, International relationship faculty

Fatal Political Parallels

Summary

On the modern stage when the condition of world power balance is very different and changable Georgia try to find its' place on the world politic field. It is very important to analyze mane points of global political appearance. It is necessary to research and analysis Georgian political life and its facts in scientific aspacts.

We research Govern periods of Georgian three President: Zviad Gamsaxurdia, Eduard Shevardnadze and Mikhail Saakashvili, discussion of this point is very important for the Georgian future leaders and governments to prevent mistakes in the future political life of Georgia.

ელდარ ბუბულაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

საინგილოს ქრისტიანი მოსახლეობა XX საუკუნის 20-40-იან წლებში

აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში არსებული ყოფილი საინგილოს ტერიტორია საუკუნეებიის განმავლობაში პოლიტიკურად და ეკლესიურად ისტორიული საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, სადაც ქართული მოდგმის მოსახლეობა უძველესი დროიდან ცხოვრობდა. ამჟამად აღნიშნული ტერიტორია აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამ რაიონს მოიცავს: ზაქათალის, ბელაქნისა და კახის რაიონებს. საქართველოს ეს ძირძველი კუთხე ისტორიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა სახელით იყო ცნობილი. საინგილოდ წოდებული მხარე ისტორიული ჰერეთის ნაწილი იყო. ადრეფეოდალურ ხანაში იგი ჰერეთის სამეფოს შემადგენლობაში იმყოფებოდა, ხოლო შემდგომ კახეთის სამეფოს დაექვემდებარა და მის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობდა. გაერთიანებული საქართველოს ეპოქაში ჰერეთი ერთიანი საქართველოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. გვიან ფეოდალურ ხანაში ყოფილი ჰერეთის ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილს კაკ-ენისელის ანუ ჭარ-ბელაქანის სახელით მოიხსენიებენ, ხოლო ტერმინი „საინგილო“ და შესაბამისად „ინგილო“ XIX საუკუნეში იქნა შემოღებული. ისტორიოგრაფიაში განსხვავებული შეხედულება არსებობს ტერმინ „ინგილოს“ წარმომავლობის შესახებ. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, იგი „არის არა ეთნიკური, არამედ სოციალური შინაარსის ცნება“ [1, 47; 2, 22]. ზოგიერთის მოსაზრებით, ტერმინი „ინგილო“ საინგილოს ერთ-ერთი სოფლის „ჰენგიანის“ სახელწოდებიდან უნდა მომდინარეობდეს. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ „ინგილო“ ნიშნავს „ახლად მორჯულებულს“ და იხმარებოდა ამ კუთხეში მცხოვრები გამაჰმადიანებული ქართველების აღსანიშნავად [3, 98].

ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე ქრისტიანობა პირველივე საუკნეებიდანვე გავრცელდა. სანგილოს მკვიდრი, ცნობილი სასულიერო მოღვაწე დიმიტრი ჯანაშვილი (1840-1905) სომხურ წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ პირველ საუკუნეში ქრისტიანობა საინგილოში უქადაგებია მოციქულ თადეოზს და მის მოწაფეს ელისეს და პირველი ეკლესიებიც მათ დაუარსებიათ [4, 68]. დიმიტრი ჯანაშვილის აღნიშნული ცნობა უკრიტიკოდ გაიზიარა რუსულმა ისტორიოგრაფიამ [5, 14]. უძველესი ქართული წერილობითი წყაროებითა და საეკლესიო ტრადიციით ჰერეთის ტერიტორიაზე ქრისტიანობა ქართლიდან ვრცელდებოდა. იგივე წყაროების ცნობით, IV საუკუნის პირველ ნახევარში ჰერეთის ერთი ნაწილი წმ. ნინოს სამისიონერო მოღვაწეობის ობიექტი ყოფილა [1, 25]. V საუკუნის მეორე ნახევარში ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში დაარსდა ქრისტიანული ტაძრები და საეპისკოპოსოები (ბოდბე, ხორნაბუჯი). მათი რიცხვი VIII-X საუკუნეებში კიდევ უფრო გაიზარდა. ამავე პერიოდში დაფუძნდა გიშ-ქურმუხის საეპისკოპოსოები [6, 33].

ჰერეთის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრები და საეპისკოპოსოები მცხეთის საკათალიკოსოს შემადგენლობაში შედიოდა და მას ექვემდებარებოდა. წერილობითი წყაროებით დასტურდება, რომ მცხეთის კათოლიკოსს ჰერეთში თავისი მამულები ჰქონია. XI საუკუნის დასაწყისში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ I-მა (1010- 1033) მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარს შესწირა ჰერეთის რამდენიმე ეკლესია, კერძოდ კი კატეხის ეკლესია მამულებითა და შემოსავლებით [1, 38]. აღსანიშნავია, რომ ჰერეთის ტერიტორიის ამ ნაწილიდან IX-X საუკუნეებში ქართველი მისიონერების მეშვეობით ქრისტიანობა ფეხს იკიდებს დაღესტნის მხარეში. ქართული წყაროების მიხედვით, XIII საუკუნის ბოლოს ბელაქნის მონასტერში დამკვიდრებული პიმენ სალოსი და ანტონ ნაოხრებულიძე დიდად იღვწოდნენ დაღესტნელ ლეკებს შორის ქრისტიანობის გავრცელებისათვის. მემატიანეს ცნობით: „გარეჯით წამოვიდა და დამკვიდრდა ბელაქანს ქუაბსა შინა და ნათესავნი ლეკთა წარმათობისაგან მოაქცია, რომელი ჰგიან სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა, ამასთანა ბრწყინავდა დიდიცა მოღვაწე ანტონი ნაოხრებულიძე, ნათესავით მესხი[7, 147]. შემდგომ პერიოდშიც გრძელდებოდა ქართველ სასულიერო პირთა სამისიონერო მოღვაწეობა ჩრდილოეთ კავკასიაში. რომელთა ღვაწლით XII –XIV საუკუნეებში დაღესტნის ტერიტორიაზე არსებობდა ანწუხის, წახურის საეპისკოპოსოები. ხოლო ხუნზახში იჯდა „ღუნძელი კათალიკოსი ოქროპი-

რი“ [8, 244]. აღნიშნული საეპისკოპოსოები საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ. დაღესტნის ტერიტორიაზე არსებულ საეპისკოპოსოებს მცხეთის კათოლიკოსის მითითებით მზრუნველობას უწევდა გიშ–ქურმუხის მთავარეპისკოპოსი. იგი ეხმარებოდა მათ სასულიერო სასწავლებლების დაარსებაში და ამარაგებდა სასულიერო ხასიათის ლიტერატურით. [6, 33]. XV-XVII საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიის გამაჰმადიანების გამო დაღესტანში არსებული საეპისკოპოსოები გაუქმდა, ხოლო ეკლესია–მონასტრები ფიზიკურად განადგურდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად დღევანდელი დაღესტნის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ქრისტიანული ტაძრის ნაშთები ქართული ეპიგრაფიკული წარწერებით, რომელიც X–XII საუკუნეებით თარიღდებიან [9, 69].

საინგილოს ტერიტორიაზე არსებული ბელაქნის, ლექეთის, მაჭის, კატეხის, ბახთალის, ფიფანის და სხვა ეკლესია-მონასტრებში დიდი კულტურულ–საგანმანათლებლო მუშაობა მიმდინარეობდა, რასაც ადასტურებს XIX საუკუნის ბოლოს ალექსანდრე ხახანაშვილის მიერ გამოქვეყნებული „ხუციანთ ოთხთავის“ ანდერძ - მინაწერები [10, 33-35; 1, 41-43].

ერთიანი ფეოდალური საქართველოს დაშლის შემდეგ ჰერეთი კახეთის სამეფოს შემადგენლობაში იმყოფებოდა, მაგრამ XVII საუკუნის დასაწყისიდან ირანელთა და ოსმალთა თავდასხმების შედეგად საქართველოს ეს ძირძველი კუთხე თავის ისტორიულ სამშობლოს ჩამოშორდა. ამავე პერიოდიდან ირანელთა და ოსმალთა მხარდაჭერით აღნიშნული ტერიტორია დაიპყრო დაღესტნელმა მუსულმანმა ჭარელმა ლეკებმა. მომხდური მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველთა ნაწილი ამოწყდა, ნაწილმა კახეთს შეაფარა თავი, ხოლო დარჩენილი მოსახლეობა მაჰმადიანობაზე მოაქციეს. ძალადობის მიუხედავად მოსახლეობის მცირე ნაწილი ფარულად ინარჩუნებდა ქრისტიანობას და ხშირად ბოდბის სამიტროპოლიტოს ტერიტორიაზე არსებულ ეკლესია–მონასტრებში ბეგებისა და მოლების მალულად დაიარებოდნენ წირვა-ლოცვაზე [11].

ფარულად მოღვაწე ქრისტიანი ინგილოების მდგომარეობა ნაწილობრივ სასიკეთოდ შეიცვალა მას შემდეგ, როცა 1830 წელს რუსეთის ცარიზმმა საინგილოს მხარე შემოიერთა. შემოერთების შემდეგ ისინი ქრისტიანობის გამო უკვე აღარ იდევნებოდნენ. შემოერთების დღიდანვე რუსეთის ცარიზმმა აქტიური სამისიონერო მოღვაწეობა დაიწყო მაჰმადიანი ქართველების გაქრისტიანებისათვის. ამ მიზნით გააქტიურდა 1815 წელს დაარსებული „ოსეთის სასულიერო კომისია“ და 1860 წელს შექმნილი „კავკასიაში მართმადიდე-

ბელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება.“ მართალია, საინგილოში სამისიონერო მოღვაწეობის დროს რუსეთის ცარიზმს თავისი კოლონიური ინტერესები ამოძრავებდა, მაგრამ ობიექტურად ხელისუფლების ამ ნაბიჯმა კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა ქრისტიანობის აღდგენა - გამტკიცებაში. მისიონერებად ძირითადად ინიშნებოდნენ ქართველი სასულიერო პირები, რომელთა შორის აღსანიშნავია ევტიხი მამაიშვილი, ლეონიდე და იროდიონ ოქროპირიძეები, ტარასი და აპოლონ ივანიცკები და სხვები. ქართველ მისიონერთა მოღვაწეობის შედეგი იყო, რომ მაჰმადიან ქართველთა ნაწილი მამა-პაპისეულ რწმენას დაუბრუნდა, წირვა-ლოცვა აღდგა ქართულ ეკლესია – მონასტრებში, დაარსდა სასულიერო სკოლები და სხვა. აღნიშნულ პერიოდში საინგილოს ქართველთა წრიდან გამოვიდნენ გამოჩენილი სასულიერო პირები და საზოგადო მოღვაწეები: მოსე და დიმიტრი ჯანაშვილები, ტარასი, რაფიელ, აპოლონ და ვლადიმერ ივანიცკები, მიხეილ, ნიკოლოზ და მარკოზ ყულოშვილები, მათე ფიროსმანაშვილი და სხვები. დასახელებული პიროვნებები ქართველ მოღვაწეებთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდნენ ქართველი ხალხის წინაშე მდგარი სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტაში. მათი მოღვაწეობა იმედს იძლეოდა, რომ ისტორიული ბედუკუღმართობის მიუხედავად წარმატებით ხორციელდებოდა საინგილოს ქართველი მოსახლეობის ინტეგრაცია ქართულ სამყაროსთან.

სამისიონერო მოღვაწეობის მიუხედავად საინგილოს ქართველი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ მაჰმადიანობას აღიარებდა.

საინგილოს მართლმადიდებელი მოსახლეობა XIX და XX საუკუნის პირველ ათეულში საეგზარქოსოს დაქვემდებარებულ ქართლ-კახეთის ეპარქიის შემადგენლობაში არსებულ ალავერდის სავიკარიოს ექვემდებარებოდა.

საინგილოს მოწინავე საზოგადოებამ მხარი დაუჭირა 1917 წლის 12 მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას და იმავე წლის სექტემბერში გამართულ პირველ საეკლესიო კრებაზე თავისი წარმომადგენლებიც მიავლინა. პირველი საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით ბოდბის ეპარქიას დაექვემდებარა ზაქათალის, სამურის, ნუხის, არეშის, განჯის და ყაზახის მრევლი [12, 4]. მართალია საინგილოს მართლმადიდებელი მრევლი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში მოექცა, მაგრამ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის არსებობის დროს (1918-1921 წწ) ეკლესიამ ქმედითი ღონისძიებები ვერ განახორციელა თავის ისტორიულ მიწაწყალ-

ზე, რადგან ზაქათალის ოლქი საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის სადაო ტერიტორიად იქნა მიჩნეული. გასაბჭოების შემდეგ (1921 წლის 25 თებერვალი) კი 1921 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით ზაქათალის ოლქი აზერბაიჯანის სსრ გადასცეს [13, 67]. ამ გადაწყვეტილებით ქართველი ხალხისა და საინგილოში მცხოვრები მართლმადიდებელ ქრისტიანთა უფლებები უგულვებელყოფილ იქნა.

1921 წლის 3 სექტემბერს გელათში ჩატარებულ მესამე საეკლესიო კრებაზე (კრებაზე გარდაცვლილი ლეონიდეს ნაცვლად კათოლიკოს – პატრიარქად აირჩიეს ამბროსი ხელაია) გამოსვლისას აღნიშნული გადაწყვეტილების გამო პროტესტი გამოთქვა საკათალიკოსო საბჭოს წევრმა, საინგილოს წარმომადგენელმა რაფიელ ივანიცკიმ. იგი საეკლესიო კრების მონაწილეებს მოახსენებდა, რომ დემოკრატიული საქართველოს დროს „...ზაქათალის ოლქი თითქმის სრულებით მოსწყდა საქართველოს, ხოლო ამ სამწუხარო გარემოებას თან დაერთო თანდათანობითი დაშორება ყველა სხვა სფეროებში: შეწყდა კავშირი კულტურული, სარწმუნოებრივ - ზნეობრივი, ნაციონალური, ეკონომიური. თუ წინად, მიუხედავად იმისა, რომ ზაქათალის ოლქში ფაქტიურად თავმოყრილი იყო აზერბაიჯანის მბრძანებლობა, ჩვენ მაინც იმედი გვქონდა, რომ ეს უმდიდრესი ქვეყანა ბოლოს მაინც მოჰყვებოდა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში. მიმდინარე წლის თებერვლის შეტაკების შემდეგ, რომელმაც მოგვცა საქართველოს აწინდელი ხელისუფლება, ეს იმედიც გაგვიქარწყლდა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კომუნისტების პოლიტიკურ, ასე ვთქვათ ანგარიშში ძლიერ ნაკლებად შედის საქართველოს ტერიტორიის მტკიცედ შენარჩუნება და მართლაც გასულ მკათათვეს ხუთში (იგულისხმება 5 ივლისი ე. ბ.) საქართველოს სოციალისტურმა მთავრობამ ხელშეკრულება დაუდო აზერბაიჯანის მთავრობას, რომლის ძალითაც მთელი ზაქათალის ოლქი მიეკუთვნა აზერბაიჯანს და ამგვარად საქართველომ ანუ უკეთ, რომ ვთქვათ, სოციალისტურმა საქართველომ უარი განაცხადა თავის საუკეთესო კუთხეზე“ [14, 69].

რაფიელ ივანიცკი საეკლესიო კრების დეპუტატებს განუმარტავდა, რომ „პოლიტიკური პირობების შეცვლამ მოსალოდნელია მოახდინოს რადიკალური ცვლილება საინგილოს რელიგიურ ცხოვრებაში. შესაძლებელია აღნიშნული ვითარების გამო სრულიად მოისპოს საქართველოს საკათალიკოსოს იურისდიქცია ხსენებულ ოლქში, ვინაიდან რუსეთ –აზერბაიჯანის საეპისკოპოსო (იგულისხმება რუსეთის ეკლესიას დაქვემდებარებული ბაქოს ეპარქია ე. ბ.) ალბათ

შეეცდება ხელთ იგდოს საინგილოს მართლმადიდებელი მრევლი. ამის თავიდან ასაცილებლად საქართველოს ეკლესიამ უნდა იზრუნოს, რათა განახლდეს და გაცხოველდეს სარწმუნოებრივ - მორალური ურთიერთობა საქართველოსა და საინგილოს შორის. გაბედულად ვაცხადებ - მიმართავს იგი კრების მონაწილეებს - რომ მართლმადიდებელი ინგილოები სცნობენ მხოლოდ საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას და ეს გარემოება კი მეტ წილად გვავალებს ეხლავე, დაუყონებლივ შევუდგეთ მართლმადიდებელ ინგილოებზე ზრუნვას" [14, 69]. რაფიელ ივანიცკი მოითხოვდა, რომ საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით ზაქათალის ოლქში მცხოვრებ ქრისტიანებზე მზრუნველობა დავალებოდა უახლოესი ეპარქიის, ალავერდის მღვდელმთავარს, მომავალში კი აუცილებლობად მიიჩნევდა ქურმუხის ეპარქიის გახსნას [14, 69]. მართალია საეკლესიო კრებამ მოისმინა რაფიელ ივანიცკის წინადადებები, მაგრამ შესაბამისი გადაწყვეტილება არ მიუღია.

რაფიელ ივანიცკის ბიოგრაფიით დაინტერესებული მკვლევართათვის აღნიშნული ფაქტი უცნობია. მათთვის უცნობია აგრეთვე მისი მოღვაწეობის ზოგიერთი დეტალიც. თითქმის ყველა მკვლევარი მიიჩნევს, რომ იგი 1921 წელს ემიგრაციაში გაემგზავრა. სინამდვილეში, როგორც წყაროებით დასტურდება, 1922 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში რაფიელ ივანიცკი საბჭოთა ხელისუფლების მიერ იქნა დაპატიმრებული. დაპატიმრების მიზეზი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ შესაძლებელია მესამე საეკლესიო კრებაზე მისი რადიკალური გამოსვლა იყო დაპატიმრების მიზეზი. რაფიელ ივანიცკის პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნით 1922 წლის 24 მარტს კათალიკოს–პატრიარქი ამბროსი ხელაია საბჭოთა ხელისუფლებას მიმართავს: „მიმდინარე წლის თებერვლის პირველ რიცხვებში დაპატიმრებულ იქნა საკათალიკოსო საბჭოს წევრი რაფიელ ივანიცკი. ვინაიდან საკათალიკოსოს მუშაობისათვის რაფიელ ალექსანდრეს ძე ივანიცკი ფრიად საჭიროა, პატივისცემით ვთხოვ რესპუბლიკის მთავრობას ინებოს განკარგულება დაპატიმრებული ივანიცკის გათავისუფლებისათვის"[15, 11]. როგორც ჩანს, კათალიკოს–პატრიარქის თხოვნა მთავრობამ დააკმაყოფილა, რადგან რაფიელ ივანიცკი პატიმრობიდან მალე გაათავისუფლეს. სასჯელისგან გათავისუფლების შემდეგ იგი 1922 წლის მეორე ნახევარში ემიგრაციაში გაემგზავრა.

მესამე საკლესიო კრებაზე რაფიელ ივანიცკის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი გამართლდა. 1923 წელს კათალიკოს-პატრიარქ ამბროსისა და საკათალიკოსო საბჭოს წევრების დაპატიმრების

გამო საქართველოს ეკლესიამ ქმედითი ნაბიჯები ვერ გადადგა საინგილოს ქრისტიანი მრევლის დასახმარებლად. რუსეთის ეკლესიამ ზაქათალის ოლქის მართლმადიდებელი ქართველი მოსახლეობა ახლადშექმნილ სტავროპოლისა და პიატიგორსკის ეპარქიას დაუქვემდებარა. აღნიშნული გადაწყვეტილების მიუხედავად, 1927 და 1945 წლებში საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის მიერ დამტკიცებული „დებულებით" ზაქათალის ოლქი კვლავ ბოდბის ეპარქიას ექვემდებარებოდა, მაგრამ მისი იურისდიქცია დასახელებულ ტერიტორიაზე ვერ ვრცელდებოდა.

XX საუკუნის 20- 40 - იან წლებში ზაქათალის ოლქის მართმადიდებელი ქართველობა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, რადგან სტავროპოლ–პიატიგორსკის ეპარქიის მღვდელმთავარი ოდნავადაც ვერ უზრუნველყოფდა მათი რელიგიური მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ბოლშევიკური ათეისტური რეჟიმის გამო 20- 30 – იან წლებში ზაქათალის ოლქში დაიხურა თითქმის ყველა ეკლესია–მონასტერი [13, 68]. მხოლოდ კახის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია ფუნქციონირებდა, მაგრამ 1934 წელს უკანასკნელი ქართველი მღვდლის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლების განკარგულებით ისიც დაიხურა. კახის რაიონის მართლმადიდებელმა მრევლმა ეკლესიის გახსნის მოთხოვნით იმავე წელს მიმართა აზერბაიჯანის სსრ მთავრობას, მაგრამ ხელისუფლებამ არ დააკმაყოფილა მათი სურვილი. უარის მიღების შემდეგ, მათ აზერბაიჯანის სსრ კანონმდებლობის შესატყვისად დაარსეს „კახის რაიონის საინგილოს რელიგიური საზოგადოება." აღნიშნულმა საზოგადოებამ 1935 წლის 13 აპრილს 111 მორწმუნე მრევლის ხელმოწერით მოხსენებით მიმართა საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქს კალისტრატე ცინცაძეს და სთხოვა დახმარება, ეშუამდგომლა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, რომ მათ ნება დართონ კახში გაეხსნათ მართლმადიდებლური ეკლესია [16, 1-2]. საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი კახის მართლმადიდებელი მრევლის მოთხოვნას არ გამოხმაურებია. ანალოგიური მოთხოვნით კახის მოსახლეობამ 1936 წლის 18 აგვისტოს კვლავ მიმართა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს, რომელშიც აღნიშნული იყო: „რელიგიური საზოგადოება დაჟინებით მოითხოვს დაუყონებლივ სალოცავი ტაძრები გადმოგვცენ ახალი კონსტიტუციის ძალით სტალინის დადგენილებით"[16, 1]. საქართველოს პატრიარქმა კალისტრატე ცინცაძემ ამ ეტაპზე პოლიტიკური ფაქტორების გამო ვერ შეძლო დახმარება გაეწია კახის რაიონის მორწმუნე მრევლისათვის, რადგან იმდროისათვის რუსეთის ეკლესიასთან ევქარისტული კავშირი გაწყვეტილი იყო და შეუძლებე-

ლი იყო მის იურისდიქციაში მყოფი მრევლის უფლებების დაცვა. მეორე მხრივ, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის ჩარევა აშკარად ნიშნავდა მეზობელი აზერბაიჯანის სსრ საშინაო საქმეებში ჩარევას, რაც ბუნებრივია გარკვევულ პოლიტიკურ დატვირთვას იძენდა. მდგომარეობას ართულებდა ის ფაქტიც, რომ საქართველოში არსებული სხვა რელიგიური ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, საბჭოთა რეჟიმის დამყარების დღიდან საქართველოს ეკლესიას იურიდიული სტატუსი არ ჰქონდა მინიჭებული, რაც ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებთან ურთიერთობის დროს ეკლესიას სირთულეებს უქმნიდა.

მას შემდეგ, როცა 1943 წელს რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებს შორის აღდგა ევქარისტული კავშირი, აღნიშნული საკითხის მოგვარებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. იმავე წელს რუსეთის ეკლესიამ საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში გადასცა სომხეთის სსრ ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებლური ეკლესიები და მრევლი. ასეთი ნაბიჯი მან, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, საინგილოს მართლმადიდებელი მრევლის მიმართ ვერ გადადგა. მათთვის კარგად იყო ცობილი, რომ საინგილო ისტორიულად საქართველოს ტერიტორიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. როგორც ჩანს, რუსეთის ეკლესიის ხელმძღვანელობას მიაჩნდა, რომ საინგილოს მართლმადიდებელი მრევლის საქართველოს საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებას შესაძლებელია დღის წესრიგში დაეყენებინა მისი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება.

საქართველოს ეკლესიის იურიდიული სტატუსის გარკვევასთან და საინგილოს ქართველი მართლმადიდებელი მოსახლეობის მოთხოვნასთან დაკავშირებით 1945 წელს მოსკოვში მყოფი საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე შეხვდა რელიგიის რწმუნებულს გ. კარპოვს და დახმარება სთხოვა. მართალია, გ. კარპოვმა საქართველოს პატრიარქს დახმარება აღუთქვა, მაგრამ მას პრაქტიკული ნაბიჯი არ გადაუდგამს აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად. აღსანიშნავია, რომ 1946 წელს თბილისში ვიზიტად ჩამოსულ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ ალექსი I-ს საქართველოს კათოლიკოსთან საუბრისას მიზანშეწონილად მიუჩნევია საინგილოს ქრისტიანი მრევლისა და იქ არსებული ეკლესია–მონასტრების საქართველოს საკათალიკოსოს დაქვემდებარებაში გადმოცემის შესაძლებლობა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ კახის მართლმადიდებელი მრევლი თავიანთი რელიგიური მოთხოვნების დაკმაყო-

ფილების მიზნით კვლავ აგზავნის მიმართვებს ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებში. მათ 1946 წელს ვრცელი მიმართვა გამოუგზავნეს პატრიარქ კალისტრატეს. ისინი საქართველოს კათოლიკოსს აცნობებდნენ, რომ მართალია მათ სასულიერო პირები აღარ ჰყავთ, მაგრამ კვირა-უქმე დღეებში ახლაც იკრიბებიან ეკლესიებში, ანთებენ სანთელს, იხსენებენ მიცვალებულებს, მაგრამ „ამჟამად ჩვენი ეკლესიები ქურმუხის, კასრის, ალავერდის და სხვა მიტოვებულია უპატრონოდ. ზოგს სახურავი გადახდილი აქვს.“ ისინი სთხოვენ საქართველოს კათოლიკოსს მათ სამწყსოდ საინგილოში გაიგზავნოს ქართველი სასულიერო პირი, რომელიც „უპატრონებს საქართველოს განაპირა კუთხის მართლმადიდებლებს, აღადგენს დანგრეულ ეკლესიებს, შეგვასრულებინებს იმ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს, რომელსაც ჩვენი მამა-პაპა მისდევდნენ“ [17, 6].

კახის რაიონის ქართველ მართლმადიდებელთა წერილის მიღების შემდეგ პატრიარქმა კალისტრატე ცინცაძემ 1946 წლის 27 დეკემბერს აღნიშნული საკითხის მოგვარებისა და საქართველოს ეკლესიის იურიდიული სტატუსის მოთხოვნით დახმარებისათვის მიმართა ლავრენტი ბერიას, რომელიც იმ დროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი იყო.

საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქი ლავრენტი ბერიას წერდა:

„უღრმესად პატივცემულო ლავრენტი პავლეს ძევ!

თქვენ იმდენად დატვირთული ბრძანდებით, რომ ვერ ვბედავ შეწუხებას, მაგრამ როდესაც საქართველოს პატივს ხდიან ვის უნდა მივმართო, თუ არა სულითა და გულით, მის უფლებათა დამცველს და განგების მიერ ხელისუფლების უმაღლეს საფეხურზე აყვანილს!

საქმე შემდეგშია, საბჭოთა სახელმწიფო ცნობს და სათანადო მფარველობას უწევს ეკლესიებს მართლმადიდებელ რუსეთისას, სომეხ – გრიგორიანებისას, რომთა – კათოლიკებისას და ლოთრანგებისას (იგულისხმება ლუთერანული ეკლესია ე. ბ.) და სარწმუნოებრივ ორგანიზაციებს მუსულმანებისა, ებრაელებისას, ბუდისტებისას და სექტანტებისას, ხოლო საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას კი არა.

ისტორია ადასტურებს, რომ საქართველოს ეკლესიამ, შესისხორცებულმა საქართველოს სახელწიფოსთან, 16 საუკუნის მანძილზე, მოუპოვა და შეუნარჩუნა ჩვენს ხალხს ეროვნული არსებობა,

თავისუთფლება და საკუთარი სახე (ქართველი მუსულმანების უმრავლესობა თავის თავს თათრებად თვლიან, ხოლო კათოლიკებისა ფრანგებად) და იგი დღესაც მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა სახელმწიფოსთან. მიუხედავად ამისა, ჩვენი ეკლესია საბჭოთა სახელმწიფოს მიერ არა ცნობისა გამო, განსაცდელშია აქაურ რუსთა სამრევლოებში დაბუდებულ დიდმპყრობელობით ელემენტებისაგან... ამ საფრთხის გამო მე მქონდა საუბარი გ. კარპოვთან 1945 წლის იანვარსა და ოქტომბერში და მან აღმითქვა „გაუგებრობის“ აღკვეთა, მაგრამ მიმდინარე წლის იანვარშიც (1946 წელი ე. ბ.), რომ ვერ მივიღე მისგან პასუხი, იძულებული გავხდი მიმერთმია თან დართული მოხსენება თვით იოსებ ბესარიონის ძე სტალინისათვის, რომლის რეზოლუცია ჯერაც არაა შესრულებული.

რა უშლის ხელს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის რეზოლუციის სისრულეში მოყვანას? თვით გ. კარპოვმა ორჯერ აღმითქვა ბოლოს მოღება გაუგებრობისა. მაშასადამე დამაბრკოლებელი ძალა მის პირად სურვილთა გარეშეა. არც ალექსი პატრიაქია ჩვენი დაჩაგვრის მომხრე. თბილისში მისი ყოფნისას ჩამოვარდა ლაპარაკი ინგილოებზე. გაიგო რა პატრიარქმა ინგილოების ქართველობა, მათი ნაწილის ქრისტიანობაც, გამოთქვა აზერბაიჯანის სამრევლოების საკათალიკოსოსათვის გადმოცემის შესაძლებლობა, მსგავსად სომხეთის სამრევლოებისა (სადაც არ მოიპოვებიან არც ერთი ქართველი, მაშინ როცა აზერბაიჯანში ინგილოების გარდა ბლომად არიან ქართველები). ამის მიხედვით ამა წლის იანვარში სსრ კავშირის სამინისტროსთან არსებულ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიის საბჭოში ეს საკითხი ოფიციალურად დასვა კ. ქადაგიშვილმა ალექსი პატრიარქის აზრის აღნიშვნით, მაგრამ ხსენებულმა მოსაზრებამ იქ ნიადაგი ვერ მოიპოვა. ალბათ საინგილოს აზერბაიჯანიდან გამოყოფა მიიჩნიეს უხერხულად, ხოლო მთლიანად მართლმადიდებელი სამრევლოების საკათალიკოსოსათვის გადმოცემა მწვალებლობად. თუმცა აზერბაიჯანში ქრისტიანობა საქართველოდან გავრცელდა და ეგზარქოსობის დროსაც კი ქართლ – კახეთის ეპარქიაში შედიოდა...

მოგახსენებთ რა ზემოაღნიშნულს, გულმოდგინეთ და კადნიერებით გთხოვთ, იქონიოთ გავლენა გ. კარპოვზე, წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ი. ბ. სტალინს ჩემი № 2864 მიმართვაზე დაფუძნებული მოხსენება.

თქვენს გამოსარჩლებაზე გულით დანდობილი, სანართლიანობის აღდგენის მომხრე და თქვენი პატივისმცემელი სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე.

თბილისი, 1946, 27, XII [19, 23].

დიდი თხოვნის მიუხედავად ლ. ბერია არ გამოხმაურებია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვას.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატე ცინცაძემ კახის რაიონის მართლმადიდებელ მრევლთა ზემოაღნიშნული თხოვნა 1947 წლის დასაწყისში გადაუგზავნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა რწმუნებულს კ. ქადაგიშვილს, რომელსაც თან თავისი მიმართვაც დაურთო. რელიგიის რწმუნებულს პატრიარქი აცნობებდა: „წარმოგიდგენთ რა ამასთან ინგილოების განცხადებას პატივისცემით მოგახსენებთ, რომ ამგვარი განცხადება მე არაერთხელ მომისმენია, მაგრამ ყოველთვის იძულებული ვიყავი გულისტკივილით დახმარებაზე უარი მეთქვა. საინგილო საქართველოსა და საკათალიკოსოს ფარგლებში არ შედის. ეს არის მიზეზი, რომ იქაური სულითა და ხორცით ჩვენი ძმები მოკლებული არიან ქართულ წირვა-ლოცვას“ [16, 6]. საქართველოს პატრიარქი რელიგიის რწმუნებულისაგან დახმარებას ითხოვდა, მაგრამ არა თუ რელიგიის რწმუნებული, არამედ საქართველოს მთავრობის პირველი პირებიც კი დადებითად ვერ გადაწყვეტდნენ აღნიშნულ საკითხს.

როგორც წყაროებით დასტურდება, კახის რაიონის მართლმადიდებელი მრევლი დარწმუნდა, რომ დიდი მონდომების მიუხედავად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქს მათი სურვილის დაკმაყოფილება ობიექტური მიზეზების გამო არ შეეძლო. აღნიშნულის გამო, 1944–1947 წლებში მათ რამდენჯერმე გაუგზავნეს მიმართვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის რწმუნებულთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. კარპოვს. გ. კარპოვი კახის რაიონის ქართველ ქრისტიანთა მოთხოვნას არ გამოხმაურებია.

1947 წლის პირველ ნახევარში კახის რაიონის ქართველმა მართლმადიდებლებმა წერილობით მიმართეს სტავროპოლ-პიატიგორსკის მთავარეპისკოპოს ანტონს და სთხოვეს, რომ „ქართული ეკლესიის მღვდლად ეკურთხებინა ი. კობაიძე და, საერთოდ მოეგვარებინა ქართველი ქრისტიანების სარწმუნოებრივი მომსახურების საკითხი ზაქათალის ოლქში“[18, 92]. მთავარეპისკოპოსმა ანტონმა კახის რაიონის ქრისტიანი მოსახლეობის მოთხოვნა შეატყობინა მოს-

კოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ ალექსი I-ს, რომლის კურთხევით, 1947 წლის 14 აგვისტოს სტავროპოლ-პიატიგორსკის ეპარქიის მღვდელმთავარმა წერილობით მიმართა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარ კალისტრატე ცინცაძეს და აცნობა, რომ რუსეთის პატრიარქი თანახმად არის ზაქათალის ოლქში საქართველოს საკათალიკოსოს წარდგინებით დაინიშნოს ქართველი სასულიერო პირი. რუსი მღვდელმთავარი საქართველოს პატრიარქს აგრეთვე აცნობებდა, რომ ადგილობრივი მრევლის მიერ შერჩეულ ი. კობაიძის კანდიდატურას რუსეთის საპატრიარქო მხარს არ უჭერდა და მის ნაცვლად სხვა ქართველი მოძღვარი გაეგზავნა საქართველოს საკათალიკოსოს კახის რაიონში.

საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა რუსეთის ეკლესიის აღნიშნული გადაწყვეტილება 1947 წლის 30 აგვისტოს შეატყობინა საქართველოს სსრ რელიგიის საქმეთა რწმუნებულს კ. ქადაგიშვილს და თან აცნობა, რომ უკვე შეარჩია კახის რაიონში გასაგზავნი შესაფერისი სასულიერო პირი, ახალ სოფლელი (ძველი გავაზი) მკვიდრი, თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზი ალექსი ჩიტაძე, რომელმაც ქართულ-რუსულის გარდა აზერბაიჯანული ენაც იცოდა. პატრიარქი რელიგიის საქმეთა რწმუნებულს სთხოვდა, რომ მღვდელი ალექსი ჩიტაძის გამგზავრებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტაცია გაეფორმებინა და თან აზერბაიჯანის სსრ რელიგიის რწმუნებულისათვის ეცნობებინა, რომ გაგზავნილი სასულიერი პირისათვის დაბრკოლებები არ შეექმნათ [17, 11]. თავის მხრივ, საქართველოს პატრიარქმა სტავროპოლ-პიატიგორსკის მთავარეპისკოპოს ანტონს აცნობა კახის რაიონში დეკანოზ ალექსი ჩიტაძის დანიშვნა, რაზეც 1947 წლის 11 ნოემბერს რუსეთის ეკლესიამ თანხმობა განაცხადა. აღნიშნული გადაწყვეტილებით, რუსეთის ეკლესიამ ზაქათალის ოლქის მართლმადიდებელი მრევლის მმართველობა საქართველოს კათოლიკოსს დაავალა.

კანონმდებლობის სრული დაცვით აღჭურვილი ქართველი სასულიერო პირი, დეკანოზი ალექსი ჩიტაძე კახის რაიონის ქართველმა მართლმადიდებლებმა სიხარულით მიიღეს, მაგრამ ადგილობრივმა აზერბაიჯანის სსრ ხელისუფლებამ მას მღვდელთმსახურების უფლება არ მისცა. კახის რაი-აღმასკომის თავმჯდომარის ბეილო მამედოვის განკარგულებით იგი საქართველოში დააბრუნეს და თან გააფრთხილეს, რომ აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის რწმუნებულის ნებართვის გარეშე უკან აღარ დაბრუნებულიყო. მომხდარი ფაქტის შესახებ პატრიარქმა კალისტრატემ 1947 წლის 7 დეკემბერს აცნობა საქართველოს სსრ რელი-

გიის რწმუნებულს კ. ქადაგიშვილს და სთხოვა: „...აღეძრა შუამდგომლობა საინგილოსა და თვით აზერბაიჯანის მართლმადიდებელი სამრევლოების გადმოცემისათვის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გამგებლობაში“ [17, 15].

საკავშირო ხელისუფლება კახის რაიონის მართლმადიდებელი მრევლის მოთხოვნის შესახებ ინფორმირებული იყო. ჯერ კიდევ, 1946 წელს სსრ კავშირის მთავრობამ „აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველების დაბეჯითებითი მოთხოვნის საფუძველზე“ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს კანდიდ ჩარკვიანს „დაავალა კონსტიტუციურად შეესწავლა, გამოეკვლია და მისთვის წარედგინა არსებული მდგომარეობის ამსახველი მასალები“ [18, 91]. ადგილობრივმა ხელისუფლებამ აღნიშნული საკითხის შესწავლა მიანდო 1947 წლის დასაწყისში ახლადშექმნილ რელიგიის რწმუნებულთა აპარატს. აპარატის ხელმძღვანელმა კ. ქადაგიშვილმა 1947 წლის 8 დეკემბერს, საქართველოს პატრიარქის თხოვნით, მოხსენებითი ბარათი წარუდგინა საქართველოს მთავრობას. აღნიშნული მოხსენება ძირითადად ეყრდნობა კალისტრატე ცინცაძის მიერ მიწოდებულ მასალებს. მთავრობისადმი წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „რევოლუციამდე ყოფილ ზაქათალის ოლქში იყო 7 მოქმედი მართლმადიდებლური ეკლესია, რომელსაც განაგებდა საქართველო: კერძოდ, მისი ქართლ–კახეთის ეპარქია... რევოლუციის შემდეგ ყოფილი ზაქათალის ოლქი ტერიტორიულად იყო საქართველოს ნაწილი და საქართველოს ხელისუფლად ფილიპე მახარაძის ყოფნის პერიოდში, ის სრულიად უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად, რატომღაც გადაეცა აზერბაიჯანის სსრ-ს. ზაქათალის ოლქი, ანუ კახის, ბელაქნის, რაიონის მოსახლეობამ ძველებურად შეინარჩუნა მიდრეკილება და კავშირი საქართველოსთან, როგორც სამეურნეო საქმიანობაში, ასევე სულიერებაში და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან შესისხორცებულ ურთიერთობას აგრძელებდა“ [18, 91]. შემდგომ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ XX საუკუნის 40-იან წლებში ზაქათალის ოლქში დაიხურა ყველა ეკლესია, უმწყესოდ დარჩენილმა მრევლმა არაერთხელ მიმართეს „საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქ კალისტრატეს, რომ მიეღო ისინი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წევრებად. ამის აუცილებლობას ისინი იმით ასაბუთებდნენ, რომ ეს მიწა-წყალი ქართველების არის, ძირძველი ქართული ტერიტორიაა“ [18, 91]. მოხსენებაში შემდგომ მოთხრობილია კახის რაიონში მომხდარი იმ ინციდენტის შესახებ, რომელიც ქართველი სასულიერო პირის დანიშვნას მოჰყვა. დასასრულს

რელიგიის რწმუნებული აღნიშნავს, რომ „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი აუცილებლად და მიზანშეწონილად მიიჩნევს ზაქათალის ოლქის ტერიტორიის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას“ [18, 92]. ანალოგიური შინაარსის მიმართვა კ. ქადაგიშვილს გაუგზავნია საკავშირო ხელისუფლების მისამართითაც, მაგრამ მათ საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის პრაქტიკული ნაბიჯი არ გადაუდგამთ. აშკარაა, რომ სსრ კავშირის მთავრობისათვის მიუღებელი იყო საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის მოთხოვნა – საინგილო ეკლესიურად საქართველოს დაქვემდებარებოდა.

ხელისუფლების უმოქმედობის შედეგად კახის რაიონის მართლმადიდებელი ქართველების მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა.

1948 წლის ივნისში საინგილოს ქართველთა მდგომარეობის შესახებ საქართველოს პატრიარქმა მოხსენებით მიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს კანდიდ ჩარკვიანს. აღნიშნული მიმართვა იმდენად საინტერესოა, რომ მას სრული სახით გთავაზობთ.

„საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს, მოქალაქე კანდიდ ნესტორის ძე ჩარკვიანს

საქართველოს ერთი საუკეთესო კუთხე, საინგილო, გაუგებარ მოსაზრებათა გამო მოჰყვა აზერბაიჯანის ფარგლებში და რუსეთის საპატრიარქოში. მიუხედავად ამისა 1930 წლამდე იქ იყვნენ ქართველი მღვდლები და ღვთისმსახურება სრულდებოდა ქართულ ენაზე. ხსენებული წლის შემდეგ ინგილოები მთხოვდნენ მღვდელს, მაგრამ მე მოკლებულ ვიყავ საშუალებას შემესრულებინა თხოვნა, --- ისინი იყვნენ რუსეთის საპატრიარქოში. მაშინ ინგილოებმა მიმართეს რუსეთის პატრიარქს, რომლისგან სამჯერ მომივიდა მომართვა, გამეგზავნა საინგილოში ქართველი მღვდელი. მეც გავგზავნე ქართულ-რუსულ-თათრულის ენის მცოდნე მღვდელი (ინგილოებს კარგად ეხერხებათ თათრულად ლაპარაკი), აღჭურვილი ჩემი და კ. ქადაგიშვილის მანდატებით. ხალხმა აღტაცებით მიიღო ქართველი მოძღვარი, მაგრამ ბაქოელმა საეკლესიო საქმეთა რწმუნებულმა არ მისცა მღვდელს ნება შეესრულებინა ორი პატრიარქის დავალება. მოსკოვს შევეკითხე და იქედან ველოდები პასუხსაო! ეს მოხდა 1947 წლის დეკემბერში. პასუხი არ ჩანდა. ამ წლის თებერვლის 22 მივ-

მართე ვრცელი წერილით (პირი ამასთან ერთად მოგერთმევათ) თვით გ. გ. კარპოვს. პასუხი არ მომსვლია. არც მოვა.

საქმის დატოვება კი აწინდელ მდგომარეობაში სიკვდილის მომასწავებელია: ქართველები თათრდებიან, მიუხედავად იმისა, რომ იქ ჩვენ სკოლებიც გვაქვს, კინოებიც და თეატრებიც. ამ დაწესებულებათა საუკეთესო მოღვაწენი იქიდან გამორბიან. გარემოცვა მეტად მძიმეა! ამასთან ერთად ქართველი ქალები მიჰყავთ ძალაუფლებით შემოსილ თათრებსა და ლეკებს, ქართველი ვაჟები იძულებული არიან შეირთონ ლეკ – თათრების ქალები. ორსავე ოჯახში მოსპობილია ქართული უბნობა, ქართული ჩვეულებები, ქართული სიმღერა – გალობა; ერთი სიტყვით მოსპობილია ყოველივე ის, რაც უნარჩუნებს ხალხს ეროვნულ სახეს. ქართული ეკლესია, რომ უმშვენებდეს გვერდს ზემოხსენებულ კულტურულ დაწესებულებებს, მაშინ ქართული საქმის მდგომარეობა საინგილოში მტკიცე იქნებოდა.

რისთვის ხდება ეს? მისთვის, რომ სტავროპოლის მღვდელმთავარს (მას ექვემდებარება საინგილო) არა აქვს შეძლება გაუგზავნოს ინგილოებს ქართველი მღვდელი. თუმცა პირადად ის ამის მომხრეა, ამის მომხრეა თვით რუსეთის პატრიარქიც. ამის შესახებ შუამდგომლობაც აღძრა კ. ქადაგიშვილმა საკავშირო საეკლესიო საბჭოში, მაგრამ ხმა მათი დარჩა ხმად მღაღადებელისად უდაბნოსა ზედა.

რა ეღობება წინ ამ კეთილ საქმეს? ბიუროკრატიული ფორმალიზმი და ჯიუტობა. არსებობს საეკლესიო კანონი (IV მსოფლიო საეკლესიო კანონი 7) : სამრევლოთა განაწილება უნდა შეფარდებული იყოს ქვეყნის სამოქალაქო დაწესებულებებთან, ე. ი. ვინაიდან საინგილო შედის აზერბაიჯანის რესპუბლიკაში და ეს რესპუბლიკა ეკლესიურად ექვემდებარება რუსეთის საპატრიაქოს, საინგილო უნდა ემორჩილებოდეს სტავროპოლის მღვდელმთავარს და რუსეთის პატრიარქსო.

ნუთუ არ არის გამოსავალი ამ მდგომარეობიდან? არის და სულ უბრალო, აზერბაიჯანი უნდა გადაეცეს დასამწყემსავად საქართველოს კათოლიკოს ისე, როგორც აქვს მას გადმოცემული სომხეთი. ეს კი მით უფრო სამართლიანი იქნება, რომ 1). სომხეთში არ მოიპოვება არც ერთი ქართველი, აზერბაიჯანში კი ისინი ბლომად არიან; 2). აზერბაიჯანი შორავს სტავროპოლს 72 სამგზავრო საათით, თბილისს კი 10-12 საათით; 3). აზერბაიჯანში და დაღესტანში ქრისტიანობა შეიჭრა საქართველოდან; 4). მას ძველად მწყემსავდნენ ბოდბელები და ალავერდელები; 5). მეცხრამეტე და მეოცე

საუკუნეში კი საქართველოს ეგზარქოსები; 6). ამ უკანასკნელთა გაუქმებამდე ბაქოს ეპარქიაში იყო 65 სამრევლო, ამჟამად იქ 2 - 3 – ია, რომელსაც საქართველოს კათოლიკოსი დამწყესავს რუსეთის პატრიარქთან დადებული პირობის მიხედვით, რუსული სამრევლოები შეინარჩუნებენ რუსულ ელფერს.

აღნიშნულის გამო პატივისცემით გთხოვთ: ვინაიდან ჩემი ცდა საეკლესიო ხაზით ვერ მოხვდა მიზანს, აღძრათ შუამდგომლობა კავშირის უზენაეს ხელისუფლებისა და საქართველოს მამის ი. ბ. სტალინის წინაშე ბრძანებისათვის: სათანადო ორგანოთა მიერ აზერბაიჯანი ეკლესიურად დამორჩილებულ იქნას საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქისადმი, როგორც მას ემორჩილება სომხეთი და მით გადარჩენილ იქნას გათათრებისაგან საქართველოს ღვიძლი შვილი ინგილო – ქართველები.

თქვენდამი უღრმესი პატივისცემით გულსავსე სრ. საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქი კალისტრატე“ [17, 26-27].

პატრიარქის მიმართვას საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას პირველი მდივანი არ გამოხმაურებია. შემდგომ მოვლენები ტრაგიკულად წარიმართა. 1949 წლის 2 მარტს საინგილოს ქრისტიანი მოსახლეობის სახელით კახის რაიონის მცხოვრებნი: შიო ბათმანიშვილი, ვასილ, შიო ტარტარაშვილები, ივანე ოთარაშვილი, ილარიონ ქიტიაშვილი, ალავერდი პაპინაშვილი და რაფო თამაზაშვილი საქართველოს პატრიარქს წერდნენ, რომ კომუნიზმის იდეოლოგიამ მათში აღმოფხვრა რელიგიური რწმენისადმი ინტერესი, „ცხადია, იმ ხალხს, რომელიც დაადგა კომუნიზმის მშენებლობის გზას, არ შეეფერება ეკლესიაში სიარული, არ შეჰფერის ღმერთის რწმენა და რელიგიური წეს-ჩვეულებებისადმი დაბრუნება.“ ათეისტურად განწყობილი კახის რაიონის აქტივისტები პატრიარქ კალისტრატეს აცნობებენ კახ – ინგილოს სასოფლო საბჭოს პლენუმის გადაწყვეტილებას: „სოფელ კახ – ინგილოს ცენტრში მყოფი ეკლესია გადაკეთდეს სასოფლო კლუბად, კულტურულ დაწესებულებად, ეკლესიები ალავერდის, მეშაბაშის გამოყენებულ იქნეს საკოლმეურნეო კლუბებად, ხოლო სამების და წმ. გიორგის ეკლესია შენახულ და დაცულ იქნას, როგორც სიძველეთა ძეგლები... ცხადია ამის შემდეგ არ მოიპოვება საინგილოში ხალხი, რომელთაც სურდეთ რელიგიური რწმენის აღიარება.“ მიმართვის ბოლოს ისინი პატრიარქს წერენ: „ამიტომ გთხოვთ, ამისთანა შინაარსის წერილები აღარ მოიწეროთ და ერთხელ და სამუდამოთ დარწმუნდეთ იმაში, რომ ინგილო ხალხი ეს არის ახალი, სოციალიზმის მშენებლობის ხალხი, რომელმაც კარგა ხანია დაივიწყა ცრუ-რწმენა“ [17, 47].

უეჭველია, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისადმი გამოგზავნილი აღნიშნული მიმართვა მაშინდელი აზერბაიჯანის სსრ მთავრობის მითითებით განხორციელდა. აზერბაიჯანის სსრ ხელისუფლებამ ათეისტური პროპაგანდის მოშველიებით უგულვებელყო საინგილოს მართლმადიდებელ ქართველთა სამართლიანი მოთხოვნა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. თ. პაპუაშვილი, საინგილოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 2008.
2. მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან (XIXს. რეფორმამდელი პერიოდი), თბ., 1953.
3. რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ეთნოლოგია, თბ., 2008.
4. დიმიტრი ჯანაშვილი, ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჰერეთის, თბ., 2000.
5. Обзор деятельности Обшества востановления православного христианства за 1860-1910, Тиф. 1910.
6. ზ. ედილი, საინგილო, თბ., 1947. 7
7. ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, შენიშვნები და კომენტარები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1987.
8. ი. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947.
9. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1982.
10. А. Хаханов, Экспедиции на Кавказ в 1892 гг. МАК., Т. VII, под редакции графини Уваровой, 1898.
11. დიმიტრი ბაქრაძე, ინგილოები, „ დროება“, 1866, №4.
12. საქართველოს ეკლესიის მართვა – გამგეობა, ტფ., 1917.
13. ა. სონღულაშვილი, აზერბაიჯანის ქართული მოსახლეობა (ინგილოები), ანალები, 2004, №2.
14. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, რაფიელ ივანიცკის ფონდი, საქმე №1315.
15. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, რაფიელ ივანიცკის ფონდი, საქმე №450.
16. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №2130.
17. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №2169.

18. ნ. ფოფხაძე, ზოგი რამ ახლო წარსულიდან, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," თბ., 2005, I.
19. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე №2257.

Eldar Bubulashvili
Doctor of Historical Siences, senior scientific researcher of the Department of Modern and Contemporary History of the Ivana Javakhishvili Institute of History and Ethnology

Christian Population of Saingilo in the 20-40-ies of the 20th Century

Summary

The former territory of Saingilo, existing as the component part of Azerbaijan Republic, was politically and historically indivisible part of the historic Georgia, where Georgian people lived since the ancient time.

By the decision of 1921, July 5 the newly established Soviet Authority transmitted Saingilo territory (Zakatala, kakhi and Belakani regions) to Azerbaijan SSR Republic. As for the Christian Georgians living there, they became component parts of Stavropol-Baku eparchy that was under the submission of the Russian Church. Because of the atheistic movement in Azerbaijan, churches existing in Saingilo were closed. Only at St. Giorgi Church in Kakhi liturgy was conducted. In 1935, after decease of the last Georgian priest, religious rite was stopped.

From the material recently revealed by us we can see that in the 30-40-ies of the 20th century Georgian Christians applied for help to the Catholicos-Patriarch of Georgia, Kalistrate Tsintsadze, for several times. The Russian Patriarch was not against the submission of the orthodox parish of Saingilo to the Georgian Patriarch, but the Soviet authority prevented to solve the abovementioned question.

In connection with the abovementioned issue in the work are represented applies of the Catholicos-Patriarch Kalistrate to Lavrenti Beria, Georgian TSEKA secretary of that time – K. Charkviani and others.

მზია ტყავაშვილი
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი

ქსნის ერისთავების მამულების საკითხი დოსითეოს ფიცხელაურის „ოსეთის სასულიერო კომისიის“ პროექტში

ქსნის საერისთავო წარმოიშვა XIII საუკუნეში ქართლის საერისთავოს დაშლის შემდეგ მდინარე ქსნისა და მის დასავლეთით მდებარე ხეობებში [1, 34]. მომდევნო პერიოდში ერისთავებმა შეიერთეს ბარისა და მთის მოსაზღვრე ტერიტორიები და გააფართოვეს თავიანთი მამულები [1, 36].

XV საუკუნის დასაწყისიდან ქსნის საერისთავო ფაქტიურად სათავადოდ იქცა. XVI-XVII სს. მიჯნაზე ერისთავებმა რეზიდენცია ახალგორში, საგვარეულო სამარხი კი ლარგვისიდან იკორთაში გადაიტანეს, ხეობის გამგებელთა გვარი – ქვენიფნეველი, კი ქსნის ერისთავით შეიცვალა [1, 36; 2, 79-80].

XVIII ს-ის 70-იანი წლებისთვის ქსნის საერისთავო ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. მასში შედიოდა: ქსნის, ალევის, ჭურთის, ცხრაძმის, ქარჩოხის, ჟამურის, ქოლოთ-ქვიტკირის, ისროლის, მეჯუდის, პატარა ლიახვის ხეობები, მაღრან-დვალეთი, გვერდისძირი [1, 38].

გაძლიერებული ქსნის ერისთავები ცენტრალურ ხელისუფლებას ხშირად ეურჩებოდნენ. მათი არაერთი ღალატის გამო ერეკლე II-მ 1777 წელს გააუქმა აღნიშნული სათავადო [3, 500-501; 11, 73], ქსნის ერისთავებს კი დაუტოვა მხოლოდ ტყვიავი, მარანა, კარალეთი, რეხა, მეჯვრისხევი, სათემო, კუმისი, ნავთლუღი, ერისთავთა ქონება გორსა და ცხინვალში; საერისთავოს დანარჩენი ნაწილი გამოცხადდა სახასოდ და გადაეცა ბატონიშვილებს: გიორგის და იულონს, რომლებმაც შემდგომ ის თავის ძმებსა და შვილებს გადაუნაწილეს. 1786 წელს ერეკლემ ჩამოართვა ერისთავებს მეჯვრისხევი და ზოგი სხვა სოფელი, 1790 წელს კი ისინი საბოლოოდ განდევნა საერისთავოდან [1, 38].

პლატონ იოსელიანი გადმოგვცემს იმ წინააღმდეგობას, რომელიც ერეკლე II-ის სამეფო კარზე ქსნის ერისთავებისთვის მამულების ჩამორთმევას ახლდა: „შეგროვილთა მეფისა სასახლეშია შინა მდივანბეგთა განიხილეს საქმე და ორგულება, რომელთაცა შესწა-

მებდნენ ერისთავთა. ჭაბუა ორბელიანმან და იოსებ თუმანიშვილმან და სხვათა სძლეს სხვათა და განაჩინეს სრულიად უკუნითი უკუნისამდე მოელოს მათ საერისთაო. სიმტკიცისათვის და შეუცვალებლობისათვის ესრეთისა განჩინებისა იქმნა კრება, დაიწერა ძეგლის წერა, და მოსწერდა ხელი დაესვათ ბეჭედნი მეფისა და სამეიფოსა სახლისა წევრთა, კათალიკოსისა და მღვდელმთავართა რვათა. კირილე მთავარეპისკოპოსმან მისცა ხმა მიემატოს ძეგლის წერას ესეცა: „იყავნ კრული თვით მეფეცა, რომელმანცა განხსნას შეკრულება ესე და სცვალოს განჩინება“ [11, 78]. ამ საკითხის ირგვლივ ერთსულოვნება არ იყო თვით სამეფო ოჯახში. ბატონიშვილ გიორგის (შემდგომში მეფე გიორგი XII) „არა უნებდა არც ხელის მოწერა, არცა ბეჭდის დასმა“, მაგრამ ერეკლე II – ეს ვერ შეეწინააღმდეგა და „მორჩილ ექმნა მამასა, გარნა გაიმეგობრა ერისთავნი და მთისა მკვიდრნი, რომელთაცა სურდათ ერისთავნი თვისნი, გალაღებულნი მათგან“[11, 78]. „აქედამ სცნეს პირველად ჰაზრი მეფის ძისა, რათა ჰყვანდეს შემდეგ დროთათვის განდევნილნი ერისთავნი თანაშემწედ პირისპირ მეორისა დედისაგან ძმათა, რომელნიცა სძულობდენ მას“. „ესე სიყვარული მათ შორის დასცხრა და განქარდა მაშინ, როდესაც ერისთავმან რევაზ 1800 წელსა შეირთო ცოლად ანასტასია, ქალი ირაკლისა და ოდეს ფარნაოზ მეფის ძემან იდუმალვე მამისა მიიყვანა ცოლად ანნა, ქალი ყულარაღასისა ერისთავისა“ [11, 78].

პლატონ იოსელიანისავე სხვა ცნობაზე დაყრდნობით, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გიორგი ერეკლეს ძე, დარეჯანის შვილების ერისთავებთან დამოყვრებამდეც არ იყო კარგ დამოკიდებულებაში ამ საგვარეულოს წარმომადგენლებთან, ყოველ შემთხვევაში მათთვის მამულების დაბრუნებას არ ფიქრობდა. 1798 წლის 12 მარტს თელავში აზნაურმა გიორგი ფიცხელაურმა მას მიჰგვარა შვილიშვილი, გრიგოლ იოანეს ძე. „მაშინ მეფემან ინება და განუახლა ჩამორთმეული ადრევე ერისთავთაგან ქსანზედ ისროლის ხევისა (ისროლის ხევი ერისთავების ძირძველი სამფლობელო იყო) მოურავობა საშვილიშვილოდ [11, 59-60]“, რითაც კიდევ უფრო გააღრმავა კონფლიქტი ამ ორი საგვარეულოს წარმომადგენლებს შორის.

გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ (1800 წლის 28 დეკემბერი), ქართველი ბატონიშვილები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად, რუსეთის საიმპერატორო კარმა კი დაიწყო ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების პროცესი. შექმნილი ვითარება კარგად გამოიყენეს ქსნის ერისთავებმა, რომლებმაც ბაგრატიონების ორივე დაპირისპირებული მხარის წარმომადგენლებს სთხოვეს კუთვნილი მამულების დაბრუნება. ქართველმა ბატონიშ-

ვილებმა: იულონმა, ალექსანდრემ და ფარნაოზმა დაუბრუნეს ერისთავებს მამულები [1, 38]. ამით მათ გააძლიერეს თავიანთი მომხრეთა დასი.

1801 წლის 24 ივნისის ნოტის საფუძველზე რუსეთის ხელისუფლებამ ქართლ-კახეთის დროებით მმართველად გამოაცხადა დავით გიორგის ძე [21, 814], რომლის ბრძანებითაც, მისი მოწინააღმდეგე ქართველი ბატონიშვილების მრავალი მამული გადაეცა ქსნის ერისთავებს და სხვა ქართველ თავადებს [3, 301-303; 20, 67-68].

ალექსანდრე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოსა და ბაგრატიონების დინასტიის გაუქმების შესახებ რუსეთში 1801 წლის 12 სექტემბერს გამოცხადა, მისი ქართული მოსახლეობისთვის გაცნობა კი 1802 წლის გაზაფხულისთვის იყო დაგეგმილი. რუსულ პოლიტიკურ წრეებში არცთუ უსაფუძვლოდ ფიქრობდნენ, რომ მანიფესტის გამოცხადებას ბაგრატიონების სამეფო სახლის წარმომადგენლებისა და ქართველი ხალხის მხრიდან შეიარაღებული დაპირისპირება მოჰყვებოდა [21, 825; 16, 159]. ბაგრატიონებს უდიდესი გავლენა ჰქონდათ ქართლის ჩრდილოეთი რაიონების მცხოვრებლებზე (ამ ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი მათ სამფლობელოებს წარმოადგენდა), რის გამოც რუსეთის კონტროლს გარეთ დარჩენილი ეს ტერიტორია ადვილი შესაძლებელი იყო ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მომზადებისა და გაჩაღების მძლავრ კერად გადაქცეულიყო. ყოველივე ამის გამო რუსეთის მმართველ წრეებში ჩქარობდნენ ამ ტერიტორიების მცხოვრებლების მორჩილებაში მოყვანას. 1802 წლის თებერვალში ქართლის ჩრდილოეთ რაიონებში კავკასიის გრენადერთა პოლკის პოდპოლკოვნიკ სიმონოვიჩის ხელმძღვანელობით მოეწყო სამხედრო ექსპედიცია, რომლის შემდეგაც რუსეთმა ადგილობრივი მოსახლეობა „კანონიერ ხელისუფლებას“ დაუმორჩილა [3, 581-588]. ამ მხარის სამართავად კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ თავისი მოხელეები დანიშნა [3, 584-585]. ერისთავები კვლავ სამფლობელოს გარეშე დარჩნენ. ამის შემდეგ ქსნის ერისთავები სამფლობელოების დაბრუნებას რუსეთის ხელისუფლების მეშვეობით შეეცადნენ.

1802 წლის 10 მაისს გენერალ-მაიორ კნორინგისადმი მიწერილ წერილში ისინი რუსეთის ხელისუფლებას შეახსენებდნენ ქსნის ერისთავების საგვარეულოს წარმომადგენლების მიერ რუსეთის მიმართ გამოჩენილ ერთგულებას და „წინაპრების მემკვიდრეობის“ დაბრუნებას ითხოვდნენ [3, 500; 13, 100].

რუსეთის სამეფო კარმა დაწვრილებით შეისწავლა ეს საკითხი. იმპერატორ ალექსანდრე I-ის 1802 წლის 4 სექტემბრის ბრძანების

საფუძველზე საქართველოს უმაღლესმა ხელისუფლებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ერისთავებისათვის ქსნის მამულების დაბრუნებისა და ქართული სამეფო სახლის წარმომადგენლებისთვის ჩამორთმეული ტერიტორიების სანაცვლოდ შესაბამისი პენსიების დანიშვნის შესახებ [4, 550]. იმპერატორ ალექსანდრე I-ის 1803 წლის მარტით დათარიღებული პატაკით ქსნის ერისთავებს დაუბრუნდათ კუთვნილი მამულები [4, 550].

ქსნის ერისთავებისთვის მამულების ჩამორთმევის საკითხი კვლავ დადგა დღის წესრიგში XIX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში. იგი მჭიდროდ გადაეჯაჭვა „ოსეთის სასულიერო კომისიის“ აღდგენას.

ამ პერიოდში ჩრდილო კავკასიაში გააქტიურდნენ მაჰმადიანი სასულიერო პირები, რომლებმაც წარმართი და ქრისტიანი მთიელების გამაჰმადიანება დაიწყეს. რუსეთის იმპერატორმა მიზანშეწონილად მიიჩნია ამ პროცესისთვის ბერძნულ-რუსული სარწმუნოების მისიონერების მოღვაწეობა დაეპირისპირებინა და ამით შეესუსტებინა მთიელთა გამაჰმადიანების პროცესი [7, 48].უცხო აღმსარებლობის საქმეების მთავარმმართველმა[7, 47] გოლიცინმა იმჟამად (1811 წ.) პეტერბურგში მყოფ გორის არქიმანდრიტ დოსითეოს ფიცხელაურს ამ საკითხზე თავისი მოსაზრებების წერილობითი სახით წარდგენა დაავალა [7, 48].

დოსითეოს ფიცხელაურის გოლიცინისადმი წარდგენილი მოხსენებითი ბარათი შეიცავდა მოკლე ცნობებს საქართველოში მცხოვრები ოსების შესახებ. მასში ვკითხულობთ: „კავკასიის მთებში მცხოვრები ქართველი ოსები უძველესი დროიდან იყვნენ ქართველი მეფეების უშუალო დაქვემდებარებაში და უფროსებად ჰყავდათ მეფეებისგან დანიშნული თავადები. საქართველოში გუბერნიის გახსნის შემდეგ მოექცნენ მათ მფლობელობაში და განიცდიდნენ ისეთ სისასტიკეს, რომლის მსგავსსაც კავკასიაში ვერსად ნახავთ. ამის გამო ოსებს სძულთ ქართველებიც და მათი სარწმუნოებაც. კავკასიის სხვა მცხოვრებლებიც სწორედ იმიტომ ებრძვიან ხელისუფლებას (რუსები იგულისხმებიან), რომ რუსების მიერ მათი დაპყრობის შემდეგ ქართველი თავადების ბატონობის ქვეშ მოხვედრის და მსგავს უბედურებაში ჩავარდნის ეშინიათ. ხსენებული მემამულეები თვითონაც მონაწილეობენ ოსების თავდასხმებში... მათ არ სურთ ოსების გაქრისტიანება, რათა ისარგებლონ მათი უვიცობით. ჩვენს სარწმუნოებაზე მოქცეული და საქართველოში გადმოსახლებული ყველა ოსი მათ ისევ დააბრუნეს ძველ სოფლებში, სადაც არ ჰყავთ რა მღვდელი, იძულებულნი გახდნენ მიეტოვებინათ ქრისტია-

ნობა“. დოსითეოსი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ოსების დამშვიდების, გაქრისტიანებისა და მათთან მოლაპარაკების დაწყების ყველა მცდელობა იქნებოდა უშედეგო იქამდე, სანამ ისინი აღნიშნული თავადების დაქვემდებარებაში იქნებოდნენ. დოსითეოს ფიცხელაურის აზრით, მთიელთა გაქრისტიანებაში წარმატებისთვის:

1) თავადებს უნდა ჩამორთმეოდათ კავკასიის ყველა სამფლობელო, რომელზედაც კავკასიაში გუბერნიის გახსნამდე მათი მფლობელობა არ ვრცელდებოდა. ამის სანაცლოდ ყოველწლიურად მისცემოდათ 10 ათასი ვერცხლის მანეთი.

2) ოსებთან მოსალაპარაკებლად უნდა გაეგზავნათ იოანე იალღუზიძე, რომელიც იმის გამო, რომ მრავალრიცხოვანი ოჯახის წარმომადგენელი იყო, მათში ნდობით სარგებლობდა. ის თავისუფლად ფლობდა როგორც ოსურ, ასევე ქართულ ენებს. განსწავლული იყო ფილოსოფიასა და საღმრთო წერილში. მისთვის პენსიის სახით უნდა დაენიშნათ 400 ვერცხლის მანეთი.

3) ოსების მეზობლად მცხოვრებ აზნაურებს, რომლებიც ადრე მათი მოურავები იყვნენ: ნიკოლოზ და გლახა ფიცხელაურებს, ზურაბ ფურცელაძესა და იორამ ჩერქეზიშვილს, რომლებიც ყოველთვის გამოთქვამდნენ მთიელების მართლმადიდებლობაზე მოქცევის სურვილს, უნდა ემოქმედათ იალღუზიძესთან ერთად. მათ უნდა დანიშნოდათ პენსია 400 ვერცხლის მანეთის ოდენობით და მისცემოდათ შესაბამისი ჩინები.

მე-4-ე და მე-5-ე პუნქტებში დოსითეოსი აღნიშნავდა, რომ გარკვეული დროის განმავლობაში მათ უნდა მისცემოდათ 5000 ვერცხლის მანეთი ურწმუნოების მონათვლის ხარჯებისთვის; ასევე, ხელისუფლებას მათ დამხმარეებად უნდა განემწესებინა მღვდლები და სხვა პირები.

ოსების დასამშვიდებლად და ქრისტიანობაზე მოსაქცევად დოსითეოსი ყოველწლიურად 17000 ვერცხლის მანეთის გამოყოფას ითხოვდა და რუსეთის მთავრობის მისამართით წერდა, რომ „ეს ხარჯი არ უნდა მოსჩვენებოდათ გადაჭარბებულად, რადგანაც ამ პროცესის წარმატებით ჩატარების შემთხვევაში, ხელისუფლება ისარგებლებდა ამ ხალხიდან მიღებული შემოსავლებით, რომელიც ორჯერ გადაამეტებდა გაღებულ ხარჯებს“ [7, 48-49 23, 52-53]..

დოსითეოს ფიცხელაურის მიერ წარდგენილი მოსაზრებები საქართველოს იმჟამინდელ მთავარსარდალ ტორმასოვს გადაეცა განსახილველად. რომელმაც მას შემდეგი ხასიათის შენიშვნები დაურთო (აქტებში შენიშვნები მოსდევს 1812 წლის 21 იანვარს გოლიცინის მიერ პაულიუჩისადმი მიწერილ წერილს და დოსითეოს ფიც-

ხელაურის ბარათს. შესაძლოა, იგი გოლიცინს ეკუთვნოდეს, როგორც ამას ვლ. წვერავა წერს [23, 53], თუმცა ის, რომ აქ გამოთქმული მოსაზრებები ტორმასოვისას ემთხვევა და არა გოლიცინისას, ამავე დროს, ერთ-ერთ დოკუმენტში არის ცნობა იმის შესახებ, რომ დოსითეოსის მიერ წამოყენებულ დებულებებზე შენიშვნები ტორმასოვმა გააკეთა, ჩვენ გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ამ შენიშვნების ავტორი ტორმასოვია): „საქართველოს ოსებად წოდებული ხალხი შეადგენს დაახლოებით 5000 ოჯახს. ისინი სახლობენ კავკასიის მთებით გამიჯნულ ოთხ ხეობაში და იწოდებიან იქ ჩამომდინარე მდინარეების სახელებით: არაგვის, ქსნის, ლიახვის და ნარის ოსებად. . . საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მხოლოდ ქსნის ოსები გადავიდნენ სახაზინო უწყებიდან ერისთავების მფლობელობაში“ [7, 49].

ტორმასოვმა დოსითეოსის მიერ წამოყენებულ I პუნქტზე გააკეთა შენიშვნა, რომ საკითხის ასეთი გადაჭრა ერისთავებისთვის ქსნის ოსების ჩამორთმევას ნიშნავდა (სწორედ ისინი გადავიდნენ თავადების მფლობელობაში რუსების მიერ საქართველოს დაკავების შემდეგ). „ეს მამული კი ერისთავებს ებოძათ როგორც ერთგული სამსახურის სანაცვლოდ, ასევე იმიტომაც, რომ მათ ის უკანონოდ ჰქონდათ წართმეული ქართველი მეფის მიერ, რომლის ჩამორთმევის უფლებაც ამ მფლობელების თანხმობის გარეშე მას არ ჰქონდა“ [7, 419].

2-ე და მე-3-ე პუნქტებზე კი აღნიშნა, რომ რადგანაც იგი პირადად არ იცნობდა დასახელებულ პიროვნებებს (იალღუზიძეს, ფიცხელაურებს, ფურცელაძეს და ჩერქეზიშვილს–ავტორის შენიშვნა), კომისიაში ამ უკანასკნელთა შეყვანის, მათთვის ჯილდოებისა და სამხედრო ჩინების ბოძების შესახებ გადაწყვეტილებას მხოლოდ ადგილობრივ უფროსებთან შეთანხმების შემდეგ მიიღებდა [7, 419].

ტორმასოვის აზრით, ერისთავებისა და ფიცხელაურების საგვარეულოებს შორის არსებული მტრობის გამო, შესაძლოა დოსითეოსის ამ დებულებებში პირადი ინტერესები იკვეთებოდეს, ვიდრე საზოგადო [7, 49].

1811 წელს საქართველოს მთავარსარდლად ტორმასოვის ნაცვლად დაინიშნა მარკიზი პაულიუჩი. რუსეთის იმპერატორი მისი აზრითაც დაინტერესდა. 1812 წლის იანვარში გოლიცინმა მარკიზ პაულიჩისგან ოფიციალურად მოითხოვა, დოსითეოსის ჩანაწერისა და ტორმასოვის შენიშვნებზე დაყრდნობით, ამ საკითხზე თავისი შეხედულებების წერილობითი სახით წარდგენა. მარკიზი პაულიუჩი ამ მოთხოვნას არ გამოეხმაურა [7, 419]. მ. ბლიევის მოსაზრებით, „პე-

ტერბურგმა მარკიზ პაულიჩს აზრის გამოთქმა სთხოვა 1812 წელს, სამხრეთ ოსეთში აჯანყების გაქანების წლებში (ჩვენ შეგნებულად გვერდს ვუვლით ტერმინ "სამხრეთ ოსეთზე" მსჯელობას, რადგანაც ეს საკითხი ჩვენ საკვლევ თემას. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მისი ხსენება აბსოლიტურად უსაფუძვლოა და მხოლოდ მ. ბლიევის დაუსაბუთებელ მოსაზრებებს ემყარება – ავტორი), როგორც ჩანს, მან თავადების ძლიერი გავლენის გამო შეიკავა თავი. არ არის გამორიცხული, რომ მარკიზმა ვერ მოასწრო დოსითეოსის პუნქტებზე გამოხმაურება, რადგანაც კავკასია 1812 წლის ზაფხულში დატოვა" [22, 62] (გენ-ლეიტენანტი მარკიზი პაულიუჩი საქართველოს მთავარსარდლის თანამდებობიდან განთავისუფლდა 1812 წლის 16 თებერვლის რესკრიპტით – მ. [ტ-7, 20]).

გორის არქიეპისკოპოსის მიერ ქსნის ერისთავების შესახებ ზემოთ მოყვანილი დებულებები აისახა დოსითეოს ფიცხელაურის მიერ შემუშავებულ საქართველოს სინოდალური კანტორისა და „ოსეთის სასულიერო კომისიის" პროექტის ბოლო, 27-ე პუნქტში.

1814 წელს სინოდის ობერ-პროკურორმა გოლიცინმა, ხელმწიფე-იმპერატორის თხოვნის საფუძველზე, ცალ-ცალკე მიიწვია პეტერბურგში მყოფი ტორმასოვი და მარკიზი პაულიუჩი და ქსნის ერისთავებისთვის მამულების ჩამორთმევის საკითხზე თავიანთი მოსაზრებების გამოთქმა კიდევ ერთხელ სთხოვა. შეხვედრის შემდეგ გოლიცინმა იმპერატორს აცნობა, რომ საქართველოს ყოფილი ორივე მთავარსარდალი სიტყვიერად ადასტურებდა ქსნის ერისთავებისთვის ქსნისა და გვერდისძირის მამულების ჩამორთმევის მიზანშეწონილობას და სანაცვლოდ აღნიშნული საგვარეულოს წარმომადგენლებისთვის საკმარისად მიიჩნევდა 10 ათასი ვერცხლის მანეთის მიცემას [7, 419].

საკითხის შესწავლა და თავისი მოსაზრებების იმპერატორისთვის მოხსენება დაევალა საქართველოს მთავარსარდლად ახლად დანიშნულ რტიშჩევსაც (ამ თანამდებობაზე დაინიშნა 1812 წლის 16 თებერვლის რესკრიპტით [7, 20]) .

შეგროვილ ცნობებზე დაყრდნობით, 1814 წლის 31 აგვისტოს რუსეთის იმპერატორი გენ. რტიშჩევისადმი გაგზავნილ უზენაეს ბრძანებაში წერდა: „По моим намерением о Осетинской духовной коммисии и о по взятым сведениям от бывших главнокомандующих в Грузии я нахожу полезным, чтобы Ксанское имение вместе с имением Гвердисдзири не было бы в частных руках, дпя того, обращая оныя в казенное ведомство, как быль при Грузинском правительстве,

Всемилостивеише повеливаю той фамилии кн. Эристовых, коим сие имение мною пожаловано, производить из общих грузинских Доходов по 10000 р. с. в год потомственно. Вознаграждение сие превишает доход, получаемый ими с его имения по вышеупомянутым сведениями" [7, 406]. იმპერატორი აქვე ტორმასოვს ავალებდა: დოსითეოსის მიერ რეკომენდირებული პირების: ნიკოლოზ, გლახა, გაბრიელ ფიცხელაურების, ზურაბ ფურცელაძისა და იორამ ჩერქეზიშვილის „ოსეთის სასულიერო კომისიაში" შეყვანის მიზანშეწონილობის, არქიეპისკოპოსის მიერ მათთვის მოთხოვნილი სამხედრო ჩინებისა და ანაზღაურების მათ დამსახურებასთან შესაბამისობის საკითხის გარკვევას [7, 406].

1814 წლის 30 აგვისტოსვე უწმინდეს სინოდს გადაეცა ხელმწიფე-იმპერატორის ხელმოწერილი ბრძანება, რომელშიც აღნიშნული იყო: „разсмотрев представленное оберь-прокурором Синода кн. Голициным отношение к нему Гориискаго епископа Досифея насчеть устроиства духовных дель в Грузии и иных присоединенных к Державе Российской областьях и находя предположения его полезными для церкви, обращаю подлинное отношение в Синоде для надлежащаго исполнения по всем пунктам онаго, Мною утверждаемым, кроме 27-го, о котором последует решение особо. Синод не оставить с своей стороны войти в далнейшее распоряжение, соображаясь сколько можно с существенным пунктами предположений епископа Гориискаго, и если для большей удобности в исполнении признаеть нужным учинить дополнительныя статьи, то силою сего указа имееть привезти и оныя в действие – Святейшии правителтствующий Синод по приглашении в собрание онаго упоминаемого преосвященного, который по особо состоявшемуся того-же августа 30-го числа именному Высочайшему указу всемилостивеише пожаловань архиепископом Телавским и Грузино Кавказским, с поручением ему и Осетинской Комиссии, выслушав оное отношение и при том объяснения его, архиепископа [7, 407].

1814 წლის 30 აგვისტოს ხელმწიფე-იმპერატორის მიერ გაგზავნილ მიმართვაზე დაყრდნობით სინოდმა გამოსცა ბრძანება დოსითეოს ფიცხელაურის პროექტის საფუძველზე „ოსეთის სასულიერო კომისიის" შექმნის შესახებ [7, 420]. უწმინდესი სინოდის 1814 წლის 15 სექტემბრის ბრძანებით ახალ კომისიას დაეკისრა ყველა ის ვალდებულება, რომელიც მოზდოკის კომისიას ჰქონდა [10, 79; 15, 234 23,54]. კომისია თავის მოღვაწეობას შეუდგა 1815 წელს, დოსითეოსის თბილისში ჩამოსვლის შემდეგ.

ხელმწიფის ბრძანებას ქსნის ხეობის მცხოვრებთა უმეტესობის პროტესტი მოჰყვა. მათ 1814 წლის 14 დეკემბერს გენ. რტიშჩევისადმი გაგზავნილ წერილში თავიანთი უკმაყოფილება გამოთქვეს ერისთავებისთვის ქსნის მამულების ჩამორთმევის გამო და კიდევ ერთხელ შეახსენეს ამ გვარის წარმომადგენლების მიერ რუსეთის ხელისუფლებისადმი გამოჩენილი ერთგულების შესახებ. ქსნისხეობელები დოსითეოსის პიროვნების უარყოფითი კუთხით წარმოჩენასაც შეეცადნენ. წერილში მოყვანილია დოსითეოსის ცხოვრებიდან საკმაოდ სამარცხვინო ეპიზოდი. კერძოდ, კი 1795 წელს აღა-მაჰმად ხანის საქართველოში შემოსევის დროს მის მიერ მძარცველთა რაზმის შექმნის, ამ უკანასკნელთა მიერ ბარიდან მთებში თავშესაფარებლად გამოქცული ხალხის ძარცვისა და ზოგიერთი მათგანის მოკვლის შესახებ. საჩივარში აღნიშნული იყო, რომ ბრძანების შესრულებას არავითარი სარგებელი არ მოჰყვებოდა: ხაზინა იზარალებდა, ხოლო „ისინი, 1500 წლის წინ გაქრისტიანებული ხალხი, ნამდვილად დაიღუპებოდნენ“. „საქართველოში ჩვენ ვიყავით ბედნიერნი და არასდროს არ ვამბობდით უარს იმპერატორის სამსახურზე. ჩვენი ბატონები არ გვავიწროვებდნენ ზედმეტი გადასახადებით; ბატონები და ყმები ჭირსა თუ ლხინში ერთმანეთს მხარში ვედექით. დოსითეოსს კი უნდა ჩვენ დაგვაშოროს. ჩვენს მეზობლად მრავალი კავკასიელი ხალხი ცხოვრობს, – დე, დოსითეოსმა ჯერ ისინი მოაქციოს ქრისტიანობაზე. დახმარების შემთხვევაში ჩვენს ბატონებსმასზე უკეთესად შეუძლიათ ამ ხალხის გაქრისტიანება“ [7, 412] – წერდნენ საქართველოს მთავარსარდალს ქსნის ხეობის მცხოვრებლები.

ქსნისა და გვერდისძირის მთიან ხეობებში მცხოვრები ოსების მამასახლისებმა, გაიგეს რა მათთვის ბოძებული თავისუფლების შესახებ, 1815 წლის მაისში მთელი ხალხის სახელით მისწერეს გოლიცინს, რომ ისინი მადლიერნი იყვნენ ხელმწიფე იმპერატორის და ქსნის ერისთავების მონობისგან მოსალოდნელ განთავისუფლებას მოუთმენლად ელოდნენ. ისინი ითხოვდნენ დაუყოვნებლივ დაწყებულიყო უზენაესის ბრძანების შესრულება, რადგანაც ქსნის ერისთავები იმპერატორის ბრძანების შეუსრულებლობის გამო სულ უფრო აძლიერებდნენ მათ ჩაგვრას და სისასტიკეს [7, 420].

საქართველოს მთავარსარდალი რტიშჩევი 1815 წლის იანვარში გამოეხმაურა იმპერატორის 1814 წლის 31 აგვისტოს რესკრიპტს, მისი განხორციელება რუსეთისთვის არახელსაყრელად და ერისთავებთან მიმართებაში უსამართლოდ მიიჩნია. მანვე ცოტა მოგვიანებით, საქმის გაცნობის შემდეგ, შეაჩერა კიდეც იმპერატორის აღნიშ-

ნული ბრძანება. 1815 წლის 20 აგვისტოს შინაგან საქმეთა მინისტრისადმი მიწერილ წერილში რტიშჩევი განმარტავდა, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღების დროს მან იხელმძღვანელა უმაღლესის მიერ საქართველოს მთავარსარდლისთვის მინიჭებული უფლებით, – პირველი, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში საქართველოს მთავარსარდალს შეეძლო პირდაპირ მიემართა იმპერატორისთვის, და მეორე, – თუ ჩათვლიდა საქმისთვის სასარგებლოდ, გაეუქმებინა თვით იმპერატორის კანონიც კი. სწორედ ასეთი სირთულეები წარმოიშვა 1814 წლის 30 აგვისტოს იმპერატორის რესკრიპტის განხორციელების დროს, რომლებიც არც მის სამსახურსა და არც ამ კუთხის სიმშვიდეს კარგს არაფერს უქადდა. რტიშჩევის დაკვირვებით, „გარდა იმისა, რომ ერისთავები, რომლებმაც არაერთხელ დაამტკიცეს რუსეთის ერთგულება, ვარდებოდნენ საცოდავ მდგომარეობაში, აღნიშნული მამულის ხაზინისთვის გადაცემამ ცუდად იმოქმედა სხვა მემამულეებზეც, რომლებიც ფიქრობენ, რომ რუსეთი მათაც ასევე მოექცევა. განსაკუთრებით კი ის თავადები შეშფოთდნენ, რომლებსაც ოსი ქვეშევრდომები ჰყავთ. ასევე, გაირკვა, რომ გვერდისძირში ათას წელზე მეტია, რაც ყველა ქრისტიანია. ქსანზე კი ქსნის ერისთავების მამულის გარდა არის სხვა სამფლობელოებიც, რომლებშიც ოსები ცხოვრობენ, მან კი არ იცის მათთან მიმართებაში როგორ მოიქცეს“ [7, 428].

დოსითეოსის მიერ დასახელებული პირების (ფიცხელაურების, ფურცელაძისა და ჩერქეზიშვილის) ქსნის ხეობასა და გვერდისძირში მოურავებად დანიშვნის, მათთვის სამხედრო ჩინებისა და პენსიების ბოძების შესახებ, რტიშჩევი წერდა, რომ ვერ გაარკვია, თუ „რა დამსახურება მიუძღოდათ მათ რუსეთის ხელისუფლების ან ქართველი მეფეების წინაშე. ისინი არიან ერისთავების ქვეშევრდომები. მათ, მართალია, ხელი აქვთ მოწერილი ერეკლე II-ესა და ეკატერინე II-ეს შორის დადებულ ტრაქტატზე, მაგრამ არიან აზნაურები და არა მოხელეები“. რტიშჩევის აზრით, რადგან არსებული მონაცემები ვერ წარმოაჩენდა მათ დამსახურებას, არქიეპისკოპოსის პატივისცემისა და მის მიერ გაკეთებული რეკომენდაციის გამო საკმარისი იქნებოდა პირველებს, რომლებიც მისი ნათესავები იყვნენ, ოფიცრის ჩინი მისცემოდათ“. ამ მიზეზების გამო რტიშჩევმა ხელმწიფის ბრძანების შესრულება შეაჩერა [7, 428-429].

საკითხის განხილვა კვლავ გაგრძელდა. იგი რუსეთის მინისტრთა კომიტეტს გადაეცა შესასწავლად.

1815 წლის დეკემბერში ქსნის ერისთავებმა რუსეთის იმპერატორს მიმართეს საჩივრით, რომელშიც აღნიშნეს, რომ მამული მათ

უსამართლოდ ჩამოერთვათ არქიეპისკოპოს დოსითეოს ფიცხელაურის ხრიკების შედეგად, რომელსაც ერისთავების ქვეშევრდომობიდან თავისი ნათესავების გამოხსნა სურდა. ეს უკანასკნელნი აჯანყებაში მონაწილეობისთვის იმსახურებდნენ დასჯას, დოსითეოსი კი მათთვის ჯილდოებსა და ჩინებს თხოულობდა. ერისთავები მცდარად მიიჩნევდნენ არქიეპისკოპოსის იმ ცნობასაც, თითქოს საქართველოში რუსეთის ხელისუფლების დამყარებამდე ეს მამული იყო სახაზინო და კავკასიონის მთებში მდებარეობდა, მასზე კი ცხოვრობდნენ მხოლოდ ოსები, რომელთა გაქრისტიანებასაც აპირებდა. ერისთავები წერდნენ ხელმწიფე იმპერატორს, რომ XV საუკუნიდან მოყოლებული ეს მამულები გამუდმებით იყო მათ მფლობელობაში და თუმცა მცირე ხნით ერეკლე II-ემ მათ წინაპრებს ჩამოართვა ქსნის მიწები, მისმა შვილებმა ჯერ კიდევ რუსეთის ხელისუფლების დამყარებამდე დაუბრუნეს მათ კუთვნილი მამულები; აღნიშნული სამფლობელოს უდიდესი ნაწილი მდებარეობდა „საქართველოში და არა კავკასიონის მთებში, ოსები კი უფრო მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ, ვიდრე ქრისტიანები“. ერისთავები ითხოვდნენ, რომ მათთვის დაებრუნებინათ „წინაპრების მონაპოვარი, რომელსაც 1500 წელზე მეტია ფლობდენ“, ხოლო იმის გამო, რომ მათ მამულებზე განლაგებული იყო მრავალი ნაგებობა, ტაძრები, და რაც მთავარია, აქ განისვენებდა მათი მამა-პაპა, იგი მათთვის შეუფასებელი იყო და მილიონადაც ვერ შეელეოდნენ. ერისთავების აზრით, ისეთი მრავალრიცხოვანი საგვარეულოსთვის, რომლის შემადგენლობაშიც 60 წევრი იყო, 10 ათასი მანეთი ძალიან მცირე თანხას წარმოადგენდა და მათ სიღატაკეს უქადდა [7, 429].

საკითხის განხილვა გაჭიანურდა, იგი სულ უფრო რთულდებოდა, საჭირო ხდებოდა მისი სწრაფი გადაწყვეტა. ქსნის ხეობაში დაძაბულობა მატულობდა. ოსური მოსახლეობა ადგილობრივ ხელისუფლებას აღარ ემორჩილებოდა.

ქსნის ერისთავების მამულების საკითხი სპეციალური განხილვის საგანი გახდა რუსეთის მინისტრთა კომიტეტის 1816 წლის 22 თებერვლის სხდომაზე, რომელმაც ჯერ ოსეთის სასულიერო კომისიის საკითხი განიხილა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, პოლიტიკური და რელიგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე ეს კომისია დაუყოვნებლივ შესდგომოდა საქმიანობას.

შემდგომ მინისტრთა კომიტეტმა განიხილა ქსნისა და გვერდისძირის მამულების საკითხი, რომელიც დოსითეოსის მიერ შემუშავებული პროექტის 27-ე პუნქტის მიხედვით უნდა ჩამორთმეოდათ ქსნის ერისთავებს.

რუსეთის მინისტრთა კომიტეტს გააცნეს ქსნის ერისთავების მამულების ისტორია ერეკლე II-ის მიერ მათთვის მამულის ჩამორთმევიდან 1816 წლამდე; გორის არქიეპისკოპოს დოსითეოს ფიცხელაურის, ქსნის ერისთავების, საქართველოს მთავარსარდლების: ციციანოვის, ტორმასოვის, მარკიზ პაულიუჩის, რტიშჩევის შეხედულებები ამ საკითხზე [7, 427-429]. კომიტეტის წევრების აზრი ორად გაიყო. გოლიცინის აზრით, იმპერატორის 1814 წლის 31 აგვისტოს ბრძანების გამოსვლის შემდეგ ამ მამულებზე ერისთავების უფლებების განხილვა აღარ შეიძლებოდა. ეს რესკრიპტი უკვე ყველასთვის ცნობილი იყო და სახაზინო უწყებაში გადასულმა ხალხმა (ქსნის ხეობის ოსი მოსახლეობა იგულისხმება) უკვე გამოუგზავნა სამადლობელი წერილი იმპერატორს; მისი შეცვლა გამოიწვევდა უკმაყოფილებას ქსნის ხეობის მოსახლეობაში; რუსეთის ხელისუფლებისადმი უნდობლობით განიმსჭვალებოდნენ კავკასიონის მთებში მცხოვრები სხვა ხალხებიც, რაც უარყოფითად აისახებოდა მისიონერების მოღვაწეობაზე. გოლიცინმა მინისტრთა კომიტეტის წინაშე დააყენა ერისთავებისთვის მამულების სანაცვლოდ ფულადი ჯილდოს რაოდენობის განსაზღვრის საკითხი.

სინოდის ობერ-პროკურორ გოლიცინის აზრი არ გაიზიარეს მინისტრთა კომიტეტში. დეპუტატები მიიჩნევდნენ, რომ ერისთავებს მამული ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, საქართველოს მთავარსარდლების აზრის გაუთვალისწინებლად ჩამოერთვათ; რტიშჩევმა იგი არ შეასრულა, რადგანაც ადგილობრივი მხარისა და მისი საქმიანობისთვის საზიანოდ მიიჩნია. ადვილი შესამჩნევი იყო შეუსაბამობა როგორც დოსითეოსის მიერ შეთავაზებულ მუხლებს (მაგ., დოსითეოსი ერთგან წერდა, რომ ქსნის მამულებიდან მიღებული შემოსავალი 10000 მანეთსაც არ შეადგენდა, მეორეგან კი ასაბუთებდა, რომ მამულის სანაცვლოდ ერისთავებისთვის მისაცემ თანხას (10000 მანეთს) ამ მამულისგან მიღებული შემოსავალი აანაზღაურებდა), ასევე პროექტში მოყვანილ ფაქტებსა და არსებულ რეალობას შორის. მინისტრთა კომიტეტის წევრებმა „ოსეთის სასულიერო კომიტეტის“ 27-ე პუნქტის საწინააღმდეგოდ შემდეგი არგუმენტები მოიყვანეს: ერისთავებისთვის მამულის ჩამორთმევა გამოიწვევდა არამარტო ქსნის ერისთავების განაწყენებას, არამედ იმ მემამულეების გაღიზიანებასაც, რომლებსაც ასევე ოსი ქვეშევრდომები ჰყავდათ. მინისტრთა კომიტეტში დაისვა ორი კითხვა: 1) ერისთავები ამ მამულების მოხელეები იყვნენ თუ მემკვიდრეები. 2) თუკი მათი მემკვიდრეობა დადასტურდებოდა და ერისთავები არანაირ გამოსასყიდზე არ დათანხმდებოდნენ, როგორ უნდა ემოქმედათ შემდეგ? შე-

საძლებელი იქნებოდა თუ არა, რომ ოსეთის სასულიერო კომისიას მთიელების გაქრისტიანებაში რაიმე წარმატებისთვის ერისთავებისთვის მამულების ჩამორთმევის გარეშე მიეღწია? [7, 430]

სხდომაზე აღინიშნა, რომ ერისთავების უფლება ამ მამულებზე უკვე არაერთგზის იყო დამტკიცებული. ეს საკითხი ჯერ კიდევ 1802 წელს იქნა განხილული საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების საერთო კრებაზე, რომელმაც ერთხმად აღიარა ქსნის ხეობასა და გვერდისძირზე ერისთავების მემკვიდრეობითი უფლება. გვერდისძირი დასახლებული იყო მთლიანად მართლმადიდებლებით, რომლებიც 1500 წელზე მეტი ხნის წინ გაქრისტიანდნენ. მინისტრების დაეჭვებას იწვევდა ის გარემოება, რომ 1802 წელს მსჯელობა მხოლოდ ქსნის ხეობაზე იყო, გვერდისძირის საკითხი მაშინ საერთოდ არ ყოფილა დასმული [7, 430].

კომისიის წევრებისთვის მიუღებელი იყო ქსნის საერისთავოს არაგვის საერისთავოსთან გაიგივების მცდელობაც [7, 429]. (ქსნის ერისთავებისთვის მამულების ჩამორთმევის მრავალწლიან საქმეში ფიგურირებდა საქართველოს მთავარსარდალ გენ. ტორმასოვის თავად კანკრინისადმი 1809 წლის 13 აგვისტოს მიწერილი წერილი არაგვის ერისთავებისათვის მამულების ჩამორთმევის სამართლიანობის შესახებ. ცდილობდნენ არაგვის საერისთავოს გაუქმება მაგალითად გამოეყენებინათ ქსნის საერისთავოს შემთხვევაში, როგორც ერთმანეთის იდენტური ფაქტის [7, 420].

კამათი გამოიწვია ასევე, ქსნის ერისთავებისთვის მამულის სანაცვლოდ 10000 მანეთის პენსიის დანიშვნის საკითხმა. კომიტეტის წევრებმა წინააღმდეგობა თვით დოსითეოსის მიერ წამოყენებულ პროექტში შეამჩნიეს. გაირკვა, რომ ტორმასოვს და მარკიზ პაულიუჩს არ გამოუთქვამთ ერისთავების მამულების სანაცვლოდ 10 000 მანეთის შესაბამისობაზე თავიანთი მოსაზრება; იმპერატორს კი ამის შესახებ არასწორად ეცნობა. იმპერატორმა 1814 წლის 31 აგვისტოს ბრძანებას ხელი ხომ სწორედ იმის შემდეგ მოაწერა, რაც გოლიცინმა მას ამ საკითხზე საქართველოს მთავარსარდლების: ტორმასოვისა და მარკიზ პაულიუჩის თანხმობაზე არასწორი ინფორმაცია მიაწოდა. (ტორმასოვმა მაშინ აღნიშნა, რომ ერისთავების თანხმობის გარეშე მამულების ჩამორთმევას არ ეთანხმებოდა; პაულიუჩმა კი მოგვიანებით აღიარა, რომ მას ასეთი აზრი არ გამოუთქვამს – ავტორის შენიშვნა) [7, 430].

კომიტეტის წევრთათვის ცხადი გახდა, რომ ხელმწიფე-იმპერატორის განკარგულება ქსნის ერისთავებისთვის მამულების ჩამორთმევაზე დოსითეოს ფიცხელაურისა და გოლიცინის მიერ მიწო-

დებულ არასწორ ინფორმაციას ემყარებოდა. კომიტეტის სხდომაზე გამოიკვეთა მინისტრების უარყოფითი დამოკიდებულება აღნიშნული ბრძანების მიმართ და ამ საკითხის დელიკატურად მოგვარების მცდელობაც (საქმე იმპერატორის უკვე გამოქვეყნებულ ბრძანებას ეხებოდა). კომიტეტმა დააყენა საკითხი – ხომ არ მოისურვებდნენ ერისთავები ქსნის ხეობის ნაცვლად სხვა ადგილზე აერჩიათ იგივე შემოსავლიანი მამული. ერისთავებმა ამ შეთავაზებას უარით უპასუხეს და აღნიშნეს, რომ „ეს მამული არის მემკვიდრეობითი. აქ მრავალი წლის მანძილზე იმარხებოდნენ მათი წინაპრები, რის გამოც იგი მათთვის შეუფასებელია. ამის გამო ისინი არავითარ გარიგებაზე და სანაცვლო მამულზე ნებით არ დათანხმდებოდნენ. “ [7, 430].

კომიტეტის სხდომაზე მინისტრთა აზრი ორად გაიყო. არაკჩეევმა მოითხოვა, რომ გაერკვიათ ამ საკითხზე საქართველოს მთავარსარდლის, სამოქალაქო და სასულიერო მაღალჩინოსნების აზრი. გოლიცინი ეწინააღმდეგებოდა არაკჩეევს და ამტკიცებდა, რომ იმპერატორის ბრძანება დაუყოვნებლივ უნდა შესრულებულიყო; კომიტეტის დანარჩენი წევრები (შინაგან საქმეთა მინისტრის გარდა) იზიარებდნენ არაკჩეევის შეხედულებას და მიიჩნევდნენ, რომ ასეთი უსამართლო გადაწყვეტილების გამოტანისთვის არავითარი საფუძველი არ არსებობდა. არაკჩეევმა წამოაყენა წინადადება საქართველოს მთავარსარდალ რტიშჩევისთვის შეეტყობინებინათ, რომ მას ჩაეტარებინა სინოდალური კანტორისა და საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების ერთობლივი კრება, რომელსაც აუცილებლად უნდა დასწრებოდა დოსითეოს ფიცხელაურიც; კრებაზე დეტალურად უნდა განეხილათ და გადაწყვეტილებები გამოეტანათ შემდეგ საკითხებზე: 1) შეძლებდა თუ არა „ოსეთის სასულიერო კომისია“ ერისთავებისთვის მამულის ჩამორთმევის გარეშე დასახული მიზნის განხორციელებას 2) ბრძანების შეუსრულებლობა მოახდენდა თუ არა უარყოფით გავლენას სხვა თავადების მფლობელობაში მყოფ წარმართ კავკასიელებზე 3) ერისთავებისთვის მამულის ჩამორთმევას ხომ არ მოჰყვებოდა სხვა მემამულეებისთვისაც წარმართებით დასახლებული მიწების ჩამორთმევა? დეპუტატებს საკითხის განხილვისას მხედველობიდან არ უნდა გამორჩენოდათ ამ კუთხის „კეთილდღეობა“ და ამ საქმეში მონაწილე მხარეთა ინტერესები. 4) იმ შემთხვევაში, თუ ერთობლივი კრება გადაწყვეტდა, რომ ერისთავების მამულის სახაზინო უწყებისთვის დაუყოვნებელი გადაცემა აუცილებელი იყო, მაშინ უნდა დადგენილიყო მამულის სანაცვლო ფულადი ჯილდოს რაოდენობა და ის იმდენი უნდა ყოფილიყო, რომ ერის-

თავებს აღარ ეჩივლათ. რტიშჩევს საერთო კრების გადაწყვეტილება უნდა ეცნობებინა მინისტრთა კომიტეტისთვის [7, 430-431].

მინისტრთაკომიტეტმა საკითხში გარკვევამდე და საბოლოო დადგენილების გამოტანამდე შეაჩერა იმპერატორის ბრძანება – ერისთავებისთვის მამულის ჩამორთმევის შესახებ.

სხდომაზე განხილულ იქნა ასევე, გოლიცინის მიერ წარდგენილი დოსითეოსის საჩივარი იმპერატორის ბრძანების შეუსრულებლობისა და ერისთავების მხრიდან სასულიერო კომიტეტისთვის საქმიანობაში ხელის შეშლის შესახებ [7, 431-432].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ოსეთის სასულიერო კომისია“ თავის საქმიანობას დოსითეოსის საქართველოში ჩამოსვლისთანავე, 1815 წლის დასაწყისიდან, შეუდგა [17, 70]. კომისიის ცნობით, ამავე წლის ნოემბრამდე მათ უკვე 9 000 სული წარმართი კავკასიელი გააქრისტიანეს [7, 436?]. 1815 წლის დეკემბერში კი დოსითეოსი ატყობინებდა გენ.-მაიორ სტალს, რომ „ოსეთის სასულიერო კომისიის გახსნის შემდეგ მისიონერებმა მართლმადიდებლობაზე მოაქციეს კავკასიის შორეულ მთებსა და არაგვის, გერის, დიდი ლიახვის ხევებში, მაღრანდვალეთსა და ხევსურეთში მცხოვრები 14 218 სული ოსი და კავკასიის სხვა მთიელი. რის შემდეგაც ამ ხალხის ცხოვრება გაუმჯობესდა. ისინი იმპერატორისადმიც ერთგულებით განიმსჭვალნენ“ [7, 448]. [კომისიის მუშაობის დაწყებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ოსებისა და სხვა მთიელების მიმართ ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლება. საქართველოს გუბერნატორმა სიმონოვიჩმა შესაბამისი მითითებები გაუგზავნა გორისა და თელავის ოლქის მმართველებსა და თელავის საოლქო სასამართლოს, გორისა და ანანურის ისპრავნიკებსა და ადგილობრივ პოლიციას, ასევე გენ. მაიორ ყაზბეგს, რომ არ შეევიწროვებინათ ოსები და მათ მოქცეოდნენ სამართლიანად [7, 448]. დოსითეოსი სთხოვდა სტალს, მიეთითებინა ყველასთვის ვისაც ეს ეხებოდა, რომ ახლადმოქცეული ოსებისთვის სწრაფად აღმოეჩინათ შესაბამისი დახმარება; ასევე, საკუთარი ნებით მონათლულებისთვის მიეცათ უფლება, სადაც მოისურვებდნენ იქ დასახლებულიყვნენ. გაქრისტიანების პროცესში მისიონერები წარმართ მოსახლეობას პირდებოდნენ მებატონეების ქვეშევრდომობიდან და გადასახადებისგან განთავისუფლებას, აძლევდნენ საჩუქრებს. ისეთ აბსურდულ დაპირებებსაც ჰქონდა ადგილი, როგორიცაა ქართულ სოფლებზე თავდასხმებისას მოპოვებული ნადავლის მათივე საკუთრებაში დატოვება და ა. შ. [7, 436].

ყოველივე ამას მეტად არასასურველი პროცესები მოჰყვა ქსნის ერისთავების კუთვნილ სამფლობელოებში. სიტუაცია უმართავი გახდა. მართალია, გაქრისტიანებულები სახაზინო უწყების ხელში გადავიდნენ, მაგრამ ისინი არანაირი გადასახადს აღარ იხდიდნენ. ახლადმონათლულები პოლიციას უცხადებდნენ, რომ თავიანთი წინამძღვრის ბრძანების გარეშე ისინი სახაზინო ვალდებულებებს აღარ შეასრულებდნენ და არც ადგილობრივ ხელისუფლებას დაემორჩილებოდნენ. როგორც რტიშჩევის, ასევე მისი მომდევნო მთავარსარდალის ერმოლოვის არაერთი წერილი იუწყება ქსნის საერისთავოში არსებული მეტად რთული ვითარების შესახებ. რუსეთის კავკასიური ადმინისტრაციის ორივე მოხელე ამ კუთხის მოსახლეობის ურჩობაში დამნაშავედ „ოსეთის სასულიერო კომისიის“ მისიონერთა საქმიანობას მიიჩნევდა [7, 436].

1816 წლის 12 აგვისტოს საქართველოს მთავარსარდალმა გენ. რტიშჩევმა აღნიშნულ საქმეზე დაიწყო გამოძიება, რომელშიც სამხედრო უფროსებთან ერთად ჩართო საქართველოს გუბერნატორიც. ამ საკითხის შესასწავლად უნდა გამოყოფილიყვნენ: მრჩევლები ხელისუფლებიდან, დეპუტატი სასულიერო კომისიიდან და გორის რაიონული პოლიციის უფროსი [7, 436].

ამასობაში რუსეთის იმპერატორმა საქართველოს მთავარსარდლი კვლავ შეცვალა – 1816 წელს რტიშჩევის ნაცვლად დაინიშნა ალექსანდრე ერმოლოვი. გოლიცინის აზრით, აუცილებელი იყო ამ საკითხზე საქართველოს ახალი მთავარსარდლის აზრის შეტყობა და მისი შეხედულებების გათვალისწინება მინისტრთა კომიტეტის მიერ. ალ. ერმოლოვი 1816 წლის 10 ოქტომბერს უკვე თბილისში იყო. მისი ყურადღება თავიდანვე მიიქცია ქსნის ერისთავების მამულების საკითხმა. 1816 წლის 26 ოქტომბერს, ჩამოსვლიდან 16 დღის შემდეგ, იგი დოსითეოსისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავდა, რომ თავისი წინამორბედის დაუსრულებელ საქმეებში ნახა საქართველოს გუბერნატორ გენ. სტალის შეტყობინება, რომ „ოსეთის სასულიერო კომისია“, რომელსაც გავლენა აქვს გორის მაზრის კავკასიონის მთებში მცხოვრებ ოსებზე, უხეშად ერევა ხელისუფლებისა და ოსების ურთიერთობაში. კომისიის წევრების წაქეზების შედეგად არამარტო ადგილობრივი ხელისუფლება ველარ მართავდა ოსებს, არამედ თვით მემამულეებიც ველარ აკონტროლებდენ საკუთარ მამულებს. ამ კომისიის გახსნის შემდეგ მემამულეები თავიანთი მიწებიდან ველარც გადასახადებს აგროვებდნენ. გორის მაზრის თავადები, აზნაურები და უხუცესები აცხადებდენ, რომ საკუთარი ყურით ჰქონდათ გაგონილი, თუ როგორ არიგებდნენ მისიონერები ოსებს,

რომ გაქრისტიანების შემდეგ ისინი ხაზინის საკუთრებაში გადადიოდნენ, მათზე ბატონობისა და გადასახადების მოთხოვნის უფლება არავის აღარ ჰქონდა და მხოლოდ სასულიერო პირებს უნდა დამორჩილებოდნენ. გორის მაზრის უფროსი ვითარებაში უკეთ გასარკვევად გაემგზავრა ჭვრივის ხეობის ახლად მონათლულ ოსებში, რომლებიც ადრე გორის მაზრის დანარჩენი მცხოვრებლების მსგავსად ხაზინის მიერ დაკისრებულ გადასახადებს იხდიდნენ, თუმცა ამჯერად ოსებმა მას განუცხადეს, რომ არ ცნობდნენ მაზრის უფროსის უფლებას მათზე და ემორჩილებოდნენ მხოლოდ არქიმანდრიტს". ერმოლოვმა მოითხოვა, რომ ამ საკითხის ადგილზე შესასწავლად გამოყოფილიყო დეპუტატი [8, 363].

ალ. ერმოლოვმა ქსნის ერისთავების მამულების საკითხის განსახილველად მოიწვია საქართველოს უმაღლესი ხელისუფლებისა და სინოდალური კანტორის ერთობლივი კრება, რომელზე დასწრება სთხოვა დოსითეოსსაც. კრებაზე დაისვა საკითხი – შეეძლო თუ არა „ოსეთის სასულიერო კომისიას" ერისთავებისთვის მიწების ჩამორთმევის გარეშე თავისი მიზანი წარმატებით შეესრულებინა? კრების მონაწილეთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ სასულიერო კომისია ერისთავებისთვის მამულის ჩამორთმევის გარეშეც შეძლებდა თავისი მისიის შესრულებას და მას ამაში ხელს შეუწყობდნენ „თვით ერისთავები, რომლებიც უძველესი დროიდან მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ " (8, 364-365).

სხდომაზე ერმოლოვმა დოსითეოსს ჰკითხა, თუ რატომ აყენებდა კავკასიელი წარმართების გაქრისტიანებაში წარმატებისთვის ქსნის მამულთან ერთად გვერდისძირის მამულების ხაზინისთვის გადაცემის საკითხს, როდესაც ამ უკანასკნელის მცხოვრებლები უკვე დიდი ხანია ქრისტიანები იყვნენ. დოსითეოსმა უპასუხა, რომ ერისთავებისთვის გვერდისძირის შენარჩუნების შემთხვევაში, ისინი ქსნის მცხოვრებლების (რადგანაც გვერდისძირი ქსნის მამულთან მდებარეობდა - ავტორის შენიშვნა) დაქვემდებარებასაც მოინდომებდნენ და მათ ბევრ უსიამოვნებას შეამთხვევდნენ. ეს „ოსეთის სასულიერო კომისიას" გაურთულებდა საქმეს – როდესაც ქსნის მოსახლეობა დაინახავდა, რომ გვერდისძირის ქრისტიანი მოსახლეობა ერისთავების ბატონობის ქვეშ იყო, გაუჩნდებოდა ეჭვი, რომ გაქრისტიანების შემდეგ ისევ ერისთავებს გადასცემდნენ სამართავად. ეს კი შეაფერხებდა მათი გაქრისტიანების პროცესს [8, 865].

ერმოლოვმა დოსითეოსის ეს განცხადება უსაფუძვლოდ მიაჩნია. მისი აზრით, „ერისთავებისთვის მამულების ჩამორთმევა ცუდი მაგალითი იქნებოდა მეზობელი მემამულეებისა და გლეხებისთვის".

ერმოლოვს ამისი თქმის საფუძველი ნამდვილად ჰქონდა, რადგანაც დოსითეოსმა თავისი მოსაზრების გასამყარებლად (ქსნის ერისთავებისთვის მამულების ჩამორთმევა მის ანგარებად რომ არ მიეჩნიათ) ახლა მაჩაბლებისთვის მამულების ჩამორთმევის საკითხი წამოჭრა, რომელიც ადრე დაყენებული არ ყოფილა [8, 365, 366].

ერმოლოვი დაინტერესდა შემდეგი საკითხითაც, რატომ უნდა დაეწყო კომისიას წარმართების გაქრისტიანების პროცესი მაინცადამაინც ქსნის ხეობის ოსებით და არა სხვა მრავალი კავკასიელით, სადაც არ შეხვდებოდა საკუთრების ჩამორთმევის არავითარი აუცილებლობა [8, 365].

ერმოლოვი შეეცადა გაერკვია, რამდენად სწორი იყო დოსითეოსის მიერ მოყვანილი ცნობა ქსნის ერისთავების მიერ თავიანთი გლეხების მიმართ ჩადენილ სისასტიკეზე და რადგანაც „ასეთი ფაქტების შესახებ არც ყოფილი და არც ახლანდელი უფროსებისთვის არაფერი იყო ცნობილი“, დაასკვნა, რომ არქიმანდრიტმა ამ შემთხვევაშიც არასწორი ინფორმაცია მიაწოდა იმპერატორს. ერმოლოვს თავისი მოსაზრების შესამაგრებლად სხვა არგუმენტიც მოჰყავდა, კერძოდ კი, „1812 წლის აჯანყების დროს, როდესაც მთელი ქართლ-კახეთი იყო აჯანყებული, ქსნის საერისთავოში სიმშვიდე იყო. იგი სვამდა კითხვას: „რა უშლიდათ მათ ხელს, რატომ არ აჯანყდნენ? შეძლებდნენ კი ერისთავები სიმშვიდის შენარჩუნებას, თუკი ასე სასტიკად ექცეოდნენ თავიანთ ყმებს? როგორ მოახერხებდნენ ამას?“ [8, 365].

ერმოლოვმა ქსნის ერისთავების მიერ ყმების ტყვებად გაყიდვაზეც გააკეთა კომენტარი და დაასკვნა, რომ ეს „აქაური ჩვევა იყო და ამისთვის მარტო ქსნის ერისთავები არ უნდა დასჯილიყვნენ. ამ საშინელების აღმოსაფხვრელად კი ის აუცილებლად გაამკაცრებდა მეთვალყურეობას და შეეცდებოდა თავისი მმართველობის პერიოდში ამ უსამართლობის მოსპობას“; ერმოლოვმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ „არ შეიძლებოდა დასჯა ძველ დროში მომხდარი დანაშაულისთვის და ეს უფრო აქაური ხელისუფლების სისუსტით იყო გამოწვეული“[8, 365-366] .

კრების მონაწილეები არ დაეთანხმნენ ქსნის ერისთავებისთვის მამულის ჩამორთმევის შესახებ დოსითეოსის მიერ წამოყენებულ პუნქტებს და დაადგინეს, რომ ოსეთის სასულიერო კომისიას თავისი მიზნის მიღწევა ერისთავებისთვის მამულის ჩამორთმევის გარეშეც შეეძლო. კრების წევრთა აზრით, ერისთავები დაეხმარებოდნენ მისიონერებს საქმიანობაში, რადგანაც თვითონვე იყვნენ

დაინტერესებულნი წარმართი ქვეშევრდომების გაქრისტიანებით [8, 366].

დოსითეოსმა მოითხოვა თავისი ნათესავების საკითხის განხილვა. ერმოლოვმა მას შეახსენა, რომ მამულების შესახებ დავა და დაპირისპირებული მხარეების მორიგება სასამართლოს ფუნქცია იყო და მისთვის მიემართა [8, 367].

საკითხის დეტალურად შესწავლის, სინოდისა და საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების ერთობლივ კრებაზე განხილვის, მოდავე მხარეებისა და ადგილობრივი მმართველობის მოხელეების აზრის გაცნობის შემდეგ ერმოლოვმა დაასკვნა, რომ ქსნის ერისთავებისთვის მამულის ჩამორთმევა ოსების გაქრისტიანების ხელშესაწყობად და „ოსეთის სასულიერო კომისიის“ საქმიანობის სასარგებლოდ არ ხდებოდა. დოსითეოსს ანგარება ამოძრავებდა და აღნიშნული პუნქტი პროექტში მხოლოდ თავისი ნათესავების სარგებლობის მიზნით შეიტანა. მისი ნათესავები კი, რომლებსაც ერისთავებისთვის მამულების ჩამორთმევის შემდეგ უნდა ემართათ აღნიშნული სამფლობელო, და რომლებისთვისაც იგი ჩინებსა და პენსიებს ითხოვდა, ხელმძღვანელობდნენ ერისთავებისა და რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ქსნის მოსახლეობის 1808 წლის აჯანყებას. [8, 367; 5, 217-218].

ერმოლოვისთვის მიუღებელი იყო ის მეთოდებიც, რომლითაც იმ პერიოდში მისიონერები კავკასიელი წარმართების გასაქრისტიანებლად იყენებდნენ. იგი წერილში აღნიშნავდა: „კავკასიელების გაქრისტიანების წარმატებებზე ლაპარაკისას, მე არ შემიძლია გავჩუმდე. 1815 წლის დეკემბერში დოსითეოსი აცხადებდა, რომ ოსეთის სასულიერო კომისიის გახსნიდან გაქრისტიანდა 14 ათასი სული. ეს კი ჩემში დაეჭვებას იწვევს. ამ ხალხის ნაწილი მართლაც გაქრისტიანდა, მაგრამ იმიტომ, რომ მოძღვრები მათ გაქრისტიანების შემდეგ დამოუკიდებლობას და გადასახადებისგან განთავისუფლებას შეპირდნენ. ირკვევა, რომ გაქრისტიანება გამორჩენისთვის მოხდა, რაც ეწინააღმდეგება ქრისტიანული რელიგიის პრინციპებს“ [8, 368].

1816 წლის 15 ნოემბერს ერმოლოვმა წერილი მისწერა იმპერატორს, რომელშიც დეტალურად აღწერა მის მიერ ქსნის ერისთავების მამულების საკითხის გადასაჭრელად მიღებული ზომების, საქართველოს უმაღლესი ხელისუფლებისა და უწმინდესი სინოდის ერთობლივი კრების გადაწყვეტილებისა და ამ საკითხზე თავისი შეხედულებების შესახებ. ერმოლოვის წერილს 1817 წელს იმპერატორის რესკრიპტი მოჰყვა. ალექსანდრე I-მა გააუქმა 1814 წლის 31 აგ-

ვისტოს ბრძანება და ქსნისა და გვერდისძირის მამულები ისევ ერისთავებს დაუბრუნა [9, 72].

რუსეთის ხელისუფლებამ დოსითეოსი არასაიმედო მოხელედ მიიჩნია. 1817 წელს იგი გაანთავისუფლეს თანამდებობიდან [14, 44].

ქსნის ერისთავებისთვის მამულების ჩამორთმევის საკითხი კვლავ დადგა დღის წესრიგში ცამეტი წლის შემდეგ, 1830 წელს, რუსების მიერ რენენკამპფის ხელმძღვანელობით ქართლის ჩრდილოეთ რაიონებში განხორციელებული წარმატებული სამხედრო ექსპედიციის შემდეგ [18, 44-59]. ერისთავებმა კვლავ წამოიწყეს ახალი დავა რუსეთის ხელისუფლებასთან მამულების დასაბრუნებლად. პასკევიჩის აზრით, რომელიც ამ შემთხვევაში რუსეთის მთავრობის კურსს გამოხატავდა, „რუსული იარაღის ძალით და რუსთა სისხლით ნაყიდი ტერიტორიები უნდა დარჩენილიყო ხელშეუხებელი"[9, 381-382; 18, 55]. 1832 წლის შეთქმულებაში ქსნის ერისთავები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. სენატორმა გიორგი ერისთავმა შეთქმულებაში მონაწილეობის ძირითად მიზეზად სწორედ მისი საგვარეულოსთვის 1830 წელს ოსებით დასახლებული სამფლობელოების ჩამორთმევა დაასახელა [19, 11, 12].

1814 წლის 31 სექტემბრიდან 1817 წლამდე ქსნის ერისთავებისთვის მამულების ჩამორთმევის პროცესს უდიდესი ფსიქოლოგიური გავლენის მოხდენა შეეძლო როგორც ქსნის ხეობაში მცხოვრებ ოსებზე, ასევე აქ მცხოვრებ ქართველებზე თუ სხვა ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფის მოსახლეობაზე. დაახლოებით ორმოცი წლის მანძილზე რამდენჯერმე მოხდა ქსნის ერისთავებისთვის მამულის ჩამორთმევა და შესაბამისად ამ კუთხის მცხოვრებლებს მფლობელი არაერთხელ შეეცვალათ, რაც მათში მართლაც გამოიწვევდა დაეჭვებას – იყვნენ თუ არა ერისთავები მათი რეალური მფლობელები? ამ პერიოდში ქართლის ჩრდილოეთ რაიონებში მიმდინარეობდა მიგრაციები. მართალია, XIX საუკუნის დასაწყისში სუსტი იყო ჩრდილო კავკასიიდან ოსთა ჩამოსახლების პროცესი, მაგრამ ძლიერი იყო შიდა მიგრაცია – წინა საუკუნეში უკვე ჩამოსახლებული ოსების ადგილმონაცვლეობა მდინარეების: ქსნის, მეჯუდის, ფრონეს, დიდი და პატარა ლიახვების ხეობებში [12, 221]. მოკლე დროის მანძილზე ხან სახაზინო უწყების (ჯერ ქართული, ხოლო შემდგომ რუსული) და ხანაც კერძო მფლობელის (ქსნის ერისთავის) განკარგულებაში ცხოვრება განსაკუთრებით დიდ გავლენას მოახდენდა ახლად დასახლებული მოსახლეობის ცნობიერებაზე, იგი გახდებოდა გაორებული და ერთმანეთისგან განსხვავებული (წინააღმდეგობრივი). მასზე იმოქმედებდა თაობების ცვლაც, რაც კანონზომიერი მოვლენა იყო.

ალექსანდრე I-ის 1814 წლის 31 აგვისტოს ბრძანების შედეგები ამ კუთხის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობაზეც აისახებოდა. იგი აუცილებლად შეიცვლებოდა რაოდენობის თვალსაზრისით. გადასახადებისგან განთავისუფლება ეთნიკური და რელიგიური ნიშნით, ჩვენი ვარაუდით, გამოიწვევდა ოსების რაოდენობის გაზრდას ქართველების მიერ ეროვნების შეცვლის ხარჯზე. ცნობილია, რომ მისიონერები მონათლულებს ფულსა და საჩუქრებსაც ურიგებდნენ. „ფულადი თანხის მიღების სურვილი იმდენად დიდი ყოფილა, რომ ზოგიერთები გვარისა და საცხოვრებელი ადგილის შეცვლით რამდენჯერმე ინათლებოდნენ. მისიონერები კი, ხელისუფლებისადმი გაგზავნილ მიმართვაში მონათლული ოსების გაზრდილ რაოდენობას უჩვენებდნენ, რაც რეალურ სურათს არ ასახავდა“ [15, 236]. ამაზე თვით რუსული ხელისუფლების წარმომადგენლებიც აკეთებდნენ მინიშნებას. მართლაც, „ოსეთის სასულიერო კომისიის“ მიერ წარმართი მოსახლეობის გასაქრისტიანებლად განხორციელებული პოლიტიკის შედეგად აქაური მოსახლეობისთვის ცხადი გახდა, რამ „ოსობა“ გაცილებით ხელსაყრელი იყო, ვიდრე „ქართველობა“, წარმართობა კი უფრო „უკეთესი“, ვიდრე ქრისტიანობა.

„ოსეთის სასულიერო კომისიის“ მიერ გატარებული ღონისძიებები უფრო გააღრმავებდა ოსური მოსახლეობის იზოლაციას ქართული სამყაროდან, რომელიც რუსული ხელისუფლების საქართველოში დამკვიდრების შემდეგ ისედაც განცალკევებისა და დამოუკიდებლობის ტენდენციას ამჟღავნებდა. რუსული ხელისუფლება, რომელიც XIX საუკუნის 10-იან წლებში უკვე მყარად იყო ფეხმოკიდებული ქართლის ბარის რაიონებში, არაერთი სამხედრო ექსპედიციის ჩატარების მიუხედავად (მათგან ზოგიერთი წარმატებულიც იყო) მიუვალობის გამო ვერ ახერხებდა დამკვიდრებას ქართლის ჩრდილოეთ რაიონებში. კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე მცხოვრები ოსები, რომლებიც ისედაც მრავალ პრობლემას უქმნიდნენ ქსნის ერისთავებსაც და ზოგადად ქართულ მოსახლეობას, ხოლო რუსების მიერ არაერთგზის მოწყობილი სამხედრო ექსპედიციის მიუხედავად სრულიად არ ემორჩილებოდა რუსულ ხელისუფლებას, ამის შემდეგ უფრო ძნელად სამართავნი გახდებოდნენ. ეს აუცილებლად გააღრმავებდა ქართული სამყაროდან მათი იზოლაციისა და განცალკევების პროცესს. 1814-1817 წლებში ამ კუთხეში განვითარებული მოვლენების შემდეგ ქსნის ერისთავებს კიდევ უფრო გაუჭირდებოდათ მათგან კუთვნილი გადასახადების მოგროვება და მათზე თავისი კანონიერი გავლენის გავრცელება.

ალექსანდრე I-ის 1814 წლის 30 აგვისტოს ბრძანებისა და ქსნის ერისთავების კუთვნილ მამულებში დატრიალებული ამბების შემდეგ ქსნის ერისთავები უფრო მეტად გახდებოდნენ რუსეთის ხელისუფლებაზე დამოკიდებულნი. მათთვის დღესავით ნათელი გახდა, რომ მცირე ეჭვიც საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ რუსეთის ხელისუფლებას მათთვის მამულები ჩამოერთმია. თუმცა მათთვის, ისე როგორც სხვა ქართველი არისტოკრატებისთვის, ცხადზე ცხადი იყო ისიც, რომ არც ერთგულება იყო იმის გარანტი, რომ მატერიალური კეთილდღეობა შეუნარჩუნდებოდათ. შემთხვევითი ნამდვილად არ იყო ის ფაქტიც, რომ რუსეთის ხელისუფლების მაღალი თუ დაბალი რანგის მოხელეები სხვადასხვა ინსტანციაში ამ საკითხზე მსჯელობისას ყურადღებას ყოველთვის რუსეთის ხელისუფლებისადმი ქსნის ერისთავების ერთგულებაზე ამახვილებდნენ (აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ ოფიციალურ რუსულ დოკუმენტებში არსებობს ცნობები 1812 წლამდე ქსნის ერისთავების ანტირუსული საქმიანობის შესახებაც) და საგანგებოდ აღნიშნავდნენ, რომ არ შეიძლებოდა მათთვის მამულების ჩამორთმევა, რადგანაც მათ ხელმწიფე-იმპერატორის მიმართ არაერთხელ გამოიჩინეს ერთგულება.

„ოსეთის სასულიერო კომისიის“ მოღვაწეობა ვერავითარ ცვლილებას ვერ გამოიწვევდა ამ კუთხის რელიგიური ცხოვრების თვალსაზრისით. ანგარებითი მიზნით მთის წარმართი მოსახლეობის გაქრისტიანება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა და არავითარი კავშირი არ ჰქონდა მონათლულების ჭეშმარიტ რწმენასთან. 1817 წლიდან სწორედ ამიტომ შეცვალა კიდევ ერთხელ „ოსეთის სასულიერო კომისიამ“ თავისი საქმიანობის სტილი, მისიონერებს ახალი მიზანი დაუსახა და სამოქმედო მეთოდებიც განაახლა.

ჩვენს მიერ მოყვანილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ რუსი მოხელეები თავგამოდებით იცავენ ქსნის ერისთავების უფლებებს ქსნისა და გვერდისძირის მამულზე და მათ კერძო საკუთრებაზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ის მოხელე, რომელიც ამ საკითხს სწავლობდა და გადაწყვეტილებები გამოჰქონდა, თვითონაც არისტოკრატიული ფენის წარმომადგენელი იყო, რომლებისთვისაც მიუღებელი იყო რაიმე სახით კერძო საკუთრების ხელყოფა.

თუმცა ცხადზე ცხადია, რომ მხოლოდ ამაში არ მდგომარეობდა ამ საკითხის ერისთავების სასარგებლოდ გადაჭრის მიზეზი. როგორც იმპერატორმა თავის 1814 წლის ბრძანებაში აღნიშნა: მისთვის უკეთესი იყო ამ მამულების სახაზინო უწყებაში გადასვლა. აქ, რა თქმა უნდა, აღნიშნული კუთხის სტრატეგიული მდებარეობით რუსეთის დაინტერესებაა გამჟღავნებული. ამიერკავკასიასთან დამა-

კავშირებელი ალტერნატიული გზა და მასზე შეუზღუდავი კონტროლი ყოველთვის წარმოადგენდა რუსეთის ხელისუფლების დაინტერესების საგანს. რაც შეეხება იმპერატორის მიერ 1817 წელს ბრძანების შეცვლას (რასაც დროებითი ხასიათი ჰქონდა), ეს ერისთავების მიმართ კეთილგანწყობით ნამდვილად არ იყო გამოწვეული. მსგავსი გადაწყვეტილება ქსნის ხეობაში შექმნილმა ვითარებამ და აქ მცხოვრები ოსების რუსეთის ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობამ განაპირობა. რუსეთის მმართველ წრეებში მიხვდნენ, რომ ამ ეტაპზე გაცილებით უკეთესი იყო აქ ერისთავების მმართველობის შენარჩუნება და მათი საშუალებით ადგილობრივი მოსახლეობის მართვა, ვიდრე კავკასიონის მთებში მცხოვრებ დაუმორჩილებელ მთიელებზე კონტროლის მთლიანად დაკარგვა. მსგავს მეთოდებს რუსეთის ხელისუფლება ყოველთვის და თანაც წარმატებით იყენებდა კავკასიის მოსახლეობის დაპყრობის ყველა ეტაპზე (კლასიკურ მაგალითად გამოდგება აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის მოღვაწეობა).

რუსეთის რეზიდენტი საქართველოში კოვალევსკი 1802 წელს წერდა, რომ ის სირთულეები, რაც რუსეთის ხელისუფლებას საქართველოში ხვდებოდა ძირითადად გამოწვეული იყო რუსეთის სამეფო კარის მიერ აქ გამოგზავნილი უვიცი და გაუნათლებელი რუსი მოხელეების ადგილობრივი მოსახლეობისადმი უხეში და უდიერი დამოკიდებულებით [6, 72]. რუსების მიერ დოსითეოსის დაწინაურება და მისთვის ისეთი საპასუხისმგებლო თანამდებობისა და სფეროს ჩაბარება, როგორსაც „ოსეთის სასულიერო კომისიის“ ხელმძღვანელობა წარმოადგენდა, ჩვენ გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ რუსეთი კავკასიაში არა მარტო უვიც მოხელეებს აგზავნიდა, არამედ ადგილობრივი კადრებიდანაც იმას არჩევდა, ვისი რეპუტაცია და პატიოსნება მკვიდრ მოსახლეობაში საკმაოდ იყო შელახული და რომელთა საქმიანობის მთავარ მიზანს საქვეყნო საქმე კი არა, ანგარება წარმოადგენდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ჯ. გვასალია, შიდა ქართლი და ოსური საკითხი, თბ., 1997.
2. ჯ. გვასალია, ქართლის ხეობათა შედარებითი შესწავლისათვის („ქსნური ფენომენი“), მაცნე – ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 4, თბ., 1988.

3. Акты собранные Кавказской Археографической Коммиссией, под ред. Ад. Берже, Тифлис, I, 1866.
4. Акты собранные Кавказской Археографической Коммиссией, под ред. Ад. Берже, Тифлис, II, 1868.
5. Акты собранные Кавказской Археографической Коммиссией, под ред. Ад. Берже, Тифлис, III, 1869.
6. П. И. Ковалевский, Кавказ, т. II, История завоевания Кавказа, С. Петербург, 1915.
7. Акты собранные Кавказской Археографической Коммиссией, под ред. Ад. Берже, Тифлис, V, 1872.
8. Акты собранные Кавказской Археографической Коммиссией, под ред. Ад. Берже, Тифлис, т. VI, ч.2, 1875.
9. Акты собранные Кавказской Археографической Коммиссией, под ред. Ад. Берже, Тифлис, т. VII, ч.2, 1876.
10. История грузинской иерархии, с присовокуплением обращения в христианство Осетин и других горских народов, по 1-е генваря 1825 года, М. 1853.
11. პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, რედ. აკ. გაწერელია, თბ., 1978.
12. რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997.
13. Очерки Истории Юго Осетии, т. 1, ред. С. Ш. Габараев, Цхинвали, 1969.
14. ხ. ქოქრაშვილი, რუსეთის რელიგიური პოლიტიკა საქართველოში, წიგნში: ალ. ბენდიანიშვილი, ალ. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008.
15. ე. ბუბულაშვილი, „ოსეთის სასულიერო კომისიის მოღვაწეობის ისტორიიდან", კრებული: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2, თბ., 2007.
16. ალ. ბენდიანიშვილი, ქართული ეროვნული სახელმწიფოს განვითარების ეტაპები, თბ., 2006.
17. გ. როგავა, რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX-XX სს., თბ., 2002.

18. მ. ტყავაშვილი, რუსეთის სამხედრო ექსპედიცია ოსების წინააღმდეგ და ოსთა საქართველოში მიგრაციის ზოგიერთი საკითხი, კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, ტ. I, რედ. ავ. სონღულაშვილი, თბ., 2007.
19. გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, 1976.
20. თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა, თბ., 1983.
21. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, რედ მ. დუმბაძე, თბ., 1973.
22. М. Блиев, Южная Осетия в коллизиях российско грузинских отношений, М., 2006.
23. ვლ. წვერავა, საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში, ქუთაისი, 2003.
24. ვ. ღუნაშვილი, ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია, თბ., 2005.

Mzia Tkavashvili

Doctor of History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Research Worker of the Department of Modern and Contemporary History

Issue of the Ksani Eristavis' Lands in Dositeos Pitskhelauri's Project of „Ossetia's Spiritual Commission"

Summary

At the beginning of XIX century, with support of the Ottoman empire, in the Caucasus there began the process of mass conversion of mountain dwellers to Mohammedanism. The Russian Emperor considered it reasonable to confront the orthodox missioners activity to this process. The last 27th paragraph of the project of Gori Archbishop Dositeos Pitskhelauri, prepared under direct instructions of Alexander the I, was supporting the necessity of deprivation of the Ksani Eristavis of their Ksani and Gverdisdziri estates for successful conversion of the Caucasians to Christianity. On the basis of the project, on the 31st of August 1814 the Russian Emperor's rescript was pub-

lished according to which the Ksani Eristavis were deprived of Ksani and Gverdisdziri estates and they were transferred to treasury institution. This resolution was followed by uncontrolled processes: the Ossetians living in the Kavkasioni mountains were disobeying the Russian government, they were not paying the treasury taxes as well. Because of such further developments the Georgia's Commander in Chief Rtishchev suspended the supreme rescript of 1815. Study of the issue was first continued at Russia's Ministers' Committee and then at joint meeting of Georgia's Higher Authorities and Synodal canton. Dositeos' mercenary attitude to the issue became notable. For majority of the members of the government deprivation of the Eristavis of their estates was inadmissible. Because of this in 1817 the Emperor annulled the resolution. Dositeos was considered to be unreliable figure. In 1817 he was replaced by Theophilakte Rusanov.

გელა საითიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

„სული დასდვეს ცხოვართა თვისთათვის...“
(ახალმოწამეთა ხსოვნისათვის)

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებულმა კრებამ, რომელიც 1995 წლის 18-19 სექტემბერს, მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში გაიმართა, არაერთი საჭირბოროტო საკითხი განიხილა. კრებაზე, რომელსაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე უძღვებოდა, უმაღლესი სამღვდელოების წარმომადგენელთა მიერ არაერთი საინტერესო მოხსენება იქნა წაკითხული.

საეკლესიო კრებამ, თავისი სხდომების დასასრულს, ერთი ძალზე ამაღელვებელი გადაწყვეტილება მიიღო: წმინდანებად შერაცხა, ბოლო ერთი საუკუნის მანძილზე, მამულისათვის, მშობელი ხალხის ბედისა და მართლმადიდებელი სარწმუნოებისათვის თავდადებული სულიერი მამები – იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე), ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია), მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა), არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე, მღვდლები – თედორე (კველთელი), გერმანე ჯაჯანიძე, იროთეოზ ნიკოლაძე, სიმონ მჭედლიძე, იღუმენი ალექსი შუშანია, პროტოდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე. მათ, მწვალებლებთან და უღმერთოებთან შეურიგებლებს, ჭეშმარიტების დაუღალავ მქადაგებელთ – ახალმოწამენი უწოდეს; მათი საერთო ხსენების დღედ 27 აგვისტო დადგინდა; დაწერილ იქნა ახალმოწამეთა ხატები. [24; 25; 31, 23]

აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ვითარება, რომელშიც მაშინ ახლად სამოქალაქო ომგამოვლილი ქართველი ხალხი იმყოფებოდა. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობლის მიერ გადადგმული ასეთი ნაბიჯი ერის გამთლიანებისა და სარწმუნოების განმტკიცებისაკენ იყო მიმართული. მანამდე ქართველმა საზოგადოებამ, საერთოდ, და კერძოდ, მორწმუნე მრევლმაც კი ცოტა რამ თუ იცოდა, წმინდანებად შერაცხულ ამ მა-

მულიშვილებზე. დღეს ვითარება უკეთესობისაკენ არის შეცვლილი. არაერთი ისტორიკოსის, ფილოლოგის, იურისტის, ჟურნალისტის თუ სასულიერო მოღვაწის კალამი შეეხო მათი ღვაწლის დამსახურებისამებრ წარმოჩენის საქმეს. ეს მაშინ, როცა ბოლშევიკური რეჟიმის წლებში მათი სახელების ხსენებაც კი აკრძალული იყო. ეს იყო უპირველესი მიზეზი იმისა, რომ იმ პერიოდში დაბადებულ და აღზრდილ თაობებს (მცირე გამონაკლისის გარდა) წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ მამულისა და სარწმუნოებისათვის წამებულ ღირსეულ პიროვნებათა ღვაწლზე.

წინამდებარე სტატიაში, ვითვალისწინებთ რა ჩვენს წინამორბედ მკვლევართა – გოჩა ასათიანის, ალ. ასათიანის, სერგო ვარდოსანიძის, მერაბ კეზევაძის, დამანა მელიქიშვილის, ქეთევან პავლიაშვილის, გოჩა საითიძის, გურამ შარაძის, მარინა ჩხაიძის, როსტომ ჩხეიძის, მეუფე ანანიას (ჯაფარიძის) და სხვათა ნააზრევს, გვინდა, აქამდე ყურადღებაგაუმახვილებელ ფაქტებზე დაყრდნობით, ზოგიერთი შტრიხი შევმატოთ მათ სახელებს. განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ კათალიკოს-პატრიარქების ლეონიდის და ამბროსის, მიტროპოლიტ ნაზარის მოწამებრივი ცხოვრების ზოგიერთ მომენტს, რითაც დღევანდელ საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენებთ მათ თავდადებას ერისა და მამულის წინაშე.

მიტროპოლიტი ნაზარი (ერისკაცობაში ნესტორი) დაიბადა სოფელ დიდ ჯიხაიშში მღვდლის ანდრია ნიკოლოზის ძე ლეჟავას ოჯახში. [1, 5]

ნესტორს ჯერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, ხოლო 1892 წელს წარჩინებით დაუმთავრებია თბილისის სასულიერო სემინარია და მომდევნო წლის 22 თებერვალს ხონის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიაში მღვდლად უკურთხებიათ. იმავე ხანებში ცოლიც შეურთავს, ქალიშვილებიც შესძენია, მაგრამ მისი ოჯახური იდილია დიდხანს არ გაგრძელებულა: ჯერ მეუღლე ალექსანდრა გარდაცვლია, ხოლო შემდეგ ორივე ქალიშვილი.[1, 6]

ამ უდიდესი ტრაგედიით თავზარდაცემული ახალგაზრდა მოძღვარი ერთხანს სასოწარკვეთაში ვარდება, მაგრამ შემდეგ, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, თავის თავში პოულობს ძალას და თითქმის ცხრა წელიწადს მღვდლად ნამსახური კაცი კიევში მიემგზავრება უმაღლესი სასულიერო განათლების მისაღებად. 1901-1905 წლებში იგი კიევის აკადემიის სტუდენტია. სწავლის წლებშივე, კერძოდ, 1904 წლის 1 იანვარს ბერად აღიკვეცა და სახელად ნაზარი დაირქვა. 1905 წელს აკადემიას მაგისტრის ხარისხით ამთავრებს და მღვდელ-მონაზონი ნაზარი ჯერ ჟიტომირის სასულიერო სემინარი-

აში ღვთისმეტყველების მასწავლებელია, ხოლო შემდეგ კლუკინის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი. ამავე ხანებში იერომონაქი ნაზარი მოგზაურობს აღმოსავლეთში – ათონსა და კონსტანტინოპოლში; ხვდება მსოფლიო პატრიარქს, რომელსაც ამცნობს საქართველოს ავტოკეფალიაწართმეული ეკლესიის საჭირბოროტო საკითხებს... 1909 წელს ნაზარი არქიმანდრიტად აკურთხეს და იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრად დანიშნეს და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად გადმოჰყავთ... ამიერიდან იგი ფხიზელ დარაჯად უდგას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესებს. 1917 წლის მარტში, როცა საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია გამოაცხადა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა დაიხურა, არქიმანდრიტი ნაზარი თბილისის სასულიერო სემინარიის ღვთისმეტყველების მასწავლებლად მიიწვიეს, სადაც სამსახურს განაგრძობდა 1918 წლის ოქტომბრამდე, ვიდრე მას ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტად აირჩევდნენ.

ნაზარის, ჯერ ეპისკოპოსად, ხოლო იმავე დღეებში მიტროპოლიტად არჩევა ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსის ანტონის (გიორგაძის) მოულოდნელმა გარდაცვალებამ დააყენა დღის წესრიგში. აღსანიშნავია, რომ იმერეთის საეპარქიო საბჭოს და სასამართლო საოლქო საბჭოს გაერთიანებულ კრებაზე, აზრთა სხვადასხვაობა ყოფილა. ნაზარისთან ერთად, კანდიდატებად ეპისკოპოსი დავითი და არქიმანდრიტი ნიკოლოზი დაუსახელებიათ. ფარული კენჭისყრის შედეგად /29 თეთრი და 3 შავი/ ნაზარის გაუმარჯვნია.[1, 7]

ნაზარის ეპისკოპოსად სახელდება 1918 წლის 16 ნოემბერს სიონის საკათედრო ტაძარში გაიმართა, ხოლო მიტროპოლიტად (მღვდელმთავრად) კურთხევა მეორე დღეს – მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში. მორწმუნე მრევლის წარმომადგენლებთან ერთად ამ საზეიმო მსახურებას დასწრებიან ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი (ხელაია), ალავერდელი ეპისკოპოსი პიროსი (ოქროპირიძე) და იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი. კურთხევა აღასრულა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ, თბილელმა ეპისკოპოსმა ლეონიდმა (ოქროპირიძე).

ეს იყო დიდი ისტორიული დღე საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის ისტორიაში და არა იმიტომ, რომ ეპისკოპოსი ნაზარი იქნა დადგენილი ქუთათელ-გაენათელის ტახტზე, არამედ იმიტომ, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მღვდელმთავრობის მადლს ქართველი საეკლესიო მოღვაწე, ქართველი მღვდელმთავრების ხელდასმით ღებულობდა.

ანალოგიური შემთხვევა, სამეცნიერო სფეროში, მოგვიანებით, ტფილისის უნივერსიტეტში განმეორდა, როცა 1920 წლის 23 მაისს, ენათმეცნიერებაში პირველი სადოქტორო დისერტაცია, ქართველ მეცნიერთაგან შედგენილ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 33 წლის მკვლევარმა აკაკი შანიძემ დაიცვა.

ნაზარის საეკლესიო იერარქიის უმაღლეს საფეხურზე დადგინების დღეებში გაზეთი „საქართველო“ წერდა: „არქიმანდრიტი ნაზარი ცხოვრებაში უკვე საკმაოდ გამობრძმედილი, განათლებული, საეკლესიო ცხოვრებაში ჩაკვირვებული და სამაგალითო ადმინისტრატორია. რაც მთავარია, ის იმ ეპარქიის შვილია, რომლის საჭეთმპყრობელობა ბედმა არგუნა... მან ის კათედრა დაიჭირა, რომელსაც დიდი წინამორბედი გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე) განაგებდა“...[18]

ნაზარს იმ გაბრიელ ეპისკოპოსის სახელს ახსენებდნენ, რომლის კუბოსთან მდგარი დიდი ილია აღნიშნავდა: „დღეს სამუდამოდ ვეთხოვებით იმისთანა დიდ-ბუნებოვანს კაცს, რომელსაც ღმერთი მოუვლენს ხოლმე ამ ცოდვილს ქვეყანას, რომ ადამიანმა მისი მიხედვით და მაგალითით შეიძლოს საკუთარის ზნისა და ხასიათის გაწვრთნა და განმტკიცება. საკმაოა კაცმა გაიხსენოს მარტო სახელი გაბრიელ ეპისკოპოსისა, რომ გულში მადლი ჩაეფინოს, ვითარცა მზის შუქი... თვითეული წამი მისის ცხოვრებისა – მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისათვის... მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალ-სათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტისა, მადლისა და მოწყალებისა... მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, – საერო თუ სამღვდელო, რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობის-ყოფით, მომეტებულის დაძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება. განსვენებული ღრმად მიწევნილი მეცნიერი იყო და იმოდენადვე ღრმადმორწმუნეცა... იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა...“ [16, 24].

ამაღლებული იყო თბილელი ეპისკოპოსის ლეონიდის მიერ ნაზარის ეპისკოპოსად კურთხევის დროს წარმოთქმული სიტყვა და ახლადდადგენილი მიტროპოლიტის საპასუხო გამოსვლაც... ვინაიდან დღემდე ამ გამოსვლათა შესახებ არც ერთ ქართველ მკვლევარს საგანგებო ყურადღება არ გაუმახვილებია, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სრული სახით მივაწოდოთ იგი თანამედროვე მკითხველ საზოგადოებას და საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის ისტორიის მკვლევრებს...

„ქრისტე იესოს მიერ კუთხეულო ძმაო, უსამღვდელოესო ნაზარო“.

სარწმუნოებრივ აღფრთოვანებით გულ-სავსე ძმური სიყვარულით მოგილოცავ სული წმინდისაგან მღვდლობის უმაღლეს ხარისხზე აყვანას. მღვდელმთავრულ გულწრფელობით გისურვებ, რომ შენ მიერ მიღებული დღეს საღმრთო მადლი დაუვალი მზესავით ბრწყინავდეს შენში შენი სიცოცხლის განმავლობაში და ჰქმნიდეს შენს გარშემო სიყვარულისა, სათნოებისა, ზნეობრივი სიწმიდისა, შეგნებისა, პატიოსანი შრომისა, მამულიშვილობისა და სასიქადულო მაქალაქეობის ნამდვილ სამყაროს.

ნეტარება შენ, მეუფეო, რომ საღმრთო განგებამ მღვდელმთავრობის შარავანდედით შემოსვა გარგუნა ამ ჩვენი ერის გაქრისტიანების ემბაზში, რომ მღვდელმთავრობის მადლს ღებულობ შენივე სისხლისა და ხორცის მღვდელმთავრებისგან, რომ ქართველ მღვდელმთავართაგან შენ პირველი ეღირსე მიტროპოლიტის წოდებას, როდესაც სამშობლოს ამაყად დაჰფრიალებს დამოუკიდებლობის დროშა, როდესაც ხელახლა გადეება და გამრთელდა ჩვენი ერის პოლიტიკური არსებობის ძაფი, რომელიც გაწყდა ამ ღარიბად გამომზირალ საფლავებში განსვენებულ ქართველ მეფეთა – ერეკლეს და გიორგი მეცამეტის დროს.

გაჰყე შენც შენი მშობელი ერის პოლიტიკური სიცოცხლის ძაფს და უხვად გაშლილი ხელით ჰსთესე ყველგან ის უკვდავი მოძღვრება, რომლის ჩაგონებითაც, ჩვენმა წინაპრებმა შესძლეს თავიანთი სამშობლოს მოქარგვა ისეთის განსაცვიფრებელ ხუროთმოძღვრების ძეგლებით როგორიც არის თვით ეს ტაძარი, ალავერდი, გელათი, მარტვილი და სხვ., რომელმაც მოგვცა საამაყო კულტურა და თავმოსაწონი სახელი მოგვიპოვა შეგნებულ კაცობრიობაში.

ნუ შეგაშინებს, ჩემო ახალო თანამოძმევ, ის გარემოება, რომ ამჟამად ჩვენს სამშობლოში ბობოქრობს გრიგალი ურწმუნოებისა, რომელმაც თითქოს გადაზნიქაო ეკლესიის გუმბათი, მილეწ-მოლეწა მისი შუბლის კედლები, ალაგ-ალაგ სახურავზე აყარა კრამიტები, თან გაიყოლია ბზესა და ჩალასავით სუბუქი ნაწილები და სხვ. კურთხეული იმერეთის შვილმა უწყი, რა ხშირათ ქრის ხოლმე იქ ცნობილი აღმოსავლეთის ქარი, მაგრამ განა ეს ქარი არ არის, რომ აშრობს მცხოვრებთათვის დიდად მავნე ზედმეტ სინესტეს და წმენდს იქაურობას საშიშ სნეულებათა გამჩენ ბაცილებისაგან!

ჩასდგება ჩვენშიაც ურწმუნოების ქარბუქი და დღეს დევნილი, დამცირებული, ყბადაღებული და ზოგიერთთაგან დედამიწის პირითგან აღსაგველად განწირული ჩვენი ეკლესია, სწორეთ ამ ურწმუნების

მძვინვარე ქარბუქის წყალობით განწმენდილი ფითრებისა, ბაცილებისა, ბზისა და ჩალის მსგავსი ელემენტებისაგან, ისევ სათანადო ალაგს დაიჭერს ქართველი ერის შეგნებაში და ცხოვრებაში.

წაიძღვანიე წინ, ახალო მეუფეო, ნათქვამი და უშიშრად შედი უკვდავი მღვდელმთავრის გაბრიელისაგან ნაამაგდარევ ქრისტეს ყანაში. იცოდე, რომ შენმიერ დაწყებული ყოველი კეთილი საქმე უსათუოდ კეთილად დამთავრდება, რადგანაც დამხმარედ და თანამგრძნობელად გეყოლება ერთის მხრით გონება ნათელი, ფაქიზი და სარწმუნოების ბეჯითი მოდარაჯე ადგილობრივი სამღვდელოება, ხოლო მეორე მხრით მუდმივი წინსვლისა და გონება-ზნეობრივი განვითარების მოტრფიალე იმერლობა.

მოველ საყვარელო თანამოძმევ და „მიიღე კვერთხი ესე, რათა დამწყესო რწმუნებული შენდა სამწყსო ქრისტესი, რომელსა ჰრწმენეს შენი, იყვან მასზედა კვერთხ და სიმტკიცე და, რომელსა არა ჰრწმენეს შენი და უდებ იქმნეს, მიაქციე მასზედა საგვებლად კვერთხი ესე. ამინ!

თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდი“. [19]

მკითხველი, რომელმაც ეს-ეს არის დაამთავრა საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი უმაღლესი წარმომადგენლის მოსაზრების წაკითხვა, ალბათ ნათლად წარმოიდგენს, სულ რაღაც ექვსიოდე თვეში თუ რა დამოკიდებულება დამყარებულა საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებასა და ავტოკეფალიამოპოვებულ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. აქვე დავძენთ, რომ ამ დამოკიდებულებამ მომდევნო წლებში კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო... მაგრამ ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ... მომავალი კათოლიკოს-პატრიარქის ლეონიდის ჩანაფიქრი სწორი იყო – მას სურდა ისეთ დიდ რეგიონში, როგორიც იმერეთის ეპარქია იყო, სარწმუნოებისათვის მტკიცე და თავდადებული მებრძოლი თანამოაზრე ჰყოლოდა. თუ რაოდენ სიღრმისეულად ჰქონდა გააზრებული თავისი მოვალეობები ღვთისა და ერის წინაშე ახლადკურთხეულ მღვდელმთავარ ნაზარს, ეს გამჟღავნებულია მის საპროგრამო გამოსვლაში.

„თქვენო უწმინდესობავ, ღვთისგან ბრძნობილნო მწყემსმთავარნო და მამანო!

ამ ბრწყინვალე და საზეიმო წამს, როდესაც ჩემს უღირსობას იწვევთ ისეთ წმიდა, მაღალ და პასუხსაგებ სამსახურზე, როგორიცაა ეპისკოპოსობა, უნებლიეთ მაგონდებიან სიტყვანი ოქროსმეტყველის იოვანესი: „ეპისკოპოსი ეკუთვნის ყველას, მან უნდა ატაროს ტვირთი ყველასი; სხვებს ყოველთვის და ყველაფერში მოუთმენენ, მას კი არა, სხვებს, ოდეს იგინი შესცოდებენ, შეუნდობენ

ხოლმე, მას კი არასოდეს; ეს რომ ყოველივე გათვალისწინებული გქონდეს, შენ არ ინდომებდი ამ მთავრობის მოპოვებას და არ მიიქცეოდი მისდამი“ (საუბარნი საქმე მოციქულთა, III). რა ვქნა? უარვყო ჩემდა მოწოდებული ფიალა მსგავსად გრიგოლ ღვთისმეტყველისა, ანუ თუ მსგავსად ღვთისმხილველი მოსესა სასოწარკვეთილებით შევსთხოვო უფალსა: „გამოვინირჩიე შემძლებელი სხვა, რომელი მიავლინო“ (გამოსვლა IV, 13)? არა, მე მორჩილი ღვთისა, ესერა მოვალ; თავსა წიგნთასა წერილი არს ჩემთვის. (ფსალმუნი XXXIX-8).

მართლაც, ოდეს მიმოვიხილავ ჩემს დამაშვრალ ცხოვრებას, მე იძულებული ვარ ვსთქვა: „თავსა წიგნთასა წერილი არს ჩემთვის“, რათა მე წარვემართო იმ მსახურებისადმი, რომელიც ამ ჟამად მომიხმობს მე“.

დედის ძუძუსთან ერთად ღვთის შიშში და მსახურებაში ვიყავი, როდესაც მე ჩემის საკუთრის მიდრეკილებით, ნაცვლად ჩემთვის გამზადებულ საერო სკოლისა, მოვხვდი სასულიერო სკოლაში, სადაც 12 წლის განმავლობაში თეორეტიულად ვითვისებდი ღვთივაზროვნებას და მწყემსობრივ მოღვაწეობის იდეებს, ხოლო თავისუფალ საზაფხულო არდადეგებს ვატარებდი ედემისებრ მშვენიერ ადგილს, წმინდა გელათის მონასტერში, სადაც „ზეცისა მოქალაქენი და ქვეყნის ანგელოზნი“ სქემობდნენ. აქ, მათ წრეში, მკაცრი მმართველის, დაუღალავი მლოცველის და სულიერ მოღვაწის, დაუვიწყარი ჩემი ბიძის, მღვდელ-მონაზონის იასონის ხელმძღვანელობით, ვიმსჭვალებოდი სულითა და ტრადიციებით „ანგელოსებრივი ცხოვრებისა“, რომელიც მე ბავშვობიდან მიზიდავდა.

შემდეგ ცხრა წლის მყუდრო მწყემსობრივი ცხოვრებისა, მე მეწვია უბედურება იობისა: მოულოდნელად დავმარხე მეუღლე, საყვარელი შვილები, მაგრამ სულით მაინც არ დავეცი. წარმოვიდგინე, რომ ყოველივე ესე „თავსა წიგნთასა წერილ არს ჩემთვის“, და მე ვსთქვი: „ესე რა მოვალ“ და წავედი იქ, სადაც ერთი საუკუნის განმავლობაში ქართველები იკლავდნენ წყურვილს უმაღლესი ღვთისმეტყველების შემეცნებისა. აქ უზრუნველ ახალგაზრდა სტუდენტთა წრეში უფრო ღრმად, უფრო სერიოზულად და ხაზგასმით მეხატებოდა ბავშვობიდან შეყვარებული ბერობის უღელი, რომელსაც მე, დაბოლოს, მოვუდრიკე კიდევაც ქედი.

თოთხმეტი წელი ვატარებ ამ მძიმე უღელს და დღეს ოდეს დღენი ჩემი დათქმულია, წარმოვდგები თქვენს წინაშე, თვლივგანბრძობილნო მწყემსმთავარნო, რათა მივიღო თქვენგან ეპისკოპოსობის მადლი. განა შემიძლია გავექცე ამას, როდესაც ეპისკოპოსობა დამთავრებაა ჩემ მიერ წარმოთქმულ ბერულ აღთქმათა. აი მო-

ვუსმინოთ, თუ რას ამბობს წმიდა იოვანე ოქროპირი, რომლის სიტყვით ეპისკოპოსობა ბერობის მოღვაწეობაზე გაცილებით უფრო მძიმეა.

„ეპისკოპოსი განიცდის ყველას განჩინებას, ემორჩილება ყველას მსჯავრს, ბრძენთა და უმეცართა; ის ყოველ დღე, ყოველ ღამე დაქანცულია შრომით, მას ბევრი ჰყავს უკეთური და მოშურნე. თვით უკანასკნელი გლახაკნიც კი აუგებენ მას მოედანზე, არავის არ ეშინია ის შეურაცხჰყოს, მას ცილი დასწამოს. სული ეპისკოპოსისა მგზავრია ზღვის ტალღებით „გარემოცული გემისა... ყოველ მხრიდან ის იგვებების მეგობართა და მტერთაგან, შინაურთა და გარეშეთაგან“. (საუბარი, საქმე მოციქულთა, III). ნუ თუ ეს არის ბერული მოღვაწეობა ნებაყოფლობითი მოწამეობისა? ჭეშმარიტად ეპისკოპოსობა ის გოლგოთაა, რომელზედაც აჰყავს ადამიანი ბერობის ეკლოვან გზას, განსაკუთრებით ჩვენში და ჩვენს დროს და მერე რა! „ავალ, ავალ“ მე იმ გოლგოთაზე, „ყოფად ნებისა შენისა, ღმერთო ჩემო“ (ფსალმ. 39,9). მხოლოდ „მასწავე მე, რათა ვყო ნება შენი“ (ფსალმუნი 142,10).

„ესე რა მოვალ“ შენდა, ღმერთო შემოსილო სამშობლო ჩემო, მოვალ, რათა ვემსახურო ძალითა და ცოდნითა ჩემისა სულიერითა საჭიროებათა და მოთხოვნილებათა შენთა. ქართველი ხალხი განსაკუთრებით ქრისტეს მოყვარე ხალხია. თავისი დიდებული წარსულით, თავისი კულტურით, თავისი სამშობლოთი და ნაციონალური სახით ის ფრიად დავალებულია ქრისტეს ეკლესიისაგან, რომელმაც, საღმრთო წერილის სიტყვებით რომ ვსთქვათ: „გარემოიცვა იგი, განსწავლა იგი, დაიცვნა ვითარცა გუგა თვალისა“.

სამწუხაროდ, დღეს ამ ხალხმა დაივიწყა თავისი კეთილის მყოფელი და „უზორვის იგი ღმერთთა, რომელ იგი არა იცოდა, ახლითა, საწუთოთ მოსულთა, რომელ იგი არ იცოდეს მამათა მისთა“ (მეორე სჯულისა 32,17).

ვინ არის ამაში დამნაშავე?

დამნაშავენი ვართ ჩვენ, მწყემსნი ეკლესიისანი, ტყვილად კი არ არის ნათქვამი: „დავსცე მწყემსნი და განიბნინენ ცხოვარნი“ (მათე, 26,31).

ქართველნი მწყემსნი დაეცნენ. ზოგნი მათგანი მიმალულან, „ცრემლსა შესჭამენ, ხოლო ცხოვართა არა აძოვებენ“ (ეზეკია, 34,3). ზოგნი კიდევ შესაკრებელთა და უბანთა ზედა ხმამაღლა ორატორობენ, რათა იდიდონ კაცთაგან, საქმით კი არას აკეთებენ. ზოგნი, დასასრულ რათა მოიხვეჭონ სახელი მოწინავე პირისა, თავისუფლად ჰქადაგებენ, რომ სამღვდელოება უსარგებლო ელემენტია და ზედ-

მეტი ბარგია, თუმცა მათ არ შესწევთ მამაცობა და კეთილშობილება მოშორდნენ თავიანთ ადგილებს და განათავისუფლონ საზოგადოება ზედმეტი ბარგისაგან. ასეთ მოძღვრებისაგან რა სიკეთეს უნდა ელოდეს ქართველი ხალხი? მისი ჯანმრთელობისათვის აუცილებლად საჭიროა გადაქმნა მწყემსობრივი ელემენტისა, უნდა „შთაბეროს პირსა მისსა სული სიცოცხლისა“ (შექმნათა 2-7).

მოვალ შენდა საყვარულო იმერეთის სამწყსოვ, მხურვალე სურვილით, რომ დაგიბრუნო შენ განბნეულნი ცხოვარნი და ვიქმნე მათთვის მწყემსი კეთილი და არა სასყიდლით დადგინებული.

კრებულმა ღვთივ შემოსილთა მამათა და მღვდელმთავართა შენთამან, რომელთა „სული დასდვეს ცხოვართა თვისთათვის, მოეხმაროს ამაში უღირსებასა და უძლურებასა ჩემსა. ამინ“.[32]

მიტროპოლიტი ნაზარი ერთ-ერთი უმაღლესი იერარქი, საკათალიკოსო საბჭოს წევრი და იმერეთის ეპარქიის სულიერი მამა, თავის თანამოაზრეებათან ერთად, უშიშრად შეუდგა შუპოვარ ბრძოლას, ყველა იმ უმსგავსობათა წინააღმდეგ, რომლის შესახებაც კათოლიკოს-პატრიარქის ლეონიდეს სიტყვაში იყო ნათქვამი და, რომლის თაობაზე თვითონაც კარგად მოეხსენებოდა. არასასურველმა პროცესებმა განსაკუთრებულად იჩინა თავი 1920 წლის შემოდგომაზე, როცა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ დაიწყო მის მიერვე შემუშავებული კანონ-პროექტის – სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფისა და სკოლებში საღმრთო სჯულის სწავლების აკრძალვის შესახებ, განხილვა. კანონ-პროექტის შესავალში სინდისის თავისუფლებაზე საუბარი ღიმილის მომგვრელი იყო ქართველი მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის, რომელიც თვალნათლივ ხედავდა, თუ რა უსინდისო მეთოდებს იყენებდა ხელისუფლება ქართული ეკლესიისა და მის მსახურთა წინააღმდეგ... იმხანად, გაზეთ "ნაციონალისტში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ კორესპონდეციაში აღნიშნული იყო: " ვინ მისცა უფლება იმგვარ სოციალისტებს ხალხის სახელით ილაპარაკონ და იმოქმედონ, რომელთაც ფიზიკური შრომის უნარი დაუკარგავთ, ხალხს თავისუფლებას და თანასწორობას უქადაგებენ და თვითონვე მონობის უღელს ადგამენ. გამოპრანჭულან ევროპულ ტანისამოსში, დროებას ატარებენ კლუბ-რესტორან-გასტინიცებში, თეატრ-სინემატოგრაფებში, ჯიბეს ივსებენ ფულით და მუცელის საუკეთესო საჭმელებით, ქოსმანებივით სუქდებიან, მშრომელი ხალხის ზურგზე ბუქნაობენ და თავს ქვეყნის გამაბედნიერებლ სოციალისტებს უწოდებენ. მართლა სოციალისტები გგონიათ?! ესენი მატყუარანი და მძარცველნი არი-

ან, ღუპავენ საწყალ-ბედშავ მშრომელ ხალხს და უბედურების მეტი არა მოაქვთ-რა მათთვის..."![23]

მათ მიერ გაცხადებული სინდისის თავისუფლება სინამდვილეს არ შეეფერება... "აბა როდის სთხოვეს, ქართველმა მშობლებმა სოციალისტებს, სახარება გამოდევნეთ სკოლიდან და ის ჩვენს შვილებს არ ასწავლითო? ქართველმა ერმა როდის გამოუცხადა მათ ქრისტიანობა არ გვინდა, რჯული უნდა გამოვიცვალოთო? ქართველმა ერმა როდის დაავალათ ეკლესიებს ჩამოართვით ყოველივე ქონება, გაძარცვეთ და სახელმწიფოდან გამოჰყავითო... პირიქით, ჩვენ წინააღმდეგნი ვართ სახელმწიფოდან ეკლესიის გამოყოფისა..." მაგრამ " თუ მთავრობამ ძალით გამოყო ეკლესია სახელმწიფოდან, მაშინ ის მთავრობა მოვალე იქნება დააკმაყოფილოს ეკლესია მიწით, წყლით, გზით, როგორც რუსეთთან შეერთებამდის იყო... საეკლესიო მიწებს ჩვენც კარგად მოვუვლით მთავრობის დაუხმარებლივ და ეკლესიასაც შევინახავთ...[23]

სწორედ ამის შესახებ ყოფილა საუბარი 1920 წლის თიბათვეში გამართულ საეკლესიო კრებაზე, რომელსაც 126 ერისკაცი და 118 მღვდელ-დიაკონი დასწრებია... ამ კრების საქმიანობით მთავრობა საერთოდ არ დაინტერესებულა.

კორესპონდენტის თქმით, სახელმწიფო ხაზინა ეკუთვნის მის შემავსებელ ხალხს, მორწმუნე ერს, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს იგი; ამიტომ სახელმწიფო მოვალეა დააკმაყოფილოს ქვეყნის ყველა მცხოვრების სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი – მართმადიდებელი იქნება იგი, კათოლიკე, მუსულმანი, ებრაელი თუ სხვა. რადგან "თუ სახელმწიფო და ხაზინის პატრონი ხალხია, ხალხის სურვილი და მოთხოვნილება უნდა სრულდებოდეს".

მკაცრი და მიწასთან გამასწორებელია სოციალისტური ხელისუფლების საქმიანობის შეფასება: "შეიგნონ უნდა სოციალისტებმა, რომ მათ არაფრის შექმნა და გაკეთება არ შეუძლიათ,გარდა დაქცევა-დამხობის. მათი სიკერპით ქართველი ერის ცხოვრება მიწასთან გასწორდა, ინგრევა და ისპობა და დღეს თუ არა, ხვალ მოსთხოვს მათ ქართველი ერი პასუხს..."[23]

„ეკლესიის გამოყოფა საქართველოსგან“ – ასეა დასათაურებული მიტროპოლიტ ნაზარის ვრცელი წერილი, რომელიც დასტამბულია მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტიის ორგანოში, გაზეთ "მიწაში".

ავტორის აზრით, ჩვენი ქვეყნის იმდროინდელს ხელისუფლებას "სამი წლის მკდრეთით აღდგომილი საქართველოს წინაშე წამოყენებული ბევრი საჭირბოროტო საკითხი პოლიტიკური და ეკონო-

მიკური ხასიათისა", არ ჰქონდა მოგვარებული, ჩვენს "ქრისტესმოყვარე ერს მისი სურვილის წინააღმდეგ თავს ახვევდა კიდევ ერთ მეტად რთულს, სახელმწიფოებრივ დიდმნიშვნელოვან, თავის შედეგებით მეტად საბედიწერო საკითხს – ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოდან"

ნაზარის თქმით, სოციალიტურმა ხელისუფლებამ "თავისი სოციალიტური მოძღვრების ნიადაგზე" შეიმუშავა კანონ-პროექტი, რომლის გადაწყვეტა ხელის აწევითა და კალმის მოსმით გადაწყდება დამფუძნებელ კრებაში. მორჩა და გათავდა. მაგრამ მათ არა აქვთ გათვალისწინებული თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენს სახელმწიფოს მიერ ეკლესიისადმი წიხლის კვრა, რა პასუხს გასცემს იგი მორწმუნე მრევლს. მათი პროექტით, ეკლესია უნდა გამოეყოს სახელმწიფოს და სახელმწიფო არ მისცემს ეკლესიას არავითარ დახმარებას – არც ნივთიერს და არც მორალურს... " დედამიწის ზურგზე, არ არის განათლებული სახელმწიფო, რომელიც არ აქცევდეს სათანადო ყურადრებას ერის სულიერ განვითარებას და მის ზნეობრივ ცხოვრებას... დღეს ჩვენში მეტად ადვილია ეკლესიის იურიდიულად გამოცალკევება სახელმწიფოსგან... განა ჩვენი ეკლესია უშლიდა და ან უშლის ხელს ჩვენს სახელმწიფოებრიობას? ჩვენმა ეკლესიამ ხომ ყველაზე ადრე გაშალა თავისუფლების ბაირაღი, რომელიც იყო წინამორბედი ჩვენი ეროვნული თავისუფლებისა!.. უკვე თექვსმეტი საუკუნეა, რაც ჩვენი სახელმწიფო და ეკლესია ერთმანეთთან ბუნებრივად და ისტორიულად შეკავშირ-შედუღებულან. ჩვენმა ეკლესიამ არამც თუ ჰშვა ჩვენი სახელმწიფოებრიობა, არამედ მან მრავალ საუკუნობით და დიდის სიფრთხილით თავის უბით ატარა იგი, ულოლიავა და ასე გამოზარდა: ჩვენი სახელმწიფოებრიობა ძველთაგანია ჩვენი მრავალტანჯული ეკლესიის და ხორციხორცთაგანი. ამით აიხსნება, ის რომ ჩვენი სამოქალაქო ისტორია, იგივე საეკლესიო ისტორიაა. ამ ორმა ძლიერმა ეროვნულმა ფაქტორმა შექმნა ჩვენი ერის დიდება და უკვდავება, მისი ძველი კულტურა. მისი მდიდარი მწიგნობრობა და მათ ერთად ჩამოაყალიბეს ჩვენი ერის მაღალი ზნეობა და მისი ძვირფასი თვისებები. სახელმწიფოს და ეკლესიის კავშირი თავისთავად ბუნებრივია. ყოველი ადამიანი შედგება სულისგან და სხეულისგან: მთელი ერის სხეულის მოქმედება იხატება მის სამოქალაქო სახლმწიფოებრივ ცხოვრებაში, ხოლო ერის სულიერი მოძრაობა ეკლესიურ-სარწმუნოებრივ ცხოვრებაში... როგორც არ შეიძლება ადამიანის სიცოცხლეში სულის და ხორცის ერთმანეთისგან გამოყოფა უზიანოდ, ისე კიდევ არ შიძლება ეკლესიის ჩამოშორება სახელმწიფოსგან. ერთმანეთის უზარალოდ. ამ გამოყოფით

უფრო წააგებს თვით სახელმწიფო, ვიდრე ეკლესია, რადგან სახელმწიფო ერის სხეულია და ეკლესია კი ამ სხეულის სულია: სული კი ადამიანში ღრმად ჩაფლულ ძალებს: სინდისს, თავისუფლებას, სიმართლეს და ჭეშმარიტების გრძნობებს აძლევს მიმართულებას და მათ შორის ჰბადებს თანხმობას. ამნაირად სახელმწიფოს და ეკლესიის აღორძინება, მადლიერება და აყვავება შესაძლებელია ორივეს ურთიერთშორის შეწყობილ და შეთანხმებულ ცხოვრებით...

ხშირად მიუთითებენ, რომ ამერიკის სახელმწიფოში ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსგან და ამ გამოყოფას არავითარი ზიანი არ მოაქვს არც ეკლესიისათვის, არც სახელმწიფოსათვისო!.. სრულიად მართალია. მაგრამ უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ თუ კი იქ ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან, მაგრამ დედამიწის ზურგზე არც ერთ სახელმწიფოდან გამოყოფილ ეკლესიას არ ექცევიან ისეთი ყურადღებით, სიყვარულით და ზრუნვით, როგორც ამერიკაში...

ჩვენს სკოლებში უკვე საღმრთო სჯული არ ისწავლება.

ჩვენი ეკლესიის გამოცალკევება სახელმწიფოსაგან ხდება ჩვენი ერის მეტად სამძიმო და ტრაგიკულ ეკონომიური მდგომარეობის დროს და იმ მომენტში, როცა საქართველოს ეკლესიას აღარა აქვს ის მილიარდის ქონება, რომლის უმეტესი ნაწილი საქართველოს ჯალათმა რუსეთის მონარქიულმა მთავრობამ ჩამოართვა, რაც მას გადაურჩა დღეს ჩამოართვა მის წიაღში შობილმა სოციალიზმით გატაცებულმა ღვიძლმა შვილებმა...

ნაზარს მიაჩნდა, რომ საჭირო არ იყო ეკლესიისა და სახელმწიფოს გაყოფა, ხოლო თუ მთავრობა მაინცდამაინც დაიჟინებდა ამ, მეტად ძნელ და საბედისწერო ნაბიჯის გადადგმას, მაშინ აპერაცია მაინც გაკეთებულიყო ორივესთვის უმტკივნეულოდ... [26]

სამთავრობო კომისიის მიერ შემუშავებულმა მუხლებმა ეკლესიასთან დამოკიდებულების თაობაზე ჩვენი მაჰმადიანი მოძმეებიც კი შეაშფოთა. გაზეთი "სამუსლიმანო საქართველო" ამასთან დაკავშირებით წერდა: "ჩვენ არ ვიცოდით რას ფიქრობენ ჩვენი ძმა ქრისტიანები. თუ ისინი ამ საკითხში დასთანხმდნენ, სჩანს, გაცივებულია მათში რწმენა, მაგრამ ჩვენ სულის სამებო გვაქვს და ვინც საშუალებას არ მოგვცემს, რომ მოვიქცეთ ისე, როგორც ჩვენ გვსურს, როგორც გვიბრძანებს სინდისი და ჩვენი რწმენა, ის ლახავს ჩვენს უზენაეს მისწრაფებას და, მაშასადამე, მტერია ჩვენი...

მაგრამ ჩვენ არ გვგონია, რომ ეს მოხდეს, როგორც კომისიის დადგენილებაშია ჩამოთვლილი.

თუნდაც დადგენილება ასე დარჩეს. ჩვენ გვგონია, რომ დამფუძნებელი კრება კეთილგონიერებით დადგება და იმას არ მისცემს დასტურს, რაც ცხოვრებაში მიუღებელი იქნება, არც გატარდება. მისი ექსპერიმენტით კი სავალალო შედეგს მივაღწევთ.

ყოველ შემთხვევაში ჩვენ გვგონია, რომ ეს საკითხი სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის კომპეტენციას ეკუთვნის და ამ სტატუსის წამოყენება ჩვენდამი უმართლო და ნაადრევი იქნება... " [27]

მიტროპოლიტი ნაზარი მთავრობის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ მოხსენებაში "მღვიმევის მონასტრის" შესახებ წერდა: "მღვიმევის დედათა მონასტერში, რომელიც შორაპნის მაზრაში მდებარეობს, ჭიათურის ახლოს, არიან თავშეფარებული მონაზონები, რომელნიც ფიზიკური არსებობისათვის მოითხოვენ დღიურ საზრდოს, არსობის პურს. საზიდო ესე, მათ ყოველ წლივ შემოდიოდათ მორწმუნე პირთაგან ძველ დროში ამა მონასტრისადმი შეწირული საყანე ადგილებიდან. ამ წელში კი მათ ეს საყანე ადგილები ჩამოერთვათ და ამის გამო შიმშილით იხოცებიან..."

მიტროპოლიტი მოახსენებდა ნ. ჟორდანიას, რომ ყველაფერი ეს ადგილობრივი ერობის წარმომადგელების თვითნებობის გამო მომხდარა და სთხოვდა: შესრულებულიყო მთავრობის 1919 წლის 20 მაისის დადგენილება, მონასტერთათვის 7 დესეტინა მიწის კანონიერი ფლობის შესახებ, " გარეშე ყოველი მის ამსრულებელთა კომენტარით და ამით მიეცეთ საცოდავ მონაზვნებს საშუალება ფიზიკური არსებობისა, რომლის უფლება მათაც აქვთ, როგორც სულდგმული ადამიანთ". [28]

გელათის მონასტერში დაცული განძის ქუთაისის ხაზინაში გადატანასთან დაკავშირებით, მიტროპოლიტი ნაზარი საკათოლიკოსო საბჭოს სახელზე გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნავდა:'"უხსოვარის დროიდან ჩვეულებათაგან დაკანონებული წესით მონასტრებს და ეკლესიებს, სადაც კი ესვენა საკვირველთ მოქმედი ხატი, მორწმუნე, მლოცველთაგან დრო გამოშვებით ეწირებოდა ფრინველები, ცხოველები, ფულები და ოქრო-ვერცხლის ნივთები... საიდანაც დროისა და საჭიროების მიხედვით იყიდებოდა ეკლესიის სასარგებლოდ. ასეთი ხასიათის შეწირულობათაგან გელათის მონასტერში ინახებოდა ოქრო-ვერცხლის ნივთები, სახელდობრ: საათი, ბროშკები, სათითე ბეჭდები, საყურეები, ქინძისთავი, ჩაის კოვზი და სხვ". ამნაირი ნივთების გაყიდვის ნებართვა გელათის მონასტრის საჭიროებისათვის მიტროპოლიტისათვის უთხოვია ადგილობრივ წინამძღვარს ნესტორს წერილობითი სახით...

მიტროპოლიტ ნაზარს, მიუღია რა მხედველობაში, რომ ამგვარი ნივთები "არ წარმოადგენდნენ არც ისტორიულ, არც არქეოლოგიურ და არც ხელოვნურ განძს", ამასთან მონასტრის ყოველი უძრავი ქონება: ტყე და ველი მთაში მოქმედი წისქვილებით, რომელთა შემოსავალი ინახავდა გელათის მონასტერს კრებულითურთ, ჩვენმა მთავრობამ სრულიად ჩამოართვა და გადასცა სახელმწიფო საადგილმამულო ფონდში, რისა გამო იქ მყოფი ნახევრად ტიტველი ბერობა შიმშილ-სიცივის მსხვერპლად იყო ქცეული და რომ მონასტრის საჭიროება წირვა-ლოცვისათვის სრულიად დაუკმაყოფილებელი რჩებოდა. ნება დაურთვია არქიმანდრიტ ნესტორისათვის ზემოთ ჩამოთვლილი უმნიშვნელო ნივთები გაეყიდა იმდროინდელი კურსის მიხედვით. რაც აღსრულებულა კიდეც ქუთაისში და 33.620 მანეთი (რაც გაუტარებიათ კიდეც მონასტრის შემოსავალ-გასავლის წიგნში) გათვალისწინებული ყოფილა " მონასტრის გადაუდებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ეს ფაქტი, გაზეთ „სოციალ-დემოკრატს" გელათის მონასტრის გაძარცვად შეუფასებია, რის საფუძველზეც ქუთაისის მაზრის მილიციის უფროსს გაყიდული ნივთები მყიდველთათვის ჩამოურთმევია, და მოხსენებითი ბარათი გაუგზავია მთავრობისთვის ისე, რომ არაფერს შეკითხვია ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ ნაზარს... მთავრობისაგან გაგზავნილ რწმუნებულს ცინცაძეს, ქუთაისის მაზრის ერობის თავმჯდომარის, მილიციის უფროსის და პროკურორის შემადგენლობით, მილიციონერთა თანხლებით " გელათის მონასტრისა და იქვე შენახული ჯრუჭის მონასტრის მთელი განძეულობა გამოუტანიათ და ქუთაისის ხაზინაში გადაუტანიათ დასაცავად...

მიტროპოლიტ ნაზარის ამასთან დაკავშირებით წერს:

"ეს მოქმედება მთავრობის პირთა, მე მიმაჩნია უმართლოთ და უკანონოთ შემდეგ მოსაზრებათა გამო:

1. ძვირფას განძეულობის ყოველი საქართველოს მონასტრების და ეკლესიებიდან საერო მთავრობის ხელში გადაცემაზე საკითხი თვით იმა მთავრობისაგან წამოყენებული იყო მეორე საეკლესიო კრებაზე, რომელმაც უარყო ნივთების მონასტრებიდან და ეკლესიებიდან დაძვრა, რაზედაც შედგა სათანადო დადგენილება მთელი საქართველოს საეკლესიო კრებისა, რისთვისაც თვით ერობასაც ანგრიში უნდა გაეწია...;
2. მონასტრებს საზოგადოთ და, კერძოთ გაენათისას, განაგებს სასულიერო მთავრობა უმაღლესი და ადგილობითი, რომელთა წინაშე საერო მთავრობას უნდა აღეძრა

წინასწარი მიწერ-მოწერა გელათის ნივთების ხაზინაში გადატანის შესახებ, თუ ჩვენში არსებობს კანონიერება, წესიერება, უწყებათა ცალ-ცალკე მთავრობა, ურთიერთშორის კანონიერი ანგარიშის გაწევა და არა ანარქია და ძალადობა; უბრალო ზრდილობის ეთიკაც კი მოითხოვს ამ შემთხვევაში სასულიერო მთავრობისადმი წინასწარ შეკითხვას, თუ კი ცალ-ცალკე არსებობს სასულიერო და საერო მთავრობა ჩვენს სახელმწიფოში და ორივე ერთში არ არის შეერთებული;

3. მთავრობისაგან ხაზინაში გადატანილი ნივთები, როგორც გელათის მონასტრისადმი შეწირული და საუკუნოობით იქ დაცული, შეადგენენ იმ მონასტრის ხელუხლებელ საუნჯეს... მთავრობას ჯერ დეკრეტი არ გამოუცია და მე მგონი ვერც გამოსცემს იმის შესახებ, რომ მონასტრებს ერთმევათ უფლება მოძრავ ქონებაზედაც... გელათის საკუთრებით შეწირული საეკლესიო ნივთები საუკუნოობით გელათისადმი იყო დამტკიცებული... რა უფლებით ჩამოერთვა გელათის მონასტრეს ეს ნივთები ამ ხანაში, როდესაც კერძო საკუთრების კანონები არ წაშლილა და როდესაც ჩვენ ხალხში ქრისტეს სჯული და მოძღვრება ძველებურად სჩქეფს და დიდი ძლიერებით ღუვის. ნაკურთხი ხატი, რომელსაც მორწმუნე სასოებით შესცქერის, სანთელს უნთებს და მუხლს უყრის... მათი ხაზინაში გადაზიდვა უკარგავს მათ თავის დანიშნულებას, რაც გულსა და სულს უკლავს მორწმუნე ერს;
4. გაენათის მონასტერში ყოველი შიშიანობის დროს საგანგებოდ ინახებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ძვირფასი ხატები და განძეულობა... გელათის მონასტერი ამ მხრით საქართველოში ყოველთვის წარმოადგენდა საუკეთესო საეკლესიო მუზეუმს, რომლემაც დიდებულად გაამართლა თავისი დანიშნულება, უკლისად შეინახა რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში დღეს მისგან გამოზიდული ეკლესიური ძვირფასეულობა...
5. მთელი სახელი და დიდება, რომლითაც გელათის მონასტერი განსხვავდებოდა სხვა მონასტრებიდან საქართველოში იყო ის განძეულობა, რომელიც მას გამოაცალეს და, რომლის მიხედვით ადგენდა ყოველი უცხოელი თავის შეხედულებას ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ძლიერებაშემოქმედებაზედ. ჩვენი ქვეყნის ერთ საამაყო საგანს

შეადგენდა დიდებული გელათის მონასტერი არა მარტო ცარიელი კედლებით, არამედ იმ ნივთების წყალობით, რომლებიც მოწმობენ ჩვენ წინაპართა სარწმუნობრივ ძლიერებაზე, დაცარიელებული გელათი კი არავისთვის არაფერ დიდებას არ წარმოადგენს, რაც ჩემი შეხედულებით დიდად სამძიმო და სამწუხარო უნდა შეექმნეთ მთელი ჩვენი ქვეყნის მორწმუნე ერს...

მოვახსენებ რა ამას საკათალიკოზო საბჭოს, უმორჩილესად ვთხოვ მას, აღძრას შუამდგომლობა სათანადო მთავრობის წინაშე, რათა გელათის მონასტერს დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს მისგან ამა წლის (1920 წელს – გ.ს.) 23 ნოემბერს გამოტანილი განძეულობა იმავე მონასტერში ძველებური სიმტკიცით დასაცველად.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქართველი ხალხის უმრავლესობას გაუჩნდა იმედი იმისა, რომ დიდი ილიას მიერ დასახული მიზნის – მამულის, ენის და სარწმუნოების დაცვა ეროვნულ ინტერესებს დაექვემდებარებოდა და ამიერიდან მის წინსვლას წინ ვეღარავინ აღუდგებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ხელისუფლების სათავეში უმრავლესობით მოსულმა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკებმა) ეკლესია სახელმწიფოსაგან, ხოლო სკოლა ეკლესიისაგან გამოჰყვეს, სასკოლო პროგრამებიდან საღმრთო რჯულის სწავლება ამოიღეს, დაიწყეს ეკლესია-მონასტრებისათვის მათთვის კუთვნილი ქონების ჩამორთმევა, იქ დაცული საგანძურის სახელმწიფო ხაზინაში გადატანა სასულიერო ხელისუფლებასთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, სასულიერო წოდებისათვის საარსებო საშუალებების მოსპობა, საეკლესიო საქმეებში უხეში ჩარევა და ა.შ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდი და საკათოლიკოსო საბჭო ცდილობდნენ წინ აღდგომოდნენ მთავრობის მხრიდან დაწყებულ ასეთ თვითნებობას, მაგრამ ამაოდ. მდგომარეობა ძალზე დაიძაბა 1920 წლის შემოდგომაზე, როცა ეკლესიასთან შეუთანხმებლად, პოლიციის ძალით, გელათისა და მოწამეთის მონასტრებიდან, ვითომ-და შენახვის მიზნით, დაიწყეს საეკლესიო ქონების ქუთაისის ხაზინაში გადატანა. ამასთან დაკავშირებით, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი დაწვრილებით მოახსენებს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს. თავის მხრივ, ნაზარის ამ მოხსენებით ბარათზე დაურდნობით, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელი წერილს უგზავნის რესპუბლიკის მთავრობის მეთაურს ნოე ჟორდანიას და ითხოვს მის განკარგულებას ამ უსამართლო აქტის შესაჩერებლად. მთავრობის კანცელარიის ხელმძღვანელი ტელეგრამით

აცნობებს კათოლიკოს-პატრიარქს, რომ ქუთაისიდან მთავრობის რწმუნებულის დაბრუნებისთანავე შეატყობინებდნენ გელათის ამბებთან დაკავშირებულ დეტალებს... მაგრამ, როცა თითქმის ორი კვირის თავზე პასუხი არ ჩანდა არც მთავრობის თავმჯდომარის და არც მისი კანცელარიიდან, მაშინ კათოლიკოს-პატრიარქი განმეორებით მიმართავს ნოე ჟორდანიას და მკვეთრად და უშიშრად პირში მიახლის მას იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებას იჩენდა ეროვნული ხელისუფლება, რუსეთის სინოდისაგან თავდაღწეული ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიმართ. მიგვაჩნია, რომ ამ წერილს დიდი ისტორიული ღირებულება გააჩნია და ამიტომ იმდროინდელ პრესაში დაბეჭდილ ტექსტს სტენოგრაფიული სიზუსტით ვაწვდით დღევანდელ მკითხველ საზოგადოებას, მით უმეტეს, იგი სრულად დღემდე არავის გამოუქვეყნებია.

„დიდად პატივცემულო ნოე ნიკოლოზის ძევ!

ტელეფონოგრამით, რომელიც თქვენი სახელით გადმომცა ბმა ჯაფარიძემ, ნოემბრის 26-ს, თქვენ მითვლიდით: „დღეს ან ხვალ ქუთაისიდან ჩემი რწმუნებული დაბრუნდება და მაშინ დაწვრილებით გაცნობებთ გელათის ამბებსო“.

დღეს, დეკემბრის 5-ს, თქვენი რწმუნებული კარგა ხანია დაბრუნდა და თბილისში იმყოფება, მაგრამ მე მაინც ღირსი არ გავხდი თქვენგან აღთქმული ცნობების მიღებისა.

დღეიდან ეს ცნობები არ მჭირდება. მე უკვე მივიღე სრულებით საიმედო წყაროდან საჭირო ცნობები მთელი სისრულით.

ვცდილობ მივხვდე, რამ გაიძულათ თბილისიდან რწმუნებულის გაგზავნა გელათში მონასტრის განძეულის გადმოსატანად და ვერ გამიგია, ვერ მივხვედრილვარ, ვერ გამოვრკვეულვარ, ეს რა ჩაგიდენიათ და როგორ აგიყირავებიათ ყველაფერი. უეჭველია, თქვენი მითითებით, სოციალ-დემოკრატების გაზეთებში მოყვანილ ცნობებზე დაყრდნობით გელათის მონასტრის ვითომდა ბერებისაგან გაძარცვის შესახებ, მაგრამ ეს საბუთი არ გამოგადგებათ, რადგანაც დღეს ჩვენში ხუთი წლის ბავშვმაც კი კარგად იცის, რა ღირებულების და სისწორის ცნობებიც იბეჭდება ეკლესიებზე სოციალისტების ორგანოებში. დავანებოთ ამას თავი, წარმოვიდგინოთ შეუძლებელი, დავიჯეროთ, რომ სოციალისტების გაზეთში მოყვანილი შემთხვევა გელათის გაძარცვის შესახებ და ქუთაისის მილიციის უფროსის მოხსენებაც ვითომდა ნაქურდალის აღმოჩენაზე სინამდვილეა, მერე ეს გარემოება გიკარნახებდათ იმ სახიფათო ნაბიჯის გადადგმას, რომელიც თქვენ გადაგიდგამთ? განა თქვენ გქონდათ უფლება, თუ თქვენს გარდა უფლებას სხვებსაც არგუნებთ, რომ მო-

ნასტრის გაძარცვის ამბავი იმავე დღეს არ შეგეტყობინებიათ საკოთალიკოზო საბჭოსათვის ბეჯითი მოთხოვნით, რომ მას დაუყოვნებლივ მიეღო ფიცხელი ზომები ჩადენილი ბოროტმოქმედების გამოსარკვევად და შედეგები ძიებისა ეცნობებია თქვენთვის!?

საკათოლიკოზო საბჭო ხომ ჩვენი რესპუბლიკისგან ჯერჯერობით ცნობადი და შეწყნარებული უზენაესი საეკლესიო ორგანოა და რომელი უფლებამოსილებით ამ ორგანოს გაუსვით განადგურების ხაზი?

მეორე, ნუ თუ ჩემი მდგომარეობა, როგორც საქართველოს მთელი მორწმუნე მოსახლეობის მამამთავრისა და დროული საზოგადო მოღვაწისა საბუთია თქვენთვის იმისა, რომ არაფერი ანგარიში არ გამიწიოთ, მჩვარივით მთელოთ და ჩემდა სრულიად დაუკითხავად ზიდოთ ტომრებით თქვენს ძირგავარდნილ ხაზინებში ვითომდა დასაცავად სასწაულმოქმედი ხატები, ჯვრები, წმ. ნაწილები, შესამოსები, ბარძიმ-ფეშხუმები და სხვ.? არც სიცოცხლე, არც გონება და არც მორწმუნე ერისაგან მონიჭებული უფლებამოსილება, ღვთის მადლით, ჯერჯერობით არ დამიკარგავს და ვერ გამიგია, რომელი უფლებით გინებებიათ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის კვერთხის ხელში აღება და ბრძანებების გაცემა ისეთი რამეების გადმოტანისა გელათის მონასტრიდან, რასაც მორწმუნენი მუხლს უყრიან, წმ. სანთლებს უნთებენ და თუ ეხებიან მათ მხოლოდ და მხოლოდ დიდი კრძალვა-მოწიწებითი ამბორის ყოფით, ისიც სამღვდელო პირთა დახმარებით და არა სხვა რომელიმე სახით...

მესამე, განა თქვენ გქონდათ, ან დღეს გაქვთ იმის საბუთი, რომ შეიარაღებული მილიციელების რაზმით შეჭრილიყავით გელათის მონასტერში ცნობის მიუცემლად და სრულებით დაუკითხავად ქუთაისის ეპარქიალური მწყემსმთავრისა (გულისხმობს მიტროპოლიტ ნაზარს – გ.ს.), რომელსაც ასეთი თქვენი საქციელით პატივისცემას უკარგავთ და საზოგადოების თვალში სახავთ ნდობადაკარგულ, საეჭვო პირად?!

მეოთხე, თქვენ შეუფერებლად შელახეთ და შეურაცხყავით მორწმუნე ერის სვინდისი. ამ ხალხს, რომელიც ეკლესიის ეზოდან გამოსული ფეხს იბერტყავს წმ. ადგილის მტვერი არ გამყვესო, რომელიც ეკლესიის ეზოში ნაპოვნ ლურსმანს ხელს არ ჰკიდებს ღვთისა არისო, თქვენ აბუჩად იგდებთ, როდესაც მის სალოცავ და სათაყვანო წმ. ნაწილებით სავსე ხატებს, ჯვრებს და ბარძიმ-ფეშხუმებს ტყემლის ტყლაპების ყუთებში აყრევინებთ უბრალო საინების მსგავსად თქვენგან გაგზავნილ საერო პირს. განა ეს თქვენის მხრით

მორწმუნეთათვის სვინდისის შეგინება და ბრძოლაში გამოსაწვევი ხელთათმანის გადაგდება არ არის? ნუთუ თქვენ წარმოგიდგენიათ, რომ ამგვარ პროფანაციას მორწმუნე ქართველობა აპატივებს და შეარჩენს ვისმეს? სასტიკად სცდებით.

გელათში თქვენგან ისეთი ცეცხლია დანთებული, რომელიც ეხლავე თუ თქვენივე ხელით არ ჩააქრეთ, სულ ჩქარა ცაში ავარდნილი გრანდიოზული ჭიაკოკონა წითლად შეღებავს მთელ საქართველოს არე-მარეს და ამ კოცონის გარშემო მომუშავე ქრისტიანებს გვერდში ამოუდგებიან მაჰმადიანი ქართველებიც, რომლებიც ხმამაღლა გაიძახიან: სოციალისტები თავიანთი სჯულის ეკლესიას რომ სპობენ, განა ჩვენ კი სიკეთეს დაგვაყრიან, ჩვენ კი არ შეგვიბილწავენ მეჩეთებს და ყურანს?

თქვენ გაგეცინებათ ამაზე, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ თქვენი გაცინება თუ რისხვა არ აჩერებს არც მტკვარსა და არც სხვა რომელიმე მდინარეს.

გული სისხლით მეწურება, როდესაც ვითვალისწინებ თქვენგან ჩადენილი ფაქტის შესაძლო სავალალო შედეგებს და სამშობლოს სახელით გემუდარებით: ნუ გაამწვავებთ ამ საქმეს, ნუ გაიტანთ გელათიდან საეკლესიო ნივთების გამოტანის ამბავს ფართო საზოგადოებაში, ინებეთ უკანვე მიბრუნება მონასტერში განძეულობისა და ყველაფერი თავის-თავად მიჩუმდება, თორემ იცოდეთ სავსებით გამომჟღავნება ხალხში თქვენი განკარგულებისა ნავთის ტბაში ანთებული ასანთის გადასროლა იქნება.

თუ გელათის მონასტერს არ დაუბრუნდა მისი საკუთრება, ვერც მე შემეძლება გაჩუმება და იმ შემთხვევისათვის ვიტოვებ მოქმედებათა თავისუფლებას.

თქვენთვის უცნობი არ არის ჩემი წმინდა წყლის ქართლური მოთმინება და მოკრძალება, არასოდეს ამ ენითა და კილოთი არ მილაპარაკნია თქვენთან. მაგრამ ამ ქვეყნად ყველაფერს საზღვარი აქვს: უკანასკნელი საქციელით თქვენ შარაზე დასვით ქართული ეკლესიის ყოფნა არ ყოფნის საკითხი და ასეთ შემთხვევაში ჩემი გაჩუმება იქნებოდა იმის ღალატი, ურომლისოდაც ერთ წამსაც არ მსურს სიცოცხლე.

თქვენგან უსამართლოდ უფლებააყრილი, შეურაცხყოფილი
პატრიარქ-კათალიკოზი ლეონიდი“.[20]

იმავე გაზეთის თქმით, ბ-მა ნოე ჟორდანიამ არც ამ წერილს გაუწია არავითარი ანგარიში... მაშინ, კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდი საკოთალიკოზო საბჭოს წევრებისა და მცხეთა-თბილის-ურბნისის საეპარქიო დელეგატების თანხლებით თვითონ გაემართა

მთავრობის თავმჯდომარესთან. დარბაზობის დროს პატრიარქსა და მთავრობის მეთაურს შორის ასეთი დიალოგი შემდგარა:

„ბატონო ნოე ნიკოლოზის ძევ!

თქვენს წინ დგანან საქართველოს თავისუფალი და დამოუკიდებელი ეკლესიის თავი, ამ ეკლესიის მუდმივი საღმრთო კრების წევრები და ამ სამი დღის წინედ დასრულებული მცხეთა-თფილისურბნისის საეპარქიო კრების დელეგატთა წარმომადგენლები. ამ შემადგენლობით მოვედით თქვენთან იმ მიზნით, რომ განგიმეორო: ჩემდა, საეკლესიო უზენაესი ორგანოს და ქუთაისის მღვდელმთავრის (გულისხმობს მიტროპოლიტ ნაზარის – გ. ს.) დაუკითხავად თქვენს რწმუნებულს გადაუზიდნია გელათიდან ქუთაისის ხაზინაში, ვითომდა დასაცავად ჯვარნი, ხატები, წმ. ნაწილები და სხვ. ნოემბრის 25 ტელეფონოგრამით გთხოვეთ განკარგულება ნივთების უკან დაბრუნებისათვის, თქვენ აღმითქვით დამაკმაყოფილებელი პასუხის მოცემა რწმუნებულის დაბრუნების შემდეგ. მაგრამ მე ასეთი არ მიმიღია, თუმცა თქვენი რწმუნებული დიდი ხანია დაბრუნდა ტფილისში. ამის გამო მე გიცხადებ უღრმეს გულისწყრომას და უსასტიკეს გაკიცხვას...

მთავრობის თავ-რე: მე ვსწყვეტ სხდომას, ამ კილოთი ლაპარაკს და გულის წყრომას მე, როგორც მთავრობის თავმჯდომარე, ვერ მოვისმენ, ამას მე ვაუწყებ მთავრობას.

მისი უწმინდესობა: ისეთ მდგომარეობაში ჩამაყენეთ, რომ ყურთ აღარა მესმის და გთხოვთ, ხმა-მაღლა მიბრძანოთ.

მთავრ. თავ-რე: მე მეგონა თქვენ საქმეზე მოსალაპარაკებლად მობრძანდით და არა გულისწყრომის გამოსაცხადებლად.

მისი უწმინდესობა: ჩვენ სწორედ იმისთვის მოვედით, რომ დამოუკიდებელი ეკლესიის სახელით მოგვეთხოვა თქვენი რწმუნებულის მიერ გელათის მონასტრიდან წაღებული ნივთების უკან დაბრუნება.

მთავრობის თავ-რე: საქართველოს ეკლესია დამოუკიდებელი და თავისუფალი არ არის. ის ჯერ სახელმწიფოსაგან გამოუყოფელია. ვერც შევქმნით სახელმწიფოს – სახელმწიფოში... რაც შეეხება საეკლესიო ნივთებს, ისინი შეადგენენ სახელმწიფო საკუთრებას და სახელმწიფოს საქმეა, სად შეინახავს მათ... უნდა იცოდეთ ვისთან მიდიხართ...

მისი უწმინდესობა: თქვენ უფლება გაქვთ ციხეშიაც ჩამსვათ, მე ვასრულებ ჩემს საღმრთო მოვალეობას, ჩვენ მხოლოდ ის გვინდოდა გაგვეგო, რომ საეკლესიო ნივთებს თქვენ სთვლით სახელმწიფო საკუთრებად... მშვიდობით ბრძანდებოდეთ...

მთავრობის თავ-რე: კარგად ბრძანდებოდეთ“.[20]

ამ შეხვედრიდან სულ სამიოდე თვეში, ბოლშევიკური რუსეთის ჯარებმა დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაცია მოახდინა; მთავრობა, თავისი თავმჯდომარის მეთაურობით, საზღვარგარეთ გაიხიზნა ისე, რომ ქვეყნის საერო ხელმძღვანელმა თან გაიყოლა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობლის „უღრმესი გულისწყრომა და უსასტიკესი გაკიცხვა...“.

ისტორიკოს ქ. პავლიაშვილის მართებული შეფასებით: „ქართველი სოციალ-დემოკრატების ქართული ეკლესიისადმი გულგრილი დამოკიდებულება უკიდურეს ზიანს აყენებდა როგორც თავად ეკლესიას, ისე მის მრევლს და დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს სამომავლო ბედს სიკეთეს არ უქადდა. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, ხელისუფლების სათავეში მდგომმა სოციალ-მენშევიკებმა მაშინვე გამოავლინეს თავიანთი დამოკიდებულება სარწმუნოების მიმართ და ეკლესიის წინააღმდეგნი აღმოჩნდნენ... ქართველმა მენშევიკებმა სრული უნდობლობა გამოუცხადეს ეკლესიას... მათ არ სურდათ გაეგოთ, რომ სახელმწიფო და სასულიერო ხელისუფლების თანამშრომლობა შესაძლებელი იყო მხოლოდ თავისუფალი, ზნეობრივი ფორმებით, რომელიც რწმენა-სინდისზე იქნებოდა დაფუძნებული. საქართველოს მენშევიკურმა ხელისუფლებამ ბოლომდე ვერ გაარკვია მისი ეკლესიისადმი ნდობის საკითხი და ფაქტიურად თავისი მმართველობის მეთოდებით მის წინააღმდეგ გამოვიდა. მათ არ გაიზიარეს საქართველოს ისტორიული გამოცდილება, რომ ქრისტიანული საქართველო ოდითგან მოვალე იყო თავისი ეკლესიისათვის ნდობა გამოეცხადებინა, რადგან ეს უკანასკნელიც მისი სიძლიერისათვის მებრძოლი იყო...“.[9, 165-166]

* * *

1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკური რუსეთის ჯარებმა, თბილისი ცეცხლის რკალში მოაქცეს. მთავრობა ჯერ დასვლეთ საქართველოში გდავიდა, ხოლო შემდეგ იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. წასვლის წინ მან შეძლო ეროვნული განძის თან წაღება, რამაც, საბოლოო ჯამში, ამ სიმდიდრის გადარჩენა განაპირობა... ყველასათვის ცნობილ ფაქტებზე აქ ყურადღებას აღარ შევაჩერებთ, მაგრამ ერთს კი აუცილებლად ვიტყვით: 1921 წლის 23 თებერვალს, თბილისის მისადგომებთან გაცხარებული ბრძოლების დროს, რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მითითებით, სა-

ქართველოს ეკლესიის საკათოლიკოზო საბჭომ მიიღო დადგენილება სიონისა და სვეტიცხოვლის საეკლესიო განძეულობის ქუთაისში, სახელმწიფო ხაზინაში გადატანის შესახებ. იქვე უნდა მოეთავსებინათ ძვირფასი სამუზეუმო ექსპონატებიც. ამ საქმის ორგანიზების ზედამხედველობა დაევალათ საქართველოს დამფუძნებელი კრების დავმჯდომარის მოადგილეს, პროფ. ექვითმე თაყაიშვილს და თბილისის მერს ბენია ჩხიკვიშვილს. 19 ყუთში ჩაწყობილი განძეულობა, მატარებლის ერთ ვაგონში მოათავსეს და ქუთაისში გაგზავნეს. რკინიგზის სადგურიდან განძეულობა ქალაქის საკათედრო ტაძარში /„სობოროში“/ გადაიტანეს. მეორე დღით ჩასული კათოლიკოს-პატრიარქის ლეონიდის თანდასწრებით ყუთებში ჩაწყობილი საგანძური გადაარჩიეს, დიდი ნაწილი საზღვარგარეთ წასაღებად გაამზადეს, ნაწილი კი აღწერეს და ხელწერილით მიტროპოლიტ ნაზარის ჩააბარეს.[1, 15-16] კათოლიკოს-პატრიარქის მითითებით, განძეულობით სავსე ოთხი ყუთი, ბაგრატის ტაძრის მიდამოებში, სამიტროპოლიტო სახლის აივნის ქვეშ მოწყობილ სპეციალურ სამალავში გადამალეს... ეს საიდუმლო სულ რამდენიმე კაცმა იცოდა... ყუთში 100-მდე დასახელების სხვადასხვა მნიშვნელობისა და ღირებულების საეკლესიო განძეულობა იყო ჩაწყობილი. მათ შორის იყო: ბარძიმები, ფეშხუმები, საცეცხლურები, სანაწილეები, სახარებები – ქართულ და სლავურ ენებზე, ოქროს და ვერცხლის ჯვრები, გვირგვინები, მაღალი სასულიერო პირების ანაფორები, ძვირფასი ქვებით მოჭედილი ოქროს მიტრები, ხატები, აზარფეშები, გულსაკიდი ოქროს ჯვრები, 13 პანაღია ვერცხლისა და ოქროს ძეწკვებით, ოქროს ჭურჭლეულობა, მარგალიტებითა და სხვა ძვირფასი ქვებით სავსე პატარა პარკი, ვერცხლის კიდობანი, ღვთისმშობლის ხატი ბაჯაღლო ოქროსი და ძვირფასი ქვებით, სამაჯურები, საყურეები, ქამრები, ოქროს საათი ლუი გრიზელი №108426 ოქროს ძეწკვით, ვერცხლის „სმაკები“, ოქროს ვარსკვლავები და სხვა.[22] ბოლშევიკური ხელისუფლების ყურადღების მოდუნების მიზნით, როგორც სამღვდელოებაში, ისე მოსახლეობის ფართო მასაში მაშინვე დაიწყო ხმების გავრცელება, რომ მცხეთისა და სიონის მონასტერთა განძეულობა სხვა სიმდიდრესთან ერთად მენშევიკურმა ხელისუფლებამ საზღვარგარეთ წაიღოო.

საბჭოთა რუსეთის ხელდასმით ხელისუფლების სათავეში ქართველი ბოლშევიკები მოვიდნენ... მათ ყველანაირ ძალმომრეობასთან ერთად, ბრძოლა გამოუცხადეს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. ამ ბრძოლას „კანონიერი“ სახე მისცეს საქართვე-

ლოს რევკომის 1921 წლის 15 აპრილის დეკრეტით, რომლითაც საქართველოს მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიას ფაქტიურად იურიდიული პირის სტატუსი გაუუქმეს...

დეკრეტი №21, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს რევკომის თავმჯდომარის მოადგილე მამია ორახელაშვილი და რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე, უღმერთო ხელისუფლების მიერ გამოტანილი დოკუმენტია იმის წარმოსაჩენად, თუ რა დაუნდობელ ძალასთან გვქონდა საქმე... მისი თხუთმეტივე მუხლით ქართველი ხალხის ცხოვრებაში ეკლესიის როლი და მნიშვნელობა არარაობამდეა დაყვანილი. ეს მაშინ, როცა მესამე მუხლით გაცხადებულია – „ეკლესია განიყოფება სახელმწიფოსაგანო“. სინამდვილეში, ეს იყო სავსებით განდევნა და არა გამოყოფა, რადგან გამოყოფილისათვის აღარაფერი აღარ იყო დატოვებული: აღარც სინდისის თავისუფლება, აღარც შიდა კანონებისა და დადგენილებების მიღება, ოფიციალურ დოკუმენტებში სარწმუნოებისადმი კუთვნილების მითითება, სკოლა გამოყოფილი იყო ეკლესიისაგან და საღვთო სჯულის სწავლება აკრძალული. ყველა საერო სასწავლებელში იკრძალებოდა საეკლესიო და სარწმუნოებრივი საზოგადოებები, არც ერთ მათგანს აღარ ჰქონდა საკუთრება და იურიდიული პირის უფლება. „საქართველოს რესპუბლიკაში არსებული საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მთელი ქონება გამოცხადებული იყო სახალხო საკუთრებად, ხოლო შენობები და ნივთები, რომლებიც მღვდელთმსახურების კულტის შესრულებისათვის იყო საჭირო, შეიძლებოდა მისცემოდათ სათანადო სარწმუნოებრივ საზოგადოებებს უფასოდ სარგებლობისათვის იმ შემთხვევაში თუ ადგილობრივი ან ცენტრალური მმართველობები ამის შესახებ საგანგებო დადგენილებებს მიიღებდნენ“ და ა.შ.[21]

აღნიშნული დეკრეტის გამოქვეყნების შემდეგ დაიწყო სასულიერო მოღვაწეთა გაუგონარი დევნა-შევიწროება, ეკლესია-მონასტრების მასობრივი ნგრევა და დახურვა, მორწმუნე მრევლის ყოველმხრივ დაშანტაჟება და სხვ. უპირველეს სამიზნედ იქცნენ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი, უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდი და საკათოლიკოსო საბჭოს წევრები. თუმცა სასულიერო მამები ცდილობდნენ მრევლთან კავშირის შენარჩუნებას, განაგრძობდნენ საგანმანათლებლო საქმიანობას, ბეჭდავდნენ რელიგიურ ლიტერატურას, უშვებდნენ პერიოდულ პრესას... ასეთ დაძაბულ ვითარებაში მოულოდნელად(!), წყლით მოწამვლისაგან (1921 წლის 11 ივლისს) გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატ-

რიარქი ლეონიდი, რომელიც უხმაუროდ დაკრძალეს სიონის ტაძარში, კირიონ მეორის გვერდით...[30]

ლეონიდის გარდაცვალების შემდეგ თბილისში აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი ხელაია ჩამოდის, რათა დროებით შეასრულოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის მოვალეობა. დრო აღარ იცდიდა, საქართველოს ეკლესიას თავისი მეთაური უნდა აერჩია. სწორედ ამ მიზნით, 1921 წლის 1-5 სექტემბერს, გელათში მესამე საეკლესიო კრება გაიმართა. ცხუმ-ბედიელ და ჭყონდიდელ მიტროპოლიტ ამბროსისთან (ხელაია) ერთად, კათოლიკოს-პატრიარქის ტახტის დასაკავებლად კენჭს იყრიდა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარიც (ლეჟავა). ხმების მცირე უპირატესობით გამარჯვებულ ამბროსის, პირველმა ნაზარიმ მიულოცა და მის კურთხევაში უპირველესი მონაწილეობა მიიღო... ამ დღიდან მათი ურთიერთმხარში დგომა ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა.

გელათის მესამე საეკლესიო კრებაზე პრინციპული მსჯელობა იყო საქართველოს რევკომის №21-ე დეკრეტის შესახებაც. კრების მონაწილეთა აზრით, თუ ხელისუფლება აღნიშნულ დეკრეტს არ გააუქმებდა, მაშინ საქართველოს საკათოლიკოსო საბჭო მართლმადიდებელ ეკლესიას, ქრისტიანობას დევნილ სარწმუნოებად გამოაცხადებდა...[12, 47]

აღსანიშნავია, რომ მესამე საეკლესიო კრებამ მიტროპოლიტ ნაზარისა და პროფესორ კორნელი კეკელიძის შუამდგომლობით გრ. ფერაძეს გერმანიაში სწავლის გაგრძელების რეკომენდაცია მისცა, რასაც მხარი დაუჭირა კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ და კრებაზე მიწვეულმა ქართველთა დიდმა მეგობარმა არტურ ლაისტმა...[11, 9]

იმავე ხანებში ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ განხორციელებული კურსის წინააღმდეგ დაიწყო ხალხის გამოსვლები – ეროვნულ ფასეულობათა დაცვის მიზნით, რასაც საბჭოთა ხელისუფლებამ მასობრივი რეპრესიებით უპასუხა... ეროვნული ღირებულებების დაცვის საქმეში, ხალხის გვერდით დადგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია... უპირველესი ტვირთი კი მისმა საჭეთმპყრობელმა, კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ იკისრა. სწორედ მან, 1922 წლის აპრილში წერილი გაუგზავნა იტალიის ქალაქ გენუაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციას, რომელშიც დაუფარავად იყო საუბარი იმაზე, თუ რას სჩადიოდნენ საბჭოთა ოკუპანტები საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ... პატრიარქი მიუთითებდა, რომ ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლება დაუ-

ფარავად ანხორციელებდა ქართველი ერის ზნეობრივ გახრწნას და ესწრაფვოდა მის ფიზიკურ გადაგვარებას, დევნიდა ქრისტიანულ სარწმუნოებას და მის მსახურთ... პატრიარქი ევროპის ქვეყნებს დახმარებას თხოვდა პირველ ყოვლისა იმაში, რომ რუსეთის საოკუპაციო ჯარებს დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ საქართველოს ტერიტორია... კონფერენციის მონაწილე ქვეყნების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა უწმინდესის მოთხოვნებს, მაგრამ პრაქტიკული მხარში დგომა არავისგან ყოფილა...

ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტი გამძვინვარებით დაიწყო ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი მღვდელმთავრების დევნა და შევიწროება.

საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლების უპირველესი ორგანო – გაზეთი „კომუნისტი" დაუფარავად, ერთგვარი თავმოწონებითაც კი აღნიშნავდა, თუ როგორ ეპყრობოდნენ „ეკლესიის თავადებს", როგორც მაშინ ირონიულად უწოდებდნენ სამღვდელოების ზედა ფენების წარმომადგენლებს. „საბჭოთა ხელისუფლებამ სასულიერო წოდებას წაართვა ყოველგვარი პრივილეგიები, გამოაცალა ბატონობის ნივთიერი ბაზა, ძირს დასცა მისი ავტორიტეტი სარწმუნოების, ეკლესიის და სამღვდელოების შესახებ სწორი აზრების გავრცელებით". თანაც, ყოველივე ამისათვის სულ რაღაც ორიოდე წელი დასჭირვებიათ ათეისტ ხელისუფალთ... მართალია, სამღვდელოების ზედა ფენების წარმომადგენლებს გაძალიანებაც უცდიათ, მაგრამ „რაც შეეხება დაბალ წრეებს, მათი უმრავლესობა ბოლოს და ბოლოს იძულებულნი გახდნენ გარეგნულად მაინც შეგუებოდნენ ახალ პირობებს"-ო,[22] - წერს გაზეთი.

ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ ბოლშევიკურმა „ჩეკამ" გამცემთა მეშვეობით შეძლო გადამალული განძეულობის მიკვლევა... ამასთან დაკავშირებით იგივე გაზეთი „კომუნისტი" წერილში - „გადამალული საეკლესიო განძეულობის აღმოჩენა" - მიუთითებდა: „საგანგებო კომისიამ ქუთაისში, „არქიელის სახლში" (იგულისხმება მიტროპოლიტ ნაზარის სახლი – ავტორი) მის ქვეშ მიწაში ჩაფლული აღმოაჩინა ოთხი ყუთი საეკლესიო საგანძური, სიონის და მცხეთის ტაძრიდან წაღებული. ეს ავლადიდება იმყოფებოდა სამღვდელოების უკონტროლო გამგებლობასა და განკარგულებაში. ხდებოდა საეკლესიო ქონების სისტემატური ქურდობა, დატაცება... მენშევიკების გაქცევის დროს მოხდა უკანასკნელი, ასე ვთქვათ, გენერალური გაძარცვა საქართველოს ეკლესია-მონასტრების; მენშევიკებმა უმაღლესი სამღვდელოების დასტურით და ხელის შეწყობით, საზღვარგარეთ გაიტაცეს ამ სიმდიდრის უდიდესი ნაწილი".[22]

ბოლშევიკმა ხელისუფლებმა არ დააყოვნეს და საქართველოს ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენლები დააპატიმრეს... დაიწყო მათი შეურაცხმყოფელი დაკითხვები, ბოლოს სასამართლო პროცესები. წარმოუდგენელი და დამამცირებელი იყო მათდამი წაყენებული ბრალდებები: არსებული ხელისუფლების დამხობისაკენ მოწოდებები, ხალხის ქონების მიტაცება და გადამალვა, სახელმწიფოებრივ მშენებლობაში ხელის შეშლა, სამშობლოს ღალატი და ა. შ. გამოძიების დასკვნაში მიტროპოლიტ ნაზარის შესახებ ნათქვამი იყო, რომ მან იცოდა სად ინახებოდა გატაცებული საეკლესიო განძეულობა, მაგრამ არ აცნობა საქართველოს ხელისუფლებას...

თბილისში, ნაძალადევის მუშათა კლუბში გამართულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საჯარო პროცესზე, ბრალმდებელთა მხარეს წარმოადგენდნენ: სასამართლოს თავმჯდომარე გ. ჩხეიძე, წევრები – ვ. წივწივაძე და გ. რთველაძე; პროკურორები: ნიკ. ოკუჯავა და ნ. მაჭავარიანი; საზოგადო ბრალმდებელი ერქომაიშვილი და მდივანი გ. აბაკელია, ხოლო მსჯავრდებულთა სკამზე ისხდნენ – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია), მიტროპოლიტი ნაზარი და სხვები. ქართველი ხალხისა და მართლმადიდებელი ეკლესიის მტრებს, ღირსეულად პასუხობენ ერის სულიერი მამები. ბრალმდებელთა შეკითხვები, უპირველეს ყოვლისა, გენუის კონფერენციისადმი კათოლიკოს-პატრიარქის მიერ 1922 წლის 7 თებერვალს გაგზავნილ წერილში დაფიქსირებულ ფაქტებს ეხებიან.

თუ რაოდენ უშიშარნი და გაუტეხელნი იყვნენ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი (უმაღლესი დონის წარმომადგენლები) ნათლად სჩანს დაკითხვების ოქმებიდან. მოვიტანთ მცირე ამონარიდს:

„პროკურორი ოკუჯავა: /მიმართავს ამბროსი ხელაიას/

- რაში გამოიხატება საქართველოს დამონება რუსეთის მხრივ?

- ამბროსი: ასოცი წლის თავისუფლების, დამოუკიდებლობის მაძებარი ხალხისათვის თავისუფლების წართმევაში, ინტერვენციით...

პროკურორი ოკუჯავა: - დამოუკიდებელია თუ არა დღეს იგი საბჭოთა ხელისუფლების დროს?

- ამბროსი: საბჭოთა ხელისუფლების ხელში საქართველო მე მიმაჩნია დამოუკიდებლად მხოლოდ თეორიულად, ფაქტიურად კი ეს ასე როდია.

პროკურორი ოკუჯავა: - რაში გამოიხატება ხალხის ფიზიკური გადაშენება?

- ამბროსი: ენის დევნაში, ტერიტორიის სხვის ხელში გადაცემაში და იმაში, რომ ხელისუფლება ქართველთა ხელში არ არის...“[7, 42-43] და ა.შ.

სასამართლოს წევრის ვ. წივწივაძის შეკითხვაზე – რატომ გადამალეთ ეკლესიის განძეული? – მიტროპოლიტი ნაზარი პასუხობს: - საიმედო ადგილას შევინახეთ ქუთაისში, არქიელის სასახლის აივნის ქვეშ, რომ არ დაკარგულიყო.

ვ. წივწივაძე – ვისგან იცავდით ამ სიმდიდრეს?

ნაზარი – ბოროტი ავაზაკებისაგან...[7, 42-43]

ბოლშევიკურმა სასამართლომ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის 7 წლით 9 თვითა და 23 დღით პატიმრობა მიუსაჯა, მთელი ქონების ჩამორთმევით და სასტიკი იზოლაციით. მეტეხის ციხეში ჯდომა მიესაჯა სხვა მსჯავრდებულებს, მათ შორის მიტროპოლიტ ნაზარისაც.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ერთ-ერთი შეფიცული, იმ ხანებში მეტეხის ციხის პატიმარი, ელიზბარ მაყაშვილი, მიუთითებს: „ოჰ, მეტეხო, როგორ დამავიწყდები! ეს მძიმე, მოღუშული და დარდიანი ციხე დღეს საქართველოს დედაქალაქად გადაქცეულა. ქართველ მამულიშვილთ აქ მოუყრიათ თავი. პროფესორები და ექიმები, მკვლევარნი, ქართველი სტუდენტობა, სამღვდელოება – ჩვენი სპეტაკი და წამებული მოხუცი კათალიკოსის ამბროსის მეთაურობით.

მახსოვს ლექსი პოეტ დავით კოპალის (კოპალეიშვილისა) მიერ თქმული მამა ამბროსის დაპატიმრების შემდეგ:

„მძიმედ გაიღო ციხის კარები,
ვით ქანდაკება მარმარილოსი
შემოაბრძანეს ციხე მეტეხში
ტანჯულ ქართლისის კათალიკოსი.
ვერ შეეგებნენ, ჩაკეტილ იყვნენ:
პოეტი, მუშა, ექიმი, დენდი,
ვერცა მოხუცი, თეთრი ნაზარი,
ვერც პარიტეტის ტყვე პრეზიდენტი...“[7, 58]

ციხეში ორი წლის ჯდომის შემდეგ მიტროპოლიტ ნაზარის ამნისტიის საფუძველზე პატიმრობიდან ანთავისუფლებენ. თავის ეპარქიაში დაბრუნებულს ძალზე, მძიმე ვითარება ხვდება. მიმდინარეობს ეკლესია-მონასტრების ნგრევა და დახურვა, მორწმუნე მრევლის დაშანტაჟება და მღვდელმსახურთა დაცინვა. საწყობად არის ქცეული მიტროპოლიტის სარეზიდენციო სახლი; თავშესაფარის გარეშე დარჩენილი ნაზარი იძულებულია თავი ძმის ოჯახს შეაფაროს. აღვირახსნილი კომკავშირლები და „ჩეკას“ თანამშრომლები დასცინიან და შეურაცხყოფას აყენებენ მას. შოკში ჩავარდნილი სა-

ზოგადოება, მიუხედავად იმისა, რომ დიდ პატივს ცემენ სულიერ მამას, ხმის ამოღებას ვერ ბედავს. მიტროპოლიტი უდრტვინველად ატარებს მისთვის განკუთვნილ მძიმე ჯვარს... უშიშრად ცდილობს წინ აღუდგეს მთავრობის მიერ გამიზნულ უსამართლო ქმედებებს. როცა მისთვის ცნობილი გახდა პარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის დადგენილება საკათედრო ტაძრის დანგრევის შესახებ, თანაც იმ მოტივით, რომ მის ადგილას ბოლშევიკების ცოცხალი ბელადის, ამხანაგ ლენინის ძეგლი უნდა დაიდგასო, აღშფოთებული, განცხადებით მიმართავს საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს (ცაკ-ს), რომელშიც აღნიშნავს: „ეს სამი დღეა ქუთაისში მორწმუნეთათვის თავზარდამცემი ხმა ვრცელდება, რომ ადგილობრივი ხელისუფლების შუამდგომლობით და ცენტრალური მთავრობის დადასტურებით გადაწყვეტილია ქუთაისის საკათედრო ტაძრის დანგრევა და მიწასთან გასწორება... ეს დაუშვებელია, რადგან იმერეთის ეპარქიაში მხოლოდ აქ სრულდება სამაგალითო და საზეიმო სამღვდელმთავრო ღვთისმსახურება: მღვდლის, დეკანოზის, იღუმენის, არქიმანდრიტის, დიაკონის და იპოდიაკონის კურთხევა... ეს ტაძარი ისტორიული ძეგლია იმერეთის ნახევარმილიონიან ქართველ მორწმუნეთათვის... იგი აგებულია იმერეთის გლეხების მიერ ბატონყმობისაგან განთავისუფლების სახსოვრად... გაუგებარია, თუ რა უნდა შესძინოს ვინმეს ამ, მორწმუნე ხალხის ოფლითა და სისხლით აშენებული ძეგლის და სალოცავის დანგრევამ...“[3, 217]

მიტროპოლიტ ნაზარის დაბეჯითებული თხოვნა: არ დაენგრიათ ტაძარი, რომლის ამბიონიდან მორწმუნე მრევლს დიდი სასულიერო მამები – გაბრიელი, ბესარიონი, ლეონიდი, გიორგი და სხვები ამწყალობებდნენ, არ იქნა შეწყნარებული. 1924 წლის შუა რიცხვებში ქუთაისის საკათედრო ტაძარი /ცნობილი „სობორო“/ მიწასთან იყო გასწორებული. წინა წლის გაზაფხულზე არსებობაშეწყვეტილ გელათის მონასტერს, ახლა ესეც მიემატა, რითაც ფაქტიურად გაენათელ-ქუთათელი მიტროპოლიტი სამეუფეო ტახტის გარეშე დატოვეს. ერთი ნაბიჯი-ღა რჩებოდა მისი სიცოცხლის ხელყოფამდის. მიზეზს ეძებდნენ და ისიც მალე იპოვეს. ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ დახურულ და დანგრეულ ეკლესია-მონასტრებს მორწმუნე მრევლი საპირისპირო ქმედებით პასუხობდა. ახალს აშენებდნენ. მათ კურთხევას და გახსნას კი საეკლესიო ხელისუფალთ თხოვდნენ. მითუმეტეს დიდი სასულიერო დღესასწაული მარიამობა ახლოვდებოდა... ამგვარი თხოვნა მიუღია მიტროპოლიტ ნაზარს სოფ. როდინოაულიდან... მიუხედავად უმძიმესი და ურთულესი ვითარებისა,

უკიდურესად გაძნელებული უგზოობისა, მეუფე და მისი თანმხლები რამდენიმე პირი აღნიშნულ სოფელში ჩასვლას ახერხებენ...[4, 4]

პროფ. დამანა მელიქიშვილის თქმით: „იმ დღეს, მათ უკურთხებიათ როდინოულის ეკლესია და სადღესასწაულო წირვის შემდეგ იქვე, ერთ ოჯახში დარჩენილან ღამის გასათევად. რადგანაც გაუფრთხილებიათ, რომ სახლებში დაბრუნების შემთხვევაში დაპატიმრება ელოდათ (ნაზარი მიტროპოლიტი იმ გაზაფხულზე გაათავისუფლეს ციხიდან, ხოლო სიმონ მჭედლიძე, რედაქტორი „შინაური ამბებისა“... ეჭვმიტანილთა სიაში იყო). მაგრამ აქაც მიაკვლიეს იმ „ცრუ მოძღვართა აღზრდილებმა... დასცემიან მძინარეებს, მიტროპოლიტი ნაზარი ურემზე დაუკრავთ, დანარჩენები თოკებით გადაუბამთ და საფიჩხიის ტყეში წაუყვანიათ...“

მიტროპოლიტი ნაზარი და მისი თანმხლები პირები – მღვდლები – გერმანე ჯაჯანიძე, იროთეოზ ნიკოლაძე, სიმონ მჭედლიძე და მთავარდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე, ქუთაისის სამაზრო „ტროიკის“ მიერ გამოტანილი განაჩენით დახვრეტილ იქნენ საფიჩხიის თუ საღორიის მიდამოებში. ეს მოხდა მარიამობის ღამეს, 1924 წლის 28 აგვისტოს.

„თუ საუკუნის დასაწყისში ილია მალვით მოკლეს, ეს ეკლესიის მამები, ქრისტეს სჯულის მქადაგებლები,ილიას ეროვნული გზის გამგრძელებლები, დახოცეს მისი მკვლელების შთამომავლება უკვე აშკარად, ოფიციალური ბრალდებით - „აგვისტოს ავანტურაში მონაწილეობისათვის...“ დახოცეს თოკებით გადაბმულნი, შეურაცხყოფილნი, ალიონზე, საფიჩხიაზე, ებრაელთა სასაფლაოს ბოლოში“[4, 5] – აღნიშნავს დ. მელიქიშვილი.

მანგლელი მთავარეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე) წერს: „ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარის (ლეჟავასაგან) ათეისტურ-ანტიეროვნული მთავრობა ითხოვდა ქრისტესა და ერის ღალატს, მაგრამ ამას ვერ ეღირსა. მღვდელმთავარი წმინდა მოწამეთა დარად ურემზე დააკრეს და სხვა სამღვდელოებთან ერთად, სასტიკად ნაგვემი ტყეში დახვრიტეს. ჩემს ბავშვობაში გამიგონია, ჯერ კიდევ ცოცხლებს დააყარეს მიწა ჯალათებმა და, როგორც ამბობდნენ, მიწა რამდენიმე ხანს კიდევ იძვროდაო. აღსანიშნავია ქუთათელ-გაენათელი ნაზარი, თითქმის ასი წლის შემდეგ მისი სულიერი წინაპრების – დოსითეოზ ქუთათელისა და ექვთიმე გაენათელის მსგავსად აწამეს ხელისუფლებმა: ცნობილი საეკლესიო აჯანყების შემდეგ 1820-იან წლებში რუსმა ხელისუფლებმა ქართული სამყაროსათვის წარმოუდგენელი საქმე ჩაიდინეს: თავისი უმაღლესი სასულიერო პატივის გამო ხალხისათვის უწმინდესი და ხელშეუხებე-

ლი ქუთათელი და გაენათელი მღვდელმთავრები ტომრებში ჩასვეს, ურემზე დაყარეს და სასტიკი ცემის შემდეგ სამშობლოდან გადასახლება დაუპირეს, მაგრამ შემდეგ ჯალათებმა ისინი გზაზევე დახოცეს ტანჯვა-წამებით. ორივე ამ მღვდელმთავრის კათედრათა მემკვიდრე, ქუთათელი-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარიც ასევე მოწამებრივი გვირგვინით წარდგა უფლის წინაშე".[1, 3]

უდანაშაულო სასულიერო მოღვაწეთა მიმართ ამ სისხლიანმა ანგარიშსწორებამ სულით-ხორცამდე შესძრა მაშინდელი საზოგადოება, მაგრამ ხმამაღლა ხმის ამომღები ვინღა იყო...

გრ. ფერაძე თავის მასწავლებელს, გამოჩენილ გერმანელ თეოლოგსა და მოღვაწეს იოჰანეს ლეფსიუს 1924 წლის 26 სექტემბერს გაგზავნილ წერილში წერდა: „... ძვირფასო ბატონო დოქტორო!... ცუდი ცნობები მომდის ჩემი ქვეყნის შესახებ. არეულობა, ჩაგვრა, ქუთაისის მიტროპოლიტ ნაზარის მკვლელობა... ის ჩემი მეგობარი და მასწავლებელი იყო და ძალიან ბევრი გააკეთა ჩემი გერმანიაში გამგზავრებისათვის. 68 წლის მიტროპოლიტი ერთ წელიწადზე მეტ ხანს ციხეში იჯდა. ახლახან გამოუშვეს და ქუთაისში ცხოვრობდა. ბოლშევიკებს, რომლებსაც ეკლესიის გახლეჩა სურთ, უნდოდათ მისთვის პატრიარქობის გადაცემა, რადგან მისი უწმინდესობა პატრიარქი ამბროსი ავადაა და ჯანმრთელობა შერყეული აქვს. მიტროპოლიტმა, რა თქმა უნდა, უარი თქვა ამაზე... მასთან ერთად დავკარგე ყოველივე საუკეთესო, რაც სამშობლოსთან მაკავშირებდა".[31, 106]

„ძალიან ბევრი ადამიანი დახვრიტეს ქუთაისში. მათ შორის 10 მღვდელი და მიტროპოლიტი ნაზარი, 70 წლის მოხუცი. გვიამბობენ: როცა ეს წმინდა მოხუცი უნდა მოეკლათ, წითელმა ჯარისკაცებმა ჰაერში ისროლესო. მაშინ გაცოფებული ჩეკისტი ქალი თავად მივარდა ნაზარის და თავისი ხელით გამოასალმა სიცოცხლეს უდანაშაულო მოძღვარი. მიტროპოლიტის უდანაშაულობა არავის ეეჭვებოდა",[2, 120]– წერს ფრანგი მკვლევარი რემონ დიუგე.

ალ. ასათიანი გაზ. „სამშობლოში" (პარიზი) ქაქუცა ჩოლოყაშვილისადმი მიძღვნილ წერილში მოიხსენებს იმ მამულიშვილთა სახელებსაც, რომლებიც ბოლშევიკების მიერ იქნენ რეპრესირებულნი, მათ შორის მიუთითებს მიტროპოლიტ ნაზარსაც...

„როდესაც დაიწერება ისტორია ჩვენი ერის დარაზმულობაზედ, ყველა დაინახავს რამდენი, მომავალი თაობისათვის საამაყო საქმეები წარმოშვა მან და რაზომ დიდი პიროვნებები იყვნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბევრნი თანამებრძოლნი. ჩოლოყაშვილის უახლესი წრის თავდადებულთა ერთი ნაწილის მოხსენებაც საკმარისად გაამ-

ულავნებს ამ დიდი დარაზმულობის ხასიათს: **კონსტ. აფხაზი, გ. წინამძღვრიშვილი, გენ. ანდრონიკაშვილი, წულუკიძე, გარდაფხაძე, კოლონ მუსხელიშვილი, მახარაძე, გულისაშვილი და მრავალი სხვა, კათალიკოსი ამბროსი, მიტროპოლიტი ნაზარი და სხვადასხვა** (ხაზგასმა ალ. ასათიანისაა – გ. ს.).

... ყველა ამ გმირთა ლეგენდარული სიმტკიცე სიკვდილის წინაშე ღირსეული მასალაა შექსპირის ზომის მწერალთა კალმისათვის".[15, 329]

დასასრულს გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ 117 წლის შემდეგ ავტოკეფალია აღდგენილ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას თავისი ისტორიის მანძილზე იმდენი ნგრევა-აწიოკება არ განუცდია, რამდენიც ბოლშევიკების 70-წლიანი მმართველობის პერიოდში. აქედან კიდევ უფრო საშინელი პირველი ხუთი წელი იყო... პროფესორ ს. ვარდოსანიძის მართებული თქმით: „1924 წლის აგვისტოში ქართველი ხალხის საუკეთესო შვილების მიერ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტით უპასუხა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ. საქართველოს ყველა კუთხეში სისხლის წვიმები დააყენა... გაანადგურეს ინტელიგენცია, საზოგადოების არისტოკრატიული ნაწილი... ანადგურებდნენ, ანგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს, დევნიდნენ ქართულ კულტურას, ქართულ ეროვნულ ცნობიერებას და ინტერნაციონალიზმის დროშით ამცრობდნენ და აქუცმაცებდნენ საქართველოს..."[7, 33-34], ხოლო თუ რა მასშტაბებისა იყო ეს ნგრევა-აწიოკებები იგივე მკვლევრის მიერ დაანგარიშებული ციფრების მოტანაც საკმარისი იქნება. მარტო „1924 წელს თბილისის მაზრაში დაიკეტა 48, ქუთაისის მაზრაში 160, შორაპნის მაზრაში 148, ოზურგეთის მაზრაში 130, რაჭა-ლეჩხუმში 255, გორის მაზრაში 75, სიღნაღის მაზრაში 65, ცხინვალის მაზრაში 6 ეკლესია მონასტერი..."[7, 35]

მიუხედავად კომუნისტური რეჟიმის დიდი მცდელობისა – ქართველი ხალხის ცნობიერებიდან ამოეშალათ მამულისა და სარწმუნოებისათვის თავდადებული ადამიანების ნათელი სახელები, განუხორციელებელი დარჩა. საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილებმა არა თუ დაივიწყეს მათი „საქმენი საგმირონი" და ნათელი სახელები, არამედ მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანთა რიგებში მიუჩინეს სამარადჟამო ადგილ-სამყოფელი.

* * *

P. S. აქვე დაგვიანებით, მაგრამ ფაქტის დაზუსტების მიზნით აღვნიშნავთ, რომ მკვლევარ გოჩა ასათიანს, მიტროპოლიტ ნაზარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დაწერილ წიგნში, ერთი დასანანი ფაქტობრივი შეცდომა მოსდის, როცა წერს: „1924 წლის აჯანყების დაწყების წინა დღეს, 27 აგვისტოს, მიტროპოლიტ ნაზარის სოფელ სიმონეთიდან ეწვია დელეგაცია და სოფლის ეკლესიის კურთხევა სთხოვა. დანიშნულ დროს მიტროპოლიტი ნაზარი რამდენიმე მღვდელთან ერთად სოფელში მივიდა. მათ ეკლესია აკურთხეს და რადგან უკვე შეღამებული იყო, სტუმრები ერთ-ერთ ოჯახში ღამის გასათევად მიიყვანეს. ღამით მძინარე სტუმრებს მოულოდნელად თავს დაესხნენ ჩეკისტები, ხელფეხი შეუკრეს, თოფის კონდახით სცემეს, შემდეგ პერანგის ამარა ურემზე დააკრეს და სოფლის საბჭოში მიიყვანეს. მეორე დღეს პატიმრები ქუთაისის შინსახკომში გადაიყვანეს და სხვა პატიმრებთან ერთად ბნელ საკანში დაამწყვდიეს...“[1, ?].

აქ აღნიშნული ამბავი სინამდვილეს კი შეეფერება, მაგრამ ადგილმდებარეობას არა. ყველაფერი ეს სოფ. როდინოულში (დღევანდელი ზესტაფონის რაიონი – ავტ.) მოხდა. სოფ. ზედა სიმონეთი ჩემი მშობლიური სოფელია, სადაც დგას IX-X საუკუნის ისტორიული ძეგლი, სამნავიანი ბაზილიკა, არაერთი წარწერით და იქ XX საუკუნის 20-იან წლებში ახალი ეკლესიის აშენება არ ფიქსირდება... ეს ფაქტობრივი უზუსტობა შემდგომ სხვა ავტორებმაც გაიმეორეს (მაგ. როსტომ ჩხეიძემ და სხვ.).

ესაა და ეს. ჩვენი სურვილია, ფაქტობრივი შეცდომა გასწორდეს. ამასთან ერთად, როდინოულელთა ჩადენილ შეცდომაზე, სიმონეთელებმა რატომ უნდა აგონ პასუხი ღვთისა და ერის წინაშე?!.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ასათიანი გოჩა, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი, თბ., 1995.
2. დიუგე რემონ, მოსკოვი და წამებული საქართველო, თბ., 1994.
3. კეზევაძე მ., 1924 წელი ქუთაისის ეპარქიაში, ჟ. „განთიადი“, №3, 1989.
4. მელიქიშვილი დამანა, ახალმოწამენი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, თბ., 1995.
5. ვარდოსანიძე სერგო, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1952 წლებში, თბ., 2001.
6. ვარდოსანიძე სერგო, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდი (1918-1921), თბ., 2000.

7. ვარდოსანიძე სერგო, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927), თბ., 2005.
8. ვარდოსანიძე სერგო, საქართველოს ეკლესია 1917-1927, თბ., 2005.
9. პავლიაშვილი ქეთევან, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში, თბ., 2000.
10. საითიძე გოჩა, წმ. მღვდელმოწამე არქიმანდიტრი გრიგოლ ფერაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა), ჟ. „არტანუჯი“, №11, 2003.
11. საითიძე გოჩა, მასალები არქიმანდრიტ გრ. ფერაძესა და აკად. კორნელი კეკელიძის ურთიერთობის ისტორიიდან (XX ს-ის 20-30-იანი წლები). წმ. გრ. ფერაძის სახ. თბილისის უნივერსიტეტის „შრომების“ კრებული, I, თბ., 2009.
12. ნათელი ქრისტესი, საქართველო, წიგნი I, თბ., 2003.
13. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IV, თბ., 1984, გვ. 20.
14. შარაძე გურამ, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. I, თბ., 2001.
15. შარაძე გურამ, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 5, თბ., 2004.
16. ჭავჭავაძე ილია, რჩ. ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. VII, თბ., 1987.
17. ცინცაძე კალისტრატე, ჩემი მოგონებებიდან, თბ., 2001.
18. გაზ. „საქართველო“, №1918, 16 ნოემბერი.
19. გაზ. „საქართველო“, №1918, 21 ნოემბერი.
20. გაზ. „საქართველო“, №1920, 10 დეკემბერი.
21. გაზ. „კომუნისტი“, №, 1921, 20 აპრილი.
22. გაზ. „კომუნისტი“, №112, 1923, 19 მაისი.
23. გაზ. „ნაციონალისტი“, №1920, 14 ოქტომბერი.
24. გაზ, „ახალი საქართველო“, 1998, 27 აგვისტო.
25. გაზ. „საქართველო“, 1995, 22-29 სექტემბერი.
26. გაზ. „მიწა“, №1920, 9 ნოემბერი.
27. გაზ. „მიწა“, №1920, 10 ნოემბერი.
28. გაზ. „მიწა“, № 920, 11 ნოემბერი.
29. გაზ. „მიწა“, № 920, 5დეკემბერი.
30. გაზ. „სოციალ-ფედერალისტი“, 1921, 13 ივლისი.
31. ჟურნ. „არტანუჯი“, 2003, №11.
32. გაზ. „საქართველო“, 1918, 23 ნოემბერი.

Gela Saitidze

Doktor historischer Wissenschaften, Professor, Fuehrender wissenschaftlicher Arbeiter der Abteilung der neuen und neuesten Geschichte des Iwane Dshawachischvili Instituts fuer Geschichte und Etnologie

Zum Andenken an Neumärtyrer
Resümeze

Die am 18.-19. September 1995 in Tbilissi stattgefundene erweiterte Versammlung der georgischen orthodoxen Kirche unter der Leitung des Katholikos-Patriarchen Gesamtgeorgiens Ilia II. hat die Geistliche, die ihr Leben für den Glauben und die Heimat hingegeben haben, zu Heiligen geweiht. Das sind: der Bischof Imeretiens Gabriel, der Bischof Alexandre, der Katholikos-Patriarch Gesamtgeorgiens Ambrossi, Mitropolit Nasari, Archimandrit Grigol Peradse, Priester: Theodore, Germane Dshadshanidse, Irotheos Nikoladse, Simon Mtschedlidse; Abt Alexi Schuschania, Protodiakon Bessarion Kuchianidse. Sie wurden Neumärtyrer benannt, ihre Bilder wurden gemalt und als ihr gemeinsamer Gedenktag wurde der 27. August festgesetzt.

Ihrem Andenken ist der vorliegende Artikel gewidmet, in dem neuaufgedeckte Materialien über einige Vertreter der Neumärtyrer behandelt werden, die noch nie zum Gegenstand der Forschung geworden sind.

ირინა არაბიძე

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა განხორციელების საქმეში (1917 წ.)

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის ხელისუფლების სათავეში მოსული დროებითი მთავრობა აგრძელებდა „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ ცარიზმისდროინდელი დოქტრინის დაცვას [1, 61], საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს პოლიტიკური კუთხით განიხილავდა და ცდილობდა, მისი სამართლიანი მოთხოვნები მხოლოდ იმდენად დაეკმაყოფილებინა, რომ სახელმწიფოში დემოკრატიული უფლებების განხორციელების განწყობა შექმნილიყო, რუსეთის ერთიანობას კი საფრთხე არ დამუქრებოდა.

ქართველი ავტოკეფალისტები აცნობიერებდნენ ვითარების სირთულეს და ყოველ ღონეს ხმარობდნენ ეკლესიის უფლებათა სრულად აღდგენისათვის მიეღწიათ. დასახული მიზნის განხორციელებაში გარდა სასულიერო პირებისა მონაწილეობდნენ საერონიც. მათ შორის აღსანიშნავია: ალექსანდრე ცაგარელის, ივანე ჯავახიშვილის, ზურაბ ავალიშვილის, ნიკო მარის, იპოლიტე ვართაგავას, ვასილ ბარნოვის, დავით ნახუცრიშვილის, პეტრე ბარათაშვილის, პეტრე კიზირიას, სოლომონ ახვლედიანის, სოფრომ მგალობლიშვილის, მიხეილ მაჩაბელის, გრიგოლ და იოსებ ყიფშიძეების, ექვთიმე თაყაიშვილის, სარგის კაკაბაძის, პავლე ინგოროყვას, გრიგოლ რცხილაძის, ივანე ზურაბიშვილის, ნინო გელოვანის და სხვათა მოღვაწეობა.

ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი ეკლესიის ავტოკეფალიის ფაქტობრივად განხორციელების საქმეში სამეცნიერო ლიტერატურაში სრულად არ არის ასახული. სერგო ჯორბენაძეს მოაქვს ივანე ჯავახიშვილის მიერ პეტროგრადიდან კიტა აბაშიძისათვის გამოგზავნილი წერილი, რომელშიც საუბარია ივანე ჯავახიშვილისა და ზურაბ ავალიშვილის ობერ-პროკურორთან ვიზიტის შესახებ [2, 185]. კიტა აბაშიძისათვის გამოგზავნილ წერილებზე მიუთითებს ოთარ ჯანელიძეც [3, 16]. გურამ ყორანაშვილი წერს, რომ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქრთველოს ეკლესიის ავტოკეფალიის

აღდგენაში „თავისი წვლილი შეიტანა ივანე ჯავახიშვილმაც, რომელსაც რუსეთის იმპერიის დედაქალაქში ცხოვრების გამო გარკვეული შესაძლებლობები გააჩნდა“ [4, 36]. ჩვენ ამჯერად დიდი მეცნიერის მოღვაწეობის ამ მხარეს უფრო დაწვრილებით, ახალ წყაროებზე დაყრდნობით განვიხილავთ.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ივანე ჯავახიშვილს პეტროგრადში მოუსწრო და სამშობლოს პოლიტიკური განახლების იმედი გაუძლიერა. 1917 წლის 11 მარტს კიტა აბაშიძისათვის გამოგზავნილ წერილში იგი საქართველოს ავტონომიის საკითხში პოლიტიკურ პარტიათა შორის შეთანხმების სურვილს გამოთქვამდა და იქვე მიუთითებდა: „მე მგონია, ჩვენს სამღვდელოებას და მრევლს შეუძლიანთ საეკლესიო კრება მოიწვიონ და საქართველოს ეკლესიის თვითმწყსობა აღადგინონ, აირჩიონ კათოლიკოზი და ეს მთავრობასა და ლვოვს აცნობონ“ [5, 2; 3, 16].

ქართველმა ავტოკეფალისტებმა (აღნიშნული წერილისაგან დამოუკიდებლად) მართლაც სწორად შეაფასეს რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში შექმნილი ვითარება და 12 (25) მარტს ეკლესიის ავტოკეფალია აღდგენილად გამოაცხადეს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ აირჩიეს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდი (ოქროპირიძე). იმავე დღეს შეიქმნა ეკლესიის დროებითი მმართველობა და დაიწყო ავტოკეფალურ უფლებათა ფაქტობრივად განხორციელების ურთულესი ეტაპი.

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ოქმებიდან დასტურდება ნდობა, იმედი და დიდი პატივისცემა პროფესორ ივანე ჯავახიშვილისადმი. მმართველობის წევრებმა მუშაობის დასწყისშივე (20 მარტის სხდომა) მიიღეს გადაწყვეტილება, ეკლესიასთან დაკავშირებით არსებული ვითარება პეტროგრადში მყოფი მამულიშვილებისათვის: ალექსანდრე ცაგარელის, ზურაბ ავალიშვილისა და ივანე ჯავახიშვილისათვის გაეცნოთ [6, 15].

ეკლესიის დროებითმა მმართველობამ ივანე ჯავახიშვილის სახელზე გაგზავნა დეპეშა და სთხოვა, იქაურ ქართველებს სინოდთან ურთიერთობისას დროებით მმართველობასთან შეუთანხმებლად გადაწყვეტილებები არ მიეღოთ. თუმცა, დეპეშა დანიშნულ მისამართზე ძალიან დიდი დაგვიანებით (14 აპრილს) მისულა, მაშინ, როცა ივანე ჯავახიშვილი უკვე სამშობლოში იმყოფებოდა. მას დეპეშის შინაარსი აკაკი შანიძემ წერილით შეატყობინა [7, 1].

ჯერ კიდევ პეტროგრადში მყოფი ივანე ჯავახიშვილისათვის ეკლესიის მდგომარეობა ყოველდღიური ზრუნვის საგანს რომ შეადგენდა, ჩანს მის არქივში დაცული მიმოწერიდან. 23 მარტის წერი-

ლით იგი კიტა აბაშიძეს მოუწოდებდა, ეკლესიის საკითხში წინდახედულება გამოეჩინათ: „ეცადეთ ეს მაინც კარგად მოაგვაროდ, თორემ როგორც ვატყობ თანდათან რუსულ საზოგადოებაში ისეთი რეაქცია იკიდებს ფეხს არარუს ერთადმი, რომ პოლიტიკურ უფლებების აღდგენისათვის მეტად დიდი ბრძოლა დაგვჭირდება და ისიც ვინ იცის, მივიღებთ რამეს თუ არა?“ [8, 2]. ამავე დროს აღნიშნავდა, რომ დროებითი მთავრობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ იზიარებდა იურიდიული კომისიის დასკვნას. ეს დასკვნა იმდენად აუფერულებდა 12 მარტის აქტს, რომ მის მიღებაზე საქართველოს საეკლესიო საქმეთა გადამწყვეტ კომისრად დროებითი მთავრობის მიერ დანიშნულ ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ბენეშევიჩსაც უარი უთქვამს. ამ უკანასკნელს ნიკო მართან ერთად მონაწილეობა მიუღია საეკლესიო სამართლის მეცნიერთა ჯგუფის მიერ ახალი დებულების შემუშავებაში. ივანე ჯავახიშვილის თქმით, არც ეს დებულება იყო „მთლად დამაკმაყოფილებელი, მაგრამ საქმე მთლად იღუპებოდა და ისევ ესა სჯობდა“. 22 მარტს ივანე ჯავახიშვილსა და ზურაბ ავალიშვილს ობერ-პროკურორ ვლადიმერ ლვოვთან საათნახევრის განმავლობაში ჰქონიათ კამათი, ძლივს დაურწმუნებიათ იგი, უარეყო იურიდიული კომისიის აზრი და მიეღო მარისა და ბენეშევიჩის მონაწილეობით შემუშავებული დებულება [8, 1; 2, 185].

ივანე ჯავახიშვილი ზუსტად მიუთითებდა იმ ნაკლს, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების 27 მარტის აქტს ჰქონდა: რუსები და სხვა არაქართველი მართლმადიდებლები რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში უნდა დარჩენილიყვნენ; რუსთა მთავარეპისკოპოსის საჯდომად თბილისი ცხადდებოდა. ობერ-პროკურორ ლვოვის მინიშნებაში, რომ არაქართველებში ნაგულისხმევი არიან მხოლოდ ბერძნები და აისორები ივანე ჯავახიშვილს ეჭვი ეპარებოდა. ვაი, თუ მათ შორის აფხაზები და ოსებიც მოათავსონო – წუხდა მეცნიერი [8, 2].

ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ოქმებიდან ირკვევა, რომ ივანე ჯავახიშვილი ლვოვთან საუბრისას შეხებია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამყოფად თბილისის აღიარების საკითხს. როგორც ჩანს, მეცნიერი დარწმუნდა, რომ ობერ-პროკურორი დათმობაზე არ წავიდოდა: მართალია, ჩვენი კათოლიკოსი ყოველთვის მცხეთაში იჯდა, მაგრამ ცუდია, რომ ჩვენ თბილელი ვეღარ გვეყოლება – ასეთი იყო მისი დასკვნა [6, 77].

ივანე ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ ამ უკანასკნელ პუნქტთან დაკავშირებით პროტესტი არქიმანდრიტ ამბროსისაც გა-

ნუცხადებია, მაგრამ უშედეგოდ [8, 2]. (არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია) ამ დროს რუსეთში იმყოფებოდა და დროებითი მთავრობის გადაწყვეტილება მან თბილისში მყოფ ავტოკეფალისტებთან შედარებით რამდენიმე დღით ადრე შეიტყო).

კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულატურაში წოდება „თბილელის“ არსებობა საქართველოს დედაქალაქად თბილისის აღიარების მანიშნებელი იქნებოდა. საკითხი პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან იყო გადაჯაჭვული, ამიტომ დროებით მთავრობასა და უწ. სინოდს ამის დაშვება არ სურდათ.

კიდევ ერთი საკითხი, რომლის შესახებაც ივანე ჯავახიშვილი ობერ-პროკურორ ლვოვს ესაუბრა, იყო ქართველ ავტოკეფალისტთა მიერ რუსეთის სინოდში დეპუტაციის გაგზავნის საკითხი.

მამულიშვილს საკმაოდ მტკიცე პოზიცია დაუკავებია და ობერ-პროკურორისათვის განუცხადებია: „არავითარი საქმე სინოდთან ქართველ სამღვდელოებას არა აქვს და ამისთვის იგი არც დეპუტაციას გამოგზავნისო“.

ივანე ჯავახიშვილის თქმით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს ლვოვთან შედარებით გაცილებით უფრო გაგებით ეკიდებოდა მისი თანაშემწე ა. ვ. კარტაშოვი. დროებითი მმართველობის სხდომაზე მეცნიერმა აღნიშნა, რომ კარტაშოვს დეპუტაციის გაგზავნასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილის აზრი გაუზიარებია. მას განუცხადებია: „რუსის ეკლესია მოვალეა ბოდიში მოიხადოს საქართველოს ეკლესიის წინაშე და ნუთუ ეხლა ჩვენვე უნდა ვურჩევდეთ, რომ სინოდში დეპუტაცია გამოგზავნონო?!“ [6, 77].

სინოდთან შესარიგებლად დეპუტაციის გაგზავნა კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს – ეპისკოპოს ლეონიდს ურჩია კომისარმა ბენეშევიჩმაც. პასუხი ამ შემთხვევაშიც მტკიცე იყო: „დროებითი მმართველობა არასოდეს სინოდს დეპუტაციას არ გაუგზავნისო“ [6, 87].

დროებითმა მთავრობამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების 27 მარტის აქტით საეკლესიო საკითხის გადაწყვეტას საფუძვლად პოლიტიკური მოსაზრება დაუდო. საკათოლიკოსოს იურისდიქციის გავრცელების არე ტერიტორიული საზღვრებით არ შემოფარგლა, რათა ეკლესიის ავტოკეფალია ქვეყნის დამოუკიდებლობისაკენ გადადგმული ნაბიჯი არ გამხდარიყო. შედეგად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეროვნული ნიშნით დაიყო, რაც საეკლესიო კანონებს ეწინააღმდეგებოდა და ეკლესიის უფლებათა შეზღუდვას წარმოადგენდა.

დროებითი მმართველობის წევრებისათვის აქტიდან გამომდინარე, გაურკვეველი რჩებოდა, ეკლესიის საკითხის სრულად გადაწყვეტამდე ვის უნდა ემართა ეკლესია: ახლადარჩეულ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრესა და ეკლესიის დროებით მმართველობას თუ ყოფილ ეგზარქოს პლატონს (1915-1917). ეკლესიის სფეროში რუს-ქართველთა უფლებებისა და ქონების გაყოფისათვის აუცილებელი გახდა პეტროგრადიდან კომისარ ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ბენეშევიჩის ჩამოსვლის დაჩქარება. ავტოკეფალისტები იმედოვნებდნენ, რომ ალექსანდრე ცაგარელი, ზურაბ ავალიშვილი და ივანე ჯავახიშვილი ზემოაღნიშნულ საკითხთა გადაწყვეტისათვის ნიადაგის შემზადებაზე იზრუნებდნენ [6, 43].

ავტოკეფალისტებისა და ივანე ჯავახიშვილის ეჭვი გამართლდა, 27 მარტის აქტის გამოცხადების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ დროებითი მთავრობა რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში მოიაზრებდა აფხაზებსა და ოსებს. დროებითმა მმართველობამ გადაწყვიტა, საქართველოს ეკლესიისადმი მათი დამოკიდებულების შესატყობად მოლაპარაკებები გაემართა. დაადგინა აგრეთვე, ყოველი ღონისძიება ეხმარა ტერიტორიული ავტოკეფალიის დასაცავად, კათოლიკოს-პატრიარქის საჯდომად თბილისის შესანარჩუნებლად [6, 45].

კომისარ ბენეშევიჩის თბილისში ჩამოსვლის (აპრილის დასაწყისი) შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ტერიტორიული ავტოკეფალიის დასაცავად საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობას ძალა არ შესწევდა. ნარმატებით დაწყებული საქმე სრული მარცხით რომ არ დამთავრებულიყო, არჩიეს, მიეღოთ (თუმცა იძულებით) ეროვნული ავტოკეფალია [6, 75].

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ივანე ჯავახიშვილის აზრი ბენეშევიჩის შესახებ: „ბენეშევიჩი კარგი კაცია, ჩვენ თანაგვიგრძნობს... უნდა კარგა დაუხვდეს ქართველი სამღვდელოება და საზოგადოება“. პეტროგრადში ობერ-პროკურორთან მოლაპარაკებისას მიღებული შედეგების გაუმჯობესების იმედს ივანე ჯავახიშვილი ბენეშევიჩთან ქართველი სამღვდელოების შეთანხმებაზე ამყარებდა [8, 2]. ბენეშევიჩის მიმართ ასეთივე განწყობა ჰქონდა ნიკო მარსაც – ახასიათებდა მას როგორც „საუკეთესო კანონისტს და კარგი მიმართულების ადამიანს“ [6, 162]. მაგრამ კომისარმა ბენეშევიჩმა ქართველ მეცნიერთა იმედები ვერ გაამართლა.

ივანე ჯავახიშვილს საქართველოში ჩამოსვლის (აპრილის დასაწყისი) შემდეგ ეკლესიის უფლებათა დასაცავად ბენეშევიჩთან

დაპირისპირებაც კი მოუხდა. საეკლესიო საქმეთა გადამწყვეტმა კომისარმა 19 აპრილს ეპისკოპოს ლეონიდს განუცხადა, რომ წამოჭრილ საკითხებზე პასუხის გაცემა არ შეუძლია და პეტროგრადში მიემგზავრება.

ავტოკეფალისტები მის განცხადებას დიდი უკმაყოფილებით შეხვდნენ. გამოითქვა აზრი, რომ მისთვის სრული უნდობლობა გამოეცხადებინათ და ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტათ. ზოგი მხარს უჭერდა პროტესტის დეპეშის გაგზავნას პეტროგრადში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და ობერ-პროკურორთან თხოვნით, რომ საქმის დასაბოლოებლად დაენიშნათ "სხვა, უფრო მტკიცე ხასიათისა და მართლმსაჯული კაცი". ზოგი უმჯობესად მიიჩნევდა საქმის ვითარების მოსახსენებლად პეტროგრადში კაცის გაგზავანას. ამ მისიის შესრულება დროებითი მმართველობის წევრებმა ერთხმად სთხოვეს პროფესორ ივანე ჯავახიშვილს. მაგრამ მან უარი განაცხადა „ზოგიერთი დამაბრკოლებელი მიზეზის გამო" [6, 88-89]. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პეტროგრადში გამგზავრება იმ დროს დროებითი მმართველობის წევრთაგან ვერც ერთმა იკისრა [6, 89].

თუ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მხარდამჭერი პროფესორი ბენეშევიჩი თბილისში ჩამოსვლის შემდეგ სხვა გზას დაადგა და საქმეს განიხილავდა არა კანონიერების თვალსაზრისით, არამედ როგორც დროებითი მთავრობის კომისარი, პეტროგრადში ჩასვლა მის უკანონო მოქმედებათა მოსახსენებლად შედეგს ვერ მოიტანდა.

ეკლესიის ავტოკეფალიისადმი ივანე ჯავახიშვილის გულშემატკივრობის დამადასტურებელია ყოვლადსამღვდელო ლეონიდის 21 აპრილის წერილიც. ჩანს, რომ კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს მისგან ბრძნული და წინდახედული გადაწყვეტილებების მიღების იმედი ჰქონდა, ამიტომ ბენეშევიჩთან მუშაობის საკითხის განსახილველად ავტოკეფალისტთა შეკრებაზე ეპატიჟებოდა. წერილში აღნიშნულია: „თუ შესაძლოდ დაინახავთ კრებაზე დასწრებას, დიდად მოხარული და მადლიერი ვიქნები. ბენეშევიჩთან მუშაობის შეწყვეტის მეშინიან" [9, 1].

ჩვენთვის უცნობია, დაესწრო თუ არა დიდი მეცნიერი ამ არაოფიციალურ შეკრებას. ფაქტია, რომ იმავე (21 აპრილი) საღამოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ საქართველოს საეკლესიო საქმეთა გადამწყვეტ კომისართან მუშაობის გაგრძელების დადგენილება გამოიტანა (ივანე ჯავახიშვილის გვარი დროებით მმართველობის სხდომაზე დამსწრეთა შორის არ ფიგურირებს) [6, 91].

ეკლესიის საკითხებზე ივანე ჯავახიშვილის ზრუნვის მაჩვენებელია აგრეთვე ნინო გელოვანის წერილი. ეს უკანასკნელი მეცნიერს პეტროგრადიდან აწვდიდა ცნობებს საქართველოს ეკლესიის საქმეებთან დაკავშირებით და მისი მეშვეობით ავტოკეფალისტებს რჩევასაც აძლევდა [10, 3].

ივანე ჯავახიშვილის პრინციპულობა ქვეყნისა და ეკლესიის ინტერესების დაცვის საქმეში აშკარად გამოჩნდა დროებითი მმართველობის 4 მაისის სხდომაზე. ამ დღეს მოისმინეს ბენეშევიჩის 2 მაისით დათარიღებული წერილი. კომისარი ეკლესიის დროებითი მმართველობისაგან ითხოვდა დაწვრილებით განმარტებებს კითხვებზე, რომლებიც შეეხებოდა 1917 წლის 12 მარტის აქტის რაობას, მასზე დასასწრებად კრებულისა და საეროთა წარმომადგენლების არჩევის დროსა და ვითარებას, მასში არაქართველ მართლმადიდებელთა მონაწილეობას; საქართველოს ეკლესიისადმი იერარქიისა და კრებულის წევრთა მიკუთვნების პრინციპს; რუსულ საეკლესიო ხელისუფლებასთან მომავალ ურთიერთობას; კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრისა და დროებითი მმართველობის არჩევნებს. ბენეშევიჩი აღნიშნავდა, რომ არჩევნების მსვლელობა, ამომრჩეველთა ბიულეტენების ნიმუშები, ოქმთა წარმოების პრინციპები და სხვა განსაკუთრებით აინტერესებდა უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორს რუსეთის ეკლესიაში მიმდინარე მოძრაობასთან დაკავშირებით. დასმულ კითხვებზე განმარტებები, კომისრის მითითებით, საჭირო იყო აგრეთვე დროებითი მთავრობისათვის საქართველოს ეკლესიის იურიდიულ-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მოხსენების წარსადგენად და კერძოდ კომისრის მიმართ გამოთქმული უკმაყოფილობების საფუძვლის დასადგენად [6, 107-108v].

მოსმენილმა გააოცა და აღაშფოთა ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომაზე დამსწრენი. პროფესორმა ივანე ჯავახიშვილმა წერილის დაწვრილებითი ანალიზისას აღნიშნა, რომ „იგი ულოგიკოც არის და ცუდი გამოძიების ხასიათიც აქვს“. პირველი, რაზეც მეცნიერმა ყურადღება გაამახვილა, იყო კითხვა: რუსული ეკლესიის 4 მღვდელმთავარი თავის თავს ქართულ ეკლესიას რატომ მიაკუთვნებს (იგულისხმება 12 მარტის აქტზე ხელმომწერი ეპისკოპოსები: ლეონიდი (ოქროპირიძე), ანტონი (გიორგაძე), გიორგი (ალადაშვილი) და პიროსი (ოქროპირიძე). ივანე ჯავახიშვილის აზრით, დროებითი მმართველობის საპასუხო წერილში უნდა აღნიშნულიყო, რომ ქართული ეკლესიის არსებობა ცნობილია არამც თუ ახლა, მთავრობის 27 მარტის დეკლარაციის გამოცხადების შემდეგ,

არამედ ცნობილი იყო ძველი რეჟიმის დროსაც. თვით ის ფაქტი, რომ ბენეშევიჩი ხელს აწერს როგორც «Временно-уполномоченный Временного Правительства по делам Грузинской церкви», ქართული ეკლესიის არსებობას ცხადყოფს. მეორე საკითხი, რასაც ივანე ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იყო ის, რომ ბენეშევიჩს უფლება არ ჰქონდა 12 მარტის აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით გამოძიება დაეწყო, რადგან მთავრობამ ეს აქტი უკვე დაადასტურა და დეკლარაციაშივე მიუთითა, რომ კანონიკურ მხარეს არ შეეხებოდა. ბენეშევიჩი სწორედ კანონიკურ განქიქებას ლამობდა და თავისი განზრახვის გაბუნდოვნებას ცდილობდა განცხადებით, რომ ცნობები სინოდის ობერ-პროკურორს სჭირდებოდა. ივანე ჯავახიშვილის განმარტებით, საქართველოს ეკლესიის საქმეთა რწმუნებულისათვის უნდა ეცნობებინათ, რომ ობერ-პროკურორის ინტერესს არჩევნების წარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაციით თვითონ ეკლესიის დროებითი მმართველობა დააკმაყოფილებდა და ამ შემთხვევაში შუამავლობა საჭირო არ იყო. წერილის ანალიზი მან დაამთავრა განცხადებით, რომ ბენეშევიჩთან, რომელიც კონტრევოლუციის გზას ადგა, უნდა შეწყვეტილიყო ყოველგვარი კავშირი. ეს ამბავი ეცნობებინათ დროებითი მთავრობისათვის პეტროგრადში და კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისათვის თხოვნით, რომ იგი ახლავე მოეშორებინათ საქართველოდან.

2 მაისის წერილის პასუხი დეკანოზ კორნელი კეკელიძეს უკვე შედგენილი ჰქონდა და ეკლესიის დროებითმა მმართველობამ დანიშნა კომისია, რომელიც მასში დამატება-შესწორებებს შეიტანდა. კომისიის წევრებად ავტორს გარდა დაასახელეს პროფესორი ივანე ჯავახიშვილი და სერგი გორგაძე [6, 107].

კომისიის მიერ რედაქტირებულ პასუხში აღნიშნული იყო, რომ ბენეშევიჩმა საქართველოს ეკლესიას გაუცრუა მისი დანიშვნით გამოწვეული გულწრფელი სიხარული. ტერმინის „საქართველოს ეკლესია“ და მცხეთის 12 მარტის აქტის კანონზომიერების შესახებ საკითხის დაყენება (მთავრობის 27 მარტის დეკლარაციისა და საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობასთან კომისარ ბენეშევიჩის თითქმის ერთთვიანი მუშაობის შემდეგ) დროებითმა მმართველობამ არა მარტო დაგვიანებულად, არამედ სახიფათოდაც მიიჩნია და უკვე დამხობილი საეკლესიო რეჟიმის რესტავრაციის მცდელობა უწოდა. ადრესატს შეატყობინა, რომ თავს იკავებდა შემოთავაზებულ კითხვებზე პასუხის გაცემისაგან, წყვეტდა მუშაობას მასთან და დროებით მთავრობას მიმართავდა თხოვნით: საქარ-

თველოს ეკლესიას არსებობის ნორმალური პირობები შექმნოდა [6, 112-114; 11, 311-312].

წერილის პასუხი ინტერპარტიულმა საბჭომ და ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წარმომადგენელმა აკაკი ჩხენკელმა მოიწონეს. მხოლოდ ეკლესიის დროებით მმართველობას ურჩიეს, შეცვლილიყო ბოლო ნაწილი, სადაც საუბარი იყო ბენეშევიჩთან მუშაობის გაწყვეტაზე. რადგან ამით შეიძლებოდა საქმე გართულებულიყო. ინტერპარტიულმა საბჭომ იმედი გამოთქვა, რომ თუ ქვეყანა პოლიტიკურ ავტონომიას მიიღებდა, ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი თავისთავად მოგვარდებოდა [6, 75, 117-118].

ავტოკეფალისტები პროფესორ ივანე ჯავახიშვილს (მასთან ერთად სენატორ ზურაბ ავალიშვილს და ნინო გელოვანს) თვლიდნენ „ერთგულ და ფრიად სასარგებლო მოღვაწედ“. საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის 4 ივლისის სხდომაზე აღინიშნა, რომ „პროფესორი ჯავახიშვილი მმართველობის წევრად არ ირიცხება და მან კი არაერთხელ მიიღო მხურვალე მონაწილეობა ავტოკეფალიის საქმეებში“. ყველამ ერთხმად ცნო სასურველად დროებითი მმართველობის წევრად მისი ჩარიცხვა [6, 213-217].

ამის შესახებ დიდ მეცნიერს თვითონ ყოვლადსამღვდელო ლეონიდმა 26 ივლისის წერილით აცნობა [12, 1].

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა ქვეყნის დამოუკიდებლობის წინაპირობა იყო, ამიტომ ამ საქმემ გააერთიანა ერი და ბერი. საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ ამ რთული მისიის აღსრულებაში საზოგადოების წარმომადგენელთაგან ერთ-ერთ უპირატესად სწორედ ივანე ჯავახიშვილი მიიჩნია. ისტორიული წყაროების ცნობით, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის დაარსების საქმეებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა ეკლესიის ავტოკეფალიის ფაქტობრივად განხორციელებაში და ამ საკითხის გადაწყვეტას დიდი დრო და ენერგია მოახმარა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბილისი, 2001.
2. ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, 1984.
3. ო. ჯანელიძე, ივანე ჯავახიშვილი, თბილისი, 1996.

4. გ. ყორანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, 1999.
5. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი, საქმე №1374.
6. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე № 6421.
7. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი, საქმე №2336.
8. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი საქმე №1375.
9. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი საქმე №1934.
10. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი საქმე 1673.
11. ი. არაბიძე, საქართველოს საეკლესიო საქმეთა გადამწყვეტი კომისრის პროფერსორ ბენეშევიჩის მოღვაწეობა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი (1917 წ), კრებული – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2008, 1 (3).
12. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი, საქმე №1935.

Irina Arabidze
Doctor of History, The Javakhishvili Institute of History and Ethnology

Ivane Javakhishvili's Contribution in realizing Autocephalous Rites of the Church of Georgia (1917)

Summary

Restoration of the Autocephaly of the Church of Georgia that took place after February revolution in 1917, was recognized by Russia only as a national event. The division of the Churches on the national principle that restricts the rights of the Churches, is against the law of the Orthodox Church. It is strictly condemned. Laymen together with clergy were fighting for the real carrying out of the autocephalous rights of the Church in Georgia. Professor Ivane Javakhishvili was among them, whose contribution is not

well studied yet. He, together with other Georgians, participated in the negotiations with oberprocurator of synod in Petrograd that was held on the problems of the Church of Georgia. The results of the negotiations able recognition decry of the autocephaly established by provisional government to be less harmful for our Church. Besides, at the meeting with oberprocurator professor I. Javakhishvili tried to deal the problems of joining those Orthodox Christians with the perish of patriarch who were not Georgians, especially Abkhazians and Osetians, to recognize Tbilisi as the see of Catholicos-patriarch and other important issues.

After returning back to the homeland the great scholar was actively involved in the work of the Provisional Direction of the Church. In the records of the direction sessions we can read a lot of ideas, view points of principle importance expressed by him. The result of Ivane Javakhishvili's being actively involved in solving the problems of the Church autocephaly was granted by his membership of the Provisional Direction of the Church.

In 1917, after February revolution, together with the problems of establishing national university, Ivane Javakhishvili was actively involved in execution of the autocephaly of the Church of Georgia de facto. He dedicated a lot of his personal time and energy to solve the problem.

ქეთევან პავლიაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

საბჭოთა იმპერიის საეკლესიო პოლიტიკა მახლობელ აღმოსავლეთში XX ს-ის 20-60-იან წლებში
(„სტალინის პროექტი“ და „ფორთოხლის გარიგება“)

რუსეთის სახელმწიფოს საეკლესიო-პოლიტიკურ ინტერესებს „წმინდა მიწისადმი“ მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. ამ ინტერესებმა რთული ევოლუციური გზა განვლო; ისინი წმინდა პოლიტიკური მიზნებით იყო განპირობებული, საეკლესიო დიპლომატიით განხორციელებული და მრავალმხრივი სირთულეებით ხასიათდებოდა.

საუკუნეების მანძილზე, ავტორიტეტის მოპოვებისა და საერთაშორისო ასპარეზზე ჰეგემონობის დამკვიდრებისათვის რუსეთის სახელმწიფო ნაირგვარ პროექტებს ადგენდა, რომლებიც მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შესაბამისი იყო. აღნიშნულ პროექტებს შორის მეტ-ნაკლებად წარმატებული და მიზანმიმართული გეგმები იყო, ე.წ. ნესელროდეს, მანსუროვის, ანტონინეს, ხიტროვოს და სტალინის. ზემოჩამოთვლილი პროექტები XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მოქმედებდნენ და თავიანთი წვლილი შეჰქონდათ რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის წარმატებით განხორციელებაში [14, 111-112].

პოლიტიკურ-საეკლესიო პროგრამებიდან პირველი ოთხი პროექტი რუსეთის თვითმპყრობელური იმპერიის ეპოქაში შემუშავდა და შესაბამისი რეალიზებაც ჰპოვა; რაც შეეხება მეხუთე - „სტალინის პროექტს“, ის საბჭოთა იმპერიის საგარეო პოლიტიკის ნაყოფი იყო და იმავე მიზნებისთვის შექმნილი, რაც ცარიზმული რუსეთის საგარეო პოლიტიკისათვის იყო დამახასიათებელი. წინამდებარე გამოკვლევის ობიექტი ეს უკანასკნელი პროექტი და მისით გამოწვეული შედეგებია.

პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე (1918 წ.) მსოფლიოს წინაშე დადგა საერთაშორისო ურთიერთობების დარეგულირების და მსოფლიოს ახალი პოლიტიკური რუკის დადგენის საკითხი. სამყაროს ხელახალ გადანაწილებაში მსოფლიოს მძლავრი ქვეყ-

ნების გვერდით აქტიურობდა ახლადჩამოყალიბებული საბჭოური იმპერიაც [2, 102]. ზემოაღნიშნულ საკითხს მიეძღვნა საერთაშორისო პარიზის (1919-1920 წწ.) და ვაშინგტონის (1921-1922 წწ.) კონფერენციები, რომელთა გადაწყვეტილებებით ჩამოყალიბებულმა ე.წ. ვერსალ-ვაშინგტონის სისტემამ განსაზღვრა პირველი მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო ურთიერთობები და საფუძველი დაუდო მოგვიანებით ჩამოყალიბებულ ე.წ. „ცივი ომის“ პროცესებს. [3, 312-321].

ყოფილ თვითმპყრობელურ რუსეთში განვითარებული პოლიტიკური პროცესები და დანარჩენი სამყაროსათვის მიუღებელი ახალი სახელმწიფოებრივი სისტემა (საბჭოთა წყობილება – ქ.პ.) ბუნებრივად შეუთავსებელი იყო კაპიტალისტური წყობის ქვეყნებისათვის. მათი მიზანი გახდა საბჭოთა ქვეყნის იზოლაცია და სამყაროს გადანაწილების პროცესისგან მისი აბსოლუტური გამიჯვნა. თავის მხრივ, რუსეთი იბრძოდა თავისი მომავლის პოლიტიკურად გადაჭრის უფლების მოპოვებისათვის და საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრებისათვის, ძველი კოლონიების შენარჩუნებისა და ახლის მოპოვებისათვის. აღნიშნულით იყო განპირობებული საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური მეცადინეობები აღმოსავლეთ ევროპასა და მახლობელი აღმოსავლეთისაკენ.

ცარიზმის იმპერიის მსგავსად, საბჭოთა მთავრობაც მიუხედავად თავისი ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკისა მიზანსწრაფულად მეცადინეობდა საგარეო პოლიტიკურ კურსში რუსული ეკლესიის ჩართვისათვის. საბჭოთა სახელმწიფომ ეროვნული ეკლესიის გადაგვარების, მისი „წითელ ეკლესიად“ ფორმირების გვერდით აქტიურად დაიწყო რიგი საგარეო საკითხის მოგვარება [3, 212-219], კერძოდ, აღნიშნული წარმართა იმპერიის გარეთ არსებული რუსული საეკლესიო სიწმინდეებისა და საეკლესიო ქონებაზე უფლებების აღდგენა – შენარჩუნებისაკენ. ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში მიმდინარე პოლიტიკურ ამბიციებს შორის წინა ადგილი დაიკავა მსოფლიოს წამყვანმა საქრისტიანო ცენტრებმა, სადაც XVI საუკუნიდან გაჩნდა რუსეთის სარწმუნოებრივ – პოლიტიკური ინტერესები. ამ ინტერესებმა განსაკუთრებულად აქტიური ხასიათი XVIII – XIX საუკუნეების მიჯნიდან შეიძინა. საქრისტიანო ცენტრებს შორის მსოფლიოს ქრისტიანი სახელმწიფოების წრეში ყველაზე ფართო პოლიტიკურ-კულტურული დატვირთვა „წმინდა მიწას“ ჰქონდა. აღნიშნულით იყო განპირობებული, რომ ამ ადგილზე გაბატონების სურვილმა უკვე ორად გაყოფილი სამყაროს (საბჭოთა და კაპიტალისტური –

ქ.პ.) ინტერესები გადაკვეთა და მათ ურთიერთდაპირისპირებას მძაფრი ხასიათი შესძინა.

XIX საუკუნიდან რუსეთის იმპერიის ამბიციებს მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ინტერესები დაუპირისპირდა და მიუხედავად არსებული წინააღმდეგობისა, იმპერიის მიზანმიმართულმა პოლიტიკამ ნაყოფიერი შედეგი გამოიღო. აღნიშნულ პერიოდში რუსეთი აქტიურად იღწვოდა მახლობელ აღმოსავლეთში და კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიების გვერდით მიზანმიმართულად ამკვიდრებდა რუსულ საეკლესიო პოლიტიკას. ამ დროის მანძილზე ცარიზმის ხელისუფლებამ შეძლო იერუსალიმში დიდძალი უძრავ-მოძრავი ქონების შეძენა. სადაც რუსული მართლმადიდებლობის ფართო პროპაგანდისტული მუშაობაც გაშალა [3, 97-101].

მთელი XIX საუკუნის მანძილზე წმინდა მიწაზე წარმატებულად მომქმედმა „რუსულმა მისიამ“ პირველ მსოფლიო ომში ჩართვის და სახელმწიფო გადატრიალების (1917 წლის რევოლუცია – ქ.პ.) შედეგად მწვავე დამცრობა განიცადა; შესაბამისად გაწყდა პოლიტიკურ-დიპლომატიური კავშირები რუსეთსა და პალესტინას შორის; კანონიკურად პალესტინის რუსული მისია მოწყდა მოსკოვის საპატრიარქოს და უპატრონოდ დარჩენილ რუსულ საეკლესიო ქონებას რუსეთის ემიგრანტული ეკლესია დაეუფლა. ამ უკანასკნელის მატერიალურმა უძლურებამ და ცხოველმა პოლიტიკურმა კავშირებმა კაპიტალისტურ ქვეყნებთან, შედეგად გამოიწვია ის ფაქტი, რომ 1918 წლიდან რუსული მისიის უძრავ-მოძრავი ქონება ინგლისის კოლონიური მმართველობის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა [14, 31-36].

რუსეთში შექმნილი ქაოსური ვითარებით (რევოლუცია და სამოქალაქო ომი – ქ.პ.) ფართოდ ისარგებლა ინგლისის ხელისუფლებამ და 1922 წელს რუსეთის საეკლესიო ქონება კანონიერი მფლობელის სანქციის გარეშე, ეროვნული ლიგის მანდატით დაიკანონა. ამ დროიდან, ინგლისი წლების მანძილზე აღნიშნულ ქონებას სავაჭრო-კომერციული მიზნებით იყენებდა. [6, 3-7].

მკაცრი სარწმუნოებრივ-იდეოლოგიური ბრძოლის და სამოქალაქო ომის ფონზე პეტერბურგში ინერციით მოქმედებდა „პალესტინის საიმპერატორო მართმადიდებელი საზოგადოების“ უჯრედი. მისი პოლიტიკური საბჭოური ინტერესების რეალიზებაში გამოყენება იმთავითვე სცადა საბჭოთა მთავრობამ და ჩამოაშორა რა მას ეპითეტები „საიმპერატორო“ და „მართლმადიდებლური“ ის დაუქვემდებარა სამეცნიერო აკადემიას და უწოდა „პალესტინის საზოგადოება“. საბჭოთა ხელისუფლება შესატყვის დროს ელოდა „საზოგა-

დოების“ ამუშავებისათვის. როგორც კი დასრულდა საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის პროცესი და დაიწყო სოციალიზმის მშენებლობა, ხელისუფლება შეუდგა პალესტინაში სრული უფლებების აღდგენისათვის მუშაობას. 1923 წლის 18 მაისს რუსეთის წარმომადგენელმა ლონდონში ლ.ბ. კრასინმა ოფიციალური ნოტა გაუგზავნა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს მარკიზ კერზონს, სადაც აღნიშნული იყო: „ ... რუსეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ იერუსალიმში: ნაზარეთში, კაიფში, ბეირუთში და პალესტინა – სირიის სხვა ადგილებში, ასევე ნებისმიერ ადგილზე (წმ. ნიკოლოზის მეტოქი ბარში, იტალიაში) „პალესტინის საზოგადოების“ უძრავ-მოძრავი (მიწები, სასტუმროები, საავადმყოფოები, სკოლები და სხვადასხვა სახის ნაგებობები) არის რუსეთის სახელმწიფოს კუთვნილი ქონება.“ (10). მიუხედავად, ქვეყანათაშორის მიმდინარე აქტიური მოლაპარაკებებისა, (რუსეთის წარმომადგენლები ლონდონში 1925 წელს: კრაკოვსკი და რაკოვსკი) დასახულმა მიზანმა შედეგი ვერ გამოიღო. აღნიშნულის მიზეზი მრავალ ფაქტორშია საძიებელი: საბჭოთა ხელისუფლების აქცენტი შიდა პროცესებზე, სოციალიზმის მშენებლობა და მისით გამოწვეული მძიმე პროცესები, საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა რუსეთის არარსებული ავტორიტეტი და ა.შ. ვითარება საგრძნობლად შეიცვალა 40-იანი წლებიდან. ამ დროისათვის მსოფლიოში, რუსეთის სასარგებლო პროცესები დაიწყო კერძოდ, მთელი სამყარო დაუპირისპირდა ფაშისტურ იდეას და ერთ დროს განსხვავებული იდეის წინააღმდეგ ბრძოლაში მყოფი ქვეყნები - გაერთიანდნენ. ამასთან, საბჭოთა ქვეყანაში ფაქტობრივად დასრულდა სოციალიზმის მშენებლობისა და „წითელი ეკლესიის“ ფორმირების, საეკლესიო მოდერნიზაციის პროცესი, რამაც კაპიტალისტური სამყაროს იმედები გააცრუა საბჭოური სისტემის დამარცხებაზე.

ზემოაღნიშნულ ვითარებას უკავშირდება პალესტინისათვის გამიზნული ახალი რუსული საეკლესიო გეგმის, ე.წ. „სტალინის პროექტის“ შემუშავება. XX საუკუნის 40-იან წლებში ინგლისი და საბჭოთა კავშირი ანტიჰიტლერული კოალიციის მოკავშირეები გახდნენ. ფაშისტურმა იდეოლოგიამ ორივე მხარეს კომპრომისისაკენ უბიძგა და 1945 წლის 5 მარტს საბჭოთა მთავრობამ ისარგებლა რა შექმნილი გარემოებით რუსეთის ელჩის მეშვეობით ინგლისის მთავრობას ნოტა გადასცა პალესტინაში რუსეთის ეკლესიის ქონებისა და საკონსულოს დაბრუნებაზე: „მოკლე დროის მანძილზე საბჭოთა დიპლომატიურ მისიას ეგვიპტეში დაუბრუნდეს რუსეთის კუთვნილი ქონება და მისგან ამონაგები შემოსავლები“ - იუწყებოდა ნოტა.

ნოტას ერთვოდა რუსული საეკლესიო ქონების ნუსხა (35 ობიექტი) [10, 112-113].

ინგლისის ხელისუფლება კარგად იაზრებდა მეორე მსოფლიო ომის შედეგებს და მოახლოებული „ცივი ომის“ პროცესებს, ამიტომ ყველანაირად ცდილობდა საბჭოთა მთავრობის მოთხოვნის დროში გაჭიმვას. ასეთ შემთხვევაში, საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო აპრობირებული საეკლესიო არხების ამოქმედება და რუსეთის ეკლესიის იერარქიები ი. სტალინის მითითებით 1945 წლის მაისში მივლინებულ იქნენ „წმინდა მიწაზე“ მოლოცვის საბაბით. ამ დროიდან დაიწყო „სტალინის პროექტის“ მუშაობის გადამწყვეტ ფაზაში შესვლა და ფაქტობრივად, დასავლეთ ევროპაში პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლის პარალელურად (ქ. ბერლინისათვის ბრძოლა – ქ.პ.) მიმდინარეობდა საეკლესიო – დიპლომატიური ბრძოლა იერუსალიმისათვის.

სამამულო ომში გამარჯვებამ და საბჭოეთის მეორე მსოფლიო ომში გადამწყვეტმა ფაქტორმა, საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ-საეკლესიო ამბიციები საგრძნობლად გაზარდა. 1946 წლიდან რუსეთის ეკლესიას პოლიტიკურად პრინციპული მნიშვნელობა მიენიჭა. რუსეთის ეკლესიის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარის, პოლკოვნიკ გ.გ. კარპოვის ანგარიშში ფორმულირებს შემდეგი მოსაზრება: „რუსეთის ეკლესიამ ავტოკეფალური აღიარება მიიღო 1448 წელს და მართლმადიდებლურ დიპტიქში მეხუთე ადგილი დაიკავა. მისი დიდი ავტორიტეტი მართლმადიდებლურ სამყაროში და მისი დამსახურება მეორე მსოფლიო ომის პროცესში საფუძველსაც იძლევა რუსეთის ეკლესიის მოთხოვნაზე მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა რიგში პირველი ადგილი დაიკაოს.“ [8, 902-906]. წინამდებარე ამონარიდი საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ რუსეთის „მესამე რომობის“ ტრადიციული ამბიცია არა თუ ძალაში იყო საბჭოთა პოლიტიკაში, არამედ აქტიური და მიზანმიმართულიც. 1947 წლის მოსკოვის წინასაეკლესიო კრებაზე მართლმადიდებლურ ეკლესიათა საჭეთმპყრობელების მონაწილეობით გადაწყდა, 1948 წელს რუსეთის ეკლესიის ავტოკეფალიის 500 წლისთავთან დაკავშირებით მოწვეულიყო მსოფლიო საეკლესიო კრება, სადაც განიხილებოდა მოსკოვის საპატრიარქოსათვის მსოფლიო საპატრიარქო ტიტულის მინიჭების საკითხი. ისტორიული და საეკლესიო კანონიკური წესის მიხედვით ზემოაღნიშნული სერიოზული საეკლესიო დარღვევა იყო და შესაბამისად პროექტი, რომელშიც ეს საკითხი განიხილებოდა უტოპიური და მომავალს მოკლებული. ამ იდეის დაბადება რუსეთის უახლოეს წარსულს, 1915 წელს უკავშირდება, რომლის ავტორიც მთავარეპის-

კოპოსი ანტონი (ხრაპოვიცკი) იყო. მისი მოდელის თანახმად უნდა განხორციელებულიყო იმპერატორ ეკატერინე II-ის გეგმა ბერძნულ-ბიზანტიური იმპერიის შექმნაზე, სადაც ჰეგემონის როლში ბუნებრივია რუსეთის იმპერია გამოვიდოდა. მთავარეპისკოპოს ანტონის მოსაზრებით, კონსტანტინოპოლი ბერძნებს დარჩებოდათ, ხოლო პალესტინა – სირია რუსეთის განმგებლობაში გადავიდოდა; ასევე, იერუსალიმის საპატრიარქო ტახტს რუსი ეროვნების სასულიერო იერარქი უნდა დაპატრონებოდა. [5, 8-11]. სავსებით დასაშვებია, რომ „სტალინის პროექტი“ ზემოაღნიშნულ იდეას ითავსებდა და მისი ავტორებიც შესაბამისი პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე მოქმედებდა [7, 174-180].

საბჭოთა იმპერიის აღნიშნული ამბიციები ბუნებრივად მიუღებელი იყო მსოფლიოს დანარჩენი სამყაროსათვის და მათი ძალისხმევით 1948 წელს საეკლესიო კრებაში მართლმადიდებელ პატრიარქთა მონაწილეობა არ შედგა; შესაბამისად, „სტალინის პროექტის“ ამ მუხლმა სერიოზული კრახი განიცადა.

მიმდინარე მოვლენების პარალელურად, სერიოზულ პოლიტიკურ ძვრებს ჰქონდა ადგილი მახლობელ აღმოსავლეთშიც. 1948 წელს იზრაელის სახელმწიფოს შექმნამ პოლიტიკური კორექტივები შეიტანა აღმოსავლეთის პოლიტიკაში. იმავე წელს ი.ლ. რაბინოვიჩი დაინიშნა „რუსეთის ქონების პასუხისმგებლად იზრაელში“, რომელიც აქტიურად შეუდგა იერუსალიმში რუსული სასულიერო მისიის აღორძინებით საქმიანობას. 1948 წლის 10 სექტემბერს სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ.ა. ზორინმა ოფიციალურად მიმართა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს გ.გ. კარპოვს გათვალისწინებულიყო იერუსალიმში რუსი ელჩის ერშოვის წინადადებები, კერძოდ, პალესტინის რუსული მისიის ხელმძღვანელად მივლინებულიყო რუსი იერარქი მოსკოვის საპატრიარქოდან და მისცემოდა მას უფლებამოსილება საეკლესიო ქონების განმგებლობაზე. პალესტინაში გაიგზავნენ არქიმანდრიტი ლეონიდე (ილია ქრისტეფორეს ძე ლობაჩევი) და მღვდელი ვლადიმერი (ელხოვსკი) [11, 81-102]. 1948 წლის 30 ნოემბერს იერუსალიმს ჩასული არქიმანდრიტი ლეონიდი იუწყებოდა: „იერუსალიმის უძრავი ქონება დატაცებული და გაუკაცრიელებულია; ეკლესია – მონასტრები რესტავრაციას საჭიროებენ პალესტინაში რუსული ეკლესიის პრესტიჟის ამაღლებისათვის. საარენდო შემოსავალი უმნიშვნელოა და ვერ ფარავს „საზოგადოების“ ხარჯებს. „პალესტინის საზოგადოების“ ქონების დაბრუნება არა თუ უზრუნველყოფს მის საქმიანობას იერუსალიმში, არამედ სოლიდურ

ფინანსებსაც შეიტანს სახელმწიფო ხაზინაში.“ რუსული დიპლომატიის დამსახურებით 1948 წლის ნოემბერში იზრაელის მთავრობამ მოსკოვის საპატრიარქოს პალესტინის რუსული მისიის უძრავ-მოძრავი ქონება სრულად გადასცა [13, 367-368]. მოგვიანებით, ვითარება შეიცვალა, „ცივი ომისა“ და იზრაელ – არაბეთის საომარი ვითარებისა და მათ შორის სამშვიდობო ზავის თანახმად, სახელმწიფოთშორისმა გამყოფმა ზოლმა რუსეთის საეკლესიო კუთვნილებაზეც გაიარა: იზრაელის სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული რუსული უძრავი ქონება დაუბრუნდა საბჭოთა მთავრობას, ხოლო იორდანიის ტერიტორიაზე დარჩენილი ეკლესია – მონასტრები კი რუსეთის ემიგრანტული ეკლესიის იურისდიქციაში მოექცნენ. აღნიშნული გარემოება არც იზრაელ – არაბეთის ე.წ. „ექვსდღიანი“ 1967 წელი ომის შედეგებმა შეცვალა [12, 361].

ამრიგად, „სტალინის პროექტმა“ და შესაბამისად საეკლესიო პოლიტიკამ მახლობელი აღმოსავლეთისადმი ნაწილობრივ რეალიზებას მიაღწია: რუსეთმა დაიბრუნა პალესტინის მისიის ქონება, მაგრამ ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა პროექტის სრულ რეალიზებას ხელი შეუშალეს. საბჭოთა ხელისუფლებისათვის კატეგორიულად მიუღებელი იყო საბჭოურ იდეოლოგიასთან მებრძოლი რუსული ემიგრანტული ეკლესიის იურისდიქციაში რუსული საეკლესიო ქონების ნაწილის დარჩენა.

აქედან გამომდინარე, საბჭოთა მთავრობის წინაშე ახალი ამოცანა დადგა – სრულად დაპატრონებოდა პალესტინის რუსულ საეკლესიო ქონებას, მაგრამ ქვეყნის შიგნით და გარეთ შექმნილმა პოლიტიკურმა პროცესებმა განსხვავებულად წარმართა ვითარება და პრობლემის გადაჭრაც ხანგრძლივი დროით გადაიდო.

საბჭოთა იმპერიის ბელადის – ი. სტალინის გარდაცვალების შემდგომ „ცივმა ომმა“ მწვავე ხასიათი შეიძინა; შესაბამისად გაღრმავდა ე.წ. „შეჯიბრებითი“ დაპირისპირებანი ორ კაპიტალისტურ და სოციალისტურ ბანაკებს შორის; შეიცვალა საბჭოთა იმპერიის შიდა მდგომარეობაც; სოციალიზმის განვითარებამ სტაგნაცია დაიწყო და „განვითარებული სოციალიზმის“ ეტაპზე გადასვლის ეიფორიული თეორია წამოაყენა; ეკლესიასთან სახელმწიფოს კომპრომისმა, მისმა სახელმწიფოებრივ სისტემასთან თანამშრომლობამაც დამცრობა განიცადა; დაიწყო სარწმუნოებისადმი აგრესიული პოლიტიკის დანერგვის პროცესი; ქვეყანა სულ უფრო აშკარად მიდიოდა დაღმა სვლით; იშლებოდა ეკონომიკა, სახალხო მეურნეობა. აღნიშნული პროცესის შეჩერებას საბჭოთა მთავრობა სხვადასხვა მეთოდით ცდილობდა. დღის წესრიგში დადგა სახალხო მეურნეობის

აღმავლობის მიმართულებით მუშაობის გაშლა. ნ.ს. ხრუშჩოვის ეკონომიკურ პოლიტიკაში წამყვანი ადგილი სამრეწველო და სასოფლო – სამეურნეო დარგების განვითარებამ დაიკავა. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინეს სუბტროპიკული მეურნეობებისა და ტრიკოტაჟის მრეწველობის დარგთა განვითარებამ. სწორედ ამ უკანასკნელს უკავშირდება იერუსალიმის რუსული სასულიერო მისიის ბედის გადაწყვეტა XX საუკუნის 60-იან წლებში. აღნიშნულ პერიოდში საბჭოთა კავშირსა და იზრაელის მთავრობას შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკებები იერუსალიმში ეკლესიის ქონების ირგვლივ. საისტორიო წყაროების თანახმად, 1964 წლის 7 ოქტომბერს შედგა აქტი, რომლის ძალითაც სასულიერო მისიის უძრავ – მოძრავი ქონება საბჭოთა ხელისუფლებამ 4 ნახევარი მილიონი დოლარის საფასურად მიჰყიდა იზრაელის სახელმწიფოს. აღნიშნული თანხა, საბჭოთა მთავრობამ გადარიცხა ტრიკოტაჟისა და სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების ფონდში. ეს უკანასკნელი სამარცხვინო აქცია მსოფლიო დიპლომატიის ისტორიაში „ფორთოხლის გარიგების“ სახელით შევიდა [14, 124-125].

„რუსული პალესტინის“ ხელახალი აღორძინება უკავშირდება თანამედროვე საერთაშორისო დიპლომატიურ და რუსეთის ეკლესიის საგარეო პოლიტიკურ პროცესებს, კერძოდ, უცხოეთის ემიგრანტულ რუსულ ეკლესიასა და მოსკოვის საპატრიარქოს შორის ევქარისტული კავშირის აღდგენას.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბენდელიანი მ., საბჭოთა კავშირის სარწმუნოებრივი პოლიტიკა XX საუკუნის 30-40-იან წლებში., თბ., 1999.
2. ბენდელიანი მ., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მეორე მსოფლიო ომის (1939-1945) წლებში., თბ., 2001.
3. პავლიაშვილი ქ., საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია 1800-1945 წლებში, თბ., 2008.
4. სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება იზრაელში რუსეთის სასულიერო მისიაზე, 14. X,1948.
5. Архиепископ Антоний (Храповицкий), Чей должен быть Константинополь, СПБ., 1915.
6. Баталден С., Судьбы русского землевладения в Иерусалиме во время Палестинского мандата, журнал “Палестинский собеседник”, №32 (95), 1993.

7. Васильева О. Ю., Русская Православная церковь в политике Советского Государства в 1943-1948 гг., М., 1999.
8. Данилушкин М.Б., и др., История Русской Православной Церкви от восстоновления Патриаршества до наших дней, т. I, 1917-1970 гг., СПБ., 1997.
9. Доклад Совета по делам русской Православной Церкви при СМ СССР в ЦК ВКП (б) об итогах работы за 1946 г., 14. II, М., 1947.
10. Нота Представителя РСФСР в Лондоне 22. VI. Красина министру иностранных дел Великобритании Керзону, газ. Известия, №137 (1874), 1923.
11. Митрополит Антоний (Храповецкий), Вселенская, или Греческая, или Российская, или Арабская, жур. Православный путь. Церковно-богословский-философский ежегодник, Джорданвилл, 1990.
12. Письмо заместителья Министра иностранных дел СССР В.А. Зорина председателью Совета по делам Российской Православной церкви при совете министров СССР Г.Г. Карпову от 10. X, 1948.
13. Советско – Израельские отношения, М., 1948.
14. Россия в Святой Земле. Документы и материалы, т. I, М., 2000.

Ketevan Pavliashvili
Doctor of Historical Sciences, Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ecclesiastic Policy of the Soviet Empire in the Near East In 20-60-ies of XX Century (The "Stalin Project" and "Orange Transaction")

Summary

Ecclesiastical-political interests of Russia towards "the Holy Earth" have centuries-old history. These interests had difficult evolution track; they were conditioned by purely political goals and were characterized with serious difficulties.

During centuries, Russia tried its best to gain an authority and leadership throughout the world and elaborated different projects (appropriate to the current world events) for this goal. Among the above projects the more or

less successful and purposeful were following so called plans of Neselrode, Mansurov, Antonin, Khitrovo and Stalin. The above projects were acting to the end of XIX and to the beginning of XX centuries and did their bit in successful implementation of Russian foreign politics. (14, 111-112).

From political-ecclesiastic programs first four projects were elaborated during Russia's autocratic empire and were accordingly realized; as for the fifth "Stalin Project" –it was a product of foreign politics of the Soviet Empire, created for the same purposes as in the case of foreign politics characterized for Tsarism Russia. The subject of the present work is the latter project and the results it caused.

Immediately the I World War was finished (1918) the world faced a new problem to be solved – regulation of international relations and creation of new, world political map. In repeated re-division of the world beside Great World Powers newly established Soviet Empire was quite active. (2, 102). International Paris (1919-1920) and Washington (1921-1922) conferences were dedicated to the above issue; and so called Versailles-Washington system, established as a result of the above conferences, defined international relations following to the I World War and put basis for further "Cold War" processes. (3, 312-321).

Political processes, which took place in former autocratic Russia, and new state system (Soviet Regime) was completely incompatible for capitalist countries. They acquired a mutual goal – to isolate the Soviet country from the world redistribution process. In its part, Russia struggled for its political future and for strengthening of its basis, for preservation of old colonies and conquering new ones. Exactly the above events conditioned political activities of the Soviet Power in the East Europe and the Near East.

მერაბ კალანდაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ისტორია, ისტორიოგრაფია, ისტორიის ფილოსოფია, მეთოდოლოგია

წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით გავაშუქოთ ისტორიის, ისტორიოგრაფიის, ისტორიის ფილოსოფიის და მეთოდოლოგიის ურთიერთობა. მათი ადგილი მეცნიერებათა სისტემაში. თემა არის ფრიად აქტუალური, საინტერესო და რთული. ამ ძნელ პრობლემაზე საუბარს უმთავრესად ის გარემოება გვაბედინებს, რომ მასზე ქართულ ენაზე დღემდე არაფერი დაწერილა.

დავიწყოთ ისტორიით. რა არის ისტორია? ამ კითხვაზე მეცნიერთა შორის ერთსულოვნება არასოდეს არ სუფევდა და მათ შორის კონსესუსის მიღწევა ადვილი საქმე არ უნდა ჩანდეს. ეს კამათი, ალბათ, კიდევ დიდხანს გასტანს და ამაში ალოგიკური არაფერია. აქ აისახება სავსებით რეალური ვითარება. XX საუკუნის ჰოლანდიელი ისტორიკოსის პიტერ ჰეილის თქმით „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა". აქ კარგადაა დანახული ისტორიის შემეცნების პროცესი და ზუსტადაა განსაზღვრული ისტორიული ცოდნის მნიშვნელობა.

სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ XIX საუკუნის შუა ხანებში ისტორიამ მოიპოვა მეცნიერებათა სისტემაში დამოუკიდებელი სტატუსი. ეს იყო მეცნიერული ისტორიის ორი ძირითადი კომპონენტის, ისტორიის მიერ საკუთარი ამოცანების უფრო ღრმა გააზრების და ისტორიული წყაროების კვლევის მკაცრი მეცნიერული მეთოდების დამუშავების სინთეზის ლოგიკური შედეგი. [1, 26; 2, 29]. თითქოსდა ამით კამათი იმაზე, თუ რა არის ისტორია, დასრულდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ დავა ამ თემაზე ახალი ძალით გაჩაღდა და კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო.

ამ დისკუსიას გააჩნია ორი მხარე: ზოგადი და კონკრეტული. რა არის ისტორია? ერთნი ამტკიცებენ, რომ ისტორია არის მეცნიერება, და ხაზს უსვამენ მეცნიერებათა სისტემაში მის დამოუკიდებელ სტატუსს. ეს არის ერთი ხედვა. არსებობს განსხვავებული

თვალსაზრისიც. მისი მომხრეები ფიქრობენ, რომ ისტორია არაა მეცნიერება და კატეგორიულად უარყოფენ მეცნიერებათა სისტემაში ისტორიის ადგილს.

XX საუკუნის ინგლისელი ისტორიკოსი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ვ. უოლში აღნიშნავდა, რომ „თავდაპირველად უნდა დაამტკიცო, რომ ისტორია, როგორც მეცნიერება არსებობს, რაშიც პირადად მე დიდი ეჭვი მეპარება". მას ეთანხმება ამერიკელი მეცნიერი მორტონ უაიტი, რომელიც დარწმუნებულია, რომ „ისტორია არაა მეცნიერება" [3,165].

საინტერესოა ამ პრობლემის კონკრეტული გადაწყვეტა. იკვეთება რამდენიმე მაგისტრალური მიმართულება. 1. ისტორია წარმოადგენს სიტყვაკაზმული ლიტერატურის ნაირსახეობას. ეს მოსაზრება არახალია, ძველია და მისი ფესვები ძველი საბერძნეთის ისტორიაში უნდა ვეძიოთ. ფრიად სიმპტომატურია, რომ ისტორიის მუზა „კლიო" ამავე დროს იყო პოეზიის მუზა. ამ მოსაზრების მომხრეები ორ განშტოებად იყოფიან: ა) ერთნი პოეზიას უფრო ფილოსოფიურად, მეცნიერულად მიიჩნევენ და ისტორიაზე მაღლაც კი აყენებენ. ბ) მეორენი ძალზედ აახლოვებენ ისტორიას და სიტყვაკაზმულ ლიტერატურას და ირწმუნებიან, თითქოს ისტორიკოსის და დრამატურგის ამოცანები იდენტურიაო.

ცნობილი ბერძენი მოაზროვნე არისტოტელე ფიქრობს, რომ „ისტორიკოსი და პოეტი ურთიერთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ პირველი ლაპარაკობს იმის შესახებ, რაც მოხდა, მეორე კი იმის შესახებ, რა შეიძლებოდა მომხდარიყო. ამის გამო პოეზია უფრო ფილოსოფიურია და უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ისტორია. პოეზიას უფრო მეტად მხედველობაში აქვს ზოგადი, ისტორიას კი უფრო მხედველობაში აქვს ცალკეული" [4, 161]. ისტორიას პოეზიაზე უფრო დაბლა აყენებდა ინგლისელი მოაზროვნე ფრენსის ბეკონი. მან მოგვცა მეცნიერების კლასიფიკაცია ადამიანის უნარების მიხედვით: ისტორია - მეხსიერება, პოეზია - წარმოსახვა, ფილოსოფია - გონება. [5, 45] ამგვარი დაყოფა, ცხადია, ძალზე პირობითია. XX საუკუნის გერმანელი ისტორიკოსი თეოდორ შიდერი თავის წიგნში „ისტორიის საწყისის" აღნიშნავდა, რომ ფრიდრიხ შილერი ვალენშტაინის მოღვაწეობის შეფასების დროს თავის დრამაში „ვალენშტაინი" გაცილებით უფრო ახლოა მივიდა ჭეშმარიტებასთან, ვიდრე თავის ისტორიულ ნაშრომში „ოცდაათწლიანი ომი"[6.78-79]. ფაქტობრივად, აქ თ. შიდერი იმ აზრს ავითარებს, რომ სიტყვაკაზმული ლიტერატურის ნიმუში გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე ისტორიული გამოკვლევა. ეს არის ერთი ხედვა, რომელსაც გააჩნია

თავისი ღირსებები და ნაკლი. არის სხვა ხედვაც. ფრანგი განმანათლებელი შარლ ლუი მონტესკიე და დიდი გრმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი ხაზს უსვამენ, რომ ისტორიას გააჩნია ფილოსოფიური, მეცნიერული დატვირთვა. [7].

ანტიკურ ეპოქაში ჩაეყარა საფუძველი პრინციპს „ისტორია იწერება არა მტკიცებისათვის, არამედ თხრობისათვის". ამგვარმა მიდგომამ საკმაოდ ნოყიერი ნიადაგი შექმნა ისტორიისა და სიტყვაკაზმული ლიტერატურის დაახლოებისათვის. ეს ადვილი გასაგებია. ისტორიის საამოდ თხრობა, აღწერა, მართლაც, ახლოს დგას სიტყვაკაზმულ ლიტერატურასთან. ამგვარმა მიდგომამ თავის აპოგეას, პიკს, მიაღწია XIX-XX საუკუნეების ევროპულ ისტორიოგრაფიაში (ტრეველიანე, მომზენი, შპენგლერი, კროჩე, რასელი, ვალერი, ჰოიზინგა და სხვა). ამ ორი დარგის დაახლოების იდეა, ბუნებრივია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მას განზოგადებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება უდევს საფუძვლად. ასეთ მიდგომას აქვს თავისი რეზონი და ხაზს უსვამს განზოგადების სუბიექტურ ხასიათს. აქედან იღებს სათავეს ინტერპრეტაციისადმი მათი უნდობლობა. ეს არის ერთი მიდგომა, რომელიც უეჭველად შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს. არსებობს მეორე, უფრო ოპტიმისტური პოზიცია. მათი ღრმა რწმენით, წარსულის აღქმა ძალიან ძნელია, მაგრამ შეუძლებელი როდია. ისტორიკოსი გვთავაზობს წარსულის საკუთარ ვერსიას. არის ამაში რაიმე მიუღებელი, ცუდი? რა თქმა უნდა, არაფერი. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით აიხსნება ის „კონცეპტუალური ანარქია", რომელიც ისტორიულ მეცნიერებაში სუფევს. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს პრინციპი „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა". რა თქმა უნდა, არავინ უარყოფს ისტორიასა და სიტყვაკაზმულ ლიტერატურას შორის შეხების წერტილების არსებობას, მაგრამ მათი ძალიან დაახლოება, თითქმის გაიგივება, მაინც ალბათ დიდი სიფრთხილეს მოითხოვს. საქმე ისაა, რომ მათშორის პრინციპული ხასიათის განსხვავება არსებობს და ამის გვერდის ავლა, ცხადია, სწორი არიქნებოდა. ისტორიას და სიტყვაკაზმულ მწერლობას შორის ზღვარს ავლებს მტკიცება. ისტორიკოსის მსჯელობა, დიდი თუ პატარა დებულება, მტკიცებას უნდა ემყარებოდეს. მტკიცება ანიჭებს ისტორიას მეცნიერულ ღირებულება.ს XIX საუკუნის ფრანგი მწერლები ედმუნდ და ჟორჟ გონკურები დასძენდნენ „ისტორია არის რომანი, რომელიც მოხდა. რომანი - ეს არის ისტორია, რომელიც შეიძლებოდა რომ მომხდარიყო" [8, 328]. ისტორიკოსის წარმოსახვები უნდა ემორჩილებოდეს ჭეშმარიტების ძიებას [9].

2. მეცნიერების ერთი ჯგუფი მეტად აახლოვებს ერთმანეთთან ფილოსოფიას და ისტორიას და იმ თვალსაზრისისაკენ უფრო იხრება, რომ ისტორია ფილოსოფიის ერთ-ერთ ნაირსახეობად, დარგად გვევლინება. ამ შეხედულებას ავითარებს იტალიელი ფილოსოფოსი ჯოვანი ჯენტილე. მისი აზრით, „ფილოსოფია მთლიანად ამოწურავს სულიერ რეალობას და არ ტოვებს სათანადო რეალობას, საიდანაც შეიძლება რომ აღმოცენდეს ისტორია“ [10, 251].

რა თქმა უნდა, ისტორიას და ფილოსოფიას შორის, უდაოდ, არსებობს შეხების წერტილები. ისინი ურთიერთქმედებენ. ყვლაზე უფრო კარგად ეს მჟღავნდება მაშინ, როდესაც საქმე მიდგება წარსულის ინტერპრეტაციაზე., მაგრამ მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ისტორიის და ფილოსოფიის ძალიან დაახლოება, თითქმის გაიგივება, ალბათ მაინც დიდი სიფრთხილეს მოითხოვს. საქმე ის არის, რომ მათ შორის პრინციპული ხასიათის განსხვავებაა და ამაზე თვალის დახუჭვა აღნიშნული საკითხის ადეკვატურ სურათს როდი გვიქმნის. მათ შორის პრინციპული განსახვავება ყველაზე უფრო რელიეფურად ჩანს შემეცნების სხვადასხვა საშუალებებში. თვით ერთი და იგივე მოვლენის შესწავლის დროს ფილოსოფია იმარჯვებს ლოგიკურ მეთოდს, ხოლო ისტორია - ისტორიულ მეთოდს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ საკითხთან მიმართებაში სრულიად საპირისპირო პოზიციაზე დგას ცნობილი იტალიელი ისტორიკოსი ბენედეტო კროჩე. ის ანვითარებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც შემეცნების ისტორიული მეთოდი გვევლინება „ერთადერთ ჭეშმარიტ შემეცნებად“ [11, 101-109]. ბ. კროჩე სულ სხვა კუთხით მიუდგა საკითხს. მისი მსჯელობის თანახმად ისტორია შთანთქავს ფილოსოფიას და ამ უკანასკნელის ადგილი არ რჩება. ეს კი უკვე სულ სხვა უკიდურესობა იყო.

3. XIX საუკუნის შუა ხანებიდან მკვეთრად იკვეთება ტენდენცია, რომელსაც საბოლოოდ ისტორიის და სოციოლოგიის დაახლოებასთან, თითქმის გაიგივებასთან მივყავართ. პოზიტივისტები სოციოლოგიას განიხილავდნენ, როგორც ისტორიის ერთ-ერთ ნაირსახეობას. მათი ერთ-ერთი თავკაცი ფიუსტელ დე კულანჟი პირდაპირ ამბობდა „ჭეშმარიტი სოციოლოგია - ეს ისტორიაა“. მისი თანამემამულე ანრი ბერი აღნიშნავდა, „ისტორიის უმაღლესი მიზანია გახდეს წარსულის სოციოლოგია“ [3, 203]. პოლ ლაკომბი დასძენდა „სწორედ ახსნილი ისტორია თავად გახდება სოციოლოგია“ [12]. ინგლისელი ისტორიკოსი ს. რენსიმენი კიდევ უფრო შორს მიდის და დასძენს, რომ „ისტორიას და სოციოლოგიას შორის არავითარი გან-

სხვავება არ არსებობს". ფრანგი მეცნიერი ფრანსუა სიმიანი „ისტორიას სოციოლოგიის მოახლის ფუნქციას აკისრებს". მისი ღრმა რწმენით „ისტორიკოსისა და სოციოლოგიის მიდგომებს შორის არსებობს უფსკრული. სოციოლოგი ეძებს კანონებს, ისტორიკოსი კმაყოფილდება საერთო კავშირებით. [2, 203, 173]. ისტორია სოციოლოგიის დამატებას წარმოადგენს, რომელიც მას ნედლეულით ამარაგებს. საინტერესოა, აღნიშნული პრობლემისადმი იტალიელი ისტორიკოსის ე. სესტანის მიდგომა, რომელსაც აშკარად ეტყობა „ანალების" სკოლის ისტორიკოსების, პირველ რიგში კი, ფერინან ბროდელის გავლენის კვალი. „ანალების" სკოლის ისტორიკოსების მსგავსად, ის ისტორიას ყოფს ორ ნაწილად. „ემპირიული ისტორია", რომლისადმი ე. სესტანის დამოკიდებულება მკვეთრად გამოკვეთილად ნეგატიურია და „სტრუქტურების ისტორია", რომლის მიმართაც იტალიელი ისტორიკოსი საკმაოდ კეთილგანწყობილი ჩანს. „მოსწონს თუ არა ეს ვინმეს, არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ სტრუქტურული ისტორიოგრაფია, მიუხედავად არსებული რისკისა, მივიდეს სოციოლოგიასთან იდენტიფიკაციამდე, წარმოადგენს ჩვენი დროის მოწინავე ისტორიოგრაფიას..." [13, 12]. ამგვარი მიდგომა ცალმხრივი შეიძლება ჩანდეს და მისთვის ნიშანდობლივია ემპირიული ისტორიისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება. ფაქტების გარეშე სტრქუტურები იქცევიან, რჩებიან გაუნძრევლად და უსიცოცხლოდ.

„ანალების" სკოლის ფრანგი ისტორიკოსები და პირველ რიგში ფერნან ბროდელი ცდილობდნენ გადაექციათ ისტორია სოციალურ მეცნიერებად. ეს მათი კონცეფციის მთავარი ქვაკუთხედი იყო. ისინი სამართლიანად აკრიტიკებდნენ პოზიტივისტური ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელ ემპირიზმს და შიშველ ფაქტოგრაფიას და ცდილობდნენ მოეხდინათ ისტორიის სინთეზი. მათ კურსი აიღეს ისტორიის სხვა სოციალურ მეცნიერებებათან ფართო ინტეგრაციაზე. და ამაში ხედავდნენ ემპირიზმის დაძლევის უებრო საშუალებას. ასე ჩაეყარა საფუძველი „გლობალურ ანუ, ტოტალურ ისტორიას". ასე აღმოცენდა „ახალი ისტორიული მეცნიერება". XX საუკუნის დასაწყისის ევროპული ისტორიოგრაფიის ფონზე ეს იყო სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ გლობალური მიდგომა მხოლოდ ისტორიას როდი ახასიათებს. ის, არც სოციოლოგიისათვისაა უცხო. უშუალოდ აქედან იღებს სათავეს „ანალების" სკოლის ისტორიკოსების, განსაკუთრებით კი ფერნან ბროდელის მიერ, ამ ორი დარგის, ისტორიის და სოციოლოგიის ძალიან დაახლოება, თითქმის გაიგივება, [14]

„ანალების“ სკოლის ისტორიკოსების სახელს უკავშირდება ისტორიული მეცნიერების დეჰუმანიზაციის დაწყება. მათ კურსი აიღეს მომიჯნავე მეცნიერებებთან მჭიდრო კონტაქტზე. ასე წარმოიშვა „გლობალური, ანუ ტოტალური ისტორია“. საძირკველი ჩაეყარა „ახალ ისტორიულ მეცნიერებას“. ეს იყო გრანდიოზული გადატრიალება ისტორიულ მეცნიერებაში, მაგრამ ის არ წარმოადგენს უკანასკნელ ჭეშმარიტებას, როგორც ამას ხაზს უსვამენ მათი თაყვანისმცემელი ისტორიკოსები, პირველ რიგში კი იტალიელი ისტორიკოსი ე. სესტანი. ეს არის ერთი საინტერესო მიდგომა, რომელსაც გააჩნია თავისი ღირსებები და ნაკლი. მისთვის უცხო არ უნდა იყოს „მოვლენათა ისტორიისადმი“ ირონიული, სკეპტიკური დამოკიდებულება. უშუალოდ აქედან იღებს სათავეს პოზიტივისტური ისტორიოგრაფიისადმი მათი ნიჰილისტური დამოკიდებულება.

არის სრულიად განსხვავებული ხედვა. მის მომხრეები ერთმანეთს უპირისპირებენ ისტორიას და სოციოლოგიას. ერთ-ერთმა პირველმა ეს მოსაზრება გამოთქვა ცნობილმა ფრანგმა ისტორიკოსმა, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორმა, შარლ სენიობოსმა. მისი თვალსაზრისით ისტორიკოსის მთავარი ამოცანაა წყაროების გულდასმით შესწავლა და ყოველმხრივი კრიტიკა, ხოლო ისტორიის განვითარების კანონების დადგენა კი სოციოლოგიის მოვალეობას წარმოადგენს. [15]. ამ თვალსარზისს XX საუკუნის ისტორიოგრაფიაში თავის მომხრეები ჰყავს. ეს, ცხადია, უკვე მეორე უკიდურესობაა.

საშუალედო პოზიცია უკავია ცნობილ ფრანგ მეცნიერს ემილ დიურკჰეიმს. ის ცდილობს თავიდან აიცილოს ორივე უკიდურესობა. ისტორიის და სოციოლოგიის გაიგივება ან მათი მკვეთრი დაპირისპირება. მისი ღრმა რწმენით „ისტორია საჭიროა სოციოლოგიისათვის და პირიქით“. „სოციოლოგმა უნდა მიმართოს ისტორიას. სოციოლოგიურ გამოკვლევას ესაჭიროება ისტორიული მომზადება. მაგრამ ეს სხვადასხვა მეცნიერებებია“. მკაცრად ჟღერს მარე ბლოკის მოსაზრება, თითქოსდა „დიურკჰეიმის სკოლამ“ ისტორიას ადგილი მიუჩინა შორს, ადამიანებზე მეცნიერებათა კუთხეში, სადღაც სარდაფში.“ [16.16] სინამდვილე ცოტა სხვაგვარადაა.

4. მეცნიერთა ერთი დიდ ნაწილი აღიარებს მეცნიერებათა სისტემაში ისტორიის ადგილს და დარწმუნებულია მის მეცნიერულ ღირებულებაში.

რანკეს და პოზიტივისტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ისტორიას გააჩნია მეცნიერული სტატუსი. მათი ერთ-ერთი თავკაცი ფიუს-

ტელ დე კულანჟი აცხადებდა, რომ „ისტორია ერთ-ერთი რთული მეცნიერებაა“.

რანკემ საფუძველი ჩაუყარა ისტორიაში ფაქტის კულტს. მას ხშირად მიიჩნევდნენ თანამედროვე ისტორიული მეცნიერების ფუძემდებლად. რანკეს შემოქმედება წარმოადგენს ფაქტის კულტს [17]. ის იყო ზედმიწევნით სკურპულოზური მკვლევარი. რანკესათვის მეცნიერული მეთოდი იყო წყაროების კრიტიკული ანალიზი და, მას ღრმად სწამდა, პროფესიული ისტორიკოსის მიუკერძოებლობისა და ობიქტურობის.

პოზიტივისტებმა ფაქტის კულტი წყაროს კულტად აქციეს. ფიუსტელ დე კულანჟი აცხადებდა „ტექსტები, ტექსტები და არაფერი ტექსტების გარდა“ [18, XII]. შესაძლოა, ისინი ძალიან აახლოებდნენ, თითქმის აიგივებდნენ ისტორიას წყაროთმცოდნეობასთან. შარლ ლანგლუა და შარლ სენიობოსი დასძენდნენ „ისტორიული მეცნიერება სხვა არაფერია, თუ არა წყაროების დამუშავება“. ამით პოზიტივისტებმა ფაქტობრივად მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს ისტორიული მეცნიერებას და ამის გვერდის ავლა უმართებულო იქნებოდა. პოზიტივისტები ძალიან აახლოვებდნენ ისტორიას საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან. წყაროების ანალიზის საშუალებით ისინი ცდილობდნენ დაეყენებინათ ისტორია ზუსტი მეცნიერების, ბუნებისმეტყველების დონეზე. ფართო განზოგადებას რანკე და პოზიტივისტები სკეპტიკურად ეკიდებოდნენ და ამას უმთავრესად მისი სუბიექტური ხასიათით ხსნიდნენ. ამგვარი მიდგომა, უდაოდ, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ასეთი სკეპტიკური დამოკიდებულება პესიმისტური ჩანს და საკამათო შეიძლება იყოს.

შემდგომი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ისტორიის, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის პრესტიჟის ამაღლების საქმეში ნეოკანტიანელების და მაქს ვებერის სახელთანაა დაკავშირებული. ნეოკანტიანელთა ეპისტემოლოგიის დამკვიდრება ახალი სიტყვა იყო ისტორიულ მეცნიერებაში. ეს არის ახალი ისტორიული მეცნიერების დაბადება. მათ სახელს უკავშირდება ისტორიული მეცნიერების ემანსიპაცია, რაც იმაში გამოიხატება, რომ ნეოკანტიანელებმა გაათავისუფლეს ისტორული მეცნიერება საბუნებისმეტყველო დარგების ტირანიისაგან, რომელშიც ის აღმოჩნდა პოზიტივისტების ძალისხმევით. [19, 20,21].

ალბათ, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ისტორიის მეცნიერული სტატუსის დაცვის საქმეში თავისი წონიანი სიტყვა თქვეს „ანალების“ სკოლის ფრანგმა ისტორიკოსებმა, პირველ რიგ-

ში კი, რა თქმა უნდა, მათმა დამაარსებლებმა, ლუსიენ ფევრმა და მარკ ბლოკმა. ცხადია, შემთხვევითი სულაც არ ყოფილა, რომ მარკ ბლოკმა თავის წიგნს უწოდა „ისტორიის აპოლოგია“, ხოლო ლუსიენ ფევრმა „ბრძოლა ისტორიისათვის“. ლუსიენ ფევრი წერდა, „მე მიყვარს ისტორია. ისტორია რომ არ მიყვარდეს, ისტორიკოსი არ გავხდებოდი.“ [22, 24].

ერთნი საკმაოდ კეთილგანწყობილი ჩანან ისტორიის მუზის „კლიოს“ მიმართ და მას უწოდებენ „მუზებს შორის ყველაზე უფრო მკაცრს“, ხოლო მეორენი პირიქით, ძალზე უარყოფითად არიან განწყობილნი და მას მხოლოდ აუგად მოიხსნიებენ, ადარებენ „მოხეტიალ, გზადაბნეულ, გზასაცდენილ ქალწულს“. რას იზამ. „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“.

* * *

ახლა შევეხებით ისტორიოგრაფიის, ისტორიის ფილოსოფიის და მეთოდოლოგიის მიმართებას და მათ ადგილს მეცნიერებათა სისტემაში. თემა არის ფრიად აქტუალური, საინტერესო და რთული.

აღსანიშნავია, რომ ამ პრობლემების ირგვლივ მეცნიერთა შორის ერთსულოვნება არ ყოფილა და ცხარე დისკუსია არის გაჩაღებული. გამოთქმულია სრულიად საპირისპირო მოსაზრებები. მათ შორის საერთო ენის გამონახვა პრაქტიკულად შეუძლებელი ჩანს და ეს კამათი, ალბათ არასოდეს გასრულდება. ყოველთვის იქნებიან ერთი და მეორე მოსაზრების მომხრეები ან მოწინააღმდეგეები. აღნიშნულ საკითხზე თავისი შეხედულების გამოთქმის უფლება ყველას აქვს. მეცნიერი გვაწვდის ამ თემის ხედვის მისეულ ვერსიას.

დავიწყოთ ისტორიოგრაფიით. მეცნიერებათა სისტემაში ისტორიოგრაფიის ადგილის თაობაზე სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა არსებობს და მკვლევარები ორ საპირისპირო ბანაკად არიან დაყოფილნი. ერთნი, ნეოკანტიანელების მეთაურობით, ისტორიოგრაფიას აღიქვამენ, როგორც ფილოსოფიის შემადგენელ ნაწილს [19]. მეორენი კი, პირიქით, დიამეტრალურად განსხვავებულ პოზიციაზე დგანან და ირწმუნებიან, რომ ისტორიოგრაფია წარმოადგენს ისტორიული მეცნიერების შემადგენელ ნაწილს. ამ მოსაზრებას ავითარებდნენ იტალიელი ბენედეტო კროჩე და ინგლისელი რობინ ჯორჯ კოლინგვუდი, მაგრამ ისინი აიგივებდნენ ისტორიას და ისტორიოგრაფიას. „მთელი ისტორია არის აზრის ისტორია“ [23, 385] - დასძენს კოლინგვუდი. ასეთი ხედვა ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მისი გასაღები მათ მსოფლმხედველობაში ძევს. პირველ

ყოვლისა, მას საფუძვლად უდევს ფაქტოგრაფიისადმი, ემპირიზმისადმი, გულგრილი დამოკიდებულება. რ. ჯ. კოლინგვუდს უყვარდა თქმა „ფაქტები არაფერია, ინტერპრეტაციაა ყველაფერი“. ეს კი უკვე სულ სხვა უკიდურესობაა. ცხადია, ისტორიოგრაფიას და მომიჯნავე დარგებს, პირველ რიგში ფილოსოფიას შორის ჩინური კედელი როდია აღმართული. ისინი ურთერთზემოქმედებენ, ამდიდრებენ ერთმანეთს. ეს ძალიან კარგია და მისასალმებელი უნდა იყოს. ჩვენ მეტად ფრთხილად, მაგრამ მაინც უფრო იმ აზრისაკენ ვიხრებით, რომ ისტორიოგრაფია ისტორიული მეცნიერების სფეროა.

ისტორიოგრაფია ისტორიული მეცნიერების სპეციალური დისციპლინის - ისტორიული მეცნიერების ისტორიის კვლევის ობიექტია. ისტორიოგრაფია არის ისტორიული მეცნიერების ისტორია. ის მკვეთრად გამიჯნულია ისტორიისაგან. ისტორიოგრაფიას თავისი კვლევის მეთოდები, თავისი ფაქტები და თავისი წყაროები - ისტორიოგრაფიული წყაროები აქვს. მისი კვლევის ძირითადი საგანია - ისტორიული აზროვნების ისტორია. ისტორიოგრაფია არის დამხმარე ისტორიული დისციპლინა, რომელსაც მჭიდრო კონტაქტი აქვს მომიჯნავე დარგებთან, რომლებიც ურთიერთზემოქმედებენ მასზე და ამდიდრებენ მას ახალი იდეებით, თეორიებით, მეთოდებით, რაც მისი შემდგომი წინსვლის, განვითარების, ერთ-ერთი სიამედო საწინდარია. [2, 42-45].

შემდეგი აქტუალური თემაა ისტორიის ფილოსოფიის მიმართება და ადგილი მეცნიერებათა სისტემაში. ამ საკითხისადმი დამოკიდებულება ერთგვაროვანი არ გახლავთ და გამოთქმულია რამდენიმე განსხვავებული შეხედულება. ძირითადი ტენდენციები ასეთია:

მკვლევართა ერთი ნაწილი, ნეოკანტიანელების თავკაცობით, უფრო იმ თვალსაზრისისაკენ იხრებიან, რომ ისტორიის ფილოსოფია წარმოადგენს ფილოსოფიის შემადგენელ ნაწილს. მათი ერთერთი აღიარებული ლიდერი ვილჰელმ ვინდელბანდი დასძენდა „ისტორიის ფილოსოფიური გაშუქება ფილოსოფიის ფარგლებში შედის, რამდენადაც ის შემოიზღუდება ხალხთა ცხოვრების ისტორიაში მოქმედი კანონების შესწავლით და წარმოადგენს ადამიანთა მიზანშეწონილი მოქმედების საუფლოს. ხოლო ისტორიის ფილოსოფიის საკითხები, რამდენადაც ეს ფილოსოფია ისტორიული მოძრაობის საერთო მიზანსა და თანმიმდევრულ განხორციელებას სწავლობს პრაქტიკულ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება.“ [24, 26, 27, 447].

მას კვერს უკრავს ნეოკანტიანელთა მეორე თვალსაჩინო წარმომადგენელი ჰანს რიკერტი. „ისტორიის ფილოსოფია, როგორც მეცნიერება პრინციპების შესახებ, აქ უფრო ზოგად ფილოსოფიურ

კვლევას, განსაკუთრებით კი სამყაროს აზრის, ანდა უფრო მეცნიერული ენით რომ ვთქვათ, ადამიანური ცხოვრების საზრისის კვლევას უკავშირდება, ამიტომ ისტორიის ფილოსოფიის ძირითადი დებულებები ფილოსოფიის, როგორც ღირებულებების მეცნიერების ძირითად დებულებებს ემთხვევა. [19, 110].

მეცნიერთა მეორე ჯგუფი ავითარებს თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც ისტორიის ფილოსოფია წარმოადგენს ისტორიის შემადგენელ ნაწილს. ეს იდეა ყველაზე კარგად გამოხატეს ინგლისელმა სწავლულმა რობინ ჯორჯ კოლინგვუდმა და იტალიელმა ფილოსოფოსმა და ისტორიკოსმა ბენედეტო კროჩემ. „არ არსებობს არც ფილოსოფიის ისტორია, არც ისტორიის ფილოსოფია. არსებობს მხოლოდ ისტორია“ - დასძენს რ. ჯ. კოლინგვუდი. ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს ბ. კროჩე, „არ არსებობს არც ფილოსოფია, არც ისტორია, არც ისტორიის ფილოსოფია. არსებობს მხოლოდ ისტორია, რომელიც ფილოსოფიაცაა და არსებობს ფილოსოფია, რომელიც ისტორიაცაა“. [20, 234].

ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი მაქს ვებერი ფიქრობს, რომ ისტორიის ფილოსოფია ძალიან ახლო დგას სოციოლოგიასთან. ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ისტორიის ადგილი დაიკავა სოციოლოგიამ“. ეს თვალსაზრისი ყველაზე რელიეფურად ჩამოაყალიბა გერმანელმა მკვლევარმა, ლაიპციგის უნივერსიტეტის პროფესორმა, პაულ ბარტმა. მის წიგნს ზუსტად ასე ჰქვია „სოციოლოგია, როგორც ისტორიის ფილოსოფია“. მას ღრმად სწამს, რომ სოციოლოგია მთლიანად ემთხვევა ისტორიის ფილოსოფიას და მათ შორის განსხვავებას მხოლოდ სახელწოდებაში ხედავს [25].

ზოგიერთები ისტორიის ფილოსოფიას ცალკე, დამოუკიდებელ დარგად აღიარებენ. მათ რიცხვს მიეკუთვნება ცნობილი რუსი მეცნიერი პიტირიმ სოროკინი. მისი შეხედულებით, მეოცე საუკუნემ, რომელიც წარმოადგენდა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი კრიზისის პერიოდს, წარმოშვა უამრავი ისტორიის ფილოსოფიები [26].

და ბოლოს სკეპტიკოსები. ისინი კატეგორიულად უარყოფდნენ საერთოდ რაიმე ისტორიის ფილოსოფიის არსებობას. ფრანგული ისტორიულ-ფილოსოფიური აზროვნების მეტრმა, ცნობილმა რაიმონ არონმა ისტორიის ფილოსოფიას პირდაპირი სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. ისტორიის ფილოსოფია, ეს არის მეტაფიზიკა, რომელსაც, ფრანგი მეცნიერის აზრით, არავითარი ღირებულება არ გააჩნია. [3, 171]. ბევრი ფიქრობს, რომ საერთოდ ისტორიის ფილოსოფიამ უნდა დაამტკიცოს, რომ მას აქვს მოქალაქეობის უფლება.

ეს ორი უკანასკნელი თვალსაზრისი კარგად გამოხატავს ამ თემის ირგვლივ არსებულ ორ უკიდურესობას. ერთ შემთხვევაში ისტორიის ფილოსოფია პირდაპირ ცაში აჰყავთ და ლამის ცალკე, დამოუკიდებელ მეცნიერებად გამოაცხადონ. ხოლო მეორე შემთხვევაში მას მიწასთან ასწორებენ და ხაზგასმით აღნიშნავენ, თითქოსდა მას არავითარი ღირებულება არ გააჩნდეს. ეს უკვე მეტისმეტია.

შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ გვგონია, რომ ყველზე მეტად რეალობას კოლინგვუდი და კროჩე მიუახლოვდნენ. ისინი ისტორიის ფილოსოფიას ისტორიული მეცნიერების ორბიტაში მოიაზრებდნენ. ზოგადად ამგვარი მიდგომა სავსებით სწორია, მაგრამ მას კიდევ უფრო მეტი კონკრეტიკა ესაჭიროება. აქ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ იმას, რომ ისინი ჭეშმარიტების კარიბჭესთან, ზღურბლთან, შეჩერდნენ და მისი გადალახვა ვერ გაბედეს, რაც მნიშვნელოვანწილად იმით იყო გამოწვეული, რომ ისინი აიგივებდნენ ისტორიოგრაფიას და ისტორიას. აღნიშნულ თემაზე მათი მსჯელობის სუსტი წერტილი, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. ისტორიოგრაფია ისტორიას შეერწყა, გაქრა. „არ არსებობს არც ისტორიის ფილოსოფია, არც ფილოსოფიის ისტორია, არსებობს მხოლოდ ისტორია“ - წერს კოლინგვუდი.

ისტორიის ფილოსოფია არაა ცალკე, ავტონომიური მეცნიერება, როგორც ამას ხაზს უსვამს ამერიკაში მოღვაწე რუსი მეცნიერი პიტირიმ სოროკინი. ჩვენ მეტად ფრთხილად, მაგრამ მაინც იმ აზრისაკენ უფრო ვიხრებით, რომ ისტორიის ფილოსოფია განეკუთვნება ისტორიოგრაფიის კომპეტენციას, ანუ კიდევ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენს.

ისტორიის მეცნიერების ისტორიას აინტერესებს არა მარტო ის კონკრეტული გამოკვლევები, რომლებიც შეიქმნა მსოფლიო ისტორიის კარდინალური საკითხების ირგვლივ, არამედ ის ახალი თეორიები და იდეები, რომლებიც წარმოიშობა და რომლებმაც მძლავრი ბიძგი მისცეს ისტორიული აზროვნების განვითარებას. ღრმა კვალი დატოვეს ისტორიულ მეცნიერებაში, ან ისტორიაში. იქმნება ფილოსოფიური კონცეფციები, რომლებიც ღებულობს ზოგად ფილოსოფიურ ხასიათს ან ხდება ზოგადი ხასიათის ფილოსოფიური კონცეფციების მისადაგება ისტორიოგრაფიისადმი ან მისი ცალკეული პრობლემებისადმი. აქვე დავძენთ, რომ ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს ფილოსოფიის ისტორია და ისტორიის ფილოსოფია. მათ შორის შეხების წერტილები, მჭიდრო კონტაქტები, უდაოდ, არსებობს. ისინი ზემოქმედებას ახდენენ ურთიერთზე და ამდიდრებდნენ ერთმანეთს. ამავე დროს არის განსხვავება და ამაზე თვალი არ უნ-

და დახუჭო. ფილოსოფიის ისტორიას აინტერესებს ფილოსოფიური მეცნიერების წარსული, ისტორია, ხოლო ისტორიის ფილოსოფიას ის ახალი იდეები და თეორიები, რომლებიც გზას იკაფავს და მკვიდრდება ისტორიულ აზროვნებაში. ამიტომ მათ შორის გაუცხოება, ჩინური კედლის აღმართვა, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია, მაგრამ არც მათი მეტისმეტად დაახლოება შეიძლება და ზღვარს არ უნდა გადავაბიჯოთ.

ასე მივუახლოვდით კიდევ ერთ საინტერესო და აქტუალურ თემას. ისტორიის მეთოდოლოგია მეცნიერების რომელ დარგს განეკუთვნება. ბუნებრივია, ეს საკითხი გამონაკლისი არ გახლავთ და მასზე გამოთქმულია განსხვავებული შეხედულებები.

ბულგარელი ფილოსოფოსი ნიკოლა ირაბაჯაკოვის თანახმად „ფილოსოფია უცილობლად ასრულებს ისტორიის მეთოდოლოგიის როლს“ [27, 177]. ამით მან ფაქტობრივად თავისი პოზიცია საკმაოდ მკაფიოდ გამოკვეთა და ისტორიის მეთოდოლოგია ფილოსოფიურ მეცნიერებათა სფეროში მოიაზრა. ეს არის ერთი მიდგომა. არსებობს სხვა ხედვაც.

ცნობილი ისტორიკოსი აკად. მილიცა ნეჩკინა უფრო იმ აზრისაკენ იხრება, რომ ისტორიის მეთოდოლოგია ისტორიული მეცნიერების შემადგენელი ნაწილს წარმოადგენს. [28, 226]. აკად. პ. ფედოსეევი აღნიშნავს, რომ ისტორიის მეთოდოლოგია არის ყველაზე უფრო ისტორიული მეცნიერება. არ არსებობს ისტორიული მეცნიერება მეთოდოლოგიის გარეშე“ [29, 329-330]. ბულგარელი ფილოსოფოსი ნ. სტეპანოვი ისტორიის მეთოდოლოგიას ისტორიული მეცნიერების დარგად მიიჩნევს. [30, 259]

უნდა ითქვას, რომ ამგვარ მიდგომას საკმაოდ ახლოს მივყავართ ჭეშმარიტებასთან, მაგრამ მის უკანასკნელ ინსტაციას არ წარმოადგენს. ამგვარი შეხედულების შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. აქ, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, ვგულისხმობთ იმას, რომ ეს მსჯელობა უფრო უნდა დავაკონკრეტოთ. ჩვენ ძალზე ფრთხილად იმ მოსაზრებისაკენ ვიხრებით, რომ ისტორიის მეთოდოლოგია, ისტორიის ფილოსოფიასთან ერთად, ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად, განშტოებად, შეიძლება მივიჩნიოთ. სწორედ, ამ ახალ, თეორიულ და მეთოდოლოგიურ ნოვაციებს უკავშირდება ის თვისობრივი ხასიათის ცვლილებები, რომელიც მიმდინარეობს ისტორიული ცოდნის განვითარების სფეროში. რაოდენობრივი ცვლილებების თვისობრივში გადაზრდა ამის ლოგიკური შედეგია.

ისტორიული აზროვნება ვითარდება სიგანეში. ის კონკრეტული გამოკვლევები, რომელიც იწერება ისტორიის პრობლემებზე და სიღრმეში ის იდეები, თეორიები, კონცეფციები და ისტორიის კვლევის მეთოდები, რომელიც ფეხს იკიდებს ისტორიულ მეცნიერებაში.

ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ისტორიის მეთოდოლოგია და მეთოდიკა. ეს ორი სხვადასხვა სფეროა. ისტორიის მეთოდოლოგია ისტორიული დისციპლინაა და მას აინტერესებს ისტორიის კვლევის მეთოდები. ისტორიის სწავლების მეთოდიკა პედაგოგიკური მეცნიერების დარგია და ყურადღებას მიაპყრობს ისტორიის სწავლების მეთოდებს.

ამრიგად, ისტორიოგრაფია, ისტორიული აზროვნება, სამ ძირითად კომპონენტს მოიცავს. ის კონკრეტული ისტორიული გამოკვლევები, რომელიც იწერება. ის ახალი იდეები, თეორიები, კონცეფციები, რომლებიც ფეხს იკიდებს ისტორიულ მეცნიერებაში, ანუ ისტორიის ფილოსოფია. ისტორიის კვლევის ახალი მეთოდები, რომელიც მკვიდრდება ისტორიულ მეცნიერებაში ანუ ისტორიის მეთოდოლოგია.

ისტორიის თეორიის ქვეშ მოაზრებულ შეიძლება იქნას ისტორიოგრაფია, ისტორიის ფილოსოფია, მეთოდოლოგია, წყაროთმცოდნეობის თეორიის და მეთოდოლოგიის საკითხები. ჩვენი ღრმა რწმენით, ამ პრობლემის შესწავლა, პირველ ყოვლისა, ისტორიკოსის კომპეტენციას წარმოადგენს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Н. Ерофеев, Что такое история, М., 1977.
2. ლ. ფირცხალავა, ისტორიის მეცნიერების შესავალი. თბ., 1995.
3. О. Ваинштейн, Очерки развития буржуазной философии и методологии истории в XIX - XX веках, Ленинград, 1979.
4. არისტოტელე, პოეტიკა, თბ., 1979
5. გ. ყორანაშვილი, პროფესია - ისტორიკოსი, თბ., 1986.
6. T. Schieder, Begegnungen mit der Geschichte, Götingen, 1962.
7. შ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ., 1994; ჰეგელი, ლექციები ისტორიის ფილოსოფიაში, თბ., 2001.
8. З. Гонкур, Ж. Гонкур, Дневники, Записки о литературной жизни, т. 1, М., 1964.
9. А. Гулыга, Эстетка истории, М., 1974., А. Гулага, Панятие и образ в исторической науки - «Вопрсоы истории», №9, 1965. Г. Могилницкий, в соотношении исторического и художественного

познания - «Средние века», Вып. 39. М., 1975; მ. კალანდაძე, ისტორიის და ლიტერატურის ურთიერობა - ცისკარი №1 1991 მ. კალანდაძე, ნაპოლეონი ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში, თბ., 2008, კარი I, თავი I, II, III.
10. Э. Гарин, Хроника итальянской философии XX века (1900-1943) М., 1956.
11. Г. Лопухов, о «тождестве» философии и истории в работах Бенедето Кроче - «Вопросы истории» №1, 1970.
12. П. Лакомб, Социологические основы истории, СПб., 1895.
13. Э. Сестан, История с обытий и история структур, М., 1970.
14. Ф. Бродель, История и общественные науки, Историческая длительность - Философия и методология истории, М., 1977.
15. Ш. Сеньобос, Исторический метод в применении к социальным наукам, М., 1902.
16. М. Блок, Апология истории или ремесло историка, М., 1886.
17. Л. Фон Ранке, Об эпохах новой истории, М., 1898.
18. Фюстель де Куланж, История общественного строя в древнеи Франции, т. 3. СПб., 1907.
19. Г. Рикерт, История философии. СПб, 1908.
20. ფ. ლომაშვილი, ისტორიის ფილოსოფიის ისტორია, ნაწ. 2, თბ., 2007.
21. მ. კალანდაძე, გრანდიოზული გადატრიალება ისტორიულ მეცნიერებაში - ისტორიული ძიებანი. 8-9, თბ., 2006; მ. კალანდაძე, ისტორიის კვლევის მეთოდების ევოლუცია - კრებული მიძღვნილი პროფ. ნოდარ შენგელიას დაბადების 75 წლისთავისადმი, თბ, 2008.
22. Л. Февер, Бой за историю, М., 1991.
23. Р. Дж. Колингвуд, Идеи истории, Автобиография, М., 1980.
24. В. Виндельбанд, История философии, Киев, 1997.
25. П. Барт, Социология, как философия истории, СПб., 1902.
26. П. Сорокин, Человек, цивилизация, общество, М., 1992.
27. Н. Ирибаджаков, Клио перед судом буржуазной философии, М., 1972.
28. Выступление академика М. Нечкиной, история и социология. М., 1964.
29. П. Федосеев, История и социология, М., 1964.
30. Н. Стефанов, Теория и метод общественных наук, М., 1967.

Merab Kalandadze
Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

History, Historiography, History Philosophy and History Methodology

Summary

The presented paper is dedicated to an interesting theoretical problem: the correlation of historiography, History Philosophy and History methodology. This is a complicated and relevant issue, which causes serious debates among the scholars, who often present completely different standpoints.

From our point of view, we can carefully state History Philosophy and History Methodology are one of the composing parts of historiography. There theoretical and methodological novelties have caused the qualitative changes, which are now happening in the historical science. The transformation of the quantitative changes into qualitative changes is is logical results.

ხათუნა ქოქრაშვილი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

„ქალთა ისტორია“ და გენდერული კვლევები საისტორიო მეცნიერებაში

სქესის კვლევის სფეროში ახალი მეცნიერული პარადიგმების წარმოშობაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ფილოსოფიურმა კონცეფციამ – ფემინიზმმა. ფემინიზმის იდეების ჩასახვის პერიოდად მიჩნეულია აღორძინების ეპოქა, როდესაც ქრისტინა პიზანელის და კორნელიუს აგრიპას მიერ გამოქვეყნდა პირველი ტრაქტატები ქალის მიმართ საზოგადოების უსამართლო დამოკიდებულების შესახებ. ამას მოჰყვა 1772 წელს ოლიმპიადა დე გუჟის „ქალისა და ქალი მოქალაქის უფლებების დეკლარაცია“, ქალთა პირველი ორგანიზაციებისა და კლუბების შექმნა და ხელისუფლების მიერ მათი სასტიკი დევნა. ფემინიზმის, როგორც კონცეფციის ფორმირებას ამაგი განმანათლებლებმა და უტოპიური სოციალიზმის თეორიის მომხრეებმაც დასდეს. ფემინიზმმა, როგორც სქესთა თანასწორუფლებიანობის თეორიამ საფუძველი დაუდო ქალთა მოძრაობას. მისი პირველი ტალღა XIX ს-ის 60-იანი წლებიდან დაიწყო და გაგრძელდა XX-ის 40-იან წლებამდე. ამ პერიოდში ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნებში საფუძველი ჩაეყარა სქესთა იურიდიულ და პოლიტიკურ თანასწორობას. XX ს-ის შუა წლებიდან იწყება ქალთა მოძრაობის მეორე ტალღა – ბრძოლა ქალთა სამოქალაქო და ეკონომიკური უფლებებისათვის, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სარბიელზე სქესთა ფაქტიური თანასწორობისათვის, იურიდიულად დეკლარირებული უფლებების რეალურად მოპოვებისათვის. მის ეპიცენტრად აშშ იქცა. ქალთა მოძრაობამ მიიღო რადიკალური ფორმები. მას ეწოდა „ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობა“ (Womens libertation).[1, 6-12; 10, 414; 20; 21]

ამავე საუკუნის 60-70-იანი წლებიდან ცხადი გახდა, რომ ქალთა უფლებების დასაცავად, რეალურ ცხოვრებაში სქესთა თანასწორობის მოსაპოვებლად და სოციალური ცვლილებების განსახორციელებლად, პრაქტიკულ ქმედებებთან ერთად, უმნიშვნელოვანესი იყო თეორიული ანალიზი. აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში შეიქმნა

ახალი სფერო აკადემიური კვლევებისათვის – „Womens Studies (ქალთა კვლევები)": დაარსდა არაერთი კვლევითი ცენტრი ამ მიმართულებით, გამოქვეყნდა ქალთა სამეცნიერო ნაშრომები, მომზადდა შესაბამისი საგანმანათლებლო კურსები სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებისათვის. სამეცნიერო კვლევები ქალთა დისკრიმინაციის სფეროში აღიქმებოდა, როგორც საზოგადოებაში არსებული სქესთა უთანასწორობის დაძლევის საშუალება. ამასთან, ამგვარი კვლევები მოწოდებული იყო, გაემყარებინა სამეცნიერო და თეორიული საფუძველი ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის. ბუნებრივია, „„ქალთა კვლევები" თავდაპირველად გაჩნდა ტრადიციულ აკადემიურ დისციპლინებში: ლიტერატურაში, ისტორიაში, ფილოსოფიაში, სოციოლოგიაში, ფსიქოლოგიაში და ა.შ.[18] შევეცდებით ვუჩვენოთ, რა მიმართულებით განვითარდა ქალთა საკითხების კვლევა საისტორიო დისციპლინებში, ისტორიის ხედვის რა სიახლეები და მეთოდოლოგიური მიდგომები გამოიკვეთა, როგორია ამგვარი კვლევების სამომავლო პერსპექტივა.

XX ს-ის 70-იანი წლების დასაწყისში, გახმაურებულ სამეცნიერო ჟურნალში „ქალი, კულტურა, საზოგადოება" (1974 წ.) დაბეჭდილმა შერი ორტნერის სტატიამ, აგრეთვე, უნგერის, ადრიანა რიჩის, გეილ რაბინის გამოკვლევებმა საფუძველი ჩაუყარეს მრავალწლიან დისკუსიას „გენდერი"-ს ცნების შესახებ. „Gender" (ინგლ.) – ამ სიტყვას ორმაგი დატვირთვა აქვს. ის გამოხატავს ბიოლოგიურ სქესს (გრამატიკაში) და აქვს სქესის სოციალური მნიშვნელობა, ანუ ამ შემთხვევაში, განიხილება, როგორც საზოგადოების სოციალური სტრუქტურის საბაზისო განზომილება. გენდერის ამ ორი მნიშვნელობის დიფერენცირება, სოციალური პროცესების გააზრების ახალ თეორიულ საფეხურზე ასვლას მოასწავებდა.[2, 74]

XX ს-ის 70-80-იანი წლებიდან ფილოსოფიურმა და ჰუმანიტარულმა აზროვნებამ ახალი დამოკიდებულება გამოხატა ადამიანის არსის, მნიშვნელობის, ადამიანის ყოფიერების სივრცითი და დროითი განზომილების, სქესთა შორის ურთიერთობების და საერთოდ, ქალთა საკითხთან მიმართებაში. სწორედ, ამ პერიოდში იწყება გენდერული კვლევების მეცნიერული განვითარება. გენდერის თეორიაში აისახა სხვადასხვა მეცნიერებაში არსებული ინტერესები, შემეცნების თეორიის მრავალი მიმართულება. ამიტომ, ის თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერების „ცხელ წერტილში" აღმოჩნდა და მეცნიერებათა სისტემაში ინტერდისციპლინარულ თეორიულ მიმართულებად იქცა. [2, 74]

„გენდერის“ ცნების შესახებ დისკუსიის საწყის ეტაპზე ის მიიჩნიეს, როგორც „სუბორდინაციის ნიშანი“ (ა. რიჩი), როგორც სქესთა სოციალური როლების არსებულ იერარქიაში საზოგადოების მიერ ქალისათვის განსაზღვრული ადგილისა და სტატუსის მინიჭება. მოგვიანებით, ეს ტერმინი გამოიყენებოდა იმგვარი პრობლემების გამოსაკვეთად, რომელიც აყალიბებს ამა თუ იმ სქესისათვის დამახასიათებელ თვისებებს, ქცევის ნორმებს, სტერეოტიპებს, როლებს და ა.შ. დღეისათვის, მეცნიერები შეთანხმდნენ, რომ „გენდერი“ არ არის ბუნებით მონიჭებული თვისება, არამედ ის სოციალური რეპრეზენტაციების ერთობლიობას წარმოადგენს და არის სოციალური ურთიერთობების ერთგვარი მახასიათებელი მოცემულ კულტურაში. გენდერი სქესის კულტურული ნიღაბია. ამასთანავე, მასში, როგორც ნებისმიერ კულტურაში, არის მდგრადობისა და ცვალებადობის ელემენტები. [3, 57-60; 2, 75]

გენდერულ კვლევებს, როგორც აკადემიურ დისციპლინას, აქვს თავისი მიზანი: შეისწავლოს სქესთა სოციალური და კულტურული რეალიზაცია, ხელი შეუწყოს საზოგადოებაში არსებული ყველა ტიპის გენდერული უთანასწორობის დაძლევას. გენდერულ კვლევებში ჩართული მეცნიერებების ქსელი ფართოა და მოიცავს: ფილოსოფიას, სოციოლოგიას, ფსიქოლოგიას, ანთროპოლოგიას, გეოგრაფიას, ისტორიას, ეკონომიკას, დემოგრაფიას, პოლიტოლოგიას, ფილოლოგიას, სემიოტიკას, ეთნოლოგიას, კულტუროლოგიას, ლინგვისტიკას და სხვა.

„გენდერის“ ფორმირების და გენდერული კვლევების პირველ ეტაპზე, როდესაც მისი ძირითადი თეორიული აპარატი, ცნებები, ანალიზი, მეთოდოლოგია ფემინიზმის თეორეტიკოსების ნაშრომებს ეყრდნობოდა, ის თავისი არსით „ქალთა კვლევების (Womens Studies)“ განუყრელი ნაწილი გახდა. გენდერის თეორიის ფორმირების პარალელურად, XX ს-ის 60-70-იანი წლების მიჯნაზე, „ქალთა კვლევების“ სფეროში ჩამოყალიბდა ისტორიული შემეცნების ახალი მიმართულება – „ქალთა ისტორია“ (Women's History). მან მიზნად დაისახა ისტორიულ პროცესებში ქალთა ადგილის წარმოჩენა, განსაზღვრულ დროსა და სივრცეში მათი სოციალური სტატუსის და როლის განვითარების, ცვლილების შესწავლა. 1975 წელს ნინ კოჩის მიერ ტერმინის „ფემინოლოგიის“ შემოღების შემდეგ, „ქალთა ისტორიას“ დასავლურ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში ხშირად „ისტორიულ ფემინოლოგიასაც“ უწოდებენ.[19]

„ქალთა ისტორიის“ ანუ ისტორიული ფემინოლოგიის წარმოშობა ერთდროულად უკავშირდება ევროპასა და აშშ-ში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას (1968 წლის ახალგაზრდული მოძრაობა, ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლის გააქტიურება, ფემინიზმის გამოცოცხლება) და მეცნიერების არსებულ მდგომარეობას, კერძოდ, ჰუმანიტარისტიკაში ანთროპოლოგიური მიმართულების გაძლიერებას. საისტორიო მეცნიერებაში დადგა პრობლემა: დანახულიყო „ისტორია ქვემოდან“, წარმოჩენილიყო ჩვეულებრივი ადამიანის ხმა, ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებული განცდები და რეფლექსიები.

ერთი მხრივ, ისტორიული ფემინოლოგიის დამოუკიდებელ მიმართულებად ჩამოყალიბება, განაპირობა საზოგადოებრივი მოძრაობების, კერძოდ, ქალთა მოძრაობის ისტორიის, ქალთა პირველი ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და საერთოდ, ქალთა საკითხების შესწავლის მიმართ ინტერესის ზრდამ. ფემინიზმისა და სუფრაჟიზის ისტორიაში დანახულ იქნა თანამედროვე მწვავე პრობლემების ამოსავალი და გადაწყვეტის გზები: როგორ და როდის წარმოიშვა საზოგადოებაში სქესთა თანაარსებობის ნორმები, სტერეოტიპები; რა იყო მათი წარმოშობის მიზეზები და რა ფორმებით განვითარდა სქესთა უთანასწორობა, რა მეთოდები და გზები არსებობს ყოველივე ამის დასაძლევად. ეს იყო კითხვები და პრობლემები, რომელიც „ქალთა ისტორიების“ წინაშე დაისვა.

მეორე მხრივ, „ქალთა ისტორიას“ მხარი მედიევისტებმა და მოდერნისტებმა დაუჭირეს. ეს არ იყო შემთხვევითი, რადგან საისტორიო შემეცნებაში წარმოშობილმა პრობლემებმა და სიძნელეებმა, რაც ძირითადად განპირობებული იყო წყაროთა რაოდენობის გაფართოებით, კვლევის მეთოდებისა და მეთოდოლოგიური ორიენტირების მოძველებით, – მედიევისტიკა და ახალი ისტორია ანალიტიკური ექსპერიმენტების „გამოსაცდელ პოლიგონად“ აქცია. სწორედ, მედიევისტებმა და მოდერნისტებმა დაძლიეს ისტორიული წარსულის გაშუქების პოლიტიზირებული მიდგომები, მხოლოდ პოლიტიკური მოვლენების მიხედვით წარსულის შეფასება. სწორედ მათ მიაქციეს ყურადღება ადამიანს, როგორც ისტორიის სუბიექტს, მისი სოციალური მოღვაწეობის მრავალფეროვან სფეროებს შორის შინაგან ურთიერთმიმართებებს. წარმოიშვა ინტერესი ადამიანის ქცევის მოდუსის, წარმოდგენებისა და სახეების (იმაგოლოგია) შესწავლის, ცალკეული ადამიანების ყოფისა და ცხოვრების, ინდივიდების განცდების მიმართ.[5, 105-107]

წარსულის კვლევის ახლებური მიდგომების მომხრეებმა თავიანთ თავს ე.წ. „სოციალური ისტორიის“ მიმდევრები უწოდეს. მიუხედავად, სპეციალისტებს შორის, ამ დეფინიციის გარშემო გამართული დავისა და კამათისა, „სოციალური ისტორია“ საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რადგან მის ფრთის ქვეშ აღმოცენდა ისტორიული შემეცნების სხვადასხვა მიმართულება: „პირადი ცხოვრების ისტორია“, „ყოველდღიურობის ისტორია“ (მიმართულება, რომელიც სწავლობს საგნებთან და მოვლენებთან ადამიანის ყოველდღიურ დამოკიდებულებას, ადამიანის სოციალურ და ოჯახურ სახეს, მისი მოღვაწეობისა და თვითგამოხატვის ფორმებს), „ბავშვობის ისტორია“, „სექსუალობის ისტორია“ და ა. შ. გაიზარდა ისტორიული ფსიქოლოგიის, გრძნობების ისტორიის, მენტალობის ისტორიის შესწავლის მნიშვნელობა. ისტორიკოსთა ყურადღება დაეთმო სამყაროს იმგვარ შემეცნებას, რომელიც ადამიანების კულტურულ ცნობიერებაშია ჩადებული. „მენტალობის ისტორიამ“ მკვლევრები მიიყვანა „ქალთა ისტორიის“, როგორც ისეთი სამეცნიერო პრობლემის შესწავლის აუცილებლობამდე, რომელიც წარმოაჩენს ქალებისა და კაცების სულიერი სამყაროს ევოლუციის პროცესს, ერთმანეთთან აახლოებს საერთოსა და განსაკუთრებულს, სოციალურს და ინდივიდუალურს, მსგავსს და განსხვავებულს. ისტორიული ცოდნისადმი ახალმა მიდგომამ დაადასტურა და აჩვენა, რომ „ქალთა ისტორია“ არა მხოლოდ ისტორიულ მოვლენებს ასახავს, არამედ ის აფექტურია, ანუ გვთავაზობს არა მხოლოდ ფაქტების ჩვენებას, არამედ იძლევა წარსულის დრამატიზაციას; შედგება არა მხოლოდ მოვლენათა ჯაჭვისაგან, არამედ მათთან დაკავშირებული განცდებისა და რეფლექსიებისაგან.[4, 17-18]

XX ს-ის 60-იანი წლების ბოლო და 70-იანი წლების დასაწყისი ისტორიული ფემინოლოგიის (ქალთა ისტორიის) განვითარების პირველ ეტაპად არის მიჩნეული, როდესაც ამ დარგის მიმდევრებმა წარმოაჩინეს ისტორიაში, ისტორიული პროცესების მსვლელობაში ქალების ე.წ. „უხილავი“ მდგომარეობა. „ქალთა ისტორიის“ მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ წარსულის შესახებ არსებული ცოდნა ცალმხრივია და ის თავისი არსით მხოლოდ „მამაკაცთა“ ისტორიაა; საისტორიო მეცნიერებაში აღიარებული და დამკვიდრებული კონცეფციები და თვალსაზრისები ისე შემუშავდა, რომ ქალის როლის გათვალისწინება საერთოდ არ მოხდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე დემოგრაფიულ ისტორიას ეხებოდა. ცნობილი მეცნიერის პიტერ ბერკის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ქალები ისტორიკოსებისათვის ვირტუალურად „უხილავნი“ იყვნენ ... მათი ყოველდღიური

საქმიანობა და ყველა დონეზე პოლიტიკური გავლენის მნიშვნელობა საზოგადოდ უგულებელყოფილი იყო და სოციალური მობილობა განიხილებოდა მხოლოდ მამაკაცებთან მიმართებაში. თუ სხვა მეტაფორას გამოვიყენებთ, უნდა ვთქვათ, რომ ქალები აღიწერებოდნენ, როგორც „დამუნჯებული“ ჯგუფი, რომელიც საკუთარ შეხედულებებს ... მხოლოდ მამაკაცთა ენაზე გამოხატავდა“.[3, 58]

XX ს-ის 70-იანი წლების დასაწყისიდან შუა წლებამდე პერიოდი, მეორე, ეტაპად ითვლება „ქალთა ისტორიის“ განვითარებაში. „გენდერის“ თეორიის ფორმირებამ და ამ ცნების თავდაპირველმა შინაარსმა – გარკვეულწილად გავლენა იქონია ქალთა კვლევების მიმართულებაზე. იწყება არსებული ისტორიული ცოდნის შევსება ქალთა სახეებითა და სახელებით. ამასთან ე.წ. „მამაკაცთა ისტორია“ (ისტორიული ფემინოლოგიის მიმდევრები ასე უწოდებენ ისტორიას, ტრადიციულ სამეცნიერო-აკადემიურ დისციპლინას) ჯერ კიდევ აღიქმება როგორც საფუძველი, რომელიც უნდა შეივსოს აქამდე „დამუნჯებული“ ქალთა ხმებით. ნიშანდობლივია, რომ ამ მიმართულების მიმდევრები და მკვლევრები ძირითადად ქალები იყვნენ.

XX ს-ის 70-იანი წლების შუა პერიოდიდან იწყება მესამე ეტაპი „ქალთა ისტორიის“ განვითარებაში, რომელიც 80-იანი წლების დასაწყისამდე გაგრძელდა. ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში ეს პროცესი მსგავსად წარიმართა. „ქალთა ისტორია“ გამოიყო საერთოეროვნული ისტორიიდან. მისი მიმდევრები (რ. ბრაიდენტალი, კ. კუნზი) საკმაოდ დამაჯერებლად შეეცადნენ დაემტკიცებინათ, რომ შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი პერიოდის ქალები შეუმჩნეველნი და მდუმარენი, სწორედ, მათი თანამედროვე მამაკაცების წყალობით გახდნენ.[11] იშვიათი გამონაკლისის გარდა, მასობრივად სწორედ, მამაკაცები არ საუბრობდნენ ქალებზე საისტორიო ქრონიკებში, თითქმის ყოველთვის ივიწყებდნენ მათ შესახებ საკანონმდებლო დოკუმენტებში, მეორე პლანზე გადაჰყავდათ წიგნების მინიატურების კომპოზიციებზე და ა. შ. ეს მკვლევრები შეეცადნენ „ხილული გაეხადათ“ და აემეტყველებინათ ისტორიული პროცესების აქამდე მდუმარე მოწმეები, „ქალთა ისტორიების“ პირველმა მკვლევრებმა დასაბამი დაუდეს იდეებისა და წარმოდგენების სისტემაში ერთგვარ გადატრიალებას.

ეს იყო პერიოდი, როდესაც ისტორია საკმაოდ დაუახლოვდა ფემინისტურ იდეოლოგიას. თუმცა აღსანიშნავია, რომ ფემინოლოგიის განვითარების ამ ეტაპზე, სპეციალურ ლიტერატურაში არსე-

ბული თვალსაზრისით „ისტორიული ფემინოლოგია კვლავ „ქალთა განცდების ისტორიად“ დარჩა“.[19]

ისტორიული ფემინოლოგიის წინაშე დაისვა კითხვები, რომელიც საზოგადოებაში ისტორიულად არსებულ გენდერულ დისბალანსსა და ასიმეტრიას ასახავდა: მითი იყო თუ რეალობა მამაკაცთა დომინირება სხვადასხვა დროსა და სივრცეში, რა ფორმებით მკვიდრდებოდა ის და რა საშუალებებით ხდებოდა ამგვარი დომინირების შენარჩუნება, რა სფეროში შეეძლოთ ქალებს თავიანთი არაოფიციალური გავლენის მოხდენა; შეკითხვათა ჯგუფი, ბუნებრივია, ქალთა შრომასაც შეეხო: რა სამუშაოს ეწეოდნენ ქალები სხვადასხვა ეთნო-კულტურულ და ისტორიულ გარემოში, როდის დაკნინდა მომუშავე ქალის სტატუსი, რატომ არ იყო მომუშავე ქალების უმრავლესობა ოფიციალურ დოკუმენტებში რეგისტრირებული და ა.შ.

შეიქმნა ნაშრომები, რომლებშიც „ქალთა ისტორია“ მკვეთრად გაემიჯნა ე.წ. „მამაკაცების ისტორიას“. ეს ფაქტობრივად იყო მცდელობა „ისტორიის გადაწერისა“ ქალის მიერ დანახული რაკურსით. ინგლისელი მკვლევარი ქალის ე. დევინის გონებამახვილური დაკვირვების თანახმად, ისტორიული ფემინოლოგიის („ქალთა ისტორიის“) მიმდევართა შორის, გამოიკვეთა ტენდენცია და მზადყოფნა საზოგადოდ მიღებული ტერმინი **„history“** (რომელიც ინგლისურად შეიძლება წაკითხულ იქნას „his-story“, სიტყვასიტყვით: „მისი (მამაკაცის) ისტორია“, „მამაკაცთა ისტორია“), შეცვლილიყო ახალი ტერმინით – **„herstory“** (ანუ „her-story“ – „მისი (ქალის) ისტორია“, „ქალის ისტორია“), რაც წარსულის შესწავლის ახალ მიდგომას უკეთ გამოხატავდა.[12]

ბუნებრივია, ჰუმანიტარულ მეცნიერებაში ახალი სიტყვის თქმისათვის, მხოლოდ სამეცნიერო ნაშრომების და პროგრამების რაოდენობრივი ზრდა საკმარისი არ იყო. XX ს-ის 70-იანი წლების ბოლოს ახალი სამეცნიერო მიმართულების ლიდერებმა იგრძნეს, რომ „ქალთა ისტორიების“ განკერძოებული კვლევა მას ჩიხში მოაქცევდა. აშკარა იყო, რომ „ქალთა ისტორიის“ შესწავლა მოითხოვს არა მხოლოდ ისტორიული ხედვის განსაკუთრებულ რაკურსს, არამედ განსაკუთრებულ ცოდნას, კვლევის ახალ მეთოდებს, კონცეპტუალურ აპარატს. ყოველივე ამის გამოსამუშავებლად „ისტორიის გადაწერის“ ადეპტის მომხრეებმა განაცხადეს ტოლერანტობა, გახსნილობა ყველა სოციალური თუ თეორიული კონცეფციის მიმართ. ეს აღმოჩნდა უშეცდომოდ შერჩეული გზა. ყოველივე ამის შედეგად, „ქალთა ისტორიის“ კვლევებში ჩაერთნენ სხვადასხვა, ხშირად ურ-

თიერთგამომრიცხავი და საწინააღმდეგო მიდგომების მომხრეები: მარქსისტები და პოზიტივისტები, დეტერმინისტები და ინტერდეტერმინისტები, ფემინისტები, სტრუქტურალისტები, პოსტმოდერნისტები, ხოლისტები, ნეოკანტიანელები, ანალების სკოლის მიმდევრები, ყოველდღიურობის სტრუქტურის შემსწავლელი კრემსის ინსტიტუტის საინიციატივო ჯგუფი, სემიოტიკის სკოლა და ა. შ.[5, 103-109; 8] იმ მკვლევართა რიცხვი, რომლებიც გატაცებული იყვნენ იდეით – შეეცვალათ წარსულის შესახებ წარმოდგენები, „ჩაეწერათ" ქალები ისტორიაში, გამოეყვანეთ ისინი სინათლეზე, გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა. დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში გამოიცა ასეულობით წიგნი და სტატია „ქალთა ისტორიის" სფეროში, როგორც კონკრეტულად ისტორიული, ზოგადთეორიული, ასევე ინტერპრეტაციული.

XX ს-ის 80-იანი წლების დასაწყისიდან იწყება თვისობრივად ახალი ეტაპი ფემინოლოგიასა და გენდერულ კვლევებში, როდესაც საფუძველი ჩაეყარა სქესთა კვლევის ახალ მიმართულებას – „გენდერულ ისტორიას".

„ქალთა ისტორიების" სფეროში კვლევების ზრდამ განაპირობა ცოდნის კონსოლიდაცია, რამაც თავის მხრივ გამოიწვია აშშ-ში, მოგვიანებით კი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ამ სფეროს ინსტიტუციური განვითარება: წარმოიშვა ფაკულტეტები, ჯგუფები, ლაბორატორიები, განხორციელდა კვლევითი პროექტები, რომელთა მიზანი იყო ქალთა საკითხების კვლევა, როგორც კომპლექსური, დისციპლინათშორისი სამეცნიერო პრობლემისა. ასეთი სახის კვლევები აშკარად მოდურ თემად იქცა. ძალიან დიდი როლი „ქალთა ისტორიის" პოპულარიზაციაში ითამაშეს ცნობილმა სამეცნიერო ჟურნალებმა: „ანალები: ეკონომიკა, საზოგადოება, ცივილიზაციები" („Annals: Economies, Societes, Civilizations", საფრანგეთი), „Past and Present" (ინგლისი), „Geschichte und Geselschaft" (გერმანია), „Quaderni Storici" (იტალია). არანაკლები მნიშვნელობა იქონიეს ფემინისტურმა პერიოდულმა გამოცემებმა: „Signs", „Feminist Studies", „Womens Studies Quarterly".

„ქალთა ისტორიის" მიმდევრების მიერ დაირღვა, აქამდე ტრადიციულად აღიარებული, არა ერთი საისტორიო კონცეფცია და თვალსაზრისი, მაგალითად: ქალის სტატუსისა და დისკრიმინაციული მდგომარეობის გათვალისწინებით, კითხვის ნიშნის ქვეშ დაისვა თვალსაზრისი – რენესანსის ეპოქის პროგრესულობის შესახებ; სწორედ, „ქალთა ისტორიის" მკვლევრებმა წამოჭრეს საკითხი, რომ

ისტორიის პერიოდიზაციის არსებულ მოდელში ქალის, როგორც საზოგადოების შემადგენელი სუბიექტის გათვალისწინება არ მომხდარა. ამის გამო, პერიოდიზაციის საყოველთაოდ აღიარებული სქემები და მოდელები ხელახლა გადაისინჯა.[3, 58; 13; 14]

„ქალთა ისტორიების“ სფეროში შემოქმედებითმა მრავალმხრივობამ გააძლიერა მასზე სქესის სოციოლოგიის ასე თუ ისე ძლიერი კონცეფციების მხრიდან ზეგავლენა. XX ს-ის 80-იანი წლების დასაწყისში სქესის სოციოლოგიაში, სწორედ, გენდერული კონცეფცია დაწინაურდა. ეს არის პერიოდი, როდესაც გენდერის ჰერმენევტიკა, ამ ცნების შინაარსი შეიცვალა. ამჯერად, ის განიხილებოდა, არა მხოლოდ, როგორც მამაკაცური დომინირების კონცეფცია, არამედ როგორც გარკვეული კომპლექსი, უფრო ზუსტად სისტემა, რომელიც გარკვეული ფორმით არსებობს, კონსტრუირდება ანუ ფორმირდება და კვლავიწარმოება ყველა სოციალურ პროცესში. თუ აქამდე ტერმინი „გენდერი“ გვთავაზობდა ამა თუ იმ პროგრამის ფარგლებში ქალთა შესწავლასა და კვლევას, ახლა სიტუაცია შეიცვალა. გენდერული კვლევები კულტურასა და საზოგადოებაში უკვე გულისხმობდა მამაკაცურისა და ქალურის ურთიერთქმედებისა და ურთიერთწინააღმდეგობრივის ყველა ფორმის გამოკვლევას, ნათლად რომ ითქვას, კაცისა და ქალის თანაარსებობას. ფემინურობის შესწავლა შეუძლებელი გახდა მასკულინობის შესწავლის გარეშე. ამ ლოგიკის მიხედვით „ქალთა ისტორია“ დაუყოვნებლივ უნდა შეხვედროდა „მამაკაცთა“ ისტორიას. ეს შეხვედრა შედგა XX ს-ის 80-იანი წლების შუა ხანებში. ჯონ სკოტის სტატიის „გენდერი – ისტორიული ანალიზის სასარგებლო კატეგორია“[9] გამოქვეყნების შემდეგ ტრადიციული (ე.წ. „მამაკაცების“) და ახალი („ქალების“) ისტორიის დაპირისპირებამ აზრი დაკარგა. მკვლევართა უმრავლესობა შეთანხმდა, რომ გენდერული მიდგომა, უფრო ზუსტად კი, გენდერული ფაქტორების გათვალისწინება აუცილებელია ნებისმიერი სამეცნიერო გამოკვლევისათვის.

საჭირო გახდა დეფინიციების შესახებ შეთანხმება, მაგრამ ეს იოლი არ აღმოჩნდა. მეცნიერებისათვის საკამათო გახდა თვალსაზრისი ჩათვლილიყო გენდერი სააზროვნო კონსტრუქტად, ანუ მხოლოდ სამეცნიერო დეფინიციად, რომელიც სქესის სოციალურ-კულტურულ ფუნქციებს განსაზღვრავს, თუ ეს არის რეალურად არსებული სოციალური მოცემულობა. ბოლო პერიოდის გამოკვლევებით „გენდერი“ ოთხი ჯგუფის მახასიათებელს მოიცავს: ბიოლოგიური სქესი, გენდერული სტერეოტიპები, გენდერული ნორმები და გენდერული იდენტობა. ბოლო სამი მახასიათებლის ერთობლიობას

ამერიკელი სოციოლოგები (ი. გ. ჰოფმანი)[15, 69-77] ხშირად „Gender display“ (გენდერის გამოვლენა, გამჟღავნება) უწოდებენ. აღიარებულია, რომ „სქესის კულტურული გამოვლენა“ (Gender display) შესაძლებელია იცვლებოდეს ამა თუ იმ ცივილიზაციასა თუ კულტურულ გარემოში, მაგრამ, სქესის ბიოლოგიური გაგებისაგან დამოუკიდებლად არ შეიძლება განიხილოს. XX ს-ის 90-იან წლებში დამკვიდრდა ცნება „გენდერული სისტემები“. ის გულისხმობს „იმ იდეებს, ინსტიტუტებს, ქცევებს, ფორმალურ და არაფორმალურ წესებს და სხვა ურთიერთმიმართებებს, რომელიც სქესთან მიმართებაში არსებობს, გაიაზრება, აღიქმება“.[4, 21-22] საბოლოო ჯამში, გამოკვლევისადმი გენდერული მიდგომა ნიშნავს პრობლემის შესწავლისას სქესობრივი ფაქტორის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი გავლენების კვლევას, სადაც სქესი, როგორც კატეგორია შედგება – ორი მეტად მნიშვნელოვანი კომპონენტისაგან – ბიოლოგიური და სოციალური სქესისაგან.

ისტორიკოსების წინაშე დადგა ამოცანა, გაერკვიათ სქესთა შორს განსხვავებანი კულტურული ხასიათისაა თუ ბუნებრივია. მათ უნდა აეხსნათ ის, რაც თითქმის ყველა დროში ფარული იყო; გამოეაშკარავებინათ დაუწერელი წესები, სტერეოტიპები, რომელთა მიხედვით ქალს ან მამაკაცს, გარკვეულ სოციალურ და ასაკობრივ ჯგუფში, ამა თუ იმ ადგილზე და დროში, მისთვის განსაზღვრული როლი უნდა შეესრულებინა ან დაერღვია. ანუ ისტორიკოსებს უნდა აეხსნათ საზოგადოებაში დამკვიდრებული და „გაბატონებული სქესობრივი კონვენციები“.

„გენდერული ისტორია“ არ გამორიცხავს „ქალთა ისტორიას“. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მეცნიერი ამ უკანასკნელს „განვლილ ეტაპად“ თვლის. მიუხედავად ამისა, მკვლევართა დიდი ნაწილის აზრით „ქალთა ისტორია“ მაინც არ კარგავს თავის მნიშვნელობას და ყურადღებას მომავალშიც დაიმსახურებს. მაგრამ, რადგანაც დღევანდელი მსოფლიოს კულტურა ისევ ანდროცენტრულად რჩება, „ქალთა ისტორია“ კიდევ დიდხანს შეინარჩუნებს თავის მარგინალობას და მინორულობას (ანუ ჯერ ვერ მიიღებს „საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერების“ დარგის სტატუსს). თუმცა, სავარაუდოდ, ის კიდევ დიდხანს მიაწვდის „გენდერული ისტორიის“ მკვლევრებს, საერთოდ გენდერისტებს „მდიდარ ნედლეულს“, ფაქტობრივ მასალას. რა თქმა უნდა, „ქალთა ისტორიის“ გარეშე, ისტორიული წარსულიდან ქალთა სტატუსისა და უფლებების შესახებ ნაკლებად ცნობილი ფაქტების სკრუპულოზური შესწავლისა და საზოგადოე-

ბაში მათზე არსებული წარმოდგენების გარეშე, გენდერული ისტორიის მიმდევრებს საკმაოდ გაუჭირდებათ. ამდენად, „ქალთა ისტორია“ საკმაოდ პოპულარულია დღესაც მსოფლიოში. ის არის ახლად ჩამოყალიბებული მეცნიერების – ფემინოლოგიის ერთ-ერთი ნაწილი.

„გენდერული ისტორია“ (ან ისტორიისადმი გენდერული მიდგომა), "ქალთა ისტორიისაგან" განსხვავებით, თავის საგნად ირჩევს სქესთა დიალოგს – არა იერარქიულობის, სტრატიფიკაციის რაკურსში, არამედ ისტორიული ევოლუციის სხვადასხვა პერიოდში სქესთა ურთიერთმიმართებისა და ერთიანობის პლანში. გენდერულმა ისტორიამ, ტრადიციული საისტორიო კვლევებისაგან განსხვავებით, შეიძინა თავისი განსაკუთრებული დისკურსი, თავისი ლექსიკონი, კვლევის მეთოდები, სპეციფიური თემატიკა (ის სწავლობს ძალადობის შეფარულ ფორმებს, სექსუალობის ისტორიას, მაჩიზმს და ა. შ.). [22]

რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ „გენდერული ისტორიით“ დაინტერესდნენ თანამედროვეობის ბრწყინვალე ფილოსოფოსები, მათ შორის ჟ. ლაკანი, ჟ. დარიდა, იუ. კრისტეფის მიმდევრები, ლ. ირიგარეი და სხვები. დარიდას დეკონსტრუქციის თეორია თავისი არსით იდეოლოგიურად და კულტურულად კონსტრუირებული მეტაფორების ამოხსნისა და მათი ფარული ლოგიკის გამომჟღავნების თეორიაა. „ფემინურობის“ აღქმა, როგორც მეტაფორისა, გახდა თანამედროვე ფილოსოფიისა და გენდერული კვლევების დამაკავშირებელი ხიდი. თავის მხრივ, ჟ. ლაკანის თეორიამ იდენტურობის ხარისხობრივი განსაზღვრის შესახებ, პირდაპირ მოითხოვა გენდერული შეფერილობა მიეცა მამაკაცისა და ქალის იდენტობისათვის. მიშელ ფუკოს მიხედვით სქესთა დამოკიდებულებასა და ურთიერთმიმართებაში ძალაუფლების მექანიზმის კვლევაძიება და ახსნა, ამ ურთიერთობების მექანიზმის სხვადასხვა ეპოქებისათვის დამახასიათებელი კონკრეტული შინაარსით შევსება იოლი არ არის. მისი აზრით, ისტორიკოს გენდერისტის მეთოდი უნდა იყოს არა ძალაუფლების განაწილების არსებული ფორმების უბრალო კონსტატაცია სხვადასხვა ისტორიულ მომენტში, არამედ თვით ამ მექანიზმში შეღწევა და მისი შესწავლა.[4, 27]

თანამედროვე ფილოსოფოსებმა უარყვეს ტექსტების, მათ შორის ისტორიულის, მიმართ ძველებური მიდგომები და ტექსტებთან მუშაობის დროს მოიხმეს, გამოიყენეს დიალოგის პრინციპი, რასაც უწოდეს „კვალის კვალი“. მათ წინ წამოწიეს ინფორმაცია, რომელიც არ იყო ტექსტში არტიკულირებული (აქედან ტერმინი „ინ-

ტერტექსტუალური"- ანუ ის რაც ქვეტექსტში, ტექსტის სიღრმეში არსებობს). ასეთი მიდგომა, ბუნებრივია, „კულტურის მრავალგვარი ინტერპრეტაციის" შესაძლებლობას იძლევა.

წარსულის ანალიზისადმი გენდერული მიდგომა მოითხოვს ინოვაციურ მეთოდებს. დავიწყოთ იქედან, რომ გენდერისტები (რაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ) აქტიურად მოუხმობენ სხვადასხვა საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებისა და დისციპლინების მეთოდებს. როგორც წესი, მათი უმრავლესობა ისტორიული ანალიზის მეთოდებს არ უარყოფს, უარს არ ამბობს ისტორიზმის პრინციპზე და აღიარებს შედარებითი (კომპარატივისტული) მეთოდის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

გენდერული ისტორიის კვლევის პროცესში ხშირია ერთმანეთის საპირისპირო მიდგომების სინთეზი, მაგალითად: სხვადასხვა სოციუმების მიკრო და მაკრო ისტორიის რეკონსტრუქციისათვის გენდერულ კვლევებში თავისუფლად არის შეთავსებული და შერწყმული აგრეგატიული მეთოდი (მეთოდი, რომელიც განსხვავებული ტიპის წყაროებიდან ცალკეულ, განსაკუთრებულ ფაქტებს აგროვებს) და კაზუალური მეთოდი (უნიკალური, არატიპიური, იშვიათი ფაქტების დეტალური განხილვების მეთოდი); მეტად პოპულარული სემიოტიკის სკოლისათვის დამახასიათებელი ინტერპრეტაციული მეთოდი (იკონოგრაფიაში ქცევის, პოზის, ჟესტების სიმბოლიკის ახსნის მეთოდი) შევსებულია დისკურსიული მეთოდით (რომელიც იძლევა საზოგადოებაში მრავალგვარი „დიალოგების" დანახვის საშუალებას), მაგალითად: ქალისა და კაცის, აღმსარებლისა და მოძღვრის, დისკრეპტიულობისა (ნორმების დამნერგავი) და რესკრიპტულობის (ნორმის ფარგლების მიღმა მყოფი) მომხრეთა ურთიერთმიმართებას.

გენდერული ისტორიის კვლევის პროცესში ასევე ხშირია სხვადასხვა ჰუმანიტარული დისციპლინების კვლევის მეთოდების კომპლექსური გამოყენება: რამდენიმე ათეული წლის წინ ანალების სკოლის მეორე და მესამე თაობის მკვლევრების დამსახურებით პოპულარული გახდა ეთნოლოგიური მეთოდი, როდესაც ანალიზდება არა მარტო გადმოცემული ფაქტები, ნარატივი, არამედ რეფლექსურ-ემოციური და მატერიალურ-საგნობრივი გარემო; წარსულის შესწავლის საინტერესო სურათს იძლევა, აგრეთვე, სოციოლოგიის მეთოდების გამოყენება გენდერულ კვლევებში, მაგალითად: ე.წ. ანკეტური მეთოდი – ისტორიული წყაროების შესწავლა წინასწარ შედგენილი კითხვების საშუალებით, რომელსაც სოციოლოგები ან ეთნოლოგები, საკვლევი მუშაობის დროს ცოცხალ ადამიანებს მი-

მართავენ; გენდერული ისტორიის მკვლევრები იყენებენ, აგრეთვე, მრავალმხრივ, რეგრესიულ ანალიზს – ის იგება იმ კოეფიციენტების საფუძველზე, რომელიც ასახავს ერთი ფაქტორის მეორეზე გავლენას.[8]

საკმაოდ პოპულარული ბოლო დროს გახდა თანამედროვე ფსიქოლოგიისა და პიროვნების სოციოლოგიის კვლევის მეთოდები, განსაკუთრებით „ბიოგრაფიული მეთოდი“. ამ მეთოდის საშუალებით გენდერული ისტორიის კვლევის არეალში ექცევა პერსონალური ცხოვრების რეკონსტრუქცია, ბიოგრაფიული კავშირები და კონტაქტები, ღირებულებათა სისტემა, როგორც ერთ თაობაში, ასევე სხვადასხვა თაობებს შორის, ოჯახში და ა. შ. [5]

გენდერისტებისათვის საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა პ. ბურდიეს რეფლექსური სოციოლოგიის მეთოდი. ბურდიეს მიხედვით ადამიანები სხვადასხვა სოციალური წრისა და იერარქიის მიხედვით არათანაბარ პოზიციაში იმყოფებიან (მაგალითისათვის: რომელიმე დიდებულის ქალიშვილი უფრო მაღალ იერარქიულ საფეხურს იკავებს, მისთვის მემკვიდრეობით გადაცემულ მამაკაც გლეხზე; მაგრამ ის ამავდროულად იერარქიულად დაბლა დგას თავის მშობლებთან ან ძმებთან მიმართებაში, რომლებიც მის ბედს საკუთარი ნებასურვილით განკარგავენ). ბურდიეს მიხედვით გენდერულ ურთიერთობებს უამრავი ფაქტორების მრავალფეროვანი სპექტრის (იგულისხმება სოციალური, ეთნიკური, კონფესიური და ა. შ.) ზემოქმედება განსაზღვრავს. გენდერისტებმა ამ ხედვას იმთავითვე მიაქციეს ყურადღება. რეფლექსური სოციოლოგიის მეთოდი მათ საშუალებას აძლევს შეისწავლონ (თანამედროვე ყოფაში, აგრეთვე ისტორიულ პრესპექტივაში), როგორ ხდება ქალებისა და კაცების მიერ ამა თუ იმ საზოგადოებაში, ამა თუ იმ იერერქიულ საფეხურზე, მათი სტატუსისა და უფლებების შეფასება. ამ მეთოდით მათ მიიღეს „კულტურული კვლევის“ ინსტრუმენტი, რომელიც მრევალგანზომილებიან ხედვას და შეფარდებებს განაპირობებს.[4, 29]

გენდერული კვლევებისათვის მეტად პრესპექტიულ მიმართულებად და თემებად საისტორიო მეცნიერებაში შეიძლება ჩაითვალოს ისტორიულ-ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური პრობლემატიკა. სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ამსახველ გამოკვლევებში გენდერულ მიდგომას უკვე ისტორიოგრაფიული ტრადიცია გააჩნია, თუმცა ითვლება, რომ წინაინდუსტრიული პერიოდის სხვადასხვა ეპოქაში ისტორიკოსების მიერ გენდერული ფაქტორი საკმაოდ სუსტად არის გათვალისწინებული.

XIX-XX ს-ის ისტორიის წყაროები უფრო მეტ საშუალებას იძლევა მკვეთრად გამოიკვეთოს გენდერული სხვაობა, ამა თუ იმ სქესის ადამიანების მიმართება კვლევის საგანთან. ამ პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის სერიოზული გამოკვლევების აუცილებელი ელემენტია, ისეთი პრობლემების გენდერული ხედვა და შეფასება როგორიცაა: შრომის პირობები, ხელფასი, დასაქმების საკითხი, პროტესტის სხვადასხვა ფორმებისადმი მიმართება, ასოციალური მოქმედებები და ქცევები და ა. შ.

მოსახლეობის შობადობის, სიკვდილიანობის, მიგრაციის გენდერული ასპექტების (შრომითი, რელიგიური, ქორწინებითი), სხვადასხვა სქესთა სოციალური მობილობის და ისტორიული დემოგრაფიის სხვადასხვა პრობლემების ახალი კუთხით, გენდერული სხვაობის (გენდერული ასიმეტრია) თვალსაზრისით, შესწავლა, რასაკვირველია ბევრად საინტერესო შედეგებისა და დასკვნების გაკეთების საშუალებას მისცემს მეცნიერებს.[23]

გენდერული მიდგომების გამოყენების პრესპექტივა საინტერესოა პოლიტიკური ისტორიის კონტექსტშიც. ერთ-ერთ ტრადიციულ და აქტიურად შესასწავლ თემას ამ სფეროში წარმოადგენს პოლიტიკური ისტორიის გენდერული სტრატიფიკაცია – ქალთა მარგინალობის ისტორია, მისი პოლიტიკური, სამოქალაქო და საარჩევნო უფლებებისათვის ბრძოლა. ფემინისტური ორგანიზაციების, სუფრაჟიზმის, უკვე არსებული გამოკვლევებისაგან განსხვავებით, გენდერული ისტორიის მკვლევართა ნაშრომები ამ სფეროში, გვთავაზობენ კვლევებს რამდენიმე მიმართულებით: პირველ რიგში – შუა საუკუნეების, წინა ინდუსტრიული პერიოდის პოლიტიკური ისტორიის გენდერული კუთხით დანახვას, ანუ იმ ეპოქების კვლევას, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა ქალთა მოძრაობა და ქალთა საკითხი. ტრადიციული ისტორიის პარალელურად, ამგვარ კვლევებში გენდერული ისტორიის მიმდევრები გვთავაზობენ გამოკვლეულ იქნას ქალების ფარული პოლიტიკური ქმედებები, მათი ჩართულობა და პოლიტიკურ პროცესებზე ფარული ზემოქმედების საკითხები, იმ დროს როდესაც კანონმდებლობა, საზოგადოების მენტალობა არ აძლევდა მათ ამის საშუალებას. მეორე მხრივ, გენდერული კვლევები ამ სფეროში გვთავაზობს ამა თუ იმ ეპოქაში გენდერული როლებისა და სტერეოტიპების შესწავლას, გენდერის კონსტრუირების მექანიზმის, ასევე სქესთა პოლიტიკური პარტნიორობის საკითხებისა და პრობლემების კვლევას.[6]

გენდერულ კვლევებს საკმაოდ საინტერესო და ნათელი პრესპექტივა აქვს კულტუროლოგიის, მენტალობის ისტორიის, საზოგა-

დოებრივი ცნობიერების ისტორიის სფეროში. აქ თემებისა და პრობლემების მეტად მრავალფეროვანი სპექტრი იშლება: გენდერული სტერეოტიპების წარმოშობა; სოციალური და ოჯახური როლების დანაწილების მიზეზები; მოღვაწეობის და მოქმედების ფორმები; ყოველდღიურობის გენდერული მხარეები; ბავშვობის, სიყმაწვილის, სიბერის ისტორიის გენდერული ასპექტები და მენტალურ-ემოციური მახასიათებლების კვლევა; სქესთა მოქმედებებში და ქცევებში არსებული განსხვავებები; ერთ ეპოქაში, ერთსა და იმავე ან სხვადასხვა ეთნოსში არსებული წარმოდგენები ტიპიური „მამაკაცურის" და ტიპიური „ქალურის" კულტურულ-სიმბოლური ასპექტების შესახებ, ღირებულებების ფარული ორიენტაციები, რომელიც უფრო ხშირად „მამაკაცურს" პოზიტიურად, მნიშვნელოვნად, დომინანტურად, ხოლო „ქალურს" ნეგატიურად, მეორეხარისხოვნად, დაქვემდებარებულად წარმოაჩენს; „და-ძმობა" – ეთნიკურ და კლასობრივ კონტექსტში; გენდერული იდენტობა და ქალურ/მამაკაცური თვითშეგნების განვითარება; ისტორიის ხედვა ქალის თვალით დანახული პროცესების აღწერის გზით და პირიქით, მაგ: ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის ისტორიის შეფასება მამაკაცი ისტორიკოსის მიერ; შემოქმედების ფსიქოლოგიის გენდერული ანალიზი და მისი გამოხატულება ლიტერატურულ, ფერწერულ ნაწარმოებებში ანტიკურობიდან დაწყებული, შუასაუკუნეებითა და თანამედროვეობით დამთავრებული; სელექტიური, და ავტომატური მეხსიერების გენდერული თავისებურებანი და ა.შ. სპეციალისტების აზრით, ეს არის მხოლოდ მცირერიცხოვანი, ყველაზე მეტად საინტერესო თემების მოკლე ჩამონათვალი ამ სფეროში.[4, 31]

დღეს, საქართველოს სახელმწიფოს უმთავრესი პრიორიტეტი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. ბუნებრივია, მთელი რიგი საკითხები, თუნდაც საკმაოდ აქტუალური თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებაში, ვერ იქნება საქართველოს ისტორიის მკვლევართა პრიორიტეტული კვლევის სფერო. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველ ისტორიკოსთა წინაშე დღის წესრიგში დგება ისტორიული პროცესების მრავალმხრივი რაკურსით გააზრების პრობლემა, რაც მოითხოვს საისტორიო კვლევის სფეროში მეთოდოლოგიური სიახლეებისა და მიდგომების შესწავლას და ცოდნას, ტრადიციული მეთოდების პარალელურად ინოვაციური, ინტერდისციპლინარული სიახლეების დამკვიდრებას.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. თ. კიკნაძე, ფემინიზმის ფილოსოფია, თბილისი, 1997.
2. ფ. ზურიკაშვილი, გ. მაღრაძე, ნ. ჭანიშვილი, გ. ხუციშვილი, რ. ჯორბენაძე, კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა, თბილისი, 2002.
3. პიტერ ბერკი, ისტორია და სოციალური თეორია, ინგლისურიდან თარგმნა ნოდარ ლადარიამ, თბილისი, 2002.
4. Пушкарева Н. Л., Гендерные исследования: Рождение, становление, методы и перспективы, Женщина, гендер, культура, Москва, 1999.
5. Репина Л. П., "Женская история": проблемы теории и метода, Средние века, вып.57, 1994.
6. Чикалова И. Р., Женская и гендерная история, состояние и перспективы развития, http://www.gender-cent.ryazan.ru/ chikalova.htm
7. http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Sociolog/Article/skott_gens.php Скотт Д. Женская история и переписывание истории.
8. Репина Л. П. Гендерная история: проблемы и методы исследования // Новая и Новейшая история. 1997. №6.
9. Скотт Джоан. Гендер: полезная категория исторического анализа // Введение в гендерные исследования. Часть II. Хрестоматия / Под ред. С. Жеребкина. Харьков: ХЦГИ; СПб.: Алетейя, 2001.
10. Клименкова Т. А. Феминизм // Современная западная философия: Словарь / Сост.: Малахов В. С., Филатов В. П. М.: Политиздат, 1991.
11. R. Bridenthal, C. Koonz, Women in European History, Boston, 1977.
12. A. Davin, Redressing the Balance or Transforming the Art? The British Experience, wignSi: Rewritting Women's Histori, Ed. By S.J. Kleinberg, Berg, 1988.
13. J. Kelly, Women History and Theory, Chicago, 1984.
14. J. Scott, Gender and the Politics of History, New Jork, 1988.
15. Goffman E., Gender Display, Studies in the Anthropology of Visual Communications, 1976, # 3.
16. http://www.owl.ru/gender/010.htm
17. http://www.owl.ru/gender/022.htm
18. http://www.owl.ru/gender/074.htm
19. http://www.owl.ru/gender/090.htm
20. http://www.owl.ru/gender/137.htm
21. http://www.owl.ru/gender/192.htm Т. А. Клименкова, Феминизм// Современная западная философия: Словарь / Сост.: Малахов В. С., Филатов В. П. М.: Политиздат, 1991.
22. http://vocabulary.ru/dictionary/43/word
23. http://www.gender-cent.ryazan.ru/yukina.htm Юкина И.И., История женщин: новые перспекивы.

Khatuna Kokrashvili
Doctor of History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Senior Scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History

The „Women's History" and Gender Studies in History
Summary

At the end of the 60's and in the beginning of the 70's of the 20th century, on the first stage of the development of the historical feminology ("The Women's History"), the representatives of the scientific trend showed so called "invisible" state, position of woman in the light of historical processes. From the beginning and till the middle of the 1970s, on the second stage of "The Women's History" development the knowledge about the given subject is supplemented with the additional material, mainly with the names and personalities of women. The third stage of development of "The Women's History" continued till the beginning of the 80's. "The Women's History" separated from common national history and somehow opposed to "The Men's History" (as the followers of "The Women's History" call history, the traditional scientific discipline). The followers of "The Women's History" tried to review and reveal historical processes that were unknown with the help of before speechless witnesses-women. "The Women's History" became very close to feminist ideology.

In the beginning of the 1980s the essentially new stage in development of feminology took pace. This was a new trend in gender studies. This is "The Gender History". In this period in gender sociology conception of gender became promoted and strongly influenced "The Women's History" studies. The hermeneutics and the meaning of the notion changed. If before it meant the study of women, now the study of feminity became impossible without the study of masculinity. Juxtaposition of traditional history or "The Men's History" with "The Women's History" lost its sense. The gender attitude towards the analysis of the past together with well known and proved methods used in history uses innovative methods as well. It often uses those methods in complex that are used in humanitarian sciences.

მზია მგალობლიშვილი

ლელა მიქიაშვილი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

XIX ს. 30-იანი წლების რაჭა ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს „მოგზაურობის“ მიხედვით

ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე იმ მეცნიერ-მოგზაურთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა თხზულებებმაც ევროპული ქართველოლოგიის განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულეს. წარმოშობით შვეიცარიელი ფრანგი, დიუბუა იყო ცნობილი სწავლული – გეოლოგი, ბუნებისმეტყველი და არქეოლოგი. თავისი მოღვაწეობის მანძილზე მან მრავალ ქვეყანაში, მათ შორის – ყირიმსა და კავკასიაში, იმოგზაურა. 1833 წლის ზაფხულში დიუბუა ჩავიდა რუსეთში და აქედან გაემგზავრა კავკასიაში. რუსული სამხედრო ხომალდით მან კავკასიის სანაპირო ზოლის გასწვრივ იმოგზაურა, შემდეგ კი მოიარა დასავლეთი ამიერკავკასია თბილისის ჩათვლით. მოგზაურობისას იგი ანარმოებდა დღიურებს, სადაც დაწვრილებით აღწერდა ნანახსა და მოსმენილს, პარალელურად კი აზუსტებდა ანტიკური, შუა საუკუნეებისა და მისივე თანამედროვე ევროპელი თუ რუსი ავტორების ცნობებს ამ რეგიონის შესახებ. ამასთანავე, დიუბუას პირადი კონტაქტებიც ჰქონდა სწავლულ კავკასიოლოგებთან და მათგან იღებდა ახალ, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ მასალებს კავკასიის შესახებ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, დიუბუას ექვსტომიანი ნაშრომი „მოგზაურობა კავკასიის გარშემო“[1] წარმოადგენს არა მხოლოდ მოგზაურის ჩვეულებრივ დღიურს, არამედ სერიოზულ მეცნიერულ გამოკვლევას, სადაც ნათლად ჩანს ავტორის დიდი ერუდიცია. ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული ნაშრომი გამოცემისთანავე იქნა ჯეროვნად შეფასებული და 1838 წ. იგი საფრანგეთის გეოგრაფიული საზოგადოების ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

თავის ნაშრომში დიუბუა უხვად იყენებს როგორც ანტიკურ ავტორთა თხზულებებს, ისე მომდევნო ხანის ევროპელ მოგზაურთა

ჩანაწერებსა და მისიონერთა რელაციებს. გარდა ამისა, მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა რუსეთში გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილებთან და ხშირად სარგებლობდა მათი კონსულტაციებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიუბუას „მოგზაურობა“ ანტიკური და შუა საუკუნეების ეპოქის ავტორთა თხზულებებში დაცული მნიშვნელოვანი მასალების შემაჯამებელ ნაშრომადაც გვევლინება. ამავე დროს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ნაშრომით დიუბუამ სამეცნიერო ასპარეზზე გამოიტანა იმ დროისათვის სრულიად ახალი მასალა კავკასიის შესახებ.

დიუბუას ნაშრომი დაყოფილია ცალკეულ თავებად, თითოეული მათგანი დასათაურებულია რომელიმე ისტორიული ძეგლის ან გეოგრაფიული ადგილის სახელწოდების მიხედვით. ერთ-ერთი ასეთი თავი ეძღვნება რაჭის აღწერას, რომლის თარგმანსაც, შესაბამისი კომენტარებითურთ, გთავაზობთ წარმოდგენილ პუბლიკაციაში. ტექსტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტორისეული შენიშვნები უცვლელად დავტოვეთ (გვერდების ბოლოს მრგვალ ფრჩხილებში მოცემული ნუმერაციის სახით).

* * *

კირქვული ხეობა, სადაც სოფელი ხოტევი[2] მდებარეობს, ფაზისის ხეობის გვერდით, ხელმარცხნივაა განლაგებული; ჩრდილოეთით, სხვა ხეობების მიმართულებით, იგი გახსნილია. აქ ორი პატარა, მაგრამ საკმაოდ წყალუხვი მდინარე გაედინება: ერთ-ერთი – ხოტეურა[3] – მიედინება მარჯვენა მხრიდან, მეორე კი – მარცხნიდან და ხოტევთან უერთდება ხოტეურას. ამ მდინარეებზე გამართულია რამდენიმე მარტივი, იმერული წისქვილი, რომელთა შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებ. ფერდობები აქ მთლიანად ცარცული კირქვისაა; ხეობას სხვა კალაპოტი არა აქვს, გარდა ამ მდინარეების კალაპოტისა. ყველგან დაღმართებია, უმრავლესობა – მცირედ დაქანებული პატარა ხეობებია, რომლებიც დაფარულია მინდვრებით, აქა-იქ უწესრიგოდ გაფანტული სახლებითა და წიფლისა თუ მუხის ტყეებით.

ხოტევი უწინ რაჭის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ციხე იყო; 1772 წელს იგი რუსებმა აიღეს და გენერალ ტოტლებენის ბრძანებით დაანგრიეს (ზუსტად იმ დროს, როდესაც ასევე დაანგრიეს შორაპანი, ვარციხე და ბაღდადი),[4] ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ კედლების

ნანგრევები ([1]), რომლებიც ველური ვაზით დაფარულ კლდეზეა მიმოყრილი. ამ ნანგრევებში ყურადღებას იპყრობს მშვენიერი წყარო, რომლითაც ამჟამად ივსება დიდი, გადახურული წყალსატევი. იმერლებმა, რომლებმაც თავის დროზე ეს ციხე ააგეს, პომპეზური წარწერის ნაცვლად კარიბჭის ზემოთ ამოკვეთილი დატოვეს თავიანთი ხელების გამოსახულება, ინიციალებით – B და G. ასეთი ჩვეულება ამ ხეობებში საკმაოდ გავრცელებულია, რადგან ბევრი ასეთი დახატული ან ქვაზე ამოკვეთილი ხელი მინახავს ღების კოშკების სათოფურებზე თუ უწერის ეკლესიის კარზე. ნანგრევებიდან მშვენიერი ხედი იშლება იმ ადგილზე, სადაც იწყება ხეობა ფაზისის მხარეს და სადაც მეორე, ასევე დანგრეული, კვირიკეს ციხე[5] მოჩანს ([2]).

მიუხედავად იმისა, რომ ხოტევის ციხე დანგრეული იყო, კოლხეთის ჯარის ერთი ნაწილის განთავსება მაინც აქ ამჯობინეს, რადგანაც დაბლობში გამეფებული მაღალი სიკვდილიანობა ხელისუფლების წარმომადგენლებს ძალზე აშინებდათ; ხოტევი კი ფაზისის დონიდან მართლაც საკმაოდ ამაღლებულ ადგილზე მდებარეობს და გარდა ამისა, აქ ჯანმრთელი კლიმატია. აქ იგზავნებოდნენ დაავადებული ჯარისკაცები, რომლებიც საოცრად სწრაფად გამოჯანსაღდებოდნენ ხოლმე; მოგვიანებით, არ ვიცი რა მიზეზით, მაგრამ ეს ადგილი მიატოვეს და ჯარისკაცებს თავი მოუყარეს ისევ ქუთაისში, სადაც დაავადებისა და თვით სიკვდილიანობის მაჩვენებელიც კი ბევრად მაღალია. მიატოვეს აგრეთვე ბანაკიც და საწყობებიც, რომელთა დიდი ნაწილიც ქარმა დაანგრია. რადგანაც ხოტევი რაჭის მაზრის მთავარი ქალაქი იყო, აქ დატოვეს მაზრის მერი, ანუ მმართველი და რამდენიმე კაზაკი. მთელ მაზრაში არც ერთი რუსი ჯარისკაცი არ დარჩენილა, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს მთიელი ხალხი სამშვიდობოდ იყო განწყობილი.

მერმა, წარსულში სამხედრო პირმა, რომელსაც ოდნავ სიზანტე ახასიათებდა, დამიყოლია, ცოტა ხნით გადამედო ჩემი გამგზავრება. მან ამიხსნა, თუ რაოდენ რთულია ზოგიერთი კანონის ამოქმედება და გატარება ისეთ ვრცელ იმპერიაში, როგორიც არის უზარმაზარი რუსეთი, სადაც განსხვავებულია მოსახლეობაც, სარწმუნოებაც და კლიმატიც.

([1]) იხილეთ ატლასი, II სერია, ფურც. 19, c.

([2]) გიულდენშტედტი წერს Kerike-Tsminda და Kwerike-Tsminda; ეს არის იგივე Kwaza გენერალ ხატოვის რუკაზე.

ყოველთვის, როდესაც რუსი ჯარისკაცი ამიერკავკასიაში შემოდგამდა ფეხს, იგი საკუთარ თავს ეუბნებოდა: „მშვიდობით, რუსეთო! მე მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი აქ დამკვიდრება“. ავის მომასწავებელი, ხშირ შემთხვევაში მცდარი წინათგრძნობა მათში იწვევდა შიშს ამ მხარეში საკუთარი მომავლის მიმართ: საშინელი დაავადებები, სრული იზოლაცია იმ ადგილებისა, სადაც მათ უწევდათ სამსახური, ათასნაირი გაჭირვება, განსაკუთრებით მორალური დანაკლისი, ენის უცოდინარობა, – ყოველივე ეს მუდმივად იწვევდა მათში სურვილს, პირველივე შესაძლებლობისთანავე სასწრაფოდ, უკან მოუხედავად გასცლოდნენ აქაურობას. ეულად, მხოლოდ საკუთარი თავის ამარა დარჩენილებს, ხმის გამცემიც კი არ ჰყავდათ; მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ საზოგადოებას, მშობლიურ გარემოს, მეგობრებსა და ქალებს, რომელთაც შეეძლოთ მათთვის ნუგეში ეცათ და მათი ბუნებრივი მოთხოვნილებებიც დაეკმაყოფილებინათ; და აი, ასეთ ვითარებაში ისინი ეცნობოდნენ ქართველ ლამაზმანებს, ხშირად მათთან ადვილად ამყარებდნენ კავშირს, ზოგჯერ კი გულუბრყვილოდაც მიენდობოდნენ ხოლმე მათ; მაგრამ როდესაც საქმე ქორწინებაზე მიდგებოდა, ჯარისკაცებს საკუთარი სამშობლო გაახსენდებოდათ და კიდევ უფრო მეტი სევდა შემოაწვებოდათ გულზე. დროთა განმავლობაში ასეთი ურთიერთობები ჯერ ინტიმურ, შემდეგ კი ცოლ-ქმრულ ურთიერთობებში გადაიზრდებოდა ხოლმე. ზნე-ჩვეულებათა უბრალოებდან, ტრადიციებიდან თუ ზოგადი მაგალითებიდან გამომდინარე, ამაში არანაირ მანკიერებას არ ხედავდნენ; იბადებოდნენ ბავშვები, რომლებსაც თავდაპირველად, ჯერ კიდევ ევროპული ცრურწმენებით შეპყრობილნი (?), ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას, მაგრამ მალე ბავშვი თვითონვე პოულობდა მამის გულისაკენ მიმავალ გზას; აი, მაშინ კი იწყებოდა მტანჯველი ბრძოლა საკუთარ თავთან: შეირთოს თუ არა ცოლად ბავშვის დედა? რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიეღოთ, ამ საცოდავი ბავშვებისათვის უმჯობესი იქნებოდა, სულაც რომ არ დაბადებულიყვნენ ამქვეყნად: მოიტანს კი რაიმე სარგებლობას, თუკი მათი მამა მათივე დედაზე დაქორწინდება? მკაცრი კანონი, ასე ვთქვათ, მათ მაინც გარიყავს საზოგადოებიდან:

იმპერატორმა ნიკოლოზმა გადაწყვიტა აღეკვეთა ეს მიუტევებელი თავაშვებულობა, რომელიც სწრაფად ვრცელდებოდა მაღალი სამხედრო რანგის მქონე კეთილშობილთა შორის და რომელსაც თან სდევდა უამრავი უწესრიგობა; მან გამოაცხადა, რომ ქორწინებამდე დაბადებული ყველა ბავშვი უკანონოდ ითვლებოდა და ასეთად დარჩებოდა სამუდამოდ, მიუხედავად იმისა, იქნებოდა იგი გენერლისა

თუ თავადის შვილი; მას არ ჰქონდა უფლება, მომავალში რომელიმე სამოქალაქო თუ სამხედრო თანამდებობა დაეკავებინა; იგი საზოგადოების უმდაბლეს კლასს განეკუთვნებოდა და იძულებული იყო საარსებოდ რაიმე ხელობისათვის მიეყო ხელი; ეს კიდევ არ არის ყველაზე დიდი უბედურება – ადამიანი ხომ შრომისათვის არის გაჩენილი; მაგრამ წარმოიდგინეთ ამიერკავკასიაში ისეთი ოჯახი, რომელშიც ერთი დედ-მამისაგან ნაშობი ბავშვები დაყოფილნი არიან პრივილეგირებულებად და არაპრივილეგირებულებად: კანონის თანახმად, ერთნი – მდიდარნი, მეორენი – ღატაკნი და ჩაგრულნი, ერთნი – საზოგადოებაში დაფასებულნი, მეორენი – სახელგატეხილნი, ერთნი – წარჩინებულნი, მეორენი კი – ყმათა რიგებში ჩარიცხულნი[6].

რამდენი ასეთი გაუბედურებული ოჯახი მინახავს საქართველოში, რამდენი ასეთი მშობელი მამა, რომელიც იტანჯებოდა თავისი შვილის მომავლის გამო! საბრალო მერს ცხრა თუ ათი შვილი ჰყავდა და არც კი ვიცი, მათგან რამდენი იყო კანონიერი. ეს ბავშვები განწირულნი იყვნენ, რადგან მიუხედავად მომავალში მოსალოდნელი უსახსრობისა, მამები მათ მაინც არ ასწავლიდნენ რაიმე ხელობას, რადგან ეს სათაკილოდ მიაჩნდათ. მათ არ იღებდნენ სამუშაოდ არც კანცელარიაში, არც საჯარო სამსახურში და ასე უსაქმოდ და უმომავლოდ დაყიალებდნენ; ვინ იცის, საით გადაისროდა მათ ესოდენ სასოწარკვეთილი ყოფა!.. დიდება შენდა, დიდო მონარქო! დაე, შენმა კანონმა შეაშინოს და სწორ გზაზე დააყენოს ნამდვილი დამნაშავენი, შენმა გულმოწყალებამ კი იხსნას უდანაშაულოდ გაუბედურებულნი! [...]

ავედით 400-500 ფუტის სიმაღლის ოდნავ დაქანებულ ბექობზე, მანამდე კი გავიარეთ სოფელი ჭელიაღელე (Tchenegele)[7], სადაც პატარა ხეობაში, რომლის სიღრმეც მისივე ყველაზე მაღალი წერტილიდან ქვემოთ 200 ფუტია, ვნახე რამდენიმე ასეული ნაბიჯის სიგანისა და 300-400 ნაბიჯის სიგრძის პატარა, გაუმდინარე ტბა (¹). ტბის ხელმარცხნივ ჩამოვიტოვეთ ნიკორწმინდის მონასტერი, რომლის დათვალიერებასაც უკან დაბრუნებისას ვაპირებდით [...]

(¹) გიულდენშტედტი ამბობს, რომ ტბის ირგვლივ მდებარე ჭაობში მან ნახა Betula alnus, Rhamnus frangula, Lithrum salicaria, Alisma plantago, Banunculus lingue, Menianthes trifoliata, რომლებიც მას სხვაგან არსად უნახავს კავკასიაში.

კვლავ გავუყევით ხოტევისაკენ მიმავალ გზას და გადავწყვიტეთ ნიკორწმინდაში[8] შეგვესვენა, თან ეს დიდებული ეკლესიაც დაგვეთვალიერებინა. საოცარია მისი სტრუქტურა, რომელიც ძალზე უახლოვდება იმ ეპოქას, როცა ქუთაისის ტაძარი აიგო. ინტერიერის აგებულება მას განსაკუთრებულ გამორჩეულობას ანიჭებს: იგი განსხვავდება ყველა დანარჩენი აქაური ტაძრისაგან. გუმბათი ეყრდნობა ნახევარწრიულ თაღებს, რომლებიც უკავშირდებიან ექვს ნიშას; მათგან ორი წაგრძელებულია და ქმნის შესასვლელს და საკურთხეველს, დანარჩენი ოთხი კი ნახევარწრიულია და წარმოადგენს გვერდით მკლავებს.

ინტერიერის კედლები მთლიანად არის დაფარული ფრესკული მხატვრობით, ექსტერიერში შესასვლელი კარი კი ქუთაისის ტაძრის კარიბჭის მსგავსად არის მორთული; შუაში ღვთისმშობლის, ხოლო გვერდებზე – წმინდა გიორგის ქანდაკოვანი რელიეფები მოსჩანს. იგივე სიუჟეტი მეორდება საკურთხევლის ფასადზეც, რომელიც გადის აღმოსავლეთით. აქ ბარელიეფის ორსავე მხარეს გამოსახულია სამი წმინდანი, აღმართული ასევე სამი სხვადასხვა, მუხლმოყრილი ფიგურის თავზე.

სამხრეთის ფასადზე მოთავსებული მეორე ბარელიეფი (რომელიც მე III სერიაში ჩავხატე, იხ. ფურც. 21, ნახ. 5) გამოსახავს მაკურთხეველ იესო ქრისტეს; იგი ორ ანგელოზს უჭირავს, ორი სხვა ანგელოზი კი საყვირზე უკრავს; მათ შორის ეშვება დიდი ხელის მტევანი კურთხევისათვის მოხრილი თითებით.

ზემოთ მოთავსებულია წარწერა, რომელიც ისეთი ლამაზი ასოებითაა ამოკვეთილი და ისეთი ხაზებითაა მორთული, რომლის მსგავსიც არსად მინახავს; წარწერა ასე ითარგმნება ფრანგულად: „ესე არს ჩემი მეორედ მოსვლა“. სიტყვები, როგორც ამბობენ, ახალი აღთქმიდან არის ამოღებული, ხოლო ბარელიეფი გამოსახავს ქრისტეს, რომელიც განკითხვის დღეს გამოჩნდება.

ყველაზე მეტად დამაინტერესა დიდი ხელის გამოსახულებამ, რომლის თითებიც კურთხევის ფორმით არის მოხრილი და მოგვაგონებს დიდ სქიზმას, რომელმაც ბერძნული და რომაული ეკლესიების გათიშვა გამოიწვია: ფოტიოსმა[9], რომელიც 887 წელს არჩეულ იქნა კონსტანტინოპოლის პატრიარქად, მიუხედავად იმისა, რომ პაპის ტახტი იმ დროს იგნასიოს[10] ეკავა, თავისი საქციელის გასამართლებლად სხვა საშუალება ვერ მოძებნა, გარდა იმისა, რომ იგნასიოსა და პაპ ნიკოლოზს[11] ერესი დასწამა. ძირითადი საყვედური, რომელიც მან რომაული ეკლესიის მიმართ გამოსთქვა, გახლდათ ის, რომ ნიკეას სიმბოლოზე დამატებულ იქნა ფილიოკე[12] და, შესაბამი-

სად, დაადგინეს, რომ სულიწმინდა ისევე წარმოიშვა ძისაგან, როგორც მამისაგან. განხეთქილება მხოლოდ 1053 წელს დასრულდა, როდესაც პატრიარქმა მიქაელ ცერულერმა[13] მოინდომა, მთლიანად გამოჰყოფოდა რომაულ ეკლესიას და უარეყო რომის პირველობა. ცერულერმა განაახლა ფოტიოსის ძველი ბრალდება და ამ დროიდან მოყოლებული, სულიწმინდის წარმოშობა მამისაგან და ძისაგან, ან – მხოლოდ მამისაგან, იყო ის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც ამ ორ ეკლესიას ერთმანეთისაგან განასხვავებდა. ღვთისმსახურების რიტში თავისი საკუთარი რწმენის დამკვიდრების მიზნით, თითოეულმა მათგანმა მიიღო კურთხევის ისეთი ფორმა, რომელიც რიტუალში სწორედ ამ განსხვავებას გამოხატავდა ([1]).

ნიკორწმინდის ეკლესია უდავოდ სქიზმის[14] დასაწყისით თარიღდება, რაც მშვენივრად ეთანხმება ტრადიციას, რომლის თანახმადაც იგი XI საუკუნის მიწურულის ნაგებობად არის მიჩნეული.

გალერეის კარზე, რომელიც ამ (ანუ სამხრეთის-ლ. მ.) ფასადზეა ჩასმული, გამოსახულია ორი ანგელოზი, რომელთაც ჯვარი უჭირავთ; ხოლო გალერეის მეორე, ჩრდილოეთისაკენ მიმართულ კარზე გამოსახულ ორ ანგელოზს კი ჯვარი სათითაოდ უპყრიათ ხელთ.

დაბოლოს, დასავლეთის, ანუ წინა ფასადზე, კვლავ მაკურთხეველი იესო ჩანს.

ჩარჩოში ჩასმული ყველა ეს ბარელიეფი ლამაზად არის ჩამწკრივებული დიდი გემოვნებით გამოკვეთილი ორნამენტებითა და არაბესკებით შემკულ ერთიან არეებში; მაგრამ რაც შეეხება ფიგურებს, ჩემი ნახატის მიხედვით შეიძლება განსაჯოთ, რომ ყველა მათგანი საშინლად უგემოვნოდ და ყოველგვარი პროპორციის გარეშეა დახატული.

ჩუქურთმები და არაბესკები, რომლებიც ფარავენ გუმბათს, კედლებსა და გალერეებს, აგრეთვე ძალიან ლამაზია. არსად, არც საქართველოში და არც იმერეთში, უფრო მდიდრულად მორთული ეკლესია არ შემხვედრია.

ისევე როგორც ქართული სტილის ყველა ეკლესიაში, ფასადი, გარდა თავისი ბარელიეფებისა, კიდევ უფრო მდიდრულად არის დეკორირებული არქიტექტურული ფორმებით. უფრო დაბალი ორი ცრუ, ნახევარწრიული თაღედი, ისევე როგორც ქუთაისში, ეყრდნობა უფრო დიდს, რომელიც შუაშია მოთავსებული. არა მხოლოდ გო-

([1]) Lebeau, Histoire du Bas Empire, ტ. XIII, გვ. 239 და 304, და ტ. XIV, გვ. 387, სენ-მარტენისა და ბროსეს გამოცემა.

თიკური, ერთმანეთისაგან გამყოფი სუსტი კოლონებია უხვად მორთული, არამედ ცრუ თაღედის შიდა არეც ჩინებულად მოჩუქურთმებული ჩარჩოთია გარშემოვლებული. ვიმეორებ, არასდროს მინახავს ჩუქურთმებისა და რელიეფების მსგავსი სიუხვე, არც ისრული კამარა, ან რაიმე მსგავსი მინახავს სადმე.

11 (23) სექტემბრის მშვენიერ დღეს ზემო რაჭის[15] დასათვალიერებლად გავემგზავრეთ. ჩავედით ხოტევის ხეობაში და მთელი 4 ვერსის[16] მანძილზე, ახალსოფლამდე ვიარეთ თეთრ ცარცულ ნიადაგზე, რომელიც ჰორიზონტალური, უსასრულოდ დასერილი ფენებისაგან შედგებოდა, საიდანაც დაახლოებით 9^0-ის ტემპერატურის მქონე უამრავი წყარო ამოსჩქეფდა.

ახალსოფლის ზემოთ ჩნდება ნაცრისფერი ფიქლის ნაფენები. ხელმარჯვნივ, მთის მწვერვალზე რჩება სოფელი გორა თავისი კოშკით.

ახალსოფელში უკვე ვაზია გაშენებული; ეს არის ბიჯგებზე ასხმული დაბლარი. ველური ვაზი ხოტევის შუა გზამდე გვხვდება, უკანასკნელი შტამბები ძველი ციხის ნანგრევების ახლოს მოჩანს.

რიონს ანუ ფაზისს ხოტევიდან 5 ვერსზე იწასთან (Hissa)[17] ახლოს([1]) მივადექით; იწასაც, აგრეთვე, კვადრატული კოშკი იცავდა. აქედან მოყოლებული, კოშკები ხშირად გვხვდება და ისინი, შეიძლება ითქვას, ამ ქვეყნის გარეგნულ სახეს ქმნიან[18].

ულამაზესმა პეიზაჟმა დიდი ხნით მომტაცა თვალი, ნათლად ვხედავდი ფაზისს, მაგრამ ვერ გავარკვიე, საიდან მოედინებოდა, რადგან ხეობა უზარმაზარი კლდეებით იყო ჩაკეტილი და გასასვლელი არ უჩანდა; მაგრამ ბოლოს, 8 ვერსის გავლის შემდგომ, მივხვდი, რომ ვცდებოდი: უეცრად, თითქოს ჯადოსნური „სეზამეს" ძალით, ჩემს პირდაპირ კლდე გაიხსნა, და დავინახე, უზარმაზარი რაბის მეშვეობით როგორ მოედინებოდა აქაფებული ფაზისი ჩვენს თვალწინ გადაშლილი ზემო რაჭიდან. [...]

მარჯვენა ნაპირზე გადასასვლელად ხის სუსტი ხიდი აღმოვაჩინეთ; მხოლოდ ამ ნაპირზე იყო შესაძლებელი არა გზის, არამედ კლდეზე მიმავალი საცალფეხო ბილიკის გაყვანა. ხიდის თავები საიმედოდ იყო დაცული კლდეში ჩაშენებული ნაგებობებით, რომლებსაც სათოფურებიც ჰქონდათ. სულ მცირერიცხოვან, მაგრამ მამაც ადამიანებს აქ შეეძლოთ ხანგრძლივად გაეწიათ წინააღმდეგობა მთელი ჯარისათვის.

([1]) გიულდენშტედტი წერს Iza-ს.

იმავე ნაპირზე, მარცხენა კლდის თავზე დამანახეს ეკლესია, რომელიც აგრეთვე ჩემს ნახატზეც ჩანს; ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ასეთ უცნაურ ადგილზე შესაძლებელი იყო ეკლესიის აგება. იგი მაღალ მთებში ნაგები ძველი ქართული, აზიური სტილის ეკლესიების მსგავსია, სადაც კერპები და თაყვანისცემის სხვა ობიექტები უნდა ყოფილიყო გამოფენილი. იგი ასევე წააგავს იმ ეკლესიებს, რომლებიც მალევე აშენდა მას შემდეგ, რაც წარმართობა ქრისტიანობით შეიცვალა. ამ ეკლესიას ველიეთი[19] ჰქვია და მას ემსახურება მღვდელი, რომელიც აქვე, ამ შევარდენის ბუდეში ცხოვრობს. აქ მოხვედრა შესაძლებელია სოფელ წესიდან[20] (Tsesse)([1]), რომელიც რაბის შიგნით, კლდეებზეა გაშენებული.

რაბის კლდეების ნაპრალებიდან, ფაზისის დონიდან 8 ფუტზე, 10,5^0-იანი ტემპერატურის მქონე გოგირდის წყარო გამოედინება [...]

როგორ გავოცდი, როცა ამ სივიწროვიდან 300-იოდე ნაბიჯის გავლის შემდეგ აღმოვჩნდი მშვენიერ პატარა ხეობაში, სადაც ადამიანი თავს ლაღად და თავისუფლად გრძნობს. ეს არის ბარაკონის ხეობა, რომლის სიგრძე 3-4 ვერსამდე იქნება [...]

თავად გრიგოლ ერისთავის უბრალო, სოფლური ხის სახლის ზემოთ მდინარე ლუხუნი[21] ფაზისს უერთდება. ეს პატარა ხეობა სწორედ ამ თავადის საკუთრებაა; როგორც ამბობენ, პაპამისი დიდი მშვიდობისმოყვარეობით არ გამოირჩეოდა. ჩემს ნახატზე, პირდაპირ, ორი მდინარის შესართავთან, კუთხეში ჩანს მოშავო ფერის ხრიოკი კლდე, რომელსაც თავი ამოუყვია მის ძირშივე გაშენებული ტყის სიღრმიდან. ამ კლდეზე დგას ციხე ორი კოშკით: აი, ასე გამოიყურებოდა თავად ერისთავის კარ-მიდამო, რომლის სახელწოდებაც – „მინდა-ციხე“ (რაც ციხის საჭიროებას აღნიშნავს) კარგად მეტყველებს აქ გამეფებულ შფოთსა და გაუთავებელ ომიანობაზე მეთვრამეტე საუკუნეში ([2]).

([1]) გიულდენშტედტი წერს Zessi.

([2]) იხილეთ ატლასი, II სერია, ფერწ., ფურც. 19, b. მინდა-ციხის ხედი შევალიე გამბასაც აქვს მოცემული თავის ატლასში, რომელიც მის ნაშრომს ერთვის, მაგრამ ეს ხედი პარიზში იყო შექმნილი. მხატვარს უთხრეს: დახატეთ ჩანჩქერი, რომელიც მდინარეში ვარდება, გვერდით დაუხატეთ მოშავო კლდე, ზემოთ კი – ციხე, და ნახატიც მზად არის! მდინარე, ციხე და კლდე მართლაც რეალურად არსებობს, მაგრამ ნუღარ იკითხავთ, არის თუ არა ოდნავი მსგავსება დეტალებში, განსაკუთრებით კი – არის თუ არა ბარაკონში ნაძვები.

თავისი წინაპრების მსგავსად, თავადი ერისთავიც რაჭის მმართველის ტიტულს (Ratchis-Eristavi – რაჭის ერისთავი) ატარებდა და იმერეთის მეფის მორჩილებაში განაგებდა ამ კუთხეს. 1767 წელს თავადმა[22] ჩათვალა, რომ საკმაოდ ძლიერი იყო საიმისოდ, რათა დადიანისა და გურიელის მსგავსად, თვითონაც განთავისუფლებულიყო სოლომონ მეფის ქვეშევრდომობისაგან. მით უფრო, რომ იმ დროისათვის მეფე ძირითადად თურქებისაგან თავდაცვით იყო დაკავებული; მაგრამ ამ უკანასკნელს მაინც აღმოაჩნდა საკმაო ძალა, რათა გაურჩებული ერისთავი თავისი გავლენის ქვეშ დაებრუნებინა: საჩხერელი წერეთლების დიდი დახმარებით, რომელნიც შურით შეჰყურებდნენ რაჭის ერისთავთა გაძლიერებას, მეფემ მალევე ისევ დაიმორჩილა თავადი, რის შემდეგაც მას თვალები დათხარა, ხოლო რაჭის საერისთავო სამეფო სამფლობელოებს შეუერთა, როგორც წერეთლების (საწერეთლოს?–ლ.მ.) ნაწილი. თავისი შურისძიება მეფემ იმით დააგვირგვინა, რომ ბარაკონში გაანადგურა თავადის საცხოვრებელი, რომელიც 1771 წელს, როდესაც გიულდენშტედტი სოფელ წესში რამდენიმე დღის მანძილზე ელოდებოდა ბრძანებებს და თვით სოლომონის ვიზიტს[23], ფერფლისა და ნანგრევების გროვას წარმოადგენდა ([1]).

შემორჩენილია მხოლოდ ციხის სახურავის რამდენიმე ფრაგმენტი, ციხე კი მთლიანად მიტოვებულია; ქვის ხიდი, ლუხუნის კლდეების ზემოთ, ნახევრად დანგრეულია, ისევე როგორც კოშკი, რომელიც მის მისასვლელებს იცავდა.

თავისი დიდების პერიოდში თავადმა ერისთავმა, რომელსაც თვალები დათხარეს, ფაზისისა და ლუხუნის შედინების ადგილის ზემოთ აგებული პატარა სამლოცველო მშვენიერი ეკლესიით შეცვალა; ეს იყო ყველაზე საუკეთესო ეკლესია, რომელიც დიდი ხნის მანძილზე იმერეთში აუგია რომელიმე მეფეს ან კერძო პირს. იგი თლილი ქვებითაა ნაგები, ნამდვილ ქართულ სტილში. კარნიზები, სვეტები და სარკმლის ჩარჩოები მშვენივრად გამოძერწილი ჩუქურთმებით არის დაფარული. ეკლესია აგებულია 1753 წელს.

სადილად თავად გრიგოლთან წავედით. იგი შინ არ დაგვხვდა, მაგრამ მისი მეუღლე შეეცადა კარგი მასპინძლობა გაეწია ჩვენთვის: ძველი ცაცხვის ქვეშ, რომელიც საამო ჩრდილს ფენდა ეკლესიას, მან საჭმელი გამოგვიგზავნა, თვითონ კი არ გამოჩენილა, რად-

---

([1]) გიულდენშტედტი, Reise, კლაპროტის გამოც., გვ. 144.

გან ეტიკეტის თანახმად, ქმრის არყოფნისას ჩვენთან ურთიერთობა ეკრძალებოდა.

თავადის სახლის ზემოთ, 2 ვერსის დაშორებით, ბარაკონის ხეობა კვლავ ჰერმეტულად იკეტება, მაგრამ ეს უკვე აღარ არის კირქვის დიდებული კლდეები, სადაც ეკლესიაა აგებული: პიროქსენიკური პორფირიტები აქ ფაზისს კვეთენ და თავიანთ ნაკვალევზე ერთად შექუჩებული შავი კლდეების ქაოსს ტოვებენ. დიდებული სანახავია, როგორ მოექანება აქაფებული და აზვირთებული მდინარე უზარმაზარ ლოდებს შორის, რომლებიც უხვად გვხვდება მის კალაპოტში და აქ იგი ისევეა შემჭიდროვებული, როგორც პირველ რაბთან. ამ ხეობის სიგრძე მხოლოდ ერთი ვერსია; მალე ფაზისის ხეობის მეორე, გაფართოებულ ნაწილში შევედით, რომელიც სოფლებითა და ველ-მინდვრებით იყო დაფარული.

პირველი სოფელი, რომელიც ბარაკონიდან 5 ვერსზე შეგვხვდა, ქვედა სორი[24] იყო. ორი ძველი, ოთხკუთხა და განმარტოებით აღმართული კოშკის გამო იგი შორიდანვე შესამჩნევია.

აქედან 4 ვერსის მოშორებით დიდი სიამოვნებით დავათვალიერე და დეტალურად დავაკვირდი ერთ-ერთ იმერულ წისქვილს. მსგავსი წისქვილები ძალზე ხშირად გვხვდება ხოლმე გამდინარე წყლებზე და მათი უმარტივესი მოწყობილობა (1) აქვთ: 20 ფუტი[25] სიგრძისა და 6 ფუტი სიგანის წყალსადინარი მილი ამოძრავებს 5 ფუტის ვარდნილობისა და 2 ფუტი სიღრმის მქონე წყალს 2,5 ფუტის დიამეტრის ჰორიზონტალური ბორბლის წინააღმდეგ, რომელსაც 20 ლაპოტი აქვს. წყალი ეცემა ბორბლის ლაპოტების გვერდით, რომელსაც ხე აბრუნებს, რის შედეგადაც ამოძრავდება წისქვილის ზედა დოლაბი (მისი დიამეტრი სულ 19 დიუიმია)[26]. ფქვილი გვერდიდან იყრება, ხოლო პატარა ხე, რომელიც დოლაბზე მოძრაობს მისი ბრუნვის კვალდაკვალ, საკმარისად არხევს ძაბრს საჭირო რაოდენობის მარცვლის ჩასაყრელად. აი, მთელი მექანიზმი წისქვილისა, რომელიც მოთავსებულია 7-8 ფუტის ფართობის მქონე ხის არამყარად შეკრულ შენობაში. აქ ერთ დღეში შეიძლება დაიფქვას 4 ბათმანი, ანუ 24 ოყა (100 თურქული გირვანქა) მარცვალი[27].

ამ ადგილას ფაზისი ხის ხიდით გადავლახეთ, გავუყევით მის მარცხენა ნაპირს და დავინახეთ ამფითეატრისებურად აღმართული შარდომეთი; ფარახეთი[28] მთაზე იყო გაშენებული, ხეობა კი მის

(1) იხილეთ ატლასი, III სერია, არქიტ., ფურც. 32.

კუთვნილ ველ-მინდვრებს ეჭირათ. ასეთივე მდებარეობა ჰქონდა სევასაც ([1]).

ბოლოს, მეჩვიდმეტე ვერსზე თვალი ვერ მოვწყვიტეთ ველთეთრის[29] ულამაზესი ციხის ნანგრევებს, რომლის ორი კოშკი ამოზრდილიყო ძველი, დიდრონი ხეების სიღრმიდან; ეს ხეები თითქოს მათ დაფარვას ცდილობდნენ, რაც კიდევ უფრო დიდებულ სანახაობას ქმნიდა. ჩამოვედით პატარა გორაკიდან და ონის (გამოითქმის როგორც Youoni) მშვენიერ ხეობაში აღმოვჩნდით ([2]). [...]

ონი[30] ზემო რაჭის მთავარი ქალაქია და აქ მდებარეობს გრიგოლ წერეთლის საგვარეულო რეზიდენციაც; მისივე საკუთრებაა აგრეთვე დაბის ერთი ნაწილი და რაჭის სხვა დიდი მამულები. ყოველ პარასკევს აქ იმართება ბაზრობა, სადაც იყიდება მარცვლეული, ცხენები, ჩოხები, ქეჩა, წედისის რკინა და სხ., ისევე, როგორც ქუთაისის ბაზრობაზე.

მოსახლეობის ერთ ნაწილს ებრაელები შეადგენენ; მათ აქ ბაზარიც აქვთ. დიდი ხნის წინათ ეს ებრაელები წერეთლებს ჩამოუყვანიათ და ყმებად გაუხდიათ ([3]). გრიგოლ წერეთელს დღესაც უნდოდა, რომ მათ თავისი ყმებივით მოპყრობოდა, მაგრამ ებრაელები აუჯანყდნენ, საჩივრით მიმართეს იმერეთის მმართველს, რომელმაც ჩათვალა, რომ წერეთლები ბოროტად სარგებლობდნენ თავიანთი ძალაუფლებით, როცა ებრაელებს ბატონყმურ მორჩილებაში ყოფნას აიძულებდნენ, რადგან ეს უკანასკნელნი თავიდანვე თავისუფალნი იყვნენ და კოლონიზაციის შემდეგაც ასეთებად დარჩნენ. ამასთან დაკავშირებით გრიგოლ წერეთელმა, რომელსაც არ სურდა, რომ ეს საკითხი სადავო გამხდარიყო, მმართველს მოახსენა, რომ თუკი ებრაელები არ იყვნენ ყმები, ის, ანუ გრიგოლი, ხომ იყო მფლობელი და ბატონ-პატრონი იმ ტერიტორიისა, სადაც ისინი სახლობდნენ; ხოლო რადგანაც ებრაელები უარს აცხადებდნენ მძიმე სამუშაოს შესრულებაზე, მას თავისი მიწების დასამუშავებლად სხვები უნდა მოეყვანა, ამიტომაც მმართველს მოსთხოვა, ებრაელებისათვის ებრძანებინა, რაც შეიძლება მალე დაეტოვებინათ წერეთლის სამფლობელოები. ამის საპასუხოდ მმართველმა ველარაფერი მოიფიქრა და ებრაელებს უბრძანა, გუდა-ნაბადი აეკრათ. ახლა საქ-

---

([1]) შარდომეთი, რომელიც გიულდენშტედტთან Thardomethi-ს ფორმით გვხვდება, ბარაკონიდან 10 ვერსზეა, ფარახეთი – 12 ვერსზე, სევა კი – 14 ვერსზე.

([2]) იხილეთ ატლასი, II სერია, ფურც. 19, a.

([3]) გიულდენშტედტმა ისინი აქ უკვე 1771 წელს ნახა

მე უკვე სხვაგვარად დატრიალდა: ებრაელებს აქედან წასვლა არ სურდათ. არ ვიცი ბოლოს როგორ მოაგვარეს ეს საქმე თავადთან, რომელიც სრულებითაც არ აპირებდა რაიმეს დათმობას.

ონში თავადმა გრიგოლმა ქვის სახლი აიშენა, რომელიც ამ მხარეში შეიძლება სასახლედაც ჩაითვალოს. იგი ჩემს ნახატზე ხეობის სიღრმეში, ხელმარჯვნივ ჩანს, ინტერიერის განლაგება კი ადგილობრივი ტრადიციის გათვალისწინებით არის შესრულებული.

ზემო რაჭის ირგვლივ მდებარე ხეობების ყველა სამიმოსვლო გზა ონშია თავმოყრილი: ყვირილის ხეობიდან პირდაპირი გზა მიემართება საჩხერეში, სადაც მთელი წერეთლები ერთად ცხოვრობენ; მეორე გზა წედისის[31] სამჭედლოსა და რკინის ჩამოსასხმელი საამქროსაკენ მიდის, იგი 8 ვერსის მანძილზე აღმა მიუყვება ჯეჯორას[32]. ხოლო აქედან 10 ვერსის მოშორებით ქვეყნის სიღრმეში, კედელას[33] ძირში სოფელია. აქაური მადნის დაახლოებით ნახევარი იძლევა თუჯს; იგი მოიპოვება მონაცრისფრო კლდეში, რომელიც კომპაქტური აგებულებისაა და ყველა მიმართულებით არის დასერილი. მარცვლის ფორმის მქონე მადანი ყავისფერია. მისგან მიიღება მთელ კავკასიაში ერთ-ერთი საუკეთესო ხარისხის რკინა, რომელსაც წედისის მოსახლეობა ამუშავებს და მას სხვადასხვანაირ ფორმას აძლევს. აქედან ადვილი შესაძლებელია დიდი მოგების მიღება, თუკი მისი დამუშავებისას ევროპულ მეთოდებს გამოიყენებენ.

ძალიან ცუდია, რომ ონი რამდენიმე მემამულის საკუთრებაა და როდესაც რომელიმე უცხოელი მთავრობის სახელით მათ რაიმე თხოვნით მიმართავს, მისთვის არავინ იწუხებს თავს: ბრძანებას ერთმანეთს უგზავნიან, ამასობაში დროც გადის და მთხოვნელს თვითონვე ბეზრდება უშედეგოდ სიარული. კარგი იქნება, თუკი ეს საქმე ისე მოგვარდება, რომ ნებისმიერ მთხოვნელს აღარ დასჭირდება მომაბეზრებელი ლოდინი! ხელოსანი ბევრს ეცადა, რომ ჩვენს დასაბინავებლად პატარა კუთხე ეშოვნა, ხან ერთთან მივიდა, ხან მეორესთან, მაგრამ ეუბნებოდნენ, მეზობელთან მიდიო. ალბათ საერთოდ უბინაოდ დავრჩებოდით, რომ არ შეგვხვედროდა ნიკოლოზის ნაცნობი, რომელიც იმ დროს იქ იმყოფებოდა. მან წაგვიყვანა თავის მასპინძელთან, რომელმაც გვიწილადა ვახშამი და თავის მიწურშიც ადგილი გამოგვიყო. ეს ნამდვილად განსხვავდებოდა იმ მიღებისაგან, რომელსაც სხვაგან შევსწრებივართ.

მეორე დღეს მთელი დილა ნანგრევებისა და კლდეების დათვალიერებაში გავატარე; ჩავხატე ონის ხედი ზუსტად იმ ადგილიდან, საიდანაც იგი წინა დღეს, ჩამოსვლისას პირველად დავინახე. ეს იყო

ულამაზესი ხედი. იმისათვის, რომ მკითხველი უკეთ გაერკვეს ჩემს ნახატში, მცირეოდენ განმარტებებს მოვიშველიებ.

დაბის უკანა მხარეს, სიღრმეში, ონის ხეობა იხსნება, რათა ხელმარცხნივ გზა მისცეს ფაზისს. უფრო ზემოთ კი ეს მდინარე ტყით შეფენილ ფერდობებს შორის გაედინება, რომლებიც ერთ მხრივ მარადიული თოვლით დაფარულ შოდას მწვერვალებსა და მეორე მხრივ – ზოროპას (Zoropa)[34] ორ შავ პირამიდას შორის არიან მოქცეულნი.

შოდა ავსებს მთელ იმ მოსახვევს, რომელსაც ფაზისი სათავიდან ღების ზემოთ – ონამდე ქმნის [...]

საკაურა[35] სამხრეთ-დასავლეთის ფერდობიდან ჩამომდინარე წყლებს იერთებს და ონის ზემოთ ისიც ფაზისს შეედინება.

შოდას მოპირდაპირე მხარეს ზოროპა ფაზისის მარცხენა ნაპირს ავიწროვებს. ორივე ეს მწვერვალი ფიქლისაა და მკვეთრი დაქანება აქვთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მთელი წლის განმავლობაში აქ შენარჩუნებულია პატარ-პატარა თოვლიანი მონაკვეთები. რა მხრიდანაც არ უნდა შეხედოთ, მათ პირამიდის ფორმა აქვთ; მათი შავი, მოშიშვლებული კალთები ნაკლებად დაქანებულ და ტყით დაფარულ ფერდობებს ეყრდნობიან. სწორედ ამ მიდამოებიდან იღებს ღარულა[36] თავისი გამჭვირვალე წყლის უმეტეს ნაწილს. ზოროპა ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე შოდა, რომლის მწვერვალები სიმაღლით 11 000, ზოგჯერ კი – 12 000 ფუტს აღწევენ.

მთების ამ ორ ულამაზეს ჯგუფს შორის, ჰორიზონტზე მოჩანს კედელას (1) ორი შორეული მწვერვალი, რომლებიც ხელარს (Ghelas) უკან[37] არიან აღმართულნი. ადგილობრივი მოსახლეობა მათ დიგორიულს (Digoriennes ანუ Dougoriennes) უწოდებს, რადგან აქ არის დიგორელებთან[38] (დიგორებთან) მისასვლელი ვიწროები. ყველაზე მაღალი ამ მწვერვალთაგან თოვლის საფარითაა შემოსილი.

სხვადასხვა ობიექტების ლაბირინთი პეიზაჟს განსხვავებულ ელფერს აძლევს. ყოველი მიმართულებით სოფლებია მოფენილი: ლაჩთა თავისი კოშკებით – ფაზისის მარჯვენა ნაპირის პლატოზე, ონის პირდაპირაა; ღარულა იმ პლატოზეა, რომელიც ფაზისსა და ღარულას შორის კუთხეს ქმნის; უფრო მოშორებით, ფაზისზე აღმართულ ფერდობებზეა ნაკიეთი და ფარავნეში[39].

---

(1) კლაპროტი და გიულდენშტედტი წერენ Kedela–ს; ეს სიტყვა, არ ვიცი რომელ ენაზე, ნიშნავს კედელს.

ონის სამი ციხის ნანგრევებში ვერაფერი ღირსშესანიშნავი ვერ აღმოვაჩინე. ოთხკუთხა კოშკები თავისი სათოფურებით, ფაზისიდან მოზიდული ღორღითა და ლოდებით ნაშენი სქელი კედელი, არავითარი არქიტექტურული ორნამენტი, არავითარი წარწერა, აქაურობა სრულიად უკაცრიელია.

ონში, ისევე როგორც სხვაგან, ძალზე გაგვიჭირდა ცხენების შოვნა. ტკბილი სიტყვით ვერაფერს გავხდით. ბოლოს კი, დიდი თხოვნა-მუდარის შემდეგ მომიყვანეს ცხენი... უნაგირის გარეშე; სხვა გზა არ იყო, ფეხით წავედით, ცხენი კი თოკით მიგვყავდა და ვიმედოვნებდით, რომ მეზობელ სოფლებში მაინც ვიშოვნიდით უნაგირს. უფრო მსუბუქად რომ მემგზავრა, მთელი ჩემი ბარგი მასპინძელთან დავტოვე. საბედნიეროდ, გამგზავრების წინ განგებამ შეგვახვედრა უწერელი ხელოსანი, მამაცი მთიელი, რომელმაც, შეიტყო რა, რომ უწერაში[40] ვაპირებდით წასვლას, ჩვენი მეგზურობა იკისრა. ნუთუ ეს მხოლოდ ბედნიერი დამთხვევა იყო?

ონიდან 2 ვერსზე ფონით გადავლახეთ ღარულა, რომელიც მთებში იღებს სათავეს და ფაზისში ჩაედინება. ფაზისზე აღმოვაჩინეთ ხის ხიდი და მარჯვენა ნაპირზე გადავედით იმ ადგილის ქვემოთ, სადაც მას საკაურა უერთდება. ფაზისის წყალი სუფთაა, ხოლო ღარულასი და საკაურასი – მეტისმეტად გამჭვირვალე.

ამ ადგილას ფაზისის ხეობა ვიწროვდება პორფირიტული კლდეებით, სადაც აქა-იქ ფიქალიც ურევია. ვიწრო და ღრმა ნაპრალი იხსნება და გზას აძლევს საკაურას. ეს კუთხე ყველაზე ვიწრო და ჩაბნელებულია, მაგრამ სწორედ აქ, ასიოდე ნაბიჯზე იმ დანგრეული კოშკიდან, რომელიც აღმართული იყო, როგორც საკაურას შესართავის საზღვარი, ხეებითა და მაღალი კლდეებით დაჩრდილულ ადგილას მოურავ ჯაფარიძეს საცხოვრებელი სახლი აუგია: მას ლაგვანთა[41] ეწოდება. მოურავს უნაგირი ვთხოვეთ, მაგრამ უარი მივიღეთ, გვითხრა, თავისუფალი უნაგირი არა მაქვსო. მხოლოდ ნაკიეთში, ლაგვანთადან 3 ვერსით დაშორებულ დიდ სოფელში შევძელი ნამდვილ ცხენოსანს დავმსგავსებოდი. აქ მთავრდება პორფირიტული კლდეები და როდესაც ფაზისს აღმა ავუყევით, გზად მხოლოდ ფიქლის კლდეები გვხვდებოდა.

ონიდან 7 ვერსზე ავედით ციცაბო, მაგრამ დამუშავებულ ფერდობებზე, რომლებიც ფაზისის გაყოლებით, მისი კალაპოტიდან არანაკლებ 400-500 ფუტის ზემოთ განლაგებულიყვნენ. ჩავედით სოფელ ფარავნეშში, სადაც 5-6 კვადრატული კოშკია და თითოეულ მათგანზე ხის სახლია მიშენებული: ეს არის ხეობის მაღალ ნაწილში მოსახლე მთიელების ხუროთმოძღვრული სტილი. კოშკებში ჩაჭრი-

ლია სათოფურები და ყოველ კოშკს მხოლოდ ერთი შესასვლელი კარი აქვს მასზე მიშენებული სახლის ინტერიერის სართულზე. ამ სოფელში მშვენიერი ჰაერი იყო, სოფლის ირგვლივ ვენახები გაეშენებინათ, სადაც ყურძენი უკვე მწიფე და საჭმელად ვარგისი იყო.

ჩვენმა ხელოსანმა გვირჩია, გავჩერებულიყავით ნიგავზებში, რომელიც ფარავნეშიდან ერთ ვერსზეა; მასაც ისეთივე მდებარეობა აქვს და ვენახებშია ჩაფლული. სოფლის მოედნები კაკლის ხეებით იყო დაჩრდილული. აქედან გადავყურებდით ფაზისის ხეობას([1]).

აქედან მოყოლებული, ფაზისის მთელ სიგრძეზე, ფიქალის გასწვრივ ამოსჩქეფს უამრავი მჟავე და რკინის შემცველი წყარო. ნიგავზების წყარო არ არის ძალიან მჟავე, მისი ტემპერატურა $9,5^0$ – ს უახლოვდება. ამ წყაროების წყალს პირუტყვი სიამოვნებით სვამს, მოსახლეობა კი, როგორც გიულდენშტედტი ამბობს, მას პურის ცომის გასაფუებლად იყენებს.

მეორე დღეს, 13-ში, ჩვენმა ხელოსანმა, რომელიც ჩინებულად გემსახურებოდა, წაგვიყვანა უწერაში, რომელიც თითქმის ზედ ეკვრის ნიგავზებს. მან მიგვიყვანა თავის ბატონთან, წარჩინებულ მოურავთან – გოგია გამყრელიძესთან. ეს იყო მოხუცი წითლად შელებილი ულვაშებით. მან ფაზისის ნაპირზე, თავის კარ-მიდამოში გაშენებული ხეების ქვეშ მიგვიღო ([2]). სხვადასხვა ხეებს შორის გავარჩიე ცირცელი, რომლის დიამეტრი 4 სამეფო ფუტს და 9 დუიმს შეადგენდა. ვიდრე ჩვენს ცხენებს, რომლებითაც ღებში[42] უნდა წავსულიყავით, უნაგირს ადგამდნენ, კეთილმა მოხუცმა საუზმე მოგვართვა. შუა ჭამაში ვიყავით გართულნი, როცა ლაგვანთადან თავადი ჯაფარიძე გამოგვეცხადა ათიოდე კაცისაგან შემდგარი ამალის თანხლებით და მითხრა, რომ ღებამდე გამოგვყვებოდა: წინა დღეს მან უნაგირზე მითხრა უარი, ახლა კი, როგორც ჩანს, აზრი შეიცვალა. მისი ამგვარი ყურადღების მიმართ არავითარი მადლიერება არ გამომიხატავს და მომავალში დავრწმუნდი კიდეც, რომ მართალი ვიყავი. მისი ამალის ერთი ნაწილი კბილებამდე იყო შეიარაღებული, დანარჩენებს კი მოჰყავდათ შევარდენი და მოჰქონდათ ბადეები ღების ახლოს, ჩვეშურაში[43] კალმახის დასაჭერად.

([1]) ფაზისის მარცხენა ნაპირზე, ფარავნეშის პირდაპირ ჯინჭვისია, ხოლო ნიგავზების მოპირდაპირე მხარეს კი ჯარონეთი (Djarvaneti) თავისი ვენახებით.

([2]) იხილეთ ატლასი, II სერია, ფურც. 19, c.

ფაზისის ნაპირებთან სულ ახლოს, უწერაშიც არის აგრეთვე დიდი რაოდენობით რკინის შემცველი, მჟავე წყალი, 9^0 ტემპერატურით.

მიუხედავად იმისა, რომ უწერამდე ფაზისის ხეობა ვიწროა, აქ მაინც საკმაო სივრცეა გზებისა და ველ-დაბლობებისათვის. ხშირ შემთხვევაში ხეობის ფერდობებსაც არ ჰქონდათ დიდი დაქანება, ასე რომ მათი დამუშავება სავსებით შესაძლებელი იყო. ბუნება აქ მთლიანად იცვლება: უკანასკნელი ვენახის შემდეგ, იქვე ახლოს, მდინარიდან ოდნავ ქვემოთ აღმართულ მაღლობზე, პირველად ვხვდებით არყის ხეებს და გარემოც ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ქვეყნის დასალიერში იმყოფებით. აქვეა გადაჭიმული მინდვრებიც, სადაც ძველი ცაცხვის ხეებით დაჩრდილული უძველესი ეკლესია[44] დგას. იგი ტუფის ქვით არის ნაგები, არა აქვს ორნამენტები და ცნობილია მთელ ხეობაში, თვით იმერეთშიც კი; აქ ბევრი მომლოცველი მოდის, რამდენიმე ჯგუფი ჩვენც შემოგვხვდა, მათში უფრო ქალები სჭარბობდნენ. აქ დადიოდნენ ჯანმრთელობის აღსადგენად, ძირითადად კი – ნახშირორჟანგით გაჟღენთილი ჰაერის ჩასასუნთქად, რომელიც დიდი რაოდენობით ამოედინება ეკლესიის უკან მდებარე ფიქლის ქანებიდან. ავადმყოფები ხვრელებში ყოფენ ცხვირს და ისუნთქავენ გაზს, რაც ძლიერ ცხვირის ცემინებას იწვევს. ქვემოთ, აქედან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, ფიქალიდან მჟავე წყალი ამოდის.

აქ მთავრდება დასახლებული სამყარო: გლოლის წყლის[45] შესართავამდე რიონი კლდეებში ისეა მოქცეული, რომ ხშირად კლდის ფერდობზე რაჭისკენ მიმავალი გზისთვის ადგილიც კი აღარ რჩება.

დეფილეს შესასვლელში ([1]) სევდიანად დგას ჭიდროთას[46] ციხე-სიმაგრე, რომელიც ძველად უწერის მფლობელებისა და მოურავების რეზიდენციას წარმოადგენდა, დღეს კი მიტოვებულია. ველური შვეიცარიაც კი, თავისი შემაძრწუნებელი ნანგრევებით, ნაკლებად შემზარავად გამოიყურება ამ ჩამობნელებული ხეობის უკაცრიელ კოშკებთან შედარებით, სადაც მხოლოდ აზვირთებული რიონი ბატონობს. ეს კოშკები ისე მჭიდროდ კეტავდნენ ხეობას, როგორც რაბს და ჭიდროთის ბატონების ნებართვის გარეშე მართლაც არავის შეეძლო რიონის ხიდზე გადასვლა.

მდინარეზე უხვად გადმოკიდებული ციცაბო კლდეების უზარმაზარი მასისაგან თავდასაცავად საჭირო ხდება ხან ერთ და

([1]) უწერიდან 1,5 ვერსზე.

ხან მეორე ნაპირზე გადასვლა: ჭიდროთას პირდაპირ, 6 ვერსის მანძილზე დაახლოებით რვაჯერ მაინც მოგვიხდა დიდი რისკის ქვეშ გადაგველახა უამრავი ხის ხიდი, რომლებიც ერთი ნაპირიდან მეორემდე გადებულ სამიოდე კოჭს ეყრდნობიან; 6 ფუტის სიგრძის ფიცრები ამ კოჭებზე ლარტყებით არის დამაგრებული, მოაჯირი კი არ არსებობს: აბობოქრებული ფაზისი პორფირიტისა და გრანიტის ლოდებს ეხეთქება და ისე ღრიალებს, რომ ადამიანის ხმას ფარავს; ხიდი ფეხებქვეშ ირყევა, აქა-იქ მისი დამპალი ადგილები ჟრუანტელს გვგვრის. თავადმა ჯაფარიძემ მაგალითი მიჩვენა და მირჩია, ჩამოვქვეითებულიყავი და ცხენი სადავით გადამეყვანა, რათა ხიდის ჩანგრევის შემთხვევაში ნაკლებად დავშავებულიყავი. მივდიოდით დისტანციის დაცვით: მდინარის კალაპოტი მოქცეულია შავ კლდეებს შორის, იმ ადგილებში კი, სადაც კლდე არ არის, ობელისკებივით ატყორცნილან ნაძვის ხეები და მზის სხივსაც კი არ უშვებენ; ორ გიგანტურ კედელს შორის თითქმის არაფერი ჩანს, მაგრამ ზოგჯერ, გულის გასახარად, შორს სივრცეში კავკასიონის ყინულოვანი მწვერვალები გამობრწყინდებოდნენ ხოლმე. აქ ვჩერდები, თორემ ჩემ მიერ გადმოცემული აღწერა შესაძლოა ვალტერსკოტიზმად ჩაითვალოს.

ბოლო ხიდის ქვეშ, რომელიც რიონისა და გლოლის-წყლის შედინების ადგილას იყო გადებული, თქრიალით მოჩქეფდა რკინის უხვად შემცველი, 8^0-იანი ტემპერატურის მქონე მშვენიერი წყარო. გლოლაში[47] მიმავალ მგზავრებს ხიდი არ სჭირდებათ, მასზე გადასვლა მხოლოდ ღებისაკენ მიმავალთ უწევთ. ეს უკანასკნელნი მარჯვენა ნაპირს უბრუნდებიან და საშინელი გზით ადიან ფიქლოვანი კლდის მაღალ ფერდობზე, რომელიც გასასვლელს ღობავს. მსგავსი საზარელი გზის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. როდესაც ფერდობის მეორე მხარეს ჩამოვედით, მთელი სირთულეები უკან დაგვრჩა; ხეობა კვლავ გაიშალა, გაფართოვდა და ჩვენც მხიარული განწყობით მივუყვებოდით დაბლობს ფაზისის გასწვრივ. წიფლისა და ფიჭვის ულამაზესი ხეების მიღმა ფაზისი იშვიათად ჩანს, სამაგიეროდ კარგად ისმის მისი ხმა. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ბარაკონის რაბიდან მის გამოსვლამდე, იგი მუდმივად ჩანჩქერებად ეცემა, ქაფმორეული მდინარე შხეფებს ისვრის, ეხეთქება ლოდებსა და უზარმაზარ, ფესვებდაგლეჯილ ხეებს, რომლებითაც უწესრიგოდ არის გადაჭედილი მისი კალაპოტი.

აქ ტყის მცენარეებს თანდათანობით ერევა არყის ხეები, ხშირია 3-5 ფუტის დიამეტრის ნაძვებიც; მაგრამ როგორ შეიძლება მათი ექსპლოატაცია, თუკი არც გზაა და არც ნაოსნობის რაიმე საშუა-

ლება? მით უფრო, რომ შედარებით უკეთ მისადგომ ადგილებში და საკომუნიკაციო პუნქტებთან ახლოს უამრავი ხე-ტყეა.

უწერიდან 12 ვერსზე აღმოვჩნდით ფაზისის მარცხენა ნაპირზე მდებარე ჭიორის[48] პირისპირ. ეს იყო ფანტასტიური სანახაობა! აქ უკვე თითო-ოროლა კოშკი კი არ იდგა, არამედ ეს იყო დიდი სოფელი, მოფენილი ბევრად უფრო მაღალი კოშკებით, ვიდრე ქვემო სოფლებში, და მაღალი, სათოფურებიანი სახლებით. ძველ დროში, როცა ამბოხებები და ყაჩაღური თავდასხმები მძვინვარებდნენ, თითოეული მოსახლე საცხოვრებლად ხშირად ციხე-სიმაგრეს იშენებდა: ეს იყო მაღალი, ორსართულიანი სახლი, დღის სინათლისათვის დატანებული პატარა სარკმლებითა და სახურავის ქვეშ ჩამწკრივებული სათოფურებით; ან კიდევ იშენებდნენ მაღალ, ოთხკუთხა კოშკს საცხოვრებელი შენობის კორპუსით, როგორც ეს ზემოთ აღვწერე. ვერც გერმანიაში და ვერც შვეიცარიაში ვერ ნახავთ ძველ ციხეებს, რომლებსაც ამდენი კოშკი და სათოფური ჰქონდეს და თან ასეთი ლამაზი იყოს.

ჭიორაში დაახლოებით ისეთივე კლიმატია, როგორც ჩრდილოეთ ლიტვაში; სიმინდი, რომელიც უწერაშიც კი საკმაო რაოდენობით მოჰყავთ და რომლის მოსავალსაც მთელ რაჭაში სწორედ ამ პერიოდში იღებდნენ, აქ აღარ ხარობს. მდინარის მარცხენა ნაპირის ციცაბო კალთებზე მოჰყავთ მხოლოდ ხორბალი, ქერი და შვრია; რაც შეეხება მარჯვენა ნაპირს, აქ ძალიან გრილა და ეს არის დაბურული და წიწვოვანი ტყით დაფარული მხარე (¹).

წაბლისა და ცირცველის ხეები, ველური ვაზი, დაბოლოს – ყველა სახის სამხრეთული ხე და ბუჩქი აქ უკვე აღარ გვხვდება, ისინი შეცვალეს არყის, წიფლის, ნაძვის, ფიჭვის ხეებმა და მოვერცხლილფოთლებიანმა ვერხვებმა; კაკლის ხე, სვია და ძახველი (viburnum opulus) ქმნიან ბუჩქნარებს; ერთი სიტყვით, აქაური მცენარეულობა ლიტვას მოგვაგონებს. აქა-იქ ალუბლის ხეები ენაცვლებოდნენ პანტა მსხლის ხეებს, ვაშლის ხეები კი არსად შემხვედრია, რამაც გამაოცა, რადგან ისინი ველურად იზრდებიან ჩრდილოეთის მაღალ ადგილებში და გაცილებით უფრო ზემოთაც, ვიდრე მსხლის ხეები: სავარაუდოდ, ამის მიზეზი უფრო ფიქლოვანი ნიადაგია და არა ჰაერის ტემპერატურა [...]

(¹) აქაური მარცვლეულის ნიმუშები გადავეცი გარტენვერეინს ბერლინში.

ღებიდან ექვს ვერსზე ფაზისი პირველად გადავლახეთ ფონით, ჩვეშურასთან მისი შეერთების ადგილიდან ოდნავ ქვემოთ; კიდევ უფრო ქვემოთ ამას უკვე ვეღარ შევძლებდით, რადგან იგი უეცრად წყალუხვი ხდება, რადგანაც ორივე მხრიდან მასში უამრავი წყარო ჩაედინება, ხოლო გლოლის-წყლის შეერთების შემდეგ იგი, ვფიქრობ, თითქმის იორმაგებს თავის ტევადობას. რადგანაც ფაზისის ფონი იმ ადგილასაა, სადაც მისი კალაპოტი შედარებით ფართოვდება და ამავე დროს, გადაკვეთილია მდინარის მრავალრიცხოვანი ტოტებით, ჩვენ იგი ძალზე იოლად გადავლახეთ.

გლოლისწყალი და ჩვეშურა ქაფმორეული მოედინებიან, ისევე, როგორც ფაზისი; ალბათ იმიტომ, რომ ეს მდინარეებიც სათავეს მყინვარებიდან იღებენ, წყაროები კი პირიქით, სუფთა და გამჭვირვალეა.

ღები, რომელიც ფაზისზე აღმა სვლისას ბოლო სოფელია, კიდევ უფრო ლამაზი მომეჩვენა, ვიდრე ჭიორა; მას უკეთესი მდებარეობა აქვს: უკავია გორაკის მწვერვალი და ფერდობი, რომლის ძირშიც ფაზისი მიედინება. მისი უამრავი თეთრი კოშკი და მაღალი სახლები ირგვლივ მდებარე ტყეებისა და მყინვარების ფონზე იკვეთებიან. საითაც არ უნდა გაიხედოთ – ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით თუ დასავლეთით, ცადაზიდული მთების თხემებზე მხოლოდ მარადიული თოვლი ბრწყინავს; აქედან მოსჩანს შედარებით უფრო დაბალი მთებიც, რომელთა მწვერვალები მთლიანად მოშიშვლებული და დაღარულია ([1]).

ონიდან გამომგზავრების შემდეგ შოდას ორი მწვერვალისაკენ შემოვბრუნდით, რომლებიც სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩნდებიან; ერთ-ერთი მათგანის ზედაპირი თოვლით იყო დაფარული. სამხრეთით დავინახე ზოროპას ორი შავი წერტილიც. როცა ჩრდილოეთისკენ შემოვბრუნდი, ჩემს წინ იტანისი (Ithanissi)[49] აღიმართა თავისი დიორიტული თუ გრანიტული და ყინულოვანი მწვერვალით; აქ ქანების არანაირი კვალი არ ჩანს. იმ ადგილიდან, საიდანაც ჩემი დურბინდით არემარეს ვაკვირდებოდი, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს იტანისი უზარმაზარი, მომრგვალებული, დაწნეხილი და უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი ლოდებისაგან შედგებოდა. ისე, როგორც დიანა თავის ნიმფებს შორის, ისიც ზემოდან დასცქერის

([1]) იხილეთ ატლასი, II სერია, ფურც. 18.

მის ირგვლივ მდებარე მოშიშვლებულ ფიქლოვან მწვერვალებს. ამ ფიქლებს შორის მოსჩანს ბაცი მწვანე ფერის მასა, რომელიც, სავარაუდოდ, ქარსის ფიქალია. ეს მწვერვალი მხოლოდ ნაწილობრივ არის თოვლით დაფარული.

აღმოსავლეთ-ჩრდილო-აღმოსავლეთით (E.N.E) საოცარი სიდიადით არის აღმართული დიდი დიგორის მთა (Grand Digorski), ოსეთის საუფლისწულო მამული და კედელას ქედის ერთ-ერთი კუთხე; იგი შედგება დიორიტული ფიქალისაგან ან გრანიტისაგან.

დაბოლოს, ხეობის გასასვლელის პირდაპირ, სამხრეთ-აღმოსავლეთით, ფიქლებიან კატისწვერზე (Katistsveri)[50] თოვლის კვალი ჩანს; ფასისმთა[51] კი სრულებით არ ჩანს, იგი მთლიანად არის დაფარული.

თავად ჯაფარიძესთან ერთად მშვენივრად ვიმგზავრე ღებამდე, სადაც დღის პირველი საათისათვის ჩავედით. მთელი შემადგენლობით გავედით სოფლის შუაგულში და ჩამოვჯექით ქვის მერხებზე, რომლებიც ერთ ძველებურ სახლზე მიემაგრებინათ. ამ სახლს 60 ფუტის სიმაღლის, თაბაშირით კარგად შელესილი, სათოფურებიანი კოშკი ამშვენებდა. სათოფურები ყვითელ და წითელ ფერებში შესრულებული უბრალო ნახატებით მოერთოთ, ზემოთ კი ჯვარი თუ ხელები იყო გამოსახული.

თავადი ჯაფარიძე ღების მოურავი იყო, ასე რომ არაფერი მქონდა სადარდებელი. მიუხედავად ამისა, ვხედავდი, რომ დრო უქმად მეკარგებოდა: საკმაოდ დიდხანს ასეირნეს ჩვენი ცხენები, შემდეგ უნაგირები მოხსნეს და საბალახოდ წაიყვანეს. დროდადრო თავადს ვეკითხებოდი: „რას ვაკეთებთ, ვისადილებთ თუ არა? მე აქ ბევრი საქმე მაქვს და დროს ვერ დავკარგავ“. – „ცხადია, ვისადილებთო, – მეუბნებოდა იგი, – ერთი წუთით მოითმინეთ, ბრძანება უკვე გაცემულიაო თქვენს დასახვედრად“.

ღების რამდენიმე მცხოვრები ჩვენს სანახავად მოვიდა, აინტერესებდათ, ვინ ვიყავით და რის გაკეთებას ვაპირებდით, მაგრამ მოურავის ბრძანების შესრულებას არავინ ჩქარობდა. ამასობაში მე უკვე მოთმინებას ვკარგავდი, მინდოდა სადმე წავსულიყავი, მაგრამ მეუბნებოდნენ, ცოტა კიდევ მოიცადეთო... უკვე ღამდებოდა და ჯერ კიდევ არ ვიცოდით, დაგვაბინავებდნენ სადმე თუ არა.

ბოლოს ერთ-ერთმა ღებელმა ჩვენ მიმართ მოწყალება გამოიჩინა და დაგვაბინავა თავის ბეღელში, რომელიც წინასწარ დაცალეს და დაასუფთავეს. ბეღელი იმდენად დაბალი იყო, რომ მხოლოდ მოხრილად შეიძლებოდა დგომა, ხოლო როდესაც ცეცხლი დავანთეთ და

ირგვლივ შემოვუსხედით, აღმოჩნდა, რომ მას არც საკვამლე მილი ჰქონდა და კვამლი მხოლოდ კარიდან გადიოდა. დიდი თხოვნის შემდეგ რაღაც საჭმელიც მოგვიტანეს და განსაკუთრებული თავაზიანობა მხოლოდ ჩემს მიმართ გამოიჩინეს.

საბედნიეროდ, ჯერ კიდევ გვქონდა შემორჩენილი ცოტაოდენი სურსათ-სანოვაგე. ამ მხრივ ჩემი ნიკოლოზი ნამდვილი სანჩო გახლდათ: გამგზავრების წინ იგი ყოველთვის შეძლებისდაგვარად ავსებდა თავის ხურჯინს პურით, წიწილებითა და სხვა საკვებით. ვინ მოთვლის, რამდენი ვერსი მატარა ზედმეტად რაღაც ნახევრად ფეტვის მსგავსი ბურღულის შესაძენად, რომელიც მან ბაღდადში იყიდა ფქვილის ნაცვლად და რომელსაც ჩვენ არც კი გავკარებივართ; ამავე დროს, ჩვენს ტიკში ჯერ კიდევ იყო დარჩენილი საზანოური ღვინო, ამგვარად, საწუწუნო არაფერი გვქონდა. თუმცა დასანანი იყო, რომ ეს ღვინო სხვებისთვისაც უნდა შეგვეთავაზებინა. ნიკოლოზი ცდილობდა გადაენახა ჩვენი ღვინო და გვაიძულებდა დაგველია საქსონიის შტრუმსვემებისა (Strumsvem) თუ შულვეინების (Schulwein) ღირსეული ნექტარი, რომელიც ჩვენმა მასპინძელმა ქვემო რაჭიდან ჩამოიტანა და კეთილი გულით გვთავაზობდა; ეს ღვინო იმდენად საძაგელი იყო, რომ მხოლოდ რამდენიმე ყლუპის დალევა გავბედე და მიუხედავად იმისა, რომ მას საზანოს მშვენიერი ღვინო დავაყოლე, ბედისწერას მაინც ვერ გავექეცი და მთელი ღამე შეუძლოდ ვიყავი: ოჰ, ეს იყო საშინელი ღამე, რომელიც ოხვრითა და კვნესით გავატარე ჭვარტლით სავსე, დაბალ და ვიწრო საკუჭნაოში.

დილის ჩაიმ მალე გამომაკეთა და, გამხნევებულს და გამხიარულებულს, მეცინებოდა ჩემს თავადზე, რომელმაც მთელი ნახევარი დღე დამაკარგვინა და სანაცვლოდ სხვა ვერაფერი გასართობი ვერ მომიძებნა გარდა იმისა, რომ ჩემი ქვის მერხიდან დამანახა ქალები, რომლებიც მომრგვალებულ კალოზე ანიავებდნენ, ცხრილავდნენ და მზეზე აშრობდნენ ხორბალს.

როდესაც ქალები ამ საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი, მათთან მივიდა ვიღაც მეზობელი თუ ნათესავი ქალი, რომელიც, როგორც ჩანს, ახალი გათხოვილი იყო; ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ და ისეთივე პატივისცემა და თავაზიანობა გამოხატეს, როგორც ეს ჩვენთან, ევროპაშია მიღებული.

ქალებს თავსაფარი ისეთნაირად ჰქონდათ წაკრული, რომ სახე თითქმის არ უჩანდათ, განსაკუთრებით კი ნიკაპი და პირი ისე საგულდაგულოდ ჰქონდათ შენიღბული, თითქოს რაღაც დიდ საიდუმ-

ლოს ფარავდნენ; თუმცა სხეულის სხვა, უფრო მოსარიდებელი ნაწილების გამოჩენას სრულებითაც არ უფრთხოდნენ. ასევე იქცევიან ებრაელი ქალები ლიტვაში: გათხოვებამდე მათ თავს გრძელი თმა უფარავს, ხოლო გათხოვების შემდეგ კი თმებს მოკლედ იჭრიან და ატარებენ თავსაბურავს, რომელსაც მხოლოდ ქმრების წინაშე იხსნიან. მორალისა და პატიოსნების თვალსაზრისით დიდ დანაშაულად ითვლება, თუკი ვინმეს თმის კულული გამოუჩნდება, მაგრამ არაფრად აგდებენ, როცა დედიშობილა ჩნდებიან მდინარის ნაპირზე ან საზოგადოებრივ აბანოებში, სადაც ისინი ერთად დადიან ხუთშაბათობით ან დიდი დღესასწაულების წინ.

სოფლების – ღების, ჭიორასა და გლოლის მოსახლეობა თავისი ხასიათითა და ზნე-ჩვეულებით თავისუფლებისმოყვარე მთიელები არიან. ისინი ქართველები არიან და სასაუბრო ენაც ქართული აქვთ. ფარავნეშიდან მოყოლებული, ყველა მათგანი ჩერქეზულ ჩოხას (tcerkesse) ატარებს; ქალებმაც შეითვისეს ჩოხის ანუ ჩერქეზული ზედა ტანსაცმლის ტარება. ეს საბრალო ქალები თავიანთი ქმრების მონები არიან: ისინი აკეთებენ ყველაფერს, ასრულებენ არა მხოლოდ სახლის სამუშაოებს, არამედ ართავენ ქსოვილებს, ანიავებენ ხორბალს, დადიან ყანასა და წისქვილში. ამ ჩამორჩენილ ხალხში ქორწინება სულაც არ არის ძალზე წმინდა ან საპატიო მდგომარეობა: როდესაც საკუთარი ცოლი მობეზრდებათ, მას სხვას გადასცემენ, ამ უკანასკნელსაც თავის მხრივ შეუძლია ქალი კიდევ ვიღაც მესამეს დაუთმოს.

მღვდლებს აქ ნაკლებად სცემენ პატივს, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიები მრავლად აქვთ. ღების ეკლესია[52] ძველია და ძალიან სადა, ოთხკუთხა გუმბათით, ისევე როგორც შვეიცარიაში, ნევშატელის კოლეგიუმი. იგი ქართულ სტილშია ნაგები. შესასვლელი სავსეა ხარის რქებით, რაც ასევე ხშირად გვხვდება მთელ კავკასიაში, სადაც თითოეულ რელიგიურ დღესასწაულს თან ახლავს ხარის მსხვერპლად შეწირვა. ქრისტიანობამ მთლიანად ვერ აღმოფხვრა მსხვერპლშეწირვის უძველესი ჩვეულება.

საფლავები, რომლებიც ეკლესიის ირგვლივ, სოფლის ყველაზე ამაღლებულ ტერასაზეა განლაგებული ([1]), ისეთივეა, როგორც ზოგადად სხვა ქართველი ტომებისა და ასევე – ჩერქეზებისა: ეს არის უბრალო ფილით დაფარული სარკოფაგები ან ქვაყუთები.

([1]) ჩემს ნახატზე შეგიძლიათ იხილოთ ეკლესია სოფელ ღების თავზე.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მთიელები ქრისტიანები არიან, ისინი მკაცრად იცავენ სისხლის აღების წესს. ვისაც შურისძიება ემუქრება, იძულებულია, გაიქცეს ან გადაიმალოს. საზოგადოებაში ისინი მხოლოდ კარგად შეიარაღებულნი ჩნდებიან და თან ახლავთ თავისიანთა ჯგუფი, რომელიც ამ დროის მანძილზე ყველანაირად ცდილობს, დააშოშმინოს მოკლულის ნათესავები: მათ იწვევენ პურმარილზე, ჩუქნიან ყველაფერს, რაც კი მოეწონებათ, ოღონდ როგორმე მათი გული მოიგონ. ჭიორაში ჩვენს ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე ბ-ნ გენერალ ვაკულსკის ორი ამგვარი, საკმაოდ უცნაური შურისძიების საქმის განხილვა და ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება მოუწია. ჭიორაში ერთ-ერთმა მოსახლემ ადგილობრივი გლეხი მოკლა და შემდეგ დაიმალა, ისე, რომ მისი ადგილსამყოფელი არავინ იცოდა. შურისმაძიებლებმა გადაწყვიტეს, მკვლელის ძმა შეეპყროთ, რადგან ფიქრობდნენ, რომ მან იცოდა, სად იმალებოდა დამნაშავე. ეს უკანასკნელიც იძულებული გახდა სახლიდან გამოსვლისას კბილებამდე შეიარაღებულიყო, მეტწილად ტყეებსა და მინდვრებს აფარებდა თავს და მუდმივად მოტაცების შიშით ცხოვრობდა. ბოლოს მან გადაწყვიტა, შურისმაძიებელთათვის დიდი წვეულება გაემართა და ისინი ამ გზით დაეშოშმინებინა. მართლაც კარგად მოილხინეს, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. საბედნიეროდ, სწორედ ამ დროს ჩამოვიდა გენერალი და შურისმაძიებლებს მკაცრად მოსთხოვა, შეეწყვიტათ მსხვერპლის დევნა, რაც, ფაქტიურად, კავკასიის სისხლის სამართლის კოდექსის არც ერთი მუხლით არ იყო გათვალისწინებული.

მეორე საქმე ეხებოდა შურისძიებას საქორწინო პირობის დარღვევის გამო: სასიძოსაგან მიტოვებული ქალის მშობლებმა შურისძიების მიზნით გენერალს საჩივრით მიმართეს; ახალგაზრდა კაცმა, რომელმაც ქალისთვის მიცემული პირობა დაარღვია, პირიქით შეუტია მომჩივნებს და განაცხადა, რომ სრულებითაც არ იყო ვალდებული, ჭკუაშეშლილი და ავადმყოფი ქალი შეერთო ცოლად. ქალის მშობლები ვაჟს ყველანაირად ავიწროვებდნენ და ისიც იძულებული გახდა, სამართლის საპოვნელად გენერლისათვის მიემართა. გამოიძახეს ქალის მამა – თეთრწვერა მოხუცი; გენერალმა დიდი გაჭირვებით შეძლო იგი დაერწმუნებინა, რომ უსამართლობაა, აიძულო ვინმე, რათა გიჟზე იქორწინოს. დიდი თხოვნა-მუდარის შემდეგ მოხუცი დაიყოლიეს იმაზე, რომ ვაჟის დევნა-შევიწროვებას შეწყვეტდა.

ღებში, ფერდობების ძირში უზარმაზარი ველ-მინდვრებია გადაჭიმული, დანარჩენი სივრცე კი ტყით არის დაფარული. უკანასკნელი სოფელი ფასისმთის ძირშია, ფაზისის ზემოთ, რომლი სათა-

ვეც აქვე ახლოსაა, ჩრდილო-დასავლეთით (N.O.) და თავისი მდებარეობიდან გამომდინარე, ერთგვარ გასასვლელს წარმოადგენს. გზა, რომელიც თავიდან მდინარეს მიუყვება, ხეობის სიღრმეში ორად იყოფა: ხელმარცხნივ იგი სვანეთისაკენ მიემართება, გაივლის რა უღელტეხილს, რომელიც შოდას გამოჰყოფს ფასისმთისაგან; ხელმარჯვნივ, შედარებით უფრო ცუდი გზა კავკასიის ქედის უმაღლესი მწვერვალების გასწვრივ დიგორების ირონისტანში ანუ ოსების ქვეყანაში მიდის. ეს გადასასვლელი მარშრუტი შესაძლებელია ორი სხვა პუნქტის მეშვეობითაც განხორციელდეს: ან პირდაპირ ღებიდან ჩრდილოეთისაკენ, ან გლოლის გავლით.

ღებიდან ვლადიკავკაზამდე ჩასასვლელად ხეობის მცხოვრებნი მხოლოდ სამ დღეს ანგარიშობენ და შემპირდნენ, რომ ამ დროში იქ საღ-სალამათს ჩამიყვანდნენ; მაგრამ ამ წინადადებას ვერ დავთანხმდებოდი, რადგან შემდეგ სამეგრელოში ჩასასვლელად უკან დაბრუნება მომიწევდა. რუსეთის მთავრობისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ რაჭის გზით შესაძლებელი იყო კომუნიკაციის დამყარება ქუთაისსა და ჩრდილო კავკასიას შორის: ჯერ კიდევ 1771 წელს ეს გზა გენერალმა ტოტლებენმა გაიარა რუსული ჯარის კორპუსთან ერთად, რომელიც ეკატერინე II გამოგზავნა სოლომონ მეფის დასახმარებლად. ამასთანავე, ეს გზა მეტად ხელსაყრელი იქნებოდა ვაჭრობისათვისაც, მაგრამ აქ უამრავი სირთულე და დაბრკოლება იჩენს თავს, რომელთა შორის მთავარი ალბათ ჩრდილოეთის ხეობების ბუნებრივი პირობებია, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია იმდენად, რამდენადაც აღნიშნული გზა სწორედ ამ ხეობებზე გადის: ეს არის ძალზე ვიწრო, ფიქლოვანი ხეობები, რომლებიც თავისთავად, ჩამონგრევის დიდ საფრთხესაც შეიცავენ. ყოველი მათგანი ბევრად უფრო გაუვალია, ვიდრე უწერის ხეობა ღებში. როგორც ჩანს, უზარმაზარი თანხის გარეშე შეუძლებელი იქნება ისეთი დიდი სავაჭრო გზის გაყვანა, როგორიც თერგის ხეობაშია. ეს ყველაფერი შევიტყვე ერთი მოხელისაგან, რომელსაც დავალებული ჰქონდა ამ მიზნით ქვეყნის გამოკვლევა, რასაც იგი დიდი რისკის ფასად აკეთებდა. ძალიან ვწუხვარ, რომ მისი სახელი არ ვიცი[1].

[1] კავკასიაში თავისი მოგზაურობის აღწერაში კლაპროთმა ჩაურთო იმ რუსი რუსი ოფიცრის დღიური, რომელმაც 1781 წელს ამავე მიზნით გაიარა ეს გზა. მე ვიცნობ იმ პიროვნებებს, ვისთანაც კლაპროთი ბინადრობდა მოზდოკში ყოფნისას და ვიცი, რომ ცნობილ მოგზაურს, რომელიც დიგორიდან ონსა და ღებში მიდიოდა და იმავე გზით უკან ბრუნდებოდა, თავად არასოდეს არ გაუვლია ჩემს მიერ ზემოთ აღნიშნული გზა, რითაც იგი ასე ტრა-

თავადი მეტად აღარ შემიწუხებია, ირგვლივ შემოვუარე ღებს და აღმოსავლეთის მხრიდან ჩავხატე მისი ხედი, რომელიც ჩემს ატლასშია მოცემული. შემდეგ რაღაც ცნობებიც მოვიძიე ამ მხარის შესახებ, შევაკაზმინე ცხენები და გზას გავუდექი ნიკოლოზთან და იმ კეთილ უწერელ ხელოსანთან ერთად, რომელიც მისმა ბატონმა მეგზურად და ესკორტად გამომაყოლა; ჯაფარიძე და მისი ამალა კი იქ დავტოვეთ([1]).

„რა დასანანია, – მითხრა ხელოსანმა, როცა ღებიდან გამოვედით – რომ ამ თავადთან ერთად მოგვიხდა აქ მოსვლა; იგი ღების მოურავად დანიშნეს, მოსახლეობა კი მას ვერ იტანს, რადგან იგი შემთხვევას არ უშვებს, რომ თავისი უზარმაზარი ამალით მათ ხარჯზე იცხოვროს; თავი ისე მოაქვს, თითქოს აქ მართლმსაჯულების აღსრულებისათვის იყოს მოვლენილი, სინამდვილეში კი ყველაფერს აკეთებს, რათა მოსახლეობას გამოსძალოს, რაც აბადიათ. სწორედ ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რომ ასე ცუდად მიგიღეს; ეს რომ არა, თქვენ გულუხვი და ხელგაშლილი მიღება გელოდათ“.

მოგვიანებით თავადი ჯაფარიძე თანამდებობიდან გადააყენეს და მის მაგივრად ერთ-ერთი პატიოსანი პიროვნება დანიშნეს, რადგან მთავრობამ შესანიშნავად იცის, რაოდენ მნიშვნელოვანია მთიელების სამართავად სამართლიანი და უანგარო მოხელე, რომელმაც

ბახობს. იმ ოფიცერს, რომელსაც, ბ-ნი კლაპროთის ცნობით, ძალზე საინტერესო დღიური შეუდგენია, თან ახლდა კაზაკთა რაზმი; სწორედ მან დააშოშმინა ბადილაძეების (Badillathe) ოჯახი, რომელიც მთელი ათი წლის მანძილზე დიგორელებს ებრძოდა და ამ ოჯახის წევრები აიძულა, ელიარებინათ რუსეთის ქვეშევრდომობა. იხილეთ ტ. II, გვ. 356-400; Voiage de Klaproth au Caucase, გერმანული გამოცემა.

([1]) ღებში ისეთივე კლიმატია, როგორც ჭიორაში; ქვემოთ მომყავს ცნობები იმ ტემპერატურაზე, რომელიც რაჭის სხვადასხვა ადგილისათვის დავადგინე:

11 სექტემბერს, ხოტევში, მზის ამოსვლისას – 8^0
„ – „ ონში, მზის ჩასვლისას – 9^0
12 სექტემბერს ონში, მზის ამოსვლისას – 3^0
„—„ უწერაში, მზის ჩასვლისას – 10^0
13 სექტემბერს უწერაში, მზის ამოსვლისას – 4^0
„–“ ღებში, მზის ჩასვლისას – 5^0
14 სექტემბერს ღებში, მზის ამოსვლისას – 2^0
15 სექტემბერს უწერაში, მზის ამოსვლისას – 10^0
14 სექტემბრის შუადღეს ღებში იყო 15^0;
გიულდენშტედტმა, რომელსაც ბარომეტრი ჰქონდა, 1771 წლის 8 ივლისს ონში აღნიშნა $16\text{-}27^0$, ხოლო ღებში 24 ივლისს – 24^0.

იცის, როგორ ჩაუნერგოს მათ ნდობა თავიანთი ახალი ბატონების მიმართ. მოსახლეობა საკუთარი ნებით ემორჩილება ამ მოხელეს: ძალის გამოყენებით რუსეთი ვერაფერს გახდებოდა ქვეყნის ადგილმდებარეობის გამო; მაგალითად, საკმარისია ფაზისზე გადებული რომელიმე ხიდის დაცვა-გამაგრება და იმერეთიდან ვერც ერთი სულიერი აქ ვერ შემოაღწევს. სხვა მხრიდან მოსავლელად კი საჭიროა კავკასიონის მაღალი მწვერვალების გადალახვა და დაუმორჩილებელი ტომების ტერიტორიაზე გავლა.

ვიდრე ჭიორაში მივიდოდით, რომლის ნახვაც ახლოდან მინდოდა, მოგვიხდა ფონით ფაზისის გაღმა-გამოღმა გადალახვა. აქ ღვინო შემოგვთავაზეს, მაგრამ მხოლოდ მცირე ხნით შევჩერდით, რათა სოფლის მეურნეობას გავცნობოდით. მოსახლეობა ძირითადად თექის ხალიჩებით ვაჭრობს ქუთაისში, სადაც ყოველი ბაზრობის დღეს ჩადიან; ყიდიან აგრეთვე მათ მიერვე შეკერილ ჩერქეზულ ტანსაცმელსაც. ყველას აქვს ხანჯალი, საზეთური, აბედის ქისა, კვესი, ჩერქეზების მსგავსად ქამარზე ჩამოკიდებული თუთუნის პარკი. აქაურებს ზურგით გადააქვთ თავიანთი სურსათი, სიმინდი და ხორბალი, რომელიც თხის ტყავისაგან დამზადებულ ჩანთებში უყრიათ. ამან მომაგონა ტიკები, რომლებშიც ჰერაკლემ ტელემაქეს გამგზავრებისას ხორბლის ყვავილები ჩადო.

ჭიორადან რამდენიმე ვერსის დაშორებით ხელმარცხნივ წავედით და შევედით გლოლის ხეობაში, რომელსაც ისეთივე მდებარეობა აქვს, როგორც ღების ხეობას: მისი მიმართულებაა დასავლეთ-სამხრეთ-დასავლეთიდან (O.S.O.) აღმოსავლეთ-ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ (E.N.E.); სამხრეთისაკენ მიმართული ფერდობის ერთი ნაწილი მინდვრებითა და საძოვრებით არის დაფარული, მეორე კი მთლიანად ტყეს უჭირავს.

გზა ფერდობის გასწვრივ გადიოდა; შევედით უღრან, წვრილიან ტყეში და საკმაოდ დამრეც ფერდობზე ასვლისას ჩვენმა თანმხლებმა ხელოსანმა გაგვაფრთხილა, ფხიზლად ვყოფილიყავით, რადგან ის ადგილი უნდა გაგვევლო, სადაც, ჩვეულებრივ, ძებნილი დიგორები და ოსები იმალებოდნენ ხოლმე; ისინი თავს ესხმოდნენ უიარაღო მგზავრებს და ძარცვავდნენ მათ, ხშირად კი უფრო უარეს ბოროტებაზეც არ იხევდნენ უკან. საბედნიეროდ, ეს ადგილი მშვიდობიანად გავიარეთ და საეჭვოც არაფერი შეგვინიშნავს.

ღებთან შედარებით გლოლას, ალბათ, უფრო თვალწარმტაცი ადგილმდებარეობა აქვს (1), მაგრამ ღები უფრო დიდია და უკეთ არის ნაგები. ძველი, მიტოვებული გლოლა ნაწილობრივ მდებარეობდა მოგრძო მდელოზე, რომელიც კედელას მთის ახლომდებარე ფერდობებიდან წამოსული გლოლის-წყლის თუ ბოყას ტოტებს შორის იყო მოქცეული. როგორც ჩანს, თოვლის დნობისას იგი მეტის-მეტად წყალუხვი ხდება და მთელ სიგრძეზე ფარავს ხეობას, ავსებს მას და თან ჩამოაქვს დიორიტული პორფირიტისა და პროტოგინის უზარმაზარი ლოდები; ისინი ანადგურებენ საცოდავ ტირიფებსა და არყის ხეებს, რომლებიც გაბედულად ხარობენ ამ გაჩანაგებულ მიწაზე. მე უკვე აღვნიშნე, რომ გლოლის-წყალი ფაზისის მოცულობის დაახლოებით ნახევარს შეადგენს.

ველზე დგას ხუთი თუ ექვსი ოთხკუთხა კოშკი, ღების კოშკებზე უფრო დაბალი და თან უფრო ცუდად ნაგები. გლოლის მეორე ნაწილი ფიქლოვანი კლდის თავზეა განლაგებული და ერთიმეორის გვერდით ჩამწკრივებული კოშკებით შვეიცარიის ძველებურ ციხეს წააგავს; ზემოდან, კედელას მთაზე თოვლი ისე ბრწყინავს, როგორც შვეიცარიული მყინვარი.

მაღალი ქედის ეს მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ ონიდან შევნიშნე და რომელიც ძალზე კარგად გაირჩევა ციხედარბაზის დაბლობიდან, აქედან კიდევ უფრო კარგად მოჩანს. დგახარ მთის ძირში და თვალწინ არაფერი გეღობება. პირველ ყოვლისა, კარგად შევნიშნე შავი ფიქალი – ცენტრალური კავკასიონის ძირითადი შემადგენელი ელემენტი. ფიჭვისა და არყის ტყეებში არცთუ ისე მაღალი ხეებია და მათ ზემოთ კარგად ჩანს მთის კალთები, რომლებიც ხან მოშიშვლებულნი და მოსაწყენნი არიან, ხან კი მშვენიერი მწვანე კორდი ჰფარავთ. სწორედ აქ გადის დიგორისა და ოსეთისაკენ მიმავალი გზა. მწვერვალებს არაფერი აქვთ განსაკუთრებული: მიუხედავად დიდი სიმაღლისა, ისინი არ გაოცებენ გაბედული, პირამიდული ან კონუსური ფორმებით, რომელთაც აღტაცებაში მოყავხარ, როდესაც შორიდან შეიცნობ ფასისმთის მწვერვალს. კედელა მაგონებს გალავანს, ოდნავ დანგრეული სათოფურებით.

ახალი გლოლა ტყეშია ჩაფლული და გაშენებულია ამ ერთგვარი ციხის ძირში, რომელსაც ალბათ მოსახლეობა თავშესაფრად იყენებდა. სოფელს ჰკვეთს წყარო, რომელიც ზემო რაჭის ერთ-ერთ საუკეთესო მომჟავო წყალს უერთდება: იგი საკმაო რაოდენობით ნახ-

(1) გლოლა ჭიორიდან 10 ვერსზეა, ფაზისისა და გლოლის-წყლის შეერთების ადგილიდან კი – 6 ვერსზე.

შირორჟანგს შეიცავს და ბოთლში ჩამოსხმისას იმდენი გაზი აქვს, რომ საცობს აგდებს ისევე, როგორც შამპანური. თვისობრივად იგი სრულებით არ განსხვავდება ნარზანის ცნობილი წყლებისაგან, ან გოლიათების ღვინისაგან, რომელიც კისლოვოდსკში, კავკასიის მინერალურ წყლებს შორის გვხვდება. მისი ტემპერატურა 9^0-ს აღწევს; ამ წყლის დასალევად ზაფხულში მოდიან, მაგრამ ძნელად სავალი გზა, უფრო კი – გლოლის მოსახლეობის ზნე-ჩვეულებათა სიმკაცრე, აფერხებს აქ დიდი რაოდენობით ხალხის ჩამოსვლას.

გლოლის მოსახლეობა არცთუ ისე მრავალრიცხოვანია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთი წელიც კი არ გაივლის, რომ რამდენიმე მკვლელობა არ მოხდეს ქალების მოტაცების ან სხვა რაიმე მიზეზის გამო. მათ ძალიან ავი ძაღლები ჰყავთ და სიამოვნებით უყურებენ, როგორ ესხმიან ისინი თავს გამვლელებს; ეს ჩვენ საკუთარ თავზე ვიწვნიეთ და მოთმინებიდან გამოსულებმა ისეთი სახე მივიღეთ, თითქოს ვაპირებდით პისტოლეტები დაგვეშინა ამ საშინელი ცხოველებისათვის და როცა პატრონებმა დაინახეს, რომ საქმე სერიოზულად იყო, მხოლოდ ამის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, იკადრეს ჩვენს საშველად მოსვლა. ნეტავ შეიძლებოდეს ამქვეყნად ძაღლების გარეშე არსებობა! რამდენჯერ ჩაუშხამებიათ მოგზაურთათვის სიამოვნება გზებისა და სოფლების ამ მტარვალებს: მუდმივი შიშის ქვეშ უნდა იყო, რომ არ დაგგლიჯონ. ამ უსიამოვნების თავიდან აცილება ხომ მაინც შეიძლება, როცა ირგვლივ ისედაც ამდენი გასაჭირია!

იმავე დღეს დავბრუნდით უწერაში, სადაც ღამე კვლავაც ჩვენს ხელოსანთან გავათიეთ; მეორე დღეს კი, პარასკევს, მან წაგვიყვანა ონში, სადაც ამ დღეს დიდი ბაზრობა იმართება ხოლმე. ისევე როგორც წინა შემთხვევაში, ამჯერადაც ცუდად მიგვიღეს, უარი მივიღეთ ცხენებზეც: ჩვენი ხელოსანი კარდაკარ დადიოდა სათხოვნელად, მაგრამ ყველა უარით ისტუმრებდა და სხა მეზობელთან აგზავნიდა. ასეთ დროს, როცა მთავრობის მიერ გაცემული მკაფიო ბრძანებები არ სრულდება, საჭიროა მკაცრი მოქმედება. ჩვენდა სამწუხაროდ, იძულებულნი გავხდით, მათ დავმუქრებოდით, რამაც შედეგი გამოიღო და მშვენივრად მოგვემსახურნენ. ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც მოგვიწია ასეთი უკიდურესი ზომებისათვის მიგვემართა.

ზეცა მშვენიერი ამინდით გვანებივრებდა და საოცრად პოეტური განწყობა დაგვეუფლა, რადგანაც ასეთ პირობებში გვიწევდა მოგზაურობა. ცხენზე ამხედრებულები ვიყავით და არ ვჩქარობდით, მივყვებოდით კვალს, მივდიოდით თოხარიკით, იშვიათად კი – ჩორ-

თით. მთიელების ზანტი და უსაფრთხო ცხენებით მოგზაურობა საუკეთესო საშუალებაა ქვეყნის დასათვალიერებლად. სურვილისამებრ ვჩერდებოდით, თავისუფლად შეგვეძლო ათჯერაც კი ავმხედრებულიყავით და ჩამოვქვეითებულიყავით; მაგალითად, როგორც კი ცხენების საბალახოდ მოსახერხებელ ადგილს წავაწყდებოდით, იქვე ვჩერდებოდით და ვისვენებდით; წამოვწვებოდით ხოლმე ცაცხვისა და მუხის ხეებქვეშ, თითქოს მხოლოდ გართობის მიზნით ვსეირნობდით.

ბარაკონში მხოლოდ იმისთვის შევჩერდით, რომ თავად ერისთავის მეუღლისათვის გვეთხოვა, რათა მას გამოეჩინა კეთილი ნება და ბრძანება გაეცა ჩვენთვის ცხენების გამოცვლის თაობაზე. მან გამოგვაყოლა მეგზური, რომელსაც სოფელ წესში უნდა ჩავეყვანეთ და აქ უნდა ეშოვნა ჩვენთვის სამგზავრო პირუტყვი; მაგრამ როგორც კი ეზოდან გამოვედით, ქალბატონმა კაცი დაგვადევნა და შემოგვითვალა, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუკი ღამეს მის სახლში გავათევდით, ძალიან გვთხოვდა, მიგველო მისი მოპატიჟება, ცხენებს კი პირველივე მოთხოვნისთანავე აქვე მოგვიყვანდნენ.

ჩემს ნიკოლოზს, რომელიც იმჟამად მარხულობდა, მეორე დღეს კი დღესასწაული იყო, სანჩოს მსგავსად, დიდი სურვილი ჰქონდა თავისი მარხულობის კომპენსაცია მიეღო ქალბატონის სახლში, სადაც ჩვეულების თანახმად ამ დღეს ცხვარი უნდა დაეკლათ. ჩვენ მივიღეთ ქალბატონის მიწვევა და უაღრესად კარგი მასპინძლობაც გაგვიწიეს; დაგვაბინავეს დიდ ოთახში, რომლის ფანჯრებიც ეკლესიას გადაჰყურებდნენ და მოგვართვეს ჩაი, რომელიც ჯერ კიდევ ნაკლებად არის გავრცელებული ქართველებში. იგი, როგორც ფუფუნების საგანი, მხოლოდ მდიდარ ბატონებთანაა მიღებული, მაგრამ როგორც ჩანს, საზოგადოდ, ეს სასმელი ყველას ძალიან მოსწონს.

მეორე დღეს საზეიმო წირვას დავესწარით; შემდეგ დავხატე რიონის დიდი რაბი, მოგვიანებით კი მართლაც დიდებული სადილი გაგვიმართეს, სადაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა ყველანაირი სახით მომზადებული ცხვრის ხორცი. მომართვეს კოვზი, დანა და ჩანგალი, რაც ჯერ კიდევ იშვიათობაა ამ მხარეში.

ქალბატონს პირადად ვერ გადავუხადე მადლობა, რადგან ადგილობრივი ტრადიციის თანახმად, მეუღლის არყოფნისას მას ეკრძალებოდა (გარდა პირველი შეხვედრისა) უცხოელების მიღება-გამასპინძლება და მათთან ერთად სუფრასთან დაჯდომა. ასევე დიდი პატივით გვექცეოდა აქაური, მართლაც მშვენიერი ეკლესიის მღვდელი, რომელიც კაპელანს წააგავდა.

ნასადილევს გამოვეთხოვეთ ბარაკონს და, აქაური სტუმართმოყვარეობით დიდად ნასიამოვნებნი, გზას გავუდექით. ფაზისის რაბს რომ მივუახლოვდით, ნაცვლად იმისა, რომ ხოტევისაკენ მიმავალ ხიდზე გადავსულიყავით, მდინარის მარჯვენა ნაპირს გავუყევით და ორივე მხრიდან მჭადა-ქვის კირქვებს შორის მოქცეული ქვემო რაჭის ეს განიერი ხეობა მთელ სიგრძეზე გადავჭერით.

სოფლები ძირითადად მაღლობზეა გაშენებული, სადაც ძალზე სუფთა ჰაერია. ფაზისის ნაპირებზე კი ყანებია გადაჭიმული, ხოლო ვაზი მთის კალთებზეა შეფენილი. ეს არის ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის მრავალფეროვნების ამსახველი შესანიშნავი სურათი.

ბარაკონიდან 8 ვერსზე უკან ჩამოვიტოვეთ სოფელი სადმელი[53], მისგან 2 ვერსის მოშორებით კი გავიარეთ რიცეულა[54]. ფაზისის მარცხენა ნაპირზე მრავალი სოფელია, მარჯვენა ნაპირზე კი სადმელის შემდეგ ბარაკონიდან მხოლოდ 20 ვერსის დაშორებით ვხვდებით სოფელს; ეს არის ხვანჭკარა ([1]) [55], რომელიც თავად ლევან ყიფიანს (Leo Pepiani) ეკუთვნის ([2]). გაკვირვებული დავრჩით, როცა რამდენიმე კვირის მანძილზე გაგრძელებული მშვენიერი ამინდის შემდეგ ისეთი თავსხმა წვიმა წამოვიდა, რომ საშინლად გავილუმპეთ და დიდად ბედნიერები ვიყავით, რომ ეკლესიის სახურავის კიდულს შევაფარეთ თავი. ჩვენი ხელოსანი ყოველნაირად ცდილობდა,სასწრაფოდ ეშოვნა ჩვენთვის ბინა, რომელიც ესოდენ გვესაჭიროებოდა.

ხვანჭკარა ფაზისის დონიდან დაახლოებით 500 ფუტის სიმაღლეზეა. ამ სოფლის მფლობელი თავადი ცოტა ხნის წინ აქაურ ციხე-სიმაგრეში ცხოვრობდა, რომელიც სოფლის ბოლოს, კირქვის კლდეებზეა აღმართული; მაგრამ ერთხელ, რუსმა გენერალმა (რომლის გვარიც აღარ მახსოვს) ამ მხარეში გამოიარა და შეუფერებლად ჩათვალა, რომ უბრალო იმერელ თავადს ციხე-სიმაგრეში მეფესავით ეცხოვრა. თავის მხრივ, თავადმა, გენერლის მიმართ კეთილგანწყობის გამო (რომელიც იმხანად ქვეყნის მმართველი იყო) და, ალბათ, იმის გამოც, რომ 70 მილიონიანი მოსახლეობის მქონე იმპერიისათვის ჩრდილი არ მიეყენებინა, ციხე-სიმაგრის ქვემოთ აიშენა ხის სახლი, რომელშიც ამჟამად ცხოვრობს. ციხე-სიმაგრის სიახლოვეს იდგა კიდევ ორი სხვა ციხე, სოფლის შუაგულში, შემაღლებულ ბორცვზე კი იდგა მეოთხე ციხე, რომელიც, დანარჩენი სამის მსგავსად,

---

([1]) Kwanschkschara, გიულდ.

([2]) Kipiani, გიულდ.

ყიფიანების ოჯახის თავშესაფარს წარმოადგენდა; მაგრამ ამ დროისათვის იგი თითქმის მთლიანად დანგრეული იყო, ხოლო ის მცირე ნაწილი, რომელიც სრულ დანგრევას გადაურჩა, სოფლის ერთ-ერთი მრჩევლის ქვევრების (koupchines) თუ ამფორების შესანახად გამოიყენებოდა. ღამე სწორედ აქ გავატარეთ. ჩვენი მისვლისთანავე მრჩეველმა თავადს გაუგზავნა ბრძანება, რომელიც მთავრობისაგან გვქონდა მიღებული. თავადი შინ არ გახლდათ, მაგრამ მისმა მეუღლემ მაშინვე გამოაგზავნა თავისი ვაჟი, რომელმაც ქალბატონის სახელით მოგვილოცა მშვიდობით ჩამობრძანება და ხელოსანს დაავალა, ჩვენს მიმართ საგანგებო მზრუნველობა გამოეჩინა. მანაც პირნათლად აღასრულა მითითება, მშვენივრად გაგვიმასპინძლდა და, ძლიერი წვიმის მიუხედავად, მთელი ღამე მშვიდად მეძინა მარანში, სადაც საწნახელში უკვე ახალ ღვინოს წურავდნენ.

გათენებისას ხეობა მთლიანად ნისლით იყო დაფარული და ამ წყვდიადით მოცულ სივრცეში მხოლოდ მთის თხემები გამოკრთოდნენ კუნძულებივით. შორს, სიღრმეში ისმოდა მხოლოდ მამლის ყივილი, ადამიანთა შეძახილი და აბობოქრებული ფაზისის გააფთრებული გრიალი უფსკრულში. მართლაც, რაოდენ დიდ უსიამოვნებას გვაყენებენ გადაუღებელი წვიმები!

ფაზისის ეს ხეობა რაღაც განსაკუთრებულია; მჭადაქვის კირქვა, რომელიც ფერდობებზე თანაბარ ქანებად მოჩანს, ხშირად მცენარეულობით არის დაფარული. დიდი ხეობის ფერდობები დასერილია უამრავი ხევით და პატარ-პატარა გვერდითი ხეობებით, რომლებიც ძალზე ნაყოფიერი ნიადაგით გამოირჩევიან და ამიტომაც აქ სოფლებია გაშენებული. აქა-იქ შეიმჩნევა კონუსური ფორმის მქონე პორფირიტული გუმბათები.

კომენტარები, დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. დიუბუას ნაშრომის სრული სახელწოდებაა: Frederic Dubois de Montpereux, Voiage autour du Caucase, chez Les Tcherkesses et Les Abkhases, en Georgie, en Armenie et en Crimee, t. I-VI, Paris, 1859. დიუბუას „მოგზაურობის...“ შესახებ იხ. ჩვენივე წერილები: ჟურნალში „ანალები“ (№2, 2000; №1-2, 2002) და „Caucasica“ №7, 2003.
2. ხოტევი – სოფელი ამბროლაურის რ-ში, რაჭის ქედის ჩრდილო კალთაზე. წყაროებში პირველად იხსენიება XI ს-ში; XIX ს-ში ხოტევი რაჭის ადმინისტრაციული ცენტრია, კერძოდ: 1811 წ. ყოფილ იმერეთის სამეფოში რუსეთის ხელისუფლების მიერ გატა-

რებული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად შეიქმნა რაჭის ოკრუგი, რომლის ცენტრიც თავდაპირველად იყო სხვავა, მოგვიანებით, 1819-20 წწ. იმერეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ოკრუგის ცენტრი გადმოტანილ იქნა ხოტევში (იხ. თ. ბერაძე, რაჭა, თბ., 2004, გვ. 92, 109-110).

3. ხოტეურა – მდინარე ამბროლაურის რ-ში, სახელწოდება მიიღო სოფ. ხოტევიდან; ამ მდინარის ერთი შენაკადი გამოდის ჭელიაღელის ტბიდან, რომელიც ამავე სახელწოდების სოფელშია.

4. სინამდვილეში ტოტლებენი თავისი კორპუსით საერთოდ არ ყოფილა რაჭაში, შესაბამისად, არც ხოტევის ციხე დაუნგრევიათ მისი ბრძანებით, მით უფრო, რომ 1772 წელს რუსეთის კორპუსმა საერთოდ დატოვა საქართველოს ტერიტორია. რაც შეეხება დანარჩენ ციხეებს – ტოტლებენის იმერეთში ყოფნისას სოლომონ I-მა შორაპნისა და ბაღდადის ციხეებიდან განდევნა მტერი, ხოლო ვარციხე ისედაც ქართველთა ხელში იყო და მას განთავისუფლება არ სჭირდებოდა. XV-XVI სს-ში აგებული ხოტევის ციხის ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი; საგულისხმოა, რომ დიუბუას მოგზაურობიდან დაახლოებით 15 წლის შემდეგ მარი ბროსეც იმყოფებოდა რაჭაში, ხოტევის ციხის კარიბჭის თავზე გამოსახული ხელის მტევანი და ინიციალები მას უკვე განადგურებული დახვდა (თ. ბერაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 28, 92).

5. კვირიკეს ციხე – ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომზე დაყრდნობით თ. ბერაძე მიიჩნევს, რომ ეს არის დღევანდელი კვირიკეწმინდა: „ხოტევის წყლის აღმოსავლეთით კიდესა, მაღალს გორას კლდესა ზედა არს ციხე კვიტაშვილისა, ფრიად მაგარი“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, სიმ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ. 1973, გვ. 760.). ამის თაობაზე გიულდენშტედტთან ვკითხულობთ: „ხოტევიდან ერთ საათში სამხრეთ-აღმოსავლეთით გავიარეთ სოფელი წკადისი და აქედან ჩრდილო-დასავლეთისაკენ დავინახეთ ციხე კვირიკე-წმინდა მდ. ხოტევისხევზე“ (იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოცემა, თბ., 1962, გვ. 115.).

6. ჯერ-ჯერობით ვერ მივაკვლიეთ ამ ბრძანების დამადასტურებელ დოკუმენტურ მასალას, თუმცა სავსებით შესაძლებელია, იმპერატორის მხრიდან მართლაც ყოფილიყო ასეთი მითითება.

7. ჭელიაღელე – სოფელი ამბროლაურის რ-ში; ჭელიაღელის ტბის სიგრძე 195 მ-ია, სიგანე –120 მ. ტბაზე ლელისა და მუყნარისაგან წარმოქმნილი მოტივტივე კუნძულებია (3-დან 20 მეტრამდე სიგრძის), რომლებიც სუსტი ქარის დროსაც კი იწყებენ მოძრაობას (თ. ბერაძე, გვ. 8).

8. ნიკორწმინდა – სოფელი ამბროლაურის რ-ში, რაჭის ქედის ჩრდილო კალთაზე. სოფელში დგას ამავე სახელწოდების გუმბათოვანი ტაძარი, აგებული ბაგრატ III-ს დროს, კერძოდ, 1010-1014 წწ-ში. დიუბუას მიერ მოყვანილი წარწერა შემდეგნაირად იკითხება: „ქ. ესე მეორედ მოსლვაი იესუ ქრისტესი“ (იხ. ვ. სილოგავა, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს), თბ., 1980, გვ 98). რაც შეეხება დიუბუასეულ კრიტიკას ნიკორწმინდის ბარელიეფების ფიგურათა არაპროპორციულობის თაობაზე, როგორც ცნობილია, ტაძრის ორნამენტზე რამდენიმე ოსტატი მუშაობდა, შესაბამისად, მათი ხელწერა ერთმანეთისაგან განსხვავდება შესრულების ხარისხით; უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შუა საუკუნეების ქრისტიანულ სახვით ხელოვნებაში თითქმის ყველგან – დასავლეთშიც და ბიზანტიურ სამყაროშიც როგორც წესი, ნაკლები ყურადღება ექცეოდა სხეულის პროპორციების სიმწყობრეს; ქართულ საეკლესიო ფერწერასა და მონუმენტური ქანდაკებას აღნიშნულ ეპოქაში ეკლესიის კანონიკური მოთხოვნების შესაბამისად, საკუთარი, მისთვის დამახასიათებელი სტილი აქვს შემუშავებული (მათ შორის, წმინდანთა და ანგელოზთა ზომაზე მეტად წაგრძელებული ფიგურების გამოსახულება); სავსებით ბუნებრივია, რომ XIX ს-ის ფრანგი მოგზაურისათვის ეს სპეციფიური ნიუანსები მიუღებელი აღმოჩნდა (იხ. Ш. Я. Амиранашвили, История грузинской монументальной живописи, т. 1, Тбилиси, 1957 сс. 104-108; Н. А. Аладашвили, Монументальная скульптура Грузии, Москва, 1977, сс. 143-193; ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 145 და ა.შ.).

9. ფოტიოსი – კონსტანტინოპოლის პატრიარქი (858-867 და 877-886 წწ.), ბიზანტიელი საეკლესიო მოღვაწე, მწერალი, თეოლოგი. პირველად პატრიარქი გახდა 858 წ. (იგნასიოს შემდეგ), მაგრამ პაპმა ნიკოლოზ I-მა გადააყენა. საპასუხოდ ფოტიოსმა 867 წ. საეკლესიო კრებაზე პაპი ეკლესიიდან განკვეთა (ფოტიოსის სქიზმა), რაც თავის მხრივ, დაგმო კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებამ (869-870 წწ.); იგნასიოს გარდაცვალების შემდეგ (877 წ.) ფოტიოსი კვლავ პატრიარქი გახდა და ცდილობდა კარგი ურთიერთობა ჰქონოდა რომთან. თავის ერთ-ერთ ნაშრომში „ტრაქტატი სულიწმინდის შესახებ“ იგი ილაშქრებს ფილიოქეს წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ სწორედ მის მიერ იყო ორგანიზებული კირილესა და მეთოდეს მისია სლავებთან.

10. იგნასიო (797-877 წწ.) – კონსტანტინოპოლის პატრიარქი 847-858 და 867-877 წლებში. იგი მეტოქეობას უწევდა ფოტიოსს,

რის გამოც 858 წ. გადააყენეს. სიკვდილის შემდეგ იგნასიო წმინდანად აღიარეს.

11. ნიკოლოზ I დიდი (800-867წწ.) – რიგით ას მეხუთე პაპი (858-867 წწ.). ფოტიოსის წინააღმდეგ მხარს უჭერდა იგნასიოს. შემდგომში წმინდანად იქნა აღიარებული.
12. ფილიოკე//ფილიოკვე (ლათ. filioque – „და ძისაგან“) – ტოლედოს საეკლესიო კრების მიერ (589 წ.) ქრისტიანული რწმენის სიმბოლოზე მიღებული დამატება: პირველი და მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებების (325 და 381 წწ.) ფორმულირებას სული-წმინდის მამა-ღმერთისაგან მომდინარეობის შესახებ დაემატა სიმბოლო „ფილიოკე“, რაც ნიშნავდა, რომ სული-წმიდა ერთდროულად მომდინარეობს მამისა და ძისაგან. ბერძნულ-ბიზანტიურმა (მართლმადიდებლურმა) ეკლესიამ ეს დამატება არ აღიარა, რაც მოგვიანებით, 1054 წელს, ქრისტიანული ეკლესიის განყოფის ერთ-ერთ ფორმალურ საბაბად იქცა. დღეს კათოლიკური ეკლესია ამ კრედოს აღიარებს, ორთოდოქსალური კი უარყოფს.
13. მიქაელ ცერულერი (1000-1059 წწ.) – კონსტანტინოპოლის პატრიარქი 1043-1058 წწ. მან დასავლურ ეკლესიასთან ხელახლა გააღვივა პოლემიკა დოგმატურ და ლიტურგიულ საკითხებზე, რაც იმით დასრულდა, რომ დაპირისპირებულმა მხარეებმა ერთმანეთი ანათემაზე გადასცეს. ასე დასრულდა დიდი აღმოსავლური სქიზმა: რომის ეკლესია (კათოლიკური) აღიარებს სული-წმიდის წარმოშობას მამისა და ძისაგან, აღმოსავლეთისა (მართლმადიდებლური) კი – მხოლოდ მამისაგან. ამას გარდა სხვაობა მთელ რიგ რიტუალებზეც აისახა, მაგ. ზიარების დროს აღმოსავლეთის ეკლესიაში პურსა და ღვინოს იყენებდნენ, დასავლეთისაში კი მხოლოდ პურს; კათოლიკე მღვდლებს ქორწინება ეკრძალებოდათ, მართლმადიდებლებს – არა და ა.შ.
14. სქიზმა (ბერძნ. განყოფა, განხეთქილება) – კათოლიკური ეკლესია ამ ტერმინით აღნიშნავდა ქრისტიანული ეკლესიის ორად განყოფის ფაქტს.
15. ზემო რაჭა – რაჭის თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილების თანახმადაც ზემო რაჭა მოიცავს ონის რაიონს, ქვემო რაჭა კი – ამბროლაურისას. გარდა ამისა, ზოგჯერ ცალკე მოიხსენიებენ „მთის რაჭას“, რომელშიც ჭიდროთას ვიწროებით გამოყოფილი სოფლები (გონა, ღები, ჭიორა და გლოლა) მოიაზრებიან (თ. ბერაძე, გვ. 9-10).
16. ვერსი – (რუს. верста), სიგრძის საზომი ერთეული, 1,066 კმ.
17. ახალსოფელი, გორა, იწა – ამბროლაურის რ-ნის სოფლები.

18. კოშკი ციხე-სიმაგრის შემადგენელი ნაწილიცაა და ამავე დროს, შეიძლება იგი დამოუკიდებლადაც იყოს აშენებული: ყოველ სიმაგრეს ჰქონდა სათანადო დანიშნულების მქონე ერთი ან რამდენიმე კოშკი (საყარაულო, სადაზვერვო, თავდაცვითი, საცხოვრებელი). XVII საუკუნიდან, გამუდმებული შიშიანობის გამო, განსაკუთრებით გავრცელდა ცალკე აგებული საცხოვრებელი კოშკები, რომლებიც საცხოვრებელ კომპლექსთან იყვნენ დაკავშირებულნი (იხ. პ. ზაქარაია, საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები, თბ., 1988, გვ. 158).
19. ველიეთი – ველიეთის წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია სოფ. წესის დასავლეთით, კლდეზე დგას (გ. ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, ტბ., 1994, გვ 169).
20. წესი (ამბროლაურის რ-ნი) რაჭის ერისთავთა რეზიდენციას წარმოადგენდა. წესის იმ ნაწილს, სადაც ერისთავების კარის ეკლესია და სასახლე იყო, ბარაკონი ეწოდება. აქვე, მაღალი კლდის თავზე იდგა ციხე-სიმაგრე „მინდა", რომელიც განვითარებული შუა საუკუნეების ეპოქის ძეგლია. ამჟამად შემონახულია ბარაკონის ეკლესია, მინდა-ციხისაგან კი მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი. ბარაკონი მტრისთვის მიუდგომელი ადგილი იყო; აღმოსავლეთიდან მას მინდა-ციხე იცავდა, ჩრდილოეთით – კლდოვანი მთა, სამხრეთით კი – რიონი (მ. რეხვიაშვილი, იმერეთი XVIII საუკუნეში, თბ., 1982, გვ. 79).
21. ლუხუნი რაჭაში ორ სხვადასხვა მდინარეს ეწოდება, რომელთაგან ერთი – გორიბოლოსთან, ხოლო მეორე კი – მინდა-ციხესთან შეერთვის რიონს. ორივე მათგანი ერთი და იგივე მთიდან – ლუხუნიდან მოედინება (თ. ბერაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 37).
22. საუბარია როსტომ რაჭის ერისთავზე, შოშიტა III-ის ძეზე, რომელმაც ერისთავის ტიტული დაახლოებით 1750 წ. მიიღო. როსტომი იმერეთის სამეფოს ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალი იყო. XVIII ს. შუა ხანებში მან რაჭის სამეფო სოფლები მიიტაცა, გააძევა ან ოჯახიანად ამოწყვიტა ადგილობრივი თავადები და მათი მამულებიც მიითვისა. ამგვარად, მან მთელ რაჭაზე განამტკიცა თავისი ძალაუფლება, ამავე დროს, ცდილობდა თავი დაეხსნა იმერეთის მეფის ქვეშევრდომობისაგან და მიზნის მისაღწევად არაფერს არ ერიდებოდა: რენეგატ ფეოდალებთან და ოსმალო დამპყრობლებთან ერთად იბრძოდა სოლომონ I-ის წინააღმდეგ. 17 წლიანი ბრძოლის შემდეგ სოლომონმა როსტომი და მისი შვილები (7 ვაჟი) შეიპყრო, თვალები დათხარა და საპყრობილეში გამოამწყვდია, რაჭის საერისთავო კი გააუქმა: ყმა-მამულების დიდი ნაწილი სახასოდ გამოაცხადა, ნაწილი კი ერ-

თგულ ფეოდალებს – წულუკიძეებსა და წერეთლებს დაურიგა. როსტომ ერისთავი იმ დროისათვის განსწავლული პიროვნება იყო, გადმოცემის თანახმად, მას ზეპირად სცოდნია „ვეფხისტყაოსანი“; 1753 წ. მან ააგო ბარაკონის ახალი გუმბათიანი ეკლესია (აქვე შემორჩენილია XII ს. ეკლესიის ნანგრევებიც), 1754 წ. კი – ველტყევის ეკლესია, 1754 წ. იერუსალიმში თავისი ხარჯით ააგო დედათა მონასტერი: გარდა ამისა, აღადგინა და გააამაგრა მრავალი დანგრეული ციხე და ეკლესია. თანამედროვეთა დახასიათებით, როსტომ ერისთავი მეფეზე გაცილებით მდიდარი და ძლევამოსილი ფეოდალი იყო (იხ. ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, ელ. მეტრეველის გამოცემა, თბ., 1956, გვ. 81; ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 92-107; მ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 83-95; გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 190-191).

23. იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, დასახ. გამოც., გვ. 109.
24. სორი – სოფელი ონის რ-ში, აქ არის IX-X სს. ორი ეკლესია და განვითარებული შუა საუკუნეების ეპოქის ციხე (თ. ბერაძე, დასახ. ნაშრ., გვ 131).
25. ფუტი – ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული, 0, 3048 მ.
26. დიუიმი – სიგრძის საზომი ერთეული, 2,54 სმ.
27. ბათმანი – დაახლ. 3 კგ; ოყა – 1,28 კგ; გირვანქა – 409,5 გრ. (იხ. გ. ჯაფარიძე, ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, თბ., 1973).
28. შარდომეთი, ფარახეთი, სევა – ონის რ-ნის სოფლებია. ფარახეთში შემორჩენილია ერთნავიანი დარბაზის ტიპის ეკლესია, სავარაუდოდ, XVII ს-სა (თ. ბერაძე, დასახ. ნაშრ., გვ 129; გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 209).
29. ველთეთრი – განვითარებული შუასაუკუნეების ეპოქის ციხე ონის რ-ში;
30. ონი – „ხოლო ჯეჯორის შესართავს ზეით და რიონის სამხრით არს ონი, სახლობენ ურიანი ვაჭარნი და ვაჭრობენ“ (ვახუშტი, აღწერა..., გვ. 160); ქალაქი რიონის მარცხენა ნაპირზე, ღრმა ხეობაში მდებარეობს; წყაროებში იგი XV–XVI სს-დან მოიხსენიება.
31. წედისი – ონის რ-ნის სოფელი („აქ არს ლითონი რკინისა და იღებენ მრვალსა“... ვახუშტი, გვ. 160).
32. ჯეჯორა – მდინარე ჯავისა და ონის რ-ნებში, რიონის მარცხენა შენაკადი.

33. კედელა – ქედი ონის რ-ში, შოდა-კედელას ქედის (რაჭა-ლეჩხუმის კავკასიონის მთავარი ქედის) აღმოსავლეთი ნაწილი.
34. ზოროპა – ერთ-ერთი მწვერვალი შოდა-კედელას ქედზე.
35. საკაურა (საკაო) – მდინარე ონის რ-ში, რიონის მარჯვენა შენაკადი.
36. ღარულა – მდ. რიონის მარცხენა შენაკადი.
37. დიგორი – მთა ჩრდ. კავკასიაში: "კასრის-ხევის დასავლით არს დიგორი, რომელი განიყოფის ორად – ჩერქეზიძედ და ბადელიძედ, და არს სიგრძე მისი რაჭის კავკასიდამ ჩერქესამდე" (ვახუშტი, გვ. 649). დიგორები – ოსური თემი ჩრდ. კავკასიაში (ახლ. ჩრდ. ოსეთის ტერიტორიაზე). გიულდენშტედტი მათ დუგორებად მოიხსენიებს (გიულდენშტედტის მოგზაურობა, დასახ. გამოც, გვ. 107, 125, 291). დიგორა დღეს ქალაქია ჩრდილო ოსეთში.
38. ხელარი (Ghela) – «Хелар – гора, Лечхумский уезд Кутаисской губернии» (Д. Д. Пагирев, Предметный указатель к «перечню некоторых книг, статей и заметок о Кавказе», Тифлис, 1914, გვ. 264).
39. ლაჩთა, ღარულა, ნაკიეთი, ფარავნეში – ონის რ-ნის სოფლები. ფარავნეშში ორი ეკლესიაა – მაცხოვრისა (XX ს.) და მთავარანგელოზის (XIX ს.).
40. უწერა – დაბა ონის რ-ში;
41. ლაგვანთა, ნიგავზები – ონის რ-ნის სოფლები.
42. ღები – ზემო რაჭის (მთის რაჭის) სოფელი ონის რ-ში. ღებში და მის მიდამოებში გვიან შუასაუკუნეების პერიოდის რამდენიმე ეკლესია და კოშკია. იგი რიონის ორივე ნაპირზე მდებარეობს და ერთ-ერთ უდიდეს სოფელს წარმოადგენს (ეკლესიის აღწერა იხ. ქვემოთ).
43. ჩვეშურა (ჭვეშურა) – მდინარე ონის რაიონში; მოედინება კირტიშის მყინვარიდან და ღებში უერთდება რიონს.
44. უწერის ეკლესია – ფეოდალური ხანის, გრანიტის ქვით ნაგები მომცრო დარბაზული ეკლესია დღეს ნანგრევების სახით არის შემორჩენილი; „ამ ეკლესიის კამარასა შინა მკიდარებს ერთი ნაწნავი, და იტყვიან თამარ მეფისასა. აქავ არს მიწა, რომელსა უწოდებენ სასუნებლად, რომელი დავსწერეთ ქართლსაც, არამედ ესე უმეტეს ძალიანი, რამეთუ გარდაფრენილი ფრინველი მას ზედა ჩამოვარდების სუნისაგან" (ვახუშტი, გვ. 768). ასეთივე ცნობა მოყვანილი აქვს გიულდენშტედტსაც: „ტუტიანი და მისგან სულ ახლოს მდებარე მარტიალური წყაროები უმთავრესად არის ეკლესიის ბოლოს... ტუტიან წყალს მოსახლეობა ხმარობს სასმელად, ისინი ამით ამჟავებენ პურის ცომს, რომელიც

ამ წყლით ამოდის, ფუვდება და უმარილოდაც მშვენიერი გემო აქვს. ამ წყაროებთან, ისევე, როგორც ონთან, იგრძნობა იის სუნი... აქაც მიწაში ჩარჭობილი ლერწმის მილების საშუალებით ამოსწოვენ ხოლმე ნიკრისიანი ავადმყოფები ორთქლს" (გიულდენშტედტის მოგზაურობა, დასახ. ნაშრ., გვ. 125; უწერის ეკლესიის სესახებ იხ. აგრეთვე თ. ბერაძე, დასახ. ნაშრ., გვ122; გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ.252 და სხ.).

45. გლოლისწყალი – იგივე ჭანჭახისწყალი (მისი მარჯვენა შენაკადია ბოყვისწყალი), რიონის მარცხენა შენაკადი.
46. ჭიდროთას ციხე – საგლოლოდან უწერამდე რიონის ხეობა ძალზე ვიწროვდება, რადგან შოდა-კედელას მთის კალთები უშუალოდ მდინარეში ჩამოდიან, რის გამოც ამ მონაკვეთს შესაბამისი სახელი „ჭიდროთა" ეწოდა, რომელიც ზედსართავ „მჭიდროდან" მოდის. ჭიდროთას ციხე ფეოდალური ხანის ნაგებობაა; ეს იყო „ქვის კონცხზე მდგარი მაღალი კოშკი, რომლის ქვეშაც გზა გადიოდა. ჩრდილოეთიდან კარი იყო შებმული და მეციხოვნეთა ნებართვის გარეშე მთის რაჭიდან რაჭის სხვა სოფლებში ვერ წახვიდოდი" (თ. ბერაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 35). „ჭიდროთას არს ციხე მცირე, რათა ვერ ვიდოდნენ მთის კაცნი თვინიერ მის ციხისა რაჭას" (ვახუშტი, გვ. 768).
47. გლოლა – სოფელი ონის რ-ში, მდ. ჭანჭახის (იგივე გლოლისწყლის) ნაპირზე, ბოყოსწყლის შესართავთან. სოფელი გაშენებული იყო მდინარის ორივე ნაპირზე. გამუდმებული წყალდიდობის გამო სოფლის მარცხენა ნაწილი, რომელსაც დიუბუა ძველ გლოლას უწოდებს, მისი მოგზაურობისას მართლაც მიტოვებული იყო (უფრო ვრცლად იხ. თ. ბერაძე, დასახ. ნაშრ., გვ 68-72; გლოლის ციხე და ნათლისმცემლის ტაძარი აღწერილი აქვს გ. ბოჭორიძეს, იხ. მისივე ნაშრ., გვ. 254-256).
48. ჭიორა – სოფელი ონის რ-ში, რიონის მარცხენა ნაპირზე; „გლოლის-ხევის შესართავს ზეით, რიონის სამხრეთით არს ჭიორა, დაბა მოზღუდვილი და კოშკოვანი, გოდლოვანი" (ვახუშტი, გვ. 768). აქ მართლაც იყო თავდაცვითი ნაგებობები; შემორჩენილია განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქის კოშკი (საცხოვრებელი სახლი) და გვიან შუასაუკუნეების ბაზილიკური ეკლესია.
49. იტანისი (?) – მთა შოდა-კედელას ჩრდილოეთით.
50. კატისწვერი – მწვერვალი კედელას ქედზე, მდ-ების ჭანჭახისა და გომულის (რიონის მარცხენა შენაკადები) წყალგამყოფზე.
51. ფასისმთა – მწვერვალი რაჭის კავკასიონის მთავარ ქედზე, მდების რიონისა და ცხენისწყლის სათავეებში.

52. ღების ეკლესია – განვითარებული შუასაუკუნეების ხანის ეკლესია, მთავარანგელოზის სახელობისა.
53. სადმელი – სოფელი ამბროლაურის რ-ში, მდ-ების რიონისა და რიცეულას ნაპირზე.
54. რიცეულა – მდინარე ლეჩხუმის ქედის სამხრეთ კალთაზე, რიონის მარჯვენა შენაკადი.
55. ხვანჭკარა – სოფელი ამბროლაურის რ-ში, რიონის მარჯვენა ნაპირზე, ლეჩხუმის ქედზე. XII-XVIII სს-ებში უკვე მნიშვნელოვანი სოფელი იყო; გ. ბოჭორიძის აღწერით, აქ ორი ეკლესიაა: ღვთისმშობლისა და გოლგოთისა. არის აგრეთვე გვიან შუასაუკუნეებში აგებული ციხე, ყიფიანების საკუთრება (გ. ბოჭორიძე, დასახ. ნასრ., გვ. 130).

Mzia Mgaloblishvili
Lela Mikiashvili
Doctor of history, chief scientific researcher, the Department of Modern and Contemporary History, The Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

Radja in the 30-ies of the XIX century according to the „Travel" of Dubois de Monpere

Summary

Frederic Dubois de Monpere is a scientist-traveler, whose works promoted the development of Europian Kartvelology. Frenchman by origin, born in Switzerland, he was an outstanding geologist, naturalist and archeologist. He traveled a lot, including Transcaucasian countries and Georgia among them (1833-1834) which resulted in fis extensive work (in 6 volums) „Travels around the Caucasus, at Circassians and Abkhazians, in Kolkhida, in Georgia, Armenia and the Crimea". The work is written in the genre of keeping a diary, where he described everything heard and seen in detail, precisely defining the information on antique, medieval and his contemporary authors about this region. The striking illustration of this very important work is the honorary reward – the gold medal of French Geografical society, awarded ti him in 1838.

The importance of „Travels" for Georgian original source studies should be espesially noted: because of the known political events, a certain

gap has appeared in Georgian historiography, concerning the description on the history of the first half of the 19-th century (after the conquest of Georgia by Russia). Hence, Duboi's „Travels" acquires the significance of primary source in many historical aspects of the given period.

The one of the chapters of the work is dedicated to the description of Radja. The author describes with the scientific scrupulosity the each village, river, mountain and ravine; his attantion is directed to the local landscape, useful minerals, historical monuments as well as to the number and character of the population, local habits and forms of administration.

In the work the author describes following settlements: Khotevi, Djeliaghele, Ambrolauri, Nikortsminda, Tsessi, Oni, Utsera, Glola, Ghebi etc.

გია გელაშვილი
ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

რამდენიმე წერილი ოლივერ უორდროპის კოლექციიდან

ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპის კოლექციაში სხვა მასალებთან ერთად დაცულია უამრავი წერილი, რომლებსაც უგზავნიდნენ სხვადასხვა პიროვნებები და-ძმა უორდროპებს. ასეთია ილია ჭავჭავაძის, ოლღა გურამიშვილის, ივანე მაჩაბლის, ვარლამ და ფრიდა ჩერქეზიშვილების, იაკობ გოგებაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ნიკო მარის, გრიგოლ ფერაძის, მიხეილ წერეთლის და მრავალ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა, თუ უორდროპთა ვრცელი ქართული სამეგობროს პირადი წერილები.

ამ წერილებში ნათლად ჩანს ქართველთა დიდი პატივისცემა და სიყვარული უორდროპთა მიმართ, რაც მათ თავისი მოღვაწეობითა და ყოველი ქართულისადმი გულითადი დამოკიდებულებით დაიმსახურეს. ამ სტრიქონებში შეგვიძლია დავინახოთ საქართველოს ისტორიული, თუ მიმდინარე პოლიტიკური ვითარება, საშინაო (კულტურულ-ეკონომიკური), თუ საგარეო (საომარ-დიპლომატიური) ურთიერთობანი.

ამჯერად ჩვენ წარმოვადგენთ დავით ღამბაშიძის, ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, დავით ღამბაშიძის ვაჟის (6 ინგლისური, 1 გერმანული), ვარლამ ჩერქეზიშვილის (ერთი ინგლისური), ვახტანგ ღამბაშიძის (1 ქართული) და აკაკი ჩხენკელის (1 ქართული, 2 რუსული) წერილებს შესაბამისი თარგმანებით.

მკითხველი ნათლად დაინახავს წერილების ავტორთა, თუ ოლივერ უორდროპის მრავალმხრივ დაინტერესებას, სურვილებს და დამოკიდებულებას საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა მხარის მიმართ (ლიტერატურული ურთიერთობანი, საეკლესიო ცხოვრება, ისტორიული საბუთების შეძენა, ნავთობის მოპოვება; ერთა ლიგასა, თუ საერთაშორისო კონფერენციებთან დამოკიდებულება; ბოლშევიკური რუსეთის პოლიტიკა და სხვა).

როგორც ვ. ღამბაშიძე წერს, ამ მოღვაწეთა (და არა მარტო მათი) მიზანი იყო „საქართველო გააცნოს ევროპას, დაიმეგობროს ევროპის საზოგადოებრივი აზრი“, რომ შესაძლებელი გახდეს დაკარ-

გული უფლებების აღდგენა. ამ საქმეში კი ქართველები თავიანთ მეგობარსა და მრჩეველს ხედავდნენ ოლივერ უორდროპში.

რაც შეეხება ნავთობის მრეწველობასთან დაკავშირებულ ამონარიდს დ. ღამბაშიძის მოხსენებიდან, ეს არ გახლავთ უორდროპისადმი წერილი. იგი არის ვრცელი გამოკვლევა. მაგრამ, რადგანაც ის დ. ღამბაშიძეს ეკუთვნოდა, მოვათავსეთ მის წერილებთან ერთად.

შემდეგში ჩვენ წარმოვადგენთ სხვა წერილებსა და მოკლე სტატიებს, რომელთა რაოდენობა საკმაოდ ბევრია.

1. 22.VIII.11 [Wardr.d.38/10]

Dear Mr. Wardrop

I should be very much obliged to you if you will send me a copy of bibliography about Don Tamarati's book you have written. Don Tamarati asks me for. I shall translate into Georgian and send him.

Would you like to send directly on his address: Don Michele Tamarati, Murzio Clementi, 70, Roma. With kind regards to you and Mrs. Wardrop

Yours very truly D. Ghambashidze

1. 22.VIII.1911 ძვირფასო ბ-ნო უორდროპ

ძალიან დამავალებთ, თუ გამომიგზავნით ბიბლიოგრაფიის ასლს დონ თამარატის წიგნზე – თქვენ რომ დაწერეთ. დონ თამარატიმ მთხოვა ის. მე ვუთარგმნი ქართულად და გავუგზავნი.

იქნებ მოისურვოთ, რომ ის პირდაპირ მას გაუგზავნოთ: დონ მიქელ თამარატი, მურზიო კლემენტი, 70 რომი. საუკეთესო სურვილებით თქვენ და მისის უორდროპს

თქვენი ერთგული
დ. ღამბაშიძე

2. 31.XII.11 [Wardr.d.38/10]

Dear Mr. Wardrop

Tcherkessof showed me your letter to Archdeacon in Palestina. I was quite willing to give him necessary information about present conditions of

our church, but we thought it better to send him an appeal of our „Church League", translation of which Mrs. Tcherkessoff send you yesterday. This appeal gives most valuable hystorical information of past and present conditions of our church.

I hope you will forward it on to him and asking him to publish it in his book.

I have obtained all reports of British Consul in Batoum since 1884 and I am very glad to find in them most valuable information respecting the foreign trade of Georgia resp. Transcaucasia.

I am going to publish in „Mosavali" articles of foreign trade.

Wishing you happy New Year I remain yours
very truly D. Ghambashidze.

2. 31.XII.1911 ძვირფასო ბ-ნო უორდროპ

ჩერქეზოვმა მაჩვენა თქვენი წერილი პალესტინელ არქიდიაკონთან. მე ძალიან მსურდა მიმეწოდებინა მისთვის საჭირო ინფორმაცია ჩვენი ეკლესიის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ჩვენ ჩავთვალეთ უმჯობესად გაგვეგზავნა მისთვის ჩვენი „საეკლესიო ლიგის" მიმართვა, რომლის თარგმანიც მისის ჩერქეზოვმა გუშინ გამოგიგზავნათ. ეს მიმართვა იძლევა მეტად ძვირფას ისტორიულ ინფორმაციას ჩვენი ეკლესიის წარსული და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ.

მე ვიმედოვნებ, რომ თქვენ გადაუგზავნით მას და სთხოვთ მის გამოქვეყნებას თავის წიგნში.

მე მოვიპოვე (მოვიძიე) ბათუმში მყოფი ბრიტანეთის კონსულის ყველა მოხსენება 1884 წლიდან და ძალიან მოხარული ვარ, რომ მათში აღმოვაჩინე მეტად ძვირფასი ცნობები,რაც ეხება საქართველოს, შესაბამისად ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობას. მე ვაპირებ გამოვაქვეყნო „მოსავალში" წერილები საგარეო ვაჭრობის შესახებ.

გისურვებთ ბედნიერ ახალ წელს.

ვრჩები თქვენდამი ერთგული დ. ღამბაშიძე.

3. 17.XII.12 [Wardr.d.38/10]

Dear Mr. Wardrop

..... In the last number of „Temi" there is an article about Iveron Monastery at Mount Athos. Do you would know that island is now occupied

by Greec army and as the behaviour of Greec monks during the Turkish rule was prety impudent, we have to expect worse things still. Position is rather very bad, as if Georgian nobility would request Russian Government to demand its return to the Georgian Church, as they are going to do, and in case Russians take it and it would be worse still.

Don't you think it would be necessary and advisible, when the Greeks have formally taken it, to address a petition to the Greek Government from Georgian people, asking them, considering all the friendly relations between those two nations in the past, to allow our monks to organize an independent community. In case of messes the former Archimandrit of Gelathi, Nicolas would be the very person as a prop. He is at present in Constantinople. I should like hear your opinion about this dreamy suggestion.

With kind regards, Yours very truly D. Ghambashidze

3. 17.XII. 1912 ძვირფასო ბ-ნო უორდროპ

.....„თემის" ბოლო ნომერში მოთავსებულია სტატია ათონის მთის ივერთა მონასტრის შესახებ. ალბათ გინდათ იცოდეთ, რომ კუნძული ამჟამად ოკუპირებულია ბერძნული არმიის მიერ და რადგან ბერძენი ბერების საქციელი თურქული წესების პირობებში საკმაოდ არაკეთილგონივრული იყო, ჩვენ უარესს უნდა ველოდოთ. ვითარება უფრო მეტად მძიმეა; თუ ქართველი არისტოკრატია შესთავაზებს რუსეთის მთავრობას მოითხოვონ მისი დაბრუნება ქართული ეკლესიისათვის, რასაც აპირებენ, რუსები წაიღებენ მას და უარესიც იქნება.

ხომ არ ფიქრობთ, რომ აუცილებელი და მიზანშეწონილი იქნებოდა, როცა ბერძნები ოფიციალურად (ფორმალურად) დაისაკუთრებდნენ მას, გაგზავნილიყო ქართველი ხალხის პეტიცია საბერძნეთის მთავრობისადმი და, წარსულში ამ ორი ხალხის მეგობრობის გათვალისწინებით, ეთხოვათ ნება დაერთოთ ჩვენი ბერებისთვის მოეწყოთ დამოუკიდებელი საზოგადოება (გაერთიანება). გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ამისთვის შესაფერი პიროვნება იქნებოდა გელათის ყოფილი არქიმანდრიტი ნიკოლოზი, რომელიც ახლა კონსტანტინოპოლშია.

მე მსურს თქვენი აზრი შევიტყო ამ ზღაპრული წინადადების შესახებ.

საუკეთესო სურვილებით, თქვენი ერთგული
დ. ღამბაშიძე.

4. 30.IV.1912 [Wardr.d.38/11]

Dear Mr. Wardrop

I received Maisuradze's letter and here with I send you answer of his letter. Should this answer not contain your opinion will you kindly let me know how would you like it, and I am willing to alter it.

My opinion is that Mr. Maisuradze is Kalpakian №2 but a little clumsy. He likes to make business with the historical documents of the country. Most pathetic is his opinion about economic crisis of Georgia and a proposal of export of manuscripts in order to raise home-prices. You are quite right in thinking that in case you would purchase the market in Georgia would be spoiled.

I am very sorry to trouble you about the numbers of papers you returned me were of „Kooperatzia" not „Mosavali". Cherkesoff has not any...

I thought the hand writing of Maisuradze is not clear, therefore I send you a copy of it. To-morrow I send you „Sakhalkho Gasethi".

Yours very truly D. Ghambashidze.

4. 30.IV.1912 ძვირფასო ბ-ნო უორდროპ,

მივიღე მაისურაძის წერილი და გიგზავნით პასუხს მის წერილზე. თუ ეს პასუხი არ შეზღუდავს თქვენ ყურადღებას, გთხოვთ გამაგებინოთ როგორ მოგეწონებათ და მზად ვარ შევცვალო ის.

ჩემი აზრით, ბატონი მაისურაძე არის № 2 კალპაკიანი, მაგრამ ცოტა უხეში. მას სურს ბიზნესის კეთება ქვეყნის ისტორიული დოკუმენტებით. განსაკუთრებით საცოდავია (პათეტიკურია) მისი შეხედულება საქართველოს ეკონომიკური კრიზისის შესახებ; ასევე მისი გეგმა ხელნაწერთა ექსპორტის შესახებ, რათა გაიზარდოს მათი შიდა-ფასი. თქვენ სწორად ფიქრობთ, რომ თუ შეისყიდდით, საქართველოში ბაზარი წახდებოდა (გაიძარცვებოდა).

ძალიან ვწუხვარ, რომ შეგაწუხეთ გაზეთების დაბრუნებით, რომლებიც იყო „კოოპერაცია" და არა „მოსავალი". ჩერქეზოვს არცერთი არ აქვს....

მე ჩავთვალე, რომ მაისურაძის ხელწერა გაურკვეველია და ამიტომ გიგზავნით მის ასლს. ხვალ გამოგიგზავნით „სახალხო გაზეთს".

თქვენი ერთგული დ. ღამბაშიძე.

[მაისურაძე ოლივერისადმი წერილში აკრიტიკებს
ე. თაყაიშვილს, რომ სულ მუქთად უნდა წიგნების
და ხელნაწერების ხელში ჩაგდებაო.. – გ.გ.].

5. 9.III.1919
Délégation de la
République Géorgienne
Grand Hotel Paris [Ms.Wardr.c.27/93]

Dear Mr. Wardrop

Many thanks for your kind letter informing me about the telegram from Gueguetchkori, I had also a letter from Prof. Simpson to that effect. Tchkheidze, Irakli Tseretheli and Tcherkesofs have arrived from Constantinople and inform me that the trouble in Musulman Georgia is entirely due to Armenian intrigue and few Beys, who are not sympathetic to democratic Georgia. I hope the military representatives of British Government will be carefull not to aggravate the situation, which unfortunately is not the case uptill now. The clever German propaganda and Armenian animosity have exited the Georgians to such an effect that they are all obsessed by the idea that Armenian side is taken.

As a true friend of my country and Great Britain I am doing my outmost to explain this situation, but must openly confess that mentality of some of the British officers at present in Trans-Caucasia is not quite suitable for the complex situation.

I shall be very pleased to meet you on my return to London Wednesday next.

Yours sincerely D.Ghambashidze

5. 9.III.1919 საქართველოს რესპუბლიკის დელეგაცია
გრანდ-ოტელი, პარიზი

ძვირფასო ბ-ნო უორდროპ,

დიდი მადლობა თქვენი გულითადი წერილისთვის, რომლითაც მატყობინებთ გეგეჭკორის ტელეგრამის შესახებ; მე აგრეთვე მივიღე იმავე შინაარსის წერილი პროფ. სიმპსონისგან. ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი და ჩერქეზოვები ჩამოვიდნენ კონსტანტინოპოლიდან და შემატყობინეს, რომ მღელვარება მუსლიმანურ საქარ-

თველოში მთლიანად სომხების ინტრიგების და ზოგი ბეგების საქმეა, რომლებსაც არ მოსწონთ დემოკრატიული საქართველო. მე ვიმედოვნებ, რომ ბრიტანეთის მთავრობის სამხედრო წარმომადგენლები იქნებიან ფრთხილად, რათა არ გაამწვავონ ვითარება, რაც საუბედუროდ დღემდე ასე არ არის. გერმანელთა ჭკვიანურმა პროპაგანდამ და სომეხთა მტრობამ ქართველები მიიყვანეს იმ შედეგამდე, რომ ისინი ყველანი შეპყრობილი არიან იმ აზრით, რომ სომხეთის მხარე უკავიათ.

როგორც ჩემი ქვეყნისა და დიდი ბრიტანეთის ნამდვილი მეგობარი, ვაკეთებ რაც შემიძლია, რათა განვმარტო ეს ვითარება; მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ზოგი ბრიტანელი ოფიცრის გონიერება სრულებით არ შეეფერება ამიერკავკასიის დღევანდელ რთულ ვითარებას.

ძალზე მოხარული ვიქნები, თუ ლონდონში დაბრუნებისას შემდეგ ოთხშაბათს შეგხვდებით.

წრფელი გრძნობით, თქვენი დ. ღამბაშიძე.

6. 19.III.1918 D. GAMBASHIDZE [Wardr.13.84(2)]

The Petroleum Industry and its Importance for Eastern Europe and Asia.

(Hon. Secretary and Member of the Executive Council of the Russo-British Chamber of Commerce in London).....

GOURIA – This oil-field is situated in the district of Ozurgeti, at a distance of 25 miles from Batum, and only 5 miles from the small ports of Supsa and Nicolas on the Black Sea in Georgia.

Natural outflows of petroleum had been known there for a long time, but only in 1911 a Baku firm made a trial boring which produced a flowing well at a depth of only 63 feet.

This immediately coused a great rush to take up lands in the neighbourhood; experts were sent to the spot and several British and other Companies formed. Drilling was started in 1913 in three places, but the outbreak of the war interrupted the work.

The research will, no doubt, be taken up again as soon as circumstances permit, as the exceptionally favourable position of this field practically on the Black Sea coast makes it specially interesting. .....

Gouria petroleum Corporation, Ld 7.10. 1913 -------350000 pf.st

6. 19.III.1918 დ. ღამბაშიძე

კავკასიის ნავთობის მრეწველობა და მისი მნიშვნელობა აღმოსავლეთ ევროპისა და აზიისთვის.

[ლონდონში რუსულ-ბრიტანული კომერციული პალატის აღმასრულებელი საბჭოს საპატიო მდივანი და წევრი]

(მოხსენება წაკითხული 1918 წლის 19 მარტს ნავთობის ტექნოლოგიური ინსტიტუტის წევრთა 29-ე გენერალურ შეკრებაზე. გამოაქვეყნა ინგლის-საქართველოს საზოგადოებამ, ლონდონი,1918).

[ამონარიდი ვრცელი მოხსენებიდან, გვ.7-8 –გ.გ.].

გურია – ნავთობის ეს რაიონი მდებარეობს საქართველოში, ოზურგეთის მხარეში, ბათუმიდან 25 მილის დაშორებით და მხოლოდ 5 მილზე შავ ზღვაზე მდებარე სუფსისა და ნიკოლოზის მცირე პორტებიდან.

ნავთობის ბუნებრივი ამოდენა დიდი ხნის წინ იყო იქ ცნობილი, მაგრამ მხოლოდ 1911 წელს ჩაატარა ბაქოს ფირმამ საცდელი ბურღვა, რასაც შედეგად მოჰყვა ნავთობის გამოჩენა 63 ფუტის სიღრმეზე. ამან მაშინვე გამოიწვია დიდი ლტოლვა მეზობელი მიწების დაუფლებისათვის. ადგილზე გაიგზავნენ ექსპერტები და შეიქმნა რამდენიმე ბრიტანული თუ სხვა კომპანია. ბურღვა დაიწყეს 1913 წელს სამ ადგილას, მაგრამ ომის დაწყებამ სამუშაოები შეწყვიტა.

ძიება, უეჭველია, ხელახლა აღდგება, როგორც კი ვითარება მოგვცემს საშუალებას, რადგან ამ საბადოს არაჩვეულებრივად მოხერხებული მდებარეობა პრაქტიკულად შავი ზღვის სანაპიროზე, მას განსაკუთრებით საინტერესოს (მიმზიდველს) ხდის.

[შეიქმნა] გურიის ნავთობის კორპორაცია, ლდ 7.10.1913, კაპიტალით 350000ფუნტი სტერლინგი

გურიის სინდიკატი, ლდ 4.05.1912, კაპიტალით 15000 ფუნტი სტერლინგი.

6ა. ჩვენ შეგვხვდა აგრეთვე დ. ღამბაშიძის 2 წერილი გამოგზავნილი ოლივერ უორდროპისადმი ლაიფციგიდან გერმანულ ენაზე 1910 წლის 8 აპრილის თარიღით:

1. ესაა სტუდენტთა სახელით გაგზავნილი სამძიმარი მარჯორი უორდროპის გარდაცვალების გამო.

2. ამ წერილით თხოვს მარჯორის სურათის გამოგზავნას ყველა ქართველის ოჯახში მის დასაკიდად. აქვე ეუბნება „მე ჯერ კიდევ მოწაფეობისას შევხვდი მას (მარჯორის – გ.გ.), როცა ქუთაისის სანახავად იყო და მამაჩემი – ობერ-პასტორი (წინამძღვარი) ახლდა მას გელათის მოსანახულებლად"-ო. [გ.გ]

7. 26.05.1919 [Wardr.c.25(2)]

(From the Letter of Tcherkesof to Wardrop)

.....I must say neither Chkheidze, Tserethels, Gvarcheladze (S.d) nor Gobechia (s.rev) are prepared for their mission, and Avaloff, who by his studies and knowledge of languages should know better, always has been rather ironical about the rights of Georgia and till now his influence as a member of the delegation has been far from beneficial.....

7. 26.V.1919 [ვ. ჩერქეზოვის კონფიდენციალური წერილიდან უორდროპს]

„ ..... მე უნდა მოგახსენოთ, რომ არც ჩხეიძე, წერეთელი, გვარჯალაძე (სდ), არც გობეჩია (ს-რევ) არ არიან მზად თავისი მისიისთვის, ხოლო ავალოვი, რომელსაც თავისი განათლებითა და ენების ცოდნით უკეთ უნდა ესმოდეს, ყოველთვის უფრო ირონიულად უყურებდა საქართველოს უფლებებს და ჯერაც მისი გავლენა, როგორც დელეგაციის წევრისა, შორსაა სასარგებლოსგან".....

(ვ. ჩერქეზიშვილი შემდეგ ამბობს, რომ „როცა ითხოვენ ერთა ლიგისგან საქართველოს დაცვას, უნდა ემყარებოდნენ არა სოციალ-დემოკრატიული ინტერნაციონალის ფრაზეოლოგიას, არამედ არგუმენტებს – დაფუძნებულს რუსეთ- საქართველოს ხელშეკრულებებზე!" ..... რომ საჭიროა ინგლის-აშშ-ს დახმარება დემოკრატიისათვის, რადგან სახიფათოა კოლჩაკ-დენიკინი.... გ.გ.).

8. 3.VI.1914 [„საქართველოს უფლებათა დამცველი ლიგის“ წერილი პარიზიდან]

დიდად პატივცემულო და ძვირფასო ბატონო! ამ წერილთან ერთად გიგზავნით პროტესტს ქართველ გლეხთა აყრის წინააღმდეგ და გაცნობებთ, რომ აქ დაარსებულმა „საქართველოს უფლებათა დამცველმა ლიგამ“ მიზნად დაისახა გააცნოს ევროპას საქართველო, დაიმეგობროს ევროპის საზოგადოებრივი აზრი და ამით ხელი შეუწყოს ჩვენ უფლებათა აღდგენის საქმეს. ვიმედოვნებთ, რომ ამ მოღვაწეობაში ლიგას არ მოაკლდება თქვენი თანაგრძნობა, რომელიც ჩვენთვის მუდამ ძვირფასი და დაუფასებელი იქნება.

თქვენი მარად პატივისმცემელი ლიგის მაგიერ;
ლიგის მდივანი : ვ. ღამბაშიძე
ხაზინადარი : ა. დემეტრაშვილი [Wardr.d.20(190)]

9. 18.XI.1918 ბერგენი-ნორვეგია

საგარეო საქმეთა მინისტრი [აკ.ჩხენკელის ქართული წერილი]

ვსარგებლობ შემთხვევით, რომ მოგიძღვნათ ჩემი გულითადი სალამი და მხურვალე სურვილები.

მე არ ვაძლევ ჩემს თავს ნებას დაწვრილებით მოგწეროთ, ვინაიდან ბ-ნი ავალიშვილი პირადათ გაგაცნობთ ჩვენს მდგომარეობას. მაქვს სრული იმედი, როგორც ყოველთვის, კვლავაც მხურვალეთ მოეკიდებით მრავალ-წამებულ საქართველოს სვე-ბედს.

საერთაშორისო ომის ძლიერმა ტალღებმა კვლავ აღადგინა თავისუფალი საქართველო. ის არსებობს იურიდიულად ნახევარი წელიწადია. არსებობდა ფაქტიურათ რუსეთის რევოლუციის პირველი დღიდან, იმედი გვაქვს – იარსებებს მომავალშიც. ქართველი ერი და მისი მთავრობა თავიდანვე ლოიალური იყვნენ და არიან მეომარ სახელმწიფოთა მიმართ, ისინი მოელიან ამიტომ საქართველოს ფორმალურათ ცნობას და მის კანონიერ წევრად მიღებას ერთა ოჯახში.

ბევრია დამოკიდებული თქვენს სამშობლოსგან – დიდი ბრიტანიისგან. მე დარწმუნებული ვარ, საქართველოს დამოუკიდებლობა სრულიად ეთანხმება დიდი ბრიტანიის პოლიტიკურ ინტერესებს და ამიტომ იმედი გვაქვს, უკანასკნელი მხარს დაგვიჭერს.

თქვენ კი, ვიმეორებ, ბატონო უორდროპ, ყველა ჩვენი პოლიტიკურ წრეების რწმენით, მხარს დაგვიჭერთ ამ წმინდა საქმეში, რასაც არ დაგივიწყებთ თავისუფალი საქართველო.

ღრმათ თქვენი პატივისმცემელი
აკ. ჩხენკელი [Wardr.c.10.84]

Париж. **31.X.22**
44 ав.Виктога Гюго [Ms.Wardr.c.27]

10. Глубокоуважамый, дорогой Уордроп,

Сумбатов мне писал о Вашем пребывании в Лондоне и я сильно рассчитывал Вас увидеть там, но, к несчастию, из за задержки визы я не в состоянии съехать туда даже теперь, когда Вас уже нет там. Вы знаете, надеюсь, от Сумбатова, зачем я хотел с Вами встретиться, и нужно ли удивляться тому, что при всех трудных обстоятельствах, когда речь идёт о нашей несчастной родине, мы поневоле ищем Вас, как самого неизменного ея друга?!

Повторю в двух словах что случилось. Согласно решению союзников Грузия не будет представлена на ближне-восточной конференции, чем ей наносится, несомненно, непоправимый ущерб. По нашим сведениям, это решение было принято после того, как Англия и Франция не пришли к соглашению по вопросу о том, кого из двух пригласить на конференцию: национальное или большевитское правительство Грузии. Англия предлагала пригласить второе, а Франция – первое, т.е. признанное союзниками нац.правительство.

Был, оказывается, спор и о том, действительно ли признали союзники «де юрэ» 27 января 1921 г. в Париже груз.национальное правительство, причём «фореин оффис» доказывал, что Англией признана «де юрэ» независимость Грузии, а не правительство. Не вдаваясь вовсе в юридический разбор этого чрезвычайно важного для нас вопроса, я только замечу, что, передавая лично лорду Керзону 17 марта 1921 г. в Лондоне копию с верительной грамоты моего правительства, я не думал тогда, признаться, что ставил себя в такое ложное положение.

Сумбатов пишет мне, что лорд Керзон, как ему передавали в «фореин оффисе», сожалеет, что он должен был, скрепя сердце, пойти на то, чтобы Грузия не была вовсе предоставлена на такой важной

конференции, как ближне-восточная. Я верю, разумеется, этому, - тем более, что во время упомянутого выше свидания с ним лорд Керзон сказал мне следующие в высшей степени ободряющие слова: « Когда турецкий вопрос снова встанет на очередь, мы можем опять помочь Грузии».

Но могли ли мы согласиться, если бы, допустим, нас спросили, чтобы от имени Грузии выступали на конференции ставленики Москвы, так наз. большевитское правительство Тифлиса? Где же у нас гарантия, что они, тифл.делегаты, под давлением русских делегатов не заявили бы формально, что Грузия составляет нераздельную часть России? Не был бы ли в этом случае похоронен международный статут Грузии? Ведь, раз приглашаешь кого либо на конференцию, то надо придать значение и тому, что он говорит. К тому же, у нас есть отнюдь не ободряющий пример из Генуи, где Чичерин так ловко маневрировал грузинским мандатом, между тем так наз.председатель тифлисского правительства Мдивани, который тоже был там, не осмелился подать ни одной бумаги конференции и был затушёван совершенно. –Это тот самый Буду Мдивани, который в момент нашествия России на Грузию сидел в Ангоре в качестве представителя Москвы и впоследствии сопровождал турецкие войска, атаковавшие Грузию с юга. – Какая гарантия у нас, повторяю, что предав раз свою родину, вводя в её пределы чужеземные силы, эти господа из Тифлиса неспособны совершить то же самое и теперь, когда их власть в стране сведена Москвой к нулю? Вы читали, конечно, интервью Ленина в «Обсервер», где он говорит о «федеративных государствах» России. – Хороша федерация между необъятной Россией и маленькой Грузией, где сто с лишним миллионов душ противостоит трём миллионам! – Мне не нужно, разумеется, Вам доказывать, что Москва не потому предлагала пригласить большевитское правительство Грузии, чтобы укрепить международное положение Грузии, а совсем наоборот, - чтобы легализировать оккупацию нашей страны.

Я Вам присылаю при сем переданную мною одновременно великим державам-союзницам ноту (в копии) с изменением лишь адресатов, дабы Вы имели возможность познакомиться с нашими мотивами. Но я там не сказал, по известным соображениям, самого главного мотива. А он заключается в том, что русские и с ними вместе грузинские большевитские делегаты в вопросе о проливах заняли бы на конференции абсолютно неприемлемую, прямо пагубную для Грузии позицию. Не нужно большой прозорливости, чтобы догадаться, что

Россия стремится превратить Черное Море в своё внутренное озеро, куда никто не мог бы проникнуть без её на то разрешения. Но так как Россия ещё слаба и не может претендовать на исключительное господство над проливами, то она стремится до наступления благоприятного для себя момента передать до поры до времени ключи к ним своей союзнице Турции. В этих стремлениях Москвы её поддерживают все, начиная Марковым вторым и кончая Милюковым.

Что стало бы, если бы России удалось добиться своего, я не смею разъяснить, дорогой Уордроп, Вам, которому так хорошо известно всё прошлое и настоящее нашего многострадального народа. Не будь этих проклятых проливов, не будь веками отрезанной, благодаря им от Запада, вся история Грузии была бы иной, более счастливой и менее трагичной. Ясно, что, если вопрос о проливах не будет урегулирован так, чтобы их не могла закрыть Турция ни в мирное, ни в особенности в военное время, то стремления грузинского народа к независимости останутся тщетными и, может быть, навсегда осуждёнными историей. Мы не забываем при этом, разумеется, что без непосредственных сношений с народами Зап.Европы духовный и материальный прогресс нашего народа не будет обезпечен ни в какой степени. Вот почему было полное основание опасаться, что неверные сыновья Грузии, ставши на конференции рядом с красными империалистами из Кремля, сыграли бы безусловно последним на руку и тем дали бы моральное оправдание их замыслам, явно направленным против собственного народа. Не для этой ли цели, прежде всего, требует Москва приглашения своих ставленников на конференцию?

Я утомил Ваше внимание и прошу извинения за многословие, дорогой Уордроп, но я хотел подробно познакомить Вас с нашими думами и получить от Вас дружеский совет – как быть. Мы старались, чтобы наша страна не была исключена из списка прибережных государств Чёрного моря и не добились этого. Я уже говорил вначале, что такой оборот дела значительно ослабляет международное положение Грузии. Ведь исторические события, подобные ближневосточной конференции, не так часто повторяются. Правда, две могущественные державы поспорили о представительстве нашей страны на конференции, но в результате они вместе с водой как бы выплеснули и ребёнка, решив вовсе не приглашать Грузию. Не было ли никакого способа избегнуть этого? Были ли, по краиней мере, сделаны попытки в этом направлении? Мы этого не знаем. Известно, например, что Турция на

лондонскую конференцию прошлого года приглашалась в лице двух делегаций: константинопольской и ангорской, она и на ближайшую конференцию приглашается подобным же образом. Нельзя ли было применить тот же метод и к Грузии? Правда, это далеко не соответствовало бы тому, чего мы добивались, но в этом случае, по крайней мере, Грузия фигурировала бы на конференции в качестве независимого государства, и мы могли бы с своей стороны воспрепятствовать по мере наших сил тифлисским делегатам предать жизненные интересы Грузии.

Словом, я возбуждаю вопрос о двойном представительстве для того, чтобы знать Ваше мнение о нём. Не знаю, описал ли я Вам должным образом положение нашей страны в связи с конференцией,-может быть осталось ещё что-нибудь невыясненным,-я к Вашим услугам. Я могу специально приехать для этого в Страсбург, если Вы того пожелаете.

Наши друзья, все без исключения, шлют Вам горячий привет и искренные пожелания.

Остаюсь глубоко Вас уважающий
А. Чхенкели

31.X.1922
პარიზი, ვიქტორ ჰიუგოს ავ. 44

ღრმად პატივცემულო, ძვირფასო უორდროპ,

სუმბატოვმა მომწერა თქვენი ლონდონში ყოფნის შესახებ; მე დიდი იმედი მქონდა თქვენი იქ ნახვისა, მაგრამ, საუბედუროდ, ვიზის შეფერხების გამო ჯერაც ვერ მოვახერხე ჩასვლა, თუმცა თქვენ იქ უკვე აღარ ბრძანდებით. ვფიქრობ, სუმბატოვისგან შეიტყობდით თქვენთან ჩემი შეხვედრის მიზანს. განა გასაკვირია, რომ ამ ძნელბედობისას, როცა საქმე ეხება ჩვენ საბრალო სამშობლოს, ძალაუნებურად თქვენ გეძებთ, როგორც მის ყველაზე შეუცვლელ მეგობარს?!

ორიოდე სიტყვით გავიმეორებ, რაც მოხდა. მოკავშირეთა გადაწყვეტილებით საქართველო არ იქნება წარმოდგენილი ახლო-აღმოსავლეთის კონფერენციაზე, რითიც მას უეჭველად მიადგება გამოუსწორებელი ზიანი.

ჩვენი ცნობით, ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც ინგლისი და საფრანგეთი ვერ შეთანხმდნენ იმაზე, თუ ორიდან რომელი მიეწვიათ კონფერენციაზე: საქართველოს ეროვნული, თუ ბოლშევიკური მთავრობა. ინგლისი სთავაზობდა მეორის მოწვევას, საფრანგეთი კი პირველის – ე.ი. მოკავშირეთა მიერ აღიარებული ეროვნული მთავრობის.

როგორც ჩანს, კამათობდნენ იმაზეც, ნამდვილად აღიარეს თუ არა მოკავშირეებმა 1921 წლის 27 იანვარს პარიზში „დე იურე"¬საქართველოს ეროვნული მთავრობა; ამასთან საგარეო საქმეთა სამინისტრო ამტკიცებდა, რომ ინგლისმა „დე იურე" აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და არა მთავრობისა. იურიდიულად რომ არ ჩავუღრმავდეთ ჩვენთვის ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს, მხოლოდ შევნიშნავ, რომ როცა 1921 წლის 17 მარტს ლონდონში პირადად გადავეცი ლორდ კერზონს ჩემი მთავრობის რწმუნებულების სიგელის ასლი, მაშინ არ მიფიქრია, რომ ჩემს თავს ასეთ ცრუ ვითარებაში ჩავაყენებდი.

სუმბატოვი მწერს, რომ, როგორც მას საგარეო საქმეთა სამინისტროში გადასცეს, ლორდი კერზონი წუხს, რომ იძულებული იყო გულის კანკალით დათანხმებოდა, რათა საქართველო საერთოდ არ დაეშვათ ახლო-აღმოსავლეთის ასეთ მნიშვნელოვან კონფერენციაზე. მე, რა თქმა უნდა, მჯერა ეს; მით უმეტეს, რომ ზემოდასახელებულ შეხვედრაზე ლორდმა კერზონმა მითხრა ძალზე გამამხნევებელი სიტყვები: „როდესაც თურქეთის საკითხი კვლავ დადგება დღის წესრიგში, ჩვენ შევძლებთ დავეხმაროთ საქართველოს".

მაგრამ შეგვეძლო დავთანხმებოდით, თუკი ვთქვათ შეგვეკითხებოდნენ, რომ საქართველოს სახელით კონფერენციაზე გამოსულიყვნენ მოსკოვის [მიერ დაყენებული] კაცები, ე.წ. ტფილისის ბოლშევიკური მთავრობა? სად გვაქვს იმის გარანტია, რომ ისინი – ტფილისის დელეგატები – რუსი დელეგატების ზეწოლით ფორმალურად არ განაცხადებდნენ, რომ საქართველო რუსეთის განუყოფელი ნაწილია? ამ შემთხვევაში, განა არ დასამარდებოდა საქართველოს საერთაშორისო სტატუტი? რადგან, თუკი ვინმეს მოიწვევ კონფერენციაზე, მის ნათქვამს ანგარიში უნდა გაუწიო. ამავე დროს ჩვენ გვაქვს არც თუ გამამხნევებელი მაგალითი გენუიდან, სადაც ჩიჩერინი ისე მოხერხებულად მანევრირებდა ქართული მანდატით, მაშინ როცა ტფილისის მთავრობის ე.წ. თავმჯდომარემ მდივანმა, რომელიც იქ იმყოფებოდა, ვერ გაბედა ვერც ერთი ქაღალდის (საბუთის) მიწოდება კონფერენციისთვის და მთლიანად ჩრდილში იყო. – ეს ის ბუდუ მდივანია, რომელიც რუსეთის საქართველოში შემო-

სევისას იჯდა ანგორაში, როგორც მოსკოვის წარმომადგენელი, ხოლო ბოლოს ახლდა თურქეთის არმიას, რომელმაც საქართველოს სამხრეთიდან შემოუტია. – ვიმეორებ, რა გარანტია გვაქვს, რომ ეს ბატონები ტფილისიდან, რომლებმაც ერთხელ უღალატეს თავის სამშობლოს, როცა უცხო ძალები შემოიყვანეს მის საზღვრებში, ახლაც იგივეს არ ჩაიდენენ, როცა მათი ძალაუფლება ქვეყანაში მოსკოვის მიერ ნულამდეა დაყვანილი? თქვენ, ცხადია, წაიკითხეთ ლენინის ინტერვიუ „ობსერვერთან“ ,სადაც ის ლაპარაკობს რუსეთის „ფედერაციულ სახელმწიფოზე“ , – რა კარგია ფედერაცია თვალუწვდენელ რუსეთსა და პატარა საქართველოს შორის, სადაც ას მილიონ სულზე მეტი დაუპირისპირდება სამ მილიონს! – რა თქმა უნდა, არ მჭირდება გიმტკიცოთ, რომ მოსკოვი საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის განსამტკიცებლად კი არ სთავაზობდა საქართველოს ბოლშევიკური მთავრობის მიწვევას, არამედ, პირიქით, – რათა მოეხდინა ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის ლეგალიზაცია.

მე თქვენ ასევე გიგზავნით ჩემს მიერ დიდ მოკავშირე სახელმწიფოებისადმი ერთდროულად გაგზავნილი ნოტის ასლს, მხოლოდ ადრესატების შეცვლით, რათა თქვენ შეძლოთ გაეცნოთ ჩვენ მოტივებს. მაგრამ მე იქ, გარკვეული მოსაზრებებით, არ დამისახელებია ყველაზე მთავარი მოტივი. ეს კი იმაში მდგომარეობს, რომ რუსები და მათთან ერთად ქართველი ბოლშევიკი დელეგატები სრუტეების საკითხის განხილვისას კონფერენციაზე დაიკავებდნენ საქართველოსთვის სრულიად მიუღებელ, პირდაპირ დამღუპველ პოზიციას. დიდი გამჭრიახობა არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ რუსეთი ისწრაფვის გადააქციოს შავი ზღვა თავის შიდა ტბად, სადაც არავის შეეძლება შეღწევა მისი ნებართვის გარეშე. მაგრამ, რადგან რუსეთი ჯერ კიდევ სუსტია და არ შეუძლია პრეტენზიების გამოთქმა სრუტეებზე ერთპიროვნული ბატონობის შესახებ, ამიტომ, მისთვის ხელსაყრელი პირობების დადგომამდე, ცდილობს გარკვეული დროით სრუტეების გასაღები გადასცეს თავის მოკავშირე თურქეთს. მოსკოვის ამ მისწრაფებას ყველა უჭერს მხარს, მარკოვ მეორით დაწყებული, მილიუკოვით დამთავრებული.

რა მოხდებოდა, რუსეთს რომ თავისი გაეტანა; ძვირფასო უორდროპ, მე ვერ ვბედავ ამის განმარტებას თქვენთვის, რომელმაც ასე მშვენივრად იცით ჩვენი მრავალტანჯული ხალხის მთელი წარსული და აწმყო. რომ არ ყოფილიყო ეს წყეული სრუტეები, რომ არ ყოფილიყო საუკუნეთა მანძილზე მათი მეშვეობით დასავლეთისგან მოწყვეტილი, საქართველოს მთელი ისტორია იქნებოდა სხვანაირი, უფრო ბედნიერი და ნაკლებ ტრაგიკული. ნათელია, თუ სრუტე-

ების პრობლემა ისე არ გადაწყდება, რომ თურქეთმა ვერ შეძლოს მათი ჩაკეტვა ვერც მშვიდობიანობის და განსაკუთრებით ვერც ომიანობის დროს, მაშინ ქართველი ხალხის სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ იქნება ამაო და ალბათ ისტორიის მიერ მუდამ დაძრახული. ამავე დროს ჩვენ არ გვავიწყდება, რომ დასავლეთ ევროპის ხალხებთან უშუალო ურთიერთობის გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია ჩვენი ხალხის სულიერი და მატერიალური პროგრესი. აი, რა იძლეოდა შიშის საფუძველს: საქართველოს ორგული შვილები, რომლებიც კონფერენციაზე დადგებოდნენ კრემლის წითელი იმპერიალისტების გვერდით და უეჭველად მათ სახეიროდ მოიქცეოდნენ, ამით მორალურად გაამართლებდნენ მათ ჩანაფიქრს, რაც აშკარად მიმართულია საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. პირველ რიგში ამ მიზნით ხომ არ მოითხოვს მოსკოვი თავიანთი [დაყენებული]კაცების მიწვევას კონფერენციაზე?

ძვირფასო უორდროპ, მე დავღალე თქვენი ყურადღება და მაპატიეთ მრავალსიტყვაობისთვის; მაგრამ მსურდა დაწვრილებით გამეცნო თქვენთვის ჩვენი აზრები და მიგველო თქვენგან მეგობრული რჩევა – რა გავაკეთოთ. ჩვენ ვცდილობდით, რომ ჩვენი ქვეყანა არ ამოერიცხათ შავი ზღვისპირა სახელმწიფოთა სიიდან, მაგრამ ამას ვერ მივაღწიეთ. ზემოთ უკვე ვამბობდი, რომ საქმის ასეთი შემობრუნება საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობას მნიშვნელოვნად ასუსტებს. ახლო აღმოსავლეთის კონფერენციის მსგავსი ისტორიული მოვლენები ხომ არც თუ ხშირად მეორდება. მართალია, ორმა ძლიერმა სახელმწიფომ იდავა კონფერენციაზე ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლობის თაობაზე, მაგრამ შედეგად ნაბან წყალს ბავშვიც გადააყოლეს – გადაწყვიტეს, რომ საერთოდ არ მიეწვიათ საქართველო. ნუთუ არ იყო ამის თავიდან აცილების საშუალება? ნუთუ იყო რაიმე ცდა ამ მიმართულებით? ჩვენ ეს არ ვიცით. ცნობილია, მაგალითად, რომ თურქეთი გასული წლის ლონდონის კონფერენციაზე მიწვეული იყო ორი დელეგაციით: კონსტანტინოპოლისა და ანგორის; იგი უახლოეს კონფერენციაზეც იგივე სახით იქნება მიწვეული. არ შეიძლებოდა იგივე მეთოდის გამოყენება საქართველოს მიმართ? მართალია, ეს არ შეესაბამება ჩვენ სწრაფვას, მაგრამ ამ შემთხვევაში, სხვა თუ არაფერი, საქართველო კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნებოდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახით და ჩვენ ჩვენის მხრით,შესაძლებლობის ფარგლებში, შევძლებდით ხელი შეგვეშალა ტფილისის დელეგატებისთვის, რომ არ ეღალატათ საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებისთვის.

ერთი სიტყვით, მე აღვძრავ საკითხს ორმაგი წარმომადგენლობის შესახებ იმიტომ, რომ გავიგო თქვენი აზრი ამის თაობაზე. არ ვიცი, რამდენად აგიწერეთ კონფერენციასთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა. – იქნებ დარჩა რაიმე გაურკვეველი, – მიგულეთ თქვენს სამსახურში. თუ თქვენ მოისურვებთ, შემიძლია ამისთვის საგანგებოდ ჩამოვიდე სტრასბურგში.

უკლებლივ ყველა ჩვენი მეგობარი გითვლით მხურვალე სალამს და გულითად სურვილებს.

ვრჩები თქვენი ღრმად პატივისმცემელი
ა. ჩხენკელი

11. 21.III.1923
Париж, 44 ав. Виктора Гюго [Ms. Wardr.c.27]

Глубокоуважаемый Сер Уордроп,

Я запоздал со своим поздравлением по случаю особого знака внимания Е.В. к Вашим Заслугам, но Вы поверите, надеюсь, что это событие меня чрезвычайно обрадовало и приношу Вам моё искреннее поздравление и пожелание всех благ.

Я намеревался, собственно говоря, написать Вам о наших делах в Лозанне, но, вернувшись оттуда, я застал так много неисполненных бумаг, что до сих пор не сумел взяться за это. И теперь я ограничусь лишь немногим, т.к. в последнюю минуту я счёл более подходящим прислать Вам мои ноты, а также письмо генерального секретаря конференции и 12-ый параграф конвенции о проливах, дабы Вы сами оценили положение вещей.

Я очень рад Вам сообщить, что мы довольны в общем достигнутыми результатами. Они сводятся к следующему: русской делегации было написано от имени трёх председателей конференции, что Грузия будет внесена в протоколы конференции, но это не означает никоим образом, что она правильно представлена в Лозанне; в 12 параграфе конвенции о проливах 3-ий абзац внесён специально для Грузии, как мне заявили в секретариате, - да это ясно и без того, т.к. нет других признанных и независимых государств на Черноморском побережии. Ведь мы только об этом просили после того, как не была вовсе приглашена Грузия на конференцию (см. ноту от 4.X11.22). Мы хотели чтобы Грузию отметили в протоколах и чтобы ей оставили место в конвенции.

С неменьшим удовольствием могу я констатировать, что достигнутым мы объязаны, гл. образ., британской делегации, в особенности её шефу лорду Керзону. Я его не видел и не просил свидания с ним, зная, что шума не следует поднимать: Чичерин мог узнать, а он и без того обвинял лорда в пристрастии к Батум-Баку! Виделся с другими из британской делегации, особенно часто с Форбс Адамсом и имел возможность следить за ходом переговоров. Когда нибудь расскажу лично, весьма интересно.

Конвенция о проливах вышла весьма выгодной для малых государств Чёрного моря. Проект Чичерина об отдаче ключа к проливам Турции, чтобы его отнять у неё впоследствии, когда Россия окрепнет, был устранён, и Англия, как и все остальные державы, получила возможность посылать военные корабли в Чёрное море.

А последний ответ Мемета(Исмета) Паши на мирные условия союзников дал ясно понять, что Турция ищет мира с Англией и её покровительства в будушем, разумеется, против русского империализма. Этого не скрывали сами турки, говорившие наедине, что им весьма неудобно оставаться «тет-а-тет» с Россией.

Я был восхищён, признаться, твёрдой тактикой лорда Керзона и его прозорливостью. Мир, мне кажется, обеспечен, несмотря на ангорских крикунов, находящихся под влиянием Москвы. Исмет (Мемет?) и Кемаль понимают, что им нечего ожидать в будущем лучщей конъюнктуры, чем они имели в Лозанне.

Этим самым мы можем надеяться, что двинулись с мёртвой точки. Раз Турция будет в мире с Европой, мы можем удвоенной энергией приняться за дело освобождения нашей родины. Я уже беседовал об этих перспективах с англичанами и они дали мне понять, что я мог бы продолжить начатую работу в Лондоне, как только будет заключён с Турцией мир.

Прежде чем закончить письмо, я считаю своим приятным долгом горячо поблагодарить Вас за Вашу поддержку и за внушенную Вами бодрость в Вашем последнем письме перед Лозанной. Я был бы, разумеется, весьма признателен Вам, если бы Вы не оставили нас и впредь Вашими дружескими советами в нашей дальнейшей работе. Может быть, Вы собираетесь в ближайшем будущем в Париж, или в Лондон? Я был бы счастлив Вас видеть.

Остаюсь глубоко Вас уважающий А.Чхенкели.

21.III. 1923
პარიზი, ვიქტორ ჰიუგოს ავ.,44

ღრმად პატივცემულო ბ-ნო უორდროპ,

მე დავაგვიანე მოლოცვა მისი უდიდებულესობის მიერ თქვენი დამსახურებისთვის გამოხატული განსაკუთრებული ყურადღების გამო; დარწმუნებული ვარ, თქვენ გჯერათ, რომ ამ ამბავმა ძალზე გამახარა და გითვლით ჩემს გულითად მოლოცვას და გისურვებთ ყოველივე სიკეთეს.

მე მსურდა ლოზანაში მომეწერა თქვენთვის ჩვენი საქმეების შესახებ, მაგრამ იქიდან დაბრუნებულს იმდენი შეუსრულებელი საქმე (ქაღალდი) დამხვდა, რომ აქამდე ვერ შევძელი მისი შესრულება. ამჟამად მე მცირედით შემოვიფარგლები, რადგან უკანასკნელ წუთს უფრო შესაფერისად ჩავთვალე გამომეგზავნა თქვენთვის ჩემი ნოტები, აგრეთვე კონფერენციის გენერალური მდივნის წერილი და კონვენციის მე-12 პარაგრაფი სრუტეების შესახებ, რათა თქვენ თვითონ შეგეფასებინათ მოვლენები.

დიდი სიხარულით გაცნობებთ, რომ ზოგადად ჩვენ კმაყოფილები ვართ მიღწეული შედეგებით. ესაა შემდეგი: რუსულ დელეგაციას მისწერეს კონფერენციის სამი თავმჯდომარის სახელით, რომ საქართველოს შეიტანდნენ კონფერენციის ოქმებში; მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ის სწორადაა წარმოდგენილი ლოზანაში. როგორც სამდივნოში მითხრეს, სრუტეების შესახებ კონვენციის მე-12 პარაგრაფში შეტანილია აბზაცი საგანგებოდ საქართველოს შესახებ; მაგრამ ეს ისედაც ნათელია, რადგან შავი ზღვის სანაპიროზე არაა სხვა აღიარებული და დამოუკიდებელი სახელმწიფო. ჩვენ ხომ მხოლოდ ამას ვითხოვდით მას შემდეგ, რაც საქართველო სულაც არ მიიწვიეს კონფერენციაზე (იხ. 4.XII.1922-ის ნოტა). ჩვენ გვსურდა, რომ საქართველო აღენიშნათ ოქმებში და გამოეყოთ მისთვის ადგილი კონვენციაში.

არანაკლები სიამოვნებით შემიძლია დავადასტურო, რომ მიღწეულს უმთავრესად უნდა ვუმადლოდეთ ბრიტანეთის დელეგაციას, განსაკუთრებით მის მეთაურს ლორდ კერზონს. მე ის არ მინახავს და არც შეხვედრა მითხოვნია მასთან, რადგან ვიცოდი, არ ღირდა ხმაურის ატეხა: შეიძლებოდა ჩიჩერინს გაეგო, რომელიც ისედაც აბრალებდა ლორდს ბათუმ-ბაქოსადმი მიკერძოებულებას! ვხვდებოდი ბრიტანეთის დელეგაციის სხვა წევრებს; განსაკუთრებით ფორბს ადამსს და მქონდა შესაძლებლობა თვალი მედევნებინა

მოლაპარაკებების მსვლელობისთვის. ოდესმე გიამბობთ პირადად; ძალიან საინტერესოა.

სრუტეების შესახებ კონვენცია საკმაოდ სასარგებლო გამოვიდა შავი ზღვის პატარა სახელმწიფოებისთვის. უარყვეს ჩიჩერინის პროექტი, რომ სრუტეების გასაღები თურქეთს გადასცემოდა, რათა, როგორც კი რუსეთი მოღონიერდებოდა, უკან წაერთმია მისთვის. ინგლისს და სხვა დანარჩენ სახელმწიფოებს მიეცათ საშუალება შავ ზღვაში სამხედრო გემების გაგზავნისა.

ისმეტ ფაშას ბოლო პასუხი მოკავშირეთა სამშვიდობო პირობებზე, ნათლად უჩვენებს, რომ თურქეთს სურს ზავი ინგლისთან და მომავალში მისი მფარველობა, რა თქმა უნდა, რუსული იმპერიალიზმის საწინააღმდეგოდ. ამას თვით თურქებიც არ მალავდნენ; ერთი ერთზე ამბობდნენ, რომ მათთვის ყოვლად არასასურველია რუსეთთან პირისპირ დარჩენა.

უნდა ვაღიარო, რომ აღტაცებული ვიყავი ლორდი კერზონის მტკიცე ტაქტიკით და მისი გამჭრიახობით. მე მგონია, მშვიდობა უზრუნველყოფილია, მიუხედავად მოსკოვის გავლენის ქვეშ მყოფი ანგორელი მყვირალებისა. ისმეტს და ქემალს ესმით, რომ მომავალში მათ არ ელოდებათ უკეთესი კონიუნქტურა, ვიდრე ეს ლოზანაში ჰქონდათ.

ამით ჩვენ შეგვიძლია ვიმედოვნებდეთ, რომ დავიძარით მკვდარი წერტილიდან. თუკი თურქეთი იქნება მშვიდობაში ევროპასთან, ჩვენ შეგვეძლება გაორმაგებული ენერგიით შევუდგეთ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების საქმეს. ამ პერსპექტივების შესახებ მე უკვე ვესაუბრე ინგლისელებს; მათ მე გამაგებინეს, რომ, როგორც კი თურქეთთან ზავი დაიდებოდა, შემეძლო დაწყებული საქმის გაგრძელება ლონდონში.

სანამ წერილს დავასრულებ, ჩემს სასიამოვნო მოვალეობად ვთვლი, მოგახსენოთ მხურვალე მადლობა მხარდაჭერისა და ლოზანამდე თქვენი ბოლო წერილით შთაგონებული სიმხნევისათვის. რა თქმა უნდა, თქვენი ძალზე მადლიერი ვიქნებოდი, თუკი მომავალშიც არ დაგვტოვებთ თქვენი მეგობრული რჩევების გარეშე ჩვენს შემდგომ საქმიანობაში. იქნებ აპირებთ ახლო მომავალში პარიზში ან ლონდონში ჩამოსვლას? ბედნიერი ვიქნებოდი თქვენი ნახვით.

ვრჩები თქვენი ღრმად პატივისმცემელი ა. ჩხენკელი

Gia Gelashvili
Doctor of History, The head scientific researcher of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

Some letters from the Oliver Wardrop Collection

Summary

In the following article there is given 12 letters send to Oliver Wardrop from several personalities: D.Gambashidze(6 english, 1 german),V.Tcherkesoff (1 english),

V.Gambashidze (1 georgian), A.Tchkhenkeli (1 georgian, 2 russian) . We give Georgian translation and short comments to them.

We find in these letters valuable information about present conditions of Georgian Church at Mount Athos, political situation in Caucasus, oil-fields in Guria etc.

These letters are registered in the Wardrop Collection (Bodleian Library, Oxford).

გია გელაშვილი
ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

1. ბოლშევიკების შეჭრა საქართველოში

2. ბოლშევიკების აგრესია (საქართველოს წინააღმდეგ ბოლშევიკების საომარი გეგმის გამოაშკარავება)

ინგლისში, ქალაქ ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკაში მუშაობისას, უორდროპის კოლექციაში სხვა მასალებთან ერთად ვნახეთ ინგლისურად შესრულებული ორი დოკუმენტი. ქვემოთ ჩვენ ვაქვეყნებთ საქართველოს კომიტეტის (ლონდონში) 1922 წლის თებერვლის მოწოდება-წერილს – „ბოლშევიკების შეჭრა საქართველოში“ და მის დამატებად „ბოლშევიკების აგრესია“-ს, რომლითაც ნათელი ეფინება საქართველოს წინააღმდეგ ბოლშევიკთა საომარ გეგმებს გაცილებით ადრე მათ მიერ 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს ოკუპაციამდე.

ჩვენ ფაქტობრივად კომენტარების გარეშე ვთავაზობთ საზოგადოებას აღნიშნული ტექსტების თარგმანს, იმდენად სარწმუნო და დამაჯერებელია მათი შინაარსი.

1. ბოლშევიკების შეჭრა საქართველოში

ჩვენ მოგმართავთ ქართველი ხალხის სახელით, რომლის თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოსპო რუსი ბოლშევიკების არმიებმა.

დიდი ხანი გავიდა, რაც მოსკოვის საბჭოთა მთავრობამ სცადა თავისი ძალაუფლების გავრცელება საქართველოზე, რადგან საბჭოების დამკვიდრება წარმოადგენს ბოლშევიკური პოლიტიკის განვრცობის მნიშვნელოვან ელემენტს. ამ მიზნის მისაღწევად ბოლშევიკთა წრეებში ბატონობდა ორი აზრი: ერთი – სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში კავკასიელი ბოლშევიკების მეშვეობით, რომლებსაც ეყრდნობოდნენ ცენტრალური რუსეთის ბოლშევიკები; მეორე – საქართველოს გასაბჭოება რუსული ხიშტების მეშვეობით.

თავდაპირველად დაიწყეს პირველი გეგმის შესრულება. მოსკოვის მთავრობამ სცადა საქართველოს გასაბჭოება აჯანყების საშუალებით, რომლებიც მოაწყო თავისი აგენტების მეშვეობით და თავისივე დაფინანსებით. ამ სახის არეულობა განხორციელდა 1919

წელს აღმოსავლეთ საქართველოს მხოლოდ რამდენიმე სოფელში, მაგრამ ადგილობრივმა მოსახლეობამ მაშინვე ჩააქრო. ბოლშევიკების ცდა იმავე წელს, რომ 1 მაისს აეჯანყებინათ ტფილისის სამხედრო კოლეჯი, ასევე ჩაიშალა. მიუხედავად იმისა, რომ 1920 წლის 7 მაისს ხელმოწერილი იყო რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მოსკოვის მთავრობა ცნობდა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და თავი უნდა შეეკავებინა ყოველგვარი ჩარევისგან მის შინაურ საქმეებში, როსი ბოლშევიკები აგრძელებდნენ მცდელობებს საქართველოს მთავრობის დასამხობად. მათ ისარგებლეს სიტყვის და პრესის თავისუფლებით, რაც გამოიყენეს საქართველოში. დიპლომატიური მისია, რომელიც მოსკოვმა ტფილისს გამოგზავნა, შედგებოდა რამოდენიმე ასი წევრისგან, რომლებსაც უნდა წარემართათ ენერგიული პროპაგანდა რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ. მაგრამ ბოლშევიკთა ყველა მცდელობა უშედეგო იყო. ვერც პროპაგანდამ და ვერც მილიონობით ქაღალდის ფულმა, რაც მოსკოველ აგენტებს ჰქონდათ განსაკარგავად, ვერ შეძლეს მოეპოვებინათ ქართველთა მხარდაჭერა. ბოლოს მიხვდნენ ბოლშევიკები, რომ მათ სასარგებლოდ რევოლუცია ვერ მოხდებოდა, და რომ პროპაგანდა უსარგებლო იქნებოდა; ამიტომ გადაწყვიტეს საქართველოს დამორჩილება შეიარაღებული ძალის მეშვეობით.

1920 წლის 28 ნოემბერს მოსკოვში შეკრებილ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა წინაშე გამოვიდა ტროცკი და სიკვდილის განაჩენი გამოუცხადა რესპუბლიკას. „სომხეთი გასაბჭოებულია, ახლა ჯერი საქართველოზეა“– თქვა მან, „კმარა შევიკავოთ თავი ბაქოსა და ბათუმის შეერთებისაგან“.

1920 წლის დეკემბერში მე-11 რუსული არმიის მეთაურს ჰეკერს ებრძანა მოემზადებინა მოზსენება სამხედრო ძალების შესახებ, რომლებიც საჭირო იქნებოდა საქართველოს დასამორჩილებლად. ამ რაპორტში, რომელიც დათარიღებულია 1920 წლის 18 დეკემბრით, ჰეკერი აღნიშნავს, რომ მისი არმია ვერ იქნება წარმატებული ამ დაპყრობისას, თუკი თურქეთის ქემალისტური ანგორის მთავრობა არ იქნება კეთილად განწყობილი ამ ქმედების მიმართ*. ბოლშევიკები იძულებული გახდნენ გადაედოთ საქართველოში შეჭრა, მაგრამ დაიწყეს თავიანთი ძალების გამრავლება საქართველოს საზღვრებთან. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პროტესტებს შედეგი არ მოჰყოლია.

რუსული ბოლშევიკური პრესა განუწყვეტლივ იმეორებდა: „დადგა დრო, ბოლო მოეღოს საქართველოს“.

---

* იხ. თანდართული ფურცელი ჰეკერის საიდუმლო მოხსენების სრული თარგმანით.

მაშინ როცა მოსკოვის შტაბი სასიკვდილო დარტყმას უმზადებდა ქართველი ხალხის თავისუფლებას, საბჭოთა დიპლომატიური მისია ტფილისში ცდილობდა გამოეწვია უთანხმოებები რუსეთსა და საქართველოს შორის, რაღა ბოლშევიკური იმპერიალიზმისთვის მიეცათ საბაბი სამხედრო მოქმედებების დასაწყებად. ამავე დროს მოსკოვის მთავრობა არ წყვეტდა ცდას დაერწმუნებინა ქართველი ხალხი თავის მეგობრულ და მშვიდობიან სურვილებში. 1921 წლის 11 თებერვალს რუსული მე-11 არმიის ნაწილები ომის გამოუცხადებლად შემოიჭრნენ საქართველოში სომხეთის საზღვრებიდან. საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა შეინმანმა განაცხადა, რომ რუსეთმა არაფერი იცოდა ამ შეტევის შესახებ და რომ ის მოაწყო სომხეთის მთავრობამ. ეს განცხადება სწორედ იმ დროს გააკეთა, როცა საბჭოთა სომხეთის წარმომადგენელმა ჩავერდოვმა თავის მხრივ სთქვა, რომ სომხეთი არანაირად არ იყო კავშირში ამ თავდასხმასთან, და რომ ის მზადაა მეგობრულად მოეგვარებინა ყველა უთანხმოება საქართველოსთან. 15 თებერვალს შეინმანმა მიიღო შემდეგი დაშიფრული დეპეშა ბაქოში განლაგებული მე-11 არმიის შტაბ-ბინიდან: „გადაწყდა რუბიკონის გადალახვა. იმოქმედე შესაბამისად“. იმავე დროს კავალერიის ქვედანაყოფებით გაძლიერებულმა მე-11 არმიის ახალმა ნაწილებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვარი აღმოსავლეთიდან.

16 თებერვალს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ სცადა მოსკოვთან ტელეფონით დალაპარაკება, მაგრამ ბ-ნმა კარახანმა – საგარეო საქმეთა მოქმედმა კომისარმა* უპასუხა, რომ არ სურდა მოვლენათა განხილვა თავმჯდომარესთან. მაშინ თავმჯდომარემ სცადა დაკავშირება საქართველოს წარმომადგენელთან მოსკოვში. მაგრამ მოსკოველმა ხელისუფლებმა არ შეაერთეს მისი ხაზი თითქოს აპარატურის მწყობრიდან გამოსვლის საბაბით. მომდევნო დღეს ტფილისის რადიო-ტელეგრაფის სადგურმა მიიღო გზავნილი, რომელშიც ჩიჩერინი ცდილობდა რა უარეყო რუსული არმიის თავდასხმა საქართველოზე, სთავაზობდა საქართველოს მთავრობას შუამავლობას საქართველოსა და სომხეთს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ მთავრობას არ ჰქონდა არავითარი ილუზია ამ გზავნილის გულწრფელობის მიმართ, მათ თანხმობით უპასუხეს ჩიჩერინის წინადადებას იმ პირობით, თუ რუსეთის მთავრობა თავის არმიებს გაიყვანდა საქართველოს ტერიტორიიდან. ამ პასუხმა მოსკოვის რადიო-ტელეგრაფის სადგურს მშვიდობიანად ჩააღწია, მაგრამ რუსეთის საბჭოთა მთავრობამ მოგვიანებით ევროპისადმი გაგზავნილ კომუნიკეში იცრუა, თითქოს ის მათ არ მიეღოთ.

---

* კარახანი იყო ჩიჩერინის მოადგილე – გ.გ.

ამასობაში სამხედრო ოპერაციები ვითარდებოდა. ტფილისზე ორი მხრით წარმოებულ თავდასხმას გმირული წინააღმდეგობით უპასუხეს. დაიხურა ქარხნები, მაღაზიები, ტფილისის უნივერსიტეტი; ყველა მუშა და სტუდენტი წავიდა ფრონტზე. ეს ნაციონალური ენთუზიაზმი გამარჯვებით დაგვირგვინდა; მტერი განდევნეს, თუმცა ქართული ძალები ჩამორჩებოდნენ რიცხობრივად, შეიარაღებით და მომარაგებით.

21 თებერვალს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ კვლავ გაუგზავნა რადიოგრამით შეკითხვა ჩიჩერინს, თუ რა მიზეზით დაიწყო ომი რუსეთმა საქართველოს პატარა რესპუბლიკის წინააღმდეგ. „რა არის თქვენი მოთხოვნები? ჩამოაყალიბეთ მიზეზები თქვენ მიერ წარმოებული ომისა ჩვენს წინააღმდეგ. ალბათ შევძლებთ გავუგოთ ერთმანეთს სისხლისღვრის გარეშე“. რადგან არ მიიღო პასუხი ამ ტელეგრამაზე, თავმჯდომარემ მიმართა ლენინსა და ტროცკის და სთხოვა მათ ომის შეწყვეტა, რომლის შეურაცხმყოფელი და იმპერიალისტური ხასიათი ნათელი იყო. ეს ტელეგრამაც უპასუხოდ დარჩა.

მოსკოვის მთავრობამ გადაწყვიტა საქართველოს წინააღმდეგ ომის ბოლომდე მიყვანა და რესპუბლიკის მოსპობა. ეს პასუხობდა აზრს, შეცვლილიყო მოლაპარაკებები შეტევებით სამი ახალი მიმართულებით: საქართველოს სამხედრო გზით ვლადიკავკაზიდან, მამისონის უღელტეხილით ქუთაისის მიმართულებით და შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ სოჭიდან. საქართველოს ყოველი მხრიდან თავს დაესხა მე-11 და სხვა სამი არმიის გაერთიანება (მე-8, მე-9 და მე-13), ბუდიონის და ჟლობას კავალერიის დანაყოფებთან ერთად.

ხალხის ენთუზიაზმი და მოხალისეთა სწრაფვა საშუალებას მისცემდა საქართველოს მთავრობას გაეძლიერებინა თავდაცვითი ძალები, რომ ჰქონოდა იმათი შეიარაღების საკმაო საშუალება, ვინც მზად იყო თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავი გაეწირა. მა თარ ჰქონდათ საკმარისი ამუნიცია ბრძოლის ველზე გასულთათვის, მაშინ როცა ბოლშევიკებს ქართული ძალების წინააღმდეგ უწყვეტად შემოჰყავდათ ახალი რაზმები, რომლებსაც ჭარბად ჰქონდათ საჭირო თანამედროვე შეიარაღება – თვითმფრინავებისა და ტანკების ჩათვლით, სახელდობრ, ბრიტანული წარმოების, რაც წაართვეს დენიკინს.

ამას გარდა ბოლშევიკებმა ამ მომენტისთვის სარდალი ჰეკერის რაპორტით მიიღეს სულ ახალი შეტყობინება, რომ ანგორის თურქული მთავრობა უერთდებოდა მოსკოვის ბრძოლას საქართველოს მოსასპობად. 23 თებერვალს ანგორის მთავრობამ ულტიმატუმი წამოუყენა საქართველოს მთავრობას, რომ ქართულ რაზმებს დაეტოვებინათ ქალაქები არდაგანი და ართვინი. რადგან ქართველებს არ ჰყოფნიდათ ძალები თურქეთთან ახალი ფრონტისათვის,

იძულებული გახდნენ გასულიყვნენ ამ ქალაქებიდან, თუმცა ძლიერი პროტესტი განუცხადეს თურქეთის ამ ქმედებას.

ამგვარად, სამხედრო ვითარება სულ უფრო დამძიმდა. ხუთი მხრიდან შემოტევის გამო რესპუბლიკა იძულებული იყო თავისი ძალები ვრცელ ფრონტზე გაეშალა და უთანასწორო პირობებში ებრძოლა. მიუხედავად ქართველი ჯარისკაცების გმირობისა, საქართველოს უმაღლესმა სარდლობამ,ალყაში მოქცევისა და სრული განადგურების საფრთხის გამო, გადაწყვიტა ტფილისის დატოვება და უბრძანა არმიას უკანდახევა პოზიციების გასაძლიერებლად და ბათუმის გადასაქცევად სამხედრო ბაზად. 25 თებერვალს ტფილისი დანებდა. უკანდახევითი ბრძოლები სამი კვირა გრძელდებოდა.

თურქეთის ქემალისტურმა მთავრობამ დაიკავა რა არდაგანი და ართვინი, მოინდომა ხელი შეეშალა ბოლშევიკური ძალებისთვის შესულიყვნენ ბათუმის პროვინციაში. ამ მიზნით შევიდნენ ბათუმში და გამოაცხადეს ანექსირებულად. მაგრამ, როცა სცადეს სიმაგრეებისა და საჯარო დაწესებულებების ძალით დაკავება, ქართველმა მებრძოლებმა ისინი გაყარეს. ამ დროიდან გაიხსნა ახალი ფრონტი. ქემალისტი თურქების ამ ღალატმა ქართულ ძალებს წაართვა ბრძოლის გაგრძელების უკანასკნელი საშუალება.

17 მარტს საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა ბრძოლის შეწყვეტა და არმიის დაშლა. 18 მარტს მთავრობამ დატოვა ბათუმი და გაემართა კონსტანტინოპოლისკენ. რამდენიმე საათის შემდეგ კი რუსი ბოლშევიკების რაზმები შევიდნენ ქალაქში.

ასეთი იყო ვითარება, რამაც მიიყვანა საქართველო ოკუპაციამდე და დემოკრატიული რესპუბლიკა შეიცვალა ოკუპანტთა სამხედრო დიქტატურით და მოსკოვის ხიშტების დესპოტური მმართველობით.

იმპერიალისტი ბოლშევიკების დანაშაულის უკეთ გასაგებად უნდა გავიხსენოთ, რომ თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო ყოველთვის ცდილობდა მხარი დაეჭირა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობისთვის. ის პატივს სცემდა რუსი ხალხის სურვილებს და არასდროს მიუღია მონაწილეობა რუსული საბჭოების წინააღმდეგ წარმოებულ ინტერვენციაში; არასოდეს შეკავშირებია რუსულ კონტრ-რევოლუციურ ძალებს; ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ყოველგვარ ცდას გამოეყენებინათ მისი ტერიტორია რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების მოსაწყობად. მაგრამ მან (საქართველომ –გ.გ.) რუსეთის თვალში ჩაიდინა უპატიებელი დანაშაული, როცა გამოაცხადა თავისუფლება და დამოუკიდებლობა და გადაწყვიტა თავისი ეროვნულობის გადარჩენა. მის მიღწევებს ამ გზაზე, ცხადია, ვერ მოითმენდნენ იმპერიალისტი ბოლშევიკები.

დაახლოებით 12 თვეში საქართველო – ოფიციალურად აღიარებული ევროპული ქვეყნებისა და თვით საბჭოთა რუსეთის მიერ

დამოუკიდებელ რესპუბლიკად, დაიპყრო რუსულმა წითელმა არმიამ.

თუ რას ნიშნავს ოკუპაცია მატერიალური თვალსაზრისით, შეიძლება იმსჯელო იმ ფაქტით, რომ პირველი თვის მანძილზე რუსულმა რაზმებმა შეაგროვეს ყველაფერი (საუკეთესო ლოკომოტივი და ვაგონები, ტრამვაები, სამანქანო მოწყობილობები, ავტომობილები, აღმოსავლური ფარდაგები, ყოველგვარი ნაწარმი, მედიკამენტები, საპონი, პროდუქტები, ტანსაცმელი, სასკოლო მარაგები, ღილების, ქინძისთავებისა და საკერავი ძაფის ჩათვლით), დაარქვეს ამ ნადავლს „საჩუქარი წითელ რუსეთს წითელი საქართველოსგან“ და გააგზავნეს ქვეყნიდან. ცხადია, თვეზე ნაკლებ დროში ფასები ფანტასტიურად ავარდა და ჯერაც კიდევ იზრდება. ვეებერთელა რუსული არმია და მის კვალში ასეულ ათასობით რუსებისა, თუ სხვა ხალხების მოზღვავება მალე დაამშევს საქართველოს. უზარმაზარმა გადასახადებმა მთლად გამოაცარიელა გლეხობის მწირი მარაგი, რომლებსაც ბევრგან დაევალა მათთან შესახლებული რუსული რაზმების გამოკვება. დაპყრობის შემდეგ პურის ფასი 500 მანეთიდან გაიზარდა 6000 მანეთამდე, მაშინ როცა ხელფასები უცვლელი დარჩა, ან მხოლოდ უმნიშვნელოდ მოიმატა. ქვეყანა ოკუპაციამ მარტო კი არ გამოაცარიელა; მან მოშალა მრეწველობა და საგარეო ვაჭრობა, რაც სწრაფად ვითარდებოდა თავისუფალი დაწესებულებების მეშვეობით და შესაძლებლობას მისცემდა საქართველოს დახმარებოდა ნაკლებ ბედნიერ მეზობლებს, დამშეულ რუსებს.

ყველა ადმინისტრაციული თანამდებობა დაიკავეს რუსებმა და უცხოელებმა, რომლებიც საქმეს აწარმოებდნენ რუსულ ენაზე, რაც ქართველმა ხალხმა, განსაკუთრებით გლეხებმა არასაკმარისად, ან სრულებით არ იცოდნენ. მაღალი მოხელეები ინიშნებოდნენ პირდაპირ მოსკოვიდან; ყოველივე დაუბრუნდა ცარისტულ წესებს საქართველოში.

ახლა რუსეთის მთავრობას ჰყოფნის თავხედობა, როცა ევროპას უცხადებს, თითქოს საქართველოში შევიდნენ არა როგორც მტრები, არამედ „მიპატიჟებული მეგობრები“. ამ „მიპატიჟებულმა მეგობრებმა“ უცბად მოსპეს დემოკრატიული კონსტიტუცია, დაფუძნებული ორივე სქესის უნივერსალურ საარჩევნო უფლებებზე. ბევრი საუკეთესო პიროვნება, უმეტესობა ქართული პარლამენტის წევრები (ცხადია დათხოვნილები) საპატიმროში სხედან მძევლებად. ყველა უფლება – თავისუფალი სიტყვის, თავისუფალი გაერთიანებების, თავისუფალი პრესის და ა.შ., უფლებები, რომლებიც მოიპოვეს რევოლუციის შემდეგ, აიკრძალა. გაუქმდა ღია სასამართლო, ის შეცვალა „ჩეკამ“, რომელიც აპატიმრებს, აწამებს, საიდუმლოდ სჯის სიკვდილით. ესაა ის, რასაც რუსები უწოდებენ „მიპატიჟებულ მეგობრებად“ ყოფნას საქართველოში, რომელსაც არ ახსოვს ასეთი

ბარბაროსული თავდასხმა მსგავსი ეკონომიკური გაჩანაგებით, პოლიტიკური შევიწროებით და ორპირობით. თვით ცარიზმის რეჟიმის უბნელეს დროშიც არ ხდებოდა ასეთი მასობრივი დაჭერები და გადასახლებები. სულ ახლახანს 3000-ზე მეტი ქართველი მუშა გადაასახლეს მოშიმშილე რუსეთში, ხოლო იმათ ადგილზე გამოგზავნეს რუსი მუშები. სჯობდა ისინი ადგილზევე დაეხოცათ.

ქართველმა ხალხმა, რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისამდე ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას და მხოლოდ მაშინ თავისი ნებით დაუკავშირდა რუსეთს ხელშეკრულებით (ასე უსირცხვილოდ დარღვეული როგორც მეფის, ისე ბოლშევიკების მიერ), გადაწყვიტა აღედგინა დამოუკიდებლობა. რამდენიმე თვის წინ ათიათასმა მუშამ და სტუდენტმა, მიუხედავად დაპატიმრებისა და დასჯის საშიშროებისა, მოაწყო მიტინგები და დემონსტრაციები ტფილისში; მათ გაუგზავნეს რეზოლუცია ბოლშევიკებს საქართველოს დამოუკიდებლობის და პოლიტიკური უფლებების აღდგენის, პოლიტპატიმრების განთავისუფლების და, ყველაფერთან ერთად, რუსული ჯარების გაყვანის მოთხოვნით. არაა საჭირო იმის თქმა, რომ ამას მოჰყვა ათასობით დაპატიმრება და გადასახლება.

სამწუხაროდ, ევროპამ არ იცის სინამდვილეში რაც ხდება. მოსკოვის მთავრობამ ჩაახშო ქართველი ხალხის ხმა და იმედი აქვს თავისი საგარეო ორგანიზაციების, რომ დამალავს სინამდვილეს, გაართულებს საკითხს და შეცდომაში შეიყვანს საზოგადოებრივ აზრს. მაგრამ ვერ დაიმალება რუსული სამხედრო ოკუპაციის ფაქტი.

ამ გარემოებათა გამო ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ მიმართა ამ ქვეყნის (ინგლისის – გ.გ.) სამართლის მიმდევრებს. რუსეთის პირველი რევოლუციის სასტიკად ჩახშობის დროს, როცა ინგლისურ-ქართულმა კომიტეტმა ქართველთა ეროვნული პეტიცია გადასცა ჰააგის საერთაშორისო კონფერენციას 1907 წელს, ქართველი ხალხი ამას სიმპატიითა და მხარდაჭერით შეხვდა; ახლაც ისინი იმედოვნებენ, რომ ინგლისელი ხალხის აზრი კვლავ დაეხმარება მათ მისწრაფებაში განთავისუფლდნენ უცხო არმიის ძალადობისგან, ასევე საბჭოთა მთავრობის შემოჭრისგან, რომელთაც მოახდინეს ოკუპაცია მას შემდეგ, რაც ის ცნეს ევროპის სახელმწიფოებმა.

კომერციული ხელშეკრულება ინგლისსა და მოსკოვის მთავრობას შორის ამჟამად განხილვის საგანია. მისი ერთერთი პირობაა რუსული წითელი არმიის გაყვანა ამიერკავკასიიდან. ის ემყარება მხოლოდ სამართალს დაყ ველა ხალხების თავისუფლებას, რომ მიაღწიონ ნამდვილ მშვიდობას და ეკონომიკურ აყვავებას. ამასთან, როგორც დრ. ნანსენმა 31 იანვარს დედოფლის დარბაზში თავის სიტყვაში რუსეთის დამშეული გლეხების შესახებ თქვა, მთავარი მიზე-

ზი რუსეთის შიმშილობისა არის „ომი, ბლოკადები და რეკვიზიციები“. რუსმა ბოლშევიკებმა საქართველოს სამივე მოახვიეს თავს, გაავრცელეს სიღარიბე და ავადმყოფობები. გავიხსენოთ, რომ ავადმყოფობებს საზღვრები ვერ იცავენ, და სავსებით შესაძლებელია, რომ ქვეყნების „სოვეტიზაციის“ პროცესი თოფითა და ხიშტით გაგრძელდება და ტიფი, რომელიც ახლა ანადგურებს რუსეთს და წითელი არმიის მიერ უკვე შეტანილია საქართველოში, შეიძლება გავრცელდეს ევროპაში, როგორიც იყო შავი სიკვდილი მე-14 საუკუნეში. საქართველო მარტო რომ დარჩენილიყო, იგი დღეს შეძლებდა დახმარებოდა რუსეთში შიმშილის უბედურ მსხვერპლებს, იმის მაგივრად, რომ თვითონ შეემცირებინა დახმარების თხოვნა ცივილიზებული ევროპისგან.

შემდეგი თარიღებია მნიშვნელოვანი საქართველოს თანამედროვე ისტორიიდან:

1783 საქართველო (გეორგია), დამოუკიდებელი სამეფო, ხელშეკრულებით, რომლითაც თავის სრულ ეროვნულ ავტონომიას უზრუნველყოფს, თანხმდება რუსეთის მფარველობას.

1801 რუსეთი არღვევს ხელშეკრულებას და იპყრობს საქართველოს. ეს იწვევს საქართველოს პროტესტს.

1812 აჯანყებები რუსეთის წინააღმდეგ.

1830-1840 ქართველთა შეთქმულებები რუსეთის წინააღმდეგ; ქართველთა გაციმბირება.

1905 პირველი რუსული რევოლუცია. აჯანყებები საქართველოში.

1907 სასტიკი ჩახშობა. ქართველთა ეროვნული პეტიცია გაგზავნილი ჰააგის საერთაშორისო კონფერენციისადმი „ეროვნებების და დამოკიდებულ ხალხთა კომიტეტის“ მიერ.

1917 რუსეთის მეორე რევოლუცია.

1918 26 მაისი . საქართველო აცხადებს დამოუკიდებლობას.

1920 16 იანვარი. ანტანტა აღიარებს საქართველოს „დე ფაქტო“.

1921 27 იანვარი. ანტანტა აღიარებს საქართველოს „დე იურე“.

1921 11 თებერვალი. 100000-ზე მეტკაციანი რუსული არმია ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს საქართველოს და აგრძელებს ოკუპაციას.

1922 წლის თებერვალი საქართველოს კომიტეტი
3 ადელფ ტერასე, ლონდონი

წიგნები რეკომენდებული საქართველოს ისტორიისათვის:

საქართველოს სამეფო, ო. უორდროპი, ლონდონი 1888.

საქართველოს მინერალური რესურსები კავკასიაში, დ. ღამბაშიძე, ლონდონი 1919.

სახელმწიფო მოხელის წლიური წიგნი „გეორგია“, ვ. ჩერქეზოვის, ლონდონი 1919.

საქართველო, მისი ტრადიციები და მისი პოლიტიკა, რევიუ დე პარი, პარიზი 1919 ოქტ.

საქართველოს ხელშეკრულებები რუსეთთან, ვ. ჩერქეზოვი, მე-19 საუკუნის რევიუ, 1895 მაისი, ლონდონი.

2. ბოლშევიკების აგრესია

საქართველოს წინააღმდეგ ბოლშევიკების საომარი გეგმის გამოაშკარავება.

XI არმიის მეთაურის რაპორტი XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეს – გადასაცემად ცენტრალური რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეს, ტროცკის.

1920 წლის 18 დეკემბერი

[ქვემოთ ქვეყნდება ასლი რუსული ბოლშევიკური არმიის მეთაურის რაპორტისა იგივე არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარისადმი, დათარიღებული 1920 წლის 18 დეკემბრით.

ეს დოკუმენტი, რომლის დედანიც ჩვენ ხელთაა, არის დიდი მნიშვნელობის, რადგან ნათლად გვიჩვენებს, რომ რუსმა ბოლშევიკებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს საქართველოზე თავდასხმა იმაზე დიდი ხნით ადრე, ვიდრე ეს მოხდა და ის, რომ ისინი წინასწარ ფრთხილად ემზადებოდნენ ამ შეტევისთვის. რაპორტის ავტორია იგივე ოფიცერი ჰეკერი, რომელიც მეთაურობდა საქართველოს წინააღმდეგ მოქმედ XI არმიას და რომელიც ამჟამად იმყოფება საოკუპაციო არმიის განკარგულებაში].

(საიდუმლოდ)

„თქვენი წერილის (№1753) პასუხად წარმოგიდგენთ ჩემ შეხედულებას საქართველოზე შეტევასთან დაკავშირებით; შემდეგი პუნქტები უნდა იქნას გათვალისწინებული:

1. საერთაშორისო მდგომარეობა. ჩვენი ურთიერთობა აღმოსავლეთ ანატოლიასთან.

2. ჩვენი ნაწილების მდგომარეობა, რომელთაც შეეძლებათ თავმოყრა მოცემული დროისთვის საწყის ადგილებში.

3. ქართული არმიის მიმდინარე მდგომარეობა და ძალა.
4. მდგომარეობა ჩვენ ზურგში.

როგორც უკვე მოგახსენეთ, XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს კრებაზე 3 დეკემბერს, ოპერაციები საქართველოს წინააღმდეგ შესაძლებელია მხოლოდ ერთი პირობით – თუ ქიაზიმ-ქარაბექირის ნაწილები დაიცავენ მეგობრულ ნეიტრალიტეტს, რადგან XI არმიას მე-2 კავალერიის კორპუსი რომც შეუერთდეს, რათა მონაწილეობა მიიღონ ამ ოპერაციებში, ჩვენ მეთაურობას არ ეყოლება თავის განლაგებაში საკმარისი ძალები თურქთა წინააღმდეგ უსაფრთხო ბარიერის შესაქმნელად. ჩვენი სადაზვერვო დეპარტამენტის ინფორმაციაზე დაყრდნობით, ქიაზიმ-ქარაბექირის ძალები დგანან სარიყამიშ-ალექსანდროპოლის ხაზზე და ჰყავთ 22000-24000-იანი რეგულარული ნაწილები და 14000-16000 ქურთი და თათარი მხედარი. სომხური არმიის უსარგებლობის გამო, რომელიც მთლად დეზორგანიზებულია და საჭიროებს ძირეულ გადახალისებას, ჩვენ ვფიქრობთ გამოვიყვანოთ არანაკლებ 2 ქვეითი შენაერთისა და ერთი კავალერიის ბრიგადა, როგორც ბარიერი თურქთა წინააღმდეგ. ამის მიუხედავადაც ჩვენი ოპერაციები ყაზახ-წითელი ხიდის და შემდეგ ტფილისის მიმართულებით გაძნელდება. თუ ქართული ნაწილები გაგვიწევენ სერიოზულ წინააღმდეგობას, ჩვენი ძალები შეიძლება აღმოჩნდნენ გამოუვალ მდგომარეობაში. ამდენად, მე ვერ ვხედავ შესაძლებლობას ასეთი ბარიერის უზრუნველსაყოფად. მეტიც, ვერ გავბედავ სამხედრო ოპერაციების დაწყებისას დავაბრუნო ნაწილები, რომლებიც იმყოფებიან ლენქორანში, დაღესტანში, ჯევანშირსა და ყარაბაღში. ურყევად მწამს, რაც სათანადოდ მოვიფიქრე, შეგატყობინოთ წერილობით, რომ სახიფათო იქნება საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების დაწყება თავდაპირველად თურქებთან ჩვენი ურთიერთობების მოუგვარებლად.

თუ XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭო მიიღებდა ქიაზიმ-ქარაბექირის ნაწილების მეგობრული ურთიერთობის მყარ გარანტიას, საქართველოსა და ტფილისის ოკუპაციის პრობლემა უფრო შესაძლებელი იქნებოდა.

ჩემი შეფასებით, საქართველოს წინააღმდეგ ოპერაციები საკმაოდ უსაფრთხოდ რომ ჩატარდეს, საჭირო იქნებოდა შემდეგი ძალების თავმოყრა სამი ძირითადი მიმართულებით:
ყაზახი-წითელი ხიდის – 2 ქვეითი დივიზია, 2 ცხენოსანი დივიზია; ფოილოს – 1 ქვეითი დივიზია, 2 ცხენოსანი დივიზია; აღსტაფა-ელიზავეტპოლის ხაზზე – 2 ქვეითი დივიზია. სულ 6 ქვეითი და 5 ცხენოსანი დივიზია, ჯამში 25000 ხიშტით და 4000 ხმლით. ფოილოს მიმართულებით საჭიროა 3 ჯავშნოსანი მატარებლის შეყვანა, რომლებიც შეიძლება მცირე ხნით გადმოვიდეს XI არმიისთვის. 1 ქვეითი დივიზია უნდა დარჩეს ქართული ნაწილების მოსაგერიებლად სოჭის მი-

მართულებით, ხოლო ამხანაგ X..-ის ქვეითი შენაერთი ვლადიკავკაზის დასაცავად.

ეს ძალები უნდა გამოიყოს XI და IX არმიებიდან. თუ შეუძლებელია ნაწილების გადმოყვანა სამხრეთი ფრონტიდან, მაშინ პირველი არმიის რაზმები შეიძლება გამოვიყენოთ მათ გასაძლიერებლად.

საქართველოს წინააღმდეგ პირველი მოქმედების გეგმით შემდეგი რაზმები უნდა გამოვიყვანოთ ტფილისის ოპერაციისას: რაზმები მე-20, მე-18, 32-ე და 28-ე დივიზიებიდან, ამხანაგ შერშენევის საგანგებო რაზმი, მე-2 და მე-18 ცხენოსანი დივიზიები, რომლებიც უნდა შეივსოს სხვა რაზმებით IX და XI არმიებიდან. ხსენებული ნაწილების შევსება უნდა მოხდეს პირველი ხაზის რაზმებიდან, მითითებული ჩემი არმიის გასაძლიერებლად მთავარსარდლის ოფიციალური შეტყობინებით. ასეთ ვითარებაში დეკემბრის დასაწყისში მე მეყოლებოდა საკმაო რაზმები საქართველოზე შეტევისთვის. მაგრამ თქვენთვის ცნობილმა პოლიტიკურმა მოვლენებმა შეუძლებელი გახადა ამ გეგმის შესრულება. ჩემი არმიის შევსება გაცილებით ნელა მოდის, ვიდრე წინასწარ ვსაზღვრავდით. რევოლუციური სამხედრო საბჭოს №5376 ტელეგრამის თანახმად, სამხრეთის ფრონტზე მე-2 ცხენოსანი არმიის გადმოყვანა შეჩერდა. თქვენი ტელეგრამით ნაწილები №№ 134, 638, 312, 454 გაიწვიეს უკან გუდერმეს-პეტროვსკის ხაზზე. 28-ე ქვეითი დივიზია არ შეიძლება გაიგზავნოს ფრონტზე მძიმე დანაკარგების გამო; ხდება მისი ხელახალი შევსება. მთელი 32-ე ქვეითი დივიზიიდან მხოლოდ 96-ე ბრიგადა შეიძლება გაიგზავნოს ყაზახის წინააღმდეგ. მე-18 ქვეითი დივიზიის შენაერთები ასევე საჭიროებენ შევსებას და მათი თავმოყრა ყოვნდება. ნაწილები, რომლებიც მოდიოდნენ პეტროვსკისკენ, ჩემი ბრძანებით სასწრაფოდ იქნენ გადაყვანილი ლენქორანის მხარეში.

აგრეთვე აღსტაფა-ყაზახის ოკრუგში, რომელსაც ყველაზე ხელსაყრელი მდებარეობა აქვს, ამჟამად არაა შესაძლებელი სამოქმედოდ გაიგზავნოს ამისთვის განკუთვნილი ნაწილების 1/4-ზე მეტი.

4 დეკემბერს, შევაფასე რა ყველა მოსაზრება, მოვახსენე რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს, რომ სრულიად შეუძლებელი იყო რევკომის ბრძანების შესრულება და რაზმების თავმოყრა საქართველოზე შეტევისთვის თუნდაც დეკემბრის ბოლოს, თუ შევსების ჩამოსვლის შეყოვნება გაგრძელდებოდა.

წინა ჩვენების დამატებით ვამტკიცებ, რომ ჩრდილო კავკასიიდან ნაწილების და სამხრეთ ფრონტიდან მე-2 ცხენოსანი არმიის სასწრაფო გადმოყვანა – საქონლის გადაზიდვის დროებითი შეჩერების ხარჯზე – ჩემ რაზმებს ისეთ მდგომარეობაში მოიყვანდა, რომ შესაძლებლობა მიეცემოდა რევოლუციური მოვალეობის შესრულებისა.

[..... გამოტოვებულია– გ.გ.....] საკითხის პრობლემების გათვალისწინებით, რაც უნდა გადაწყდეს ჩემი მეთაურობის ქვეშ მყოფ ქვედანაყოფებთან კავშირში, არ უნდა უგულვებელვყოთ მომარაგება და ნორმირება. ასევე ჩემს №6775 წერილზე XI არმიის მომარაგების კომიტეტის თავმჯდომარესთან, კომისარმა ადნომ მიპასუხა, რომ ხორბლის ფქვილის მარაგი 1920 წლის 8 დეკემბრისთვის შეადგენდა 31247 ფუნტს (გირვანქას) და რომ ხორბლიანი მატარებლები შეაჩერეს გუდერმეს-პეტროვსკის ხაზზე ლოკომოტივების უკმარობის მიზეზით და სამხედრო მატარებლების დიდი რაოდენობის თავმოყრის გამო.

თავის №.. წერილში ის მატყობინებდა, რომ, თანახმად კომისრების სკლიანსკისა და ბრუხანოვის დეპეშითი ბრძანებისა, მან ჩააბარა 10000 ფუთ ფქვილზე და 5000 ფუთ ბრინჯზე მეტი XI არმიის მომარაგების კომიტეტს; ეს რაოდენობა უკვე გაგზავნილია. მეტიც, მან ნება დართო მე-18 დივიზიის ქვედანაყოფებს მოეწყოთ თავისი საკუთარი მომარაგება.

ვითარების გათვალისწინებით, რაც შეეხება მარაგებს, მე ვთავაზობ – დავუცადოთ ხორბლიანი მატარებლების ჩამოსვლას და შეტევის დაწყებამდე მათ დაბინავებას ელიზავეტპოლში. განსაკუთრებით ტფილისზე შეტევის დროს ქვედანაყოფების ხელახალმა მომარაგებამ შეიძლება გამოინვიოს პროტესტების პროვოცირება – წითელი არმიის ნაწილებისადმი მოსახლეობის მტრული დამოკიდებულება.

თუ გადავხედავთ ვითარებას ზურგში, გარკვევით ვაცხადებ, რომ ვერ დავუშვებ ჩემი ზურგის უსაფრთხოებას, სანამ შემდეგი ქვედანაყოფები არ გადმოვლენ ჩემს განკარგულებაში; ლენქორანის მხარისთვის – 1 ქვეითი და 1 ცხენოსანი დივიზია; ტერტერ-შოშაჯებრაილის ოკრუგისთვის – 2 ქვეითი და 1 ცხენოსანი დივიზიონი; 28-ე ქვეითი დივიზია აუცილებელია ვანქა-შუშა-ღერუსის ოკრუგში; 1 ქვეითი პოლკი ნუხის მხარეში; დაბოლოს, 1 დივიზია საჭიროა ბაქოსა და რკინიგზების დასაცავად.

ამისგან დამოუკიდებლად, დაზვერვის დეპარტამენტის ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჩვენ უნდა მოვიცადოთ აპრილამდე, სანამ ქურთები დიდი რაოდენობით შეუტევენ ჯებრაილის სექტორს – აუცილებელია არაქსზე გამავალი ყველა პუნქტის უეცარი ოკუპაცია და საკმაო ძალების მონაწილეობა ამ საქმეში.

რაც შეეხება ქართული არმიისა და გვარდიის მდგომარეობას, მე აქ არ შევეხები მას, რადგან ამის შესახებ დაწვრილებით მოვახსენე XI არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს 1920 წლის 24 ნოემბერს. მე მხოლოდ გავიმეორებ, რომ, მიუხედავად მათი სისუსტისა და რევოლუციური სულიერი განწყობისა, ქართულ ნაწილებს შეუძ-

ლიათ წინააღმდეგობის გაწევა;რაც მთავარია, თუ თავიდანვე არ ავიღებთ ხელში ინიციატივას.

ზემოთ მოყვანილი განხილვა არავითარ შემთხვევაში არ მიუთითებს საქართველოზე შეტევის შეუძლებლობაზე; მე მხოლოდ მიმაჩნია, რომ ეს შეტევა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ფრთხილი მომზადების შემდეგ, რათა ტფილისის მოსახლეობაზე თავდასხმა რაც შეიძლება სწრაფად დასრულდეს.

თუკი პოლიტიკური ვითარება მაინც გვაიძულებს შეტევას, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოსთან ომი მიიღებს გაჭიანურებულ ხასიათს.

მე ღრმად მჯერა, რომ ყოველგვარი სიძნელის გარეშე დავიპყრობთ მთელ საქართველოს სურამის ქედამდე, მაგრამ მერე ჩემი ნაწილები გაჩერდებიან. მაშასადამე მე მიმაჩნია, რომ შეტევა საქართველოზე უნდა გადაიდოს, სანამ არ შესრულდება შემდეგი პირობები:

1. შვიდი ქვეითი დივიზიისა და მეორე ცხენოსანი არმიის თავმოყრა ბაქო-ბულახ-ნუხა-ელიზავეტპოლი-ზაქათალა-ყაზახის სექტორში.

2. ბაქო-ელიზავეტპოლის ხაზზე ჩამოსვლა ყველა ხორბლით დატვირთული მატარებლის, რომლებიც შეიცავენ მარაგს განკუთვნილს დეკემბერ-იანვრისთვის.

3. შეთანხმება თურქულ სარდლობასთან.

ამ პირობების შესრულებით, და თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვედანაყოფების მორალური მდგომარეობა მუარი იქნება, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კამპანია საქართველოს წინააღმდეგ დამთავრდება 6 კვირაში.

მე გთხოვთ დაიმოწმოთ რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარისადმი გაგზავნილ თქვენს რაპორტში ზემონახსენები პირობები".

XI არმიის სარდალი, ოფიცერი: ჰეკერი.*

---

* იგივე შინაარსის წერილი სათაურით „მოხსენება რუსული წითელი XI არმიის სარდლის, გენერალ ჰეკერისა „კავკასიის რევოლუციურ მილიტარული საბჭოს" თავმჯდომარე ორჯონიკიძისადმი, 1920 წლის 12 დეკემბრის თარიღით, მოთავსებულია ჟურნალ„კავკასიონში", XV, 1971, პარიზი. მაგრამ ის არაა ისეთი სრული, როგორიც ჩვენი ტექსტია – გ.გ.

Gia Gelashvili
Doctor of History, The head scientific researcher of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

The Bolshevik Invasion of Georgia

Summary

Below we publish a Georgian translation of the Report of the Commander of the XI th Army Hecker for Trotzki (18.XII.1920).

This document clearly shows that the Russian Bolsheviks had finally decided an attack on Georgia long before it actually took place, and that they had been carefully carrying out preliminary preparations for this attack.

მაკა შავგულიძე
ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის თანამშრომელი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ისტორია და მისი განვითარების პერსპექტივები

საქართველოში არსებულ სახლ-მუზეუმებს შორის წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი ღირებულია მემორიალური მასალის სიუხვით. ისინი დამთვალიერებელს აახლოებს პოეტის ცხოვრებასთან, ამცნობს მის გემოვნება-შეხედულებებს, ხასიათს, ესთეტიკურ მიდრეკილებას, უჩვენებს პოეტი-მხედრის მიერ განვლილ საბრძოლო გზას. მუზეუმი მოგვითხრობს არა მხოლოდ ჭავჭავაძეების შესანიშნავი ოჯახის ისტორიაზე, არამედ ასახავს ეპოქის სულს.

სახლ-მუზეუმი დაარსდა XX საუკუნის 50-იან წლებში, საუცხოო, მომაჯადოებელი ბუნების წალკოტში გადაშლილი მამულის ტერიტორიაზე, რომლის მფლობელი, სახელოვანი ქართველი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786-1846) იყო. [1, 5]

ჭავჭავაძეების ოჯახი* სამაგალითო იყო XIX საუკუნის საქართველოში. ეს იყო ჭეშმარიტ ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი, ყოველმხრივ განათლებული, ინტელექტუალური ოჯახი, რომელთაც წარუშლელი კვალი დაამჩნიეს XIX საუკუნის ქართული საზოგადოების ცხოვრებას. [2, 20] ჭავჭავაძეების ოჯახში თავს იყრიდა იმდროინდელი პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების დიდი ნაწილი. ეს ოჯახი იყო პირველი მასპინძელი ევროპიდან თუ რუსეთიდან საქართველოში ჩამოსული გამჭრიახი გონების ადამიანებისა. [3, 14-15]

---

* ალ. ჭავჭავაძესა და მის მეუღლე სალომე ორბელიანს 4 შვილი, 14 შვილიშვილი და 31 შვილთაშვილი ჰყავდათ. უფროსი ქალი ნინო (1812-1857) ცნობილი რუსი მწერლის გრიბოედოვის მეუღლე იყო; მეორე ქალი ეკატერინე (1816-1882) – სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის მეუღლე; მესამე შვილი გენერალ-მაიორი დავითი (1818-1884); მეოთხე ქალი სოფიო (1833-1891) – კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ბარონ ნიკოლაის მეუღლე.

„უკვდავებაში გადასულთა ნაღვლიანი და უძვირფასესი ისტორია“ სათავეს იღებს გარსევან ჭავჭავაძისაგან (1757-1811). „წინანდლის სასახლე აგებულია გარსევან ჭავჭავაძის მიერ. რბილი ავეჯით, სურათებით, გობელენით, სევრის ვაზებით, ვერცხლისა და ოქროს სერვიზით, დიდი ბიბლიოთეკა. ყველაფერი ეს ღირდა ათასეული მანეთები“. [4] გარსევანის გარდაცვალების შემდეგ, 1835 წელს მისმა ვაჟმა, ალექსანდრე ჭავჭავაძემ სახაზინო ბანკიდან სესხად აიღო 800 მანეთი. ამ ფულის ნაწილი მან წინანდლის მამულის გაუმჯობესებას მოახმარა, დიდი ნაწილით კი დაიწყო სამშენებლო სამუშაოები. [3, 12] ალ. ჭავჭავაძემ თავისი ადგილ-მამული ისე მოაწყო, რომ ტერიტორიულად ახლომახლო ფართობზე თითქმის ერთდროულად დაიწყო საცხოვრებელი სახლების, დეკორატიული პარკის, ღვინის სარდაფებისა და ვენახების გაშენება. XIX საუკუნის 30-იან წლებში ალ. ჭავჭავაძის მამულის აღნიშნული კომპლექსი, რომელიც 12 ჰექტარ ფართობზე იყო გადაჭიმული, თითქმის დასრულებული სახით გვევლინება. [2, 26]

ალ. ჭავჭავაძის სიკვდილის შემდეგ, მამული მემკვიდრეობით გადავიდა მისი ვაჟის, დავით ჭავჭავაძის ხელში. მართალია, იგი კარგი მწიგნობარი და ბიბლიოფილი იყო, მაგრამ სათანადოდ ვერ უძღვებოდა მამისეულ მეურნეობას. განუწყვეტელმა დროსტარებამ, ბაღ-ვენახების ქორ-ვაჭრებსა და სომეხ სოვდაგრებზე გაყიდვამ, საქვეყნოდ ცნობილი ალ. ჭავჭავაძის ადგილ-მამული მნიშვნელოვნად გაანიავა. [1, 14]

ადგილ-მამული საფუძვლიანად დაზიანდა შამილის შემოსევის დროს, როდესაც ლეკებმა დაარბიეს და გაძარცვეს სასახლის 22 ოთახი, დაიტაცეს ოქრო, ვერცხლი, ბრილიანტები, ძვირფასი ჭურჭლეულობა და ქსოვილები, შალი და სხვა მრავალი ძვირფასი ნადავლი და თან [1, 15-16] 24 ტყვე* წაიყვანეს. [2, 28]

თავდამსხმელებმა რამდენიმე საათში მიატოვეს წინანდალი და წასვლის წინ ცეცხლს მისცეს სასახლე და მისი შემოგარენი, გადაწვეს პარკი. ცეცხლის შედეგად თითქმის მთლიანად დაიწვა გარსევან და ალექსანდრე ჭავჭავაძეების მდიდარი ბიბლიოთეკა და სა-

---

* ტყვეებს შორის იყვნენ: დავითის მეუღლე ანა ხუთი შვილით, 6 წლის სალომე, 5 წლის მართა, 3 წლის თამარი, წლინახევრის ალექსანდრე, 4 თვის ლიდია, 4 წლის ძმისშვილი ელენე, ანას და – ილია ორბელიანის მეუღლე თავისი პატარა ვაჟით, ნიკოლოზ ბარათაშვილის და – ნინო, ფრანგი აღმზრდელი დრანსე, მებაღე მოსე, სოფლის მღვდელი და სხვები.

არქივო დოკუმენტები, რის გამოც ბევრი მნიშვნელოვანი ისტორიული წყარო და მოვლენა ჩვენთვის დღესაც უცნობია. [2, 28]

დავით ჭავჭავაძემ ოჯახის ტყვეობიდან გამოსახსნელად საიმპერატორო ბანკიდან სესხი აიღო, რისთვისაც თავისი ადგილ-მამულები დააგირავა. [2, 29]

დავითის სიკვდილის შემდეგ მამული მისი შვილების (სამი ვაჟი და ექვსი ქალი) მფლობელობაში გადავიდა. [5, 25]

შემდგომ წლებში, ვალის გადაუხდელობა გახდა ჭავჭავაძეების გაკოტრების მიზეზი და აღებული ვალის სანაცვლოდ ადგილ-მამულები შეიძინა საუფლისწულო დეპარტამენტმა. [1, 7] 1885 წლის 25 თებერვლიდან, ჭავჭავაძეების მამულსა და ქონებას კავკასიის სამეურვეო სამმართველო განაგებდა. [5, 24] ხოლო 1886 წლის 8 თებერვალს ერთ მილიონ ნახევარ მანეთად საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა შეიძინა 15089 დესეტინა ფართობის მამული. მხოლოდ ანა ჭავჭავაძეს დროებით სარგებლობაში დარჩა წინანდლის საცხოვრებელი სახლი. [6]

საუფლისწულო მამულების მიერ მოწვეული სპეციალისტების თაოსნობით გაჩაღდა ჭავჭავაძისეული ზოგიერთი შენობა-ნაგებობის გადაკეთება და ახალ შენობათა მშენებლობა. ნაწილობრივი რეკონსტრუქცია განიცადა ჭავჭავაძისეულმა სასახლემაც, რომელსაც სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან განუახლდა ფასადები. [3, 31-32]

საუფლისწულო მამულის უწყების ხელმძღვანელები ჭავჭავაძისეულ ნივთებს ხელაღებით ყიდდნენ, ჩუქნიდნენ, საქართველოდან გაჰქონდათ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საუფლისწულო მამულის ხელმძღვანელთა მიერ გადარჩენილ სასახლეს სასტუმროს ფუნქცია დაეკისრა. [7, 152]

ჯერ კიდევ 1886-1887 წლებში ჭავჭავაძეების დამწვარი სასახლის საძირკველზე აღადგინეს დღევანდელი ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. ყოფილ სასახლეს სამხრეთით მოანგრიეს 35 მეტრი სიგანის ოთახები, ჩრდილოეთით - წინა ნაწილი და მიაშენეს ქართული აგურით ნაგები ფასადი.

სასახლის სადარბაზო შესასვლელთან, საგანგებოდ გაფორმებულ მაღალ ვესტიბიულში, აღმართეს განიერი, მუხის მოჩუქურთმებული კიბე, რომელიც მეორე სართულზე მიემართებოდა. მდიდრულად მოწყობილი ოთახის ფანჯრებიდან და ნიშებით მორთული ფართო აივნიდან მოჩანდა ალაზნის მომხიბლავი ველი და პარკის საუცხოო პეიზაჟები. [1, 69]

1933 წლიდან აქტიურად იკრიბებოდა ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმისათვის მასალები – ექსპონატები, მემორიალური ნივთები, საუფლისწულო მამულის დოკუმენტები, რამაც მტკიცე საფუძველი შეუქმნა მომავალ მუზეუმს. [1, 71] იუბილესათვის მზადების პერიოდში სამტრესტმა წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში გამოყო ჭავჭავაძისეული სასახლის ყოფილი სასადილო დარბაზი, სადაც მოეწყო წინანდალსა და თბილისში შეკრებილი მასალების ექსპოზიცია, ძველი ფოტოებისა და პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალების დროებითი გამოფენა. მემორიალური ნივთებიდან წარმოდგენილი იყო ალ. ჭავჭავაძისეული სურები, ჭურჭელი, ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვას ბროლის ჭიქები ინიციალებით, ავეჯი, ფერწერული ტილოები და მრავალი სხვ.

თბილისში და სოფლად შეკრებილ იქნა მეტად მდიდარი და საინტერესო ექსპონატები, რამაც კიდევ უფრო გაამდიდრა მუზეუმი, რომელიც, პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძისა და წინანდლის დეკორატიული პარკის დირექტორის, ირაკლი ხმალაძის ხელმძღვანელობით, ოფიციალურად გაიხსნა 1947 წლის 1 აგვისტოს.

წლების მანძილზე მრავლდებოდა მუზეუმის ფონდის მასალები და ფართოვდებოდა ექსპოზიცია. შედეგად, 1953 წელს მუზეუმს გადაეცა მეორე ოთახი – ალ. ჭავჭავაძისეული სასახლის ყოფილი სადღესასწაულო დარბაზი-სალონი.

მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ წლებში მუზეუმის კუთვნილ ნივთებს კვლავ ხელაღებით ყიდდნენ, ასაჩუქრებდნენ და გაჰქონდათ საქართველოდან, მუზეუმისათვის მასალები მაინც უდიდესი მონდომებით იკრიბებოდა.

1955 წლამდე მუზეუმის თანამშრომლების მიერ მიკვლეული იყო ჭავჭავაძეებისა და საუფლისწულო მამულების მიღება-ჩაბარების სია, რომლის მიხედვით გამოვლინდა ახალი ფრანგული სტილის ატლასის რბილი ავეჯი, სავარძლები, მაგიდები, სარკეები, მუსიკალური ინსტრუმენტები, სპილენძის თუნგები, ლამპები, ჩინური ლარნაკები, შანდლები, ფაიფურის კასრი, ფაიფურის სევრის ჭურჭელი, ბიბლიოთეკა, დოკუმენტები უფლისწულთა მამულის შესახებ, ხელნაწერთა არქივი, წერილები, საგვარეულო საბუთები, საქმიანი ქაღალდები და სხვ.

შედგენილ იქნა ალექსანდრე ჭავჭავაძის გენეალოგიის გაგრძელება და დადგინდა შთამომავალთა მისამართები. ამ გზით სახლ-მუზეუმი გამდიდრდა ბევრი საინტერესო ექსპონატით. ივანე დიმიტრის ძე რატიშვილის (დავით ჭავჭავაძის შვილიშვილ ეკატერინეს მეუღლე) ოჯახისაგან შეძენილ იქნა მრავალი ექსპონატი. მერაბ

არჩილის ძე კოკოჩაშვილის (ალ. ჭავჭავაძის მეოთხე თაობა) მშობლებისა და ივლიტა და მარინე ჯორჯაძეების ოჯახიდან მუზეუმს გადაეცა ძალზედ საინტერესო ფოტოები და გენეალოგიის მასალები. ზაქარია გიუნაშვილის ოჯახიდან მუზეუმმა შეიძინა ჭავჭავაძისეული პირველი პიანინო საქართველოში, რომელიც ალ. გრიბოედოვმა საჩუქრად მიუძღვნა ნინო ჭავჭავაძეს. წინანდალშია შეძენილი „ომანიანის“ XVIII საუკუნის ხელნაწერი.

მუზეუმის ექსპონატების შეგროვებას ხელი შეუწყო შემოწირულმა ნივთებმა. პოეტ-აკადემიკოსმა იოსებ გრიშაშვილმა მუზეუმს გადასცა ალ. ჭავჭავაძის პირველი გამოცემისა და მუსიკალური ნაწარმოების – „მშვენიერთა ხელმწიფევ“ – ნოტები. ფოტორეპორტიორმა ი. ტორმა ჭავჭავაძისეული საათი, პედაგოგმა თ. მაჭავარიანმა – ბაკალი ნინო ჭავჭავაძის ინიციალებით.

მე-XX საუკუნის 70-იანი წლებისათვის მუზეუმს ეკავა ალ. ჭავჭავაძისეული სასახლის ცენტრალური ნაწილის პირველი და მეორე სართული – ფართო აივნითა და მხატვრულად გაფორმებული ჭერმაღალი ორი ვესტიბიულით. თუმცა მუზეუმში დიდი რაოდენობის მდიდარი მასალის შეგროვება მის რეექსპოზიციასა და გაფართოებას მოითხოვდა. [1, 72-79]

XXI საუკუნის დასაწყისში, სახლ-მუზეუმის საერთო ფართობმა შეადგინა 1100 კვ/მ. აქედან 700 კვ/მ საექსპოზიციო ნაწილს უკავია, ხოლო 50 კვ/მ საფონდოს. [8, 147-148] მუზეუმში დაცული კოლექცია, რომელიც 4000 ექსპონატს აჭარბებს, ფუნქციონირებს სამი განყოფილების სახით: ფონდსაცავი, მემორიალური და საექსპოზიციო.

მუზეუმის ძირითად ნაწილს მემორიალური განყოფილება შეადგენს, რომელიც განთავსებულია სასახლის მეორე სართულზე 7 ოთახსა და 2 დარბაზში.

აღნიშნულ ექსპოზიციაში თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი XVIII-XIX საუკუნეების ქართული, რუსული და ფრანგული ავეჯი; ძველებური მემორიალური შანდლები, გაზის ლამპები, ოჯახის წევრთა საყოფაცხოვრებო და შთამომავალთა პირადი ნივთები, მუსიკალური ინსტრუმენტები (1 პიანინო და 2 როიალი), ძვირფასი ჭურჭელი (ჩინური, იაპონური, ფრანგული, გერმანული, იტალიური, ქართული, რუსული); ფერწერული ტილოები, ფოტოსურათები, საგვარეულო საბუთები, საქმიანი ქაღალდები; აღდგენილია ალ. ჭავჭავაძის სამუშაო კაბინეტი, სადაც წარმოდგენილია მხოლოდ მემორიალური ნივთები, ალ. ჭავჭავაძის გამოქანდაკებული ბიუსტი და ფერწერული პორტრეტები; ქრონოლოგიური პრინციპით არის წარმოდ-

გენილი ალ. ჭავჭავაძის ცხოვრების, შემოქმედებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპოზიცია. აღნიშნულ ექსპოზიციაში წარმოდგენილია ალ. ჭავჭავაძის გვარის გენეალოგია; წინაპრების, მშობლების, შვილების პორტრეტები და სხვა ფერწერული ტილოები; ალ. ჭავჭავაძის ბავშვობისა და ყრმობის, განსწავლის წლების, მისი სამხედრო და შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალები; ჭავჭავაძეთა საგვარეულო გერბი; აგრეთვე წარმოდგენილია ალ. ჭავჭავაძის სალონის ამსახველი ექსპოზიცია, სადაც ავეჯთან და ფერწერულ ტილოებთან ერთად ექსპონირებულია ალ. ჭავჭავაძის ქალიშვილების პიანინო. წარმოდგენილია საქართველოს კულტურული და სოციალური ყოფის, ალ. ჭავჭავაძის შთამომავლების ყოფის ამსახველი ექსპოზიცია; გამოფენილია წინანდალში ჩამოსული სტუმრების მიერ ალ. ჭავჭავაძის ოჯახისადმი მიძღვნილი საჩუქრები; წარმოდგენილია ქართველ მწერალთა სურათები, რომლებიც იკვლევდნენ და თარგმნიდნენ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებას; სხვადასხვა პოეტების მიერ ჭავჭავაძეების ქალებისადმი მიღვნილი ლექსები. [1, 72-79]

მუზეუმში თავმოყრილია XVIII საუკუნის ხელნაწერები, ეპისტოლარული და იკონოგრაფიული არქივი; XIX საუკუნის სხვადასხვა სახის გამოცემები (ფრანგული, გერმანული, ინგლისური, პოლონური, სომხური), აღსანიშნავია მუზეუმის წიგნის ფონდი. [7, 153]

სახლ-მუზეუმის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს წინანდლის პარკი, რომელიც თავისი მცენარეული ქსოვილით ოაზისს ქმნის.

პარკის დაარსების ისტორია გარსევან ჭავჭავაძის კარ-მიდამოს დაფუძნებას უკავშირდება. XVIII საუკუნის შუა ხანებში მის მიერ მდინარე კისისხევის მხარეს შემაღლებულ ადგილზე აშენებულ სასახლესა (ამჟამად სახელმწიფო რეზიდენციის სასტუმროს ადგილი) და კარის ეკლესიას (ამჟამად აღმოსავლეთის მხარის ფასადიღაა შემორჩენილი) გარშემო ხეხილის ბაღი, ვაზის ხეივნები, სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარეებისა და ყვავილნარის სკვერები ერტყა.

ალ. ჭავჭავაძემ კეთილმოაწყო და გაალამაზა მამისეული კარ-მიდამო. აღმოსავლეთ მხარეს ააგო ახალი სასახლე (დღევანდელი სახლ-მუზეუმი), მიწისქვეშა საირიგაციო სისტემა, ააშენა მიწისქვეშა ღვინის მარანი, მისი შემოგარენი ხე-მცენარეებითა და ყვავილებით შეავსო და ამით, პარკიც საგრძნობლად გააფართოვა. თანამედროვეთა მიერ დატოვებულ მრავლად არსებულ წყაროებს თუ დავეყრდნობით, ალ. ჭავჭავაძეს XIX საუკუნის პირველ ნახევარში წინან-

დალში საკმაოდ კეთილმოწყობილი კარმიდამო და შესანიშნავი დეკორატიული პარკი ჰქონდა. [2, 30-31]

„პარკის დეკორატიული მხარე, არქიტექტურა, როგორც თვით ფართობის, ისე საერთოდ ვერტიკალური სივრცის აღნაგობით, მაქსიმალური შესაძლებლობითაა გამოყენებული. ჯიშების შერჩევა, რაც მეტად სერიოზულ წინასწარ სამუშაოს წარმოადგენს, აქ საუცხოოდაა დაძლეული არა მარტო მათი გარეგანი შეხედულების მიხედვით, არამედ სისტემატური მიდგომითაც, მათი ფერის, საერთო ჰაბიტუსის, სიმაღლეების, ვარჯების განვითარების თვისების, ფოთლიანი და წიწვიანი ჯიშების შერჩევის, მარადმწვანე და ფოთოლმცვივი სახეების განლაგების, დეკორატიულ სწორტანიან თუ ხვიარა ბუჩქების მიხედვით შექმნილი კომბინაცია და მათი შეხამება ზედმიწევნით საინტერესოა. გზების, ბილიკების, ხვეულებისა და ყვავილნარების განლაგება ისე ოსტატურად არის შერჩეული, რომ შედარებით მცირე პარკი გრანდიოზული სანახაობის შთაბეჭდილებას ახდენს“. [9, 170]

ჭავჭავაძეთა ედემის ბაღად წოდებული კარ-მიდამოს დაქცევა 1854 წლიდან დაიწყო, როცა შამილის ლეკთა მეომრებმა დავით ჭავჭავაძის ოჯახი მძევლად გაიტაცა, ხოლო სასახლე და პარკი გადაწვა, რამაც მისი პირვანდელი სახით აღდგენა შეუძლებელი გახადა. ამას თან დაერთო 1865 წელს მდ. კისისხევის არნახული ღვარცოფი, რომელმაც კარის ეკლესიასთან ერთად, ჩაანგრია ათობით ჰექტარი მიწის სავარგული და ჭავჭავაძეთა კარ-მიდამოს დასავლეთი ნაწილი კლდეებად აქცია.

დროთა განმავლობაში დეკორატიული პარკის ლანდშაფტმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. 1886 წლამდე, სანამ მას საუფლისწულო დეპარტამენტი შეიძენდა, მისი ტერიტორია მხოლოდ ახლანდელი სახლ-მუზეუმის დასავლეთის მხარეს შეადგენდა.

ალ. ჭავჭავაძის დეკორატიული პარკის დღევანდელ სახეს საფუძველი 1886 წლიდან ჩაეყარა, როცა ალ. ჭავჭავაძის მამული საუფლისწულო მამულად გადაკეთდა და დაიწყო მისი რეკონსტრუქცია (ავტორი გერმანელი პეიზაჟისტ-არქიტექტორი არნოლდ რეგელი). [2, 32]

პარკის გაშენების პარალელურად სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ალ. ჭავჭავაძისეული ღვინის სარდაფებისა და სასახლის რესტავრაცია. შედეგად, შეიქმნა მონუმენტური ღვინის სარდაფი, სასახლე, ზვრები, იშვიათი სილამაზის აყვავებული პარკი. ეს ყველაფერი ერთობლიობაში წარმოადგენს მაღალმხატვრულ სამუზეუმო კომპლექსს, რომელშიც ხორცშესხმულია შემოქმედებითი გენია სა-

უკეთესო ქართველი, რუსი და უცხოელი მეღვინეების, არქიტექტორების, პარკმშენებლების და სხვა სპეციალისტებისა. [2, 33]

წინანდლის პარკი ცოცხალი მუზეუმია, სადაც შეკრებილია მრავალი სიმდიდრე იშვიათი მცენარეული ფორმებისა. პარკი თავისი მხატვრული შინაარსით რელიეფის, სიმწვანისა და არქიტექტურის ჰარმონიულ კავშირსა და მხატვრულ-ანსამბლურ მთლიანობაშია გამოხატული. იგი საბაღო ხელოვნების ნიმუშია, სადაც ოსტატურადაა გადაჭრილი კომპოზიციურ-სივრცობრივი ამოცანები. პარკში აკლიმატიზირებულია უცხო და ძალზედ საინტერესო მერქნიანი ჯიშების 400-მდე სახეობა. აქედან 150-ზე მეტი ეგზოტიკური წარმოშობისაა.

აქ შეკრებილი დეკორატიული მცენარეებიდან უხვადაა სუბტროპიკული ხილის მცენარეები: ლოკვა ან იაპონური ზღმარტლი, ტკბილი ჰოვენია, იაპონური კომში, ზეთისხილი, იაპონური ხურმა; სართავებიდან: ქაღალდის ხე, დრაცენა, იუკა, ახალი ზელანდიის სელი; მთრიმლავი მცენარეებიდან: შინდი, წაბლი, წიწვოვანი ჯიშები, მუხები და სხვ. სამკურნალოა მცენარეები: წვავი, ხეჭრელი, ხეშავი; ტექნიკური: ბამბუკი, კორპის მუხა, დაფნა; კეთილშობილები: ქაფურის ხე, ცხენისწაბლა; სურნელები: თუია, ვარდი და სხვ. პარკში კვლავინდებურად დგას 400-500 წლის მუხის, ცაცხვისა და ნეკერჩხლის ხეები, რომლებიც ჭავჭავაძეების ოჯახის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად და ბურჯად გვევლინება.

1933-1934 წლებში ჩატარებული ინვენტარიზაციის თანახმად, პარკში დარგული იყო 2025 ხე და 4135 ბუჩქი. მათში წიწვოვანებსა და მარადმწვანეებს 65 პროცენტი ეკავა. [2, 34] პარკის მეორე ინვენტარიზაცია 1977-78 წლებში ჩატარდა, რომლის შედეგად გადაწყდა, რომ პარკში აღდგენითი სამუშაოები ნაწილობრივ ჩატარდებოდა და ჩრდილოეთის მხრიდან მიწებიც მიემატებოდა.

1987 წლის 20 აგვისტოს საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ წინანდლის პარკი ლანდშაფტური არქიტექტურის ეროვნული ძეგლების სიაში შეიტანა. 1987-90-იან წლებში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში პარკის განახლების კიდევ ერთი გეგმა იქნა დასახული, რომელიც არ განხორციელდა.

მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში, პარკი ძირითადად მოუვლელი იყო. ზოგიერთი მცენარე ზომაზე მეტად გაიზარდა, ხოლო ზოგიერთი კი საერთოდ გახმა და დაიღუპა, რასაც ადასტურებს ამჟამად არსებული ცოცხალი მცენარეების მდგომარეობის შედარება ადრეულ საინვენტარიზაციო მონაცემებთან. [10]

ისტორიული დოკუმენტებით, წინანდლის უხუცესთა გადმოცემებითა და დღემდე შემორჩენილი ნახატებიდან, გრავიურებიდან და არსებული მცენარეულობით დასტურდება, რომ იმხანად პარკის მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტა „მიქსტის“ სტილზე იყო შესრულებული. [2, 31]

ალაყაფის კარიდან იშლება პარკის თვალწარმტაცი და ულამაზესი ბუნება. აღმოსავლური სტილის სასახლის წინა ხედი შებურვილია ხვიარა მცენარეებით. ფერწერული პეიზაჟივით წარმოგვიდგება ოვალური თარგის მწვანე პარტერი, რომლის ცენტრში მუდამ მჩქეფარე შადრევანია. შეიძლება ითქვას, რომ ეს ადგილი პარკის ძირითადი კომპოზიციური ცენტრია, სადაც გადის მთავარი კომპოზიციური ღერძი. ამ ღერძზე მდებარეობს სასახლე, სასახლის წინა მოედანი და სარდაფი. აქედან ხდება მნახველთა ხეივნებით, გზებითა და ბილიკებით ექვსი სხვადასხვა მიმართულებით განაწილება.

წინანდლის პარკში დაგეგმარების სივრცობრივ-მოცულობით გადაწყვეტაში მთავარი – მნახველთა მოძრაობის ორგანიზაცია – ისეა გადაჭრილი, რომ მისი ღირსშესანიშნაობა ყველასათვის მისაწვდომია. მნახველთა მოძრაობისას შთაბეჭდილება კი არ სუსტდება, არამედ ძლიერდება. ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებულია კონტრასტებისა და ჰარმონიის უფაქიზესი ნიუანსები, რითაც პარკში შექმნილია უდიდესი მხატვრული ეფექტი. მოედნები, ხეივნები, ორდინარეები და სხვადასხვა ჯიშის მცენარეთაგან შექმნილი ერთეული და დამოუკიდებელი ჯგუფები ისე არიან განლაგებულნი, რომ ქმნიან კონტრასტებს გარემო ფონთან, რის საფუძველზეც ადიდებენ ფერადოვან გამას, აძლიერებენ აღქმას და მნახველი პარკის პეიზაჟებს თითქმის ყოველი ადგილიდან ხედავს. [1, 78]

წინანდლის პარკის მიმართ უდიდეს მოწონებას გამოთქვამდნენ გამბა, დიუმა, ლაიოლი, დრანსე, ასტაფიევი და სხვანი. ისინი წინანდალს „სასწაულს“, „ედემის ბაღს“ და არნახულ წალკოტს უწოდებდნენ.

პარკის ტერიტორიასთან ორგანულად არის შერწყმული ისტორიული ღვინის ქარხნის ხედი, რომელიც ალ. ჭავჭავაძის მიერ 1835 წელს აგებული ღვინის სარდაფების ბაზაზე 1887 წელს საუფლისწულო მამულმა ააგო. აღნიშნულ ღვინის სარდაფებში ღვინო 1865 წლიდან იწარმოებოდა. ალ. ჭავჭავაძის უნიკალური ენოთეკა, რომელიც ნაწილობრივ დღემდეა შემონახული, სხვადასხვა ქვეყანაში ჩამოსხმულ 70 სახეობის 20 000 ბოთლ ღვინოს შეიცავდა; მათ შორის იყო 1839 წლის დამზადებული საფერავიც. [10] ქარხნისაკენ მი-

მავალი გზა, რომელიც პარკს შუაზე კვეთს და ლამაზი ხეივნებით მიემართება, გარემოს განუმეორებელ ელფერს სძენს.

არსებობის ისტორიის მანძილზე, ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში სამუზეუმო საქმიანობის მმართველობით სტრუქტურაში არსებითი ცვლილებები მიმდინარეობდა. სამუზეუმო მენეჯმენტმა, განვითარების ეტაპებზე ახალი მმართველობითი ფორმები შეიძინა.

მუზეუმი ყოველთვის იყო სახელმწიფო დაქვემდებარებაში, რომელსაც სათავეში ედგა დირექტორი. მაშინ, როდესაც ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, დეკორატიული პარკი, ღვინის ქარხანა და მეურნეობა ალ. ჭავჭავაძის შვილების, საუფლისწულო მამულის, მენშევიკების მმართველობისა თუ კომუნისტური რეჟიმის საკუთრებაში იყო, ერთიანი მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა და წარმოდგენილი იყო, როგორც ერთიანი ორგანიზმი. [2, 26] მართვის ამგვარი ფორმით საკმაოდ ეფექტურად ხორციელდებოდა კომპლექსის მოვლა-პატრონობის საქმიანობა.

მმართველობითი საქმიანობა ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა XX საუკუნის 60-70-იან წლებში, როდესაც აღნიშნულ კომპლექსს გამოეყო მეურნეობა და ღვინის ქარხნები, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაციები. მუზეუმი საქართველოს კულტურის სამინისტროს ეკუთვნოდა, ხოლო დეკორატიული პარკი – სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს. [11] შედეგად, აღარ არსებობდა ერთიანი მართვის სისტემა, რაც შეუძლებელს ხდიდა ერთიანი კულტურული ცენტრის ეფექტურად მართვას. [2, 26]

მიუხედავად ამისა, XX საუკუნის 80-იანი წლების მონაცემებით, მუზეუმს ყოველწლიურად 50 000 ათას კაცზე მეტი სტუმრობდა. [12]

XX საუკუნის ბოლო წლებში, სახლ-მუზეუმი და დეკორატიული პარკი კვლავ ერთიანი სისტემის ქვეშ მოექცა და კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. აღნიშნულ პერიოდში, მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებისა, მუზეუმმა მხოლოდ ის მოახერხა, რომ სამუზეუმო ქონება გადაერჩინა და არ შეეწყვიტა არსებობა, რაზეც მისი ოცზე მეტი თანამშრომელი ზრუნავდა. [13, 106-108]

დღესდღეობით, მუზეუმი სახელმწიფო დაქვემდებარებაშია და მასზე სახელმწიფო კონტროლს ანხორციელებს თელავის რაიონის გამგეობა. მუზეუმი 49 წლიანი იჯარით გადაეცა „აბრეშუმის გზის ჯგუფ“-ს, რომელიც ანხორციელებს მამულის სარემონტო სამუშაოებს და თანამედროვე ობიექტების აგებასთან ერთად ზრუ-

ნავს მის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ისტორიული ნიშან-თვისებების შენარჩუნებისათვის.

მუზეუმს აქვს მრავალწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამიზნულად დაგეგმილი მენეჯმენტის ფარგლებში ითვალისწინებს ისეთი სამუზეუმო კომპლექსის შექმნას, სადაც რესურსები მიმართული იქნება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისაკენ და იმის უზრუნველსაყოფად, რომ წინანდალმა მომავალ თაობებს გადასცეს თავისი ისტორია.

მრავალწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში, მუზეუმი, უპირველეს ყოვლისა, ანხორციელებს სახლ-მუზეუმის, პარკისა და ღვინის ქარხნის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობას, რაც ითვალისწინებს დამთავალიერებლისათვის სახასიათო, მყუდრო და სასიამოვნო გარემოს შექმნას.

ისტორიულ წყაროებსა და ფოტომასალებზე დაყრდნობით, მუზეუმის სამხრეთ ნაწილში აღდგა სასახლის სასადილო და სასტუმრო ოთახები (№2, №3), რომლებიც იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი შეძლებული, თუმცა ამავე დროს მოკრძალებული გარემოს სურათს ქმნის, სადაც ცხოვრობდა ჭავჭავაძეების ოჯახი, რაც დამთვალიერებელში საკუთარი სახლის სიმყუდროვის, სახლის ყოფილ მცხოვრებლებთან ერთიანობის შეგრძნებას აღძრავს.

მუზეუმის ჩრდილოეთით მდებარე ოთახები (№5, №6, №7) დროებით საგამოფენო სივრცეებად გადაკეთდა, სადაც ჭავჭავაძეების ოჯახის მემკვიდრეობა არის ექსპონირებული. დროებით გამოფენებზე, რომლებიც 2-4 წელიწადში შეიცვლება, დამთვალიერებელს შესაძლებლობა აქვს იმოგზაუროს წარსულ დროში, გაეცნოს ისტორიულ მოვლენებს ჭავჭავაძეების ისტორიული სამოთხის შესახებ, ამოიცნოს სასახლის მცხოვრებთა სამყარო და შეიგრძნოს მათი კეთილდღეობის საფუძველი. გამოფენები ისტორიული მასალის გაშუქებასთან ერთად მოახდენს ექსპოზიციის ახლებურ ინტერპრეტაციას ვიდეომასალის, ფოტოების, ისტორიული ტექსტებისა და ცოცხალი წარმოდგენების საშუალებით.

მუზეუმში არსებული სხვა პატარა ოთახები სადემონსტრაციო ფართებად გადაკეთდა, სადაც ნაჩვენები იქნება, თუ რა მიმართებაშია ჭავჭავაძეების ოჯახის მიღწევები დღევანდელ საქართველოსთან.

პირველი სართული სხვადასხვა ნაკეთობების, ფოტოებისა და დოკუმენტების საწყობად იქნება გამოყენებული. აქ განლაგდება სამექანიკოსო ოთახი, აუდიო-ვიზუალური საშუალებების ოთახი და

მცველების ოთახი. პირველ სართულზე განლაგებულ ოთახებს შორის არის გიდების ოთახი და სუვენირების პატარა მაღაზია.

სასახლის ხანგრძლივი ვადით უსაფრთხოდ შენარჩუნებისთვის მოეწყო ტემპერატურის, განათების, სინოტივისა და ატმოსფეროს დამაბინძურებელი ნივთიერებების დარეგულირების სისტემები.

წინანდლის ღვინის ქარხნისა და მარანის კეთილმოწყობის თვალსაზრისით, გარდა დამახასიათებელი არქიტექტურის განახლებისა, გათვალისწინებულია, რომ ღვინის ქარხანა მრავალპროფილიანი კულტურული და სოციალური ცენტრი გახდეს. აქ ხელოვნების დარგის მუშაკებს, მკვლევარებს, გურმანებს, ღვინის სპეციალისტებსა თუ უცხოელ ტურისტებს შესაძლებლობა ექნებათ ეზიარონ აღმოსავლეთ საქართველოსათვის ტრადიციულად დამახასიათებელი ღვინის დაყენების მეთოდს; დროებითი გამოფენების საშუალებით გაეცნონ ღვინის წარმოების ისტორიას, ღვინის დამზადების ხელოვნებას, საკვებისა და ღვინის კომბინირების პრინციპებს, რაც ლექციებითა და სემინარების საშუალებითაც გაშუქდება; მოინახულონ ღვინის ქარხნისა და მარნის არქიტექტურისა და მისი განახლებისადმი მიძღვნილი მუდმივმოქმედი გამოფენა; ღვინის წარმოებასა და დაგემოვნებაში დაინტერესებულ პირებს მეგზურობას გაუწევს გურმანების რესტორანი, ღვინის საწარმო და ღვინის მაღაზია.

ამასთან ერთად, დაგეგმილია ღვინის მარნის შესასვლელი დარბაზის გარემონტება, რომელიც ხელმისაწვდომი გახდება სხვადასხვა კერძო ხასიათის ღონისძიებების გასამართავად.

მარანი აგრეთვე დაიტევს შეხვედრებისათვის გამიზნულ ოთახებს, ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი ურთიერთობების სამსახურების ოფისებს, საგანმანათლებლო მიზნებისათვის განკუთვნილ ფართობებს, ასევე რეკვიზიტის შესანახ და სამექანიკოსო საამქროებს, სასაწყობე და მცველებისათვის გამოყოფილ ფართობებს, მასმედიისათვის განკუთვნილ ოთახს, მოსასვენებელ ადგილებსა და საპირფარეშოებს, რომლებიც მთელ შენობაში იქნება განთავსებული.

მუზეუმის მრავალწლიანი სამოქმედო გეგმის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს წინანდლის დეკორატიული პარკის განახლება, რაც რეგელის სტილის შენარჩუნებასა და მისი თავდაპირველი დაგეგმარების უდიდესი ნაწილის ძალაში დატოვებას გულისხმობს. ასევე იგეგმება ახალი ასპექტებიც, რაც თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას შეუწყობს ხელს. ამით პარკი ერთ-ერთ

მნიშვნელოვან და მიმზიდველ სანახაობად გადაიქცევა, სადაც ერთი მხრივ, მნახველთა დიდი რაოდენობის მიღება გახდება შესაძლებელი, ხოლო მეორე მხრივ, ყოველ მათგანს ელეგანტურ და მშვიდ გარემოში დასვენების შესაძლებლობა მიეცემა.

მრავალწლიან სამოქმედო გეგმაში უდიდესი ადგილი აქვს დათმობილი მუზეუმის მენეჯმენტის შემადგენელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს. აღნიშნული სამსახური გრძელვადიანი ქმედებების მეშვეობით მუზეუმს უკარნახებს მომავალ სამოქმედო გეგმებს. იგი საზოგადოებას ამცნობს მუზეუმის შესახებ და შეეცდება, რომ მუზეუმში საზოგადოების მოსვლა იყოს განუმეორებელი, შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი. იგი დამთვალიერებელს შესთავაზებს არა მხოლოდ შედევრებს, არამედ დასვენების კუთხეებს, მაღაზიებს, კაფეებს, მუსიკალურ საღამოებს და სხვ.

ამ მხრივ, ძალზედ მნიშვნელოვანია მუზეუმში სტუმრების მისაღები ცენტრის დაარსება, სადაც სტუმრებს გაუწევენ მეგზურობას და გააცნობენ წინანდლის მნიშვნელობის შესახებ ისტორიულ მასალას (რუქებს, ბროშურებსა და ღონისძიებების განრიგს). დამთვალიერებლებს საორიენტაციო ფილმის ნახვის შესაძლებლობაც ექნებათ. ფილმის მიზანი ისტორიული რეალიების ზუსტად ასახვა და ოჯახის ცხოვრებიდან და სათავადო მამულის ისტორიიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მომენტების ხაზგასმა იქნება.

აქვე განთავსდება პირადი ნივთების შემნახველი საკნები, მაღაზია, კაფე, მკვლევრებისათვის განკუთვნილი სამუშაო ოთახები და საინფორმაციო რესურს-ცენტრი, სახლის მომვლელი ჯგუფი, დასუფთავების სამსახური, დაცვის სამსახური და სასაწყობე მეურნეობა დაიდებს ბინას.

აგრეთვე, მამულის ტერიტორიაზე დაგეგმილია აშენდეს კაფე, საღამოს გასართობი ობიექტი, რომელზედაც ცოცხალი წარმოდგენების გასამართად ხუთი სცენა დამონტაჟდება აგრეთვე სახელოსნოები საგამოფენო დარბაზებითურთ. [10]

დღესდღეობით, მუზეუმის საქმიანობაში მიმდინარე რეორიენტაცია სახავს პერსპექტივებს, რომ ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი იყოს განსაცვიფრებელი, მოსახერხებელი და შთამაგონებელი ნებისმიერი ტიპის დამთვალიერებლისათვის.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ხმალაძე ი., წინანდლის სავანე, თბ., 1975

2. მეგუთნიშვილი ს., წინანდალი საქართველოს კულტურის საგანძური, თბ., 2006
3. ბოგველიშვილი გ., წინანდალი, თბ., 1967
4. ბარონ ნიკოლაის არქივი, საქ. ლიტ. მუზეუმი. ფ.№3526-6
5. ჩხეიძე თ., საუფლისწულო მამულები კახეთში 1885-1921წწ., თბ., 1968
6. Центральный государственный исторический архив в гор.Ленинграде, ф. 515, оп. 81, д. 964 л, 1-2.
7. გონჯილაშვილი ბ., ჭავჭავაძეთა ნაფუძარზე, თბ., 1999
8. ქარაია ი., ბურჭულაძე მ., ქარაია ლ., ცისკარიშვილი ს., საქართველოს მუზეუმები, გზამკვლევი, თბ., 2006
9. მირზაშვილი ვ., მერქნიან მცენარეთა აკლიმატიზაცია-ნატურალიზაცია საქართველოს პარკებში, თბ., 1934
10. http://www.nplg.gov.ge/chavchavadze/alexandrechav.html
11. ბოგველიშვილი გ., ხეები ზეზეულად კვდებიან, გაზ. „ლიტერატურული გაზეთი", 1957, №15
12. Алавидзе З., Внов Цинандалского Парка, газ. «Заря Востока» 1978, №163
13. ბოგველიშვილი გ., წინანდლის ცის ქვეშ, მემუარული ჩანაწერები, თბ., 1997

Maka Shavgulidze
Doctoral student at the Telavi State University

History and Development prospects of Tsinandali Al. Chavchavadze Museum

Summary

The village of Tsinandali, located in the charming entrails of nature in the Eastern part of Georgia, is particularly noteworthy for the Chavchavadze Land spread across the fascinating garden of extraordinary flora. This garden was developed by Garsevan Chavchavadze in the 60s of the XVIII century and in 1947, Alexandre Chavchavadze House Museum was founded there.

At the beginning of the XXI century the House Museum occupied a total space of 1100 m^2. Later the exposition part of the museum and the fund space were moved to occupy less area of 700 m^2 and 50 m^2, accordingly. The com-

plex of Al. Chavchavadze House Museum includes the palace, decorative park and wine cellar.

The collections preserved at the Museum include more than 4000 items; these collections are represented by means of three main expositions: fund, memorial and expositional.

By its intellectual and material values, Tsinandali Alexandre Chavchavadze House Museum represents one of the most significant hubs of the Georgian cultural heritage.

The Museum Complex is rich with numerous of memorial materials, which provide significant insights into the private life of the Chavchavadze family, their preferences and looks, characters, esthetic views and thus revives the heart of the epoch.

The thesis discusses the history of the House Museum complex from the period of Garsevan Chavchavadze to present, its development stages, types of collections, management forms and their development and improvement options and prospects.

ინსტიტუტის დელეგაციის მონაწილეობა პოლონელ ისტორიკოსთა XVIII საერთო-ეროვნულ ყრილობაში

2009 წლის 16-19 სექტემბერს, პოლონეთის რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ ოლშტინში (ვარმია-მაზურის სავოევოდოს ადმინისტრაციული ცენტრი) გაიმართა პოლონელ ისტორიკოსთა XVIII საერთო-ეროვნულ ყრილობა. იგი მიზნად ისახავდა მეცნიერთა გაცნობა-დაახლოებას, სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების გაზიარებას, დისკუსიებს ისტორიული მეცნიერების ყველა სფეროში.

ყრილობა შედგა პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის პატრონაჟით. საპატიო საორგანიზაციო კომიტეტში შედიოდნენ: პოლონეთის სეიმისა (პარლამენტი) და სენატის თავმჯდომარეები, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მინისტრები, ოლშტინის უნივერსიტეტის რექტორი და სხვები.

ისტორიკოსთა ყრილობაში მონაწილეობდნენ როგორც პოლონეთის ცალკეული სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებებიდან ჩამოსული ისტორიკოსები (1000-ზე მეტი დელეგატი), ასევე პოლონეთის ისტორიის მკვლევარები საქართველოდან, ჩეხეთიდან, უკრაინიდან, ლიტვიდან, ლატვიიდან, ჩინეთიდან, რუსეთიდან, ბელარუსიდან და სხვა ქვეყნებიდან (100-მდე დელეგატი).

ყრილობაზე მიწვეულთა შორის იყვნენ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებიც – დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვაჟა კიკნაძე** და ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნიკო ჯავახიშვილი.**

ყრილობის საზეიმო გახსნაში მონაწილეობდა პრეზიდენტი ლ. კაჩინსკი და პოლონეთის მთავრობის წარმომადგენლები.

უცხოეთიდან ჩამოსულ მეცნიერებთან საგანგებო შეხვედრა გამართა პოლონეთის ისტორიკოსთა საზოგადოების პრეზიდენტმა, პროფ. კრჟისტოფ მიკულსკიმ (ვარშავა).

ყრილობაზე გამოითქვა სურვილი, რომ პოლონელ და უცხოელ ისტორიკოსებს შორის მეცნიერული კონტაქტები კიდევ უფრო გაღრმავდეს და ინტენსიური გახდეს.

პოლონეთის ისტორიის აქტუალურ საკითხებზე საგანგებოდ გამართულ დისკუსიაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს უცხოეთის ქვეყნებიდან ჩამოსულმა მეცნიერებმა და მათ შორის პროფესორებმა ვ. კიკნაძემ და ნ. ჯავახიშვილმა.

პროფ. ვ. კიკნაძემ თავისი გამოსვლა ინგლისურ ენაზე დაიწყო:

„ნება მიბოძეთ, უღრმესი მადლობა მოგახსენოთ ჩვენი (საქართველოს დელეგაციის) მოწვევისათვის ამ მნიშვნელოვან ყრილობაზე!

ჩვენ, ქართველები ყოველთვის ვგრძნობთ პოლონელი ხალხის გამორჩეულ მეგობრულ და კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას ჩვენი ქვეყნისადმი. ჩემი დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ შევძელი პოლონური ენის სწავლა, რომელიც ამ ყრილობაზე სამუშაო ენას წარმოადგენს. ამიტომ, ბოდიშს მოგიხდით და შემდგომ სათქმელს – რუსულ ენაზე მოგახსენებთ!

პატივცემულო ყრილობის მონაწილენო!

მე მინდა პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობის ერთ საინტერესო ასპექტზე გავამახვილო ყურადღება.

ავტოკეფალიააღდგენილი საქართველოს ეკლესიის პირველი კათოლიკოს-პატრიარქი – კირიონ II, რუსეთის იმპერიის საეკლესიო და საერო მესვეურთა გადაწყვეტილებით, თითქმის 17 წელიწადს საპატიო გადასახლებაში იმყოფებოდა იმპერიის სხვადასხვა გუბერნიაში.

ერთ-ერთი გადასახლების დროს, ეპისკოპოსი კირიონი აღმოჩნდა ქალაქ კოვნოში (კაუნასი), სადაც ის პოჟაის ყოფილი კათოლიკური მონასტრის არქიმანდრიტად იქნა გამწესებული. ეს მონასტერი საიმპერიო ხელისუფლებამ დასაჯა, რადგან პოლონელმა ხალხმა გაბედა და აჯანყდა რუსეთის წინააღმდეგ (1831 წ.), ხოლო ამ აჯანყებას აღნიშნული მონასტერიც თანაუგრძნობდა.

ამის გამო, იქ ძველი კათოლიკური მონასტერი გააუქმეს და მის ნაცვლად ახალი, მართლმადიდებლური მონასტერი დააარსეს.

კირიონმა, როგორც უაღრესად განვითარებულმა მღვდელმთავარმა და მოწოდებით მკვლევარმა, დანიშვნისთანავე დაიწყო მონასტრის არქივების შესწავლა (მან პატარა წიგნაკიც მიუძღვნა ამ მონასტრის ისტორიას).

კოვნოდან თბილისში გამოგზავნილ პირად წერილებში ეპისკოპოსი აღნიშნავდა, რომ მონასტრის უმდიდრეს არქივებს საფრთხე ემუქრებოდა. ამიტომაც იყო, რომ მან 1.000-მდე ორიგინალური დოკუმენტი (პოლონურ ენაზე), რომელიც მოიცავდა ხანას XV სა-

უკუნიდან – XIX საუკუნის დასაწყისამდე, მან გადარჩენის მიზნით, მონასტრიდან წაიღო და მთელი გადასახლების პერიოდი სათუთად ინახავდა.

ამჟამად, ეს დოკუმენტები ინახება თბილისის ეროვნულ საისტორიო არქივში, კირიონის ფონდში და მკვლევარს ელის.

როგორც იტყვიან, საქმე ულევია.

პირადად მე, ვისარგებლე შემთხვევით და რამდენიმე თვის წინ, როდესაც ქ. პოზნანში ვიმყოფებოდი, ამ დოკუმენტებზე სამუშაოდ მოვიწვიე ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტის პროდეკანი, გამოცდილი პალეოგრაფი, პროფესორი ილონა შამანსკა.

იმედი მაქვს, ის მალე ჩამოვა საქართველოში და შეისწავლის ამ დოკუმენტებს.

მეორე მხრივ, ქართული ხელნაწერები ინახება ქ. კრაკოვში. მათი პირველი აღწერილობა ქართველებისა და პოლონელებისათვის ერთნაირად დასაფასებელმა პიროვნებამ – წმ. გრიგოლ ფერაძემ შეასრულა.

ასე, რომ ამ ორ კერძო შემთხვევაშიც იკვეთება ქართულ-პოლონური ურთიერთობანი. უპირველესად ვფიქრობთ, მათი ყოველმხრივი გაღრმავება ჩვენი მეცნიერების და კულტურის სფეროს მოღვაწეთა საქმეა!

გმადლობთ ყურადღებისათვის.

ტინკუე-ბარზო!"

პროფ. ნ. ჯავახიშვილმა თავის გამოსვლაში აღნიშნა:

„პატივცემულო ყრილობის მონაწილენო, ძვირფასო მეგობრებო, გულითად მადლობას მოგახსენებთ ამ ყრილობაზე ჩვენი მოწვევისათვის.

საქართველო-პოლონეთის ურთიერთობების ისტორია ხუთსაუკუნოვან ისტორიას ითვლის. ის სათავეს იღებს 1495 წლიდან, როდესაც პოლონეთსა და ლიტვას ქართლის მეფის კონსტანტინე II-ის ელჩი ეწვია. იმხანად, ევროპის ქრისტიანული სახელმწიფოები და მათ შორის ზემოხსენებული ქვეყნების მესვეურები ცდილობდნენ ჩამოეყალიბებინათ ანტიოსმალური ალიანსი, რომელსაც თურქთა წინსვლა უნდა შეეჩერებინა. ქართველ ელჩს რომ პოლონეთისა და ლიტვის ხელისუფლებისათვის ანტიოსმალური კოალიციის შედგენის გეგმა გაუცვნია და ამ საკითხზე პოლონეთის სამეფო კარზე თათბირიც გამართულა, ამის დამამტკიცებელია ამ ფაქტის „ლიტვის მეტრიკის წიგნში" შეტანა.

ლიტვა-პოლონეთის უნიის ჩამოყალიბების შემდეგ, პოლონეთი გავიდა შავ ზღვაზე, რომლის საშუალებითაც საქართველომ მას-

თან დაკავშირება შეძლო. მოგვიანებით, პოლონეთსა და საქართველოს შორის შედარებით უფრო მჭიდრო კავშირი დამყარდა.

ჯერ რუსეთის იმპერიის, ხოლო შემდეგ სსრ კავშირის საზღვრებში ძალით მოქცეული პოლონეთისა და საქართველოს სახელოვან შვილებს ერთმანეთის გასაჭირი ყოველთვის შესანიშნავად ესმოდათ.

საქართველოში მცხოვრები პოლონელები ჩვენი სამშობლოს ღირსეული მოქალაქენი იყვნენ, ხოლო საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ პოლონეთში ჩასულმა ქართველმა მხედრებმა ერთგულად იმსახურეს ამ ქვეყნის არმიაში და საპატიო სამხედრო ჯილდოები დაიმსახურეს. მრავალმა ქართველმა თავი შესწირა პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის დაცვისათვის ბრძოლას. შემთხვევითი არ გახლავთ ის ფაქტიც, რომ საბჭოთა რეჟიმის მიერ კატინში ვერაგულად დახვრეტილ პოლონელ ოფიცერთა შორის იყო ქართველიც – კაპიტანი მამალაძე.

ზემოხსენებული საკითხები შესწავლილი მაქვს წიგნში „ქართველი მხედრები პოლონეთის დროშის ქვეშ“, რომელიც 1998 წელს ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოიცა.

მისასალმებელია, რომ მადლიერი პოლონელი ერი ღირსეულად აფასებს მისთვის თავგანწირულ ქართველ ოფიცერთა ხსოვნას. ფრიად სიმბოლურია, რომ ამ ცოტა ხნის წინათ, ვარშავაში საზეიმოდ გაიხსნა პოლონეთისათვის ბრძოლაში თავდადებულ ქართველ რაინდთა სამარადისო ხსოვნის მემორიალი.

ქართველი ერიც ფრიად მადლიერია, რომ 2008 წლის აგვისტოში, დიდი განსაცდელის ჟამს, როდესაც ქართული სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი უკრაინის, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მესვეურებთან ერთად ეწვია თბილისს და საქართველოს მხარდაჭერა გამოუცხადა.

უღრმესი მადლობა პოლონელ ხალხს ასეთი დიდი თანადგომისათვის“.

პოლონელ ისტორიკოსთა XVIII საერთო-ეროვნულ ყრილობაზე გადაწყდა, რომ მომავალი ყრილობა – 2012 წელს შედგება.

პროფესორ ნიკო ჯავახიშვილის სამეცნიერო მივლინება ლატვიაში

2009 წლის 12 აგვისტოდან – 10 სექტემბრამდე, ლატვიის სამეცნიერო წრეების მიწვევითა და ამ ქვეყანაში აკრედიტებული საქართველოს საელჩოს თანადგომით, ლატვიაში სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნიკო ჯავახიშვილი.**

სამეცნიერო მივლინების პერიოდში ნ. ჯავახიშვილი ლატვიის სამეცნიერო დაწესებულებებში (არქივებში, ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში) აგროვებდა საისტორიო მასალას თავისი მონოგრაფიისათვის: „ნარკვევები ქართველი და ლატვიელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან“ (თანააავტორი – ლატვიელი მეცნიერი, „ლატვია-საქართველოს თანამშრომლობის ფონდის“ მმართველობის საბჭოს თავმჯდომარე, დოქტორი ანდრეის კრუსკოპსი).

ზემოხსენებული მონოგრაფიის პროექტს გაეცნო ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის სენატის თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **იანის სტრადინში,** რომელმაც ამ პროექტს მაღალი შეფასება მისცა და სურვილი გამოთქვა იყოს აღნიშნული წიგნის სამეცნიერო რედაქტორი. აქვე დავსძენთ, რომ ი. სტრადინშს დიდხანს ეკავა ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თანამდებობა.

ამავე წიგნის რეცენზენტები იქნებიან უკრაინის ელჩი ლატვიის რესპუბლიკაში, პროფესორი **რაულ ჩილაჩავა,** ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის დირექტორი, დოქტორი **ვენტა კოცერე** და ლატვიის საპატიო კონსული საქართველოში, პროფესორი **რეგინა იაკობიძე.**

ლატვიის სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებების მიწვევით, ნ. ჯავახიშვილმა წაიკითხა სამეცნიერო მოხსენებები (საჯარო ლექციები):

1. თემაზე: „ქართველი და ლატვიელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან“ – ლატვიის ოკუპაციის მუზეუმში (27 აგვისტო) და ლატვიის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო

მუზეუმში (4 სექტემბერი), დოქტორ ანდრეის კრუსკოპსთან ერთად;

2. თემაზე: „საქართველო: ისტორიული და გეოპოლიტიკური მიმოხილვა“ – ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტზე (8 სექტემბერი).

ზემოხსენებულ მოხსენებებს დაესწრნენ ლატვიაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, სახელმწიფო მოხელეები, მეცნიერები, სტუდენტები და სხვ.

ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა გუნტის ზემიტისმა გამოთქვა სურვილი ითანამშრომლოს ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტთან და ივალდებულა, რომ დაეხმარება ნ. ჯავახიშვილს ზემოხსენებული მონოგრაფიისათვის საჭირო მასალების მოძიებაში.

ნ. ჯავახიშვილისაგან ინტერვიუ აიღეს ლატვიის მასმედიის საშუალებებმა, იგი ორჯერ მიიწვიეს რადიოში, ხოლო მისი ინტერვიუ გამოქვეყნდა ქვეყნის ყველაზე დიდი ტირაჟით გამომავალ გაზეთში „Latvijas Avize“ (16. IX. 2009 წ., № 242).

გარეკანის ბოლო გვერდზე გამოსახულია:

დავით III კურაპალატის სახელით მოჭრილი ვერცხლის დრამა (X საუკუნის მეორე ნახევარი – XI საუკუნის დასაწყისი), რომელიც აღმოჩნდა ლიფლანდიის გუბერნიის დასახლებულ პუნქტ ვოლიაში [ზემოთ];

ამირა **ჯაფარ იბნ მანსურის** სახელით თბილისში მოჭრილი ვერცხლის დირჰემი (973-974 წწ.), რომელიც აღმოჩნდა ქალაქ რიგასთან მდებარე სალასპილს-ლაუკსკოლას დასახლებაში, სამარხში [ქვემოთ].

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge